ქუთაისის რკინიგზანიერთვის

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტი

1952. 5/IV

აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის
სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის

შ რ ო მ ე ბ ი

X

81

ქ უ თ ა ი ს ი 1950—1951



საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
ა.ღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტი

ა.ღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის

შ რ ო მ ე ბ ი

4843

X



ქუთაისი 1950—1951

დაიბეჭდა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის
სამეცნიერო საბჭოს დადგენილებით

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР
Кутаисский Государственный Педагогический Институт
имени А. Цулукидзе

ТРУДЫ

КУТАИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО ПЕДАГОГИЧЕСКОГО ИНСТИТУТА ИМЕНИ А. ЦУЛУКИДЗЕ

X

КУТАИСИ 1950—1951

Печатается по постановлению Научного Совета
Кутаисского Педагогического Института

შ ი ნ ა ა რ ს ი

	გვერდი
ი. **ს ტ ა ლ ი ნ ი,** მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები	I—XLIV
კ. **ჩ ა რ კ ვ ი ა ნ ი,** სამეცნიერო და შემოქმედებითს ორგანიზაციებში მუშაობის ზოგიერთი საკითხის შესახებ	XLV—LVI
1. გ. როგავა. ახალი, სტალინური ეტაპი საბჭოთა ენათმეცნიერებაში	1— 16
2. ს. ყაუხჩიშვილი. ანტიკური მასალები ბათუმის ისტორიისათვის	17— 23
3. გ. კოკოჩაშვილი, ზოგიერთი ბიოლოგიური ტერმინის შესახებ	25— 41
4. დ. მაჭავარიანი, კნელ სუფიქსი ქართულში . .	43— 50
5. ქ. ძოწენიძე, ევ სუფიქსისათვის ზემოიმერულ კილოკავში	51— 58
6. პ. ჯაჯანიძე, მასალები იმერული კილოს ლექსიკონისათვის	59— 74
7. მ. ალავიძე, ოკრიბული კილოკავის ლექსიკონი .	75—101
8. ი. სალინაძე, კარიობის ტუფის პეტროგრაფიული დახასიათება	103—111
9. გ. დევდარიანი, მასალები სამეგრელოს ბორცვიანი ზოლის გეომორფოლოგიისათვის . . .	113—140
10. ი. მათურელი, ვახუშტი ბაგრატიონის კარტოგრაფიული ნაშრომების ერთ-ერთი ასლი . . .	141—151
11. მ. როყვა, ლ. ჭელიძე, ბენტონიტური თიხების ზოგიერთი ახალი საბადო	153—173

გვერდი

12. შ. აბრამიძე, იოჰან ლაიდენელის მმართველობა მიუნსტერში . . . . . 175—191

13. ი. კუბლაშვილი, ბათუმის განთავისუფლების ისტორიიდან . . . . . 193—209

14. შ. ქორიძე, საწარმოო ძალთა სოციალისტური განლაგების საკითხისათვის . . . . . 211—236

15. ა. გოცირიძე, ი. პავლოვის ფიზიოლოგიური მოძღვრება . . . . . 237—260

16. შ. ჩხარტიშვილი, მეორე სიგნალური სისტემა და ფსიქიკური ცხოვრების მეორე დონე . . . 261—299

СОДЕРЖАНИЕ

стр.

И. В. Сталин, Марксизм и вопросы языкознания . . . . . I—XLIV

К. Н. Чарквиани, О некоторых вопросах работы в научных и творческих организациях . XLV—LVI

1. Г. В. Рогава, Новый сталинский этап в советском языкознании . . . . . 1— 16
2. С. Г. Каухчишвили, К истории города Батуми 17— 23
3. Г. В. Кокочашвили, О некоторых грузинских биологических терминах . . . . . 25— 41
4. Д. П. Мачавариани, Суффикс ჯ̈ბ̈ლ̈ в грузинском языке . . . . . 43— 50
5. К. С. Дзоценидзе, К вопросу суффикса ფ̈ в верхнеимерском говоре . . . . . 51— 58
6. П. П. Джаджанидзе, Материалы для словаря имерского диалекта . . . . . 59— 74
7. М. Н. Алавидзе, Словарь окрибского говора 75—101
8. И. А. Сагинадзе, Петрография карнобского туфа . . . . . 103—111
9. Г. С. Девдариани, Материалы по геоморфологии холмистой полосы Мегрелии . . . . . 113—140
10. И. В. Матурели, Одна из копий картографических трудов Вахушти Багратиони . . . . 141—151
11. М. Л. Роква, Л. А. Челидзе, Некоторые новые месторождения бентонитовых глин . . . 153—173

стр.

12. Ш. В. Абрамидзе, Правление Иоанна Лейденского в Мюнстере . . . . . 175—191

13. И. И. Кублашвили, Из истории освобождения Батуми . . . . . 193—209

14. Ш. И. Коридзе, К вопросу размещения социалистического производства . . . . . 211—236

15. А. М. Гоциридзе, Физиологическое учение И. П. Павлова . . . . . 237—260

16. Ш. Н. Чхартишвили, Вторая сигнальная система и второй уровень психической жизни . 261—299

ი. სტალინი

მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები

მარქსიზმის შესახებ ენათმეცნიერებაში

მე მომმართა ახალგაზრდა ამხანაგების ჯგუფმა წინადადებით — პრესაში გამომეთქვა ჩემი აზრი ენათმეცნიერების საკითხებზე, განსაკუთრებით იმ ნაწილში, რომელიც შეეხება მარქსიზმს ენათმეცნიერებაში. მე ენათმეცნიერი არა ვარ და, რა თქმა უნდა, არ შემიძლია სავსებით დავაკმაყოფილო ამხანაგები. რაც შეეხება მარქსიზმს ენათმეცნიერებაში, ისევე როგორც ყველა სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებაში, ამ საქმესთან მე პირდაპირი დამოკიდებულება მაქვს. ამიტომ დავთანხმდი პასუხი გამეცა ამხანაგების რამდენიმე კითხვაზე.

კითხვა. სწორია თუ არა, რომ ენა არის ბაზისის ზედნაშენი?

პასუხი. არა, არ არის სწორი.

ბაზისი არის საზოგადოების ეკონომიური წყობილება მისი განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე. ზედნაშენია საზოგადოების პოლიტიკური, უფლებრივი, რელიგიური, მხატვრული, ფილოსოფიური შეხედულებანი და მათი შესაბამისი პოლიტიკური, უფლებრივი და სხვა დაწესებულებანი.

ყოველ ბაზისს აქვს საკუთარი, თავისი შესაბამისი ზედნაშენი. ფეოდალური წყობილების ბაზისს აქვს თავისი ზედნაშენი, თავისი პოლიტიკური, უფლებრივი და სხვა შეხედულებანი და მათი შესაბამისი დაწესებულებანი, კაპიტალისტურ ბაზისს თავისი ზედნაშენი აქვს, სოციალისტურს — თავისი. თუ იცვლება და ისპობა ბაზისი, იცვლება და ისპობა მისი ზედნაშენიც, თუ წარმოიშვება ახალი ბაზისი, წარმოიშვება მისი შესაბამისი ზედნაშენიც.

ენა ამ მხრივ ძირეულად განსხვავდება ზედნაშენისაგან. ავიღოთ, მაგალითად, რუსი საზოგადოება და რუსული ენა. უკანასკნელი 30 წლის მანძილზე რუსეთში მოისპო ძველი, კაპიტალისტური ბაზისი და აშენდა ახალი, სოციალისტური ბაზისი. ამის შესაბამისად

მოისპო კაპიტალისტური ბაზისის ზედნაშენი და შეიქმნა ახალი ზედნაშენი, რომელიც სოციალისტურ ბაზისს შეესაბამება. მაშასადამე, ძველი პოლიტიკური, უფლებრივი და სხვა დაწესებულებანი შეიცვალა ახალი, სოციალისტური დაწესებულებებით. მაგრამ, მიუხედავად ამისა, რუსული ენა ძირითადად ისეთივე დარჩა, როგორიც იყო ოქტომბრის გადატრიალებამდე.

რა შეიცვალა ამ პერიოდის მანძილზე რუსულ ენაში? შეიცვალა რამდენადმე რუსული ენის ლექსიკური შემადგენლობა. შეიცვალა იმ აზრით, რომ შეივსო ახალი სიტყვებისა და გამოთქმების მნიშვნელოვანი რაოდენობით, რომლებიც წარმოიშვნენ ახალი სოციალისტური წარმოების წარმოშობასთან, ახალი სახელმწიფოს, ახალი სოციალისტური კულტურის, ახალი საზოგადოებრიობის, მორალის გაჩენასთან დაკავშირებით, დასასრულ, ტექნიკისა და მეცნიერების ზრდასთან დაკავშირებით; შეიცვალა მთელი რიგი სიტყვებისა და გამოთქმების აზრი, რომლებმაც ახალი აზრობრივი მნიშვნელობა მიიღეს; ლექსიკიდან ამოვარდა გარკვეული რაოდენობის მოძველებული სიტყვები, რაც შეეხება რუსული ენის ძირითად ლექსიკურ ფონდს და გრამატიკულ წყობას, რომლებიც ენის საფუძველს შეადგენენ, ისინი კაპიტალისტური ბაზისის მოსპობის შემდეგ არათუ არ მოსპობილან და ენის ახალი ძირითადი ლექსიკური ფონდით და ახალი გრამატიკული წყობით არ შეცვლილან, არამედ, პირიქით, ისეთივე დარჩნენ, როგორც იყვნენ და რაიმე სერიოზული ცვლილება არ განუცდიათ. — დარჩნენ სწორედ როგორც თანამედროვე რუსული ენის საფუძველი.

შემდეგ, ზედნაშენს წარმოშობს ბაზისი, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ზედნაშენი მხოლოდ ბაზისს ასახავს, რომ იგი პასიური, ნეიტრალური, განურჩეველია თავისი ბაზისის ბედისადმი, კლასების ბედისადმი, წყობილების ხასიათისადმი. პირიქით, რაკი გაჩნდა, ზედნაშენი უდიდესი აქტიური ძალა ხდება, აქტიურად უწყობს ხელს თავის ბაზისს ჩამოყალიბდეს და განმტკიცდეს, ყოველ ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ დაეხმაროს ახალ წყობილებას ბოლო მოუღოს და მოსპოს ძველი ბაზისი და ძველი კლასები.

სხვანაირად არც შეიძლება. ბაზისი სწორედ იმისათვის ქმნის ზედნაშენს, რომ ზედნაშენი მას ემსახურებოდეს, რომ იგი აქტიურად ეხმარებოდეს მას ჩამოყალიბებასა და განმტკიცებაში, რომ იგი აქტიურად იბრძოდეს ძველი, დრომოჭმული ბაზისის და მისი ძველი ზედნაშენის ლიკვიდაციისათვის. საკმარისია ზედნაშენმა უარი თქვას თავის ამ სამსახურებრივ როლზე, საკმარისია ზედნაშენი

თავისი ბაზისის აქტიური დაცვის პოზიციიდან გადავიდეს მისდამი გულგრილი დამოკიდებულების პოზიციაზე. კლასებისადმი თანაბარი დამოკიდებულების პოზიციაზე. რომ მან თავისი თვისობრიობა დაკარგოს და ზედნაშენი აღარ იქნეს.

ენა ამ მხრივ ძირეულად განსხვავდება ზედნაშენისაგან. ენას წარმოშობს არა ესა თუ ის ბაზისი, ძველი ან ახალი ბაზისი ამა თუ იმ საზოგადოების შიგნით, არამედ საუკუნეთა მანძილზე საზოგადოების ისტორიისა და ბაზისების ისტორიის მთელი მსვლელობა. ენა შექმნილია არა ერთი რომელიმე კლასის, არამედ მთელი საზოგადოების, საზოგადოების ყველა კლასის მიერ, ასეულ თაობათა ძალღონით. იგი შექმნილია არა ერთი რომელიმე კლასის, არამედ მთელი საზოგადოების, საზოგადოების ყველა კლასის საჭიროების დასაკმაყოფილებლად. სწორედ ამიტომ იგი შექმნილია როგორც საზოგადოებისათვის ერთიანი და საზოგადოების ყველა წევრისათვის საერთო საყოველთაო-სახალხო ენა. ამის გამო ენის, როგორც ადამიანთა ურთიერთობის საშუალების, სამსახურებრივი როლი ის კი არ არის, რომ ერთ კლასს ემსახურებოდეს სხვა კლასების საზიანოდ, არამედ ის, რომ თანაბრად ემსახურებოდეს მთელ საზოგადოებას, საზოგადოების ყველა კლასს. სწორედ ამით აიხსნება, რომ ენას შეუძლია თანაბრად ემსახურებოდეს როგორც ძველ, მომაკვდავ წყობილებას, ისე ახალ, აღმავალ წყობილებას; როგორც ძველ ბაზისს, ისე ახალს, როგორც ექსპლოატატორებს, ისე ექსპლოატირებულთ.

არავისათვის საიდუმლოება არ არის ის ფაქტი, რომ რუსული ენა ისევე კარგად ემსახურებოდა რუსეთის კაპიტალიზმს და რუსულ ბურჟუაზიულ კულტურას ოქტომბრის გადატრიალებამდე, როგორც ახლა ემსახურება რუსი საზოგადოების სოციალისტურ წყობილებას და სოციალისტურ კულტურას.

იგივე უნდა ითქვას უკრაინულ, ბელორუსულ, უზბეკურ, ყაზახურ, ქართულ, სომხურ, ესტონურ, ლატვიურ, ლიტვურ, მოლდავურ, თათრულ, აზერბაიჯანულ, ბაშკირულ, თურქმენულ და საბჭოთა ერების სხვა ენებზე, რომლებიც ისევე კარგად ემსახურებოდნენ ამ ერების ძველ, ბურჟუაზიულ წყობილებას, როგორც ემსახურებიან ახალ, სოციალისტურ წყობილებას.

სხვანაირად არც შეიძლება. ენა სწორედ იმისათვის არსებობს, სწორედ იმისათვის არის შექმნილი, რომ ემსახურებოდეს მთელ საზოგადოებას, როგორც ადამიანთა ურთიერთობის იარაღი, რომ იგი საერთო იყოს საზოგადოების წევრებისათვის და ერთიანი — საზოგადოებისათვის, თანაბრად ემსახურებოდეს საზოგადოების წევ-

რებს მათი კლასობრივი მდგომარეობის მიუხედავად. საკმარისია ენა ასცდეს ამ საერთო-სახალხო პოზიციას, საკმარისია ენა დადგეს რომელიმე სოციალური ჯგუფისათვის უპირატესობის მინიჭებისა და მხარდაჭერის პოზიციაზე საზოგადოების სხვა სოციალური ჯგუფების საზიანოდ, რომ მან დაკარგოს თავისი თვისობრიობა, რომ იგი აღარ იყოს საზოგადოებაში ადამიანთა ურთიერთობის საშუალება, რომ იგი გადაიქცეს რომელიმე სოციალური ჯგუფის ჟარგონად, დაქვეითდეს და მოსპობის გზას დაადგეს.

ამ მხრივ ენა, რომელიც პრინციპულად განსხვავდება ზედნაშენისაგან, არ განსხვავდება წარმოების იარაღებისაგან. ვთქვათ, მანქანებისაგან, რომლებიც ისევე განურჩეველი არიან კლასებისადმი, როგორც ენა, და ერთნაირად ემსახურებიან კაპიტალისტურ წყობილებასაც და სოციალისტურსაც.

შემდეგ, ზედნაშენი არის პროდუქტი ერთი ეპოქისა, რომლის განმავლობაშიც ცოცხლობს და მოქმედებს ესა თუ ის ეკონომიური ბაზისი. ამიტომ ზედნაშენი დიდხანს არ ცოცხლობს, იგი ისპობა და ქრება ამ ბაზისის მოსპობასთან და გაქრობასთან ერთად.

ენა კი, პირიქით, პროდუქტია მთელი რიგი ეპოქებისა, რომელთა მანძილზე იგი ყალიბდება, მდიდრდება, ვითარდება, იხვეწება. ამიტომ ენა გაცილებით უფრო დიდხანს ცოცხლობს, ვიდრე რომელიმე ბაზისი და რომელიმე ზედნაშენი. სწორედ ამით აიხსნება, რომ არა მარტო ერთი ბაზისისა და მისი ზედნაშენის, არამედ რამდენიმე ბაზისისა და მათი შესაბამისი ზედნაშენების წარმოშობა და ლიკვიდაცია არ იწვევს ისტორიაში ამა თუ იმ ენის ლიკვიდაციას, მისი სტრუქტურის ლიკვიდაციას და ახალი ლექსიკური ფონდისა და ახალი გრამატიკული წყობის მქონე ახალი ენის წარმოშობას.

პუშკინის სიკვდილის შემდეგ ას წელზე მეტი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში რუსეთში მოისპო ფეოდალური წყობილება, კაპიტალისტური წყობილება და წარმოიშვა მესამე, სოციალისტური წყობილება. მაშასადამე, მოისპო ორი ბაზისი მათი ზედნაშენებიანად და წარმოიშვა ახალი, სოციალისტური ბაზისი მისი ახალი ზედნაშენით. მაგრამ, თუ ავიღებთ, მაგალითად, რუსულ ენას, ამ დიდი ხნის განმავლობაში მას რაიმე რღვევა არ განუცდია, და თანამედროვე რუსული ენა თავისი სტრუქტურის მხრივ ბევრით არაფრით განსხვავდება პუშკინის ენისაგან.

რა შეიცვალა ამ ხნის მანძილზე რუსულ ენაში? ამ ხნის მანძილზე სერიოზულად შეივსო რუსული ენის ლექსიკური შემადგენლობა; ლექსიკური შემადგენლობიდან ამოვარდა მრავალი მოძველე-

ბული სიტყვა; შეიცვალა ბევრი სიტყვის აზრობრივი მნიშვნელობა; გაუმჯობესდა ენის გრამატიკული წყობა. რაც შეეხება პუშკინის ენის სტრუქტურას მისი გრამატიკული წყობით და ძირითადი ლექსიკური ფონდით, იგი დარჩა მთელი თავისი არსით, როგორც თანამედროვე რუსული ენის საფუძველი.

და ეს სავსებით გასაგებია. მართლაც, რა საჭიროა, რომ ყოველი გადატრიალების შემდეგ ენის არსებული სტრუქტურა, მისი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი მოისპოს და ახლით შეიცვალოს, როგორც ეს ჩვეულებრივად ზედნაშენს მოსდის? ვის რათ უნდა, რომ „წყალს“, „მიწას“, „მთას“, „ტყეს“, „თევზს“, „კაცს“, „სიარულს“, „კეთებას“, „წარმოებას“, „ვაჭრობას“ და ა. შ. ეწოდებოდეს არა წყალი, მიწა, მთა და ა. შ., არამედ რაღაც სხვა? ვის რათ უნდა, რომ ენაში სიტყვების ცვლილება და წინადადებაში სიტყვების შეთანხმება ხდებოდეს არა არსებული გრამატიკის, არამედ სრულიად სხვა გრამატიკის მიხედვით? რას არგებს რევოლუციას ასეთი გადატრიალება ენაში? ისტორია საერთოდ რაიმე არსებითს ისე არ აკეთებს, თუ ეს მაინცდამაინც საჭირო არ არის. საკითხავია, რა საჭიროა ასეთი ენობრივი გადატრიალება, თუ დამტკიცებულია, რომ არსებული ენა თავისი სტრუქტურით ძირითადად სავსებით გამოსადეგია ახალი წყობის საჭიროების დასაკმაყოფილებლად? ძველი ზედნაშენის რამდენიმე წლის განმავლობაში მოსპობა და ახალი ზედნაშენით მისი შეცვლა შეიძლება და საჭიროც არის, რომ გასაქანი მიეცეს საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარებას, მაგრამ როგორ შეიძლება რამდენიმე წლის განმავლობაში მოსპო არსებული ენა და მის ნაცვლად შექმნა ახალი ენა ისე, რომ ანარქია არ შეიტანო საზოგადოებრივ ცხოვრებაში, საზოგადოების დაშლის საფრთხე არ შექმნა? დონკიხოტების მეტს ვის შეუძლია დაისახოს ასეთი ამოცანა?

დასასრულ, კიდევ ერთი ძირეული განსხვავება ზედნაშენსა და ენას შორის. ზედნაშენი უშუალოდ დაკავშირებული არ არის წარმოებასთან, ადამიანის საწარმოო საქმიანობასთან. იგი წარმოებასთან დაკავშირებულია მხოლოდ არაპირდაპირ, ეკონომიკის მეშვეობით, ბაზისის მეშვეობით. ამიტომ ზედნაშენი საწარმოო ძალთა განვითარების დონის ცვლილებებს ასახავს არა ერთბაშად და არა პირდაპირ, არამედ ბაზისის ცვლილებათა შემდეგ, ბაზისის ცვლილებებში წარმოების ცვლილებათა ასახვის მეშვეობით. ეს იმას ნიშნავს, რომ ზედნაშენის მოქმედების სფერო ვიწრო და შეზღუდულია.

ენა კი, პირიქით, უშუალოდ არის დაკავშირებული ადამიანის საწარმოო საქმიანობასთან, და არა მარტო საწარმოო საქმიანობასთან, არამედ ადამიანის ყოველ სხვა საქმიანობასთანაც მისი მუშაობის ყველა სფეროში წარმოებიდან ბაზისამდე, ბაზისიდან ზედნაშენამდე. ამიტომ ენა წარმოების ცვლილებებს ასახავს ერთბაშად და უშუალოდ, არ ელოდება ბაზისის ცვლილებებს. ამიტომ ენის, რომელიც ადამიანის საქმიანობის ყველა დარგს მოიცავს, მოქმედების სფერო გაცილებით უფრო ფართო და მრავალმხრივია, ვიდრე ზედნაშენის მოქმედების სფერო. უფრო მეტიც, იგი თითქმის უსაზღვროა.

უწინარეს ყოვლისა სწორედ ამით აიხსნება, რომ ენა, საკუთრივ მისი ლექსიკური შემადგენლობა, თითქმის განუწყვეტლივ იცვლება. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და ტრანსპორტის, ტექნიკისა და მეცნიერების განუწყვეტელი ზრდა ენისაგან მოითხოვს მისი ლექსიკის შევსებას ახალი სიტყვებითა და გამოთქმებით, რომლებიც საჭიროა მათი მუშაობისათვის. და ენა, უშუალოდ ასახავს რა ამ საჭიროებას, ავსებს თავის ლექსიკას ახალი სიტყვებით, სრულყოფს თავის გრამატიკულ წყობას.

ამრიგად:

ა) მარქსისტი ენას ბაზისის ზედნაშენად ვერ მიიჩნევს;

ბ) ენისა და ზედნაშენის ერთმანეთში არევა სერიოზული შეცდომაა.

კითხვა. სწორია თუ არა, რომ ენა მუდამ იყო და არის კლასობრივი, რომ საზოგადოებისათვის საერთო და ერთიანი არაკლასობრივი, საერთო-სახალხო ენა არ არსებობს?

პასუხი. არა, არ არის სწორი.

ძნელი არ არის იმის გაგება, რომ იმ საზოგადოებაში, სადაც კლასები არ არიან, ლაპარაკიც კი არ შეიძლება კლასობრივი ენის შესახებ. პირველყოფილმა-თემობრივმა გვაროვნულმა წყობილებამ არ იცოდა კლასები, მაშასადამე, იქ არც შეიძლებოდა ყოფილიყო კლასობრივი ენა, — იქ ენა იყო საერთო, ერთიანი მთელი კოლექტივისათვის. საწინააღმდეგო აზრი, რომ კლასად უნდა გეესმოდეს ადამიანთა ყოველგვარი კოლექტივი, მათ შორის პირველყოფილ-თემობრივი კოლექტივიც, საწინააღმდეგო აზრი კი არა, სიტყვების თამაშია, რომელიც უარყოფის ღირსიც არაა.

რაც შეეხება შემდგომ განვითარებას საგვარეულო ენებიდან ტომების ენებამდე. ტომების ენებიდან ხალხების ენებამდე და ხალხების ენებიდან ეროვნულ ენებამდე. — ყველგან განვითარების ყველა ეტაპზე ენა, როგორც საზოგადოებაში ადამიანთა ურთიერთობის საშუალება, საერთო და ერთიანი იყო საზოგადოებისათვის, იგი თანაბრად ემსახურებოდა საზოგადოების წევრებს დამოუკიდებლად მათი სოციალური მდგომარეობისა.

მე აქ მხედველობაში მაქვს არა მონობისა და შუა საუკუნეების პერიოდების იმპერიები, ვთქვათ, კიროსის და ალექსანდრე დიდის იმპერია, ან კეისრისა და კარლოს დიდის იმპერია, რომელთაც არა ჰქონიათ თავიანთი ეკონომიური ბაზა და წარმოადგენდნენ დროებითსა და არამყარ სამხედრო-ადმინისტრაციულ გაერთიანებებს. ამ იმპერიებს არათუ არა ჰქონიათ, არამედ არც შეიძლებოდა ჰქონოდათ იმპერიისათვის ერთიანი და იმპერიის ყველა წევრისათვის გასაგები ენა. ისინი წარმოადგენდნენ ტომებისა და ხალხების კონგლომერატს, რომლებიც ცხოვრობდნენ თავიანთი ცხოვრებით და ჰქონდათ თავიანთი ენები. მაშასადამე, მე მხედველობაში მაქვს არა ეს და მათი მსგავსი იმპერიები, არამედ ის ტომები და ხალხები, რომლებიც იმპერიის შემადგენლობაში შედიოდნენ, ჰქონდათ თავიანთი ეკონომიური ბაზა და ჰქონდათ თავიანთი დიდი ხნიდან ჩამოყალიბებული ენები. ისტორია გვეუბნება, რომ ამ ტომებისა და ხალხების ენები იყო არა კლასობრივი, არამედ მთელი ხალხის ენები, ტომებისა და ხალხებისათვის საერთო და მათთვის გასაგები ენები.

რა თქმა უნდა, ამასთან ერთად იყო დიალექტები, ადგილობრივი კილოკავები, მაგრამ მათზე ბატონობდა და მათ იმორჩილებდა ტომის თუ ხალხის ერთიანი და საერთო ენა.

შემდეგში, კაპიტალიზმის წარმოშობასთან, ფეოდალური დაქუცმაცების ლიკვიდაციასთან და ეროვნული ბაზრის წარმოქმნასთან ერთად ხალხები განვითარდნენ ერებად, ხოლო ხალხთა ენები ეროვნულ ენებად. ისტორია გვეუბნება, რომ ეროვნული ენები არის არა კლასობრივი, არამედ მთელი ხალხის ენები, ერების წევრებისათვის საერთო და ერებისათვის ერთიანი ენები.

ზემოთ ნათქვამი იყო, რომ ენა, როგორც საზოგადოებაში ადამიანთა ურთიერთობის საშუალება, თანაბრად უწევს სამსახურს საზოგადოების ყველა კლასს და ამ მხრივ ერთგვარ გულგრილობას იჩენს კლასებისადმი. მაგრამ ადამიანები, ცალკეული სოციალური ჯგუფები, კლასები სრულიადაც არ არიან გულგრილნი ენისადმი.

ისინი ცდილობენ გამოიყენონ ენა თავისი ინტერესებისათვის, თავს მოახვიონ მას თავისი განსაკუთრებული ლექსიკონი, თავისი განსაკუთრებული ტერმინები, თავისი განსაკუთრებული გამოთქმები. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან შეძლებული კლასების ზედაფენები, რომლებიც მოსწყდნენ ხალხს და სძულთ იგი: თავადაზნაურული არისტოკრატია, ბურჟუაზიის ზედა ფენები. იქმნება „კლასობრივი“ დიალექტები, ჟარგონები, სალონის „ენები“. ლიტერატურაში ხშირად ეს დიალექტები და ჟარგონები არასწორად კვალიფიცირებულია როგორც ენები: „თავადაზნაურული ენა“, „ბურჟუაზიული ენა“, — „პროლეტარული ენისათვის“, „გლეხური ენისათვის“ დასაპირდაპირებლად. ამ საფუძველზე, რა უცნაურიც უნდა იყოს ეს, ზოგი ჩვენი ამხანაგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ეროვნული ენა არის ფიქცია, რომ რეალურად არსებობენ მხოლოდ კლასობრივი ენები.

მე ვფიქრობ, რომ ამ დასკვნაზე უფრო შემცდარი არა არის რა. შეიძლება თუ არა ეს დიალექტები და ჟარგონები ენებად მივიჩნიოთ? რა თქმა უნდა, არ შეიძლება. არ შეიძლება. ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ ამ დიალექტებსა და ჟარგონებს არა აქვთ თავიანთი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი, — ისინი მათ სესხულობენ ეროვნული ენისაგან. მეორე, არ შეიძლება იმიტომ, რომ დიალექტებსა და ჟარგონებს აქვთ მოქმედების ვიწრო სფერო ამა თუ იმ კლასის ზედაფენის წევრთა შორის და სრულიად გამოუსადეგარი არიან, როგორც ადამიანთა ურთიერთობის საშუალება, მთელი საზოგადოებისათვის. მაშ რა აქვთ მათ? მათ აქვთ: ზოგიერთი სპეციფიკური სიტყვა, რომლებიც ასახავენ არისტოკრატიის ან ბურჟუაზიის ზედაფენების სპეციფიკურ გემოვნებას; გამოთქმებისა და ფრაზების ერთგვარი რაოდენობა, რომლებიც განირჩევიან სინატიფით, გალანტურობით და თავისუფალი არიან ეროვნული ენის „უხეში“ გამოთქმებისა და ფრაზებისაგან; ბოლოს, უცხო სიტყვათა ერთგვარი რაოდენობა. ყოველივე ძირითადი კი, ე. ი. სიტყვათა დიდი უმრავლესობა და გრამატიკული წყობა, აღებულია საერთო-სახალხო, ეროვნული ენიდან. მაშასადამე, დიალექტები და ჟარგონები წარმოადგენენ საერთო-სახალხო ეროვნული ენის განშტოებებს, რომელთაც არ გააჩნიათ რაიმე ენობრივი დამოუკიდებლობა და განწირული არიან უბადრუკი არსებობისათვის. იმის ფიქრი, რომ დიალექტებსა და ჟარგონებს შეუძლიათ განვითარდნენ დამოუკიდებელ ენებად, რომელთაც უნარი ექნებათ განდევნონ და

შეცვალონ ეროვნული ენა, — ნიშნავს ისტორიული პერსპექტივის დაკარგვას და მარქსიზმის პოზიციიდან გადახვევას.

იმოწმებენ მარქსს, მოჰყავთ ერთი ადგილი მისი სტატიიდან „წმიდა მაქსი“, სადაც ნათქვამია, რომ ბურჟუებს აქვთ „თავიანთი ენა“, რომ ეს ენა „ბურჟუაზიის პროდუქტია“, რომ იგი გამსჭვალულია მერკანტილიზმისა და ყიდვა-გაყიდვის სულისკვეთებით. ამ ციტატით ზოგიერთ ამხანაგს სურს დაამტკიცოს, მარქსი თითქოს იმ აზრისა იყო, რომ ენა „კლასობრივია“, რომ იგი უარყოფდა ერთიანი ეროვნული ენის არსებობას. ეს ამხანაგები რომ ობიექტურად მოჰკიდებოდნენ საქმეს, მათ უნდა მოეყვანათ სხვა ციტატიც იმავე სტატიიდან „წმიდა მაქსი“, სადაც მარქსი, ეხება რა ერთიანი ეროვნული ენის შექმნის გზების საკითხს, ლაპარაკობს „ერთიან ეროვნულ ენაში დიალექტების კონცენტრაციაზე, რაც განპირობებულია ეკონომიური და პოლიტიკური კონცენტრაციით“.

მაშასადამე, მარქსი აღიარებდა, რომ აუცილებელია **ერთიანი** ეროვნული ენა, როგორც უმაღლესი ფორმა, რომელსაც ემორჩილებიან დიალექტები, როგორც დაბალი ფორმები.

მაშ ამ შემთხვევაში რას წარმოადგენს ბურჟუების ენა, რომელიც, მარქსის სიტყვით, „ბურჟუაზიის პროდუქტია“. თვლიდა თუ არა მას მარქსი ისეთივე ენად, როგორიცაა ეროვნული ენა, რომელსაც თავისი განსაკუთრებული ენობრივი სტრუქტურა აქვს? შეეძლო თუ არა მას ბურჟუების ენა ასეთ ენად მიეჩნია? რა თქმა უნდა, არა! მარქსს უნდოდა მხოლოდ ეთქვა, რომ ბურჟუებმა ერთიანი ეროვნული ენა წაბილწეს თავიანთი ჩარჩული ლექსიკონით, რომ ბურჟუებს, მაშასადამე, აქვთ თავიანთი ჩარჩული ჟარგონი.

გამოდის, რომ ამ ამხანაგებმა დაამახინჯეს მარქსის პოზიცია. ხოლო დაამახინჯეს იგი იმიტომ, რომ მარქსს იმოწმებდნენ არა როგორც მარქსისტები, არამედ როგორც მედავითნეები, არ სწვდებოდნენ საქმის არსს.

იმოწმებენ ენგელსს, ბროშურიდან „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“ მოჰყავთ ენგელსის სიტყვები იმის შესახებ, რომ „...ინგლისის მუშათა კლასი დროთა განმავლობაში სულ სხვა ხალხად გადაიქცა, ვიდრე ინგლისის ბურჟუაზია“, რომ „მუშები ლაპარაკობენ სხვა დიალექტით, მათ აქვთ სხვა იდეები და წარმოდგენები, სხვა ზნე-ჩვეულება და ზნეობრივი პრინციპები, სხვა რელიგია და პოლიტიკა, ვიდრე ბურჟუაზიას“. ამ ციტატის საფუძველზე ზოგიერთ ამხანაგს გამოაქვს დასკვნა, რომ ენგელსი უარყოფდა საერთო-

სახალხო. ეროვნული ენის აუცილებლობას, რომ იგი, მაშასადამე, იმ აზრისა იყო, რომ ენა „კლასობრივია“. მართალია, ენგელსი აქ ლაპარაკობს არა ენის, არამედ დიალექტის შესახებ, სავსებით ესმის რა, რომ დიალექტი, როგორც ეროვნული ენის განშტოება, ვერ შეცვლის ეროვნულ ენას. მაგრამ ეს ამხანაგები, ჩანს, დიდი თანაგრძნობით როდი ეკიდებიან ენასა და დიალექტს შორის განსხვავების არსებობას...

ცხადია, რომ ციტატი უადგილოდ არის მოყვანილი, რადგან ენგელსი აქ ლაპარაკობს არა „კლასობრივ ენებზე“, არამედ უმთავრესად კლასობრივ იდეებზე, წარმოდგენებზე, ზნე-ჩვეულებაზე, ზნეობრივ პრინციპებზე, რელიგიაზე, პოლიტიკაზე. სავსებით სწორია, რომ ბურჟუებსა და პროლეტარებს პირდაპირ საწინააღმდეგო იდეები, წარმოდგენები, ზნე-ჩვეულება, ზნეობრივი პრინციპები, რელიგია და პოლიტიკა აქვთ. მაგრამ რა შუაშია აქ ეროვნული ენა, ან ენის „კლასობრიობა“? განა საზოგადოებაში კლასობრივ წინააღმდეგობათა არსებობა შეიძლება საბუთი იყოს ენის „კლასობრიობის“ სასარგებლოდ, ან ერთიანი ეროვნული ენის აუცილებლობის წინააღმდეგ? მარქსიზმი ამბობს, რომ ენის ერთობა ერის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანია, ამასთან კარგად იცის, რომ ერის შიგნით არის კლასობრივი წინააღმდეგობანი. აღიარებენ თუ არა მოხსენიებული ამხანაგები ამ მარქსისტულ თეზისს?

იმოწმებენ ლაფარგს, მიუთითებენ იმაზე, რომ ლაფარგი თავის ბროშურაში „ენა და რევოლუცია“ აღიარებს ენის „კლასობრიობას“, რომ იგი თითქოს უარყოფს საერთო-სახალხო, ეროვნული ენის აუცილებლობას. ეს მართალი არ არის. ლაფარგი მართლაც ლაპარაკობს „თავადაზნაურული“ ანუ „არისტოკრატიული ენის“ შესახებ და საზოგადოების სხვადასხვა ფენების „ჟარგონების“ შესახებ. მაგრამ ამ ამხანაგებს ავიწყდებათ, რომ ლაფარგი, რომელსაც არ აინტერესებს ენისა და ჟარგონის განსხვავების საკითხი და დიალექტებს ხან „ხელოვნურ მეტყველებას“ უწოდებს, ხან „ჟარგონს“,— თავის ბროშურაში გარკვეულად აცხადებს, რომ „ხელოვნური მეტყველება, რომელიც არისტოკრატიას განასხვავებს... გამოეყო საერთო-სახალხო ენას, რომელზეც ლაპარაკობდნენ ბურჟუებიც, ხელოსნებიც, ქალაქი და სოფელი“.

მაშასადამე, ლაფარგი აღიარებს საერთო-სახალხო ენის არსებობას და აუცილებლობას, ამასთან ლაფარგს სავსებით ესმის „არისტოკრატიული ენისა“ და სხვა დიალექტებისა და ჟარგონების

დაქვემდებარებული ხასიათი და დამოკიდებულება საერთო-სახალხო ენისაგან.

გამოდის, რომ ლაფარგის დამოწმება მიზანს ვერ ხვდება.

იმოწმებენ იმას, რომ ინგლისში ერთ დროს ინგლისელი ფეოდალები „საუკუნეთა განმავლობაში“ ლაპარაკობდნენ ფრანგულ ენაზე. მაშინ როცა ინგლისელი ხალხი ლაპარაკობდა ინგლისურ ენაზე, რომ ეს გარემოება თითქოს საბუთია ენის „კლასობრიობის“ სასარგებლოდ და საერთო-სახალხო ენის აუცილებლობის წინააღმდეგ. მაგრამ ეს საბუთი კი არა, რაღაც ანეგდოტია. ჯერ-ერთი, მაშინ ფრანგულ ენაზე ლაპარაკობდა არა ყველა ფეოდალი, არამედ ინგლისელ ფეოდალთა უმნიშვნელო ზედაფენა მეფის კარზე და სა-გრაფოებში. მეორე, ისინი ლაპარაკობდნენ არა რაღაც „კლასობ-რივ ენაზე“, არამედ ჩვეულებრივ საერთო-სახალხო ფრანგულ ენაზე. მესამე, როგორც ცნობილია, ფრანგული ენის ეს სალაღობოდ ხმა-რება შემდეგ უკვალოდ გაქრა და ადგილი დაუთმო საერთო-სახალხო ინგლისურ ენას. ხომ არ ფიქრობენ ეს ამხანაგები, რომ ინგლისელი ფეოდალები და ინგლისელი ხალხი „საუკუნეთა განმავლობაში“ ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ თარჯიმნების საშუალებით, რომ ინ-გლისელი ფეოდალები არ ხმარობდნენ ინგლისურ ენას, რომ მაშინ საერთო-სახალხო ინგლისური ენა არ არსებობდა, რომ ფრანგული ენა ინგლისში მაშინ წარმოადგენდა რაიმე უფრო მეტს, ვიდრე სალონის ენაა, რომელიც ინგლისის არისტოკრატიის ზედაფენის მხოლოდ ვიწრო წრეში იხმარებოდა? როგორ შეიძლება ასეთი ანეგდოტური „საბუთების“ საფუძველზე საერთო-სახალხო ენის არ-სებობისა და აუცილებლობის უარყოფა?

რუსი არისტოკრატებიც ერთ დროს სალაღობოდ ხმარობდნენ ფრანგულ ენას მეფის კარზე და სალონებში. მათ იმით მოჰქონდათ თავი, რუსულად რომ ვლაპარაკობთ, ფრანგულად ვუკიდებთ ენას. რუსულად ლაპარაკი მხოლოდ ფრანგული აქცენტით შეგვიძლიაო. განა ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთში მაშინ არ იყო საერთო-სახალხო რუსული ენა. რომ საერთო-სახალხო ენა მაშინ ფიქცია იყო, ხოლო „კლასობრივი ენები“ — რეალობა?

ჩვენს ამხანაგებს აქ სულ ცოტა, ორი შეცდომა მოსდით.

პირველი შეცდომა ის არის, რომ ისინი ერთმანეთში ურევენ ენასა და ზედნაშენს. ისინი ფიქრობენ, თუ ზედნაშენს კლასობ-რივი ხასიათი აქვს, ენაც საერთო-სახალხო კი არა, კლასობრივი უნდა იყოსო. მაგრამ ზემოთ უკვე ვთქვი, რომ ენა და ზედნაშენი

ორი სხვადასხვა ცნებაა, რომ მარქსისტი მათ ერთმანეთში არ უნდა ურევდეს.

მეორე შეცდომა ის არის, რომ ამ ამხანაგებს ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ინტერესთა წინააღმდეგობა, მათი მძაფრი კლასობრივი ბრძოლა მიაჩნიათ საზოგადოების დაშლად, მტრულ კლასებს შორის ყოველგვარი კავშირის გაწყვეტად. ისინი ფიქრობენ, რომ რამდენადაც საზოგადოება დაიშალა და აღარ არის ერთიანი საზოგადოება, არამედ არიან მხოლოდ კლასები, საჭირო არ არის საზოგადოებისათვის ერთიანი ენაც, საჭირო არ არ არის ეროვნული ენა. რაღა რჩება, თუ საზოგადოება დაიშალა და აღარ არის საერთო-სახალხო, ეროვნული ენა? რჩებიან კლასები და „კლასობრივი ენები". გასაგებია, რომ თვითეულ „კლასობრივ ენას" ექნება თავისი „კლასობრივი" გრამატიკა, — „პროლეტარული" გრამატიკა, „ბურჟუაზიული" გრამატიკა. მართალია, ასეთი გრამატიკები ბუნებაში არ არსებობს, მაგრამ ეს არ აფიქრებს ამ ამხანაგებს: მათ სწამთ, რომ ასეთი გრამატიკები გაჩნდება.

ჩვენში ერთ დროს იყვნენ „მარქსისტები", რომლებიც ამტკიცებდნენ, ჩვენს ქვეყანაში ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ დარჩენილი რკინიგზები ბურჟუაზიული რკინიგზებია და ჩვენ, მარქსისტებს, არ შეგვფერის ვისარგებლოთ ამ რკინიგზებით, ისინი უნდა ავუაროთ და ახალი, „პროლეტარული" რკინიგზები გავიყვანოთო. ამისათვის მათ „ტროგლოდიტები" დაარქვეს...

გასაგებია, რომ საზოგადოებაზე, კლასებზე, ენაზე ასეთ პრიმიტიულ-ანარქიულ შეხედულებას მარქსიზმთან საერთო არა აქვს რა. მაგრამ იგი უთუოდ არსებობს და კვლავ ცოცხლობს ზოგიერთი ჩვენი თავგზააბნეული ამხანაგის გონებაში.

რა თქმა უნდა, მართალი არ არის, რომ მძაფრი კლასობრივი ბრძოლის არსებობის გამო საზოგადოება თითქოს დაიშალა კლასებად, რომლებიც ერთმანეთთან ეკონომიურად დაკავშირებული აღარ არიან ერთ საზოგადოებაში. პირიქით, სანამ კაპიტალიზმი არსებობს, ბურჟუები და პროლეტარები დაკავშირებული იქნებიან ერთმანეთთან მთელი ეკონომიკით, როგორც ერთიანი კაპიტალისტური საზოგადოების ნაწილები. ბურჟუები ვერ იცხოვრებენ და ვერ გამდიდრდებიან თუ თავიანთ განკარგულებაში არ ეყოლათ დაქირავებული მუშები; პროლეტარები ვერ იარსებებენ, თუ კაპიტალისტებს არ მიექირავნენ. მათ შორის ყოველგვარი ეკონომიური ურთიერთობის გაწყვეტა ნიშნავს ყოველგვარი წარმოების შეწყვეტას, ხოლო ყოველგვარი წარმოების შეწყვეტა იწვევს საზოგადოების

დაღუპვას, თვით კლასების დაღუპვას. გასაგებია, რომ არც ერთი კლასი არ მოისურვებს თავის მოსპობას. ამიტომ კლასობრივმა ბრძოლამ, რარიგ მწვავეც უნდა იყოს იგი, არ შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოების დაშლა. მხოლოდ უმეცრებას მარქსიზმის საკითხებში და ენის ბუნების სრულ გაუგებლობას შეეძლო ეკარნახნა ჩვენი ზოგიერთი ამხანაგისათვის ზღაპარი საზოგადოების დაშლის შესახებ, „კლასობრივ“ ენათა შესახებ, „კლასობრივ“ გრამატიკათა შესახებ.

იმოწმებენ, შემდეგ, ლენინს და მოგვაგონებენ, რომ ლენინი აღიარებდა კაპიტალიზმის დროს ორი კულტურის, ბურჟუაზიული და პროლეტარული კულტურის, არსებობას, რომ კაპიტალიზმის დროს ეროვნული კულტურის ლოზუნგი ნაციონალისტური ლოზუნგია. ყოველივე ეს სწორია და ლენინი აქ აბსოლუტურად მართალია. მაგრამ რა შუაშია აქ ენის „კლასობრიობა“? კაპიტალიზმის დროს ორი კულტურის არსებობის შესახებ ლენინის სიტყვებს რომ იმოწმებენ, ამ ამხანაგებს, როგორც ჩანს, სურთ ჩააგონონ მკითხველს, რომ საზოგადოებაში ორი კულტურის, ბურჟუაზიული და პროლეტარული კულტურის, არსებობა ნიშნავს, რომ ენაც ორი უნდა იყოს, რადგან ენა დაკავშირებულია კულტურასთან. — მაშასადამე, ლენინი ერთიანი ეროვნული ენის აუცილებლობას უარყოფს, მაშასადამე, ლენინი იმ აზრისაა, რომ ენები „კლასობრივიაო“. ამ ამხანაგების შეცდომა აქ ის არის, რომ ისინი ენას აიგივებენ კულტურასთან, ერთმანეთში ურევენ მათ. ამავე დროს კი კულტურა და ენა სულ სხვადასხვა რამეა. კულტურა შეიძლება ბურჟუაზიულიც იყოს და სოციალისტურიც. ენა კი, როგორც ურთიერთობის საშუალება, ყოველთვის საერთო-სახალხო ენაა და შეუძლია ბურჟუაზიულ კულტურასაც ემსახურებოდეს და სოციალისტურსაც. განა ფაქტი არ არის, რომ რუსული, უკრაინული, უზბეკური ენები ამჟამად ისევე კარგად ემსახურებიან ამ ერების სოციალისტურ კულტურას, როგორც ოქტომბრის გადატრიალებამდე მათს ბურჟუაზიულ კულტურებს ემსახურებოდნენ? მაშასადამე, ეს ამხანაგები ძალიან ცდებიან, როცა ამტკიცებენ, რომ ორი სხვადასხვა კულტურის არსებობა იწვევს ორი სხვადასხვა ენის შექმნას და ერთიანი ენის აუცილებლობის უარყოფას.

ლაპარაკობდა რა ორ კულტურაზე, ლენინი ეყრდნობოდა სწორედ იმ დებულებას, რომ ორი კულტურის არსებობა არ შეიძლება იწვევდეს ერთიანი ენის უარყოფას და ორი ენის შექმნას, რომ ენა ერთიანი უნდა იყოს. როცა ბუნდელებმა ლენინს ბრალი დასდეს,

ეროვნული ენის აუცილებლობას უარყოფს და კულტურა „უეროვნებო" მოვლენად მიაჩნიათ, ლენინმა, როგორც ცნობილია, ამის წინააღმდეგ სასტიკი პროტესტი გამოთქვა და განაცხადა, რომ იგი იბრძვის ბურჟუაზიული კულტურის წინააღმდეგ და არა ეროვნული ენის წინააღმდეგ, რომლის აუცილებლობაც მას უდავოდ მიაჩნია. უცნაურია, რომ ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი ბუნდელთა კვალს გაჰყვა.

რაც შეეხება ერთიან ენას, რომლის აუცილებლობასაც ლენინი თითქოს უარყოფს, საჭიროა მოვისმინოთ ლენინის შემდეგი სიტყვები:

„ენა ადამიანთა ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა: ენის ერთიანობა და მისი დაუბრკოლებელი განვითარება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა ნამდვილად თავისუფალი და ფართო, თანამედროვე კაპიტალიზმის შესაბამისი, სავაჭრო ბრუნვისა, ყველა ცალკეულ კლასად მოსახლეობის თავისუფალი და ფართო დაჯგუფებისა".

გამოდის, რომ პატივცემულმა ამხანაგებმა დაამახინჯეს ლენინის შეხედულებანი.

იმოწმებენ, დასასრულ, სტალინს. მოჰყავთ სტალინის ციტატი იმის შესახებ, რომ „ბურჟუაზია და მისი ნაციონალისტური პარტიები ამ პერიოდში ასეთი ერების მთავარი ხელმძღვანელი ძალა იყვნენ და არიან". ყოველივე ეს სწორია. ბურჟუაზია და მისი ნაციონალისტური პარტია მართლაც ხელმძღვანელობენ ბურჟუაზიულ კულტურას, ისევე, როგორც პროლეტარიატი და მისი ინტერნაციონალისტური პარტია ხელმძღვანელობენ პროლეტარულ კულტურას. მაგრამ რა შუაშია აქ ენის „კლასობრიობა"? განა ამ ამხანაგებმა არ იციან, რომ ეროვნული ენა ეროვნული კულტურის ფორმაა, რომ ეროვნულ ენას შეუძლია ბურჟუაზიულ კულტურასაც ემსახუროს და სოციალისტურსაც? ნუთუ ჩვენი ამხანაგები არ იცნობენ მარქსისტების ცნობილ ფორმულას იმის შესახებ, რომ ახლანდელი რუსული, უკრაინული, ბელორუსული და სხვა კულტურები სოციალისტურია შინაარსით და ეროვნულია ფორმით, ე. ი. ენით? ეთანხმებიან თუ არა ისინი ამ მარქსისტულ ფორმულას?

ჩვენი ამხანაგების შეცდომა აქ ის არის, რომ ისინი ვერ ხედავენ განსხვავებას კულტურასა და ენას შორის და არ ესმით, რომ კულტურა თავისი შინაარსით იცვლება საზოგადოების განვითარების ყოველ ახალ პერიოდში, მაშინ როცა ენა ძირითადად იმავე ენად რჩება რამდენიმე პერიოდის განმავლობაში და თანაბრად ემსახურება როგორც ახალ კულტურას, ისე ძველს.

ამრიგად:

ა) ენა, როგორც ურთიერთობის საშუალება, ყოველთვის იყო და არის საზოგადოებისათვის ერთიანი და მის წევრთათვის საერთო ენა;

ბ) დიალექტებისა და ჟარგონების არსებობა კი არ უარყოფს, არამედ ადასტურებს საერთო-სახალხო ენის არსებობას, რომლის განშტოებებსაც ისინი წარმოადგენენ და რომელსაც ექვემდებარებიან;

გ) ფორმულა ენის „კლასობრიობის" შესახებ მცდარი, არამარქსისტული ფორმულაა.

კითხვა. რა არის ენის დამახასიათებელი ნიშნები?

პასუხი. ენა ეკუთვნის იმ საზოგადოებრივ მოვლენათა რიცხვს, რომლებიც საზოგადოების არსებობის მთელი ხნის განმავლობაში მოქმედებენ. იგი წარმოიშვება და ვითარდება საზოგადოების წარმოშობასა და განვითარებასთან ერთად, იგი კვდება საზოგადოების სიკვდილთან ერთად. საზოგადოების გარეშე ენა არ არსებობს. ამიტომ ენა და მისი განვითარების კანონები შეგვიძლია გავიგოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას შევისწავლით განუყრელ კავშირში იმ საზოგადოების ისტორიასთან, იმ ხალხის ისტორიასთან, რომელსაც შესასწავლი ენა ეკუთვნის და რომელიც ამ ენის შემოქმედი და მატარებელია.

ენა არის საშუალება, იარაღი, რომლის შემწეობითაც ადამიანებს ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან, უზიარებენ ერთმანეთს აზრებს და აღწევენ ურთიერთგაგებას. რაკი უშუალოდ დაკავშირებულია აზროვნებასთან, ენა სიტყვებით და წინადადებაში სიტყვათა შეკავშირებით აღნუსხავს და აღბეჭდავს აზროვნების მუშაობის შედეგს, ადამიანის შემეცნებითი მუშაობის წარმატებას და, ამრიგად, შესაძლებელს ხდის აზრთა გაცვლას ადამიანთა საზოგადოებაში.

აზრთა გაცვლა მუდმივი და სასიცოცხლო საჭიროებაა, რადგან უამისოდ შეუძლებელია მოეწყოს ადამიანთა ერთად მოქმედება ბუნების ძალებთან ბრძოლაში, საჭირო მატერიალური დოვლათის წარმოებისათვის ბრძოლაში, შეუძლებელია მიღწეულ იქნას წარმატება საზოგადოების საწარმოო საქმიანობაში. — მაშასადამე, შეუძლებელია საზოგადოებრივი წარმოების არსებობაც. მაშასადამე, თუ არ არსებობს საზოგადოებისათვის გასაგები და ყველა მისი წევრისათვის საერთო ენა, საზოგადოება წყვეტს წარმოებას, ირღვევა და აღარ არსებობს, როგორც საზოგადოება. ამ გაგებით ენა, რო-

მელიც ურთიერთობის იარაღია, ამასთანავე საზოგადოების ბრძოლისა და განვითარების იარაღს წარმოადგენს.

როგორც ცნობილია, ყველა სიტყვა, რაც ენაში მოიპოვება, ერთად შეადგენს ენის ეგრეთწოდებულ ლექსიკურ შემადგენლობას. ენის ლექსიკურ შემადგენლობაში მთავარია ძირითადი ლექსიკური ფონდი, რომელშიც შედის ყველა ძირეული სიტყვა, როგორც მისი ბირთვი. იგი გაცილებით უფრო ნაკლებ ვრცელია, ვიდრე ენის ლექსიკური შემადგენლობა, მაგრამ ცოცხლობს ძალიან დიდხანს, საუკუნეთა განმავლობაში და არის ენის ბაზა ახალი სიტყვების წარმოსაქმნელად. ლექსიკური შემადგენლობა ასახავს ენის მდგომარეობის სურათს: რაც უფრო მდიდარი და მრავალფეროვანია ლექსიკური შემადგენლობა, მით უფრო მდიდარი და განვითარებულია ენა.

მაგრამ ლექსიკური შემადგენლობა, თავისთავად აღებული, როდი შეადგენს ენას, — იგი უფრო ენის საშენ მასალას წარმოადგენს. ისე როგორც სამშენებლო საქმეში საშენი მასალა შენობა არ არის, თუმცა უიმისოდ შენობის აგება შეუძლებელია, ენის ლექსიკური შემადგენლობაც არ არის თვით ენა, თუმცა უიმისოდ წარმოუდგენელია რაიმე ენა. მაგრამ ენის ლექსიკურ შემადგენლობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, როცა იგი გადადის ენის გრამატიკის განკარგულებაში, რომელიც განსაზღვრავს სიტყვათა ცვლილების წესებს, წინადადებად სიტყვათა შეკავშირების წესებს და, ამრიგად, ენას მწყობრ, გააზრებულ ხასიათს ანიჭებს. გრამატიკა (მორფოლოგია, სინტაქსი) სიტყვათა ცვლილებისა და წინადადებაში სიტყვათა შეთანხმების წესების კრებულია. მაშასადამე, სწორედ გრამატიკის წყალობით ენას შესაძლებლობა ეძლევა ადამიანის აზრი ჩამოაყალიბოს მატერიალურ ენობრივ გარსში.

გრამატიკის დამახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ იგი გვაძლევს სიტყვათა ცვალებადობის წესებს, მხედველობაში აქვს რა არა კონკრეტული სიტყვები, არამედ საერთოდ სიტყვები, რომლებიც მოკლებული არიან ყოველივე კონკრეტულობას; გრამატიკა გვაძლევს წესებს წინადადებათა შესადგენად, მხედველობაში აქვს რა არა ესა თუ ის კონკრეტული წინადადება, ვთქვათ, კონკრეტული ქვემდებარე, კონკრეტული შემასმენელი და ა. შ., არამედ საერთოდ ყოველგვარი წინადადება, მიუხედავად იმისა, თუ როგორია ამა თუ იმ წინადადების კონკრეტული ფორმა. მაშასადამე, აბსტრაქციას ახდენს რა კერძოსა და კონკრეტულისაგან, როგორც სიტყვებში, ისე წინადადებებში, გრამატიკა იღებს იმ ზოგადს, რაც საფუძვლად უძევს სიტყვათა ცვალებადობას და წინადადებებში

სიტყვათა შეკავშირებას, და მისგან ქმნის გრამატიკულ წესებს, გრამატიკულ კანონებს. გრამატიკა ადამიანის აზროვნების ხანგრძლივი, აბსტრაქციის მომხდენი მუშაობის შედეგია, აზროვნების უდიდეს წარმატებათა მაჩვენებელია.

ამ მხრივ გრამატიკა მოგვაგონებს გეომეტრიას, რომელიც თავის კანონებს იძლევა ისე, რომ აბსტრაქციას ახდენს კონკრეტული საგნებისაგან, განიხილავს საგნებს, როგორც კონკრეტულობას მოკლებულ სხეულებს, და მათ შორის ურთიერთობას განსაზღვრავს არა როგორც ამა და ამ კონკრეტული საგნების კონკრეტულ ურთიერთობას, არამედ როგორც საერთოდ სხეულთა, ყოველგვარ კონკრეტულობას მოკლებულ სხეულთა ურთიერთობას.

ზედნაშენისაგან განსხვავებით, რომელიც წარმოებასთან დაკავშირებულია არა პირდაპირ, არამედ ეკონომიკის მეშვეობით, ენა უშუალოდ დაკავშირებულია ადამიანის საწარმოო საქმიანობასთან ისევე. როგორც ყოველ სხვა საქმიანობასთან მისი მუშაობის უკლებლივ ყველა სფეროში. ამიტომ ენის ლექსიკური შემადგენლობა, როგორც ყველაზე ცვალებადი, თითქმის განუწყვეტლივ იცვლება. ამასთან ენას. ზედნაშენისაგან განსხვავებით, არ უხდება ბაზისის ლიკვიდაციის ლოდინი, მას თავის ლექსიკურ შემადგენლობაში ცვლილებანი შეაქვს ბაზისის ლიკვიდაციამდე და იმის მიუხედავად, თუ როგორია ბაზისის მდგომარეობა.

მაგრამ ენის ლექსიკური შემადგენლობა იცვლება არა როგორც ზედნაშენი, არა ძველის გაუქმებისა და ახლის აშენების გზით, არამედ არსებული ლექსიკის იმ ახალი სიტყვებით შევსების გზით, რომლებიც წარმოიშენენ სოციალური წყობილების შეცვლასთან, წარმოების განვითარებასთან, კულტურის, მეცნიერებისა და ა. შ. განვითარებასთან დაკავშირებით. ამასთან, მიუხედავად იმისა. რომ ენის ლექსიკურ შემადგენლობას ჩვეულებრივად გარკვეული რაოდენობით აკლდება მოძველებული სიტყვები, მას ემატება გაცილებით მეტი ახალი სიტყვა. რაც შეეხება ძირითად ლექსიკურ ფონდს, იგი ძირითადად რჩება და ენა მას იყენებს, როგორც თავისი ლექსიკური შემადგენლობის საფუძველს.

ეს გასაგებიცაა. სულაც არ არის საჭირო მოისპოს ძირითადი ლექსიკური ფონდი, როცა იგი შეიძლება წარმატებით იქნას გამოყენებული მთელი რიგი ისტორიული პერიოდების მანძილზე, თუ აღარას ვიტყვით იმაზე. რომ საუკუნეთა განმავლობაში დაგროვებული ძირითადი ლექსიკური ფონდის მოსპობას, რაკი მოკლე ხნის განმავლობაში შეუძლებელია ახალი ძირითადი ლექსიკური ფონდის

შექმნა, მოჰყვებოდა ენის დადამბლავება, ადამიანთა ურთიერთობის საქმის სრული მოშლა.

ენის გრამატიკული წყობა კიდევ უფრო ნელა იცვლება, ვიდრე მისი ძირითადი ლექსიკური ფონდი. ეპოქათა განმავლობაში შემუშავებული გრამატიკული წყობა, რომელიც ენას შეუსისხლხორცდა, კიდევ უფრო ნელა იცვლება, ვიდრე ძირითადი ლექსიკური ფონდი. იგი, რა თქმა უნდა, იცვლება დროთა ვითარებაში, იგი უფრო სრულყოფილი ხდება, აუმჯობესებს და აზუსტებს თავის წესებს, იძენს ახალ წესებს, მაგრამ გრამატიკული წყობის საფუძვლები რჩება მეტად დიდი ხნის განმავლობაში, რადგან ამ საფუძვლებს, როგორც ისტორია გვიჩვენებს, შეუძლიათ წარმატებით ემსახურონ საზოგადოებას მთელი რიგი ეპოქების მანძილზე.

ამრიგად, ენის გრამატიკული წყობა და მისი ძირითადი ლექსიკური ფონდი შეადგენს ენის საფუძველს, მისი სპეციფიკის არსს.

ისტორია გვიჩვენებს, რომ ენა დიდ გამძლეობას იჩენს და კოლოსალურ წინააღმდეგობას უწევს ძალით ასიმილაციას. ზოგიერთი ისტორიკოსი, იმის მაგივრად, რომ ახსნას ეს მოვლენა, გაკვირვებას სჯერდება. მაგრამ გაკვირვებისათვის აქ არავითარი საფუძველი არ არსებობს. ენის გამძლეობა აიხსნება მისი გრამატიკული წყობისა და ძირითადი ლექსიკური ფონდის გამძლეობით. თურქი ასიმილატორები ასეული წლების მანძილზე ცდილობდნენ დაემახინჯებინათ, დაერღვიათ და მოესპოთ ბალკანელი ხალხების ენები. ამ ხნის განმავლობაში ბალკანური ენების ლექსიკურმა შემადგენლობამ სერიოზული ცვლილებანი განიცადა. შეთვისებულ იქნა საკმაოდ ბევრი თურქული სიტყვა და გამოთქმა, იყო „დაახლოებაც“ და „გათიშვაც“, მაგრამ ბალკანურმა ენებმა ამას გაუძლეს და გადარჩნენ. რატომ? იმიტომ, რომ ამ ენების გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი ძირითადად დარჩნენ.

ყოველივე აქედან გამომდინარეობს, რომ არ შეიძლება ენა, მისი სტრუქტურა განვიხილოთ როგორც ერთი რომელიმე ეპოქის პროდუქტი. ენის სტრუქტურა, მისი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი მთელი რიგი ეპოქების პროდუქტია.

უნდა ვიფიქროთ, რომ თანამედროვე ენის ელემენტები შეიქმნა ჯერ კიდევ უძველეს დროში, მონობის ეპოქაზე ადრე. ეს იყო არაართული ენა, რომელსაც მეტად მცირე ლექსიკური ფონდი გააჩნდა, მაგრამ ჰქონდა თავისი გრამატიკული წყობა, მართალია, პრიმიტიული, მაგრამ მაინც გრამატიკული წყობა.

წარმოების შემდგომმა განვითარებამ, კლასების წარმოშობამ,

დამწერლობის წარმოშობამ, სახელმწიფოს ჩასახვამ, რომელსაც მართვისათვის ესაჭიროებოდა ცოტად თუ ბევრად მოწესრიგებული მიწერ-მოწერა, ვაჭრობის განვითარებამ, რომელსაც კიდევ უფრო ესაჭიროებოდა მოწესრიგებული მიწერ-მოწერა, საბეჭდავი დაზგის გაჩენამ, ლიტერატურის განვითარებამ — ყოველივე ამან დიდი ცვლილებანი შეიტანა ენის განვითარებაში. ამ ხნის განმავლობაში ტომები და ეროვნებანი ქუცმაცდებოდნენ და ითიშებოდნენ, ხდებოდა მათი ერთმანეთში შერევა და შეჯვარედინება. შემდეგ კი გაჩდნენ ეროვნული ენები და სახელმწიფოები, მოხდა რევოლუციური გადატრიალებანი, ძველი საზოგადოებრივი წყობილებანი ახლებით შეიცვალა. ყოველივე ამან უფრო მეტი ცვლილებანი შეიტანა ენასა და მის განვითარებაში.

მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა, თუ ვიფიქრებდით, რომ ენის განვითარება ისევე ხდებოდა, როგორც ზედნაშენის განვითარება: არსებულის მოსპობისა და ახლის შექმნის გზით. ნამდვილად ენის განვითარება ხდებოდა არა არსებული ენის მოსპობისა და ახლის შექმნის გზით, არამედ არსებული ენის ძირითადი ელემენტების გაშლისა და სრულყოფის გზით. ამასთან ენის ერთი თვისობრიობიდან მეორე თვისობრიობაში გადასვლა ხდებოდა არა აფეთქების გზით, არა ძველის ერთბაშად მოსპობისა და ახლის შექმნის გზით, არამედ ენის ახალი თვისობრიობის, ახალი სტრუქტურის ელემენტების თანდათანობითი და ხანგრძლივი დაგროვების გზით, ძველი თვისობრიობის ელემენტების თანდათანობით კვდომის გზით.

ამბობენ, რომ ენის სტადიური განვითარების თეორია მარქსისტული თეორიაა, რადგან მას აუცილებლად მიაჩნია უეცარი აფეთქებანი, როგორც პირობა ენის გადასვლისა ძველი თვისობრიობიდან ახალში. ეს, რა თქმა უნდა, სწორი არ არის, რადგან ძნელია რაიმე მარქსისტული ვიპოვოთ ამ თეორიაში. და თუ სტადიურობის თეორია ნამდვილად აღიარებს უეცარ აფეთქებებს ენის განვითარების ისტორიაში, მით უარესი მისთვის. მარქსიზმი არ ცნობს უეცარ აფეთქებებს ენის განვითარებაში, არსებული ენის უეცარ სიკვდილს და ახალი ენის უეცარ შექმნას. ლაფარგი მართალი არ იყო, როცა ლაპარაკობდა „უეცარ ენობრივ რევოლუციაზე, რომელიც მოხდა 1789 და 1794 წლებს შუა“ საფრანგეთში (იხ. ლაფარგის ბროშურა „ენა და რევოლუცია“). არავითარი ენობრივი რევოლუცია, ისიც უეცარი, მაშინ საფრანგეთში არ მომხდარა. რა თქმა უნდა, ამ პერიოდში ფრანგული ენის ლექსიკური შემადგენლობა შეივსო ახალი სიტყვებითა და გამოთქმებით, ამოვარდა ზო-

გიერთი მოძველებული სიტყვა, შეიცვალა ზოგიერთი სიტყვის აზრობრივი მნიშვნელობა, — ეს იყო და ეს. მაგრამ ასეთი ცვლილებები სრულიადაც არ წყვეტს ენის ბედს. ენაში მთავარია მისი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი. მაგრამ ფრანგული ენის გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი არა თუ არ გამქრალა საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის პერიოდში, არამედ დარჩა ისე, რომ არსებითი ცვლილებები არ განუცდია, და არა მარტო დარჩა, არამედ ამჟამადაც ცოცხლობს თანამედროვე ფრანგულ ენაში. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ არსებული ენის ლიკვიდაციისა და ახალი ეროვნული ენის შექმნისათვის („უეცარი ენობრივი რევოლუცია“!) ხუთი-ექვსი წლის ვადა ისე მცირეა, რომ სასაცილოა ამაზე ლაპარაკი. — ამისათვის საუკუნეებია საჭირო.

მარქსიზმს მიაჩნია, რომ ენის გადასვლა ძველი თვისობრიობიდან ახალში ხდება არა აფეთქების გზით, არა არსებული ენის მოსპობისა და ახლის შექმნის გზით, არამედ ახალი თვისობრიობის ელემენტების თანდათანობითი დაგროვების გზით, მაშასადამე, ძველი თვისობრიობის ელემენტების თანდათანობითი კვდომის გზით.

საერთოდ უნდა ითქვას იმ ამხანაგების საყურადღებოდ, რომლებიც გატაცებული არიან აფეთქებებით, რომ ძველი თვისობრიობიდან ახალში აფეთქების გზით გადასვლის კანონი არ შეესაბამება არა მარტო ენის განვითარების ისტორიას, არამედ ყოველთვის როდი შეესაბამება საბაზისო ან ზედნაშენური ხასიათის სხვა საზოგადოებრივ მოვლენებსაც. იგი სავალდებულოა მტრულ კლასებად დაყოფილი საზოგადოებისათვის. მაგრამ იგი სრულიადაც არ არის სავალდებულო ისეთი საზოგადოებისათვის, რომელშიც მტრული კლასები არ არის. 8—10 წლის მანძილზე ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში განვახორციელეთ ბურჟუაზიული ინდივიდუალურ-გლეხური წყობილებიდან სოციალისტურ, საკოლმეურნეო წყობილებაზე გადასვლა. ეს იყო რევოლუცია, რომელმაც სოფლად მოსპო ძველი ბურჟუაზიული სამეურნეო წყობილება და შექმნა ახალი, სოციალისტური წყობილება. მაგრამ ეს გადატრიალება მოხდა არა აფეთქების გზით, ე. ი. არა არსებული ხელისუფლების დამხობის და ახალი ხელისუფლების შექმნის გზით, არამედ სოფლად ძველი ბურჟუაზიული წყობილებიდან ახალ წყობილებაზე თანდათანობითი გადასვლის გზით. ეს კი იმიტომ მოხერხდა, რომ ეს იყო რევოლუცია ზევიდან, რომ გადატრიალება მოხდა არსებული ხელისუფლების ინიციატივით და გლეხობის ძირითადი მასების მხარდაჭერით.

ამბობენ, რომ ენების შეჯვარედინების მრავალი ფაქტი, რომელიც ისტორიაში მომხდარა, საფუძველს იძლევა ვიფიქროთ, რომ შეჯვარედინების დროს იქმნება ახალი ენა აფეთქების გზით, ძველი თვისობრიობიდან ახალ თვისობრიობაში უეცარი გადასვლის გზით. ეს სრულიადაც არ არის სწორი.

ენების შეჯვარედინება არ შეიძლება განვიხილოთ როგორც გადამწყვეტი დარტყმის ერთეული აქტი, რომელიც თავის შედეგებს იძლევა რამდენიმე წლის მანძილზე. ენების შეჯვარედინება ხანგრძლივი პროცესია, რომელიც ასეულ წლობით გრძელდება. ამიტომ აქ არავითარ აფეთქებაზე ლაპარაკი არ შეიძლება.

შემდეგ. სრულიადაც არ იქნებოდა სწორი გვეფიქრა, რომ, ვთქვათ, ორი ენის შეჯვარედინების შედეგად მივიღებთ ახალ, მესამე ენას, რომელიც არა ჰგავს არც ერთ შეჯვარედინებულ ენას და თვისობრივად განირჩევა თვითეული მათგანისაგან. ნამდვილად შეჯვარედინების დროს ერთ-ერთი ენა ჩვეულებრივად იმარჯვებს, ინარჩუნებს თავის გრამატიკულ წყობას, ინარჩუნებს თავის ძირითად ლექსიკურ ფონდს და განაგრძობს განვითარებას თავისი განვითარების შინაგანი კანონების მიხედვით. მეორე ენა კი თანდათანობით კარგავს თავის თვისობრიობას და თანდათანობით კვდება.

მაშასადამე, შეჯვარედინების დროს ვიღებთ არა რაღაც ახალ, მესამე ენას, არამედ რჩება ერთ-ერთი ენა, რჩება მისი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი და მას შესაძლებლობა ეძლევა განვითარდეს თავისი განვითარების შინაგანი კანონების მიხედვით.

მართალია, ამ დროს ხდება გამარჯვებული ენის ლექსიკური შემადგენლობის ერთგვარი გამდიდრება დამარცხებული ენის ხარჯზე, მაგრამ ეს კი არ ასუსტებს, არამედ, პირიქით, აძლიერებს მას.

ასე მოუვიდა, მაგალითად, რუსულ ენას, რომელსაც ისტორიული განვითარების პროცესში უჯვარედინდებოდნენ მთელი რიგი სხვა ხალხების ენები და რომელიც მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა.

რა თქმა უნდა, ამასთან რუსული ენის ლექსიკური შემადგენლობა ივსებოდა სხვა ენების ლექსიკური შემადგენლობის ხარჯზე, მაგრამ ამან არათუ არ დაასუსტა, არამედ, პირიქით, გაამდიდრა და გააძლიერა რუსული ენა.

რაც შეეხება რუსული ენის ეროვნულ თვითმყოფობას, მას ოდნავი ზიანიც არ მოსვლია, რადგან, შეინარჩუნა რა თავისი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი, რუსული ენა

განაგრძობდა წინსვლას და სრულყოფას თავისი განვითარების შინაგანი კანონების მიხედვით.

საკვირველია, რომ შეჯვარედინების თეორია სერიოზულს ვერაფერს მისცემს საბჭოთა ენათმეცნიერებას. თუ სწორია, რომ ენათმეცნიერების მთავარი ამოცანა ენის განვითარების შინაგანი კანონების შესწავლაა, უნდა ვაღიაროთ, რომ შეჯვარედინების თეორია არათუ არ წყვეტს ამ ამოცანას, არამედ არც კი აყენებს მას, — პირდაპირ ვერ ამჩნევს ამ ამოცანას ან არ ესმის იგი.

კითხვა. სწორად მოიქცა თუ არა „პრავდა" ენათმეცნიერების საკითხებზე თავისუფალი დისკუსია რომ მოაწყო?

პასუხი. სწორად მოიქცა.

თუ რა მიმართულებით გადაწყდება ენათმეცნიერების საკითხები, — ეს ნათელი გახდება დისკუსიის დასასრულს. მაგრამ უკვე ახლა შეიძლება ითქვას, რომ დისკუსიამ დიდი სარგებლობა მოიტანა.

დისკუსიამ, უწინარეს ყოვლისა, გამოარკვია, რომ ენათმეცნიერების ორგანოებში, როგორც ცენტრში, ისე რესპუბლიკებში, გაბატონებული იყო მეცნიერებისა და მეცნიერთათვის შეუფერებელი რეჟიმი. საბჭოთა ენათმეცნიერებაში საქმის ვითარების ოდნავ კრიტიკას, ენათმეცნიერებაში ეგრეთწოდებული „ახალი მოძღვრების" კრიტიკის სულ გაუბედავ ცდებსაც კი დევნიდნენ და ახშობდნენ ენათმეცნიერების ხელმძღვანელი წრეები. ნ. ი. მარის მემკვიდრეობისადმი კრიტიკული დამოკიდებულებისათვის, ნ. ი. მარის მოძღვრების ოდნავი მოუწონებლობისათვის თანამდებობიდან ხსნიდნენ ან დაბალ თანამდებობაზე გადაჰყავდათ ენათმეცნიერების დარგის თვალსაჩინო მუშაკები და მკვლევარები. ენათმეცნიერების მუშაკებს პასუხსაგებ თანამდებობაზე აწინაურებდნენ არა საქმიანობის ნიშნის მიხედვით, არამედ ნ. ი. მარის მოძღვრების უსიტყვოდ აღიარების ნიშნის მიხედვით.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ვერავითარი მეცნიერება ვერ განვითარდება და წარმატებას ვერ მიაღწევს, თუ არ არის აზრთა ბრძოლა, თუ არ არის კრიტიკის თავისუფლება. მაგრამ ამ საყოველთაოდ აღიარებულ წესს ყოველად უბოდიშოდ უგულებელყოფდნენ და ფეხქვეშ თელავდნენ. შეიქმნა უცოდველ ხელმძღვანელთა კარჩაკეტილი ჯგუფი, რომელმაც თავი დაიზღვია ყოველგვარი შესაძლო კრიტიკისაგან და თვითნებობასა და უწესობას სჩადიოდა,

ერთი მაგალითი: ეგრეთწოდებული „ბაქოს კურსი“ (ნ. ი. მარის მიერ ბაქოში წაკითხული ლექციები), რომელიც თვით ავტორმა დაიწუნა და ხელახლა გამოცემისათვის აკრძალა, ხელმძღვანელთა კასტის (ამხ. მეშჩანინოვი მათ ნ. ი. მარის „მოწაფეებს“ უწოდებს) განკარგულებით მაინც ხელახლა გამოიცა და სრულიად უშენიშვნოდ შეტანილ იქნა სტუდენტებისათვის რეკომენდებულ სახელმძღვანელოთა რიცხვში. ეს იმას ნიშნავს, რომ სტუდენტები მოატყუეს, — დაწუნებული „კურსი“ სრულფასოვან სახელმძღვანელოდ მიაწოდეს. დარწმუნებული რომ არ ვიყო ამხ. მეშჩანინოვისა და ენათმეცნიერების სხვა მუშაკთა პატიოსნებაში, ვიტყოდი, რომ ასეთი ქცევა მავნებლობას უდრის.

როგორ მოხდა ეს? ეს მოხდა იმიტომ, რომ ენათმეცნიერებაში შექმნილი არაკრიტიკის რეჟიმი ნერგავს უპასუხისმგებლობას და აქეზებს ასეთ უწესობას.

დისკუსია ფრიად სასარგებლო აღმოჩნდა უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ მან მზის სინათლეზე გამოიტანა ეს არაკრიტიკის რეჟიმი და გააცამტვერა იგი.

მაგრამ დისკუსიის სარგებლობა ამით როდი ამოიწურება. დისკუსიამ არა მარტო გააცამტვერა ძველი რეჟიმი ენათმეცნიერებაში, არამედ კიდევაც გამოავლინა შეხედულებათა ის წარმოუდგენელი არევ-დარევა ენათმეცნიერების ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებში, რომელიც გამეფებულია მეცნიერების ამ დარგის ხელმძღვანელ წრეებში. დისკუსიის დაწყებამდე ნ. ი. მარის „მოწაფეები“ დუმდნენ და ჩქმალავდნენ იმ გარემოებას, რომ ენათმეცნიერებაში ყველაფერი რიგზე არ არის. მაგრამ დისკუსიის დაწყების შემდეგ დუმილი უკვე შეუძლებელი გახდა, — ისინი იძულებული გახდნენ პრესის ფურცლებზე გამოსულიყვნენ. და რა გამოირკვა? აღმოჩნდა, რომ ნ. ი. მარის მოძღვრებაში არის მთელი რიგი ნაკლოვანებანი, შეცდომები, დაუზუსტებელი პრობლემები, დაუმუშავებელი დებულებანი. საკითხავია, რატომ მხოლოდ ახლა, დისკუსიის დაწყების შემდეგ ალაპარაკდნენ ამაზე ნ. ი. მარის „მოწაფეები“? რატომ უფრო ადრე არ იზრუნეს ამაზე? რატომ თავის დროზე არა თქვეს ეს გულახდილად და პატიოსნად, როგორც ეს მეცნიერების მოღვაწეებს შეეფერებათ?

აღიარეს რა ნ. ი. მარის „ზოგიერთი“ შეცდომა, ნ. ი. მარის „მოწაფეები“ თურმე ფიქრობენ, რომ საბჭოთა ენათმეცნიერება შეიძლება შემდგომ განვავითაროთ მხოლოდ ნ. ი. მარის „დაზუსტებული“ თეორიის ბაზაზე, რომელიც მათ მარქსისტულ თეორიად მიაჩნიათ. არა, გვაშორეთ ნ. ი. მარის „მარქსიზმი“. ნ. ი. მარს

მართლაც სურდა და ცდილობდა მარქსისტი ყოფილიყო, მაგრამ მან ვერ შეძლო გამხდარიყო მარქსისტი. იგი მარქსიზმის მხოლოდ და მხოლოდ გამაუბრალოებელი და ვულგარიზატორი იყო, როგორც „პროლეტკულტელები“ ან „რაპპელები“.

ნ. ი. მარმა ენათმეცნიერებაში შეიტანა არასწორი, არამარქსისტული ფორმულა ენის, როგორც ზედნაშენის, შესახებ და თავგზა აებნა, თავგზა აუბნია ენათმეცნიერებას. შეუძლებელია არასწორი ფორმულის ბაზაზე განვავითაროთ საბჭოთა ენათმეცნიერება.

ნ. ი. მარმა ენათმეცნიერებაში შეიტანა მეორე, აგრეთვე არასწორი და არამარქსისტული ფორმულა ენის „კლასობრიობის“ შესახებ და თავგზა აებნა, თავგზა აუბნია ენათმეცნიერებას. შეუძლებელია არასწორი ფორმულის ბაზაზე, რომელიც ხალხთა და ენათა ისტორიის მთელ მსვლელობას ეწინააღმდეგება, განვავითაროთ საბჭოთა ენათმეცნიერება.

ნ. ი. მარმა ენათმეცნიერებაში შეიტანა მარქსიზმისათვის შეუფერებელი კადნიერი, ყოყოჩა, ქედმაღლური კილო, რომელიც იწვევს ყოველივე იმის დაუსაბუთებლად და წინდაუხედავად უარყოფას, რაც ენათმეცნიერებაში ნ. ი. მარამდე იყო.

ნ. ი. მარი მყვირალა ფრაზებით დასცინის ისტორიულ-შედარებითს მეთოდს, როგორც „იდეალისტურს“, ამავე დროს კი უნდა ვთქვათ, რომ ისტორიულ-შედარებითი მეთოდი, მიუხედავად მისი სერიოზული ნაკლოვანებებისა, მაინც უკეთესია, ვიდრე ნ. ი. მარის მართლაც იდეალისტური ოთხელემენტოვანი ანალიზი, რადგან პირველი ბიძგს იძლევა მუშაობისათვის, ენების შესწავლისათვის, მეორე კი მხოლოდ იმის ბიძგს იძლევა, რომ მხართეძოზე წამოწვე და ყბადაღებული ოთხი ელემენტის გარშემო იმარჩიელო.

ნ. ი. მარი ენათა ჯგუფების (ოჯახების) შესწავლის ყოველ ცდას ქედმაღლურად იგდებს აბუჩად და „წინარე ენის“ თეორიის გამოვლინებად თვლის. ამავე დროს კი არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ უეჭველია ენობრივი ნათესაობა, მაგალითად, ისეთი ერებისა, როგორიც სლავი ერები არიან, რომ ამ ერების ენობრივი ნათესაობის შესწავლა დიდ სარგებლობას მოუტანდა ენათმეცნიერებას ენის განვითარების კანონთა შესწავლის საქმეში. აღარას ვამბობ იმაზე, რომ „წინარე ენის“ თეორიას ამ საქმესთან არავითარი კავშირი არა აქვს.

ნ. ი. მარს და განსაკუთრებით მის „მოწაფეებს“ ყური რომ დაუგდო, გეგონება, რომ ნ. ი. მარამდე არავითარი ენათმეცნიერება არ ყოფილა, რომ ენათმეცნიერება მას შემდეგ დაიწყო, რაც გაჩნდა ნ. ი. მარის „ახალი მოძღვრება“. რაოდენ უფრო თავმდაბალი იყ-

ენენ მარქსი და ენგელსი: მათ მიაჩნდათ, რომ მათი დიალექტიკური მატერიალიზმი წინა პერიოდის მეცნიერებათა, მათ შორის ფილოსოფიის განვითარების ნაყოფია.

ამრიგად, დისკუსია სასარგებლო იყო იმ მხრივაც, რომ გამოააშკარავა იდეოლოგიური ნაკლოვანებანი საბჭოთა ენათმეცნიერებაში.

მე ვფიქრობ, რომ რაც უფრო მალე განთავისუფლდება ჩვენი ენათმეცნიერება ნ. ი. მარის შეცდომებისაგან, მით უფრო მალე შეიძლება გამოვიყვანოთ იგი კრიზისიდან, რომელსაც ის ახლა განიცდის.

ენათმეცნიერებაში არაჩვეულებრივი რეჟიმის ლიკვიდაცია, ნ. ი. მარის შეცდომების უარყოფა, ენათმეცნიერებაში მარქსიზმის დანერგვა — ასეთია ჩემი აზრით ის გზა, რომლითაც შეიძლება გავაჯანსაღოთ საბჭოთა ენათმეცნიერება.

„პრავდა", 1950 წლის 20 ივნისი.

ენათმეცნიერების ზოგიერთ საკითხზე

პასუხი ამხ. ე. კრაშენინიკოვას

ამხ. კრაშენინიკოვა!

გიპასუხებთ თქვენს კითხვებზე.

1. **კითხვა.** თქვენს სტატიაში დამაჯერებლად არის ნაჩვენები, რომ ენა არც ბაზისია და არც ზედნაშენი. მართებული იქნებოდა თუ არა მიგვეჩნია, რომ ენა ისეთი მოვლენაა, რომელიც ბაზისსაც ახასიათებს და ზედნაშენსაც, თუ უფრო სწორი იქნებოდა მიგვეჩნია ენა შუალედურ მოვლენად?

პასუხი. რა თქმა უნდა, ენას, როგორც საზოგადოებრივ მოვლენას, ახასიათებს ის საერთო რამ, რაც აქვს ყველა საზოგადოებრივ მოვლენას. მათ შორის ბაზისისსა და ზედნაშენს, სახელდობრ: იგი ისევე ემსახურება საზოგადოებას, როგორც ემსახურება მას ყველა სხვა საზოგადოებრივი მოვლენა, მათ შორის ბაზისი და ზედნაშენი. მაგრამ სწორედ ამით ამოიწურება ის საერთო რამ, რაც ყველა საზოგადოებრივ მოვლენას აქვს. შემდეგ იწყება სერიოზული განსხვავებანი საზოგადოებრივ მოვლენებს შორის.

საქმე ის არის, რომ საზოგადოებრივ მოვლენებს, ამ საერთოს გარდა, აქვთ თავიანთი სპეციფიკური თავისებურებანი, რომლებიც მათ ერთმანეთისაგან განასხვავებენ და რომლებსაც მეცნიერებისათვის ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვთ. ბაზისის სპეციფიკური თავისებურებანი ისაა, რომ იგი საზოგადოებას ემსახურება ეკონომიურად. ზედნაშენის სპეციფიკური თავისებურებანი ისაა, რომ იგი საზოგადოებას ემსახურება პოლიტიკური, იურიდიული, ესთეტიკური და სხვა იდეებით და საზოგადოებისათვის ქმნის შესაბამის პოლიტიკურ, იურიდიულ და სხვა დაწესებულებებს. რა არის ენის სპეციფიკური თავისებურებანი, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა საზოგადოებრივი მოვლენებისაგან? ეს თავისებურებანი ისაა, რომ ენა ემსახურება საზოგადოებას, როგორც ადამიანთა ურთიერთობის

საშუალება, როგორც საზოგადოებაში აზრთა გაცვლა-გამოცვლის საშუალება, როგორც ისეთი საშუალება, რომელიც ადამიანებს შეასაძლებლობას აძლევს გაუგონ ერთმანეთს და მოაწყონ ერთობლივი მუშაობა ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში, როგორც წარმოების დარგში, ისე ეკონომიური ურთიერთობის დარგში, როგორც პოლიტიკის დარგში, ისე კულტურის დარგში, როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ისე ყოფაცხოვრებაში. ეს თავისებურებანი ახასიათებენ მხოლოდ ენას, და სწორედ იმიტომ, რომ ისინი ახასიათებენ მხოლოდ ენას, ენა დამოუკიდებელი მეცნიერების — ენათმეცნიერების — შესწავლის ობიექტია. ენას ეს თავისებურებანი რომ არ ჰქონოდა, ენათმეცნიერება დამოუკიდებელი არსებობის უფლებას დაკარგავდა.

მოკლედ: ენა არ შეიძლება მივაკუთვნოთ არც ბაზისთა კატეგორიას, არც ზედნაშენთა კატეგორიას.

იგი არ შეიძლება მივაკუთვნოთ აგრეთვე ბაზისსა და ზედნაშენს შორის „შუალედურ“ მოვლენათა კატეგორიას, რადგან ასეთი „შუალედური“ მოვლენები არ არსებობენ.

მაგრამ იქნებ ენა შეიძლება მივაკუთვნოთ საზოგადოების საწარმოო ძალთა კატეგორიას, ვთქვათ, წარმოების იარაღთა კატეგორიას? მართლაც, ენასა და წარმოების იარაღებს შორის ერთგვარი ანალოგია არსებობს: წარმოების იარაღები, ისევე როგორც ენა, კლასებისადმი თავისებურ განურჩევლობას ამჟღავნებენ და შეუძლიათ თანაბრად ემსახურონ საზოგადოების სხვადასხვა კლასებს, როგორც ძველ, ისე ახალ კლასებს. იძლევა თუ არა ეს გარემოება იმის საფუძველს, რომ ენა წარმოების იარაღთა კატეგორიას მივაკუთვნოთ? არა, არ იძლევა.

ერთხანს ნ. ი. მარმა, რაკი დაინახა, რომ მისმა ფორმულამ — „ენა ბაზისის ზედნაშენია“, — გამოიწვია საწინააღმდეგო მოსაზრებანი, გადაწყვიტა „გარდაქმნილიყო“ და გამოაცხადა, „ენა წარმოების იარაღიაო“. მართალი იყო თუ არა ნ. ი. მარი, ენა წარმოების იარაღთა კატეგორიას რომ მიაკუთვნა? არა, იგი უთუოდ არ იყო მართალი.

საქმე ის არის, რომ ენასა და წარმოების იარაღებს შორის მსგავსება იმ ანალოგიით ამოიწურება, რომელზეც ეს არის ახლა ვილაპარაკე. მაგრამ სამაგიეროდ ენასა და წარმოების იარაღებს შორის ძირეული განსხვავებაა. ეს განსხვავება ისაა, რომ წარმოების იარაღები აწარმოებენ მატერიალურ დოვლათს, ენა კი არაფერს არ აწარმოებს ან „აწარმოებს“ მხოლოდ სიტყვებს. უფრო ზუსტად

რომ ვთქვათ, ადამიანებს, რომლებსაც წარმოების იარაღები აქვთ, შეუძლიათ აწარმოონ მატერიალური დოვლათი, ხოლო იმავე ადამიანებს, რომლებსაც ენა აქვთ, მაგრამ წარმოების იარაღები არა აქვთ, არ შეუძლიათ აწარმოონ მატერიალური დოვლათი. ძნელი გასაგები არ არის — ენას რომ შეეძლოს მატერიალური დოვლათი აწარმოოს, ლაქლაქა ადამიანები მსოფლიოში ყველაზე მდიდარი იქნებოდნენ.

2. **კითხვა.** მარქსი და ენგელსი ენას განსაზღვრავენ როგორც „აზრის უშუალო სინამდვილეს", როგორც „პრაქტიკულ,... ნამდვილ ცნობიერებას". „იდეები, — ამბობს მარქსი, — ენისაგან მოწყვეტილად არ არსებობენ". რამდენად უნდა მუშაობდეს, თქვენი აზრით, ენათმეცნიერება ენის შინაარსობრივ მხარეზე, სემანტიკაზე და ისტორიულ სემასიოლოგიასა და სტილისტიკაზე, თუ ენათმეცნიერების საგანი მხოლოდ ფორმა უნდა იყოს?

პასუხი. სემანტიკა (სემასიოლოგია) ენათმეცნიერების ერთერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. სიტყვათა და გამოთქმათა შინაარსობრივ მხარეს სერიოზული მნიშვნელობა აქვს ენის შესწავლის საქმეში. ამიტომ სემანტიკისათვის (სემასიოლოგიისათვის) უზრუნველყოფილ უნდა იქნას მისი შესაფერი ადგილი ენათმეცნიერებაში.

მაგრამ სემანტიკის საკითხების დამუშავებისა და მისი მონაცემების გამოყენებისას არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გაზვიადებულად შევაფასოთ მისი მნიშვნელობა, და მით უმეტეს — არ შეიძლება ბოროტად გამოვიყენოთ იგი. მხედველობაში მყავს ზოგიერთი ენათმეცნიერი, რომლებიც, მეტისმეტად გატაცებული არიან რა სემანტიკით, უგულებელყოფენ ენას, როგორც „აზრის უშუალო სინამდვილეს", რომელიც განუყრელად დაკავშირებულია აზროვნებასთან, წყვეტენ აზროვნებას ენისაგან და ამტკიცებენ, ენა დრომოჭმული ხდება. შეიძლება უენოდაც იოლად წავიდეთო.

ყურადღება მიაქციეთ ნ. ი. მარის შემდეგ სიტყვებს:

„ენა არსებობს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი ვლინდება ბგერებით; აზროვნების მოქმედება გამოუვლინებლადაც ხდება ...ენა (ბგერითი) ახლა უკვე უთმობს თავის ფუნქციებს უახლეს გამოგონებებს, რომლებიც უეჭველად ძლევენ სივრცეს, ხოლო აზროვნება აღმავლობის გზით მიდის მის მიერ წარსულში დაგროვებულისა და გამოუყენებელისაგან და ახალი მონახვეჭისაგან, და მომავალში იგი გარიყავს და მთლიანად შეცვლის ენას. მომავალი ენა ბუნებითი მატერიისაგან თავისუფალ ტექნიკაში მზარდი აზროვნება იქნება. მას ვერ გაუმკლავდება ვერავითარი ენა, თუნდაც ბგერითი, რომე-

ლიც მაინც დაკავშირებულია ბუნების ნორმებთან“ (იხ. ნ. ი. მარის „რჩეული ნაშრომები“).

ეს „შრომა-მაგიური“ აბდაუბდა ჩვეულებრივი ადამიანური ენით რომ გამოვთქვათ, შეიძლება იმ დასკვნამდე მივიდეთ რომ:

ა) ნ. ი. მარი აზროვნებას წყვეტს ენისაგან;

ბ) ნ. ი. მარს მიაჩნია, რომ ადამიანთა ურთიერთობა შეიძლება განხორციელდეს უენოდაც, თვით აზროვნების შემწეობით, რომელიც თავისუფალი იქნება ენის „ბუნებითი მატერიისაგან“, თავისუფალი იქნება „ბუნების ნორმებისაგან“;

გ) წყვეტს რა აზროვნებას ენისაგან და „ათავისუფლებს“ რა მას ენის „ბუნებითი მატერიისაგან“, ნ. ი. მარი იდეალიზმის ჭაობში ეფლობა.

ამბობენ, ადამიანს თავში აზრები მანამდე ებადება, სანამ ისინი მეტყველებაში გამოითქმებოდეს, ებადება ენობრივი მასალის გარეშე, ენობრივი გარსის გარეშე, ასე ვთქვათ, შიშველი სახითო. მაგრამ ეს სრულებითაც არ არის სწორი. ადამიანის თავში რა აზრებიც უნდა გაჩნდნენ და რა დროსაც უნდა გაჩნდნენ, მათ შეუძლიათ გაჩნდნენ და იარსებონ მხოლოდ ენობრივი მასალის ბაზაზე, ენობრივი ტერმინებისა და ფრაზების ბაზაზე. ენობრივი მასალისაგან თავისუფალი, ენის „ბუნებითი მატერიისაგან“ თავისუფალი შიშველი აზრები არ არსებობს. „ენა აზრის უშუალო სინამდვილეა“ (მარქსი). აზრის რეალურობა ენით მჟღავნდება. მხოლოდ იდეალისტებს შეუძლიათ ილაპარაკონ ენის „ბუნებითს მატერიასთან“ დაუკავშირებელ აზროვნებაზე, უენო აზროვნებაზე.

მოკლედ: სემანტიკის გაზვიადებულმა შეფასებამ და მისმა ბოროტად გამოყენებამ ნ. ი. მარი იდეალიზმამდე მიიყვანა.

მაშასადამე, თუ სემანტიკას (სემასიოლოგიას) დავიცავთ ისეთი გაზვიადებისა და ბოროტად გამოყენებისაგან, როგორსაც უშვებენ ნ. ი. მარი და მისი ზოგიერთი „მოწაფე“, მას შეუძლია დიდი სარგებლობა მოუტანოს ენათმეცნიერებას.

3. **კითხვა.** თქვენ სავსებით სამართლიანად ამბობთ, რომ ბურჟუებსა და პროლეტარებს პირდაპირ საწინააღმდეგო იდეები, წარმოდგენები, ზნე-ჩვეულება და ზნეობრივი პრინციპები აქვთ. ამ მოვლენათა კლასობრივი ხასიათი უთუოდ დაეტყო ენის სემანტიკურ მხარეს (ხოლო ზოგჯერ მის ფორმასაც — ლექსიკურ შემადგენლობას, — როგორც სწორად აღნიშნავთ თქვენს სტატიაში). შეიძლება თუ არა, როცა ანალიზს ვუკეთებთ კონკრეტულ ენობრივ მასალას და, პირველ რიგში, ენის შინაარსობრივ მხარეს, ვილაპარაკოთ მის

მიერ გამოხატულ ცნებათა კლასობრივ არსზე, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა საქმე ეხება არა მხოლოდ ადამიანის აზრის ენობრივ გამოხატვას, არამედ სინამდვილისადმი ადამიანის დამოკიდებულებასაც, სადაც განსაკუთრებით მკაფიოდ იჩენს თავს მისი კლასობრივი კუთვნილება?

პასუხი. მოკლედ რომ ვთქვათ, თქვენ გსურთ იცოდეთ, — გავლენას ახდენენ თუ არა კლასები ენაზე. შეაქვთ თუ არა მათ ენაში თავიანთი სპეციფიკური სიტყვები და გამოთქმები, არის თუ არა შემთხვევები, რომ ადამიანები ერთსა და იმავე სიტყვებსა და გამოთქმებს ანიჭებდნენ სხვადასხვა აზრობრივ მნიშვნელობას კლასობრივი კუთვნილების მიხედვით?

დიახ, კლასები გავლენას ახდენენ ენაზე. შეაქვთ ენაში თავიანთი სპეციფიკური სიტყვები და გამოთქმები და ზოგჯერ სხვადასხვანაირად ესმით ერთი და იგივე სიტყვები და გამოთქმები. ეს უეჭველია.

მაგრამ აქედან როდი გამომდინარეობს, რომ სპეციფიკურ სიტყვებსა და გამოთქმებს, ისევე როგორც სემანტიკის სხვადასხვაობას, შეიძლება სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდეთ ერთიანი საერთო-სახალხო ენის განვითარებისათვის, რომ მათ ძალუძთ შეასუსტონ მისი მნიშვნელობა ან შეცვალონ მისი ხასიათი.

ჯერ-ერთი, ასეთი სპეციფიკური სიტყვები და გამოთქმები, ისევე როგორც სემანტიკის სხვადასხვაობის შემთხვევები, ენაში იმდენად მცირეა, რომ ისინი საეჭვოა მთელი ენობრივი მასალის ერთ პროცენტს შეადგენდნენ. მაშასადამე, სიტყვებისა და გამოთქმების მთელი დანარჩენი უდიდესი მასა, ისევე როგორც მათი სემანტიკა, საერთოა საზოგადოების ყველა კლასისათვის.

მეორე, სპეციფიკურ სიტყვებსა და გამოთქმებს, რომლებსაც კლასობრივი ელფერი აქვთ, მეტყველებაში იყენებენ არა რაღაც „კლასობრივი" გრამატიკის წესების მიხედვით, რომელიც ბუნებაში არ არსებობს, არამედ არსებული საერთო-სახალხო ენის გრამატიკის წესების მიხედვით.

მაშასადამე, სპეციფიკური სიტყვებისა და და გამოთქმების არსებობა და ენის სემანტიკის სხვადასხვაობის ფაქტები კი არ უარყოფენ, არამედ, პირიქით, ადასტურებენ ერთიანი საერთო-სახალხო ენის არსებობასა და აუცილებლობას.

4. **კითხვა.** თქვენს სტატიაში თქვენ სავსებით სწორად ახასიათებთ მარს, როგორც მარქსიზმის ვულგარიზატორს. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ლინგვისტებმა, მათ შორის ჩვენც, ახალგაზრდობამ უნდა უკუვაგდოთ მთელი ლინგვისტიკური მემკვიდრეობა მარისა,

რომელსაც მაინც აქვს მთელი რიგი მნიშვნელოვანი გამოკვლევები ენის დარგში (დისკუსიაში მათ შესახებ წერდნენ ამხ. ჩიქობავა, ამხ. სანჟეევი და სხვები)? შეგვიძლია თუ არა ჩვენ, კრიტიკულად ვუდგებით რა მარს, მაინც ავიღოთ ის, რაც მას სასარგებლო და მნიშვნელოვანი აქვს?

პასუხი. რა თქმა უნდა. ნ. ი. მარის ნაშრომები მარტო შეცდომებისაგან როდი შედგება. ნ. ი. მარი ყოველად უხეშ შეცდომებს უშვებდა, როცა ენათმეცნიერებაში დამახინჯებულად შეჰქონდა მარქსიზმის ელემენტები, როცა ცდილობდა შეექმნა ენის დამოუკიდებელი თეორია. მაგრამ ნ. ი. მარს აქვს ცალკეული, კარგი, ნიჭიერად დაწერილი ნაწარმოებნი, სადაც იგი, ივიწყებს რა თავის თეორიულ პრეტენზიებს, კეთილსინდისიერად და, უნდა ითქვას, უნარიანად იკვლევს ცალკეულ ენებს. ასეთ ნაწარმოებებში შეიძლება საკმაოდ ბევრი რამ მნიშვნელოვანი და საგულისხმო ვიპოვოთ. გასაგებია, რომ ეს მნიშვნელოვანი და საგულისხმო, რაც ნ. ი. მარს აქვს, უნდა ავიღოთ და გამოვიყენოთ.

5. **კითხვა.** საბჭოთა ენათმეცნიერების ერთ წერტილზე გაყინვის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად ბევრ ლინგვისტს ფორმალიზმი მიაჩნია. ძალიან გვინდა ვიცოდეთ თქვენი აზრი იმის შესახებ, თუ რა არის ფორმალიზმი ენათმეცნიერებაში და როგორ დავძლიოთ იგი?

პასუხი. ნ. ი. მარი და მისი „მოწაფეები" „ფორმალიზმში" ბრალს სდებენ ყველა ენათმეცნიერს, ვინც ნ. ი. მარის „ახალ მოძღვრებას" არ იზიარებს. ეს, რა თქმა უნდა, არ არის სერიოზული და ჭკვიანური.

ნ. ი. მარი გრამატიკას თვლიდა ფუჭ „ფორმალობად", ხოლო იმ ადამიანებს, რომლებსაც გრამატიკული წყობა ენის საფუძვლად მიაჩნიათ — ფორმალისტებად. ეს კი მთლად სისულელეა.

მე ვფიქრობ, რომ „ფორმალიზმი" გამოიგონეს „ახალი მოძღვრების" ავტორებმა ენათმეცნიერებაში თავიანთ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლის გასაადვილებლად.

საბჭოთა ენათმეცნიერების ერთ წერტილზე გაყინვის მიზეზია არა ნ. ი. მარისა და მისი „მოწაფეების" მიერ გამოგონილი „ფორმალიზმი", არამედ არაკრიტიკული რეჟიმი და თეორიული ნაკლოვანებანი ენათმეცნიერებაში. არაკრიტიკის რეჟიმი შექმნეს ნ. ი. მარის „მოწაფეებმა". ენათმეცნიერებაში თეორიული არევდარევა შეიტანეს ნ. ი. მარმა და მისმა უახლოესმა თანამებრძოლებმა. საბჭოთა

ენათმეცნიერება ერთ წერტილზე რომ არ გაიყინოს, ამისათვის საჭიროა ლიკვიდირებულ იქნას როგორც ერთი, ისე მეორე. ამ ბოროტებათა ლიკვიდაცია გააჯანსაღებს საბჭოთა ენათმეცნიერებას, გამოიყვანს მას ფართო გზაზე და საბჭოთა ენათმეცნიერებას შესაძლებლობას მისცემს პირველი ადგილი დაიკავოს მსოფლიო ენათმეცნიერებაში.

1950 წლის, 29 ივნისი.

„პრავდა", 1950 წ. 4 ივლისი.

პასუხი ამხანაგებს

ამხანაგ სანჭეევს

პატივცემულო ამხანაგო სანჭეევ!

გიპასუხებთ თქვენს წერილზე დიდი დაგვიანებით, რადგან მხოლოდ გუშინ გადმომცეს თქვენი წერილი ცენტრალური კომიტეტის აპარატიდან.

თქვენ უეჭველად სწორად გესმით ჩემი პოზიცია დიალექტების საკითხში.

„კლასობრივი“ დიალექტები, რომლებსაც უფრო სწორი იქნება ჟარგონები ვუწოდოთ, ემსახურებიან არა ხალხის მასებს, არამედ ვიწრო სოციალურ ზედაფენას. ამასთან მათ არა აქვთ თავიანთი საკუთარი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი. ამის გამო ისინი ვერასგზით ვერ განვითარდებიან დამოუკიდებელ ენებად.

ადგილობრივი („ტერიტორიული“) დიალექტები, პირიქით, ემსახურებიან ხალხის მასებს და აქვთ თავიანთი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი. ამის გამო ზოგიერთი ადგილობრივი დიალექტი ერების შექმნის პროცესში შეიძლება საფუძვლად დაედოს ეროვნულ ენას და განვითარდეს დამოუკიდებელ ეროვნულ ენად. ასე მოხდა, მაგალითად, რუსული ენის კურსკ-ორიოლის დიალექტის (კურსკ-ორიოლის „მეტყველების“) მიმართ, რომელიც საფუძვლად დაედო რუსულ ეროვნულ ენას. იგივე უნდა ითქვას უკრაინული ენის პოლტავა-კიევის დიალექტზე, რომელიც საფუძვლად დაედო უკრაინულ ეროვნულ ენას. რაც შეეხება ასეთი ენების დანარჩენ დიალექტებს, ისინი კარგავენ თავისთავადობას, უერთდებიან ამ ენებს და ქრებიან მათში.

ხდება პირიქითი პროცესებიც, როცა იმ ეროვნების ერთიანი ენა, რომელიც ჯერ კიდევ ერი არ გამხდარა განვითარების აუცილებელი ეკონომიური პირობების უქონლობის გამო, კრახს განიცდის ამ ეროვნების სახელმწიფოებრივი დაშლის შედეგად, ხოლო

ადგილობრივი დიალექტები, რომლებიც ჯერ კიდევ არ შედუღებულან ერთ ენად, — ცოცხლდებიან და დასაბამს აძლევენ ცალკე დამოუკიდებელი ენების შექმნას. შესაძლებელია, რომ სწორედ ასეთი იყო საქმის ვითარება, მაგალითად, ერთიანი მონღოლური ენის მიმართ.

1950 წლის 11 იგლისს.

„პრავდა", 1950 წ. 2 აგვისტო.

ამხანაგებს დ. ბელკინსა და ს. შურერს

თქვენი წერილები მივიღე.

თქვენი შეცდომა ის არის, რომ ერთმანეთში აურიეთ ორი სხვადასხვა რამ და ამხ. კრაშენინიკოვასადმი ჩემს პასუხში განხილული საგანი შეცვალეთ სხვა საგნით.

1. მე ამ პასუხში ვაკრიტიკებ ნ. ი. მარს, რომელიც ლაპარაკობს რა ენასა (ბგერითს) და აზროვნებაზე, ენას სწყვეტს აზროვნებას და ამრიგად იდეალიზმში ვარდება. მაშასადამე, ჩემს პასუხშიც ლაპარაკია ნორმალურ ადამიანებზე, რომლებსაც ენა აქვთ. ამასთან მე ვამტკიცებ, რომ ასეთ ადამიანებს აზრები შეიძლება დაებადოთ მხოლოდ ენობრივი მასალის ბაზაზე, რომ ენობრივ მასალასთან დაუკავშირებელი შიშველი აზრები ენის მქონე ადამიანებს არა აქვთ.

ნაცვლად იმისა, რომ მიიღოთ ან უარყოთ ეს დებულება, თქვენ ლაპარაკობთ ანომალიურ, უენო ადამიანებზე, ყრუ-მუნჯებზე, რომლებსაც ენა არა აქვთ და რომელთა აზრები, რასაკვირველია, არ შეიძლება წარმოიშვას ენობრივი მასალის ბაზაზე. როგორც ხედავთ, ეს სულ სხვა თემაა, რომელსაც მე არ შევხებივარ და ვერც შევეხებოდი, რადგან ენათმეცნიერებას საქმე აქვს ნორმალურ ადამიანებთან, რომლებსაც ენა აქვთ, და არა ანომალიურ, ყრუ-მუნჯ ადამიანებთან, რომლებსაც ენა არა აქვთ.

თქვენ განსახილველი თემა შეცვალეთ სხვა თემით, რომელზეც მსჯელობა არ ყოფილა.

2. ამხ. ბელკინის წერილიდან ჩანს, რომ იგი ათანაბრებს „სიტყვების ენას" (ბგერითი ენა) და „ჟესტების ენას" (ნ. ი. მარის მიხედვით „ხელის" ენას). იგი ალბათ ფიქრობს, რომ ჟესტების ენა და სიტყვების ენა თანაბარმნიშვნელოვანია, რომ ერთ დროს ადა-

მიანთა საზოგადოებას არ ჰქონდა სიტყვების ენა, რომ მაშინ „ხელის“ ენა ცვლიდა სიტყვების ენას, რომელიც შემდეგ წარმოიშვა.

მაგრამ თუ ამხ. ბელკინი ნამდვილად ასე ფიქრობს, იგი სერიოზულ შეცდომას სჩადის. ბგერითი ენა ანუ სიტყვების ენა ყოველთვის იყო ადამიანთა საზოგადოების ერთადერთი ენა, რომელსაც შეეძლო ადამიანთა ურთიერთობის სრულფასოვანი საშუალება ყოფილიყო. ისტორიას არ ახსოვს ადამიანთა არც ერთი საზოგადოება, თუნდაც ყველაზე ჩამორჩენილი, რომელსაც არ ჰქონოდა თავისი ბგერითი ენა. ეთნოგრაფია არ იცნობს არც ერთ ჩამორჩენილ მცირე ხალხს, თუნდაც ისეთს ან უფრო მეტად პირველყოფილს, ვიდრე, ვთქვათ, გასული საუკუნის ავსტრალიელები ან ცეცხლის მიწის მცხოვრებნი იყვნენ, რომელსაც არ ჰქონოდა თავისი ბგერითი ენა. ბგერითი ენა კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ის ძალაა, რომელიც დაეხმარა ადამიანებს გამოჰყოფოდნენ ცხოველთა სამყაროს, გაერთიანებულიყვნენ საზოგადოებებად, განევითარებინათ თავიანთი აზროვნება, მოეწყოთ საზოგადოებრივი წარმოება; წარმატებით ებრძოლათ ბუნების ძალებთან და მიეღწიათ იმ პროგრესისათვის, რომელიც ჩვენ ამჟამად გვაქვს.

ამ მხრივ ეგრეთწოდებული ჟესტების ენის მნიშვნელობა მისი უკიდურესი სიღარიბისა და შეზღუდულობის გამო — სრულიად უმნიშვნელოა. ეს, არსებითად, ენა კი არ არის, ან თუნდაც ენის სუროგატი, რომელსაც შეეძლოს ასე თუ ისე შეცვალოს ბგერითი ენა, არამედ უაღრესად შეზღუდულ საშუალებათა მქონე დამხმარე საშუალებაა, რომლითაც ადამიანი ზოგჯერ სარგებლობს თავისი მეტყველების ამა თუ იმ მომენტის ხაზგასმისათვის. ჟესტების ენა ისევე არ შეიძლება გავუთანაბროთ ბგერითს ენას, როგორც არ შეიძლება პირველყოფილი ხის თოხი გაეუთანაბროთ თანამედროვე მუხლუხა ტრაქტორს, რომელზეც მიბმულია ხუთკორპუსიანი გუთანი ან ტრაქტორის მწკრივად სათესი მანქანა.

3. როგორც ჩანს, თქვენ უწინარეს ყოვლისა გაინტერესებთ ყრუ-მუნჯები, ხოლო შემდეგ — ენათმეცნიერების პრობლემები. როგორც ეტყობა, სწორედ ამ გარემოებამ გაიძულათ მოგემართათ ჩემთვის მთელი რიგი კითხვებით. რას იზამ, რაკი თქვენ დაჟინებით მოითხოვთ, არაფერი მაქვს საწინააღმდეგო დავაკმაყოფილო თქვენი თხოვნა. მაშ ასე, რა შეიძლება ვთქვათ ყრუ-მუნჯებზე? მუშაობს თუ არა მათი აზროვნება, ებადებათ თუ არა მათ აზრები? დიახ, მათი აზროვნება მუშაობს, მათ აზრები ებადებათ. ცხადია, რაკი ყრუ-მუნჯები მოკლებული არიან ენას, მათი აზრები არ შე-

იძლება წარმოიშვას ენობრივი მასალის ბაზაზე. ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ყრუ-მუნჯთა აზრები შიშველია, დაკავშირებული არ არის „ბუნების ნორმებთან“ (ნ. ი. მარის გამოთქმა)? არა, არ ნიშნავს. ყრუ-მუნჯთა აზრები წარმოიშვება და მათ არსებობა შეუძლიათ მხოლოდ იმ სახეთა, აღქმათა, წარმოდგენათა ბაზაზე, რომლებიც მათ მხედველობის, შეხების, გემოვნების, ყნოსვის გრძნობათა მეოხებით უყალიბდებათ ყოფაცხოვრებაში გარესამყაროს საგნებისა და მათი ურთიერთობის შესახებ. ამ სახეთა, აღქმათა, წარმოდგენათა გარეშე აზრი ცარიელია, მოკლებულია რაიმე შინაარსს, ე. ი. იგი არ არსებობს.

1950 წლის 22 ივლისი.

„პრავდა“, 1950 წ. 2 აგვისტო.

ამხანაგ ა. ხოლოპოვს

თქვენი წერილი მივიღე.

პასუხი ცოტა დაეაგვიანე მუშაობით მეტად დატვირთულობის გამო.

თქვენი წერილი მდუმარედ ეყრდნობა ორ ვარაუდს: ვარაუდს, რომ შესაძლებელია ამა თუ იმ ავტორის ნაწარმოებთა ციტირება იმ ისტორიული პერიოდისაგან მოწყვეტით, რომელსაც ციტატი ეხება, და, მეორე, ვარაუდს, რომ მარქსიზმის ესა თუ ის დასკვნა და ფორმულა, რომლებიც მიღებულია ისტორიული განვითარების ერთ-ერთი პერიოდის შესწავლის შედეგად, სწორია განვითარების ყველა პერიოდისათვის და ამიტომ უცვლელი უნდა დარჩეს.

უნდა ვთქვა, რომ ორივე ეს ვარაუდი დიდად მცდარია.

რამდენიმე მაგალითი.

1. გასული საუკუნის ორმოციან წლებში, როცა მონოპოლისტური კაპიტალიზმი ჯერ არ იყო, როცა კაპიტალიზმი მეტად თუ ნაკლებად უმტკივნეულოდ ვითარდებოდა აღმავალი ხაზით, ვრცელდებოდა მის მიერ ჯერ კიდევ დაუკავებელ ახალ ტერიტორიებზე, ხოლო განვითარების უთანაბრობის კანონს ჯერ კიდევ არ შეეძლო მთელი ძალით ემოქმედნა, — მარქსი და ენგელსი მივიდნენ დასკვნამდე, რომ სოციალისტურ რევოლუციას არ შეუძლია გაიმარჯვოს ერთ რომელიმე ქვეყანაში, რომ მას შეუძლია გაიმარჯვოს მხოლოდ ყველა ან მეტწილ ცივილიზებულ ქვეყნებში საერთო დარ-

ტყმის შედეგად. ეს დასკვნა შემდეგ ყველა მარქსისტისათვის სახელმძღვანელო დებულება გახდა.

მაგრამ XX საუკუნის დამდეგს, განსაკუთრებით პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, როცა ყველასათვის ცხადი გახდა, რომ წინამონოპოლისტური კაპიტალიზმი აშკარად გადაიზარდა მონოპოლისტურ კაპიტალიზმად, როცა აღმავალი კაპიტალიზმი მომაკვდავ კაპიტალიზმად გადაიქცა, როცა ომმა გამოამჟღავნა მსოფლიო იმპერიალისტური ფრონტის განუკურნებელი სისუსტენი, ხოლო განვითარების უთანაბრობის კანონმა წინასწარ განსაზღვრა, რომ სხვადასხვა ქვეყნებში პროლეტარული რევოლუცია სხვადასხვა დროს მწიფდება, — ლენინი მარქსისტული თეორიის საფუძველზე მივიდა დასკვნამდე, რომ განვითარების ახალ პირობებში სოციალისტურ რევოლუციას საესებით შეუძლია გაიმარჯვოს ერთს, ცალკე აღებულ ქვეყანაში, რომ ყველა ქვეყანაში ან მეტწილ ცივილიზებულ ქვეყნებში სოციალისტური რევოლუციის ერთსა და იმავე დროს გამარჯვება შეუძლებელია ამ ქვეყნებში რევოლუციის მომწიფების უთანაბრობის გამო, რომ მარქსისა და ენგელსის ძველი ფორმულა აღარ შეესაბამება ახალ ისტორიულ პირობებს.

როგორც ვხედავთ, აქ გვაქვს ორი სხვადასხვანაირი დასკვნა სოციალიზმის გამარჯვების საკითხზე, რომლებიც არა მარტო ეწინააღმდეგება ერთიმეორეს, არამედ ერთიმეორეს კიდევაც გამორიცხავს.

რომელიმე მედავითნესა და თალმუდისტს, რომლებსაც ციტატები მოჰყავთ ფორმალურად, საქმის არსში ჩაუწვდომლად, ისტორიული პირობებისაგან მოწყვეტით, — შეუძლიათ თქვან, რომ ერთერთი ეს დასკვნა, როგორც უთუოდ მცდარი, უნდა უკუვაგდოთ, ხოლო მეორე დასკვნა, როგორც უთუოდ სწორი, უნდა გავავრცელოთ განვითარების ყველა პერიოდზე. მაგრამ მარქსისტებს არ შეუძლიათ არ იცოდნენ, რომ მედავითნეები და თალმუდისტები ცდებიან, მათ არ შეუძლიათ არ იცოდნენ, რომ ორივე ეს დასკვნა სწორია, მაგრამ არა უთუოდ, არამედ თვითეული თავისი დროისათვის: მარქსისა და ენგელსის დასკვნა — წინამონოპოლისტური კაპიტალიზმის პერიოდისათვის, ხოლო ლენინის დასკვნა — მონოპოლისტური კაპიტალიზმის პერიოდისათვის.

2. ენგელსი თავის „ანტი-დიურინგში" ამბობდა, რომ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ სახელმწიფო უნდა მოკვდეს. ამის საფუძველზე, ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, მედავითნეებმა და თალმუდის-

ტებმა, რომლებიც ჩვენს პარტიაში მოიპოვებოდნენ, იწყეს იმის მოთხოვნა, რომ პარტიას მიეღო ზომები ჩვენი სახელმწიფოს უსწრაფესი კვდომისათვის, სახელმწიფო ორგანოების დაშლისათვის, მუდმივ არმიაზე ხელის აღებისათვის.

მაგრამ საბჭოთა მარქსისტები, ჩვენს ხანაში მსოფლიო ვითარების შესწავლის საფუძველზე, მივიდნენ დასკვნამდე, რომ როცა არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა. როცა სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა მხოლოდ ერთ ქვეყანაში, ყველა სხვა ქვეყანაში კი ბატონობს კაპიტალიზმი, გამარჯვებული რევოლუციის ქვეყანამ კი არ უნდა შეასუსტოს, არამედ ყოველმხრივ უნდა გააძლიეროს თავისი სახელმწიფო, სახელმწიფოს ორგანოები, დაზვერვის ორგანოები, არმია, თუ ამ ქვეყანას არ სურს, რომ იგი გაანადგუროს კაპიტალისტურმა გარემოცვამ. რუსეთის მარქსისტები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ენგელსის ფორმულას მხედველობაში აქვს სოციალიზმის გამარჯვება ყველა ქვეყანაში ან მეტწილ ქვეყნებში, რომ ეს ფორმულა არ შეეფარდება იმ შემთხვევას, როცა სოციალიზმი იმარჯვებს ერთს, ცალკე აღებულ ქვეყანაში, ხოლო ყველა სხვა ქვეყანაში კაპიტალიზმი ბატონობს.

როგორც ვხედავთ, აქ გვაქვს ორი სხვადასხვანაირი ფორმულა სოციალისტური სახელმწიფოს ბედის საკითხზე, რომლებიც ერთიმეორეს გამორიცხავს.

მედავითნეებსა და თალმუდისტებს შეუძლიათ თქვან, რომ ეს გარემოება ქმნის აუტანელ მდგომარეობას, რომ საჭიროა ერთ-ერთი ფორმულა უკუვაგდოთ, როგორც უთუოდ მცდარი, ხოლო მეორე, როგორც უთუოდ სწორი, — გავავრცელოთ სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების ყველა პერიოდზე. მაგრამ მარქსისტებს არ შეუძლიათ არ იცოდნენ, რომ მედავითნეები და თალმუდისტები ცდებიან, რადგან ორივე ეს ფორმულა სწორია, მაგრამ არა აბსოლუტურად, არამედ თვითეული თავისი დროისათვის: საბჭოთა მარქსისტების ფორმულა — ერთს ან რამდენიმე ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების პერიოდისათვის, ხოლო ენგელსის ფორმულა — იმ პერიოდისათვის, როცა ცალკეულ ქვეყნებში სოციალიზმის თანმიმდევრობითი გამარჯვება გამოიწვევს სოციალიზმის გამარჯვებას მეტწილ ქვეყნებში და როცა, ამრიგად, შეიქმნება აუცილებელი პირობები ენგელსის ფორმულის გამოსაყენებლად.

ასეთი მაგალითების რიცხვი შეიძლებოდა გაგვედიდებინა.

იგივე უნდა ითქვას ენის საკითხზე ორი სხვადასხვანაირი ფორმულის შესახებ, რომლებიც აღებულია სტალინის სხვადასხვა ნა-

წარმოებიდან და რომლებიც ამხ. ხოლოპოვს მოჰყავს თავის წერილში.

ამხ. ხოლოპოვი იმოწმებს სტალინის ნაწარმოებს „მარქსიზმის შესახებ ენათმეცნიერებაში". სადაც გაკეთებულია დასკვნა, რომ, ვთქვათ, ორი ენის შეჯვარედინების შედეგად. ერთ-ერთი ენა ჩვეულებრივ გამარჯვებული გამოდის. ხოლო მეორე კვდება. რომ, მაშასადამე, შეჯვარედინება იძლევა არა რომელიმე ახალ. მესამე ენას, არამედ ამკვიდრებს ერთ-ერთ ენას. შემდეგ იგი იმოწმებს მეორე დასკვნას, რომელიც აღებულია სტალინის მოხსენებიდან საკავშირო კ. პ. (ბ) XVI ყრილობაზე, სადაც ნათქვამია, რომ მსოფლიო მასშტაბით სოციალიზმის გამარჯვების პერიოდში, როცა სოციალიზმი განმტკიცდება და ყოფაცხოვრებაში დამკიდრდება, ეროვნული ენები გარდუვალად უნდა შეერთდნენ ერთ საერთო ენად, რომელიც, რასაკვირველია, არ იქნება არც ველიკორუსული, არც გერმანული, არამედ იქნება რაღაც ახალი ენა. ეს ორი ფორმულა ერთმანეთს რომ შეადარა და დაინახა, რომ ისინი არათუ არ ემთხვევიან ერთმანეთს, არამედ გამორიცხავენ ერთიმეორეს, ამხ. ხოლოპოვი სასოწარკვეთილებას ეძლევა. „თქვენი სტატიიდან, წერს იგი წერილში, მე გავიგე, რომ ენათა შეჯვარედინებით არასოდეს არ შეიძლება შეიქმნას რომელიმე ახალი ენა. სტატიამდე კი მტკიცედ ვიყავი დარწმუნებული, საკავშირო კ. პ. (ბ) XVI ყრილობაზე თქვენი გამოსვლის თანახმად. რომ კომუნიზმის დროს ენები ერთ საერთო ენად შეერთდებიან".

აშკარაა, რომ ამხ. ხოლოპოვი, რაკი აღმოაჩინა წინააღმდეგობა ამ ორ ფორმულას შორის და რაკი ღრმად სწამს, რომ წინააღმდეგობა ლიკვიდირებულ უნდა იქნას, საჭიროდ თვლის თავიდან მოიშოროს ერთ-ერთი ფორმულა, როგორც მცდარი. და ხელი ჩასჭიდოს მეორე ფორმულას, როგორც ყველა დროისა და ქვეყნისათვის სწორს, მაგრამ სახელდობრ რომელ ფორმულას ჩასჭიდოს ხელი, — ეს მან არ იცის. გამოდის რაღაც გამოუვალი მდგომარეობა. ამხ. ხოლოპოვი ვერც კი მიმხვდარა, რომ ორივე ფორმულა შეიძლება სწორი იყოს, — თითეული თავისი დროისათვის.

ასე მოსდით ყოველთვის მედავითნეებსა და თალმუდისტებს, რომლებიც, რაკი ვერ სწვდებიან საქმის არსს და ციტატები მოჰყავთ ფორმალურად, იმ ისტორიულ პირობებთან დაუკავშირებლად, რომლებსაც ციტატები ეხება, მუდამ ვარდებიან გამოუვალ მდგომარეობაში.

ამაღე დროს კი, თუ საკითხში არსებითად გაეერკვევით, გამო-

უვალი მდგომარეობისათვის არავითარი საფუძველი არ არის. საქმე ის არის, რომ სტალინის ბროშურა „მარქსიზმის შესახებ ენათმეცნიერებაში“ და სტალინის გამოსვლა პარტიის XVI ყრილობაზე გულისხმობენ ორ სრულიად სხვადასხვა ეპოქას, რის შედეგადაც ფორმულებიც სხვადასხვა გამოდის.

სტალინის ფორმულა მის ბროშურაში, იმ ნაწილში, რომელიც ენების შეჯვარედინებას ეხება, გულისხმობს ეპოქას სოციალიზმის გამარჯვებამდე მსოფლიო მასშტაბით, როცა ექსპლოატატორული კლასები მსოფლიოში გაბატონებულ ძალას წარმოადგენენ, როცა ეროვნული და კოლონიური ჩაგვრა ძალაში რჩება, როცა ეროვნული განკერძოებულობა და ერთა ურთიერთუნდობლობა განმტკიცებულია სახელმწიფოებრივი განსხვავებით, როცა ჯერ კიდევ არ არის ეროვნული თანასწორუფლებიანობა, როცა ენათა შეჯვარედინება ხდება ერთ-ერთი ენის ბატონობისათვის ბრძოლის გზით, როცა ჯერ კიდევ არ არის პირობები ერთა და ენათა მშვიდობიანი და მეგობრული თანამშრომლობისათვის, როცა დღის წესრიგში დგას არა ენათა თანამშრომლობა და ურთიერთგამდიდრება, არამედ ზოგი ენის ასიმილაცია და სხვა ენების გამარჯვება. გასაგებია, რომ ასეთ პირობებში შეიძლება იყოს მხოლოდ გამარჯვებული და დამარცხებული ენები. სწორედ ამ პირობებს გულისხმობს სტალინის ფორმულა, როცა იქ ნათქვამია, რომ, ვთქვათ, ორი ენის შეჯვარედინება შედეგად იძლევა არა ახალი ენის შექმნას, არამედ ერთ-ერთი ენის გამარჯვებას და მეორის დამარცხებას.

რაც შეეხება სტალინის მეორე ფორმულას, რომელიც აღებულია გამოსვლიდან პარტიის XVI ყრილობაზე, იმ ნაწილში, რაც ეხება ენათა შეერთებას ერთ საერთო ენად, აქ იგულისხმება სხვა ეპოქა, სახელდობრ — მსოფლიო მასშტაბით სოციალიზმის გამარჯვების შემდგომი ეპოქა, როცა მსოფლიო იმპერიალიზმი აღარ იქნება, ექსპლოატატორული კლასები დამხობილი იქნებიან, ეროვნული და კოლონიური ჩაგვრა ლიკვიდირებულ იქნება, ეროვნული განკერძოებულობა და ერთა ურთიერთუნდობლობა შეიცვლება ერთა ურთიერთნდობითა და დაახლოებით, ეროვნული თანასწორუფლებიანობა განხორციელდება, ენათა ჩახშობისა და ასიმილაციის პოლიტიკა ლიკვიდირებული იქნება, ერთა თანამშრომლობა მოგვარდება, ხოლო ეროვნულ ენებს შესაძლებლობა ექნებათ თავისუფლად გაამდიდრონ ერთმანეთი თანამშრომლობის გზით. გასაგებია, რომ ამ პირობებში ლაპარაკიც არ შეიძ-

ლება ზოგი ენის ჩახშობასა და დამარცხებაზე და სხვა ენების გამარჯვებაზე. აქ საქმე გვექნება არა ორ ენასთან, რომელთაგან ერთი მარცხდება, მეორე კი ბრძოლაში გამარჯვებული გამოდის, არამედ ასობით ეროვნულ ენასთან, რომელთაგან ერთა ხანგრძლივი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული თანამშრომლობის შედეგად გამოიყოფა ჯერ ყველაზე მეტად გამდიდრებული ერთიანი ზონალური ენები. შემდეგ კი ზონალური ენები შეერთდებიან ერთ საერთო საერთაშორისო ენად, რომელიც, რასაკვირველია, არც გერმანული ენა იქნება, არც რუსული, არც ინგლისური, არამედ იქნება ახალი ენა, რომელმაც შეითვისა ეროვნული და ზონალური ენების საუკეთესო ელემენტები.

მაშასადამე, ორი სხვადასხვანაირი ფორმულა შეესაბამება საზოგადოების განვითარების ორ სხვადასხვა ეპოქას, და სწორედ იმიტომ, რომ ისინი მათ შეესაბამებიან, ორივე ფორმულა სწორია — თვითეული თავისი ეპოქისათვის.

იმის მოთხოვნა, რომ ეს ფორმულები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებოდნენ, რომ ისინი ერთმანეთს არ გამორიცხავდნენ, — ისეთივე უაზრობაა, როგორი უაზრობაც იქნებოდა იმის მოთხოვნა, რომ კაპიტალიზმის ბატონობის ეპოქა არ ეწინააღმდეგებოდეს სოციალიზმის ბატონობის ეპოქას, რომ სოციალიზმი და კაპიტალიზმი ერთმანეთს არ გამორიცხავდნენ.

მედავითნეებსა და თალმუდისტებს მარქსიზმი, მარქსიზმის ცალკეული დასკვნები და ფორმულები მიაჩნიათ დოგმატების კრებულად, რომლებიც „არასოდეს“ არ იცვლება, მიუხედავად საზოგადოების განვითარების პირობების ცვლილებისა. მათ ჰგონიათ, რომ თუ დაიზეპირებენ ამ დასკვნებსა და ფორმულებს და შეუდგებიან მათს წაღმა-უკუღმა ციტირებას, შეეძლებათ გადაწყვიტონ ყოველი საკითხი, იმ ვარაუდით, რომ დაზეპირებული დასკვნები და ფორმულები ყველა დროისა და ქვეყნისათვის, ცხოვრების ყველა შემთხვევისათვის გამოადგებათ. მაგრამ ასე ფიქრი შეუძლიათ მხოლოდ ისეთ ადამიანებს, რომლებიც ხედავენ მარქსიზმის ასოს, მაგრამ ვერ ხედავენ მის არსს, იზეპირებენ მარქსიზმის დასკვნებისა და ფორმულების ტექსტებს, მაგრამ არ ესმით მათი შინაარსი.

მარქსიზმი არის მეცნიერება ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონთა შესახებ, მეცნიერება ჩაგრული და ექსპლოატირებული მასების რევოლუციის შესახებ, მეცნიერება ყველა ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ, მეცნიერება კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის შესახებ. მარქსიზმი, როგორც მეცნი-

ერება, არ შეიძლება ერთ ადგილზე იდგეს, — იგი ვითარდება და სრულყოფილი ხდება. თავის განვითარებაში მარქსიზმი არ შეიძლება არ მდიდრდებოდეს ახალი გამოცდილებით, ახალი ცოდნით,— მაშასადამე, ცალკეული მისი ფორმულები და დასკვნები არ შეიძლება არ იცვლებოდეს დროთა განმავლობაში, არ შეიძლება არ შეიცვალოს ახალი ფორმულებითა და დასკვნებით, რომლებიც შეესაბამება ახალ ისტორიულ ამოცანებს. მარქსიზმი არ ცნობს უცვლელ, ყველა ეპოქისა და პერიოდისათვის სავალდებულო დასკვნებსა და ფორმულებს. მარქსიზმი ყოველგვარი დოგმატიზმის მტერია.

1950 წლის 28 ივლისი.

„პრავდა". 1950 წ. 2 აგვისტო.

სამეცნიერო და შემოქმედებითს ორგანიზაციებში მუშაობის ზოგიერთი საკითხის შესახებ

ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანის საანგარიშო მოხსენებიდან თბილისის XX საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე 1951 წლის 10 იანვარს

თბილისში თავმოყრილია ყველა ჩვენი წამყვანი სამეცნიერო დაწესებულება, უმაღლესი სასწავლებლები, თეატრები, ინტელიგენციის შემოქმედებითი კავშირები. ეს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს დედაქალაქის პარტიულ ორგანიზაციას ქართული საბჭოთა კულტურის განვითარებისათვის.

ქართული მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის უდიდესი წარმატებანი ფართოდ არის ცნობილი. ამიტომ საჭიროდ არ მიმაჩნია შევაჩერო თქვენი ყურადღება მათს ჩამოთვლაზე. უფრო სასარგებლო იქნება რამდენიმე სიტყვა ითქვას პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებებზე ამ დარგში.

გასულ წელს ჩვენი პარტიის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ენათმეცნიერების საკითხებზე ამხანაგ სტალინის შრომების გამოქვეყნება. ამ შრომების მნიშვნელობა შორს სცილდება ენათმეცნიერების ფარგლებს. მათში ამხანაგმა სტალინმა ახლებურად დააყენა და გენიალურად გადაჭრა მარქსისტულ-ლენინური თეორიის მთელი რიგი ძირითადი საკითხები. ამ ნაშრომებს ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აჰყავთ ჩვენი პარტიის მთელი იდეოლოგიური ცხოვრება.

ამხანაგ სტალინის ახალმა შრომებმა ცხადყო ბევრი ნაკლი ჩვენი მუშაობისა მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების განვითარების საქმისადმი ხელმძღვანელობაში. ეს პირველ რიგში ეხება ქართული ლიტერატურული ენის განვითარებისა და სრულყოფის საკითხებს.

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, როცა ქართველმა ხალხმა მიიღო თავისი სახელმწიფოებრიობა და განუსაზღვრელი შესაძლებლობანი კულტურის განვითარებისა მშობლიური ენის საფუძველზე,

ქართული ლიტერატურული ენა უმაგალითოდ განვითარდა და გამდიდრდა. ჩვენ ამჟამად გვაქვს ვრცელი მათემატიკური, ტექნიკური, ფილოსოფიური, აგრონომიული ტერმინოლოგია. მეცნიერების ყველა დარგში შექმნილია სპეციალური, სასწავლო და პოპულარული ლიტერატურა. ჩვენს უმაღლეს სკოლაში აღზრდილმა სპეციალისტთა კადრებმა ფართოდ გაავრცელეს სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინები და ცნებები და დაამკვიდრეს ისინი ყოველდღიურ ცხოვრებაში. ახლა მშენებლობებზე, მტს-ებში, ქარხნებში ქართველი სპეციალისტები და მუშები ძირითადად ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიით სარგებლობენ. ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს მშობლიურ ენაზე ითვისებს.

ყოველივე ეს საბჭოთა ხელისუფლებამდე წარმოუდგენელი იყო, რადგან სკოლიდან, სახელმწიფო დაწესებულებებიდან, ქარხნებიდან და ფაბრიკებიდან ქართული ენის განდევნის გამო სპეციალური ტერმინოლოგია და გამოთქმები არ იქმნებოდა და ჩვენს მეცნიერთა ცალკეულ ცდებს ამ მიმართულებით არ შეიძლებოდა შესამჩნევი შედეგები მოჰყოლოდა. ამის გამო იმ დროს ქართული ენა, რომელსაც მდიდარი ლექსიკა და გრამატიკული წყობის მოქნილი ფორმები ჰქონდა და მხატვრული ლიტერატურის, თეატრის, ნაწილობრივ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა განვითარების მძლავრ საშუალებას წარმოადგენდა, სუსტი იყო როგორც ტექნიკურ მეცნიერებათა განვითარების იარაღი. ახლა კი, საბჭოთა ხელისუფლებისა და ბოლშევიკური პარტიის მზრუნველობის მეოხებით ჩვენ ერთ-ერთი უმდიდრესი და კულტურული ენის პატრონი ვართ.

მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ჩვენი ენა შემდგომ აღარ უნდა განვითარდეს.

> „მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და ტრანსპორტის, ტექნიკისა და მეცნიერების განუწყვეტელი ზრდა, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — ენისაგან მოითხოვს მისი ლექსიკის შევსებას ახალი სიტყვებითა და გამოთქმებით, რომლებიც საჭიროა მათი მუშაობისათვის. და ენა, უშუალოდ ასახავს რა ამ საჭიროებას, ავსებს თავის ლექსიკას ახალი სიტყვებით, სრულყოფს თავის გრამატიკულ წყობას“.

მაშასადამე, ქართველი ხალხის სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის სწრაფი განვითარების მხარდამხარ უნდა ვითარდებოდეს ჩვენი ენაც. ახალი საჭირო სიტყვებით გამდიდრებასთან ერთად, ენა უნდა სრულყოფდეს თავის გრამატიკულ წყობასაც.

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ენა უნდა დანაგვიანდეს ზედმეტი პროვინციალიზმებით, ცალკეული ადამიანების მიერ გამოგონილი ხელოვნური სიტყვებით. ეს აგრეთვე არ ნიშნავს იმას, რომ ყოველ მწერალს ან ენათმეცნიერს შეუძლია თვითნებურად შეცვალოს ენის ნორმები და გრამატიკული წესები.

სამწუხაროდ, ზოგიერთ ჩვენს გამოჩენილ მწერალს, ლიტერატურათმცოდნეს, ლინგვისტს, რომლებიც მოწოდებული არიან წამყვანი როლი შეასრულონ ქართული ენის შემდგომი განვითარების საქმეში, ასე როდი ესმით ეს ამოცანა.

ამ მწერალთა და მეცნიერთა პოზიციების მცდარობა რომ შევაფასოთ, ზედმეტი არ იქნება ორიოდე სიტყვით გავიხსენოთ ახალი ქართული ლიტერატურული ენის შექმნისა და დამკვიდრების ისტორიის ზოგიერთი მომენტი.

ახალი ქართული ლიტერატურული ენის საფუძველს წარმოადგენს ქართლ-კახური დიალექტი, რომელიც შეესებულია სხვა ქართული კილოების ენობრივი მასალით და რომელმაც მემკვიდრეობად მიიღო მრავალსაუკუნოვანი ქართული სამწერლო ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციები.

ახალი ლიტერატურული ენის დამკვიდრების დიდ ეროვნულ საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულეს ჩვენი ლიტერატურის უდიდესმა მოღვაწეებმა და ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულისჩამდგმელებმა ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა, აგრეთვე გამოჩენილმა პედაგოგმა იაკობ გოგებაშვილმა. შეიძლება ითქვას, რომ მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებები „კაცია-ადამიანი?!“, „გლახის ნაამბობი“, „კაკო ყაჩაღი“, „ოთარაანთ ქვრივი“, აგრეთვე აკაკი წერეთლის ნაწარმოებები „ბაში-აჩუკი“ და სხვ., ახალმა ენამ სავსებით განდევნა დრომოჭმული არქაული ენა, რომელსაც ხელოვნურად იცავდნენ ფეოდალური არისტოკრატიის ლიტერატორები. საქართველოს ყველა კუთხეში ახალი ლიტერატურული ენის გავრცელებისა და დამკვიდრებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იაკობ გოგებაშვილის ქართული ენის სახელმძღვანელოებს, რომლებზეც ქართველი ხალხის თაობები აღიზარდნენ.

თავის მრავალ სტატიაში, რომლებიც აშუქებდა საქართველოს მაშინდელი ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების უკლებლივ ყველა დარგს, მის ისტორიას, მის კულტურას, ილია ჭავჭავაძეს შემოჰქონდა ახალი სიტყვები და გამოთქმები ეპოქის მიერ წამოყენებული ახალი ცნებების აღსანიშნავად. მაგრამ ამ სიტყვებს იგი

კი არ იგონებდა, არამედ ქმნიდა ქართული ლექსიკური მასალისა და ქართული ენის მიერ შეთვისებული პირველ რიგში რუსული სიტყვების, აგრეთვე გავრცელებული უცხო სიტყვების საფუძველზე.

მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა შემდეგი თაობა ძირითადად განაგრძობდა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ხაზს და ხელს უწყობდა ქართული ლიტერატურული ენის განუწყვეტელ განვითარებას.

სოციალურ-ეკონომიური, პოლიტიკური, ფილოსოფიური ტერმინებითა და გამოთქმებით ქართული ენის გამდიდრებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ამხანაგ სტალინის ადრინდელ ნაშრომებს, რომლებიც დაწერილია ქართულ ენაზე.

ამხანაგ სტალინის ეს ნაშრომები შესანიშნავია აგრეთვე როგორც ქართული ლიტერატურული სტილის ნიმუში. სხარტი ფრაზები, მკაფიო გამომსახველობა, გენიალური სისადავე და სიცხადე,— აი რით ხასიათდება ამ ნაწარმოებთა ენა.

შავი რეაქციისა და მენშევიკთა ხანმოკლე ბატონობის წლებში ქართული ენის განვითარების საქმეს დიდი ზიანი მიაყენეს მენშევიკმა ლიტერატორებმა ნოე ჟორდანიას მეთაურობით. ისინი თავიანთ ნაწერებში სარგებლობდნენ არა ლიტერატურული ენით, არამედ დასავლეთ საქართველოს კილოებით, რომლებსაც ახასიათებს ძირითადი სიტყვების შეკვეცილი დაბოლოებანი და ნაკლებად გასაგები პროვინციული გამოთქმები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას სათავეში ჩაუდგა ერთგული სტალინელი ამხ. ლ. პ. ბერია, ქართველი ხალხის მეურნეობისა და კულტურის სწრაფ ზრდასთან ერთად მდიდრდებოდა და სრულყოფილი ხდებოდა ქართული ენაც, ამასთან აღდგენილ იქნა მისი განვითარების სწორი ხაზი, რაც დაისახა ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და იაკობ გოგებაშვილის დროიდან. ეს ხაზი კვლავაც უნდა გაგრძელდეს.

ცოცხალი ხალხური სალაპარაკო ენა ლიტერატურული ენის გამდიდრების დაუშრეტელი წყაროა. კოლმეურნეობები მათი მაღალგანვითარებული სოციალისტური მეურნეობით, კულტურითა და ყოფაცხოვრებით, მათი მჭიდროდ საზოგადოებრივი ცხოვრებით, უდიდესი, უხვად აღჭურვილი საწარმოები და ახალმშენებლობანი, სადაც შემოქმედებითს შრომას ეწევიან ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასი და ტექნიკური ინტელიგენცია, სამეცნიერო-საკვლევი ინსტი-

ტუტები და ლაბორატორიები, ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი სკოლა — აი სად წარმოიშობა ჩვენი ცხოვრების ახალი მოვლენები, ჩნდება ახალი ცნებები და, მაშასადამე, მდიდრდება ენა, რომელიც უშუალოდ ასახავს ამ მოვლენებს და აღნიშნავს მათ ახალი სიტყვებითა და გამოთქმებით.

ჩვენი მეცნიერება და მხატვრული ლიტერატურა მოვალენი არიან ფხიზლად ადევნონ თვალი ახალ ენობრივ მოვლენებს, ახალი სიტყვებიდან და გამოთქმებიდან შეარჩიონ მხოლოდ ისეთები, რომლებიც ნამდვილად საჭიროა ლიტერატურული ენისათვის, და ისინი საყოველთაო კუთვნილებად გახადონ.

მხატვრული და მეცნიერული ლიტერატურის, სკოლის, თეატრის, გაზეთების, ჟურნალების საშუალებით აქტიურად უნდა შევუწყოთ ხელი მთელ ხალხში თანამედროვე ერთიანი ქართული ენის შემდგომ დამკვიდრებას. ეს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანაა.

ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ბრძოლა ენის სიწმინდისათვის. და სავსებით სწორი იყო გაზეთ „კომუნისტის“ გამოსვლა ქართული ლიტერატურული ენის დამახინჯებისა და არქაიზმებით დანაგვიანების წინააღმდეგ მწერალ კ. გამსახურდიას მიერ, რომელიც თავგამოდებით ცდილობს აიძულოს საბჭოთა ადამიანები ილაპარაკონ დასავლეთევროპული ბარბარიზმებით შეზავებული ადრინდელი შუასაუკუნეობრიობის ენით.

ქართული ენის სიწმინდის დაცვის საქმეში, თუმცა გაცილებით ნაკლებს, მაგრამ, სამწუხაროდ, მაინც სცოდავს ზოგიერთი სხვა მწერალიც.

ჩვენ ყველანი ვაფასებთ და პატივს ვცემთ ერთ-ერთ საუკეთესო საბჭოთა პოეტს ამხ. გ. ლეონიძეს. მისი შესანიშნავი ეპოპეა ბელადის ბავშვობის შესახებ მთელი მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის კუთვნილება გახდა და თარგმნილია მსოფლიოს ბევრი ხალხის ენაზე. ამხ. ლეონიძემ მშვენიერი ლექსებით უმღერა ქართველი ხალხის თანამედროვე ცხოვრების სხვადასხვა მხარეს. მით უფრო სამწუხაროა, რომ იგი ზოგჯერ დაუდევრად ეპყრობა ქართული ენის სიწმინდეს. ეს აქ იმიტომაც უნდა ითქვას, რომ ამხ. ლეონიძე პარტიის წევრია.

ამხ. ლეონიძის ზოგიერთ ნაწარმოებში ხშირად შეხვდებით ავტორის მიერ გამოგონილ ზედმეტ კომპოზიტებსა და ახალ სიტყვებს. მაგალითად, მას პოეზიაში შემოაქვს სიტყვა „ცხენმხედარი“ **(სიცილი)**. იგი ხმარობს გამოთქმას „ნიავი სამინდორული“ რომლის

მნიშვნელობას ვერავინ ვერ გაიგებს, „წვიმის“ ნაცვლად რითმის გულისათვის წერს „წვიმილს“ და ა. შ.

გამოგონილი სიტყვები, გამოთქმები და გაუგებარი სახეები გვხვდება ნიჭიერი პოეტის, პარტიის წევრის ამხ. ს. ჩიქოვანის ლექსებსა და პოემებშიც. მაგალითად, ვერ გაიგებ, რის თქმა სურს ამხ. ჩიქოვანს ასეთი სიტყვებით:

ეხლა ოცნება ბაღში იცხონოს,
და-ძმათ შეიცნოს ფერი და სუნი,
რომ ბუნებაში ერთად იცხოვრონ
კვირტით აბოლდეს წინაპრის სული.

ცნობილი პოეტების გავლენით სიტყვების ზედმეტ და მავნე თხზვას ზოგჯერ ეწევიან ახალგაზრდა დამწყები მწერლებიც.

უაზრო სიტყვებისა და გამოთქმების, აგრეთვე არაბუნებრივი, გაუგებარი სახეების ხმარება უეჭველად ნაშთია ჩვენს პოეტებზე ქართველი სიმბოლისტების, ეგრეთწოდებული „ცისფერყანწელების“ გავლენისა. გახრწნილი დასავლეთევროპული ბურჟუაზიული კულტურის ამ აგენტებმა უდიდესი ზიანი მიაყენეს ქართულ პოეზიასა და ენას. სწორედ ისინი ეწეოდნენ იმის პროპაგანდას, რომ ყოველ პოეტს გამოეგონა „ახალი“, მხოლოდ მისთვის გასაგები სიტყვები. უნეოლოგიზმო ლექსებს ისინი პოეზიად არ თვლიდნენ.

ამ მტრული გავლენის კვალი ჩვენს ლიტერატურაში უახლოეს ხანში უნდა აღმოიფხვრას.

საკმაო კარგი მდგომარეობა ვერა გვაქვს წარსულის ზოგიერთი დიდი მწერლის შემოქმედებითი მემკვიდრეობის კრიტიკული ათვისების საქმეში. მწერალთა კავშირი, რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი, მწერლები, კრიტიკოსები და ლიტერატურათმცოდნეები ყოველთვის როდი იცავენ ბოლშევიკურ ხაზს ამ საკითხში. ამ მდგომარეობის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს ერთ-ერთი გამოჩენილი ქართველი პოეტის ვაჟა-ფშაველას შემოქმედების შეფასება ჩვენი კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის მიერ.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისადმი მიძღვნილი მთელი ვრცელი ლიტერატურა თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია პოეტის ლიტერატურული მემკვიდრეობის ყველა მხარისათვის ხოტბის შესხმით. ამავე დროს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისადმი ასეთი არაკრიტიკული მიდგომის საფუძველი არ არსებობს.

ვაჟა-ფშაველა განცალკევებით დგას მის უფროს თანამედრო-

ვეთა, პროგრესულ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა — ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და სხვათა პლეადაში. იგი დაჯილდოებული იყო დიდი პოეტური ნიჭით და ფართო განათლებაც ჰქონდა, მაგრამ მაინც ვერ შეძლო ამაღლებულიყო თავისი დროის ამოცანების გაგებამდე. ვაჟა-ფშაველა ფშავის ვიწრო ხეობაში ჩაიკეტა და შეგნებულად შეზღუდა თავისი თემატიკა მთიელ ქართველთა და მათ მეზობელ მთიელ ტომთა სისხლისმღვრელი შინაომებითა და მითოლოგიური სიუჟეტებით. იგი სიყვარულით აგვიწერს მთიელებში გვაროვნული წყობის ნაშთებს. არა მარტო იმ დიდი სოციალური ბრძოლის ამოცანები, რომელიც საქართველოში მის დროს ბობოქრობდა. არამედ ქართველი ხალხის საერთოეროვნული ამოცანებიც ჯეროვნად არ ყოფილა ასახული ვაჟა-ფშაველას პოეტურ შემოქმედებაში.

ვაჟა-ფშაველას არასწორი პოზიცია ეკავა ლიტერატურული ენის საკითხში. იგი ცდილობდა პოეტურ მეტყველებად დაეშკვიდრებინა ქართული ენის ფშაური კილო, რომელსაც ლიტერატურული განვითარება არ შეხებია და რომელიც თანამედროვეობას მრავალი საუკუნით ჩამორჩა. ეს ეწინააღმდეგებოდა საერთო-ქართული ლიტერატურული ენის დამკვიდრებას. და ქართული კულტურის მოწინავე მოღვაწეებს არაერთხელ გამოუთქვამთ პოეტის წინაშე თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულება მის ნაწარმოებთა ენისადმი.

აკაკი წერეთელმა ვაჟა-ფშაველასადმი მიმართულ ლექსში, რომელიც 1913 წელს გაზეთ „თემში“ დაიბეჭდა, აშკარად დაუწუნა პოეტს ენა. იგი წერდა:

ენას გიწუნებ, ფშაველო,
მგოსანო მაღალ მთისაო,
თუმც კი გვითესავ მარგალიტს,
მკითხველიც იმას მკისაო!

ამ მიმართვაზე ვაჟა-ფშაველამ უპასუხა ლექსით, რომელშიც გამოთქვა არა მარტო თავისი აღშფოთება აკაკი წერეთლის აზრის წინააღმდეგ, არამედ თავისი „კრედოც“ ლიტერატურული ენის საკითხში:

მე არც ერთს კილოს არ ვწუნობ,
თუა ქართველის გვარისა.
მოთაყვანე ვარ ყოველისა
იმათ ტკბილის და მწარისა.

ამრიგად, ვაჟა-ფშაველა ყოველ პროვინციულ კილოს ანიჭებს ლიტერატურული ენის უფლებას, ე. ი. არსებითად გამოდის იმის წინააღმდეგ, რომ შეიქმნას ერთიანი ქართული ენა, ურომლისოდაც ვერ განვითარდება ხალხის ეკონომიკა და კულტურა.

ცხადია, რომ ამ დავაში მართალი იყო აკაკი წერეთელი. ეს ესმოდათ მაშინდელ მოწინავე ლიტერატორებს, და ბევრი არავინ უჭერდა მხარს ვაჟა-ფშაველას პოზიციას. სამაგიეროდ საბჭოთა ლიტერატურათმცოდნენი, თუმცა ეს მეტად უცნაურია, მის მხარეზე დადგნენ და ბრალი დასდეს აკაკი წერეთელს უსამართლო დამოკიდებულებაში ვაჟა-ფშაველას ენისადმი. ასე იქცევიან, მაგალითად, კომუნისტი კრიტიკოსები ამხ. რადიანი და ამხ. ჭეიშვილი.

ეხება რა აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას დავას ენის შესახებ, ამხ. რადიანი პირდაპირ აცხადებს: „რასაკვირველია, ამ პაექრობაში სიმართლე ვაჟა-ფშაველას მხარეზე იყო“. ამხ. ჭეიშვილი კი ამავე საკითხზე წერს: „დღეს, ვგონებ, ყველასათვის აშკარაა, რომ აკაკი ცდებოდა; რომ მიუხედავად ფშაური სიტყვაქცევის მძიმე ჯაგშანისა, რომელშიც ჩაჭედილი იყო ვაჟას პოეზია, იგი მარჯვედ მიიკაფავდა გზას ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხის მკითხველთა შეგნებამდი“.

ერთი უნდა ვკითხოთ ამხ. ჭეიშვილს: თუ ვაჟა-ფშაველას ენა ყველასათვის ასე კარგად გასაგებია, რატომღაა, რომ საჭირო ხდება მის თხზულებათა ყოველ ტომს დაერთოს ამ თხზულებებში ხმარებული ფშაური და ხევსურული სიტყვებისა და გამოთქმების ასახსნელი ვრცელი ლექსიკონი?

დაახლოებით ასეთივე აზრისაა ამ საკითხში კრიტიკოსი გ. ქიქოძეც. აქვე ვიტყვით, რომ ვაჟა-ფშაველას თხზულებათა თითქმის ყველა გამოცემას წამძღვარებული აქვს გ. ქიქოძის შესავალი სტატიები. ამ სტატიებში ამხ. ქიქოძე სჯერდება ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა შინაარსის ობიექტივისტურ გადმოცემას, მის იდეათა აღწერას და არ იძლევა მათს არავითარ კრიტიკულ შეფასებას. ამასთან ამხ. ქიქოძე გასაოცარ არათანმიმდევრობას იჩენს ვაჟა-ფშაველას პოეზიისა და პიროვნებისადმი დამოკიდებულებაში. 1915 წელს დაწერილ და 1926 წელს ხელახლა გამოცემულ სტატიაში გ. ქიქოძე, შეიძლება ითქვას, ანადგურებს პოეტს. იგი წერს: „ვაჟა-ფშაველა ჩამორჩენილი ადამიანი იყო. ვერც სემინარიის კურსმა, ვერც უნივერსიტეტის ლექციებმა თანამედროვე სული ვერ ჩაუდგეს. მისი მგრძნობიარობა პრიმიტიული დარჩა, მისი

ფანტაზია — ველური, მისი მორალი — საშუალო-საუკუნოებრივი. მას არაფერი გაეგებოდა არც ჩვენი უტილიტარიზმისა, არც ჩვენი რაციონალიზმისა. და ელექტრონისა, ორთქლმავლისა და მანქანების ხანაში ის წარსულის აჩრდილს ჰგავდა თავისი ჩაფხუტით და თავისი რაინდობით". საბჭოთა პერიოდის სტატიებში კი ამხ. ჭიქოძე ვერც ერთ ჩრდილოვან მხარეს ვერ ამჩნევს ვაჟა-ფშაველას პოეზიასა და მსოფლმხედველობაში. მარქსისტი კრიტიკოსი ასე არ უნდა იქცეოდეს.

ვაჟა-ფშაველას მსოფლმხედველობისა და ენის მცდარი შეფასება გადადის სასკოლო სახელმძღვანელოებში და ინერგება ახალგაზრდა თაობაში.

აუცილებელია ბოლო მოეღოს ასეთ არაკრიტიკულ დამოკიდებულებას ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისადმი.

ვაჟა-ფშაველას უკვდავი პოეტური ნაწარმოებები ქართული ლიტერატურის ძირითად ფონდში შევიდა. ჩვენი ლიტერატურათმცოდნენი მით უფრო ვალდებული არიან დაანახვონ საბჭოთა მკითხველს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობას, ვაჟა-ფშაველას მემკვიდრეობის სუსტი მხარეები და იდეური ჩამორჩენილობა, მისი პოეტური ენის სერიოზული ნაკლოვანებანი.

ენისა და ენათმეცნიერების განვითარებას ძლიერ აბრკოლებდა ბევრი ენათმეცნიერი. უცნაურია, მაგრამ კომუნისტ ენათმეცნიერებს, ნაცვლად იმისა, რომ გარკვეულიყვნენ მარის თეორიის უმაქნისობაში, თავმოსაწონ საქმედ მიაჩნდათ გამოეცხადებინათ თავი მის მომხრედ. ისინი თავს ესხმოდნენ ყველას, ვინც ბედავდა მარის გაკრიტიკებას. ზოგიერთმა მათგანმა არა მარტო დისკუსიამდე, არამედ ენათმეცნიერების საკითხებზე ამხანაგ სტალინის ნაშრომთა გამოქვეყნების შემდეგაც ვერ უკუაგდო მთლიანად ძველი არამარქსისტული შეხედულებანი.

მეცნიერების ბევრი დარგის წარმომადგენლებს ახლა შეუძლიათ შენატროდნენ ენათმეცნიერებს, რომლებმაც ამხანაგ სტალინის გენიალური შრომებით მიიღეს მტკიცე თეორიული საფუძველი და შემდგომი ნაყოფიერი მუშაობის ნათელი პროგრამა. ენათმეცნიერთაგან ვინც ასეთ ვითარებაშიც არ გარდაქმნის თავის მუშაობას და არ შეუდგება ნაყოფიერ შრომას, ის საბჭოთა მეცნიერის სახელის ღირსი არ არის.

სამეცნიერო და შემოქმედებითი ორგანიზაციების მუშაკთა ერთ ნაწილში ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა არაჯანსაღი ურთიერთობა.

ნაცვლად იმისა, რომ ერთმანეთს ამხანაგური დახმარებას უწევდნენ და საერთო ძალღონით უზრუნველყოფდნენ საქმის წარმატებას, ზოგიერთი მეცნიერი მუშაკი „ამუშაევებს“ და გასაქანს არ აძლევს თავის ამხანაგებს. რა თქმა უნდა, ამას საერთო არა აქვს რა ჯანსაღ კრიტიკასთან, ჯანსაღ შეჯიბრებასთან, რომლის პრინციპიც ის არის, რომ, როგორც დიდი სტალინი გვასწავლის, „მოწინავეებმა ამხანაგური დახმარება გაუწიონ ჩამორჩენილებს, რათა მიღწეულ იქნას საერთო აღმავლობა“.

მაგალითისათვის შეიძლება დაეასახელოთ ჩვენი მათემატიკოსების ურთიერთობა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში მათემატიკური მეცნიერება საქართველოში დიდად განვითარდა. მან წამოაყენა ისეთი სახელები, როგორიც არიან რაზმაძე, მუსხელიშვილი, უფრო ახალგაზრდათაგან — კუპრაძე, ვეკუა და სხვები. მაგრამ ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში წამყვან მეცნიერ მათემატიკოსთა შორის წარმოებს ყრუ ბრძოლა, რომელსაც მეცნიერების განვითარების ინტერესებთან საერთო არა აქვს რა. კრიტიკა კი არა, ერთმანეთის დისკრედიტაცია — აი მეთოდი, რომელსაც ზოგჯერ ეს ამხანაგები მიმართავენ. უნდა აღმოიფხვრას მათემატიკოსთა და მეცნიერთა სხვა ჯგუფებში უპრინციპო ბრძოლა, რომელზეც უსარგებლოდ იხარჯება ესოდენ ბევრი ძალა და დრო.

სამეცნიერო და შემოქმედებითს ორგანიზაციებში ნამდვილი ბოლშევიკური კრიტიკა რომ ყოფილიყო გაჩაღებული, ეს ნაკლოვანებანი არ იქნებოდა. მაგრამ, ვგონებ, არსად არ იჩენენ ისეთ შეუწყნარებლობას კრიტიკისადმი, როგორც მეცნიერთა, მწერალთა და ჩვენი წამყვანი ინტელიგენციის სხვა წარმომადგენელთა ერთ ნაწილში. კულტურის ბევრი მოღვაწე, ზოგი კომუნისტიც კი, კრიტიკას მტკივნეულად იღებს.

არიან მათ შორის ისეთებიც, რომლებსაც თავიანთი თავი მიაჩნიათ „ფუძემდებლებად“ და ა. შ. და მოითხოვენ, რომ მათ განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ. ამ ამხანაგებმა საჭირო დასკვნა უნდა გამოიტანონ ამხანაგ სტალინის შემდეგი სიტყვებიდან, რომლებითაც იგი მკაცრად გმობს მარს სწორედ იმისათვის, რომ მან „...ენათმეცნიერებაში შეიტანა მარქსიზმისათვის შეუფერებელი კადნიერი, ყოყოჩა, ქედმაღლური კილო, რომელიც იწვევს ყოველივე იმის დაუსაბუთებლად და წინდაუხედავად უარყოფას, რაც ენათმეცნიერებაში ნ. ი. მარამდე იყო“.

თბილისის კომიტეტმა და რაიკომებმა უნდა აამაღლონ სამეც-

ნიერო-საკვლევი დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების, შემოქმედებითი ორგანიზაციების პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის დონე. ამ პარტიულ ორგანიზაციებს კარგად უნდა ესმოდეთ თავიანთი სპეციფიკური ამოცანები. მთავარი ყურადღება მათ უნდა მიაქციონ ინტელიგენციაში აღმზრდელობითს მუშაობას. საჭიროა უკუვაგდოთ სავსებით მცდარი შეხედულება, რომ მეცნიერებს, რაკი მაღალკულტურული ადამიანები არიან, თითქოს არ ესაჭიროებათ აღზრდა. ბოლშევიკური აღზრდა ესაჭიროება ყველას, მით უმეტეს უპარტიო მეცნიერს ან იმ მეცნიერს, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც პარტიაში შევიდა.

პირველადი პარტიული ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ როგორც მთლიანად სამეცნიერო დაწესებულებებისა და შემოქმედებითი კავშირების, ისე ცალკეული მეცნიერების, მწერლების, ხელოვნების მუშაკების მუშაობის ნაკლოვანებათა მძაფრი კრიტიკის გაშლის საქმეს მიუხედავად პიროვნებისა.

მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ კულტურის დარგში მდგომარეობის გაშუქებასა და მუშაობის კრიტიკას ჩვენმა რესპუბლიკურმა გაზეთებმა და ჟურნალებმა. ეს საგანგებო აუცილებელია იმისათვის, რომ ჩვენი მეცნიერება, ხელოვნება, ლიტერატურა კიდევ უფრო სწრაფად ვითარდებოდეს.

როგორც სასიხარულო მოვლენა უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელ წლებში მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა მჭიდრო თანამეგობრობის მეოხებით ქართველმა სპეციალისტებმა შექმნეს ახალი კონსტრუქციის მაღალი წარმადობის დაზგები და აპარატურა, შეიმუშავეს ახალი, უფრო გაუმჯობესებული წესი მაგარ შენადნობთა გამოდნობისა, გადაწყვიტეს მეტალურგიაში ღარიბი მარგანეცის მადნის გამოყენების პრობლემა. ჩვენი მეცნიერების და წარმოებაში მომუშავე ინჟინრების ამ ნაშრომებს დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობისათვის. ეს მიღწევები სახელმწიფოს ათეულ მილიონობით მანეთ ეკონომიას მისცემს.

ჩვენი რესპუბლიკა უკვე გახდა მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის, დიდი ელექტროსადგურების რესპუბლიკა. ჩვენმა მეცნიერებმა გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულონ საწარმოებში ტექნიკისა და ტექნოლოგიის განუწყვეტლივ გაუმჯობესების საქმეში. ამას ისინი მიაღწევენ, თუ ბოლშევიკურად მომთხოვნელნი იქნებიან თავიანთი თავისადმი, თუ გამბედაობას გამოიჩენენ ახალი პრობ-

ლემების დაყენებასა და გადაწყვეტაში, თუ მჭიდროდ დაუკავშირდებიან წარმოებას, რადგან, როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის, — „მეცნიერებას სწორედ იმიტომ ეწოდება მეცნიერება, რომ იგი არ ცნობს ფეტიშებს, არ ეშინია ხელი აღმართოს დრომოჭმულის, ძველის წინააღმდეგ და გულისხმიერად უგდებს ყურს გამოცდილების, პრაქტიკის ხმას“.

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, X, 1950—1951.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, X, 1950—1951.

გიორგი როგავა

ახალი, სტალინური ეტაპი საბჭოთა ენათმეცნიერებაში

ი. სტალინის გენიალურმა შრომებმა ენათმეცნიერების საკითხებზე — „მარქსიზმის შესახებ ენათმეცნიერებაში", „ენათმეცნიერების ზოგიერთ საკითხზე" და „პასუხი ამხანაგებს" — საერთო სათაურით „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები", ახალი თეორიული დებულებებით გაამდიდრა სოციალისტური მეცნიერების, მსოფლიოში მოწინავე მეცნიერების, ყველა დარგი. „ამ ნაშრომებს ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აჰყავთ ჩვენი პარტიის მთელი იდეოლოგიური ცხოვრება" (კ. ჩარკვიანი). მეცნიერების უდიდესი კორიფეს ამ შრომებმა სრული გარდატეხა მოახდინა საბჭოთა ენათმეცნიერებაში. „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხების" გამოქვეყნებით იწყება საბჭოთა ენათმეცნიერების განვითარების ახალი, სტალინური ეტაპი. ი. სტალინმა ამ შრომებში, ერთი მხრით, ნათელყო ნ. მარის „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების" სრული მეცნიერული უსაფუძვლობა და, მეორე მხრით, რაც მთავარია, მოგვცა ენათმეცნიერების ყველა საკვანძო საკითხის ღრმა მარქსისტული გადაჭრა.

„მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები" გამოქვეყნდა საენათმეცნიერო დისკუსიასთან დაკავშირებით, რომელიც მოაწყო გაზეთ „პრავდის" რედაქციამ 1950 წლის მაის-ივნისში. სამეცნიერო დისკუსიათა ისტორიამ არ იცის მეორე ისეთი ბედნიერი შემთხვევა, რომ ასე წარმატებით ყოფილიყო გადაწყვეტილი ყველა სადისკუსიო საკითხი. ამ შრომათა წყალობით საბჭოთა ენათმეცნიერებამ თავი დააღწია ნ. მარის საენათმეცნიერო მოძღვრებით შექმნილ კრიზისს; მას მიეცა სრული შესაძლებლობა გახდეს მსოფლიოში მოწინავე მეცნიერება. „მეცნიერების ბევრი დარგის წარმომადგენლებს ახლა

1. ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, X, 1950—1951.

შეუძლიათ შენატროდნენ ენათმეცნიერებს, რომლებმაც ამხანაგ სტალინის გენიალური შრომებით მიიღეს მტკიცე თეორიული საფუძველი და შემდგომი ნაყოფიერი მუშაობის ნათელი პროგრამა“ (კ. ჩარკვიანი).

ი. სტალინის შრომებში ენათმეცნიერების შესახებ გენიალური სიცხადითა და სიღრმითაა გადაჭრილი ენათმეცნიერების ყველა ძირითადი საკითხი, როგორიცაა: 1. ენის რაობის საკითხი, 2. ენისა და საზოგადოების ურთიერთობის საკითხი. 3. ენისა და დიალექტების რაობისა და ურთიერთობის საკითხი, 4. ენის განვითარების საკითხი, 5. ენის წარმოშობის საკითხი. 6. ენათმეცნიერების წამყვანი დარგების (მორფოლოგია, სინტაქსი, ლექსიკოლოგია...) საკითხი, 7. ენისა და აზროვნების ურთიერთობის საკითხი, 8. ენათმეცნიერების მეთოდის საკითხი და სხვ... ი. სტალინმა მოგვცა ენის საფუძვლის გენიალური განსაზღვრა.

ი. სტალინის მოძღვრების თანახმად ენის საფუძველს შეადგენს ენის გრამატიკული წყობა და მისი ძირითადი ლექსიკური ფონდი.

ი. სტალინმა ენის ლექსიკური შემადგენლობისაგან გამოყო ენის ძირითადი ლექსიკური ფონდი, რომელიც წარმოადგენს ენის ლექსიკის არსებითს ნაწილს. „ენის ლექსიკურ შემადგენლობაში მთავარია ძირითადი ლექსიკური ფონდი, რომელშიც შედის ყველა ძირეული სიტყვა, როგორც მისი ბირთვი. იგი გაცილებით უფრო ნაკლებ ვრცელია, ვიდრე ენის ლექსიკური შემადგენლობა, მაგრამ ცოცხლობს ძალიან დიდხანს, საუკუნეთა განმავლობაში და არის ენის ბაზა ახალი სიტყვების წარმოსაქმნელად“ [1].

ამგვარად, ენის ძირითადი ლექსიკური ფონდი, როგორც ი. სტალინი გვასწავლის, ხასიათდება დიდი გამძლეობით. იგი საუკუნეთა განმავლობაში უცვლელი რჩება. ასეთი სიტყვებია ენაში კაცი, ქალი, ქვა, ხე, მიწა, წყალი, მიდის, ჭამს, მე, შენ და სხვა. ასეთი სიტყვების შეცვლა ახალი სიტყვებით ერთი რომელიმე ეპოქის განმავლობაში არც საჭიროა და არც შესაძლებელი. „ისტორია საერთოდ რაიმე არსებითს ისე არ აკეთებს, თუ ეს მაინცადამაინც საჭირო არ არის“ [2].

სულ სხვაგვარი ბუნებისაა ენის ლექსიკური შემადგენლობა. იგი „როგორც ყველაზე ცვალებადი, თითქმის განუწყვეტლივ იცვლება“.

---

[1] ი. სტალინი. მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, 1950, გვ. 21.

[2] იქვე, გვ. 8.

ენის ლექსიკური შემადგენლობის ცვლა ხდება „არსებული ლექსიკის იმ ახალი სიტყვებით შევსების გზით, რომლებიც წარმოიშვნენ სოციალური წყობილების შეცვლასთან, წარმოების განვითარებასთან, კულტურის, მეცნიერებისა და ა. შ. განვითარებასთან დაკავშირებით“ [1]. ასეთი ახალი სიტყვები იწარმოება პირველ რიგში ძველიდანვე არსებული სიტყვების ბაზაზე: რგოლი — მერგოლური. ფუტკარი — მეფუტკრე — მეფუტკრეობა, მხარე — სამხარეო და ა. შ. მეორე მხრით, ენის ლექსიკური შემადგენლობიდან ადვილად შეიძლება ამოვარდეს მოძველებული სიტყვები, ძველი ყოფის გამომხატველი სიტყვები — (გზირი, ბოქაული, კვირისთავი, ჩალანდარი და ა. შ.).

ენის საფუძვლის მეორე შემადგენელი ნაწილი — ენის გრამატიკული წყობა — უფრო გამძლეა, ვინემ ენის ძირითადი ლექსიკური ფონდი. „ენის გრამატიკული წყობა, — წერს ი. სტალინი, — კიდევ უფრო ნელა იცვლება, ვიდრე მისი ძირითადი ლექსიკური ფონდი. ეპოქათა განმავლობაში შემუშავებული გრამატიკული წყობა, რომელიც ენას შეუსისხლხორცდა, კიდევ უფრო ნელა იცვლება, ვიდრე ძირითადი ლექსიკური ფონდი. იგი, რა თქმა უნდა, იცვლება დროთა ვითარებაში, იგი უფრო სრულყოფილი ხდება, აუმჯობესებს და აზუსტებს თავის წესებს, იძენს ახალ წესებს, მაგრამ გრამატიკული წყობის საფუძვლები რჩება მეტად დიდი ხნის განმავლობაში, რადგან ამ საფუძვლებს, როგორც ისტორია გვიჩვენებს, შეუძლიათ წარმატებით ემსახურონ საზოგადოებას მთელი რიგი ეპოქების მანძილზე“ [2].

ენის ძირითადი ლექსიკური ფონდი და გრამატიკული წყობა ისეთი მასალაა, რომელსაც შეუძლია წარმატებით ემსახუროს საზოგადოებას საუკუნეების განმავლობაში. მათი შეცვლა არ ხდება საზოგადოების რომელიმე წყობილების შეცვლის გამო. საუკუნეების მანძილზე შემუშავებული ენის გრამატიკული წყობა არ შეიძლება შეიცვალოს საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიმე ერთ პერიოდში.

თვალი რომ გადავავლოთ ამა თუ იმ ენის ისტორიას, ადვილად დავრწმუნდებით, თუ როგორი გამძლეობა ახასიათებს ენის გრამატიკულ წყობას და მის ძირითადს ლექსიკურ ფონდს. ი. სტალინს მოჰყავს მაგალითი ბალკანეთის ხალხთა ენების ისტორიიდან. მრავალი ათეული და ასეული წლების განმავლობაში თურქი ასიმილა-

[1] იქვე, გვ. 23.
[2] იქვე, გვ. 23.

ტორები შეუნელებელ ბრძოლას აწარმოებდნენ ბალკანური ენების მოსასპობად და თურქული ენის დასამკვიდრებლად, მაგრამ ბალკანური ენები გადაურჩნენ მოსპობას. გადარჩა ბალკანური ენების გრამატიკული წყობა და მისი ძირითადი ლექსიკური ფონდი.

დიდი ხანია, რაც თურქი ასიმილატორები ცდილობენ მოსპონ ჰანური მეტყველება. რამდენიმე საუკუნეა ჰანური მეტყველება მომწყვდეული თურქული ენის არტახებში. მიუხედავად ამისა, ჰანური მაინც განაგრძობს არსებობას. ჰანურმა შეინარჩუნა თავისი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი.

ი. სტალინის მოძღვრებაში ენის შესახებ ცენტრალური ადგილი უჭირავს ენისა და საზოგადოების ურთიერთობის საკითხს. ენა საზოგადოებრივი მოვლენაა. „ენა არის საშუალება, იარაღი, რომლის შემწეობითაც ადამიანებს ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან, უზიარებენ ერთმანეთს აზრებს და აღწევენ ურთიერთგაგებას“ [1]. ენა საზოგადოების კუთვნილებაა. „საზოგადოების გარეშე ენა არ არსებობს“. პირიქით, ენის გარეშე არ არსებობს საზოგადოება. „უენოდ საზოგადოება წყვეტს არსებობას“. ენის წარმოშობა და განვითარება შეპირობებულია საზოგადოების განვითარებით.

ენის სოციალური ბუნების შესახებ ლაპარაკია საზღვარგარეთულ ენათმეცნიერებაში. კერძოდ, სოციოლოგიური სკოლის წარმომადგენლები (დე-სოსიური, მეიე და სხვ.) აღიარებენ ენის სოციალურობას, მაგრამ ისინი ეყრდნობიან რა იდეალისტურ ფილოსოფიას, სულ სხვაგვარად ესმით საზოგადოებაც და მისი განვითარების საკითხიც. ამდენადვე მათი გაგება ენის სოციალურობის შესახებ მცთარი და მიუღებელია.

ენაზე, როგორც საზოგადოებრივ მოვლენაზე, ლაპარაკია აგრეთვე „ახალ საენათმეცნიერო მოძღვრებაში“. კერძოდ, ნ. მარი ენას მიიჩნევდა საზოგადოებრივ მოვლენად და აქედან გამოჰყავდა დასკვნა, რომ ენა, როგორც საზოგადოებრივი მოვლენა, ზედნაშენური კატეგორიაა და ამდენადვე კლასობრივიცო.

ი. სტალინმა მოგვცა რა საზოგადოების სტრუქტურის ღრმა მარქსისტული ანალიზი, ზედმიწევნითი სიზუსტით დაამტკიცა, რომ ენა არსებითად განსხვავდება სხვა საზოგადოებრივი მოვლენებისაგან, რომ ენა არ წარმოადგენს საზოგადოებრივი წყობილების ზედნაშენს. „მარქსისტი ენას ბაზისის ზედნაშენად ვერ მიიჩნევს; ენისა და ზედნაშენის ერთმანეთში არევა სერიოზული შეცდომაა“ [2].

[1] იქვე, გვ. 20.
[2] იქვე, გვ. 9.

ი. სტალინმა მოგვცა რა ბაზისისა და ზედნაშენის კლასიკური განსაზღვრება, გამოყო ოთხი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი, რითაც ენა განსხვავდება ზედნაშენისაგან:

1. „ყოველ ბაზისს აქვს საკუთარი, თავისი შესაბამისი ზედნაშენი... თუ იცვლება და ისპობა ბაზისი, იცვლება და ისპობა მისი ზედნაშენიც, თუ წარმოიშვება ახალი ბაზისი, წარმოიშვება მისი შესაბამისი ზედნაშენიც. ენა ამ მხრივ ძირეულად განსხვავდება ზედნაშენისაგან“ [1]. ამა თუ იმ ბაზისის შეცვლა არ იწვევს ენის არსებითს შეცვლას. ენა ამ შემთხვევაში არ იზიარებს ზედნაშენის ბედს.

ამ ჭეშმარიტი დებულების საილუსტრაციოდ ი. სტალინი იმოწმებს რუსული ენის განვითარების ისტორიას ამ 30 წლის განმავლობაში. „უკანასკნელი 30 წლის მანძილზე რუსეთში მოისპო ძველი, კაპიტალისტური ბაზისი და აშენდა ახალი, სოციალისტური ბაზისი. ამის შესაბამისად მოისპო კაპიტალისტური ბაზისის ზედნაშენი და შეიქმნა ახალი ზედნაშენი, რომელიც სოციალისტურ ბაზისს შეესაბამება. მაშასადამე, ძველი პოლიტიკური, უფლებრივი და სხვა დაწესებულებანი შეიცვალა ახალი, სოციალისტური დაწესებულებებით. მაგრამ, მიუხედავად ამისა, რუსული ენა ძირითადად ისეთივე დარჩა, როგორიც იყო ოქტომბრის გადატრიალებამდე“ [2].

2. ზედნაშენს წარმოშობს ბაზისი, მაგრამ ზედნაშენი არაა ნეიტრალური, გულგრილი თავისი ბაზისის ბედისადმი. ზედნაშენი ამავე დროს წარმოადგენს უდიდეს ძალას ბაზისის ჩამოყალიბებისა და განმტკიცების საქმეში. ზედნაშენი აქტიურად ემსახურება თავის ბაზისს. ზედნაშენი, რომელიც ხელს იღებს ასეთ სამსახურზე, კარგავს თავის თვისობრიობას.

„ენა ამ მხრივ, — წერს ი. სტალინი, — ძირეულად განსხვავდება ზედნაშენისაგან. ენას წარმოშობს არა ესა თუ ის ბაზისი, ძველი ან ახალი ბაზისი, ამა თუ იმ საზოგადოების შიგნით, არამედ საუკუნეთა მანძილზე საზოგადოების ისტორიისა და ბაზისების ისტორიის მთელი მსვლელობა. ენა შექმნილია არა ერთი რომელიმე კლასის, არამედ მთელი საზოგადოების, საზოგადოების ყველა კლასის მიერ, ასეულ თაობათა ძალღონით“ [3].

3. ზედნაშენი ერთი რომელიმე ბაზისის პროდუქტია. ბაზისის მოსპობასთან ერთად ისპობა ზედნაშენიც, ამიტომ ზედნაშენი არ ცოცხლობს დიდხანს. „ენა კი, პირიქით, პროდუქტია მთელი რიგი

[1] იქვე, გვ. 3-4.
[2] იქვე, გვ. 4.
[3] იქვე, გვ. 5.

ეპოქებისა, რომელთა მანძილზე იგი ყალიბდება, მდიდრდება, ვითარდება, იხვეწება. ამიტომ ენა გაცილებით უფრო დიდხანს ცოცხლობს, ვიდრე რომელიმე ბაზისი და რომელიმე ზედნაშენი" [1].

ამ დებულების სისწორეს თვალსაჩინოდ ხდის ი. სტალინის მიერ აღნიშნული ფაქტი რუსული ენის განვითარების ისტორიიდან.

პუშკინის შემდეგ მოისპო ფეოდალური და კაპიტალისტური წყობილებები და წარმოიშვა მესამე, სოციალისტური წყობილება, მაგრამ რუსულ ენას ამ ხნის განმავლობაში რაიმე სახის რღვევა არ დასტყობია. „თანამედროვე რუსული ენა თავისი სტრუქტურის მხრივ ბევრით არაფრით განსხვავდება პუშკინის ენისაგან" [2].

4. ზედნაშენი ადამიანთა საწარმოო საქმიანობასთან დაკავშირებულია არა უშუალოდ, არამედ ბაზისის მეშვეობით. ამიტომ საწარმოო ძალთა განვითარების ცვლილებებს ზედნაშენი ასახავს არა პირდაპირ, არამედ ბაზისის ცვლილებათა მეშვეობით. „ენა კი, პირიქით, — წერს ი. სტალინი, — უშუალოდ არის დაკავშირებული ადამიანის საწარმოო საქმიანობასთან, და არა მარტო საწარმოო საქმიანობასთან, არამედ ადამიანის ყოველ სხვა საქმიანობასთანაც მისი მუშაობის ყველა სფეროში წარმოებიდან ბაზისამდე, ბაზისიდან ზედნაშენამდე. ამიტომ ენა წარმოების ცვლილებებს ასახავს ერთბაშად და უშუალოდ, არ ელოდება ბაზისის ცვლილებებს" [3].

წარმოებასთან, საწარმოო საქმიანობასთან ენა დაკავშირებულია პირველ რიგში ლექსიკით. წარმოებაში მომხდარი ცვლილებები უშუალოდ ენის ლექსიკურ შემადგენლობაზე მოქმედებს. „ენა, საკუთრივ მისი ლექსიკური შემადგენლობა, — აღნიშნავს ი. სტალინი, — თითქმის განუწყვეტლივ იცვლება. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და ტრანსპორტის, ტექნიკისა და მეცნიერების განუწყვეტელი ზრდა ენისაგან მოითხოვს მისი ლექსიკის შევსებას ახალი სიტყვებითა და გამოთქმებით, რომლებიც საჭიროა მათი მუშაობისათვის. და ენა, უშუალოდ ასახავს რა ამ საჭიროებას, ავსებს თავის ლექსიკას ახალი სიტყვებით, სრულყოფს თავის გრამატიკულ წყობას" [4].

ამგვარად, ი. სტალინმა ღრმა მეცნიერული დამაჯერებლობით დაამტკიცა, რომ ენა არ არის ზედნაშენური კატეგორია.

---

[1] იქვე, გვ. 7.
[2] იქვე, გვ. 7.
[3] იქვე, გვ. 9.
[4] იქვე, გვ. 9.

ი. სტალინმა დაამტკიცა, რომ ენა მისი ფუნქციის თავისებურების გამო არ შეიძლება იყოს კლასობრივი. ენა აზრთა გაცვლის საშუალებაა. შეუძლებელია საზოგადოებრივი წარმოება მოეწყოს აზრთა გაცვლის გარეშე. თუ საზოგადოებას არ ექნება ერთიანი ენა, შეუძლებელი გახდება ადამიანთა შორის აზრთა გაცვლა, შეწყდება საზოგადოებრივი წარმოება, მოისპობა თვით საზოგადოება.

ენა არც თავისი წარმოშობით და არც თავისი ბუნებით არ არის კლასობრივი, მაგრამ კლასები ცდილობენ ენაში შეიტანონ თავისი განსაკუთრებული გამოთქმები. ი. სტალინი ასახელებს ფეოდალური არისტოკრატიისა და ბურჟუაზიის ზედაფენებს, რომლებმაც შექმნეს „კლასობრივი“ დიალექტები, ჟარგონები, სალონის „ენები“.

ი. სტალინი აღნიშნავს, რომ ასეთ „კლასობრივ“ დიალექტებს, ჟარგონებს ზოგი ამხანაგი სრულებით უმართებულოდ ენად თვლის და ამის საფუძველზე იქმნება მცთარი შეხედულება, თითქოს არსებობდეს კლასობრივი ენები.

ენის „კლასობრიობის“ თეორიას თავგამოდებით იცავდნენ ნ. მარი და მისი მიმდევრები. ნ. მარი წერდა: „იაფეტიდოლოგია უარყოფს არაკლასობრივ ენათა არსებობას. ყველა ენა, მათ რიცხვში ევროპისა და კავკასიის ნაციონალური ენებიც, კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, კლასობრივია, მასთან კლასობრივი არა უკანასკნელ რიგში, არამედ უწინარეს ყოვლისა. სომხეთსა და საქართველოში ნაციონალური ენა აღმოჩნდა ორ-ორი თითოეულს ქვეყანაში, ორივე კლასობრივი, ერთი ძველი ლიტერატურული ფეოდალური და მეორე ე. წ. ხალხური, თუ არ გამოვუდგებით ამ ხალხური მეტყველების სხვადასხვა სახეებს. და რაც აღსანიშნავია, ქართული ფეოდალური ენა უფრო ახლოა სისტემით სომხურ ფეოდალურ ენასთან, ვინემ ყოველი მათგანი თავისი მშობლიური ქვეყნის ხალხურ ენასთან, და, გასაგებია, აქვთ რა ასეთივე დამოკიდებულება თავის ფეოდალურ ენებთან, სომხური და ქართული ხალხური ენები წარმოადგენენ თავისი ტიპოლოგიის მრავალი ძირითადი თვისების მიხედვით ერთი სისტემის ენებს“ [1].

როგორც ჩანს, მცთარმა დებულებამ ენის „კლასობრიობის“ შესახებ ნ. მარი მიიყვანა ფაქტების უმაგალითო დამახინჯებამდის. მისი უცნაური განცხადება, თითქოს ძველი სალიტერატურო ქარ-

[1] Н. Я. Марр. К бакинской дискуссии, გვ. 18. (ხაზი ჩვენია გ. რ.).

თული და ძველი სალიტერატურო სომხური ტიპოლოგიურად უფრო ახლოს იყვნენ ერთმანეთთან, ვიდრე ყოველი მათგანი თავისი მშობლიური ქვეყნის ენასთან, შორსაა სინამდვილისაგან.

ი. სტალინის შრომებში ენათმეცნიერების საკითხებზე ერთიმეორისაგან გამიჯნულია ტერიტორიული დიალექტები და „კლასობრივი“ დიალექტები, ანუ ჟარგონები; მოცემულია მათი მიმართება ერთიან სახალხო ენასთან. ჟარგონები წარმოადგენენ ერთიანი სახალხო ენის განშტოებას. ჟარგონებს არა აქვთ თავიანთი საკუთარი ძირითადი ლექსიკური ფონდი და გრამატიკული წყობა. ამიტომ მათ არასოდეს არა აქვთ შესაძლებლობა გასწიონ ერთიანი სახალხო ენის მაგიერობა. ისინი განწირული არიან უბადრუკი არსებობისთვის: ჟარგონები მოისპობა გაბატონებული კლასების ლიკვიდაციასთან ერთად.

ყოველი ეროვნული ენა ყალიბდება ამა თუ იმ დიალექტის საფუძველზე. ასე, მაგალითად, რუსულ ეროვნულ ენას საფუძვლად უდევს კურსკ-ორიოლის დიალექტი, უკრაინულ ეროვნულ ენას — პოლტავა-კიევის დიალექტი; ასევე, ქართული ეროვნული ენა ჩამოყალიბდა ქართლური და კახური დიალექტების საფუძველზე. სხვა დიალექტები კი თანდათანობით კარგავენ თავისთავადობას და ქრებიან, ითქვიფებიან საერთო სახალხო ენაში.

ი. სტალინი ჩერდება მარქსიზმის კლასიკოსების გამონათქვამებზე ენის შესახებ, რომელთა მიხედვითაც ნ. მარის მიმდევრები ცდილობდნენ დაესაბუთებინათ ენის კლასობრივი ბუნება. ი. სტალინი ნათელს ხდის, რომ მარქსიზმის კლასიკოსების — მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის გამონათქვამებიდან არსად არ გამომდინარეობს ენის კლასობრიობა. პირიქით, მარქსიზმის კლასიკოსები მუდამ ხაზს უსვამდნენ კლასობრივ საზოგადოებაშიც ენის ერთიან ბუნებას. ი. სტალინი აღნიშნავს, რომ ენის „კლასობრივი“ ბუნების დამცველები ამახინჯებდნენ მარქსიზმის კლასიკოსების გამონათქვამების აზრს. ისინი იმოწმებდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებს „არა როგორც მარქსისტები, არამედ როგორც მედავითნეები, არ სწვდებოდნენ საქმის არსს“ [1].

ამრიგად, საესებით უნაყოფო აღმოჩნდა ნ. მარისა და მისი „მოწაფეების“ ცდა, დაემტკიცებინათ, რომ ენა კლასობრივი ბუნებისაა და ამის საფუძველზე „ახალი მოძღვრება“ მარქსისტულ მოძღვრებად გამოეცხადებინათ. „ენა, — დაასკვნის ი. სტალინი, — როგორც

[1] ი. სტალინი. მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, გვ. 13.

ურთიერთობის საშუალებაა, ყოველთვის იყო და არის საზოგადოებისათვის ერთიანი და მის წევრთათვის საერთო ენა... ფორმულა ენის „კლასობრიობის“ შესახებ მცდარი, არამარქსისტული ფორმულაა“ [1].

ი. სტალინის შრომებში ენათმეცნიერების საკითხებზე მოცემულია ენის ფუნქციების მარქსისტული გადაჭრა.

„ენა, — წერს ი. სტალინი, — არის საშუალება, იარაღი, რომლის შემწეობითაც ადამიანებს ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან, უზიარებენ ერთმანეთს აზრებს და აღწევენ ურთიერთგაგებას. რაკი უშუალოდ დაკავშირებულია აზროვნებასთან, ენა სიტყვებით და წინადადებაში სიტყვათა შეკავშირებით აღნუსხავს და აღბეჭდავს აზროვნების მუშაობის შედეგს, ადამიანის შემეცნებითი მუშაობის წარმატებას და, ამრიგად, შესაძლებელს ხდის აზრთა გაცვლას ადამიანთა საზოგადოებაში“ [2].

როგორც ჩანს, ი. სტალინი პირველ რიგში ენას განიხილავს როგორც ადამიანთა ურთიერთობის საშუალებას, ე. ი. აღნიშნავს ენის საკომუნიკაციო ფუნქციას. ამავე დროს ი. სტალინი მიუთითებს ენის მეორე ფუნქციაზე — ექსპრესიულ ფუნქციაზე: ენა აღნუსხავს და აღბეჭდავს აზროვნების მუშაობის შედეგს.

ამ ორი ფუნქციიდან არსებითია საკომუნიკაციო ფუნქცია. ენის წარმოშობა განსაზღვრა კომუნიკაციის საჭიროებამ. ექსპრესიული ფუნქცია დამოკიდებულია საკომუნიკაციოზე. საკომუნიკაციო ფუნქციის მოშლა იწვევს ექსპრესიული ფუნქციის გაუქმებას. იდეალისტური ენათმეცნიერების სხვადასხვა მიმდინარეობაში წამყვან ფუნქციად არის აღიარებული ექსპრესიული ფუნქცია (კ. ფოსლერი...). მარქსიზმი უარყოფს ყოველგვარ ასეთ იდეალისტურ და ინდივიდუალისტურ კონცეფციებს [3]. სტალინური მოძღვრება ენის შესახებ არსებითად უპირისპირდება ასეთ კონცეფციებს.

ნ. მარის „ახალ მოძღვრებაში“ ენის შესახებ დიდი ადგილი აქვს დათმობილი ენის წარმოშობის საკითხს. ნ. მარის აზრით პირველადი ენა იყო ხელის ენა. ბგერითი ენა მან გვიანდელ მოვლენად ჩათვალა. ბგერითი ენა, ნ. მარის მოძღვრების თანახმად, წარმოიშვა არა საზოგადოებრივი ცხოვრების, საზოგადოებრივი წარმო-

[1] იქვე, გვ. 19.

[2] იქვე, გვ. 20.

[3] იხ. Арн. Чикобава. „Учение И. В. Сталина о языке, как общественном явлении“. კრებ. Вопросы языкознания в свете трудов И. В. Сталина, გვ. 48.

ების საჭიროების გამო, არამედ მაგიური ზემოქმედების მიზნით. ასე რომ, ნ. მარმა ენის წარმოშობას ჩამოაცილა საზოგადოებრივი საფუძვლები.

თანახმად ი. სტალინის მოძღვრებისა, „ბგერითი ენა ანუ სიტყვების ენა ყოველთვის იყო ადამიანთა საზოგადოების ერთადერთი ენა, რომელსაც შეეძლო ადამიანთა ურთიერთობის სრულფასოვანი საშუალება ყოფილიყო“ [1]. ბგერითი ენის საშუალებით გამოეყო ადამიანი ცხოველთა სამყაროს, გაერთიანდა საზოგადოებებად, განავითარა თავისი აზროვნება და მიაღწია ამგვარად უდიდეს პროგრესს.

ი. სტალინის შრომებში გენიალურადაა გადაწყვეტილი ენისა და აზროვნების ურთიერთობის საკითხი. ი. სტალინი გვასწავლის, რომ ადამიანის აზრები არ შეიძლება არსებობდეს ენობრივი გარსის გარეშე. „ენობრივი მასალისაგან თავისუფალი, ენის „ბუნებითი მატერიისაგან“ თავისუფალი შიშველი აზრები არ არსებობს. ...აზრის რეალურობა ენით მჟღავნდება“ [2]...

იდეალიზმის ჭაობში ჩაეფლო ნ. მარი, როცა მან აღიარა უენო აზროვნების შესაძლებლობა. ნ. მარის მიხედვით „მომავალი ენა ბუნებითი მატერიისაგან თავისუფალ ტექნიკაში მზარდი აზროვნება იქნება“. ნ. მარის ეს შეხედულება ანტიმარქსისტულია, იდეალისტურია.

ი. სტალინის შრომებში გაშუქებულია ენათმეცნიერების სტრუქტურის საკითხი. ი. სტალინი შეეხო ენათმეცნიერების ყველა წამყვან დარგს — მორფოლოგიას, სინტაქსს, ლექსიკოლოგიას, სემასიოლოგიას. ი. სტალინი აღნიშნავს, რომ გრამატიკა, გრამატიკული წყობა ენისა (მორფოლოგია, სინტაქსი) „იღებს იმ ზოგადს, რაც საფუძვლად უძევს სიტყვათა ცვალებადობას, წინადადებებში სიტყვათა შეკავშირებას, და მისგან ქმნის გრამატიკულ წესებს, გრამატიკულ კანონებს“. „გრამატიკა გვაძლევს წესებს წინადადებათა შესადგენად“... „გრამატიკის წყალობით ენას შესაძლებლობა ეძლევა ადამიანის აზრი ჩამოაყალიბოს მატერიალურ ენობრივ გარსში“... „გრამატიკა (მორფოლოგია, სინტაქსი) სიტყვათა ცვლილებისა და წინადადებაში სიტყვათა შეთანხმების წესების კრებულია“...

გრამატიკის (მორფოლოგიისა და სინტაქსის), ენათმეცნიერების

---

[1] ი. სტალინი. მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, გვ. 44.

[2] იქვე, გვ. 37.

ამ წამყვანი დარგის, წინააღმდეგ იბრძოდა ნ. მარი თავის უკანასკნელ შრომებში. 1930 წელს ნ. მარი წერდა: „საჭიროა თუ არა საერთოდ გრამატიკა... რომ ხელი მივყოთ მის რეფორმირებას თუ არარეფორმირებას?“. უფრო გვიან კი, 1933 წ. ნ. მარმა მოითხოვა გრამატიკის სრული ლიკვიდაცია. იგი წერდა: „ამნაირად, ძირს გრამატიკა! რისთვის? რომ იგი შევცვალოთ ენის დინამიკის, მისი მშენებლობის წარმოდგენით“ [1]. ნ. მარის ასეთი შეუსაბამო დებულებების შესახებ ი. სტალინი წერს: „ნ. ი. მარი გრამატიკას თვლიდა ფუჭ „ფორმალობად“, ხოლო იმ ადამიანებს, რომლებსაც გრამატიკული წყობა ენის საფუძვლად მიაჩნიათ — ფორმალისტებად. ეს კი მთლად სისულელეა“ [2].

სემასიოლოგია ი. სტალინმა შეაფასა, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი ენათმეცნიერებისა. ოღონდ გაგვაფრთხილა, რომ სემასიოლოგიას მივუჩინოთ თავისი შესაფერისი ადგილი ენათმეცნიერებაში და „არ შეიძლება გაზვიადებულად შევაფასოთ მისი მნიშვნელობა, და მით უმეტეს — არ შეიძლება ბოროტად გამოვიყენოთ იგი“ [3].

სემასიოლოგიის გაზვიადებამ „ახალ მოძღვრებაში“ სრულებით დაჩრდილა ენათმეცნიერების სხვა დარგები. ამ „მოძღვრებაში“ სემასიოლოგიას ცენტრალური ადგილი უჭირავს. ნ. მარი წერდა: „იაფეტურ ენათმეცნიერების მთავარ ძალას წარმოადგენს სემანტიკა, მოძღვრება სიტყვის მნიშვნელობის შესახებ“. ნ. მარი და მისი მიმდევრები სემასიოლოგიას იყენებდნენ ბოროტად. ისინი ფორმალისტებად ნათლავდნენ მას, ვინც ენათმეცნიერების წამყვან დარგად გრამატიკას აღიარებდა.

ი. სტალინმა მოგვცა სახელმძღვანელო დებულებები ენის განვითარების შესახებ.

ნ. მარი ცნობდა ენათა სტადიალურ განვითარებას ენათა შეჯვარედინების გზით. მარის აზრით, ენათა შეჯვარედინება იძლევა მესამე, ახალ ენას, რომელიც სულ სხვა თვისობრიობის მქონეა. ენათა შეჯვარედინება კი წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც უეცარი დარტყმა, როგორც აფეთქება.

ი. სტალინმა გააკრიტიკა ნ. მარის ეს მცთარი თეორია ენის განვითარებისა. ი. სტალინმა აღნიშნა, რომ, ჯერ ერთი, ენათა

---

[1] Н. Я. Марр. Избранные работы, ტ. III, გვ. 99.

[2] ი. სტალინი. მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, გვ. 40.

[3] იქვე, გვ. 36.

სრული შეჯვარედინებით ხდება არა ახალი თვისობრიობის ენის ჩამოყალიბება, არამედ ერთ-ერთი ენის გაქრობა, ასიმილაცია და სხვა ენის გამარჯვება. ისტორიამ ამის მრავალი ფაქტი იცის. მეორეცაადა, „ენების შეჯვარედინება ხანგრძლივი პროცესია, რომელიც ასეული წლობით გრძელდება. ამიტომ აქ არავითარ აფეთქებაზე ლაპარაკი არ შეიძლება“ [1].

ენათა განვითარება არ შეიძლება აფეთქების გზით. იგი ხანგრძლივი პროცესია და მიმდინარეობს შინაგანი კანონების მიხედვით. ენა ერთი თვისობრიობიდან მეორე თვისობრიობაში გადადის არა უეცარი დარტყმების გზით, როგორც ეს ნ. მარს ჰქონდა წარმოდგენილი, არამედ თანდათანობით, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ასეთია ენის განვითარების დიალექტიკა.

ენათა განვითარების საკითხს აღრმავებს ი. სტალინი მომავალი კომუნისტური საზოგადოების ერთიანი ენის საკითხთან დაკავშირებით.

სოციალიზმის გამარჯვებამდე, როცა ადგილი აქვს ეროვნულ და კოლონიურ ჩაგვრას, როცა არ არის ჯერ კიდევ ეროვნული თანასწორუფლებიანობა, ენათა შეჯვარედინებას მუდამ მოჰყვება ზოგი ენის ასიმილაცია — და სხვა ენების გამარჯვება. „ასეთ პირობებში შეიძლება იყოს მხოლოდ გამარჯვებული და დამარცხებული ენები“ [2].

სოციალიზმის გამარჯვების შემდგომ ეპოქაში კი, „როცა მსოფლიო იმპერიალიზმი აღარ იქნება, ექსპლოატატორული კლასები დამხობილი იქნებიან, ეროვნული და კოლონიური ჩაგვრა ლიკვიდირებულ იქნება, ეროვნული განკერძოებულობა და ერთა ურთიერთუნდობლობა შეიცვლება ერთა ურთიერთნდობითა და დაახლოებით, ეროვნული თანასწორუფლებიანობა განხორციელდება, ენათა ჩახშობისა და ასიმილაციის პოლიტიკა ლიკვიდირებული იქნება, ერთა თანამშრომლობა მოგვარდება, ხოლო ეროვნულ ენებს შესაძლებლობა ექნებათ თავისუფლად გაამდიდრონ ერთმანეთი თანამშრომლობის გზით“ [3]. ამ პირობებში „გამოიყოფა ჯერ ყველაზე მეტად გამდიდრებული ერთიანი ზონალური ენები, შემდეგ კი ზონალური ენები შეერთდებიან ერთ საერთო საერთაშორისო ენად, რომელიც, რასაკვირველია, არც გერმანული ენა იქნება, არც რუ-

[1] იქვე. გვ. 27.
[2] იქვე. გვ. 51.
[3] იქვე. გვ. 51.

სული, არც ინგლისური, არამედ იქნება ახალი ენა, რომელმაც შეითვისა ეროვნული და ზონალური ენების საუკეთესო ელემენტები“ [1].

ნ. მარის „ახალმა მოძღვრებამ“ ენის შესახებ უარყო ენათა ნათესაური დამოკიდებულება, ენათა ოჯახების არსებობა და ენობრივი ნათესაობის დადგენის საქმეში XIX-XX საუკუნეების ენათმეცნიერების მიღწევები „წინარე ენის“ თეორიის გამოვლინებად ჩათვალა. მარისტები რასისტებად ნათლავდნენ მათ, ვინც ენათა ოჯახებს ცნობდა. ნ. მარმა ენათა ოჯახებს დაუპირისპირა ენათა სისტემა თუ სტადია. ინდოევროპული ენები, ნ. მარის თეორიის თანახმად, წარმოადგენენ იაფეტური ენების უფრო მაღალ, განვითარებულ სისტემას თუ სტადიას.

ი. სტალინმა მკაცრად გააკრიტიკა ნ. მარის თეორიის ეს უბადრუკი დებულებები და ენათა ნათესაური დამოკიდებულება უდავო ფაქტად აღიარა. „ნ. ი. მარი, — წერს ი. სტალინი, — ენათა ჯგუფების (ოჯახების) შესწავლის ყოველ ცდას ქედმაღლურად იგდებს აბუჩად და „წინარე ენის“ თეორიის გამოვლინებად თვლის. ამავე დროს კი არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ უეჭველია ენობრივი ნათესაობა, მაგალითად, ისეთი ერებისა, როგორიც სლავი ერები არიან, რომ ამ ერების ენობრივი ნათესაობის შესწავლა დიდ სარგებლობას მოუტანდა ენათმეცნიერებას ენის განვითარების კანონთა შესწავლის საქმეში“ [2].

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ი. სტალინის შეხედულებას ენათმეცნიერების სპეციალური მეთოდის შესახებ ენათმეცნიერების შემდგომი განვითარების საქმეში. ნ. მარმა უარყო ენათმეცნიერების ისტორიულ-შედარებითი მეთოდი. ამ მეთოდის შემწეობით გასულ საუკუნეში ენათმეცნიერებამ უდიდეს შედეგებს მიაღწია. ამ მეთოდითაა დაწერილი ფ. ენგელსის ცნობილი სპეციალური საენათმეცნიერო გამოკვლევა — „ფრანკული დიალექტი“. ნ. მარმა ამ მეთოდს დაუპირისპირა ე. წ. ოთხელემენტოვანი ანალიზის მეთოდი. მარის აზრით, ყველა ენის ყველა სიტყვას საფუძვლად უდევს ოთხი ლინგვისტური ელემენტი, ოთხი „ფუძე“ — სალ, ბერ, დონ, როშ. თანამედროვე ენების ყველა სიტყვაში ნ. მარი ხედავდა რომელიმე ელემენტთაგანს (მაგ., ქართული წყალ-ი, ქალ-ი, სულ-ი და ა. შ. სალ ელემენტის შემცველად მიაჩნდა). ზოგ სიტყვას კი ორი ან სამი ელემენტის შეჯვარედინების გზით მიღებულად თვლიდა.

---

[1] იქვე, გვ. 51-52.

[2] იქვე, გვ. 31.

ი. სტალინმა მკაცრად გააკრიტიკა ნ. მარის ეს იდეალისტური ოთხელემენტოვანი ანალიზის მეთოდი, იგი მკითხაობად ჩათვალა და მას დაუპირისპირა ისტორიულ-შედარებითი მეთოდი. ამავე დროს მიგვითითა ამ მეთოდის სერიოზულ ნაკლოვანებებზე. „ნ. ი. მარი, — წერს ი. სტალინი, — მყვირალა ფრაზებით დასცინის ისტორიულ-შედარებითს მეთოდს, როგორც „იდეალისტურს". ამავე დროს კი უნდა ვთქვათ, რომ ისტორიულ-შედარებითი მეთოდი, მიუხედავად მისი სერიოზული ნაკლოვანებებისა, მაინც უკეთესია, ვიდრე ნ. ი. მარის მართლაც იდეალისტური ოთხელემენტოვანი ანალიზი, რადგან პირველი ბიძგს იძლევა მუშაობისათვის, ენების შესწავლისათვის, მეორე კი მხოლოდ იმის ბიძგს იძლევა, რომ მხართეძოზე წამოწვე და ყბადაღებული ოთხი ელემენტის გარშემო იმარჩიელო" [1].

ნ. მარის „ახალი მოძღვრება" ენის შესახებ, რომელსაც ნ. მარი და მისი „მოწაფეები" მარქსისტულ ენათმეცნიერებად აცხადებდნენ, იდეალისტური, ანტიმარქსისტული, ანტიმეცნიერული აღმოჩნდა.

იმ მიზნით, რომ საბჭოთა ენათმეცნიერების ორგანოებში გაგრ. ძელებულიყო ნ. მარის მცთარი მოძღვრების ბატონობა, მარის მიმდევრებმა (განსაკუთრებით, სერდიუჩენკომ, იაკოვლევმა, ფილინმა, კაცნელსონმა და სხვ...) შემოიღეს მეცნიერებისათვის შეუფერებელი რეჟიმი, რომელსაც ი. სტალინმა არაკეთილი რეჟიმი უწოდა. მათ იერიში მიიტანეს მოწინავე საბჭოთა ენათმეცნიერებზე — აკად. ვ. ვინოგრადოვზე, პროფ. არნ. ჩიქობავაზე, პროფ. ლ. ბულახოვსკიზე და სხვებზე, რომლებიც იმ პირობებშიც ახერხებდნენ ცალკე ენებისა და ენათა ჯგუფების წარმატებით შესწავლას. „საბჭოთა ენათმეცნიერებაში საქმის ვითარების ოდნავ კრიტიკას, ენათმეცნიერებაში ეგრეთწოდებული „ახალი მოძღვრების" კრიტიკის სულ გაუბედავ ცდებსაც კი დევნიდნენ და ახშობდნენ ენათმეცნიერების ხელმძღვანელი წრეები" [2]. ნ. მარის მიმდევრები სისტემატურად აწყობდნენ სამეცნიერო დაწესებულებებში საგანგებო სხდომებსა და თათბირებს მხოლოდ იმ მიზნით, რომ გაეკიცხათ ნ. მარის თეორიის მოწინააღმდეგეები, მოენათლათ ისინი იდეალისტებად. რეაქციონერებად ენათმეცნიერებაში. ერთ-ერთ ასეთ სხდომაზე პროფ. ს. კაცნელსონმა განაცხადა: „Представители реакционной лингвистики у нас обнаглели до того, что разре-

[1] იქვე. გვ. 31.
[2] იქვე. გვ. 29.

шают себе прямые выпады против Н. Я. Марра, прямо поносят основные марксистские идеи в языкознании“ [1].

მარისა და მისი მიმდევრების ხანგრძლივი საზიანო მუშაობა საგრძნობლად დაეტყო საბჭოთა ენათმეცნიერების განვითარებას. ნ. მარის ანტიმარქსისტული მოძღვრების ბატონობამ გამოიწვია საბჭოთა ენათმეცნიერების განვითარების ერთ წერტილზე შეჩერება. ი. სტალინის შრომებმა საბოლოოდ გამოიყვანა საბჭოთა ენათმეცნიერება „ახალი მოძღვრების“ მიერ შექმნილი კრიზისიდან.

სამი ამოცანა დაუსახა ი. სტალინმა საბჭოთა ენათმეცნიერებს: 1. ენათმეცნიერებაში არაკრიტიკის რეჟიმის ლიკვიდაცია, 2. ნ. ი. მარის შეცდომების უარყოფა და 3. მარქსიზმის დანერგვა ენათმეცნიერებაში.

ი. სტალინის შრომებმა ენათმეცნიერების საკითხებზე ძირფესვიანად შეცვალა საბჭოთა ენათმეცნიერება. მთლიანად შეიცვალა საენათმეცნიერო ორგანოების საკვლევო თემატიკა და სამუშაო გეგმა. საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა ძირითად ამოცანად დაისახა, ერთი მხრით, ზოგადი სტალინური ენათმეცნიერების პრობლემებზე მუშაობა და, მეორე მხრით, რუსულისა და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხთა ენების შესწავლა ი. სტალინის შრომების საფუძველზე. ასეთივე ამოცანა დაისახეს სხვა რესპუბლიკების საენათმეცნიერო დაწესებულებებმა.

ამ მოკლე ხნის განმავლობაში მოეწყო მთელი რიგი სამეცნიერო სესიები და კონფერენციები, მიძღვნილი ი. სტალინის გენიალური შრომებისადმი.

ი. სტალინის შრომების გამოქვეყნების შემდეგ შესაძლებელი გახდა მჭიდრო კონტაქტი დამყარებულიყო საბჭოთა კავშირის ცენტრისა და რესპუბლიკების საენათმეცნიერო დაწესებულებებს შორის. კერძოდ, დამყარდა მჭიდრო კავშირი დიდი რუსი ხალხის ენათმეცნიერებსა და ქართველ ენათმეცნიერებს შორის. ქართველი ენათმეცნიერები აქტიურ მონაწილეობას იღებენ იმ დიდ მუშაობაში, რომელსაც აწარმოებენ მოსკოვის საენათმეცნიერო ორგანოები. ნ. მარის თეორიის ბატონობის დროს ასეთი კავშირი ვერ ხერხდებოდა.

ი. სტალინის მოძღვრებამ ენის შესახებ მრავალერიანი საბჭოთა კავშირის ენათმეცნიერები გააერთიანა, დაამყარა მათ შო-

[1] Известия АН СССР, отделение литературы и языка, 1949. ტ. VIII, გამ. 1, გვ. 86.

რის მჭიდრო კავშირი, შეუქმნა ერთიანი სამუშაო გეგმა, შეაყვარა კოლექტიური სამეცნიერო შრომა. ასეთია ძალა უეშმარიტი მეცნიერებისა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს ქართულისა და მისი მონათესავე ენების შესწავლა ი. სტალინის საენათმეცნიერო მოძღვრების საფუძველზე.

ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდისა და მისი შემდგომი განვითარების საკითხი ი. სტალინის შრომების საფუძველზე გააშუქა ქართველი ბოლშევიკების ხელმძღვანელმა ამხანაგმა კანდიდ ჩარკვიანმა საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის XX პარტკონფერენციაზე. შეეხო რა ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის შექმნისა და განვითარების ისტორიის ძირითად მომენტებს და აღნიშნა რა თანამედროვე, საბჭოთა პერიოდის ქართული ენის უდიდესი ზრდა და გამდიდრება, ამხანაგმა კანდიდ ჩარკვიანმა გამოამჟღავნა რიგი ნაკლოვანებანიც, რომლებიც ხელს უშლიან ქართული ენის შემდგომი განვითარების საქმეს, და მოგვცა სახელმძღვანელო მითითებანი.

უდიდეს პერსპექტივას უშლის ი. სტალინის საენათმეცნიერო მოძღვრება იბერიულ-კავკასიური ენების შესწავლის საქმეს. საქართველოს საენათმეცნიერო ორგანოებში წარმატებით მიმდინარეობს ქართულისა და ქართველური ენების პარალელურად სხვა იბერიულ-კავკასიური ენების შესწავლა ისტორიულ-შედარებითი მეთოდის საფუძველზე. ამ ენათა საერთო წარმოშობის გრამატიკული წყობისა და ძირითადი ლექსიკური ფონდის გამოვლინება მოგვცემს საშუალებას ზუსტად დავადგინოთ ქართული ენის ურთიერთობა წინა აზიისა და ხმელთაშუა ზღვის უძველესი კულტურის მქონე ხალხთა ენებთან (ხეთურთან, ხალდურთან, პელასგურთან, ეტრუსკულთან...).

ამგვარად, ი. სტალინის გენიალური შრომების გამოსვლიდან დიდი შემოქმედებითი მუშაობა გაჩაღდა საბჭოთა ენათმეცნიერებაში. ბევრი რამ გაკეთდა ამ მცირე ხნის განმავლობაში. მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ დასაწყისია იმ გრანდიოზული სამუშაოებისა, რომელთაც ავალდებულებს საბჭოთა ენათმეცნიერებს მეცნიერების უდიდესი კორიფეს ი. სტალინის გენიალური შრომები ენათმეცნიერების საკითხებზე.

ალ. ფულუქიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, X, 1950-1951.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, X, 1950-1951.

სიმონ ყაუხჩიშვილი

ანტიკური მასალები ბათუმის ისტორიისათვის

1. უკანასკნელ წლებში ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში საგანგებო ყურადღება მიექცა ქალაქ ბათუმის ისტორიას. ეს ყურადღება გამოიწვია VI საუკუნის საისტორიო წყაროებში მოხსენებული, შავი ზღვის პირას არსებული ლაზური ციხე-სიმაგრის პეტრას ლოკალიზაციის საკითხმა[1]. როგორადაც არ უნდა წარიმართოს მუშაობა პეტრას ლოკალიზაციის საკითხის გასარკვევად, ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით ქალაქ ბათუმის ისტორიას. ჩვენ ყოველთვის უცნაურად გვეჩვენებოდა შემდეგი გარემოება: VI საუკუნის ბერძნული წყაროები აგვიწერენ პეტრას, როგორც ლაზეთის უმნიშვნელოვანეს ქალაქს, მიუვალ ციხე-სიმაგრეს და ეკონომიური ცხოვრების მთავარ ადგილს; ამავე დროს კრინტსაც არ სძრავენ ქალაქ ბათუმზე. ცხადია, აქედან შეიძლება გამოვიტანოთ მხოლოდ შემდეგი დასკვნა: 1) ან ნავსადგური და ქალაქი ბათომი VI საუკუნეში არ არსებობდა, ან 2) იგი არსებობდა, ხოლო ბერძნებმა მას უწოდეს „პეტრა“. მართლაც, თუ ბათუმი არსებობდა როგორც ცნობილი და ეკონომიური ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი ნავსადგური, როგორ შეიძლებოდა მის გვერდით (ათიოდე კილომეტრის მანძილზე, ციხისძირში), კლდიანსა და მიუვალ ადგილას ყოფილიყო გაშენებული სავაჭრო ნავსადგური? ქვემოთ მოყვანილი ცნობები, უკეთ რომ ვთქვათ, ამ ცნობების ახალი ინტერპრეტაცია დაარწმუნებს მკითხველს, რომ ჩვენი ძველი წარმოდგენა, თითქოს არც პეტრაზე და არც ბათუმზე VI საუკუნის წინადროინდელი ცნობები არ არსებობს, მართებული არ ყოფილა.

---

[1] იხ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, ტ. II, თბ. 1934, გვ. 48-58, 69-149; ს. ჯანაშია, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, თბ. 1935, გვ. 29-41; ნ. ლომოური, ქალაქი პეტრა და მისი ადგილმდებარეობა: თბილისის უმაღლესი სასწავლ. სტუდენტთა მეორე სამეცნ. კონფერენციის შრომები, წიგნი I, თბ. 1948, გვ. 24-35.

2. თვით ქალაქ ბათუმზე ძველი ბერძნული ცნობები, თითქოს, არ არსებობს. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, თითქოს სტრაბონი იხსენიებდეს ბათუმს, მაგრამ ეს არ არის მართალი. სტრაბონს აქვს ლაპარაკი ნავსადგურ და ქალაქ ბატაზე („ტა ბატა"), მაგრამ ეს არ არის ბათუმი.

აი, სტრაბონის ცნობაც:

«კოროკონდამის შემდეგ მისცურავ აღმოსავლეთისაკენ. 180 სტადიონის მანძილზე არის სინდური ნავსადგური და ქალაქი, შემდეგ 400 სტადიონის მანძილზე — ეგრეთწოდებული ბატა (τὰ Βάτα, ბატები?), სოფელი და ნავსადგური, სწორედ იმ ხაზზე, რომლის პირდაპირ მდებარეობს, ჩემის აზრით, სამხრეთით იმავე სანაპიროზე სინოპი... ბატას შემდეგ არტემიდორე ასახელებს კერკეტების სანაპიროს, რომელსაც აქვს მისადგომები (ხომალდებისათვის) და სოფლები დაახლოებით 850 სტადიონზე; შემდეგ (ასახელებს) აქეელების სანაპიროს 500 სტადიონზე, შემდეგ ენიოქების სანაპიროს 1000 სტადიონზე, შემდეგ დიდ პიტიუნტს 360 სტადიონზე ვიდრე დიოსკურიამდე..... სანაპირო, როგორც ვთქვი, დასაწყისში აღმოსავლეთისაკენ მიიმართება და იცქირება სამხრეთისაკენ, ხოლო ბატა-დან დაწყებული ცოტ-ცოტა უხვევს, შემდეგ პირს იბრუნებს დასავლეთისაკენ და თავდება პიტიუნტთან და დიოსკურიადასთან»[1].

როგორც უკვე გარკვეულია ლიტერატურაში, „ტა ბატა" უნდა ნიშნავდეს ანაპას (ან მის მახლობლად მდებარე რომელსამე ადგილს) და არა ბათუმს.

სამაგიეროდ, ძველ ბერძნულსა და რომაულ წყაროებში მოხსენებულია მდინარე Βαθύς. ასე, მაგალითად, გეოგრაფოსი არიანე („პერიპლუსი" 7,5) იხსენიებს მდინარეს „ბათჳს", რომელიც შავ ზღვას ერთვის იმ ადგილას, სადაც ნაპირი ნახევარ-მთვარის სახის რკალს აკეთებს; ეს მდინარე 75 სტადიონით ჩრდილოეთით არის აკამფსისის შესართავიდან, ხოლო 180 სტადიონით სამხრეთით მდინარე ისისის (ან ისიდის) შესართავიდანო. ასეთივე ცნობა აქვს პლინიუსს უფროსს („ნატურალის ჰისტორია" VI, 12)[2].

75 სტადიონი უდრის 12-13 კილომეტრს; მეორე მხრივ, როგორც ჩანს, აკამფსისი — ეს არის სახელწოდება ჭოროხისა მის შესართავთან. „ჯანეთის მთებიდან — წერს პროკოპი კესარიელი — ჩამოდის მდინარე სახელად „ბოას" (ეს ჭოროხია), რო-

[1] სტრაბონი, გეოგრაფია XI, თავი II, 14.

[2] ეს ცნობები მოკლედ აღნუსხული აქვს ტომაშეკს (RE III, 139).

მელიც მის შემდეგ რაც გამოივლის მრავალ ჭალას და შემოუვლის მთაგორიან ადგილებს, ლაზთა სოფლების მახლობლად გასწვევს და ერთვის ეგრეთწოდებულ ევქსინის პონტს, მაგრამ უკვე აღარ ეწოდება „ბოასი“ ...მას, სხვათა შორის, ადგილობრივი მცხოვრებლები აკამფსიასს უწოდებენ“[1]. მანძილიც, აღნიშნული არიანეს მიერ, 75 სტადიონი (12-13 კილომეტრი), თითქოს უდგება იმ მანძილს, რომელიც არის ბათუმიდან ჭოროხის შესართავამდე: დღევანდელი გამოანგარიშებით ეს მანძილი უდრის 9-10 კილომეტრს.

ამრიგად, მდინარე „ბათუს“ ჭოროხის ჩრდილოეთით არის 12-13 კილომეტრის მანძილზე, და ეს შეიძლება იყოს ყოროლისწყალი, რომელიც ჭოროხის შესართავიდან, მართლაც, 12-13 კილომეტრის მანძილზეა[2]. აქვე უნდა ყოფილიყო ქალაქი და ნავსადგური, რომელიც აღნიშნულია ძველ რუკაზე, *Tabula Peutengeriana*[3], სადაც მას ეწოდება *Portus altus*; ამასთანავე განმარტებაში მითითებულია *m. p.* IV *Apsarum*, XII *ad Isidem*, ე. ი. განმეორებულია იგივე, რაც უწერიათ არიანეს და პლინიუსს: აფსარუსის ჩრდილოეთით და ისიდის სამხრეთითო.

ჩვენის აზრით, მართალია თ. უსპენსკი, როდესაც ის ამბობს: პლინიუსისა და არიანეს მდინარე „ბათუს“ უნდა გავიგოთ, როგორც არა მარტო მდინარე, არამედ მთელი მხარე ამ მდინარის გარშემო, თანამედროვე ბათუმის მიდამოებიო[4].

არიანეც და პლინიუსიც მეტად სანდო წყაროები არიან. არიანეს ბიოგრაფიიდან ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ მან იმოგზაურა ლაზეთში და თავის აღწერილობაში „პერიპლუს პონტუ ევქსეინუ“ შეიტანა ის, რაც თვითონ არა თუ ნახა, არამედ გამოიკვლია[5]. მას, მაგალითად, თავის მოგზაურობაში აღწერილი აქვს ყველა მდინარე ტრაპიზონიდან ბათუმამდე, და ამის აქეთაც, და

---

[1] იხ. გეორგიკა II, 79.

[2] საგულისხმოა, რომ ამავე მდინარეს ძვ. წ. VI საუკუნის ისტორიკოსი და გეოგრაფოსი სკილაქსი უწოდებს „ყაჩაღთა მდინარეს“ („ლესტრონ პოტამოს“).

[3] ეს არის ანტიკური რუკა, ესპანეთიდან ინდოეთამდე, პირველად შედგენილი II საუკუნეში, ხოლო შევსებული IV-VI საუკუნეებში ე. წ. აგრიპას რუკის გავლენით (დღეს დაცულია ვენის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში და შედგება ეტრატის 11 ფურცლისაგან).

[4] «Что касается реки Вафиу Плиния и Арриана, то нам бы представлялось справедливым видеть здесь долину *Вафύς*, т. е. местность и название нынешнего Батума» (ИАН, 1917, № 2).

[5] იხ. ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ. 1949, გვ. 201-204.

ზედმიწევნით აქვს აღნიშნული მანძილები მდინარეთა შესართავებს შორის[1]. და, აი, არიანე ამბობს: მდ. აფსაროსის შემდეგ ჩვენ გადავედით აკამფსისზე, ის 15 სტადიონით (ე. ი. 2-2,5 კილომეტრით) არის დაშორებული აფსაროსს, ხოლო მდ. ბათჳ აკამფსისს 75 სტადიონით არის დაშორებულიო. ამგვარად, მდინარეები აფსაროსი, აკამფსისი და ბათჳ ერთ კომპლექსში არიან მოხსენებული. აკამფსისის შესახებ ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ ეს ჭოროხია. რაღაა აფსაროსი?

„აფსაროს“ ბერძნულ წყაროებში ხშირად გვხვდება. იმით აღინიშნება ქალაქი შავი ზღვის ნაპირას, კოლხიდაში, ბიზანტიის საზღვრების მახლობლად. „პასხალური ქრონიკის“ ტექსტში (VII საუკუნე, მაგრამ ცნობა ძველია) მას ეწოდება παρεμβολή („ბანაკი“); ამ სიტყვით აღინიშნებოდა ისეთი ბანაკი, რომელსაც იმპერიის საზღვრებისათვის ყური უნდა ეგდო, მაშასადამე, აქ უნდა ყოფილიყო ციხე-სიმაგრე. ამიტომ სწორია, „პარემბოლე“-ს რომ სთარგმნიან «пограничная крепость»[2]. გუბაზ მეფის მკვლელები, იოანე და რუსტიკე, «ქალაქ აფსარუნტში გააგზავნა (სენატორმა ათანასიმ) და იქაურ სატუსაღოში დაამწყვდევინაო»,—წერს აგათია. ანდრია მოციქულის შესახებაც მოთხრობილია, რომ ის ქადაგებდა καὶ ἐν πόλει τῇ μεγάλῃ, ὅπου ἡ παρεμβολὴ Ἀψάρου, καὶ Φᾶσις ποταμός („დიდ ქალაქში ც, სადაც არის ციხე აფსაროსი და მდინარე ფაზისი“)[3].

ამ უკანასკნელ ცნობაში მე ყურადღებას მივაქცევ იმას, თუ რა არის ეს „დიდი ქალაქი“ („მეგალე პოლის“), სადაც არის ციხე აფსაროსი და მდინარე ფაზისი.

თუ „ფაზისი“ რიონია, მაშინ „დიდი ქალაქი“ ფოთია; მაგრამ თუ ეს ასეა, რა შუაშია აქ აფსაროსი, რომელიც ყველა წყაროში მხოლოდ ჭოროხის შესართავთან არის აღნიშნული და არა ფოთის მიდამოებში. ამ წინადადების გასაგებად ჩვენ ასე უნდა მოვიქცეთ:

1. „ციხე აფაროსი“ მიგვითითებს იმაზე, რომ ლაპარაკია ჭოროხის შესართავთან მდებარე ციხე-სიმაგრეზე.

---

[1] ამ ოცი წლის წინათ, როდესაც ვამზადებდით მასალებს 554 წელს ფოთთან წარმოებული ბრძოლის შესახებ ბიზანტიელებსა და სპარსელებს შორის, ჩვენ შევამოწმეთ ჩვენი გეოგრაფოსებისა და კარტოგრაფების დახმარებით ეს მანძილები (კურვიმეტრის საშუალებით) და არიანეს მიერ აღნიშნული მანძილების სისწორე დადასტურდა (იხ. გეორგიკა III. 109 შენ.).

[2] Ф. Успенский: ИАН 1917, № 2, стр. 167.

[3] იხ. გეორგიკა, ტ. IV, გვ. 10.

2. „ფაზისი“, აქ არ არის რიონი, ეს არის ჭოროხი. არის შემთხვევები, როდესაც ბერძნული წყაროები „ფაზისით“ აღნიშნავენ ჭოროხს. პროკოპი კესარიელი, მაგალითად, საომარი ოპერაციების შესახებ მოთხრობის დროს ასე აგვიწერს ჭოროხს: «მდინარე ბოასი (=ჭოროხის სათავეები) გამოდის ჰანეთის საზღვრების მახლობლად, არმენიელთა ადგილებში... მას შემდეგ, რაც ეს მდინარე მიაღწევს იმ ადგილს, სადაც კავკასიისა და იბერიის საზღვრებია, აქ, რადგან მას ბევრი სხვა წყალიც ემატება, ის იზრდება ძალიან და ნაცვლად ბოასისა ამიერიდან ფასისად წოდებული განაგრძობს მდინარებას, ნაოსნობისათვის გამოსადეგი ვიდრე ევქსინად წოდებულ ზღვამდე»[1].

ამგვარად, ანდრია მოციქულის ქადაგების შესახებ მოთხრობილში „მდინარე ფაზისი“ არის ჭოროხი. თუ ეს ასეა, მაშინ დიდი ქალაქი“ („მეგალე პოლის“) იქნება ბათუმი.

რაც შეეხება „აფსაროს“ მდინარეს, რომელიც სულ 2 კილომეტრის მანძილზეა აკამფსისისაგან (ე. ი. ჭოროხისაგან),. ეს, როგორც აკად. უსპენსკი სამართლიანად ფიქრობს, არის იგივე ჭოროხი: ე. ი. აფსაროსი და აკამფსისი[2] წარმოადგენენ ორ განშტოებას ჭოროხის შესართავთან, რაც სინამდვილეს შეეფერება.

ხოლო ციხე აფსარუსის არსებობა ამ შესართავთან დადასტურებულია წყაროებით. ჯერ ერთი, ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ ანდრია მოციქულის შესახებ მოთხრობაში მოხსენებულია „ციხე აფსაროსი“. შემდეგ — X საუკუნის ისტორიკოს-მეფის კონსტანტინე პორფიროგენეტის მიერ აღნიშნულია „აკამფსისის მეციხოვნე რაზმი“.

ამის შემდეგ აკამფსისის ხსენება ქრება. იმ ადგილას, სადაც ძველ წყაროებში აკამფსისის ციხეა მოთავსებული, XII საუკუნეში იხსენიება გონია. მას იხსენიებს პირველად მწერალი ხაჯი კალფა; მერე XIV საუკუნეში იხსენიებს მას ბიზანტიელი ისტორიკოსი მიქელ პანარეტოსი თავის „ტრაპიზონის ქრონიკაში“. ის ამბობს მანუილ კომნენოსისა და ბაგრატ მეფის ურთიერთობის შესახებ ლაპარაკის დროს: «აგვისტოს ექვსს ჩვენ ჩავედით ლაზიკაში და თვის ბოლოს, 6881 წელს (ე. ი. 1373 წ.), ვინახულეთ ბაგრატ მეფე. შემდეგ გადავედით ბათჯს-ში და დავბანაკდით

[1] პროკოპი კესარიელი. BP II, 29; გეორგიკა II, 72-73.

[2] როგორც ირკვევა, აკამფსისის სახელწოდებაც მომდინარეობს „ფასის“-ისაგან: აკამ-ფ(ა)სის (იხ. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე. „მნათობი“, 1951 წლის მაისის ნომერი).

სოფლის გარეთ... აქ შევხვდით და მოლაპარაკებას ვაწარმოებდით გურიელთან...». ოთხი წლის შემდეგ, 1377 წელს, ალექსი III-ს მიათხოვეს დავით მეფის ასული. ისტორიკოსი კვლავ ლაპარაკობს, რომ მივიდნენ ტრაპიზონის იმპერიისა და საქართველოს საზღვარზე. «გავემგზავრეთ ლაზიკაში, იქ გავატარეთ მთელი ზაფხული 15 აგვისტომდე მაკრეგიალში. გონიიდან მაკრეგიალში ჩამოვიდა პატარძალი. ხოლო მეორე დღეს გამოვემგზავრეთ ტრაპიზონში: ახალი წლის მეხუთე დღეს 6886 წელს (ე. ი. 1378 წ.) საქართველოს სეფე-წული მისთხოვდა ალექსი III-ს და ეწოდა მას ევდოკია, წინათ ერქვა „კულკანხატი"... ქორწილი გაგრძელდა ერთ კვირას»[1].

3. ბათუმის შესახებ არსებული ანტიკური წყაროების გადასინჯვა, ჩვენის აზრით, საშუალებას გვაძლევს შემდეგი დასკვნები გამოვიტანოთ:

ა. ქალაქი ბათუმი ძველადვე არსებულა და სახელიც იგივე ჰრქმევია. ბერძნებს მოუნდომებიათ მისი სახელის გააზრება თავისი ენის საფუძველზე და მისთვის უწოდებიათ Βαθύς, რაც ბერძნულად ნიშნავს „ღრმას". რა საფუძველი ჰქონდა ბერძენს, რომ მას „ღრმა" უწოდა? ღრმა შეიძლება იყოს წყალი და, მაშასადამე, ეს უნდა ეწოდებინა მდინარისთვის. მართლაც, თავდაპირველად „ბათჳს" ეწოდება იმ მდინარეს (კოროლისწყალსა თუ სხვას), რომელიც ქალაქის მახლობლად ჩამოდიოდა. მაგრამ განა ბათუმის მახლობლად არის რომელიმე ისეთი მდინარე, რომლის განსაკუთრებული სიღრმე თვალში ეცემოდა ბერძენს? რასაკვირველია, არა. ბერძენმა უწოდა მდინარეს „ბათჳს" იმიტომ, რომ მას ასე ერქვა ადგილობრივ, ქართულ ენაზე.

ბ. როგორც ჩანს, ამ სახელწოდების („ბათჳს") მარტო მდინარეკი არ ყოფილა, არამედ ქალაქიც: ყოფილა, მაშასადამე, ბათუმისწყალი და ქალაქი ბათუმი. ამის პარალელი ბევრი გვაქვს: მდინარე ფაზისი (რიონი) და ქალაქი ფაზისი (ფოთი), აჭარა და აჭარისწყალი, მდინარე აბაშა და სოფელი აბაშა და სხვა. რომ აქ ყოფილა მდინარე ბათჳს-ის გარდა ქალაქი ბათჳს-იც, ეს ჩანს იქიდან, რომ „ტაბულა პეუტინგერიანას" ავტორს რუკაზე აღუნიშნავს *Portus altus*. სიტყვა-სიტყვით ეს ნიშნავს „ღრმა ნაესადგური", მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ლათინური სახელწოდება სხვა

[1] Михаил Панарет, Трапезундская хроника, ალ. ხახანაშვილის გამოცემა, 1905 წ., გვ. 16.

გზით არის წარმოშობილი: სახელდობრ, რუკის შემდგენელისათვის ცნობილი იყო ამ ნავსადგურის ბერძნული სახელწოდება „ბათჳს“, რომელიც წარმოშობით ქართული სიტყვაა (ბათ-ომ-ი), მაგრამ გააზრებულია, როგორც ბერძნული βαθύς „ღრმა“. ხოლო ლათინურმა კარტოგრაფმა ეს ბერძნული სიტყვა გადათარგმნა ლათინური ეკვივალენტური სიტყვით *altus* „ღრმა“. ასე რომ *Portus altus* კი არ უნდა გავიგოთ როგორც „ღრმა ნავსადგური“, არამედ როგორც „ნავსადგური ალტუსი“ (ე. ი. ბათჳს-ი).

8. რომ აქ ყოფილა ქალაქი, ამას ადასტურებს „პასხალურ ქრონიკაში“ მოხსენებული „მეგალე პოლის“-იც. აქ ყოფილა, მაშასადამე, „დიდი ქალაქი“ (ბათუმი); რომ ეს დიდი, მნიშვნელოვანი ნავსადგური არ ყოფილიყო, არც „ტაბულა პევტენგერიანას“ ავტორი შეიტანდა მას საგანგებოდ.

С. Г. КАУХЧИШВИЛИ

К ИСТОРИИ ГОРОДА БАТУМИ

Резюме

Автор дает интерпретацию сведений античных и византийских писателей о Батуми и приходит к следующим выводам:

1. Плинию и Арриану известна река *Batys*. Название этой реки местное („Бат-“, откуда и грузинское „Бат-ом-и“), но осмыслено греком как греческое Βαθύς „глубокий“ (хотя о наличии какой-либо глубокой реки около теперешнего Батуми не приходится и думать).

2. Наряду с рекой существовал и город *Batys*, название которого также было осмыслено в значении „глубокий“. Этим и объясняется латинское наименование этой гавани *Portus altus* (на *Tabula Peutengeriana*), что надо понимать не как „глубокая гавань“, а как „гавань Альтус“, т. е. гавань *Batys*, гавань Батуми.

3. Существование в этом месте города удостоверено и в сказании о проповедничѐской деятельности ап. Андрея, где говорится о μεγάλη πόλις („большой город“).

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, X, 1950-1951.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, X, 1950-1951.

გიორგი კოკოჩაშვილი

ზოგიერთი ბიოლოგიური ტერმინის შესახებ*

1. სახეობა თუ სახე

ქართულ სამეცნიერო ტერმინოლოგიაში *species* ამჟამად ორი სიტყვით გადმოიცემა. ეს სიტყვებია: სახეობა და სახე. ხოლო დღევანდელ ქართულ ბიოლოგიურ ლიტერატურაში მეტი გავრცელება სახეობას ეძლევა, რაც, ჩვენი აზრით, მართებული არ არის. ამიტომაა, რომ საჭიროდ ვთვლით შევჩერდეთ ამ საკითხის გადასინჯვაზე.

სიტყვას *species*-ს ძველ ლათინურში შემდეგი მნიშვნელობა ჰქონდა: 1. შეხედვა, გამოხედვა; 2. გარეგნობა; 3. სახე; გადატანით იხმარებოდა: გამოხატულება, გამოსახულება[1].

ახალ ლათინურშიც ამ სიტყვას აღნიშნული მნიშვნელობა შერჩა. ხოლო ამათგან ერთი მნიშვნელობა — სახე გამტკიცდა ბიოლოგიურ მეცნიერებაში დაბალი ტაქსონომიური ერთეულის გამოსახატავად, და, ამით ტერმინად იქცა. მაშასადამე, ტერმინი *species* — ლათინური სატერმინოლოგიო ნიშანია.

ლათინურიდან ეს სიტყვა — ტერმინი შევიდა ზოგ რომანულ ენაში, მაგალ. ფრანგულში — *espèce*, ესპანურში — *espeie*. იტალიურში — *spezie*, და აგრეთვე ზოგ არარომანულ ენაშიც, მაგ. ინგლისურში — *species* [*spi:ʃiz* — სპიიშიზ].

ქართულ სამეცნიერო ტერმინოლოგიას რომ დავუკვირდეთ, დავინახავთ, რომ მთელი რიგი ტერმინის ფესვები ხალხურ ცოცხალ ენაში ან ძველ ქართულ მწერლობაში მოინახება, ვინაიდან ენის ლექსიკა ანუ სიტყვათა მარაგი არის ის წყარო, რომელიც

---

* წაკითხული იყო მოხსენებად ზოოლოგიის კათედრის სხდომაზე 1950 წლის 22 დეკემბერს. იბეჭდება შევსებული სახით.

[1] ს. ყაუხჩიშვილი. ლათინურ-ქართული ლექსიკონი. თბილისი, 1940.

კვებავს მხატვრულ და სამეცნიერო მწერლობას. „ცოცხალი ხალხური სალაპარაკო ენა, — ამბობს კ. ნ. ჩ ა რ კ ვ ი ა ნ ი, — ლიტერატურული ენის გამდიდრების დაუშრეტელი წყაროა“ [1].

დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ქართული კულტურის არაჩვეულებრივმა აყვავებამ, ეროვნულ ენაზე მეცნიერების სხვადასხვა დარგის განვითარებამ გამოიწვია საჭიროება მთელი რიგი სამეცნიერო ტერმინის გამონახვისა და აუცილებლობა ახალი ტერმინების შექმნისა. და სწორედ აქ, მდიდარმა ქართულმა ენამ ამ დარგებს შესანიშნავი სიტყვები მიაწოდა. საკმარისია გადავხედოთ ბოტანიკურ, ანატომიურ და განსაკუთრებით სამედიცინო ტერმინოლოგიას, რომ დავრწმუნდეთ ამაში.

ეჭვს გარეშეა, რომ ზოგ შემთხვევაში საჭიროება თავისთავად გვიკარნახებს გარკვეული რიცხვის უცხოური სიტყვების შემოტანას ქართულ ტერმინოლოგიაში, ან ახალი ქართული ტერმინების შექმნის აუცილებლობას. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ჩვენ გარკვეული ზომიერების დაცვა გვმართებს. ამასთანავე, უცხოური ან შეთხზული ტერმინების შემოტანას გამართლება მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება, როდესაც მშობლიური ენის ლექსიკური მარაგი, რაიმე მიზეზის გამო, საშუალებას ვეღარ იძლევა საჭირო ცნება მთელი სიზუსტით გადმოცეს.

დასმული საკითხისათვის — ს ა ხ ე ო ბ ა თუ ს ა ხ ე — უპირველესად საჭიროა გაირკვეს: რომელი სიტყვა შედის ქართული ენის ძირითადს ლექსიკურ ფონდში და რომელი არის ხელოვნურად შეთხზული?

ასეთი ძიება დაგვარწმუნებს, რომ სიტყვა ს ა ხ ე ო ბ ა არც ძველ ქართულ მწერლობაში და არც ხალხურ ენაში არ არის. იგი ხელოვნურად შექმნილი სიტყვაა. პირიქით, სიტყვას ს ა ხ ე-ს ჩვენ შევხვდებით ძველ მწერლობაში და ხალხურ ენაშიც. ხალხი მას მთელი რიგი ცნების გამოსახატავად იყენებს. სხვა საკითხია, ჰქონდა თუ არა სიტყვა ს ა ხ ე-ს ძველ ქართულ მეცნიერებაში ბიოლოგიური ტერმინის მნიშვნელობა. ქვემოთ დავინახავთ, რომ ასეთი მნიშვნელობა მას არ ჰქონია. ამ მნიშვნელობით, XI საუკუნეში მაინც, სხვა სიტყვა იყო მიღებული.

სიტყვა ს ა ხ ე გვხვდება ოთხთავში. აქ იგი რამდენიმე მნიშვნელობით არის ნახმარი [2]. ჩვენი მიზნისათვის საყურადღებოა ს ა ხ ე, როგორც გვარის, образ-ის აღმნიშვნელი სიტყვა. მაგალითები:

[1] კ. ჩ ა რ კ ვ ი ა ნ ი. საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საანგარიშო მოხსენება 1951 წლის 10 იანვარს. „კომუნისტი“. 14 იანვარი, 1951 წ., № 12.

[2] ა. შ ა ნ ი ძ ე. ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია. თბილისი. 1945.

„და იყო ლოცვასა მას მისსა ხილვაჲ პირისა მისისაჲ სხუა სახე“. ლუკა 9,29.

„და რომელმან შეიწყნაროს ყრმაჲ ერთი ესრე სახედ სახელითა ჩემითა, მან მე შემიწყნაროს“. მათე 18,5.

„არამედ უკუეთუ არა შეინანოთ, ეგრევე სახედ ყოველნი წარსწყმდეთ“. ლუკა 13.3.

„რაოდენ გზის მინდა შეკრებაჲ შვილთა შენთაჲ, ვითარცა სახედ მფრინველმან თჳსნი მართუენი ფრთეთა ქუეშე. და არა ინებეთ“. ლუკა 13,34.

დასახელებულ მაგალითებში სახე, სხვა სიტყვებთან დაკავშირებით, როგორც დავინახეთ, ნიშნავს: სხვაგვარი, სხვანაირი, ამგვარი, რა სახითაც და ა. შ.

ასეთივე განმარტებით არის მოცემული სიტყვა სახე ძველ ქართულ-რუსულ ლექსიკონში: სახჲ—вид, образ, род[1].

საინტერესოა სახის მნიშვნელობა კომპოზიტ სიტყვაში: თითო-სახე. თითო-სახე ოთხთაეში აღნიშნავს სხვადასხვაგვარს, მრავალნაირს:

„მოჰგურიდეს მას ყოველთა მათ ბოროტად სნეულთა თითო-სახეთაგან სენთა და გუემითა შეპყრობილთა“. მათე 4,24.

„განკურნნა ყოველნი ბოროტთა სენთაგან და თითო-სახეთაგან სნეულებათა“. მარკოზი 1,34.

„რაოდენთა ჰქონდეს უძლურნი თითო-სახეთაგან სენთა, მოიყვანნეს მისა“. ლუკა 4.40.

აქ თითო-სახე თითქმის ტერმინის მნიშვნელობას უახლოვდება.

ყურადღების ღირსია აგრეთვე სიტყვა პირი ოთხთაეის მიხედვით. მასაც რამდენიმე მნიშვნელობა ჰქონია. ამათგან ერთი არის სახე, вид. მაგალითად:

„ორგულნო! პირი ქუეყნისაჲ და ცისაჲ იცით გამოცდად, ხოლო ჟამი ესე ვითარ არა გამოიცადეთ?“. ლუკა 12,56.

„და არა შეიწყნარნეს იგინი, რამეთუ პირი მისი იყო მისლვად იერუსალჵმდ“. ლუკა 9,53.

განსაკუთრებით შევჩერდებით ამ უკანასკნელ ამონაწერზე: „რამეთუ პირი მისი იყო მისლვად იერუსალჵმდ“, ე. ი. რადგან მას

[1] Н. Марр. Древнегрузинско-русский словарь к 1-2 главам Евангелия Марка. СПБ, 1913, стр. 35.

ჰქონდა სახე, გარეგნობა იერუსალიმში ჩამსვლელისა, რუსულად — потому, что он имел вид путешествующего в Иерусалим. პირი, ე. ი. სახე, вид აქ პირდაპირ იმ მნიშვნელობით არის მოცემული, როგორც დღესაც გვესმის: სახე, გარეგნობა, вид, образ.

ძველ ლათინურშიც, როგორც ზემოთ მოყვანილი ლექსიკოლოგიური მასალიდან დავრწმუნდებოდით, *species*-ის ერთ-ერთი გაგება ასეთი იყო: გარეგნობა, სახე.

ამრიგად, უკვე ოთხთავში სახე (და ზოგ შემთხვევაში პირი-ც) მოცემული ყოფილა გარეგნობის, ობიექტის განმასხვავებელი თვისობრივობის აღმნიშვნელ სიტყვად. გარდა ამისა, როგორც დავინახეთ, ის ძველი ქართული სიტყვაა, ქართული ენის ლექსიკური ფონდის ერთ-ერთი უძველესი კუთვნილებაა, მაგრამ ბიოლოგიური ტერმინის მნიშვნელობა მას არ აქვს.

სხვა ძველ ლიტერატურულ ძეგლში სახე გვხვდება უკვე ტერმინის სახით, ოღონდ მაინც არა *species*-ის მნიშვნელობით.

ასეთი ძეგლია ბასილი კესარიელი ეპისკოპოსის ზნეობრივ-რელიგიური ხასიათის თხზულება, რომლის ქართული თარგმანი სახელწოდებით „მხეცთათჳს სახისა სიტყუაჲ“ ჩვენამდე X საუკ. ტექსტის სახით არის მოღწეული [1].

ამ ლიტერატურულ ძეგლში, რომელშიც, ავტორის იმდროინდელი გაგებით, აღწერილია 34 ცხოველის ზნე-ჩვეულება, სიტყვა სახე მრავალჯერ არის მოყვანილი.

თვით თხზულების სახელწოდება „მხეცთათჳს სახისა სიტყუაჲ“ ერთი შეხედვით თითქოს იმას უნდა გვიჩვენებდეს, რომ აქ მხეცთა, ცხოველთა სახეების აღწერა უნდა იყოს ნაგულისხმევი.

შემდეგ, თითქმის ყოველი ცხოველის აღწერისას შევხვდებით ასეთ სენტენციურ გამოთქმას: „კეთილად თქუა სახის-მეტყუელმან“...

ზოგი ცხოველის აღწერის დროს არის გამოთქმები, მაგ.: „სამი სახჱ არს ლომისაჲ: პირველი სახჱ ლომისაჲ..., მეორჱ სახჱ ლომისაჲ..., მესამჱ სახჱ ლომისაჲ...“; „სამი სახჱ არს გუელისაჲ: პირველი სახჱ გუელისაჲ..., მეორჱ სახჱ..., მესამჱ სახჱ...“; „სამი სახჱ არს ჯინჭველისაჲ: პირველი სახჱ...“ და ა. შ.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულის მიხედვით შეგვეძლო გვეფიქრა, რომ „სახის-მეტყუელის“ ავტორს მხედველობაში უნდა ჰქონდეს სამი სხვადასხვა სახის ლომი, სამი სხვადასხვა სახის გველი,

[1] Н. Марр. Физиолог. Армяно-грузинский извод. Грузинский и армянский тексты. Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии. Кн. VI, СПБ, 1904.

სამი სხვადასხვა სახის ჰიანჭველა. მაგრამ ეს ასე არ არის. ყველა დასახელებულ მაგალითში სახე ივულისხმება არა *species*-ის გაგებით, არამედ როგორც ზნე, ჩვეულება, нрав. ამიტომაა, რომ ამ თხზულების სახელწოდებაც რუსულ თარგმანში, გადმოცემულია როგორც „Нравоописание зверей"; წინადადება „კეთილად თქუა სახის მეტყუელმან" — როგორც хорошо сказал нравоописатель; „სამი სახჱ არს ლომისაჲ: პირველი სახჱ..., მეორჱ სახჱ..., მესამჱ სახჱ... — როგорც Три нрава у льва: первый нрав...., второй нрав..., третий нрав...", და ა. შ.

მართლაც, გადავსინჯოთ ერთი რომელიმე შემთხვევა, მაგალითად გველის შესახებ.

„სახის მეტყუელში" სწერია, რომ „სამი სახჱ არს გუელისაჲ: პირველი სახჱ: რაჟამს დაბერდის და თუალთა მოაკლდის და ჰნებაენ განჭაპუკებაჲ, მარხვად დგის და მკნდის (ე. ი. მხნეობას იჩენს ხოლმე) და იმარხის გუელმან მან ორმეოც დღჱ და ორმეოც ღამჱ, ვიდრე ტყავი განევლტის და განუთხნის (ე. ი. გაუთხელდება ხოლმე). იძიის ნაპრალი და პოვის კლდისაჲ იწროჲ და შეკდის (ე. ი. შევა ხოლმე) იწროდ და დააგდის ტყავი იგი მისი ძუელი და განჭაპუკნის...

მეორჱ სახჱ გუელისაჲ არს: რაჟამს მივიდის მდინარედ სუმად, არა მიიღის გესლი იგი მისი თანა, არამედ მუნ ქუაბსა ანუ კურელსა დად[ვის]...

მესამჱ სახჱ გუელისაჲ: რაჟამს იხილის შიშუელი, ეტრფიალის, და თუ იხილის შემოსილი, ზედა მიუკდის..."

ცხადია, აქ საუბარია არა სამი სახის გველის შესახებ, არამედ გველის ზნეზე, მოქმედებაზე, ჩვეულებაზე სამ სხვადასხვა გარემოებაში.

ამ მცირე ანალიზის შემდეგ, ვფიქრობთ, ნათელი უნდა იყოს, რომ „სახის-მეტყუელში" ნახმარი სახე არ შეიძლება ჩაითვალოს *species*-ის, вид-ის შესატყვის ბიოლოგიურ ტერმინად, არამედ იგი აღნიშნავს მხოლოდ ცხოველის ზნეს, თვისებას, ცხოველის მოქმედების ხასიათს.

ბიოლოგიურ ტერმინად, საკლასიფიკაციო ნიშნად ძველ ქართულ ენაში თვისობრივად განსხვავებული საგნის მეორისაგან გასარჩევად, გამოსაყოფად, ანუ, სულხან-საბა ორბელიანის ენით თუ ვიტყვით „განწესებისათვის"[1], ან და იოვანე პეტრიწის გამოთქმით

[1] სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი. პროფ. იოსებ ყიფშიძისა და პროფ. აკაკი შანიძის რედაქციით. თბილისი, 1928, გვ. 280.

„განყოფისათვის“ [1], ეტყობა, სხვა სიტყვა, სხვა ტერმინი უნდა ყოფილიყო მიღებული. ეს სიტყვა არის გვარი.

ამის დასადასტურებლად შეიძლება მოვიყვანოთ ერთი ამონაწერი იოვანე პეტრიწის თარგმანიდან ნემესიოს ემესელის თხზულებისა „ბუნებისათჳს კაცისა“, ის ადგილი, სადაც გადმოცემულია ნემესიოსის მიერ პითაგორას მოძღვრების კრიტიკა სულის შესახებ (რომ შეუძლებელია სულისა და რიცხვის გაიგივება, როგორც ეს დაშვებული ჰქონია პითაგორას):

> „არა თუ რიცხუ არს სული, არამედ ამისთჳს, რომელ შორის განრიცხუვადთაჲსა არს და შორის განმრავალთაჲსა და რამეთუ სული არს განმსჯელი საქმეთაჲ და ხატთა და სახეთაჲ თჳთეულსა-ზედა მომავლენილი, რამეთუ ესე არს გუარისა გუართაგან განმყოფელი და განყოფისა მათისა გამომაჩინებელი...“ [2].

ამ ამონაწერში ჩვენთვის საყურადღებოა ის ადგილი, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ სული გვართა განმყოფელია, გვართა განმასხვავებელი ნიშნების გამომაჩინებელია. ჩვენ აქ, რასაკვირველია, გვაინტერესებს არა სული, არამედ სიტყვა „გვარის“ გამოყენება საკატეგორიო ცნებად.

მართლაც, გვარის ქვეშ აქ აუცილებლად უნდა იგულისხმებოდეს დამახასიათებელი ნიშნების მქონე ობიექტი, რომელიც მეორე ობიექტისაგან აგრეთვე დამახასიათებელი თვისობრივი ნიშნებით არის განსხვავებული. გვარი იოვანე პეტრიწის თარგმანში, უეჭვოდ, საკატეგორიო ცნებაა, სწორედ ისეთი, რომელიც ჩვენ სახით გვაქვს წარმოდგენილი. ამიტომ ნემესიოსის ზემომოყვანილი წინადადება შეიძლებოდა დღევანდელი ენით ასე გადმოგვეცა: სული არის სახისაგან სახის გამომყოფი, განმსაზღვრელი და ამ გამოყოფის, ამ განსაზღვრის ნათელმყოფელი.

მივაქცევდით ყურადღებას, რომ პეტრიწის თარგმანის ზემომოყვანილ ტექსტში მოხსენებულია კიდევ ორი სიტყვა — ხატი და სახე:

> „რამეთუ სული არს განმსჯელი საქმეთაჲ და ხატთა და სახეთაჲ თჳთეულსა-ზედა მომავლენილი...“.

---

[1] ნემესიოს ემესელი. ბუნებისათჳს კაცისა. ბერძნულიდან გადმოცემული იოვანე პეტრიწის მიერ. შესწავლილი და დასაბეჭდად გამზადებული ს. რ. გორგაძის მიერ. თბილისი, 1914, გვ. 40.

[2] იქვე, გვ. 40$_{16-20}$ და სქოლიო 40-41.

მაგრამ სიტყვები ხატი და სახე აქ გამოყენებულია არა *species*-ის მნიშვნელობით, არამედ, როგორც სამართლიანად უნდა შენიშნავდეს ს. გორგაძე[1], პირველი — ფორმის (форма) აღსანიშნავად, ხოლო მეორე — აღნაბეჭდის (отпечаток) მნიშვნელობით. ამავე აზრისაა ვ. წერეთელი[2].

არც ცოცხალ ხალხურ ენაში შევხვდებით სიტყვა სახეს, და მით უმეტეს სახეობას ბიოლოგიური ტერმინის მნიშვნელობით. მაშ, შეიძლება ვიკითხოთ, რომელ სიტყვას მიმართავს ხალხის საღი გონება ერთმანეთისაგან განსხვავებული საგნების, ცხოველების, მცენარეებისა და სხვათა აღსანიშნავად? ეს სიტყვა არის გვარი, ე. ი. ისევ ის სიტყვა, რომელიც პეტრიწის თარგმანში მყარ ტერმინად გამოიყურება.

აქ ისმის საკითხი: „გვარი“ პეტრიწის დროს (XI-XII ს.)[3] წარმოადგენდა მწიგნობრულს, სალიტერატურო-სამეცნიერო ტერმინს, თუ სალაპარაკო ენის სიტყვას? ან როგორი გზით უვლია მას: სამწერლო ენიდან ხალხისაკენ, თუ, პირუკუ, სამწერლო ენას ის რომელიმე ცოცხალი დიალექტიდან შეუთვისებია?

ყოველ შემთხვევაში ნათელი უნდა იყოს, რომ ეს სიტყვა მთელ ქართველ ხალხს უკვე დიდი ხანია შესისხლხორცებული აქვს იმდენად, რომ მის საშუალებით საგნის თვისობრივობას გამოხატავს, რომ ხალხმა ის შემეცნებისა და აზროვნების კატეგორიად აქცია. ამის მაჩვენებელია ხალხური გამოთქმები: ერთგვარი, ამგვარი, და სხვ. ქართველი კაცი არასოდეს იტყვის მათ ნაცვლად: ერთსახი, ამსახი. საგანთა ერთმანეთისაგან გარჩევის მიზნით ის იტყვის: ეს ამგვარი საგანია, ამ გვარის მცენარეა, ამ გვარის ცხოველია, ის კი — სხვა გვარისაა.

შესაძლოა, ხალხური მეტყველების გავლენას მიეწეროს, რომ ე. ფერიერის წიგნის „დარვინიზმის“ ქართულ თარგმანში[4] вид გადმოცემულია გვარად. მაგალითები:

გვართა წარმოშობის საკითხი (ამჟამად ვიტყოდით: სახეთა წარმოშობის საკითხი).

---

[1] იქვე. გვ 220.

[2] ვ. წერეთელი. ქართული სამეცნიერო და საფილოსოფიო ტერმინოლოგია იოვანე პეტრიწის თარგმანის მიხედვით. ქუთაისი, 1916, გვ. 33.

[3] როგორც ცნობილია, ნემესიოსის თარგმანი პეტრიწის მიერ შესრულებულია XII ს. პირველ მეოთხედში. იხ. ზემოთდასახელებული გამოცემა ს. გორგაძისა, გვ. XV.

[4] ე. ფერიერი. დარვინიზმი. თარგმანი ი. ფანცხავასი. ქუთაისი, 1912.

გვართა გაქრობა (ამჟამად ვიტყოდით: სახეთა ამოწყვეტა).

გვართა გარდაქმნა (ამჟამად ვიტყოდით: სახეთა ცვალებადობა), და სხვ.

ყველასათვის ნათელი უნდა იყოს, რომ ძველი ქართველი მკვლევრების (ან მთარგმნელების) ტერმინი „გვარი“ ჩვენს თანამედროვე ტერმინოლოგიასა და ნომენკლატურაში *species*-ის აღსანიშნავად არ გამოდგებოდა. გვარი ამჟამად გამოხატავს *species*-ზე უფრო მაღალ ტაქსონომიურ ერთეულს *genus*-ს, род-ს.

ქართულ საბუნებისმეტყველო ლიტერატურაში წმინდა ბიოლოგიურ საკლასიფიკაციო ტერმინად სახე იხმარება პირველად მეცხრამეტე საუკუნის პირველ მესამედში. ასე, იოანე ბაგრატიონს თავის ცნობილ „კალმასობაში“[1] ეს ტერმინი გარკვევით აქვს გამოყენებული დაბალი ტაქსონომიური ერთეულის აღსანიშნავად. მაგ. ავტორი, იოანე ხელაშვილის პირით, გადმოგვცემს შეხედულებას ბუნების შემადგენლობის შესახებ. რომ ბუნება იყოფა სამ სამეფოდ: ცხოველთა, მცენარეთა და მინერალთა („მადანთა და სხვათა მიწათა შინა მყოფთა ნივთებთა ზედა“) და დასძენს:

> „ხოლო თვითეულნი უკვე ამათ სამეფოთაგანი კვალად განიყოფებიან მრავალთა დიდთა და მცირეთა ნაწილთა ზედა, წოდებულთა ხარისხებად. და ხარისხიანი ესე განიყოფებიან გვარებთა ზედა. ხოლო გვარნი უკვე განიყოფებიან სახეთა ზედა“. (ხაზგასმულია ჩვენს მიერ. გ. კ.).

ეს „სახე“ არის სწორედ ის ერთეული, რომელსაც ბიოლოგიაში ლათინურად ჰქვია *species*. იოანე ბაგრატიონის ცხოველთა და მცენარეთა სამყაროების ასეთი ტაქსონომია შეესაბამებოდა XVIII-XIX ს. მიჯნაზე ბიოლოგიაში გამტკიცებულ საკლასიფიკაციო ჯგუფების აღნიშვნას.

ამრიგად, ბიოლოგიური კატეგორიისათვის, დაბალი ტაქსონომიური ერთეულისათვის ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში *species*-ის შესატყვის ტერმინად მიღებული ყოფილა ჯერ გვარი და შემდეგ სახე.

უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენის ინსტიტუტთან არსებული სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილების მიერ ეს ორივე ტერმინი (სახე და სახეობა) მიღებული იყო ჯერ კიდევ 1931 წელს თანასწორი უფლებებით.

---

[1] იოანე ბატონიშვილი. კალმასობა. ტომი მეორე. კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით. თბილისი, 1948, გვ. 10.

მაგრამ ბიოლოგიური მეცნიერების მოთხოვნილება ტერმინის სიზუსტისადმი გვაიძულებს შევინარჩუნოთ ის ტერმინი, რომელიც უკეთესია.

ჩვენი აზრით ამ ორი მოცილე ტერმინიდან უპირატესობა ტერმინს სახეს უნდა მიეცეს, რადგან 1) იგი არა მარტო ახალი ქართული ენის კუთვნილებაა, არამედ, როგორც დავინახეთ, ცნობილი იყო უძველეს ქართულ ენაშიც, ე. ი. აქვს დიდი ისტორიული წარსული და შედის ქართული ენის ძირითად ლექსიკურ ფონდში, 2) წარმოების მიხედვით უფრო მარტივია, 3) მისი სემანტიკაც უფრო ნათელია. ეს მნიშვნელობა არ შეცვლილა საუკუნეთა განმავლობაში. სახეობას კი 1) არა აქვს ისტორიული ტრადიცია, 2) სახესაგან ნაწარმოებია, ე. ი. წარმოების პრინციპის მიხედვით უფრო რთულია, 3) მნიშვნელობითაც არ არის ისე ნათელი, როგორც სახე, რადგან ობა სუფიქსის წყალობით ამ ტერმინს უფრო განყენებული ცნების ელფერი დაჰკრავს.

ქართული ენის გრამატიკული ნორმები იმაზე მიგვითითებენ, რომ ობა სუფიქსი, ისე როგორც ება სუფიქსი, უმთავრესად განყენებულ სახელთა საწარმოებელია, მაგ. კაც-ობა, ბავშვ-ობა, ძლიერ-ება და სხვ.[1] ჩვენ კი გვჭირდება ტერმინი არა განყენებული ცნებისათვის და არა ვითარების გამომხატველი, არამედ ვითარების ერთს გარკვეულ ეტაპზე სრულიად კონკრეტული საგნის თვისობრივი განკერძოების გამომხატველი ტერმინი.

„სახეები, — ამბობს აკად. ტ. დ. ლისენკო, — არის ცოცხალი ბუნების ჯაჭვის რგოლები. ისინი წარმოადგენენ თვისობრივი განკერძოების ეტაპებს, ორგანული სამყაროს თანდათანობითი ისტორიული განვითარების საფეხურებს“ (თარგმანი ჩვენია. გ. კ.). რუსულად: „Виды — это звенья цепи живой природы, это этапы качественной обособленности, ступеньки постепенного исторического развития органического мира“[2]. ამ თვისობრივი განკერძოების ეტაპის ცნებას სჭირდება ისეთი შესატყვისი სახელწოდება, რომელიც ვ. ი. ლენინის გამოთქმით არის „служащий для различения знак, какой-нибудь бросающийся в глаза признак, который я делаю представителем предмета, характеризующим пред-

[1] ა. შანიძე. ქართული ენის გრამატიკა. ნაწ. I. ფონეტიკა და მორფოლოგია. თბილისი, 1949, გვ. 98.

[2] Акад. Т. Лысенко. Новое в науке о биологическом виде. „Правда“ от 3 XI 1950 г., № 307.

мет, чтобы припомнить его в его целостности“ [1]. სახის ცნების მიჩურჩულით გაგებისათვის ასეთ სახელწოდებად, ასეთ ტერმინად უფრო სწორი უნდა იყოს სახე და არა სახეობა.

ჩვენ კი ვხედავთ, რომ აკად. ლისენკოს შრომების ყველა ქართულ თარგმანში вид გადმოცემულია როგორც სახეობა. ეს ცვლის სახის გაგების შინაარსს. მაგ. წინადადებები: „Виды не абстракция, а реально существующие узлы (звенья) в общей биологической цепи. Живая природа — это биологическая цепь, как бы разорванная на отдельные звенья — виды“ [2] გადმოცემულია ამგვარად: „სახეობანი — აბსტრაქცია კი არაა, არამედ რეალურად არსებული კვანძები (რგოლები) საერთო ბიოლოგიურ წყებაში. ცოცხალი ბუნება ეს ბიოლოგიური წყებაა, თითქოს ცალკეულ რგოლებად — სახეობებად — დაწყვეტილი“ [3]. კონკრეტული ცნება, ბუნებაში რეალურად არსებული ერთეულები, აბსტრაგირებული ელფერის მქონედ იქცევა.

ტერმინი სახის მოწინააღმდეგენი შენიშნავენ: სიტყვა სახე ტერმინად იმიტომ არ ვარგა, რომ მას (სიტყვას) ქართულში მრავალი მნიშვნელობა აქვსო. სრული ჰეშმარიტებაა. მაგრამ მრავალშინაარსიანობა განა სხვა ქართულ ტერმინს არაა აქვს? მაგალითისათვის ავიღოთ სიტყვა ენა.

ენა ჰქვია: 1) ადამიანისა და ცხოველების სხეულის ნაწილს — მომნელებელი სისტემის ერთ-ერთ ორგანოს. მაშასადამე, ენა ანატომიური ტერმინია; 2) ტექნიკურ ნაწილს, მაგ. კლიტის ენა, ზარის ენა. მაშასადამე, ენა ტექნიკური ტერმინია; 3) „ენა არის საშუალება, იარაღი, რომლის შემწეობითაც ადამიანებს ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან, უზიარებენ ერთმანეთს აზრებს და აღწევენ ურთიერთგაგებას“ (სტალინი) [4], მაგ. ქართული ენა, რუსული ენა, ჩინური ენა და სხვ. მაშასადამე ენა საენათმეცნიერო ტერმინია. მაგრამ ეს გარემოება (სიტყვა „ენის“ პოლისემია) ხელს როდი უშლის, რომ ყველა ჩამოთვლილი საჭიროებისათვის ტერმინად დარჩეს ეს ერთი სიტყვა.

[1] В. И. Ленин. Философские тетради. Партиздат. Москва, 1948. стр. 84.

[2] Акад. Т. Д. Лысенко. О положении в биологической науке. Москва, 1948, стр. 42-43.

[3] აკად. ტ. დ. ლისენკო. მდგომარეობა ბიოლოგიურ მეცნიერებაში. თბილისი, 1948, გვ. 55.

[4] ი. სტალინი. მარქსიზმის შესახებ ენათმეცნიერებაში. გამომცემლობა „კომუნისტი“, თბილისი, 1950, გვ. 22.

სრულიად ასეთივე მდგომარეობაა შექმნილი ბიოლოგიურ ტერმინოლოგიაში *subspecies*-ის (подвид) ირგვლივ. ქართულად მას ზოგი გადმოსცემს როგორც ქვესახე-ს, სხვანი — როგორც ქვესახეობა-ს.

იმისათვის, რომ ავიცილოთ ზემომოყვანილი მსჯელობის გამეორება, მოკლედ შევნიშნავთ, რომ ეს ლათინური ტერმინი უნდა გადმოიცეს როგორც ქვესახე.

რაც შეეხება ისეთი სისტემატიკური კატეგორიის აღნიშვნას, როგორიცაა *varietas* (разновидность), იგი ქართველ ავტორთა და მთარგმნელთა უმრავლესობის მიერ აქამდე გადმოიცემოდა როგორც სახესხვაობა. ჩვენი შეხედულებით იგი კარგი ტერმინია. მართალია, ორმოციოდე წლის წინათ ამ კატეგორიისათვის ხმარებული იყო ტერმინი გვარსხვაობა[1], მაგრამ მისი წარმოება გვარიდან უნდა ყოფილიყო გასაგები მოსაზრებით, რაზედაც ზემოთ გვქონდა შენიშნული.

ამ უკანასკნელ დროს არის ცდა კიდევ სხვა ტერმინის შემოღებისა, სახელდობრ ნაირსახეობისა[2]. მას ჩვენ ვერ გავიზიარებთ. თუ ეს ტერმინი სურთ აწარმოონ სიტყვიდან „ნაირნაირი“, ჩვენი აზრით უფრო გამართლებული იქნებოდა, რომ *varietas*-ს პირდაპირ ნაირობა უწოდონ. მაგრამ ჩვენ უპირატესობას მაინც სახესხვაობას ვანიჭებთ. ის მოსაზრებანი, რომლებიც ჩვენ სახეობის საწინააღმდეგოდ მოვიყვანეთ, სახესხვაობის შემთხვევაში დადებითი ღირებულების მოსაზრებებად იქცევიან.

საკმარისია ჩავიხედოთ ლათინური ენის ლექსიკონში[3], რომ დავრწმუნდეთ *varietas*-ის მნიშვნელობის თავისებურებაში. იგი ნიშნავს: разноцветность, разновидность, разнообразность, разнота და სხვ. ლათინურ-ქართულ ლექსიკონშიც[4] *varietas* განმარტებულია როგორც: 1. ნაირნაირობა, 2. განსხვავება, 3. ცვალებადობა.

ტერმინი სახესხვაობა გვიჩვენებს ნაირნაირობას, მრავალფეროვანობას, ცვალებადობას ორგანიზმის ნიშანთვისებებისა, გვიჩვენებს ერთი სახის ფარგლებში არსებულ ინდივიდთა მორფო-ფიზიოლოგიურ ნიშანთვისებათა მერყეობას. ტერმინი სახესხვაობა

---

[1] ე. ფერიერი. დარვინიზმი. თარგმანი ი. ფანცხავასი. ქუთაისი, 1912.

[2] აკად. ტ. ლისენკო. ახალი რამ ბიოლოგიური სახეობის მეცნიერებაში. „კომუნისტი“, 15 ნოემბერი 1950 წ., № 255. მთარგმნელი უცნობია.

[3] И. Кронеберг. Латинско-русский и Русско-латинский лексикон. Москва, 1870.

[4] ს. ყაუხჩიშვილი. ლათინურ-ქართული ლექსიკონი. თბილისი, 1940.

იმას გვიჩვენებს, რომ სახესხვაობაში ნიშანთვისებანი ვერ გამტკიცებულან იმდენად, რომ სახებრივი, ე. ი. სახისათვის დამახასიათებელი თვისობრივობა გამოვლენილიყო.

მართლაც, რას წარმოადგენს *varietas* — разновидность მიჩურინული ბიოლოგიის თვალსაზრისით?

მიჩურინული ბიოლოგიის მიხედვით „სახესხვაობანი — მოცემული სახის არსებობის ფორმებია“ [1]. ეს ფორმები, ე. ი. სახესხვაობანი, ქმნიან იმ თავისებურ შიგასახებრივ ურთიერთდამოკიდებულებებს, რომლებითაც მოცემული სახის სახესხვაობანი სხვა სახის სახესხვაობებისაგან განსხვავდებიან. ეს შიგასახებრივი ურთიერთდამოკიდებულებანი, უნდა ვიფიქროთ, რაოდენობრივი ხასიათისაა; მოცემული სახის სახესხვაობათა ნიშანთვისებები დაგროვება-ცვლილებების პროცესში იმყოფებიან ნივთიერებათა ცვლის ტიპის პირობებთან დაკავშირებით.

აკად. ტ. დ. ლისენკო ამბობს: „სწორი არ არის იმის თქმა, რომ სახეები დროის არავითარ პერიოდში არ ინარჩუნებენ თავიანთი თვისობრივ-სახებრივი გარკვეულობის მუდმივობას“ [2]. (თარგმანი ჩვენია. გ. კ.). აქედან შეგვიძლია დავასკვნათ საწინააღმდეგო, რომ სახესხვაობები (ერთი რომელიმე სახისა) თვისობრივ-სახებრივი გარკვეულობის მუდმივობას მოკლებული არიან, ე. ი. მათი ნიშანდობლივი თვისებები გარემოს ცვალებად პირობებთან ურთიერთობაში საგრძნობლად ცვალებადობენ და განვითარებას განიცდიან. *Varietas*-ის ცნების ამ თავისებურობას უფრო გადმოცემს, ჩვენი აზრით, ტერმინი სახესხვაობა, ვიდრე სხვა წარმოდგენილი ტერმინი.

თუ ჩვენი შეხედულება სწორია, რომ *species*-ის აღსანიშნავად ტერმინად სახე უნდა დარჩეს, მაშინ დაისმება საკითხი: როგორი იქნება მისგან ნაწარმოები ბოლოსართიანი სიტყვები, რომლებიც ბიოლოგიურ ლიტერატურაში აგრეთვე სადავო შეიქნენ? ასეთებია **видовой** და **внутривидовой**. ჩვენი აზრით **видовой** იქნება სახებრივი, და არა სახეობრივი, ხოლო **внутривидовой** — შიგასახებრივი, და არა შიდასახეობრივი. რაც შეეხება **межвидовой**-ს, იგი, უდავოდ, უნდა დარჩეს — სახეთაშორისი.

ასევე უნდა ითქვას სხვა საკლასიფიკაციო ერთეულების სახელ-

[1] აკად. ტ. ლისენკო. ახალი რამ ბიოლოგიური სახეობის მეცნიერებაში. „კომუნისტი“. 15 ნოემბერი 1950 წ., № 255.

[2] აკად. ტ. დ. ლისენკო. მდგომარეობა ბიოლოგიურ მეცნიერებაში. თბილისი, 1948, გვ. 55.

წოდებებიდან ნაწარმოები სიტყვების მიმართ: родовой — გვარობრივი, და არა გვარეობითი; присущий семейству — ოჯახობრივი; отрядовый — რიგობრივი; классовый — კლასობრივი; типовой — ტიპობრივი.

ცოტა შევჩერდეთ ტერმინ გვარზე.

ამ უკანასკნელ დროს არის ტენდენცია ეს ტერმინიც შეცვალონ ისე, როგორც შეცვლილი იქნა სახე. გვარის ნაცვლად გვარეობა შემოაქვთ, ხოლო родовой-სათვის — გვარეობითი. ასეთ მოვლენას შევხვდებით ზოგი პერიოდული გამოცემის ფურცლებზე[1]. ერთი შეხედვით ეს ცდა ლოგიკურად მოგვეჩვენება, რადგან, თუ სახე შეცვლილი იქნა სახეობად, გვარის შეცვლას გვარეობად რა გადაეღობებოდა? მივიღებთ ახალ ბიოლოგიურ ტერმინს, ქართული ბიოლოგიური ტერმინოლოგია ამით კიდევ უფრო გამდიდრდება! რასაკვირველია, ქართული ბიოლოგიური ტერმინოლოგიის გამდიდრება კარგი საქმეა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცხოვრება, მეცნიერება ამას საჭიროებენ, თუ ამით ცნებების დაზუსტება მიიღწევა, თუ ამით დამწერის აზრი უფრო გასაგები გახდება. ჩვენ გვგონია, რომ ასეთ შედეგს სახეობისა და გვარეობის შემოღება ვერ მოგვცემს.

მოვიყვანოთ ამის მაგალითები აკად. ლისენკოს ზემომოხსენებული წერილის ქართული თარგმანიდან:

წერია:	ჩვენი აზრით უნდა იყოს ასე:
ერთი და იგივე გვარეობის სხვადასხვა სახეობის ინდივიდები	ერთი და იგივე გვარის სხვადასხვა სახის ინდივიდები
არსებული სახეობების, ე. ი. ერთი და იგივე ბოტანიკური გვარეობის ინდივიდები	არსებული სახეების, ე. ი. ერთი და იგივე ბოტანიკური გვარის ინდივიდები
ეს სახეობანი... სხვადასხვა ბოტანიკურ გვარეობას ეკუთვნიან	ეს სახეები... სხვადასხვა ბოტანიკურ გვარს ეკუთვნიან
ერთი და იგივე ბოტანიკური გვარეობის სახეობათა თანაარსებობა	ერთი და იგივე ბოტანიკური გვარის სახეთა თანაარსებობა

[1] გაზ. „კომუნისტი". 15 ნოემბერი 1950 წ., № 255.

ცხადია, რომ ტერმინი გვარიც არ უნდა იქნას შეცვლილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ასეთ გეზს მივსდიეთ, მალე მოწამე შევიქნებით იმისა, რომ ოჯახი ოჯახეობად გადაიქცევა, რიგი — რიგეობად, კლასი — კლასეობად, ტიპი — ტიპეობად, რაც ბიოლოგიური მეცნიერებისათვის სრულებით არ არის საჭირო.

ამხანაგი კ. ნ. ჩარკვიანი თავის საანგარიშო მოხსენებაში საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის XX პარტიულ კონფერენციაზე აღნიშნავს, რომ „ქართველი ხალხის სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის სწრაფი განვითარების მხარდამხარ უნდა ვითარდებოდეს ჩვენი ენაც. ახალი საჭირო სიტყვებით გამდიდრებასთან ერთად, ენა უნდა სრულყოფდეს თავის გრამატიკულ წყობასაც. მაგრამ, — დასძენს ამხ. ჩარკვიანი, — ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ენა უნდა დანაგვიანდეს... ცალკეული ადამიანების მიერ გამოგონილი ხელოვნური სიტყვებით...“.

ამხ. ჩარკვიანი მიგვითითებს იმაზე, რომ „ჩვენი მეცნიერება და მხატვრული ლიტერატურა მოვალენი არიან ფხიზლად ადევნონ თვალი ახალ ენობრივ მოვლენებს, ახალი სიტყვებიდან და გამოთქმებიდან შეარჩიონ მხოლოდ ისეთები, რომლებიც მართლა საჭიროა ლიტერატურული ენისათვის, და ისინი საყოველთაო კუთვნილებად გახადონ“.

2. რაზმი თუ რიგი

ქართულ ბიოლოგიურ ტერმინოლოგიასა და ნომენკლატურაში ჩვენ სადაოდ მიგვაჩნია კიდევ ერთი საკლასიფიკაციო ერთეულის ქართული სახელწოდება. ესაა რაზმი. იგი გამოიყენება ლათინური *ordo*-ს, რუსული отряд-ის აღსანიშნავად. მაგრამ ამავე დროს ხმარებაშია მეორე ტერმინიც, სახელდობრ რიგი.

ამრიგად, ამჟამად ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში *ordo* ორნაირად გადმოიცემა: რაზმი და რიგი.

შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელ წლებში, სამეცნიერო და სასკოლო გამოცემების მეოხებით, ამ ორი ტერმინიდან მეტი გავრცელება მიეცა რაზმს[1]. ჩვენ ეს არ მიგვაჩნია მართებულად. ამიტომაა, რომ ამ სატერმინოლოგიო საკითხს მსჯელობის საგნად ვხდით.

[1] იყო ცდა სხვა ტერმინის შემოღებისა, მაგ. მწკრივის (იხ. ს. ვ. ავერინცევი. უხერხემლოთა ზოოლოგიის მოკლე კურსი. თარგმანი მ. ჭავჭანიძისა. თბილისი, 1932). მაგრამ ის თვით შემომღების მიერ მალე იქნა უკუგდებული (იხ. ვ. ა. დოგელი. უხერხემლოთა ზოოლოგიის სახელმძღვანელო. თარგმანი მ. ჭავჭანიძის. თბილისი, 1938).

რომ გადავსინჯოთ *ordo* კლასიკური ენის ლექსიკონით[1], დავინახავთ, რომ მას რამდენიმე მნიშვნელობა ჰქონია: 1. порядок вообще, ряд; 2. чин, состояние; 3. порядок, связь вещей; 4. строй, фрунт (говоря о солдатах).

ლათინურ-ქართულ ლექსიკონში[2] ვკითხულობთ: 1. წყება, მწკრივი, რიგი; 2. (სამხ.) რაზმეული, ცენტურია; 3. (სამხ.) ცენტურიონის თანამდებობა.

ამრიგად, *ordo* გამომხატველი ყოფილა ერთი მხრივ, საგანთა წესრიგის ცნებისა (წყება, მწკრივი, რიგი; ряд, порядок), მეორე მხრივ, ადამიანთა, და ისიც სამხედრო ჯგუფისა (რაზმეული, ცენტურია; строй, фрунт) და მესამე მხრივ, თანამდებობის აღმნიშვნელიც ყოფილა (ცენტურიონის თანამდებობა; чин, состояние).

ეს უკანასკნელი მნიშვნელობა, ე. ი. თანამდებობის აღნიშვნა, ბიოლოგიური მეცნიერებისათვის სატერმინოლოგიოდ, ცხადია, ღირებულებას მოკლებულია. დარჩა ორი მნიშვნელობა: ერთი, ადამიანთა (სამხედროთა) მწყობრის აღმნიშვნელი (რაზმეული, ცენტურია — სამხედრო ტერმინია!) და მეორე, საგანთა წესრიგის აღმნიშვნელი (წყება, მწკრივი, რიგი; ряд).

Ordo-სათვის ქართული შესატყვისი ტერმინის ძიების დროს ყურადღება, ეტყობა, ორი სხვადასხვა წყაროსკენ ყოფილა მიპყრობილი. ერთი წყაროა ქართული სალაპარაკო ენა და ძველი სამეცნიერო ლიტერატურა. იგი იძლევა ტერმინს რიგს. მეორე წყაროა რუსული ტერმინოლოგია. რუსული отряд-ი გადმოთარგმნილა რაზმად.

ქართულ ბიოლოგიურ ტერმინად რაზმი არ ვარგა. არ ვარგა იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, მას ერთგვარი სოციალური ელფერი აქვს (ასეთი ტერმინი ბიოლოგიაში ჯერ კიდევ არა ერთია შერჩენილი). მეორეცაა — და, მასზე უფრო ზუსტად საჭირო ცნებას სხვა სიტყვა გამოხატავს.

რომ რუსულშიც отряд-ის ქვეშ ძირითადად ადამიანთა ჯგუფი იგულისხმება, დავრწმუნდებით შემდეგი ლექსიკოლოგიური მასალის ჩვენებით: რუსული ენის განმარტებითი ლექსიკონში[3] ვკითხულობთ: „Отряд 1. Группа войск, военных судов... || Организованная

---

[1] И. Кронеберг. Латинско-русский и Русско-латинский лексикон. Москва, 1870.

[2] ს. ყაუხჩიშვილი. ლათინურ-ქართული ლექსიკონი. თბილისი, 1940.

[3] Д. Н. Ушаков. Толковый словарь русского языка, т. II, Москва, 1938, стр. 982.

группа людей. объединенная для совместной деятельности и работы... 2. В систематике животных: подразделение класса...".

რუსულ ბიოლოგიურ ტერმინოლოგიაში, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, *ordo* გადმოცემულია отряд-ით. მაგრამ, ამ სიტყვის გარდა, მოიპოვება კიდევ მეორე სიტყვაც — порядок, რომელიც შინაარსით ბიოლოგიურ ტერმინად უფრო გამოდგებოდა, რომ ზოგი რუსი სისტემატიკოსის მართებული წამოწყება, ამ სიტყვის ტერმინად გამოყენება, უმრავლესობას არ უკუეგდო.

შესაძლოა, ეს ჩვენი ტერმინოლოგიური შენიშვნები რაზმისა და რიგის ირგვლივ საჭირო არც იყო, რადგან საკითხი გარკვეულია უკვე დიდი ხნის წინათ.

1716 წელს ჩვენმა განთქმულმა ლექსიკოგრაფმა სულხან-საბა ორბელიანმა თავის ლექსიკონში[1] ნათლად გვიჩვენა, რომ საგანთა საკლასიფიკაციოდ ცოცხალ სიტყვად რიგი იყო მიღებული. მას ორივე სიტყვა: რაზმიც და რიგიც აქვს განმარტებული. რაზმი, საბათი, ჯარის მწყობრს ნიშნავს: „რაზმი — მწყობრი ჯართა" [ნ. შეერაზმა] (გვ. 277), ხოლო „შეერაზმა — რაზმი შეეწყო" (გვ. 393).

ხოლო რიგი, როგორც ამაზე საბა მიგვითითებს, დასაჯგუფებლად, გარიგებისათვის უნდა იხმარებოდეს: „რიგი — განწესებისათვის" [ნ. აარიგე, გაარიგე, დაარიგე და სხვ.] (გვ. 280). მაგრამ რა არის „განწესება" საბას გაგებით? „განწესება გარიგება" ყოფილა (გვ. 61). ეს სიტყვა საბას დაბადების ტექსტზე აქვს მითითებული.

მაშ, განწესება გარიგება ყოფილა. გარიგება კი საგანთა რიგრიგობით, წესრიგით დალაგებას, ე. ი. კლასიფიცირებას ნიშნავს. საბა ამბობს: განწესებისათვის, ეს უნდა გავიგოთ: საკლასიფიკაციოდ.

ამრიგად, სულხან-საბა ორბელიანს საკმაო გარკვევით ჰქონია განმარტებული ამ ორი სიტყვის განსხვავებული მნიშვნელობა და მათი გამოყენების შემთხვევები: რაზმი — ჯარის მწყობრის აღსანიშნავად, ხოლო რიგი — საგანთა საკლასიფიკაციოდ.

დასახელებული მასალის საფუძველზე შეიძლება მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა, რომ რაზმი ორგანიზმთა საკლასიფიკაციოდ, ტაქსონომიური ერთეულის აღმნიშვნელ სიტყვად არ გამოდგება

---

[1] სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი. პროფ. იოსებ ყიფშიძისა და პროფ. აკაკი შანიძის რედაქციით. თბილისი, 1928.

და ის, როგორც არაშესაფერისი ტერმინი, ბიოლოგიური ტერმინოლოგიიდან და ნომენკლატურიდან ამოღებული უნდა იქნას. პირიქით, რიგი ლათინური *ordo*-ს ქართულად გადმოსაცემად საუკეთესო და ყოვლად გამართლებული ტერმინია, ამიტომ ის უნდა იქნას აღდგენილი თავის უფლებებში.

Г. В. КОКОЧАШВИЛИ

О НЕКОТОРЫХ ГРУЗИНСКИХ БИОЛОГИЧЕСКИХ ТЕРМИНАХ

Резюме

В грузинской биологической литературе для обозначения таких таксономических единиц как вид и отряд обычно пользуются терминами: для первой სახეობა и სახე, а для второй რაზმი и რიგი. За последнее время предпочтение отдается терминам სახეობა для вида и რაზმი для отряда. Автор находит более целесообразным пользоваться для обозначения вида термином სახე, который более прост по конструкции, а по внутреннему смыслу более отвечает понятию вида с позиций мичуринской биологии. К тому же სახე является живым словом, употребляемым в разговорной речи, а სახეობა — искусственно созданное слово. Для обозначения же отряда автор предпочтение отдает термину რიგი как более соответствующему понятиям классификации организмов.

ალ. ფულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, X, 1950-1951.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, X, 1950-1951.

დავით მაჭავარიანი

კნელ სუფიქსი ქართულში

კნელ ელემენტი გამოიყოფა სიტყვებში: უკუანაჲსკნელი || უკანასკნელი, ქუესკნელი || ქვესკნელი, ზესკნელი და გარესკნელი.

ამ სიტყვებიდან ყველაზე ხშირია ძველს ქართულში უკუანაჲსკნელი:

...უკუანაჲსკნელი ესე მუშაკი მაცხოვრისა ჩუენისაჲ... აბოს მარტვ. $77_{,10}$ [1];

...რამეთუ შენ მიემსგავსე უკუანაჲსკნელსა მას მოციქულსა პავლეს... იქვე, $77_{,14}$;

...და დაიმარხა ორმეოცი დღე და ორმეოცი ღამე და უკუანაჲსკნელ შეემშია C მ. $12_{,2}$ [2];

...იწყე უკუანაჲსკნელთაგან, ვიდრე პირველთამდე... C მ. $20_{,8}$;

...და იქმნის უკუანაჲსკნელი კაცისაჲ მის უძჳრეს პირველისა მის... C მ. $12_{,45}$;

...ამათ უკუანაჲსკნელთა ჟამ ერთ ხოლო ქმნეს და დამასწორენ ჩუენ იგი... C მ. $20_{,12}$;

...უკუანაჲსკნელ-ღა მოკუდა დედაკაცი იგი... C მ. $22_{,27}$;

...უკუანაჲსკნელ მოვიდეს სხუანი იგი ქალწულნი და იტყოდეს... C მ. $20_{,12}$;

---

[1] იოანე საბანისძე, მარტვილობა აბო ტფილელისა, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, ნაკვეთი I, კ. კეკელიძის გამოცემა, თბ. 1935.

[2] ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, აკ. შანიძის გამოცემა, თბ. 1945.

...და იყოს უკუანაჲსკნელი საცთური უძვრეს პირველისა... С მ. 27,64;

...ხოლო მრავალნი იყვნენ პირველნი უკუანაჲსკნელ, და უკუანაჲსკნელნი პირველ... ДЕ მარკ. 10,31;

...ხ҃ უკუანაჲსკნელ ეწოდა მკუდრთა მისთა გ҃ნ ლადიბ... ცხ. საბა ასურისაჲ, 5,1 [1];

...ხ҃ უკუანაჲსკნელ ნათელ სცა... იქვე, 12,22;

...უკუანაჲსკნელთა ამათ ჭამთა არღარა გამოჩინებად არიან ესევითარნი სრულნი... ცხ. იოვ. და ეფთვ. 104,29 [2];

...ხოლო უკუანაჲსკნელ, უნდა თუ არა, ყოველი ბრალი მამამან ათანასი და მამამან იოვანე მიიდევეს... იქვე, 17,14;

...ხოლო უკუანაჲსკნელ იწყეს თაყუედობად... იქვე, 110,2;

...უკუანაჲსკნელ შეინანა... იქვე, 118 в, 4.

ასევე ხშირად გვხვდება ეს სიტყვა ახალ ქართულში „უკანასკნელის“ სახით.

ხმარების სიხშირით მეორე ადგილს იკავებს ქუესკნელი || ქვესკნელი.

...დიდებულო მეფეო, შენ ქუეყანისა კელმწიფე ხარ, ხოლო ქრისტჱ ზეცისა და ქუეყანისა და ქუესკნელთა... გრ. ხანძთ. ცხოვ. [3];

...რამეთუ დაგემორჩილნეს ქუესკნელისა მოქლონნი და ჯოჯოხეთისა ბჭენი... სასულ. პ. 321,1 [4];

...სიკუდილი მოაკუდინე ჯუარითა და ქუესკნელი შეარყიე... იქვე, 321,12;

...დანთქმული სიღრმეთა ქუესკნელისათა აღმოიყვანე... იქვე, 321,22;

---

[1] ცხორებაჲ საბა ასურისაჲ, სიმ. ჯანაშიას გამოცემა, არილი, კრებული, მიძღვნილი ივ. ჯავახიშვილისადმი, ტფ. 1925.

[2] ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, ივ. ჯავახიშვილის გამოცემა, ძვ. ქართ. ენის ძეგლები, 3. თბ. 1946.

[3] ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, კრესტ. პროფ. ა. შანიძის, ა. ბარამიძისა და ილია აბულაძის მიერ შედგენილი, პროფ. ა. შანიძის რედაქციით (1940 წ. გამოც.).

[4] ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, პ. ინგოროყვას გამოცემა, ტფ. 1913.

...უმაღლეს არს ყოველთა მაღალთა და უქვესკნელეს ყოველთა უფსკრულთა... ქართლის ცხ., გვ. 46 [1];

...ჰგვანდა ქვესკნელს ჩაძრომილსა ანუ ზეცად ანაფრენსა...
ვეფხისტყაოსანი, სახელგ., 97;

...სრულად მოვსწყდე სამოთხესა, ქვესკნელს ვიყო დასანთქმარი,
შენი მკლვიდეს სიყვარული, გულსა დანა ასაქმარი (133);

ქვესკნელთ ძალთაგან იგი მთა მედგრად
ცის გასარღვევად აღმოზიდულა (ი. ჭ.).

ზესკნელი[2] და გარესკნელი გვხვდება ძველ ქართულში და მათი ხმარების არე ძალზე შეზღუდულია, განსაკუთრებით მეორისა.

...ხოლო წმიდამან შუშანიკ... ასერგასისნი იგი ფსალმუნნი დაისწავლნა, რომლითა იგი დღე და ღამე ზესკნელისა მის მეფისა მიმართ სათნოსა მას გალობასა შესწირვიდა ცრემლით... შუშან. მარტვ., XII,4 [3];

...ვითარცა კართა მკნეთა დაუღველილთა ზესკნელისა მის ფასისათა... იქვე, XIX,17;

თქუენ ქუესკნელისა მისგანნი ხართ, და მე ზესკნელისა მისგანი ვარ... ინ. 8,23;

...ხოლო ნაშობნი იგი სასუფეველისანი განითხინენ ბნელსა მას გარესკნელსა... მ. 8,12;

...შეუკრენით მაგისნი ფერკნი...და განკადეთ ეგე ბნელსა მას გარესკნელსა... მ. 22,12;

---

[1] ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, სიმონ ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ. 1942.

[2] „ზესკნელი" (როგორც არქაიზმი) აქა-იქ ახალ სალიტერატურო ქართულშიც გვხვდება.

რა საჭიროა შენი სიკვდილით
ავაზანზაროთ ზესკნელ-ქვესკნელი?
შენ სულ სხვა იყავ, მგოსანთ-მგოსანო,
სხვა: პირველი და უკანასკნელი!
ი. გრიშაშვილი

„კიდით კიდემდე ზეცას შეფენილ ცეცხლის ანარეკლს ზესკნელის სილრმეებიც კი გაენათებინა" (ლ. ქიაჩელი).

[3] იაკობ ცურტაველი, მარტკლობაჲ შუშანიკისი, ილია აბულაძის გამოცემა, თბ. 1938.

...და მონაᲫ იგი უკმარი განკადეთ ბნელსა მას გარესკნელსა... მ. 25,30;

...ზესკნელს ქვესკნელით და გარესკნელით უკანასკნელით უფსკრულს ადარი![1]

საბა ორბელიანს სკნელი განმარტებული აქვს ასე:

„სკნელი კიდურივით, რამეთუ ვიტყჳთ: ზესკნელი, ქუესკნელი, გარესკნელი და უკანასკნელი. ესე არს, ვითარცა დასასრული რამე კიდეთა“[2].

თ. ჟორდანიას თავის „ქართულ გრამმატიკაში“ შენიშნული აქვს:

„იშვიათად იხმარება „x — სკნელი“, რომელიც აღნიშნავს სადაურობას და თუმცა გრამმატიკულად ზედმესრულია, მაგრამ ლოღიკურად არსებითად იხმარება, მაგალ. ქვე-სკნ-ელი, ზე-სკნ-ელი, გარე-სკნ-ელი და სხვ.“[3].

ქვესკნელის რიგის სიტყვების ეტიმოლოგიას ეხება მ. ჩიქოვანი. იგი წერს:

„... „ქვესკნელი“ რომ ლინგვისტურად დავშალოთ, შემდეგ სურათს მივიღებთ: “ქვე+სკნ-ელ“-ი, ამ სიტყვის პირველი ნაწილი „ქვე“ იგივეა, რაც „ქვედა“, „ქვევით“, საერთოდ „ქვემო“; შუა ნაწილი “სკნ“+ელ ცას აღნიშნავს. ამ უკანასკნელს ისიც ადასტურებს, რომ არსებობს შემდეგი ფორმები: “ზე+სკნ-ელ“-ი და “გარე+სკნ-ელ“-ი, მაშასადამე, სამთანხმოვანი ძირი „სკნ“ დღევანდელ „ცასთან“ არის დაკავშირებული. „სკნ“-ს შეიძლება სხვა სახეც ჰქონდეს, მაგ., „სკრ“, ასეთია: „ფ-სკერ-ი“, რაც იგივე „ქვედა“-ს, „ქვემო“-ს აღნიშნავს. ჩვენთვის საინტერესო ლეგენდარულ ფრინველის კავკასიურ-იაფეტურ სახელწოდების ფუძეშიც იგივე „სკნ“ არის მოცემული “ფა-სკუნ-ჯ“-ი. თუ მივიღებთ, რომ „ფა“ იგივე „პა“, აქ პრეფიქსული წარმოშობის ფორმაა, მაშინ „სკუნ-ჯი“ რჩება ამ სიტყვის მატერიალურ ნაწილში. „სკნ“, როგორც ვნახეთ, „ცა“-სთან არის დაკავშირებული...“[4]

---

[1] აბდულ-მესიანი, ს. კაკაბაძის გამოცემა, თბ., 1937.

[2] სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, თბ. 1928.

[3] ქართული გრამმატიკა (ეტიმოლოგია და სინტაქსი), თხზული და გამოცემული თ. ჟორდანიასაგან. ტფ., 1889, გვ. 92, § 44, შნშ. 2.

[4] ქართული ხალხური ზღაპრები, ტ. I, თბ. 1938, გვ. LXXXIV-V.

ცხადია, განხილულ სიტყვათა წარმოდგენილი ეტიმოლოგია ნებისმიერია.

დასახელებულ ავტორებს, როგორც ჩანს, საანალიზო სიტყვებიდან გამოყოფილი აქვთ სკნელ || სკნ-ელ ელემენტი.

სინამდვილეში სკნელ იშლება ელემენტებად: **-ს-კნ-ელ.**

ასეთი ანალიზისათვის ჩვენთვის ამოსავალია უკუანაჲსკნელის შედგენილობა.

ფუძე უკუანაჲსკნელ- წარმოშობით რთული ჩანს. პირველი კომპონენტია უკუანაჲს. ესაა უკუანა სიტყვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა. უკუანა ამ (უკუანაჲს) ფორმით გვხვდება ცალკედაც.

...ხოლო დოლის-ყანაჲ მონასტრად უკუანაჲს იქმნა... გრ. ხანძთ. ცხ., გვ. 115[1];

...ჟამთა უკუანაჲსთა რომელ იპოვნენ ქრისტჱს ნებისმყოფელნი მამანი, ჩუენსაცა უწინარჱს იყვნენ და მამათაცა ჩუენთა... იქვე, გვ. 143;

...დაიცვენ ჟამთა უკუანაჲსთა მომავალნი შვილნი ჩემნი... იქვე, გვ. 149;

...რამეთუ ღმერთმან დასაბამსავე დაბადებისასა უკუანაჲსთათჳს ჟამთა დაჰბადნა იგი მონაზონთა სამკჳდრებელად... იქვე, გვ. 115;

...ეფრემ რ˘ლისაჲ უკუანაჲს მიგითხრა... სვან. მანუსკრიპტი, 278 (მოგვყავს არნ. ჩიქობავას მიხედვით[2]).

იქვე ავტორს მოტანილი აქვს ნათესაობითი ბრუნვის სრულდაბოლოებიანი, მაგრამ ხმოვან-მოკვეცილ ფუძეზე დართული ფორმაც:

...ინება ჩემ გლახა ჴელითა უკუანისკნელთა ამათ დღჱ... სვან., 134[3];

მეორე კომპონენტი უკუანაჲსკნელ- ფუძისა უნდა იყოს იგივე უკუან -ელ სუფიქსიანი ფორმით: **უკუანელ** (ასეთი ფორმა უნდა ყოფილიყო უძველეს ქართულში. ზმნიზედათაგან ზედ-

[1] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, თბ. 1946.

[2] სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942, გვ. 23.

[3] იქვე.

სართავების წარმოება -ელ რიგის სუფიქსებით ჩვეულებრავია ქართველურ ენებში: ზემო-ურ-ი, ქვემო-ურ-ი... მეგრ. უკახალ-ენ-ი, წოხოლ-ენ-ი, ჟიმოლ-ენ-ი, გალ-ენ-ი...).

უკუანაჲსკნელ-ი, ამგვარად, მომდინარეობს უკუანაჲს უკუანელ-ისაგან. შეხამების მეორე ნაწილის (უკუანელ-ის) პირველ ნაწილთან (უკუანაჲს) შერწყმის შედეგად ჩანს მიღებული სუფიქსი **-კნელ** (უკუანაჲს-კნელ-).

შეიძლებოდა დაგვეშვა, რომ დანარჩენ სიტყვებშიაც (ქუესკნელი, ზესკნელი, გარესკნელი) **-კნელ** სუფიქსი დართულია ნათესაობითი ბრუნვის ფორმაზე, მაგრამ ბრუნვის ნიშნის ხმოვნითი ელემენტი -ჲ- ძველს ქართულშივე მოიშალა. მაინც ამას ნაკლებ სარწმუნოს ხდის თუნდაც ის გარემოება, რომ იგი (-ჲ- ხმოვნითი ელემენტი) ამ სიტყვებთან, ვფიქრობთ, არ უნდა გვხვდებოდეს ძველს ქართულში.

შესაძლებელია, რომ ძველს ქართულში უფორმო სიტყვებს: ქუე, ზე, გარე-ს **-კნელ (-ს-კნელ)** სუფიქსი დართოდა „უკუანაჲსკნელის“ ანალოგიით.

ამ მხრივ საგულისხმოა ასეთი ახალი წარმოება, როგორიცაა: შინასკნელი, რომელიც გვხვდება ი. გრიშაშვილთან.

ამბობენ, რომ უხსოვარ დროს, ათასეულ წლების წინათ,
ტაბაწყურის **შინასკნელში** წყარო სჩქეფდა პაწაწინა.
(ი. გრიშაშვილი)

„...და იყო ოთხკედელშუა გამომწყვდეული თავის მაიმუნ ჟაკოთი, განაპირდა, განმარტოვდა, ჩასახლდა თავის გულის **შინასკნელში** და მხოლოდ წერაში ჰპოვებდა სულის სიმშვიდეს“ [1].

„უკუანაჲსკნელის“ საპირისპირო სიტყვაა „პირველი“ (იხ. ზემომოყვანილ მაგალითებშიც).

„პირველს“ სპეციალურ ლიტერატურაში (მარი, ჩიქობავა, შანიძე) უკავშირებენ „პირს“.

თუ „პირველი“ პირისაკენ მდგომი, წინ მდგომი (აკ. შანიძე), პირისპირ მდგომია, „უკუანაჲსკნელი“ — უკანმბოლო, ზურგისაკენ (საბა). „უკუანაჲს უკუან“ მდგომს (მდებარეს) აღნიშნავს.

ქართული ენის განმარტებითს ლექსიკონში „უკანასკნელი“ „ბოლონდელის“ სინონიმადაა მიჩნეული: **„ბოლონდელი** (ბო-

[1] ი. გრიშაშვილი, ყაზბეგი თეატრში, ლიტერატურული ძიებანი. II, 1945, გვ. 193.

ლონდლისა) **უკანასკნელი.** ბოლონდელი ამოკვნესა იმისი მაინც თამროს სახელი იყო (ილია). [კუზმას] ყურს მოესმა, რომ დადიანის სიტყვებს სხვები იმეორებდნენ, ჯერ უფრო ახლო, შემდეგ — უფრო მოშორებით და მერმე სადღაც იკარგებოდა ბოლონდელი გამყივანი ხმა (შ. დად.). || ბოლოდროინდელი. ამ უკანასკნელი წლების დაკლებულმა მოსავალმა და ბოლონდელმა მოუსავლობამ მეტად გააძლიერეს ოტიას გულში მისი გრძნობები (დ. კლდ.). „[აბუბექრის] ბოლონდელი საქციელი საერთოდ სამართლიანია და გაგნებული (შ. დად.“ [1].

უკუანაჲსკნელ || უკანასკნელ-ში **-ელ** ისეთივე სუფიქსია, როგორც სიტყვებში — პირველი, ბოლონდელი.

ამგვარად, კომპოზიტური წარმოება უკუანაჲს-უკუანელი გახდა ადიექტიური შინაარსის სიტყვა, რაც შეპირობებულია მეორე კომპონენტის მაადიექტივებლის **-ელ** სუფიქსის დართვით (შდრ. გორ-ელ-ი, კახ-ელ-ი და მისთ.).

უკანასკნელ-ის (← უკუანაჲსკნელ- ← *უკუანაჲს-უკუანელ-) შედგენილობის დაბნელებამ ენობრივ ცნობიერებაში გამოიწვია -სკნელ ელემენტის გამოყოფა და მისი დართვა სხვა ზმნიზედებზე (ქუე-სკნელ, ზე-სკნელ, გარე-სკნელ და ახლა: შინა-სკნელ).

სამართლიანად აქვს შენიშნული თ. ჟორდანიას: ამ სიტყვებთან -სკნელ-ი სადაურობას აღნიშნავს და თუმცა „გრამმატიკულად“ ზედმესრულია, „ლოღიკურად“ არსებითად იხმარებაო (იხ. ზემოთ).

გამოდის, **-სკნელ** (უკუანაჲ**სკნელ**) რთული შედგენილობისაა. იგი იშლება: -ს-კ-ნ-ელ, სადაც -ს ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ელემენტია.

ამდენად აქ გვაქვს არა -სკნელ სუფიქსი, არამედ **-კნელ**, რომელიც თავის თავადაც რთულია: **-კნ-ელ.** ამ რთული სუფიქსის პირველი ნაწილი **-კნ-**, როგორც აღნიშნული გვაქვს, ფონეტიკურად გამარტივებული **უკუან** უნდა იყოს.

ამ (უკუან) სიტყვის **-ან** ნაწილის ხმოვნითი ელემენტის -ა-ს დაკარგვა (-ელ სუფიქსის დართვის გამო) ეჭვს არ იწვევს. ფუძისეულ მასალად მიჩნეული უმარცვლო **-უ-** სუფიქსად ქცეულ ფუძეში, ძველ ქართულშიაც, არა ჩანს. ახალში ის დამოუკიდებელ „ფუძეშიც“ დაიკარგა (**უკან**).

---

[1] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. I (ა — ბ), თბ. 1950.

საგულისხმოა ამ მხრივ იმერ. „უკანასკნელი“[1]. ვაქ უ-ს რედუქციის კვალი ჩანს.

ამგვარად, -**კნელ** სუფიქსი მიღებულია დამოუკიდებელი სიტყვისაგან უკუანელ.

სიტყვაწარმოებითი აფიქსის წარმოშობის ანალოგიური ფაქტი დადასტურებული აქვს ა. შანიძეს **დელ** სუფიქსის მიმართ.

ამ სუფიქსის შესახებ ა. შანიძე წერს:

„...წარმოშობით ეს სუფიქსი რთულია: **დ-ელ**, რომლის პირველი ნაწილი მიღებულია **დღ**-ისაგან (**დღ-ელ-ი**). იხმარება დროის აღმნიშვნელ სიტყვებთან: გუშინ-დელ-ი, შარშან-დელ-ი, წელან-დელ-ი, უწინ-დელ-ი. ამ სიტყვების ანალოგიით **ნ** ჩნდება სხვა ფუძეებთანაც და მიღებულია ნ-დელ-ი: ხვალ-ი-ნ-დელ-ი, დღე-ი-ნ-დელ-ი, (ითქმის დღე-ვ-ა-ნ-დელ-იც), კვირ-ი-ნ-დელ-ი, სადაც **ი** ნათ. ბრუნვის ნიშნის ნაშთია [ხვალ-ი-ნ-დელ-ი = ხვალ-ი(ს)-დელ-ი]“[2].

საინტერესოა, რომ დღ-ელ სიტყვაწარმოება არ დასტურდება არც ახალსა, არც ძველს ქართულში, ისე როგორც ჩვენ მიერ ნავარაუდევი უკუანელ-იც არა ჩანს.

-**კნელ** სუფიქსს ქართულში (გასაგები მიზეზების გამო) არ მიეცა ფართო გასაქანი. მისი გამოყენება შემოიფარგლა რამდენიმე შემთხვევით.

---

[1] იმერულის ეს ფორმა დადასტურებული აქვს გ. თოფურიას. იხ. მისი „რედუქციისათვის ქართველურ ენებში“, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. I, თბ. 1946, გვ. 82.

[2] ქართული გრამატიკის საფუძვლები, ნაკ. I, 1942, § 165,ვ, გვ. 127.

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, X, 1950—1951.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, X, 1950—1951.

ძეთევან ძოწენიძე

ევ სუფიქსისათვის ზემოიმერულში

(სოფელ პერევის მეტყველებაზე დაკვირვების მიხედვით)

საჩხერის რაიონის სოფელ პერევის მეტყველებაზე დაკვირვებისას ჩვენი ყურადღება **-ავ-** სუფიქსიანმა ზმნებმა მიიქცია. გამოირკვა, რომ აწმყოში, ასევე აწმყოსაგან ნაწარმოებ მყოფადშიც, მხოლობითი რიცხვის სამივე პირში, ხოლო მრავლობითი რიცხვის პირველსა და მეორე პირში სალიტერატურო ქართულის **-ავ** სუფიქსის ადგილას ჩვეულებრივ **-ამ** იხმარება:

ვხნამ	ვხნამთ
ხნამ	ხნამთ
ხნამს	

და ასე: ვკლამ, ვკერამ, ვბარამ, თესამ, ზოგამ, უნახამს, ხედამს, ვკითხამთ, ლანძღამთ, რეცხამთ, ხოცამთ, ლოკამთ...

ანალოგიური მოვლენა ახასიათებს კახურსა[1] და ქართლურს[2]. მეტად ნიშანდობლივია იგი მესხურ-ჯავახურისთვისაც[3]. ამდენად, აწმყოს ასეთი სუფიქსაცია მხოლოდ ზემოიმერულის თავისებურებად არ ჩაითვლება. სამაგიეროდ, მეტად საყურადღებოა ზემოიმერულის ჩვენება — პერევის მეტყველების მიხედვით — აწმყოს მესამე პირის მრავლობითი რიცხვის წარმოებისას. ამ შემთხვევაში **-ავ** სუფიქსის ადგილას **-ევ** დასტურდება (**-ევ** გვხვდება ჭიათურის რაიონის სოფლებშიც — პერევისაში და ზედუბანში):

კლევენ, კითხევენ, კერევენ, თესევენ, ბარევენ, თიბევენ, ჩეხევენ, ლოცევენ, სინჯევენ, ხნევენ, ლეწევენ, ფქვევენ, წირევენ, რეკევენ, კენკევენ, ლოკევენ, იზოგევენ, უკრევენ, გვწევევენ...

ასეთივე ვითარებაა მყოფადშიც.

---

[1] არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად. არილი, 1925, გვ. 65.

[2] ვ. თოფურია, ქართლური, იქვე. გვ. 141.

[3] ა. მარტიროსოვი, ჯავახურის მესხურთან მიმართების საკითხისათვის, პუშკინის სახელ. თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, 1950, გვ. 295.

აწმყოს ამგვარი წარმოება არც სალიტერატურო ქართულში, არც ქართული ენის არც ერთ სხვა კილოში არ შეინიშნება. ასეთ შემთხვევაში ახალ სალიტერატურო ქართულში **-ავ** სუფიქსი უპირატესად შეუკუმშავი იხმარება, ძველი სალიტერატურო ქართულისათვის კი ნორმას წარმოადგენს მისი შეკუმშული ხმარება:

თესვენ, მათე, 6,26; ზრახვენ, მარკ. 2,8; ესვენ, მარკ. 10,24; აღსძრვენ, საქმე მოც., 16,20.

ქართული ენის კილოებში **-ავ** სუფიქსი ან შეკუმშული გვხვდება ან შეუკუმშავი: ერთი რიგის კილოებში შეკუმშული იხმარება, მეორე რიგისაში — შეუკუმშავი.

დავასახელოთ ნიმუშები:

ხევსურული: ღნახვენ, 125_8; ჰკითხვენ, 128_{27}; ლოცვენ, 209_{30}; წირვენ, 216_3 [1].

ფერეიდნული: გაჲლეწვენ, 238_3 გვ.; ჴნვენ, 339_3; დაუკრვენ, 240_7; შაჲკმაზვენ, 240_{11} [2].

ბარის ქართულ კილოებში — გარეკახურსა და ქართლურში — ასეთ შემთხვევაში **-ავ** სუფიქსის ადგილას **-ამ** გამოდის და შეუკუმშავი იხმარება.

გარეკახური: ბარამენ, ლეწამენ, ხარშამენ, გადაჲრეკამენ, დაჲკარგამენ... [3]

ქართლური: დაუკლამენ, დაკეტამენ, ჩეხამენ, მკითხამენ, ხნამენ, თესამენ... [4]

-ავ სუფიქსი შეუკუმშავი გვხვდება **გურულშიაც:** ინახავენ, 118_{25}; მომიკლავენ, 161_{28}; დამკრავენ, 161_{30}, მიკრძალავენ, 182_{19} [5].

ასევეა **ქვემოიმერულშიც.**

ჩანს, აწმყოს მესამე პირის მრავლობით რიცხვში **-ავ** სუფიქსის ადგილას **-ევ**-ის ხმარებით ზემოიმერული — ჩვენი დაკვირვების ობიექტის მეტყველების მიხედვით — ყველა ქართული კილო-თქმისაგან განსხვავდება.

ზემოიმერულში **-ევ** სუფიქსს ისე ფართო მოხმარება აქვს, რომ მას ვხვდებით **-ამ**-სუფიქსიან ზმნებშიც, აწმყოს მრავლობითი რიცხვის მესამე პირში:

---

[1] ბ. გაბუური, ხევსურული მასალები, ა. შანიძის რედაქციით, წელიწდეული, 1923-24.

[2] არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, უნ. მოამბე, VII.

[3] არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, გვ. 65.

[4] ვ. თოფურია, ქართლური, გვ. 141.

[5] ს. ჯღენტი, გურული კილო, 1936.

დგევენ, ირტყევენ, ისხევენ, იცევენ...

-ავ-სუფიქსიანი წარმოების ნაცვლად **-ევ**-სუფიქსიანი წარმოება გვაქვს უწყვეტელშიც (ასევე მისგან ნაწარმოებ პირველ კავშირებითში), სამივე პირში მხოლობითსა და მრავლობით რიცხვშიც:

ვკლ**ევ**დი	ვკვლ**ევ**დით
კლ**ევ**დი	კლ**ევ**დით
კლ**ევ**და	კლ**ევ**დენ

ასეთივე **ევ**-დ ტიპის უწყვეტლის წარმოება დასტურდება ხევსურულში, მთარაჭულსა და ფერეიდნულშიც, თუმცა, მათგან განსხვავებით, ზემოიმერულში[1] **-ემ** გვხვდება უპირატესად (ვკლ**ემ**დი, ვსწირ**ემ**დი, თეს**ემ**დი, ბარ**ემ**დი, კითხ**ემ**და, ვხედ**ემ**დით, ინახ**ემ**დით, ნახ**ემ**დენ, ფერ**ემ**დენ...). ამით, აწმყოს მსგავსად, უწყვეტელშიც **-ავ**-სუფიქსიანი და **-ამ**-სუფიქსიანი ზმნები, რომლებიც აგრეთვე **-ემ**-ის სახით გვევლინებიან, გარჩეული არ არის.

ეს საზიარო წარმოება აწმყოშიც და უწყვეტელშიც უნიფიკაციის შედეგად და, მაშასადამე, მეორეულად უნდა მივიჩნიოთ.

ევ-დ ტიპის უწყვეტლის ადგილს გურულში იჭერს **ვ-ი-დ** ტიპის წარმოება (ვკითხ**ვიდი**, კითხ**ვიდი**, კითხ**ვიდა**). მსგავსი წარმოება შეინიშნება ლეჩხუმურშიც[2].

-ავ და **-ამ**-სუფიქსიანი ზმნები, როგორც ცნობილია, ძველი ქართულის უწყვეტელშიც (ასევე მისგან ნაწარმოებ პირველ კავშირებითში, ხოლმეობითსა და ბრძანებითში) თავისებური სუფიქსაციით ხასიათდება. აქ **ევ-დ — ემ-დ, ვ-ი-დ — მ-ი-დ** წარმოებათა შეხამება გვაქვს: პირველსა და მეორე პირში, მხოლობითსა და მრავლობით რიცხვშიც, **ევ-დ—ემ-დ** არის, ხოლო მესამე პირში—**ვ-ი-დ—მ-ი-დ**.

ძველი ქართულის **-ავ**-სუფიქსიანი ზმნების უწყვეტელი ზემოიმერულისას რომ შევადაროთ, ასეთ სურათს მივიღებთ:

	მხ. რ.	მრ. რ.
ძვ. ქართ.:	ვჰკითხ**ევდ**	ვჰკითხ**ევდ**ით
	ჰკითხ**ევდ**	ჰკითხ**ევდ**ით
	ჰკითხ**ვიდა**	ჰკითხ**ვიდ**ეს
ზემოიმ.:	ვკითხ**ევდი**	ვკითხ**ევდ**ით
	კითხ**ევდი**	კითხ**ევდ**ით
	კითხ**ევდა**	კითხ**ევდ**ენ

[1] მხედველობაში გვაქვს ჰიათურისა და საჩხერის სოფლების მეტყველება.

[2] ამაზე მ. ალავიძემ მიგვითითა.

ძველი ქართულისაგან განსხვავებით, როგორც ვხედავთ, ზემოიმერულში სამივე პირში ერთნაირი წარმოება გვაქვს.

ძველი ქართულის **-ავ** და **-ამ**-სუფიქსიანი ზმნების უწყვეტლის თავისებურების შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. პირველი-მეორე პირისა და მესამე პირის განსხვავებული ვითარება ან ერთი და იმავე წარმოების სხვადასხვა სახედ არის მიჩნეული და, მაშასადამე, ფონეტიკური ფაქტორის მოქმედებით ახსნილი ან კვალიფიცირებულია როგორც ერთმანეთისაგან მორფოლოგიურად განსხვავებული ორი წარმოება.

ლ. კიკნაძე, რომელსაც ამ საკითხზე სპეციალური ნარკვევი აქვს[1], ფონეტიკური მიზეზით ხსნის პირველ სერიაში **-ავ** და **-ამ**-სუფიქსებიან ზმნათა ცვლილებებს: **ვ-ი-დ — მ-ი-დ** ტიპის წარმოებისას **-ავ** და **-ამ** სუფიქსების ა-ს **დ**-ს შემდეგ დართული ხმოვნის (რომელიც ან ფორმანტია ან ფორმანტის შემადგენელი ნაწილი) გავლენით დაკარგულად მიიჩნევს, ხოლო **ვ-ი-დ — მ-ი-დ** ტიპის წარმოებისას **ი**-ს თანხმოვანთა გასაყარად გაჩენილ ფონეტიკურ ჩანართად თვლის.

ამ ფაქტის დასამტკიცებლად იგი იმოწმებს ზემოიმერულის ჩვენებასაც:

„**ვ-ი-დ — მ-ი**-დ ყალიბის ფორმებში **ი** თანხმოვანთა გასაყარად გაჩენილი ხმოვანია. ეს **ი** რომ არ გაჩენილიყო, მაშინ შესაძლებელი იყო, რომ რამდენიმე თანხმოვნის თავმოყრისას თვით **ვ** ან **მ** დაკარგულიყო. ამას გვაფიქრებინებს დღევანდელი ზემოიმერულის დახატ-დ-ა (← დახატ-**ვ**-დ-ა), შეკერ-დ-ა (← შეკერ-**ვ**-დ-ა) ფორმები“ [2].

საქმე ისაა, რომ სუფიქსს სუფიქსზე გადახტომით არ შეუძლია რედუქცია მოახდინოს, ამის გამო არც თანხმოვანთა გასაყარის გაჩენის საჭიროება იქმნება. მერე, რაც მთავარია, თანხმოვანთა გასაყარი ხმოვანი არ შეიძლება ფუძეში გაჩნდეს.

ზემოიმერულშიც ამგვარი წარმოება ფონეტიკური ვითარებით ვერ აიხსნება: უწყვეტელში სუფიქსი არ გვაქვს იმიტომ, რომ ის არც აწმყოში გვქონია. უსუფიქსო უწყვეტლისათვის ამოსავალია უსუფიქსო აწმყო.

მართალია, ზემოიმერულისათვის ამგვარ შემთხვევებში ძირითად ნორმას აწმყოში სუფიქსიანი წარმოება წარმოადგენს, მაგრამ ვხვდებით უსუფიქსო აწმყოსაც (მაშასადამე, მყოფადსაც):

[1] ლ. კიკნაძე, პირველი სერიის მწკრივთა წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები, თბ. უნ. შრომები, XXX*b*-XXXI*b*, გვ. 318-343.

[2] იქვე, გვ. 339.

ხოცს, რეცხს[1], **ბოჭს, ნახს, გარეკს, დაზოგს, შეკერს, გახერხს,** ხოცენ, **იპარენ**...

ასეთი მარტივფუძიანი წარმოება სხვა შემთხვევებშიც გვხვდება: **ეჩხუბის, მემუქრიან, ...დაწყილი, გამზადილი...**

რა თქმა უნდა, მარტივფუძიანი აწმყოსა და მყოფადისაგან ნაწარმოები უწყვეტელიც მარტივფუძიანი იქნება და გვაქვს:

ხოცდა, რეცხდა, ბოჭდა, ნახდა, გარეკდა, დაზოგდა, შეკერდა, გახერხდა, ხოცდენ, იპარდენ, გვეჩხუბოდენ...

ჩანს, **-ავ**-სუფიქსიანი უწყვეტლის ადგილას უსუფიქსო უწყვეტლის ხმარების მიზეზად ფონეტიკური ფაქტორის მიჩნევა არ ეგუება ზემოიმერულის ჩვენებას.

ლ. კიკნაძე უწყვეტლის პირველი-მეორე პირის **ევ-დ — ემ-დ** ტიპის წარმოებასაც ფონეტიკური მიზეზით ხსნის: **-ავ** და **-ამ** სუფიქსების ა-ს იმსგავსებს მრავლობითში თანხმოვანთა გასაყარად გაჩენილი უფუნქციო **ი** და **ე**-დ აქცევს, იმდენი ძალა კი არ აქვს, რომ სულ დაკარგოსო.

მხოლობითი და მრავლობითი რაკი ერთმანეთისაგან მხოლოდ **თ** სუფიქსის ხმარებით განსხვავდება, მრავლობითის გავლენით **ევ-ემ**-ის გამოვლენა მაშინაც მოხდა მხოლობითში, როცა **ი** არა გვაქვსო (გვ. 340).

ჩვენი აზრით, ძველი ქართულის უწყვეტელი ამგვარი ანალიზისათვის საბუთს არ იძლევა: ჯერ ერთი, უფუნქციო **ი** ფონეტიკური გავლენის უნარს მოკლებულია და **-ავ** და **-ამ**-სუფიქსიანი ზმნების თავისებურებათა ასახსნელად არ შეიძლება გამოდგეს. მეორეცაა-და, ამგვარი ახსნა ამ სუფიქსთა ხმარებისას დიალექტებში არსებულ განსხვავებულ ვითარებას შუქს ვერ მოჰფენს, ვერც ერთსა და იმავე დიალექტში უწყვეტლის სამივე პირის ერთნაირ წარმოებას გაგვირკვევს: ვთქვათ, უწყვეტლის თავისებური სუფიქსაცია ფონეტიკური გავლენით ავხსენით, მაშინ საკითხავია — პირველ-მეორე პირის ფორმას დართული უფუნქციო **ი** და მესამე პირის ფორმანტები **-ა — ენ** (ამ შემთხვევაში ზემოიმერულში) ფონეტიკური გავლენის მხრივ ერთ სიბრტყეზე რომ ვერ თავსდება, შედეგი რატომ გვაქვს ერთნაირი?

თუ დავუშვებთ, რომ **-ავ** და **-ამ**-იანი უწყვეტლის თავისებური სუფიქსაცია დიალექტებში სალიტერატურო ქართულის გავლენას მიეწერება, მაშინ ყველა დიალექტში ერთგვარი ვითარება უნდა

[1] „ხოცს", „რეცხს" ტიპის ძველი ქართულისებური წარმოება უცხო არ არის სხვა კილოებისთვისაც.

გვქონდეს, როგორც ეს აღინიშნება, მაგალითად, მეორე პირის სუბიექტური პრეფიქსის **ხ**-ს ხმარებისას „ხარ“, „ხვალ“ ზმნებში.

ძველი ქართულის **-ავ** და **-ამ**-სუფიქსიანი ზმნების უწყვეტლის განხსვავებულ წარმოებას არნ. ჩიქობავა სხვადასხვა დიალექტური წრიდან შემონატანი განსხვავებული სუფიქსების შეხამებით ხსნის: **„აქ ორი განსხვავებული წარმოება** უნდა გვქონდეს: ერთი **-ევ**-სუფიქსიანი, მეორე **-ავ**-სუფიქსიანი. ორივე ეს სუფიქსი „აწმყოსია“, ოღონდ პირველს არაფერი დაერთვის, მეორეს კი **-ი** დაერთვოდა.

მაშასადამე, უნდა გვქონოდა: **ვ-ჰ-კითხ-ევ**, ერთი მხრით, **ვ-ჰ-კითხ-ავ-ი → ვ-ჰ-კითხ-ვ-ი**, მეორე მხრით. ნამყო უსრულის საწარმოებელი სუფიქსია **-დ**. ამ სუფიქსის დართვით მივიღებდით ორგვარ ნამყო უსრულს:

I. **ვ-ჰ-კითხ-ევ-დ-** II. **ვ-ჰ-კითხვ-ი-დ-**[1]

ამრიგად, ცოცხალ მეტყველებაში პარალელური წარმოება უნდა გვქონოდა: **-ავ** სუფიქსიც უნდა ყოფილიყო გამოყენებული და **-ევ** სუფიქსიც. ერთი რიგის კილოებში **-ავ** სუფიქსი უნდა ეხმარათ, მეორე რიგისაში — **-ევ**. სწორედ **-ევ** სუფიქსი უნდა ყოფილიყო გავრცელებული ზემოიმერულში[2] (შდრ. გურული).

ა. შანიძე, როცა საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში შემორჩენილი მრავლობითის **ევ** სუფიქსის საკითხს იხილავს, წერს: „ევ სუფიქსის გავრცელების ძირითად არედ შეგვიძლია ჩავთვალოთ ტერიტორია არაგვიდან რიონის შუა წელამდე. ეს ის ტერიტორიაა რომელიც ძველად სამი ენის ფარგალში იყო მოქცეული: ქართულისა, ზანურისა და სვანურისა. ამ კუთხის მოსახლეობის ენას, ევ სუფიქსის გარდა, სხვაც ბევრი რამ ჰქონდა თავისებური, რომელიც მას გამოჰყოფდა როგორც ქართულისაგან, ისე ზანურისა და სვანურისაგან. ისიც უეჭველია, რომ ეს თავისებურებანი რამდენადმე შემონახული იქნება ნაშთების სახით ქართლში, იმერეთსა და რაჭაში. ეს გადმონაშთები უნდა ეძიოთ როგორც ენის აგებულებაში, ისე ლექსიკაში“[3].

---

[1] არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, 1948, გვ. 99.

[2] გ. როგავას აზრით, ქართულში იმდენად გავრცელებული უნდა ყოფილიყო **-ევ** სუფიქსი, რომ იგი უნდა გვქონოდა **-ობ**-სუფიქსიან ზმნებშიც **-ებ** სუფიქსთან ერთად (*აშრევებს → აშრევებს → აშრობს).

[3] ა. შანიძე, **ევ** კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. II, № 8, 1941, გვ. 766.

ა. შანიძისვე აზრით „ევ კილოს, რომელიც ძველად უფრო ენა უნდა ყოფილიყო, ვიდრე კილო, თავისი კვალი უფრო მეტად ზემოსა და შუა იმერეთში დაუტოვებია“ [1], ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ გადმონაშთის სახით -ევ სუფიქსს მოველოდეთ, მართალია, განსხვავებული ფუნქციით, სახელებთან ერთად (ჩვენი დაკვირვების ობიექტის სახელშიაც დაცულია -ევ სუფიქსი: პერევი) ზმნებშიც.

ზემოიმერულის აწმყოშიც — პერევის მეტყველების მიხედვით — მესამე პირის მრავლობით რიცხვში -ავ სუფიქსის ადგილას ევ-ის ხმარებით არქაული ნორმა უნდა მჟღავნდებოდეს. ევ-ის სახით მორფოლოგიურ ოდენობასთან უნდა გექონდეს საქმე და არა ფონეტიკურ ფაქტთან — ასიმილაციის მოქმედებასთან. ასიმილაციით რომ აგვეხსნა აწმყოს მრავლობითი რიცხვის მესამე პირში ევ-ის არსებობა, მაშინ -ამ-სუფიქსიან ზმნებში სათანადო შემთხვევებში -ემ უნდა გექონოდა და არა -ევ. ეს მით უფრო ითქმის, რომ ზემოიმერულში, ქვემოიმერულისაგან განსხვავებით, „ვინის მანით შეცელის ტენდენციაა“ მომძლავრებული. ემ-ს იქაც კი ვხვდებით, სადაც სალიტერატურო ქართულის მიხედვით -ევ უნდა გექონდეს: ლემს, მიდემს, აქცემს...

ვ-ს ადგილას მ სახელებშიაც გვაქვს (კარამი, თემზი, ხამსი, ამდარი, გაამდარდა, კამშირი — ეს უკანასკნელი სამი სიტყვა ზედუბანში იხმარება ამგვარად — და მისთანანი), მაგრამ ემ-ს აწმყოს მრავლობითი რიცხვის მესამე პირში -ავ-სუფიქსიან ზმნებთან ვერ შევხვდებით. აქ ან -ევ გვაქვს, და ასეა ჩვეულებრივ, ან უსუფიქსო აწმყო.

უწყვეტელში -ევ-სუფიქსი, როგორც თემის ნიშანი, სამიეე პირის ფორმას გასდევს, ასევე აწმყოშიც სამივე პირის ფორმაში უნდა ყოფილიყო, ე. ი. უნდა გექონოდა ამგვარი წარმოება:

ვხნევ	ვხნევთ
ხნევ	ხნევთ
ხნევს	ხნევენ

შენიშვნა: „ხნევს“ ფორმა დასახელებული აქვს შ. ძიძიგურს მთარაჭულში, თუმცა მის მიერ დაბეჭდილ ტექსტებში იგი არ შეგვხვედრია [2].

[1] ა. შანიძე, ევ კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში, გვ. 766.

[2] შ. ძიძიგური, ქართული ენის მთარაჭული დიალექტის ძირითადი თავისებურებანი, ენიმკი-ს მოამბე, ტ. II, გვ. 80.

ის სხვაობა, რომელიც ზემოიმერულში ამჟამად აწმყოში ორგვარი წარმოების შეხამებით ვლინდება, მეორეულად უნდა მივიჩნიოთ.

ასეთი სხვაობა მრავლობითი რიცხვის მესამე პირსა და დანარჩენ პირებს შორის ზემოიმერულში (ასევე ქვემოიმერულშიც) სხვა შემთხვევაშიც შეინიშნება. მაგალითად, „მოიტანს“ და „დაახმარს“ ზმნები უღლებისას ასეთ თავისებურებას იჩენს:

მევიტან	მევიტანთ	დავახმარ	დავახმართ
მეიტან	მეიტანთ	დაახმარ	დაახმართ
მეიტანს	მეიტან**ებ**ენ	დაახმარს	დაახმარ**ებ**ენ

რთულფუძიანი მხოლოდ მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ფორმაა. სხვა შემთხვევაში მარტივფუძიანი წარმოება გვაქვს. როგორც ამ ორი განსხვავებული ვითარების ასახსნელად ფონეტიკური მიზეზები არ გამოგვადგება, ასევე დღევანდელი ზემოიმერულის **-ავ**-სუფიქსიანი აწმყოს თავისებურებათა საანალიზოდ ვერ მოვიშველიებთ მას.

ზემოიმერულის აწმყოს მესამე პირის მრავლობით რიცხვში შემონახული **-ევ**- ოდესღაც ფართოდ გავრცელებული ფორმანტის გადმონაშთად უნდა მივიჩნიოთ.

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, X, 1950—1951.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, X, 1950—1951.

პოლიკარპე ჯაჯანიძე

მასალები იმერული ლექსიკონისათვის

ქართული ენის სხვა დიალექტებთან ერთად იმერული დიალექტიც მთელი თავისი შესაძლებლობით ხელს უწყობს უძველესი კულტურის მქონე სალიტერატურო ქართულის ლექსიკური საუნჯის გამდიდრებას.

ამ საქმეში ერთგვარი წვლილი შეაქვს ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის ქართული ენის კათედრას, რომელიც იმერული დიალექტის თავისებურებათა შესწავლასთან ერთად მასალებს ჰკრებს ამ დიალექტის ლექსიკონისთვისაც.

ეს ნაშრომიც აღნიშნული მუშაობის ერთ პატარა ნაწილს წარმოადგენს. მასში უმეტესად შეტანილია ისეთი სიტყვები, რომლებიც ან საერთოდ არ გვხვდება ლექსიკონებში, ან განსხვავებული მნიშვნელობით იხმარება. სიტყვათა განმარტებას თან ერთვის ფრაზეოლოგია. აღნიშნულია სიტყვის ხმარების ადგილიც.

შემოკლებანი

ალავ. — მ. ალავიძე, ლეჩხუმური ლექსიკონი, პროფ. ვ. ბერიძის რედაქციით, თბილისი 1938.

ალაჯ. ეთნ. — მ. ალავიძე, ლეჩხუმური ზეპირსიტყვაობა: ეთნოგრაფიული ნარკვევი (გვ. 85—132), თბილისი 1951.

ალავ. ოკრ. — მ. ალავიძე, ოკრიბული ლექსიკონი, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, X, 1950-1951.

ბერ. — ვ. ბერიძე, სიტყვის-კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, С.-Пгб. 1912.

განმარტებითი ლექსიკონი — ქართული ენის განმარტებითი ლექ-სიკონი, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. I (ა—ბ), თბილისი 1950.

კირ. — კირიონი, სალექსიკონო მასალა: ძველი საქართველო, ტ. II, განყ. III (გვ. 1—27), ტფილისი 1913.

კლდ. — მ. ალავიძე, დავით კლდიაშვილის ლექსიკონი, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VI, 1946.

მენთ. — სტეფანე მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, ვ. თოფურიას რედაქციით, თბილისი 1943.

ჟღ. — სერგი ჟღენტი, გურული კილო, თბილისი 1936.

საბა — სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, ს. იორდანიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბილისი 1949.

შარაშ. — გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი, პროფ. ვ. ბერიძის რედაქციით, თბილისი 1938.

ჩუბ. — დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, С.-Итб. 1887.

წერ. — ბ. წერეთელი, ზემოიმერული ლექსიკონი, პროფ. ვ. ბერიძის რედაქციით, თბილისი 1938.

ჭყ. — ილია ჭყონია, სიტყვის კონა, С.-Итб. 1910.

ჯავახ. — ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, თბილისი 1930.

ჯაჯ. — პ. ჯაჯანიძე, მასალები იმერული ლექსიკონისათვის, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, IX, 1949.

ზ. იმ. — ზემო იმერეთი..

ზესტ. — ზესტაფონი (რაიონი).

ინაშ. — ინაშაური (სოფელი ვანის რაიონში).

კლდ. — კლდეეთი (სოფელი).

ნ. — ნახე.

ტბკ. — ტაბაკინი (სოფელი).

ფარცხ. — ფარცხანაყანევი (სოფელი).

ქვ. იმ. — ქვემო იმერეთი.

შდრ. — შეადარე.

აბუებული (ტბკ.) აბუჩად აგდებული, მოძულებული. „ერთი (რ)ძალი ყაეს აბუებული, მეორე ქე უყვარს“ (ნ. განმარტებითი ლექსიკონი).

ავანჩავანი (ტბკ.) 1. აზრებდაუწყობელი, უგეგმო. 2. ასავალ-დასაყალი. „ბევრი ვეძიეთ, მარა საით წევიდა, მისი ავანჩავანი ვერ გევიგეთ“ (შდრ. განმარტებითი ლექსიკონი, ჩუბ., ჭყ., ჯაჯ.).

აკირკავება-დაკირკავება (ფარცხ.) ჭირდად აგდება, სასაცილოდ აღება. „ამიკირკავეს-დამიკირკავეს და დეიწყეს ჯღანვა ჩემ ლაპარიკზე“. ნ. აქვირიქება-დაქვირიქება.

ალახა (ტბკ.) ჭალების (ნ.) გასაკრავი ღელეჭი, თოკი. ურემზე დაწყობილმა ტვირთმა რომ არ გადაიწიოს და არ გადატეხოს ჭალები, მოპირდაპირე ჭალებს გაკრავენ. ამ გასაკრავს ალახა ეწოდებაო, — ამიხსნა კოლმეურნემ (შდრ. განმარტებითი ლექსიკონი, ჭყ., კირ. ალახი; ნ. ალავ. ოკრ. ალეხი).

ალიანცვბული (ქვ. იმ.) „გორკეი (ადგილის სახელია სოფ. ინაშაურში) სულ ა ლ ი ა ნ ც ე ბ უ ლ ი აქ ბოვშებს: დღეი და ღამე სულ თამაში, სიმღერა და ჭიჭყინი ისმის იქიდან“. ეს სიტყვა ნაწარმოებია ლ ი ა ნ ც ი ს ა გ ა ნ (ნ.).

ალო (კლდ.) 1. დრო საზოგადოდ; 2. რიგი. კაცმა ქალს დოუბარა: „დანიშნულ ა ლ ო ზე მოდი, თვარა შენი საქმე ცუდად წავაო. როცა დანიშნული ა ლ ო მევიდა, ჩაჯდა ქალი ეტ(ლ)ში და წევიდა იმ კაცთან“ (ზღაპრიდან). „ჩემი ა ლ ო იყო და დავაყარე სიმიდი“ (შდრ. განმარტებითი ლექსიკონი, ს ა ბ ა, მ ე ნ თ.; ნ. ჰყ.).

ამგნივ (ტბკ.) ამ მხრივ. „ა მ გ ნ ი ვ მტკივა გვერდი ძალიან“.

ამოქოლილი (ტბკ.) ქვებით ამოვსებული. „პადვალში შესავალი ქვებით ა მ ო ქ ო ლ ი ლ ი იყო სულე“ (შდრ. განმარტებითი ლექსიკონი ამოქოლვილი).

ამოწიკვა (ტბკ.) ქვევიდან ზევით რისამე ამოწევა, ამოტანა, ამოგლეჯა.

ანაგებად (ინაშ.) სრულებით. „ამ სათვალე(ე)ბიდან ა ნ ა გ ე ბ ა თ არაფერი ჩანს“.

ანაწყოლ, ანწყოთ (ინაშ.) ოდნავ. „ა ნ ა წ ყ ო ლ გევიგე წამლის მოხთენა, გონია არ მოვკვეტე“ (ნ. ა ლ ა ვ. ანაწყოლ).

ანკრად გაგება ამბისა რაიმე ამბის ნაწილობრივ და საეჭვოდ გაგება, შეტყობა. „ა ნ კ რ ა თ გევიგეთ, რომ კავკასიის მისადგომებზე დეიწყო (მ)ტრის განადგურება. გაზეთის მოტანამდი დანამდვილებით ეს ამბავი არ ვიცოდით“ (ნ. შ ა რ ა შ. ანკრათ).

ასვინტრული, აზვინტრული (ქვ. იმ.) ძალიან მაღალი, მაგრამ ყოვლად უვარგისი, მოუქნელი. გადატ. არაფრის მკეთებელი (ნ. ა ლ ა ვ. ოკრ. სვინტრი).

აქვირიქება-დაქვირიქება (ტბკ.) ნ. აკირკავება-დაკირკავება.

აჩვენებული (ქვ. იმ.) შეძულებული, თვალში ამოჩემებული, გადამტერებული. ნ. აბუებუებული.

აჩოლყვილი (ტბკ.) ერთბაშად, სხვებთან შედარებით, სწრაფად გაზრდილი. ქვ. იმერეთში ა ჩ ო ლ ყ ვ ი ლ ს დაუძახებენ ავადმყოფ შინაურ ფრინველს. „ჩემი ინდოეურები დღეს ა ჩ ო ლ ყ ვ ი ლ ი ა. საჭმელს არ ჰამენ, ჰირი ხუარ აქვთ აწი?“ (შდრ. განმარტებითი ლექსიკონი აჩოყებული).

აძლება (ტბკ.) „მოვხუცთი, ბაბუა, ა ძ ლ ე ბ ი ს ღონე აღარ მაქ“.

ბააბანი ადგილი (ტბკ.) ძალიან ვაკე ადგილი (ნ. ჯ ა ჯ. ბეებანი).

ბადიმი (ტბკ.) დიდი ქვევრის სარქველის გამოჭრილ ადგილზე დაფარებული პატარა მრგვალი ფიცარი (შდრ. განმარტებითი ლექსიკონი, საბა, წერ.).

ბარტყემალა (ტბკ.) ტყემლის ერთგვარი ჯიში, ტკბილი ნაყოფი აქვს. ქვემო იმერეთში მას შაქარტყემალას ეძახიან (ნ. ალავ. ოკრ. ბალტყემალა).

ბასასხები (კლდ.) ჩიტის ბარტყები, კატის კნუტები. გადატ. იტყვიან პატარა ბავშვებზეც. „ჩვენი ვერაი თითვან ბღარია და ასე მალე ოთხი ბასასხები ყავს (ნ. განმარტებითი ლექსიკონი, ჰყ. ბასარსხლები).

ბაჭიტა (ტბკ.) ვიწრო გასახედი, ჭუჭრუტანა (ნ. ჯაჯ. ბოჭიტა).

ბოლი (ქვ. იმ.) ხის ტოტი (შდრ. განმარტებითი ლექსიკონი, ბერ. ბელვა).

ბოძვალი (ტბკ.) ბოძი, რომლის ერთი თავი ორად იყოფა (ნ. განმარტებითი ლექსიკონი; შდრ. საბა; ნ. ალავ. ეთნ. ბოძალი).

ბოჭიალა ადამიანი (ტბკ.-კლდ.) 1. ადამიანი, რომელიც საერთოდ ნელა დადის. „გამოუჩქარე პაწა, რავა შენი სიცოცხლე დაბოჭიალოფ"; 2. უსაგნო ლაპარაკის მოყვარული. „ბოჭიალა კაცი რო შეგვხვეთება, იმისგან თავს ვერ დეიხსნი: იბოჭიალებს და იბოჭიალებს ცისა და ბარისა".

ბროგინი (ტბკ.) ბრაგუნი. ხის იატაკზე რისამე ძლიერი დაცემით გამოწვეული ხმაური. „გვიან ღამე გემელვიძა: ნალიიდან ბროგინი გევიგონე. წამუარდი და გევიქეცი. ძროხა გამოხოულიყო ბაწარში. რუ არ გემეგო, დევიღუპებოდი კაცი" (ნ. განმარტებითი ლექსიკონი ბრაგუნი, ჰყ. ბრაგვანი).

ბუდარა (ფარცხ.) კვახის გული, რომელშიც თესლია მოთავსებული. ნ. ქუნთელა, ყარტლი (შდრ. განმარტებითი ლექსიკონი).

ბუნი (ტბკ.) ერთი საგვარეულო, შთამომავლობა (შდრ. განმარტებითი ლექსიკონი, საბა, ჯაჯ.).

ბუნტური (ტბკ.) საზოგადოდ უმიზნო სიარული. ძალიან ბნელ ღამეში სიარული (შდრ. ბერ. ბუტურა(ე-ჲ).

ბურგალა (კლდ.) ჩასუქებული დაბალ-დაბალი სულიერი არსება, უფრო ხშირად პირუტყვის შესახებ ამბობენ, იშვიათად— ადამიანზეც.

ბუჯაროობა (ტბკ.) დიდი ხნით სახლის ყოველ კუთხეში რისამე ძებნა. „თელი დღეი სახში ბუჯაროობდა ბღარი, იმან თუ დაკარგა დანა(ი) (ნ. ბერ. ბუჯგური, ბუჯური).

ბაგანგალება ხმისა (ტბკ.) ხმის გაწვრილებულად გაგრძელება. „ამ სიმღერას რო ამბობ/ფ, ბოლოს ხმაი უნდა გააგანგალო".

გადაწოკინება (ზ. იმ.) რისამე მოსათრევად შორიდან ზანტად ხელის გადაწევა.

გალიცლიცება (კლდ.) ჭურჭლის პირამდე ავსება. ქვ. იმერეთში ამ სიტყვის მაგივრად გაციცინება, გაპიპინებას ხმარობენ. სხვათა შორის ეს სიტყვები იმავე მნიშვნელობით ზემო იმერეთშიც გვხვდება.

გამოწიწკინება (ტბკ.) გამოწანწკარება. „გამოწიწკინობს წყალი ვოტკის ხელაზე", ე. ი. ცოტა წყალი გამოდისო,

გამოხანხლვა (ქვ. იმ.) 1. ცხოველის გაჭრა და შინაგანი ნაწილების გამოღება. „ამ ღორს ახლა მეტი არაფელი უნდა (ამბობს მკეთებელი ჯაგარგაცლილი ღორის შესახებ) გამოვხანხლოთ და კაი წვადები შევწვათ"; 2. ცეცხლზე ან ღეელფში რისამე ნაჩქარევად მორუჯვა. „გოგო; წყერები გამოხანხლე ცეცხლში და მალე გააკეთე" (ნ. მენთ. გახანხლვა, შეხანხლვა).

გარიკნილი ხე (კლდ.) უტოტო. ტოტებგაცლილი ხე. გადატ. გაფცქვნილი, გაღატაკებული (ნ. ჯაჯ. გალიკნილი).

გასუდრული გაჩუმებული, გაშეშებული. „შიშისგან კაცი გასუდრული იყო ხეზე. ხმას რავა გეიღებდა: ხი ძირი ყაჩაღებით ეიმსო" (ზღაპრიდან).

გაქუცნვა (ტბკ.) გაფცქვნა. უვარგისი ნაწილის მოშორება. გადატ. გაძარცვა. „გამქუცნეს ჯიბგირებმა (ნ. მენთ. გაქუცვა; შდრ. შარაშ. გაქუცული).

გაჩხაკვა ტყემლისა (კლდ.) მოხარშული ტყემლის ცხრილში გატარება. ნ. ჩხაკი (შდრ. ალავ. ამოჩხაკვა).

გაჩხიბვა (ფარცხ.) 1. რისამე ერთმანეთში გადახლართვა. „ფაცერში ჯოხები გეიჩხიბა"; 2. გადახლართულის ამოხსნა. „ქსენია, ძაფები გაჩხიბე და მერე გეიგეფ ძაფის თავი საით არის" (ნ. მენთ.).

გაწოკინება გაზმორება, ხელებისა და ფეხების გაჭიმვით ამოძრაველება. გადატ. ზარმაც კაცზე იტყვიან — წოკინა კაცი არისო.

გზავრიო (ტბკ.) ერთგვარი მაღალღერიანი სოკო, რომელიც უმეტესად გზის პირზე ამოდის.

გლუნჯი კაცი (ფარცხ.) გულჩათხრობილი, იჭვიანი, მიუკარებელი ადამიანი.

გოგოსთავა (ქვ. იმ.) თავწამსხვილებული მოკლე ხე, რომლითაც საწნახელში ყურძენს ტენიან ან საწურში — ჭაჭას.

გომფაშო (ინაშ.) ხარბი, გაუმაძღარი. უთუოდ სიტყვა გომბეშოს გადატ. მნიშვნელობით (შდრ. საბა).

გოჯილა (ქვ. იმ.) სიმინდის ნაჭურჩენისაგან გაკეთებული ბავშვების სათამაშო სახლი. სიმინდის ნაჭურჩენს ერთმანეთზე დააწყობენ ფიცრული სახლის კედლების მსგავსად (მიამსგავსებენ კიდეც სახლს), მერე მოშორდებიან ცოტა და ნაჭურჩენის სროლით მას წააქცევენ. ამას თან მოჰყვება ბავშვების სიცილ-ხარხარი. ნ. ხოხოლია (შდრ. ს ა ბ ა; ნ. ა ლ ა ვ. გოჯიალა).

გულმოკლიავებული (ტბკ.) გულმიღონებული, გულშეწუხებული, დიდი შრომისა და გარჯის გამო მოქანცული. „გუშინ დილიდან ტყეში ვმუშაობდი, ერთიც არ შემისვენებია. საღამოს გ უ ლ მ ო კ ლ ი ა ვ ე ბ უ ლ ი მოვედი სახში. ერთი ნაბიჯის გაელაც აღარ შემეძლო“.

გუნგრუში (ტბკ.) ბავშვის მოფერება, დაყვავება (ნ. ჯ ა ჯ. გუნდრუში).

გუნებიდან გუნებით, ნამდვილად. „გ უ ნ ე ბ ი დ ა ნ არ უნდოდა ბოვშის ტყეში გაგზანა, მარა შოუჩთენ მეზობლის ბიჭები და ქე დეითანხმენ“.

დაბლეყვება (ტბკ.) რისამე უწესრიგოდ, მოურიდებლად ძირს დაგდება, დაბერტყება. „ბღარმა პაწა ხანს იკითხა წიგნი, მერე ეიღო და დ ა ა ბ ლ ე ყ ვ ა მიწაზე. დიდი დოუჯერებელი ბღარია. ასე უნდა, გოგო, წიგნს მოვლაი?!“

დათქვლეფა (ქვ. იმ.) დამტვრევა, დამსხვრევა. „კალათს არ დააჯდე, ბიძია, თვარა კვერცხები მაქ შითე და დ ე ი თ ქ ვ ლ ი ფ ე ბ ა“ (ნ. დანთქლოვა).

დაკაპანება (ფარცხ.) ძლიერ დატვირთვა. აქედან: დ ა კ ა პ ა ნ ე ბ უ ლ ი. „მამაჩემი დ ა კ ა პ ა ნ ე ბ უ ლ ი ჩამევიდა: ყველაფერი ბევრი ჩამოგვეიტანა“. გადატ. ამბობენ კარგად მოსხმული ხილის მცენარის შესახებაც.

დაკვაბული, დაკვაბლული (ტბკ.) დაკნინებული, ასაკთან შეუფერებელი სიდაბლის მქონე სულიერი არსება — ცხოველი, ფრინველი, ბავშვი. „ჩემი ჭუკები კაიებია, სხვების სულ დ ა კ ვ ა ბ უ ლ ი ა“.

დაკიწაწება ნ. კიწაწი.

დანთქლოვა (ქვ. იმ.) დანქლოვა. საზოგადოდ დამტვრევა (ნ. დათქვლეფა).

დაორთვალება (ტბკ.) „ერთი ქურდი მეზობელი ქვყამდა ჩვენ ძველათ: იგი რავარც დ ე ი ვ ო რ თ ვ ა ლ ე ბ დ ა ჭუკს ან ქათამს, ხელათ გააქრობდა“.

დასითვა (იწაშ.) რისამე ფოთლის დაწმენდა, მისგან მტვერის მოშორება ხელით. „თუთუნის ფოთლები კარქა უნდა დ ა ს ი თ ო, რო მტვერი არ შეყვეს და ისთე უნდა დააწყო ერთიმორეზე“.

დაფარჩხუნება (ტბკ.) „ვირთხა გამოვა გარეთ და გამეიტანს ვოქრუებით საცხე ქესას. კაცმა რო მას ერთი დოუფარჩხუნოს, იმ ქისას მაშინთვე დატუებს".

დაფეშვა (ქვ. იმ.) მსხვილად დაფქვა, დაღერღვა. „სიმიდი ისე დოუფეშვავს მეწისკვილეს, რომე საცერში არ გადის (შდრ. შარაშ., ალავ. ეთნ. 105).

დაფოხვილი სახლი (ტბკ.) ჩაქოხვილი, ძალიან პატარა, დაძველებული, დაბალი შენობა. „ტაბაკინის მონასტერთან ერთი დაფოხვილი ეკლესია იყო. სამი კაცი თუ დეეტევოდა შითე".

დალორება დატყვილება.

დაძანძული, დაძინძული (ქვ. იმ.) კარგად მოსხმული ხილის მცენარის შესახებ იტყვიან. „ჩემი ვაშლი ძაან დაძინძულია. გონია ათი საპანე ჩამუა ზედე".

1. **დაწიკვა** ტოტისა (ტბკ.) ხის ტოტის ჩამოწევა.

2. **დაწიკვა** (ქვ. იმ.) დაგლეჯა, ნაკუწებად ქცევა.

1. **დახოკვა** (ტბკ.) სიბნელეში უგზოუკვლოდ სიარული. „რას დეიხოკები, ბოშო, შენე ამ ღამეში".

2. **დახოკვა** (ქვ. იმ.) სახის დაკაწვრა ფრჩხილებით.

დაჯღილნვა (ინაშ.) 1. რისამე ულამაზოდ, უწესოდ დაჭრა; 2. ცუდად მოპარსული თმის შესახებ იტყვიან: თმა სულ დაჯღილნულიაო.

დაჯღორჯვა (ინაშ.) 1. ძაფის არასიმეტრიულად დახვევა; 2. ტანზე უწესრიგოდ ბევრი ტანსაცმლის ჩაცმა.

დილეგი ამინდი, (ქვ. იმერ.) ძალიან ცუდი (წვიმიანი) ამინდი. დილეგი თოვლი დიდი თოვლი. „დილეგი თოვლი მეევიდა, ღორები სახლის სახურავზე დადიოდენ".

დორჩხულა წყლის მოზრდილი დოქი (შდრ. ალავ. დორა).

ერთსალიგას (კლდ.) ერთ ალაგას, ერთ ადგილზე (ნ. ალავ. ერთსალიგე, ერთსალიკა, შარაშ. ერსალიკაი).

ვენახა თევზი (ტბკ.) თევზის ერთგვარი სახეა. მას ქვ. იმერეთში გველთევზას ეძახიან.

ზოზნიკა კაცი ნელი, მოუქნელი, ზარმაცი ადამიანი.

თავქედური (ტბკ.) თავხედი, ქედმაღალი, თავზეხელაღებული, უშიშარი, შეუპოვარი. „როსტომი თავქედური კაცი იყო, არაფრის ეშინოდა".

თალარი (კლდ.) თიხის ჭურჭელია, რომელიც ჰორიზონტალურად შუაგაკვეთილი ქვევრის ქვედა ნაწილს მოგვაგონებს (შდრ. ჩუბ., ჯავახ.; ნ. მენთ., ალავ. ეთნ. 108).

თვალჩიჩხი (ტბკ.) თვალჭრელა, კატისთვალება (ნ. ალავ. ჩხია).

თვალჩხაკა|ი (ტბკ.) ნ. თვალჩიჩხი.

თუნთულა (ფარცხ.) ძალიან გასუქებული.

თქვლეფა (ქვ. იმ.) სულმოუთქმელი ჭამა. უმეტესად ძაღლზე იტყვიან — საჭმელს თქვლეფსო. (შდრ. დათქვლეფა).

იშხვარი (ტბკ.) ხის ახალი ამონაყარი სწორად გაზრდილი ტოტი. „იშხვარივით ტანი აქ ამ გოგოს“ (ნ. შხვერთი).

კანდრიკი (ტბკ.) საქონლის კისერზე მრგვალი მოძრავი ჯოხი, რომლის თავები შეერთებულია თოკით. რქოსან საქონელს რქები რომ არ დაუზიანდეს, კანდრიკში მიაბამენ თოკს. პირუტყვი უფრო თავისუფლად გრძნობს თავს (შდრ. ბერ. კონდრივი, ნ. წერ. კანდრიბი).

კაპუეტი (ტბკ.) ძალიან ავი, ანჩხლი ადამიანი. უმეტესად ქალზე იტყვიან (შდრ. მენთ.; ნ. ალავ.).

კეკვი (ინაშ.) — დასარღვევი სახლის კედლის ფიცრებს ნაჯახის წვერის დარტყმით გაუკეთებენ ნიშანს (რომ ფიცრების წყობა არ აირიოს). პირველ ფიცარს ერთს, მეორეს — ორს, მესამისთვის სამჯერ დაარტყამენ და ა. შ. ამ ნიშანს კეკვი ან კეკვა ეწოდება (შდრ. საბა კეკა, მენთ., წერ. კეკვა).

კელამიტა (ინაშ.) მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ნავალისა და დაჭრილი თივისაგან გაკეთებული კეცის მსგავსი დიდი ჰურჭელი. მასზე აბრეშუმის მურს ათავსებდნენ (შდრ. ჭყ., ჟღ. კელამიდა).

კვანჩხი (ინაშ.) ხელი, ხელის ჩონჩხი (შდრ. საბა, ბერ.; ნ. • ლავ. ეთნ. 128).

კვანჭალი (ტბკ.) ერთ ფეხზე სიარული, ხტუნვა. ქვემო იმერეთში ფეხების მაღლა აწევით გორვას კვანჭალს ეძახიან.

კვაჭაყურე (ტბკ.) კედლის ყურე. „კედლის კვაჭაყურის (ქვ. იმ. ყურის გაჭრა) ეგრე ადვილი როდია“ (ნ. საბა, ჩუბ., ალავ. კვაჭახური).

კვინწიალი (ინაშ.) სწრაფი ტრიალი, მოძრაობა (ნ. ჭყ. კვიწიალი).

კიბოლა (ტბკ.) პატარა კიბო (ნ. საბა, მენთ. კიბორჩხალი).

კინკლი (ტბკ.) ცხვრის ნაგავი (შდრ. საბა, მენთ., შარაშ.).

კინწიალი (ტბკ.) თოკით ჩამოკიდებული საგნის მოძრაობა. „ჩამოკიდეს ბერი ხის ტოტზე და დეიწყო კინწიალი“. ნ. კონწიალი.

კინწლავი (ტბკ.) ჩხუბი, აყალმაყალი, ორი მოჩხუბრის მიერ ერთმანეთის ტანსაცმელში ხელის ჩაკიდებით ცემა.

კიწაწი (ტბკ.) ჩხირი. დააკიწაწა — პატარ-პატარად დატეხა (შდრ. ჭყ. კიწი; ნ. ჯაჯ. კიწი).

კნაჭვა (ტბკ.) პარსვა. „მეცხვარე ცხვარს კნაჭავდა. სულ მატყლით აავსო ყველაფერი“.

კოკბა (ინაშ.) ლამაზი, კარგი, კოხტა (შდრ. მენთ. კოკბათ., შარაშ. კოკობი).

კოკოშა (ინაშ.) ღვინის ამოსაღები პატარა ხაპი.

კოკუნა (ინაშ.) პატარა დოქი ან ჩაფი (კოკუნა დოქი, კოკუნა ჩაფი).

კონწიალი (ინაშ.) ნ. კინწიალი.

კორთხულა (ინაშ.) ხის ჭურჭელია, რომელშიც ბათმანზე ცოტა ნაკლები ჩადის (შდრ. ალავ. ოკრ. კოთხო).

კორომი (ჭ. იმ.) ცილინდრისებული წნული. მისი სიმაღლე 2-3 მეტრია. მიწიდან დაახლოებით ერთი მეტრის სიმაღლეზე აქვს პატარა კარი. კორომის თავზე ჩალის ზვინს დგამენ, ხოლო შიგ თივას ან ჩეჩქს ინახავენ. ქვ. იმერეთში კორომა ძალიან პატარა სახლს ჰქვია (შდრ. საბა; ნ. ალავ. ოკრ.).

კუნჭალი (ინაშ.) მხარი მტევნისა. კუნჭალზე რამდენიმე მარცვალი ასხია (შდრ. ბერ.).

კუჭნა (ინაშ.) რისამე პატარა გროვა, პატარა ნაწილი. „ვენახში სიმინდი მოვტეხეთ და კუჭნა-კუჭნად მოვაგროვეთ“.

ლამუნი (ინაშ.) უმადოდ, უხასიათოდ ჭამა. „ჩვენი ძროხა ავათ უნდა იყოს: ჩალას პირს ულამუნებს და ჭამით არ ჭამს“.

ლაჩა (ტბკ.), **ლანჩა** (ინაშ.) თხილის ან წაბლის ხის ტოტის ანატკეჩი, რომელიც ჩვეულებრივ ტკეჩზე უფრო სქელია და ზოგჯერ ფართოც. მოსაწნავი ჭურჭლის სარებად ხმარობენ (შდრ. ალავ. ეთნ. 101).

ლიანცი ბავშვი (ქვ. იმ.) ეშმაკი, მოუსვენარი ბავშვი. ნ. ალიანცებული.

მაქნისი საჭირო, მოსახმარი, გამოსადეგი (ნ. ჭყ.).

მიბურძაკ-მობურძაკებული (ტბკ.) მიოხრებულ-მოოხრებული, მოუვლელი, უპატრონო. „მოვხუცთი, ბიძია, აღარ შემიძლია: ჩემი ეზო ახლა მიბურძაკ-მობურძაკებულია“.

მიკვანძული (ტბკ.) „ძროხას უტრიალებია, უტრიალებია და ბაწარი სულ მიკვანძულია ხეზე“.

მინმინაზე (ტბკ.) ყოველ წუთში. „დამაწყებია ციებაი ერთ წელიწადში. ძლიერი სიცხე მჭონდა. დედაჩემი მინმინაზე მიცვლიდა სობელ ტილოსა“.

მიქლოი (ტბკ.) ყვითელი ფერის სოკო.

მიხამსული (ტბკ.) ხამსგამოლეული, ძალიან მოხუცებული „ჩვენი ნიკოიე ძაან მ ი ხ ა მ ს უ ლ ი იყო. მე პაწია ბღარი ვიყავი მაშინ“.

მობღანკვა (ინაშ.) მოხრა (შდრ. ა ლ ა ვ.).

მოკოკბება (ტბკ.) ერთ ადგილზე რისამე მომჭირნეობით ლამაზად მოგროვება, დალაგება. კოკბად დაწყობა — ლამაზად დაწყობა.

მოლიხვა (ინაშ.) უწესრიგოდ დაყრა. „შალიკოს ბიჭმა ბევრი ანგური მეიტანა, სულ მ ო ლ ი ხ ა თელი ეზო“.

მომთქლოვა ხალხისა (ტბკ.) 1. ხალხის სწრაფად მოსვლა. „დიდი გლახა ამბავი მოხთა. მ ე ი მ თ ქ ვ ლ ა ხალხი ყოველი კუთხიდან კივილზე, მარა არევინ იცოდა რაში იყო საქმე“; 2. მონთქლოვა (ინაშ.) გაუზომავად რისამე ნაწილის მოტეხვა. „მივიდა და მ ო ა ნ თ ქ ვ ლ ი ა დიდი ჰადი“.

მომცველებული (ინაშ.) აკლებული, აოხრებული. უპატრონოდ მიტოვებულ ეზო-გარემოში რომ ვისაც რა უნდა მას აკეთებს, ასეთი ეზოს შესახებ იტყვიან: თელი ეზოი მ ო მ ც ვ ე ლ ე ბ უ ლ ი ა ო (შდრ. ა ლ ა ვ. მომცველება).

მომცროვა (მონცროვა) მოსავლის აღების შემდეგ ნარჩენის შეგროვება. „თხილი რო მოვკრიფეთ მერე ბოვშებმა კიდო ვორი ბათმანი მ ო ა მ ც ვ რ ი ა“.

მოპუწიაკებული (ტბკ.) არეულ-დარეული, დაულაგებელი.

მორიგება (ტბკ.) 1. განაწილება. „ხშირათ ერთი ჩაფი წყალი ათ კაცს მ ო გ ვ ი რ ი გ ე ბ ი ა“. 2. შერიგება.

მოსამთოლი (ტბკ.) მომგვანებული, მისადგომი, ახლო. „ღარის წყალიც გვაქ, მარა ცოტა შორსაა, ჰაი უფრო მ ო ს ა მ თ ო ლ ი ა ჩვენთვის.“

მოსრუპვა ცოტას მოსმა. „ამ ტიკიდან ცოტა ღვინოი მ ო ს რ უ პ ე ო, — უთხრა მგზავრმა“.

მოსხუტურებული საქმე (ტბკ.) სასწრაფო საქმე, მოძალებული საქმე. „ახლა შემოდგომაა, ყველას მ ო ს ხ უ ტ უ რ ე ბ უ ლ ი საქმე აქვს“.

მოქცევა ღვინისა (ქვ. იმ.) ღვინის გადაბრუნება, ცუდი ფერისა და გემოს მიღება (ნ. ს ა ბ ა მოქცევა, შ ა რ ა შ.).

მოყელვა (ტბკ.) 1. ღვინით სავსე ტიკის თავის გადაგრეხა; 2. მოყელვა ხისა — ხის ყველა ტოტის მოჭრა. გადატ. ვერ მ ო ვ ყ ე ლ ე — ვერ გავაძღე.

მოყვარე (ტბკ.) ნათესავები ცოლის მხრით (ნ. ს ა ბ ა).

მოჩხაკვა (ფარცხ.) ღობის ცუდად წნება (ნ. ა ლ ა ვ. ამოჩხაკვა).

მოწიკწიკება (ინაშ.) ცოტ-ცოტას მოტანა. „რავა დოქით მოაწიკწიკებ წყალს, დიდი ჩაფი ვერ წეიღე?“

მურკვა (ინაშ.) ხის ძველი ტოტების გადმოჭრა. დაახლოებით ისეთივე მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას, როგორიც მოყელვას.

მურკი (ინაშ.) მცენარის თოთო ამონაყარი (შდრ. ალავ. ოკრ.).

ნაიბი (ტბკ.) უფროსი, მეტი, დიდი. „ამ ოთახს რო გავაკეთებთ, კაი ნაიბი მეემატება ჩვენ სახს“.

ნაკუდარა (ტბკ.) უვარგისი კუდისკენ გადანაჭერი, ნარჩენი, სიმინდის ტაროს უმარცვლო ან წვრილმარცვლიანი ნაწილი (ნ. ჯავახ., ჯაჯ. ნაკუდი).

ნაღიბა (ტბკ.) ნაღრიბა (ქვ. იმ.) დაკნინებული, ნაბოლარა, ცუდი (ნ. საბა ნაღიტა; შდრ. ალავ. ეთნ. 413).

ნაწეკვი (ინაშ.) ნაგლეჯი, ნაწილი.

ნებოძირი ადგილი (ტბკ.) ვაკე ადგილი.

ნერჩი ნივრისა, ხახვისა, ნივრის ან ხახვის ბოლქვის ლებანი (შდრ. საბა, ჭყ., ბერ.).

ნიგვზიკალია (ტბკ.) ერთგვარი შეჭამანდი (დანაყულ ნიგოზს, ნიორსა და მარილს გახსნიან წყალში). ქვ. იმერეთში მას ნიგვზის ბაჟს ეძახიან.

ოწკოლი (ტბკ.) ღორის ავადმყოფობა (შდრ. საბა).

პარჭუკი (ტბკ.) საქმის წვალებით კეთება. „წყაროს გამოყვანა მეინდომეს და, რახან მისი პარჭუკი დეიწყეს, ჩვენც ჭის ამოღებას დავანებეთ თავი“ (შდრ. საბა).

პაყვილა ტანდაბალი, ჩასუქებული. უფრო ხშირად დაცინვით ხმარობენ ამ სიტყვას (ნ. ჯაჯ. პაყვი).

პეშვა (ტბკ.) ზესადგრის ქიმები, რომლებზეც ღერძი ტრიალებს (ნ. ბერ., ალავ. ეთნ. 99).

პინწკვალი (ინაშ.) ძალიან პატარა, ერთი ბეწო. „ნაფოტი ეიღე ისე, რომე ერთი პინწკვალი არ დატოვო!“ (ნ. შარაშ.).

პირგაზაფხული (ტბკ.) გაზაფხულის პირი, პირველი დღეები.

პონჭვა (ტბკ.) ულამაზოდ კერვა, რაგვა, ქსოვა, შენება (ნ. ალავ. პონტვა).

პურჭყი თხილისა (ინაშ.) თხილის ნაყოფის ბუჩქი, ტოტს ასეთი რამდენიმე ბუჩქი ასხია. თითოეულ მათგანში რამდენიმე მარცვალია.

ჟიჟმატი (ტბკ.) პატარა მარცვლები. როცა ხილის მცენარეს ბევრი ასხია და ნაყოფი ჩვეულებრივზე პატარა აქვს, ასეთ შემთხვევაში იტყვიან: ჟიჟმატი მარცვლებიაო, ჟიჟმატი მოსხმულიაო (ნ. მენთ.).

ყვერი (ტბკ.) დიდი სახრე, ხის ახალგაზრდა ტოტი. გადატ. მაღალი, ახოვანი (ნ. საბა, ჩუბ., ჭყ.; შდრ. ალავ.).

რაკა-რუკად (ტბკ.) „რაკა-რუკათ ვიცოდით ომის დამთავრების შესახებ“, ე. ი. ყური მოვკარით, მაგრამ დანამდვილებით არ ვიცოდითო. ნ. ანკრად.

რემა ხალხი (ინაშ.) დიდძალი ხალხი (შდრ. საბა).

საბეგველა მიწისა (ტბკ.) ქვევრის თავზე მიწის საგლესი ურო, რომელიც კავისებურად არის მოხრილი. ერთი მხარე (უფრო წვრილი) ტარადაა გამოყენებული, ხოლო მეორე (უფრო მსხვილი) — უროდ — საცემად.

საბიჯგელა (ინაშ.) 1. ღობეზე საფეხურებიანი გადასავალი (ნ. ალავ. საბიჯელა); 2. ხელში დასაჭერი ჯოხი.

საბნიერი (ტბკ.) საკვეთო, კვეთი.

საბუნაკა დედაკაცი (ფარცხ.) უხეირო, ცუდი, ბინძური დედაკაცი.

საფთიურა (ტბკ.) ქვევრის პირის სიფართის მრგვალი გულგამოჭრილი ფიცარი. მას დაამაგრებენ ქვევრის თავზე (მანამ კი მის ნახვრეტში სარცხელის ტარს გაუყრიან) და ქვევრს ისე რეცხავენ. მისი დანიშნულება ისაა, რომ ქვევრის პირის კიდეები სარცხელის ტარმა არ დააზიანოს; 2. საფთიურა (სამთიურა) ჰქვია აგრეთვე აჩაჩა ურმის ხელნების წინა თავებში ამოყრილი ქიმების (ფრჩხილების ქიმები — ტაბაკინში, თუშების ქიმები — ქვ. იმერეთში) თავზე ჩამოცმულ ფიცარს, რომელიც ქიმებს იჭერს. ქვემო იმერეთში აღნიშნული ქიმების გასაკრავად ღვლეჭს (იშვიათად თოკს) ხმარობენ და მას თუშების სართოულას ეძახიან.

საჯინია ნ. ჯინი.

ტარაბუკა (ტბკ.) მსხვილღეროიანი სოკო.

ტაფა (ქვ. იმ.) ხე ფიცარი, რომლის სიფართე ერთ მეტრამდე აღწევს, სიგრძე კი ორ მეტრს უდრის. იგი ორი ნაწილისაგან შედგება: უფრო ფართო ნაწილზე ოთხკუთხედად ამოჭრილ ღარში ფიცრის თავებია ჩაშვებული. ეს ფიცრები ზევით შეკრულია. ფიცრებისაგან ამნაირად შეკრულ ყუთში ყრიან ყურძნის ჭაჭას. შემდეგ სპეციალურად მოწყობილი ოწინარით ჭაჭიდან გამოიწურება ღვინო, რომელიც ტაფის მეორე — უფრო ვიწრო და ღრმა ნაწილში ჩადის. ეს ნაწილი თაღარის (ნ.) ფუნქციას ასრულებს (ნ. ალავ. ოკრ. მერე).

უპია (ინაშ.) კივილი, ყვირილი ჩხუბისა და აყალმაყალის დროს (ნ. ჭყ. უპე, შარაშ. უპე).

უსიერი ამინდი (ტბკ.) ძალიან ცუდი ამინდი. ნ. დილეგი ამინდი.

უალანგა, ფალანგი (ტბკ.) ურმის ხელნების შემაერთებელი ვიწრო და მოკლე ფიცარი. ურემს 5-6 ფალანგა აქვს. ქვ. იმერეთში მას ფირფილას ეძახიან, შრომაში საფენალი ჰქვია (შდრ. საბა, ალავ. ეთნ. 99, ოკრ.; ნ. ჯაჯ. ფირფილა).

ფახფახი (ტბკ.) მადუღარი სითხის ხმა ქვაბში.

ფერფლი (ტბკ.) ქვევრის თავის ბრტყელი კიდე, რომელზეც სარქველს ათავსებენ (შდრ. მენთ.; ნ. ჯაჯ. ფარფალი).

ფლაყვი (ტბკ.) 1. სრული; 2. დამტვრეული, დაშლილი „ეს ჯინი (ნ.) ფლაყვია, სიმიდის ტაროები გალიეა".

ფოლოცი 1. განებივრებული. გაფოლოცებული ბავშვი — განებივრებული ბავშვი; 2. გაცარიელებული, გამცდარი. გაფოლოცდა ადგილი — გაცალიერდა, გაცდა ადგილი (ამბობენ მაშინ, როცა დათესილი მარცვალი არ ამოვა ან ძლიერი გვალვის გამო ამოსული გადაიწვება).

ფონცხო ქათმისა (ქვ. იმ.) ქათმის ზურგი გვერდებით.

ფორჯიალი (ტბკ.) ავკარგად ყოფნა, ავადმყოფობის ან მოხუცებულობის გამო ნელი სიარული.

ფუთარა (ტბკ.) ქათმის მკბენარი.

ფუნდრიაკი (ტბკ.) ჩხუბი, აყალმაყალი, არეულ-დარეული. „იმისანა ავი (რ)ძალი მეიყვანა, რომე მალე შექმნის ერთ ფუნდრიაკს".

ფუტი (ქვ. იმ.) კვამლი შდრ. საბა, ჭყ.).

ძეფჩო (ტბკ.) კაკლის, თხილის, ლელვის, ნიერის ან საზოგადოდ რისამე წაუჭკი, ნაფცქვენი.

ქოფე (ფარცხ.) თავსლაფი. „შენ დეგესხა ქოფე თავზე, თუ გაჩუმდე ბოეშო!"

ქოქოლია სახლი (ტბკ.) ძალიან პატარა, ცუდად აგებული სახლი.

ქუნთელა (ქვ. იმ.) ნ. ბუდარა, ყარტლი.

ქუჩუჩო (ტბკ.) სიმინდის თავთავი (შდრ. ბერ.; ნ. ალავ. ეთნ. 95, ჯაჯ. ქუნცურო).

ღამე (ტბკ.) კინალამ, ეს ეს იყო. „სულ ცოტა დაკლებია, ღამე დატაკებია მაშინაი".

ყალამიანი ყაბალახი (ტბკ.) ოქროს ფერი ძაფით გაწყობილი ყაბალახი (შდრ. საბა ყალამო).

ყარტლი კვახისა (ტბკ.) 1. ნ. ბუდარა, ქუნთელა; 2. სიბინძურე, სქელი ჭუჭყი (შდრ. საბა, ჯაჯ.).

ყვაპი (ფარცხ.) საზოგადოდ პატარა: პატარა საზამთრო, კვახი, ნესვი. გადატ. სულიერზეც იტყვიან.

ყვლირტვა (ტბკ.) გაბღვერა, დამუქრება, დასაშინებელი გამოხედვა. „ნაღვდლების ეზოშია წყალი. არ გვიშობს ჩვენ წყალზე, სუ იყვლირტება“.

ყუბარი, ყუპარი (ინაშ.) 2-6 ფუთის ტევადობის ჭური, საზოგადოდ პატარა ქვევრი (ნ. ალავ. ეთნ. ყვიბარი 110).

შეგუგულავება (კლდ.) შეგროვება, ერთად თავის მოყრა. „შეაგუგულავე სიმიდის ტაროები!“

შეყიყინება (ტბკ.) „დღეს თავს ცუდად ვგრძნობ: დილას რაღაც შემაჟიჟინა ტანში“ — (შემაცივაო?!).

შეფახვა შეშინება. „იმხელა იყვირა მეწისკვილემ, რო ქეც შემფახა ცოტა“.

შეშვიდი (ტბკ.) საშუალო, რიგიანი, კარგი (შდრ. ჯაჯ.).

შეჩქვეფება შეკრთომა, განცვიფრება, მოულოდნელად რისამე დანახვის ან გაგების დროს.

შეწოკინება შეპოტინება. „რასაც ვერ შეწვდები, არ შეეწოკინო!“

შეხოლიხება (ტბკ.) საგნების ერთმანეთზე უწესრიგოდ შეწყობა. წიგნები გადმოცვივდა თაროდან. ოჯახის ქალი ამბობს: „ეს რა იციან: შეახოლიხებენ წიგნებსა და დატუებენ“.

შხვერთი (ტბკ.) ხის წნელი (შდრ. ბერ.).

შხვერი (ტბკ.) ნ. შხვერთი.

ჩამკა ჩალისა (კლდ.) ჩალის მოჭრა და კონებად დაწყობა.

ჩოლყვა (ინაშ.) იჩოლყება — მადიანად ჭამს (ჩვეულებრივ შინაურ ფრინველების შესახებ იტყვიან. გადატ. — ადამიანზეც). შდრ. აჩოლყვილი.

ჩომა კაცი (ტბკ.) გამოუცდელი, გულუბრყვილო ადამიანი. „თურმე მატყვილებდენ, მარა მე დოვუჯერე, რაც მითხრა. ახლა ვატყოფ, ძაან ჩომათ მევიქეცი“.

ჩოფი (ტბკ.) ძალიან პატარა (კოვზზე უფრო მცირე) სარწყავი ჭურჭელი. ამიხსნეს, რომ ძველად მას თეფშის ძელის ან კუს ხოჭოს ნატეხისაგან აკეთებდნენ. „ამხელა კაცი გევიზარდე და ერთი ჩოფი წამალი არ დამილევია“ (შდრ. მენთ.).

ჩხაკი (ტბკ.) წვრილი ტკეჩით ან წნელით მოწნული ჭურჭელი (საცრის მოყვანილობა აქვს), რომელშიც მოხარშულ ტყემალს წურავენ. ნ. გაჩხაკვა.

ჩხმეტი (კლდ.) ხის ხმელი ტოტი; ეკალბარდის ბურდო (შდრ. ბერ.),

ჩხოკვა ნ. მოჩხაკვა.

ცანკალი (ტბკ.) კოჭლობით სიარული. დაცანკალობს. — ცალფეხა ადამიანის სიარულზე იტყვიან.

ცეცხლვა (ქვ. იმ.) მოულოდნელად სახეში ძლიერი გარტყმა.

ძლება ნ. აძლება.

წამაშვა (ზესტ.) წაფარება, ქვევრის საგლესზე ფხვიერი მიწის წაყრა.

წამთავრება (ტბკ.) ნ. წამაშვა (ნ. ალავ. ეთნ. სამთავრავი).

წინკარი (ქვ. იმ.) სახლის კარის წინ გადმოხურული ადგილი (კარის ახლოს გადმოუხურავ ადგილსაც ეხახიან წინკარს).

წკიპით გაჩერება (ინაშ.) უმნიშვნელო ძალით შეჩერება. „წკიპით ქონდა დიდი ხეი გაჩერებული მეორე ხეს. პაწია რო შეენძრია ქარს, ხელათ წეიქცეოდა".

წლაკუნი (ინაშ.) „აწლაკუნე ახლა პირი და იყავი. როცა გაძლევდი, მაშინ არ ჰამე. ახლა წადი და კატას მოკითხე შენი საჭმელი". ჰამის მსგავსად ყბების მოძრაობა.

წლუკუნი (ინაშ.) ხმაჩაკმედილი ტირილი.

წოკინი ნ. გადაწოკინება.

ჱილო ნივრის ან ხახვის თავის ერთი ანახლეჩი ნ. ნერჩი (ნ. საბა; შდრ. ალავ. ეთნ. 117).

ჰინჰვა (ტბკ.) უსაფუძვლოდ, მაგრამ დიდი მონდომებით ლაპარაკი. „ნუ იჰინჰები, შენმა ხმამ ყურები მატკინა" (შდრ. შარაშ.).

ჰიჰიმაყარა (ინაშ.) ხილის მცენარის შესახებ იტყვიან: ჰიჰიმაყარასავით ასხიაო (ნ. ჟიჟმატი; შდრ. მეგრ. ჰიჰე).

ჰიჰკვი (ფარცხ.) ნ. მურკი (შდრ. ბერ., ალავ. ეთნ. 118).

ჰიჰკვიტა (ინაშ.) ტყის ხილის მცენარის ძალიან პატარა ნაყოფი. უმეტესად იტყვიან — ჰიჰკვიტა ვაშლი, ჰიჰკვიტა მსხალიო.

ჰოკრი (ტბკ.), ჰოკი (ქვ. იმ.) გრძელი მოსხო ჯოხი, რომლითაც კაკალს ბერტყავენ.

ჰოჰინი (ინაშ.) ყოყმანი. „გადაწყვიტე და ის იქნება. რას ჰოჰინოფ, კაცო?" (ნ. კლდ. ჰოჰმანი).

ჰყურტა (ინაშ.) შაქრის ავადმყოფობა (ნ. ალავ. ეთნ. 144).

ხანკლვა ნ. გამოხანკლვა.

ხახვიდა (ტბკ.) მტრედისფერი სოკო (ნ. ჰყ. ხახვილო).

ხბოისტუნჩა (ინაშ.) ხის ერთგვარი სოკო. იშმება.

ხიოჰი (ტბკ.) ძალზე გამხდარი.

ხოკო კვახისა (ქვ. იმ.) კვახის გარეკანი. ზოგჯერ მას ჟურჟლადაც ხმარობენ: მარილს ჰყრიან მასში ან კვეთს ინახავენ (შდრ. ჩუბ. ხოკერი, ალავ. ხოკერა).

ხოლიხი (ტბკ.). უწესრიგოდ დაყრილი საგნები. ნ. შეხოლიხება (შდრ. საბა).

ჯინი (ტბკ.) ძარზე უფრო პატარა და ისეთივე ფორმის მოწნული ჭურჭელი. ჯინს გვერდითი კედლები უფრო დაბალი აქვს, ვიდრე ძარს. იქით-აქით თაეებში ორ-ორი სარია შიგ ჩაქსოვილი. ქვემო იმერეთში მას საჯინიას ეძახიან (შდრ. საბა; ნ. ალავ. ეთნ. 101).

ჯრა (ტბკ.) ეჯრებოდა — ძალიან ეტანებოდა.

ალ. ფულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, X, 1950—1951.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, X, 1950—1951.

მიხეილ ალავიძე

ოკრიბული ლექსიკონი

ოკრიბა იმერეთის ნაწილს შეადგენს და ქუთაისის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს. მასში ამჟამად შედის ქალაქი ტყიბული, ტყიბულისა და ქუთაისის რაიონების შემდეგი სოფლები: გელათი, კურსები, ნაბოსლევი, კოკა, ოხომირა, ცუცხვათი, ბუეთი, დაბაძველი, ზედუბანი, ძუნურა, საწირე, ძიროვანი, ახალსოფელი, ჯონია, სამტრედია, ივანეული, ახალდაბა, წყალწითელა, ლეღვა, ხრესილი, სოჩხეთი, წყნორი, ძმუისი, კისორეთი, გურნა, ლაფეთი, ბობოთი, ანტორია, ბზიაური, ხორჩანა, კითხიჯი, ციხია, კორეეთი, ჭყეპი, შუყერი, მანდიკორი, ნაძვა, ლაშია, ჯვარისა, ოჯოლა, ორპირი, კიროვი (ყოფილი ლეყერეთი), მოწამეთა; ჭოლევი, სორმონი, რიონი, ნოღა, ზარათი, კუდოთი და მამაწმინდა.

ამ სოფლების უმეტესობა მდ. წყალწითელას ხეობაში არის გაშენებული. წყალწითელა გამოდის ნაქერალას მთიდან და სოფ. ვარციხესთან უერთდება მდ. ყვირილას, ხოლო ყვირილა — რიონს.

ოკრიბას ჩრდილო-დასავლეთით საზღვრავს მდ. რიონი თავისი შენაკადი ლეხიდარითურთ, ჩრდილო-აღმოსავლეთით — ნაქერალას ქედი, სამხრეთ-აღმოსავლეთით — მდ. ჭიშურა და სამხრეთ-დასავლეთით — ქალაქი ქუთაისი და სოფლები გოდოგანი, ნაგარევი, სიმონეთი, ნახშირღელე. თითქმის ამავე საზღვრებით შემოფარგლავს ოკრიბას პროფ. ალ. ჯანელიძე (Геологические наблюдения в Окрибе, 1940, გვ. 4).

ვახუშტი ბაგრატიონი ზემოაღნიშნულ სოფლებს გარდა ოკრიბას აკუთვნებს აგრეთვე ტერიტორიას ჩხარ-ყვახჭირამდის და ხვამლის კლდეკარიდან გვასტიბემდის — ცხენისწყლის ხეობამდის (აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 165), მაგრამ ამ კუთხის მცხოვრებნი თავიანთ თავს ოკრიბელებად არ თვლიან.

ოკრიბა ზანური სიტყვაა და საბატკნე ადგილს ნიშნავს.

ოკრიბაში არის ცნობილი ისტორიული ადგილები — გელათი, რომლის ტაძრის აშენება 1130 წელს დაასრულეს, და ხრესილი, სადაც 1757 წელს სოლომონ პირველმა თურქთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი გაანადგურა.

ტყიბულის რაიონში სხვადასხვა არალითონური მადნეულის საბადოები არსებობს. აქ მოიპოვება ქვანახშირი (ტყიბული, გელათი), მარმარილო (გელათი), გიშერი (ძიროვანი, კურსები, გელათი), ბარიტი (კიროვი), ტეშენიტი—გრანიტი (კურსები), ოზოკერიტი—მთის ცვილი (ძმუისი), ცეცხლგამძლე თიხა (ჯვარისა) და საშენი კირქვები.

სასოფლო-სამეურნეო კულტურებიდან ოკრიბაში მოჰყავთ ჩაი, სიმინდი, ლობიო და პურეული. წინათ დიდი რაოდენობით თესავდნენ ღომს. მეხილეობა და მევენახეობა ფართოდ არის განვითარებული.

ეს შრომა ოკრიბელთა მეტყველების ლექსიკურ მასალას შეიცავს. მასში შეტანილია ტექნიკური თუ სხვა ხასიათის ტერმინები სოფლის მეურნეობის, ხელოსნობისა და საოჯახო საქმიანობის სხვადასხვა დარგიდან.

ცოცხალი ხალხური მეტყველება სალიტერატურო ენას ასაზრდოებს, მის ლექსიკურ შემადგენლობას ამდიდრებს. აქ წარმოდგენილი ბევრი იმერული სიტყვა მხატვრულ და სამეცნიერო ლიტერატურაში შესაძლებელია დამკვიდრდეს.

ოკრიბულ ლექსიკონში მოთავსებულია 327 სიტყვა. ამ მასალის ძირითადი ნაწილი უცნობია და პირველად შედის ქართულ ლექსიკოგრაფიაში.

ლექსიკონში შევიტანეთ ქვემოლეჩხუმური (კლდედაღმართული) ლექსიკის ნიმუშებიც. კერძოდ, ის მასალა, რომელიც ოკრიბის ჩრდილოეთით მოსაზღვრე სოფლებში (დერჩი, დღნორისა, საჩხეური, ჭაშლეთი, ლეხიდრისთავი) შევკრიბეთ.

ლექსიკონში თითოეული სიტყვა მოცემულია მხოლოობითი რიცხვის სახელობით ბრუნვაში. ლექსიკურ ერთეულად მივიჩნიეთ სახელის ფუძე ან ზმნის საწყისი. ზმნის პირიანი ფორმა (მესამე პირი აწმყოს ნაკვთისა) აღებულია იმ შემთხვევაში, როცა საწყისის აღდგენა არ ხერხდება.

მოგვყავს ძირითადი და წარმოქმნილი სიტყვებიც. კერძოდ, სახელთან — მისგან ნაწარმოები ზმნა და, პირუკუ, ნაწარმოებ ზმნასთან — სახელი. მასდარს მიმღეობაც ახლავს. ლექსიკონში ზოგჯერ არ ჩანს წარმოქმნილი სიტყვის ფუძე, რადგან იგი ცოცხალ სალაპარაკო

ენაში არ იხმარება. წარმოდგენილი არის სიტყვის გადატანითი მნიშვნელობაც.

ომონიმები ცალკე ერთეულებს ქმნიან. თითოეულს წინ სათანადო ციფრი უზის.

რთულმნიშვნელოვან სიტყვასთან გამოიყოფა რამდენიმე მნიშვნელობა. თუ განსხვავება თვალსაჩინოა, თითოეულს აგრეთვე ცალკე ციფრი უზის.

ახსნა-განმარტებებს, წესისამებრ, ვადასტურებთ ფრაზეოლოგიური მასალით — ხალხური მეტყველებიდან შერჩეული წინადადებებით.

სიტყვები შედარებულია ქართულ ლექსიკოგრაფიულ წყაროებთან. თუ სიტყვა რომელიმე იმერულ ლექსიკონში იმავე მნიშვნელობით გვხვდება, იგი აქ არ შეგვაქვს. ზოგიერთი ასეთი სიტყვა მოკლედ ავხსენით ფრჩხილებში, როცა ის სხვა სიტყვის განმარტების დროს გამოვიყენეთ. ხოლო, თუ ასეთივე სიტყვა სხვა (არაიმერულ) დიალექტურ ლექსიკონში არსებობს, მაშინ განმარტებას ნ. (ნახე) უწერია. შდრ. (შეადარე) კი განსხვავებულ მნიშვნელობას გამოხატავს და მით ყველა ლექსიკონს ვიმოწმებთ. თუ სიტყვები შინაარსით სრულიად დაშორებულია ერთმანეთისაგან, მაშინ სხვა ლექსიკონზე აღარ ვუთითებთ.

შემოკლებანი

ალავ. — მ. ალავიძე, ლეჩხუმური ლექსიკონი, პროფ. ვ. ბერიძის რედაქციით, თბილისი 1938.

ალავ. ეთნ. — მ. ალავიძე, ლეჩხუმური ზეპირსიტყვაობა: ეთნოგრაფიული ნარკვევი (გვ. 85—132), თბილისი 1951.

ბერ. — ვ. ბერიძე, სიტყვის-კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, С.-Пт6. 1912.

განმარტებითი ლექსიკონი — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი — ტ. I (ა—ბ), რედაქტორი პროფ. არნ. ჩიქობავა, 1950; ტ. II (გ), რედაქტორი პროფ. გ. წერეთელი, 1951.

გვეტ. — რაჟდენ გვეტაძე, პროზა, თბილისი 1946; ცხოვრება იწყება თავიდან, თბილისი 1949.

ერისთ. — რაფიელ ერისთავი, მოკლე ქართულ - რუსულ - ლათინური ლექსიკონი, Тифлис 1884.

ვაჟა — ვაჟა-ფშაველა, ლექსები და პოემები, ა. აბაშელისა და ა. შანიძის რედაქციით, თბილისი — I, 1946; II, 1950; III, 1930; IV, 1932. ოთხივე ტომს ცალ-ცალკე დართული აქვს ა. შანიძის მიერ შედგენილი ლექსიკონი.

იმნ. — ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია. ტ. I, გამოსცა, ტაბულები და ლექსიკონი დაურთო ი. იმნაიშვილმა, ა. შანიძის რედაქციით, თბილისი 1949.

კირ. — კირიონი, სალექსიკონო მასალა: ძველი საქართველო, ტ. II, განყ. III (გვ. 1—27), ტფილისი 1913.

მაყ. — ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, პროფ. ი. ლომოურის რედაქციით, თბილისი 1949.

ნინოშ. — ეგნატე ნინოშვილი, მოთხრობები, ს. ხუნდაძის რედაქციით, თბილისი — I, 1932; II, 1933. ორივე ტომს დართული აქვს თ. კიკვაძის მიერ შედგენილი ლექსიკონი.

ჟღ. — სერგი ჟღენტი, გურული კილო, ტფილისი 1936.

საბა — სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. იოსებ ყიფშიძისა და პროფ. აკაკი შანიძის რედაქციით, ტფილისი 1928.

სახ. — თედო სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, ტ. I (ა—ლ), შ. ძიძიგურის რედაქციით, თბილისი 1950.

ყაზბ. — ალექსანდრე ყაზბეგი, თხზულებანი, II, თბილისი 1948. ტომს დართული აქვს შ. ძიძიგურის მიერ შედგენილი ლექსიკონი.

შან. სინტაქსი — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწილი II, სინტაქსი, თბილისი 1949. დართული აქვს ივ. გიგინეიშვილის მიერ შედგენილი ლექსიკონი.

შან. ჯევს. — ბესარიონ გაბუური, ჯევსურული მასალები, პროფ. აკაკი შანიძის რედაქციით. ამ მასალათა ლექსიკონი შედგენილია ა. შანიძის მიერ: ქართული სახელმწიფო საზოგადოების წელიწდეული, I—II, თბილისი 1925.

შარაშ. — გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი, პროფ. ვ. ბერიძის რედაქციით, თბილისი 1938.

ჩიქ. — მ. ჩიქოვანი, ლეჩხუმური ლექსიკონი, თბილისი 1941.

ჩუბ. — დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, С.-Птб. 1887.

წერ. — ბ. წერეთელი, ზემოიმერული ლექსიკონი, პროფ. ვ. ბერიძის რედაქციით, თბილისი 1938.

ჰყ. — ილია ჰყონია, სიტყვის-კონა, С.-Птб. 1910.

ჯავახ. II — ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი მეორე, თბილისი 1934.

ჯანაშ. — მ. ჯანაშვილი. საინგილო. შრომას დართული აქვს ლექსიკონი: ძველი საქართველო, ტ. II, განყ. IV (გვ. 238—274), ტფილისი 1913.

ჯაჯ. — პ. ჯაჯანიძე, მასალები იმერული ლექსიკონისათვის, ჭუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, IX, 1949; X, 1950-1951.

გადატ. — გადატანითი მნიშვნელობით.

ლეჩხ. — ლეჩხუმური.

მეგრ. — მეგრული.

ნ. — ნახე.

ოკრ. — ოკრიბული.

სვან. — სვანური.

შდრ. — შეადარე.

აბილაური საზამთრო ვაშლი, მრგვალი, ნახევრად თეთრი და ნახევრად მოწითალო (ნ. განმარტებითი ლექსიკონი, ჰყ., ალავ.).

აბლაბედა აბდალი, უგუნური, სულელი. „აბლაბედას ნათქვამს ვინ დეიჯერეფს?“.

1. ადმათ ალალ ბედზე. „ადმათ გევისროლე თოფი და მოვკალი მგელი“.

2. ადმათ გათლა თვალდათვალ, უსწორმასწოროდ (ულაროდ და უშალაშინოდ) გათლა ძელისა ცულით. „ხეები ადმათ გავთალე“; აქედან: ადმათ გათლილი უსწორმასწოროდ გათლილი. „როკვი (ნ.) ადმათ გათლილ ძელს ჰქვია“.

აგვარალება თივისა (ნაწარმოებია სიტყვისაგან გვარალი ნ. განმარტებითი ლექსიკონი) თავით დაკიდება თივისა დაზვინვის დროს, რომ წვიმამ არ დაალპოს.

ალავერდობა რელიგიური დღესასწაული იყო. იხდიდნენ აღდგომის შემდეგ მესამე კვირას სოფ. ჯონიაში.

ალათი ფიცარი, რომელიც ორ ბაზოს (კარის ან ფანჯრის დარაბის გულფიცრის ჩარჩოს) აერთებს.

ალეხი მარხილის ან თავკავის დედოებზე (ნ.) ამოსაკრავი დახვეული ღვლეჭი. ალეხამოკრული დედოები თოვლიან გზაზე ზედმეტად არ დაცურდება; ჯარჯის (ნ.) შესაკონი ღვლეჭი: (ა)ლაჯა — ფრჩხილების (კავებიანი ხელნების) თითებზე, მარხილის კოჭებზე (ბოძებზე) ან ურმის სარმანებზე (ზედსადგრის სარებზე) დაცმული ღვლეჭი (შდრ. კირ. ალახი, ჯაჯ. ალახა).

ამოგვარგნა ფქვილში, მტვერში, ნაცარში ან თოვლში ამოგანგვლა. გახვევა. „ახლაც ბავშვივით მინდა გავგორდე იმ თეთრ მინდორზე და თოვლის ფიფქში ამოვიგვარგნო“ (გვეტ. ლაშ. საღ. 241).

ანგეში ლამაზი და წარმოსადეგი. „ანგეში ბიჭი იყო“ (გვეტ. ბოთე 382).

არგაცოცხა (ლეჩხ.) დათვის კანაფი — მაღალი ბალახი, რომელსაც ცოცხად — ოთახის იატაკის დასახვეტად ხმარობენ (შდრ. განმარტებითი ლექსიკონი, ალავ. ეთნ. 98).

ასამჩატებელა ასაწეველა (ნ. წერ.). ვირიხიდას (წისქვილის ბორბლის საძირკვლის) ასაწევ-დასაწევი ბერკეტი. ქვას უმატებს ან უკლებს მოძრაობას. ქვა მსხვილად ან წმინდად ფქვავს.

ბაგუნი ხის იარაღის რტყმევა რაიმე საგანზე, დაბეგვა რისამე: ხელკავით განუწყვეტელი ცეხვა ღომის თავთავისა; ტუკით (კეტით) ფშვნა სიმინდისა და ლობიოსი; გადატ. ადამიანის, პირუტყვის

დაუზოგავად დაბეგვა, ბაგაბუგით ცემა. „ქურდს სული ძლივა შერჩა, ზურგზე იმდენი მუშტები უბაგუნეს“. „ღორს მიზდევდა და გვერდებზე ქვეფს უბაგუნებდა“ (შდრ. განმარტებითი ლექსიკონი; ბერ. ბაყუნი, ალავ. ეთნ. 105).

ბალტყემალა მსხვილმარცვლოვანი და გემრიელი ტყემალი.

ბალქაში ღომის საცეხველი. მას ღელეში აგებდნენ და წყლით ამუშაებდნენ (ჩამური გურულად; შდრ. მეგრ. ბარქაშია).

ბამბაეკალა (ლეჩხ.) ცეცხლეკალა.

ბარეულა ადგილობრივი ჯიშის ვაშლი, საშემოდგომო, მრგვალი, მოწითალო ფერისა. ბარეული არის სოფ. გურნის სააგარაკო მთა.

ბატატია რძიანა (ბალახი).

ბებრუშა საშემოდგომო მსხლის ჯიში, მრგვალი, მოშავო ფერისა.

ბერა წბერის (ჭაჭის საწნეხი მანქანის) ნაწილი. მსხვილი მუხის, ნიგვზის ან წაბლის ბოძალი ხე. მასში დირესა (ნ. ორპოჭიკა) და დანდლებს (ხის კუნძებს) გაუყრიდნენ და მიამაგრებდნენ (ნ. ბერ. ხარხიმი; შდრ. სახ. ბერაში გაატარეს).

ბერწელი ნიგვზის წენგო, ნედლი გარეკანი, რომლის წვენით შალეულს წაბლისფრად ღებავდნენ.

ბესა კარტოფილის შესანახი მშრალი ადგილი მიწაში.

ბელურა წნელი, რითაც სახურავის კუთხეში ისლი იყო დამაგრებული.

ბიბო, ბობნიკა ადამიანი უდოვლათო, ხელგამოუვალი ადამიანი, ვის მუშაობასაც ბარაქა არ აქვს; ბოთე, უგუნური.

ბიმბილი 1. ყურძნის მარცვალი (ნ. ჯავახ. II ბიბილი 440, ალავ.); 2. უხრტილო ცხიმოვანი ბრტყელი ან მრგვალი ჩამონაზარდი ზოგიერთი ფრინველის (ქათამი, ინდოური...) ქვედა ყბაზე (შდრ. ფოცოცი); 3. ადამიანის ყურის ბიბილო (ნ. ჩიქ.; სვან. ბინბილ).

ბოთე ხე მყრალი კოპიტი, ხემყრალი.

ბოლდომი მოწითალო გრძელი თევზი, თავი და ტანი ერთნაირი ზომის (სიმსხოს მხრივ) აქვს. მდ. წყალწითელაში ცხოვრობს.

ბორძღალო ჯოჯღი (ნ.), მსხვილი ტოტის განაყოფი, წვრილი ტოტი დედა ტოტზე (ნ. განმარტებითი ლექსიკონი, საბა ბორჯღღლი, ჩუბ. ბორჯღღლედი ხე. ვაჟა II ბორჯღი).

ბორძღანა, ბორძღი, ბურძღალი კლერტი, მარცვლებგაცლილი მტევანი (ნ. განმარტებითი ლექსიკონი, საბა, ჯავახ. II, 303, ბურძღენი, ჭყ. გუძუნძღო, წერ. ბონძღალი, შარაშ. ბუნძღალაი, ალავ. ეთნ. ბორძღვი 108, ჯაჯ. ბუძუნღო).

ბოყოლა უშნო ფართო სასმისი.

ბოცორა გადატ. Альбинос.

ბუგნა მადიანად ჭამა ნამცხვრისა. „ბინულთან იჯდა და ხაჭაპურს ბუგნიდა“.

ბუვი ბუ (ნ. საბა, ჩუბ., ვაჟა I, შან. სინტაქსი; ჯანაშვ. ბუე).

ბურძღალი იგივეა, რაც ბორძღანა (ნ.).

გადამცვივანე (ლეჩხ.) ხაზი, სადაც ვაკე ადგილი თავდება და ფერდი იწყება. „გადამცვივანეს გადმოლმა ვერ გადმოვდიოდით“.

გაკირცხული განკიცხული. „ქურდი იყო და ყველას გაკირცხული ხავდა“.

წინათ გაკირცხულს უწოდებდნენ კირცხებულ ადამიანს — გასაყიდ მონას, რომელსაც მუხლებამდე კირი ჰქონდა მოცხებული (ნ. ყაზბ. II გაკირცხვლა).

გაკუჩუნდურება (ნაწარმოებია სიტყვისაგან კუჩუნდური ნ.) განაწყენება მცირე საყვედურზე, გაკაპრიზება. „თავისას არ იშლის, თუ რამე უთხარი, გაკუჩუნდურდება ან გაგებუტება“. აქედან: გაკუჩუნდურებული განაწყენებული, განაკაპრიზევი.

გამავლობა (ნაწარმოებია სიტყვისაგან გამავალი) გამავლიანობა, ნდობა, პატივისცემა. „სახელვანი და გულკეთილი კაცია, ბევრს შველის და ეხმარება. თელ ქალაქში, თითქოს თავისი ოჯახი იყოს, დიდი და პატარა იცნოფს და აფასეფს, ყველგან დიდი გამავლობა აქ“. აქედან: გამავლიანი გამავალი სიტყვის მქონე, ნდობამოსილი, პატივცემული. „გამავლიანი კარისკაცი იყო: მეფე მის ერთგულებასა და ნიჭს ხედავდა, დიდ საქმეს უმისოთ არ გადაწყვეტავდა“; გამავლობა სიტყვისა სიტყვის ფასი, ღირებულება. „ღირსება დაკარქა, ახლა ვის მიაჩნია რამეთ, აწი მის სიტყვას რაღა გამავლობა ექნება?!“ (შდრ. განმარტებითი ლექსიკონი).

გამონიჭებული (ლეჩხ.) ყოველგვარ საქმიანობაში უვარგისი, ადამიანი, ვისაც რაიმე ინტერესი — მიზანი არ გააჩნია და უაზროდ მოქმედებს. „სახელვანი დედ-მამა ხავდა, მარა თვითონ იყო გამონიჭებული“.

გარა თავსაბეჭავი (ნ.), წნელის ან ტკეჩის გრეხილი; ქვაბის ყელ-პირი (შდრ. ალავ. ეთნ. გვარა 102, 122, საბა, ჩუბ. გვარლი, განმარტებითი ლექსიკონი, ალავ. გვარალი).

გაწკიპარტება (ნაწარმოებია სიტყვისაგან წკიპარტი ნ.) წკიპარტებზე ტყავის გადაჭიმვა გასახმობად. „ძროხა დავკალით და იმავე დღეს ტყავიც გავაწკიპარტეთ“.

6. ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, X, 1950—1951.

გელაზი დოლაბი „წისქვილის ღია კარიდან ისმოდა გელაზების ხმაური“ (გვეტ. ჰიაკ. 225; შდრ. განმარტებითი ლექსიკონი, საბა, ჩუბ.).

გელისკუდა ღომი მგლისკუდა ღომი. კუდაღომისაგან (ნ. ალავ. ეთნ. 96) განსხვავდებოდა.

გვიმბრა, გუმბრა გვიმრა; გადატ. დიდი ხორკლიანი მეჭეჭი.

გიგაბა (ლეჩხ.) წილის მსგავსი მკბენარი. ბავშვს წამწამების ძირში უჩნდება (შდრ. ბერ. ქიქაბა).

გოდორი (ლეჩხ.) ბზის ან ხილის საზიდი (ცილინდრისებური), რომელსაც წნელით წნავენ; ოკრიბულ გოდორს ტკეჩისაგან ამზადებენ. შიგ ათავსებენ ყურძენს, სიმინდს, ლობიოს, კვახსა და ხახვს. ორ ფუთამდე მარცვლეული ჩადის (შდრ. განმარტებითი ლექსიკონი, საბა, ჩუბ., ვაჟა II, მენთ.).

გოსინა თიხის ან ფაიფურის სასმისი. სამი ჩაის ჭიქა ჩადის.

გულა წისქვილის ბორბლის ღერძის თავზე წამოცმული მოკლე რკინა, რომელზედაც მბრუნავი ქვა ეყრდნობა (ნ. ალავ. ეთნ. ცულა 103).

გულაღერძა წისქვილის ბორბლის ღერძის თავი გულათურთ (ნ.; შდრ. მცურაღერძა).

გუმბრა ნ. გვიმბრა.

დაბდგვნა ღომის ან ლობიოს დაფშვნა. აქედან: დაბდგვნილი დაფშვნილი.

დაბჟალვა, დაპლაჰვა სიმწიფისაგან დახეთქვა ლეღვის ნაყოფისა. აქედან: დაბჟალული, დაპლაჰული სიმწიფით დახეთქილი (პირღია).

დაკაჰვრა ნიგვზის გაჩენჩვა. „ნიგოზი მოვხალეთ და დავკაჰრეთ“.

დაკუთნა (ლეჩხ.) იგივეა, რაც დაკურტაზება (ნ.).

დაკურტაზება (ლეჩხ.) ამოკაპიწება, დაკუთნა (ნ.). დაკარწახება — შარვლის ტოტების მუხლებამდის ამოკეცვა, დაკოტავება; სახელოების გადაკეცვა — ხელთ გაშიშვლება იდაყვამდის; ტანსაცმლის (ჩოხა-ახალუხი, კაბა) ამოკალთვა — სარტყელში ბოლოების ჩატანება. ფეხებს დაიკურტაზებს მეთევზე, ყურძნის მწნეხავი, მეთოხარი (ნ.)..., ხელებს — ყასაბი, მზარეული, მრეცხავი, მცხობელი, თიხის მოხელე... აქედან: დაკურტაზებული დაკარწახებული; სახელოებამოკეცილი (ხელთშიშველი); ჩოხაამოკალთული, კაბაამოკალთული (შდრ. მეგრ. კარკაზუა).

დანავაშლი საზამთრო ვაშლი, მოგრძო, თეთრი ფერისა.

დაპლაჭვა იგივეა, რაც დაბჭყალვა (ნ.).

დარანი 1. ბეჩო (ნ. ბერ.), ღრუ ადგილი მდინარეში, სადაც კიბო ან თევზი იმალება (ნ. კირ., მენთ.; შდრ. საბა, ჩუბ., ვაჟა IV, შან. კევს.; წერ. თარანი, სახ. დორანში ჩავარდნა).

2. მიწური, სანგარი. „მესანგრე პარტიზანთა ჯგუფს სასწრაფოდ გაეთხარა ორი ახალი დარანი“ (გვეტ. ცხ. იწყ. 88).

დალუჯება (ნაწარმოებია სიტყვისაგან ღუჯე ნ.) ძლიერ დამწიფება მსხლისა. „გულაბი დაღუჯდა“. აქედან: დაღუჯებული დამწიფებული.

დაწიგვრა ვაზის ან ხის გადაწვენა. „ვაზი დავწიგრე“ (ნ. ნაწიგარი; ნ. ჯავახ. II გადაწინდვა 314).

დაჯედა ტკეჩით მოწნული პატარა გოდორი.

დაჯენა დაცხობა. „ჰადების დაჯენა მაინც მომესწრო, საცაა კეცები ჩამიცვივდება!“ (გვეტ. ჭიაკ. 105).

დედაბერა მოშავო ფერის სოკოა, მსუქანი. არ იჭმება.

1. დედო მარხილის ან თავკავის ფეხი. მარხილს აქვს ორი დედო. თითოეულ დედოში გაყრილია ერთი ფრჩხილის თითი და ჩასობილია ორი კოჭა. დედოზე ზოგჯერ შემოკრულია ორი ალეხი (ნ.); მოძრავი ხე, რომელზედაც ჭიშკარი ჰკიდია. ჭიშკრის დედო უძრავ ბოძზე არის მიმაგრებული.

2. დედო დედო მაწვნისა მაწვნის შესადედებელი (ნ. მენთ. დედა); დედო პურისა პურის საფუარი (ცომი).

დიფანი ფარდული ოდის აივნის ქვეშ (შდრ. დერეფანი).

დოფხოჭი ნამცხვარი. ღომის, ფეტვის ან სოიას ფქვილს დიდ ქოთანში ცხელ წყალში გათქვეფდნენ, შიგ საფუარს ჩაურთავდნენ, ცხელ კეცზე დაასხამდნენ, თავზე მეორე კეცს დაახურავდნენ. ცეცხლთან შორიახლო დადგამდნენ. ნამცხვარი ტაფამწვარივით აფუვდებოდა, ხელში იკეცებოდა და ცხლად ჭამდნენ (შდრ. საბა, ჩუბ. დოფხოჯი).

დოყი დუყი. ჩაის ან ვაზის ყლორტი (შდრ. საბა, ჩუბ.; ჯანაშვ. დოყ, ბერ. დოყო).

დრიაში შარახვეტია, უსაქმოდ მოსიარულე გათხოული ქალი. „შინ დახვთი ვინმეს, ოჯახს მიხედე, რამე აკეთე, ნუ ხარ დრიაში!“ (შდრ. შარაშ.).

დღიასველი ეწოდებოდა დღეობას, როცა ხალხურ წეს-ჩვეულებებს ასრულებდნენ. მაგალითად, კალანდა, ახალწელიწადი, ტეხისობა, ქაშვეთობა, მოწამეთობა, ალავერდობა, კოხინჯრობა და მისთანანი (ნ. ალავ. დიახწველი).

ელავი ქაშაპისებური თევზი. ცისფერზოლებიანი. აქვს მსხვილი მუცელი და ვიწრო ტუჩები. მისი ქვედა ყბა დანას ჰგავს. მდ. წყალწითელაში ცხოვრობს.

ვაშლაბია კომშის ერთ-ერთი საუკეთესო ჯიში.

ვირისბუხნა (ლეჩხ.) ნარის ერთ-ერთი სახე. მის ეკლიან თავთავს ვირი ჭამს, ძირს, რომელიც თეთრ ჭარხალს ჰგავს, — ღორი.

ზემდგური, ზენდგური, საზეითო სარცხელი ყუბარის (ნ.) მაღლიდან გასარეცხი ოფიჯოს (ბლის ქერქის) კონა, გრძელტარიანი (შდრ. ჩასაველი სარცხელი).

ზერდაგი ვაზის ჯიში. აქა-იქ მოიპოვება. თეთრია, ყურძენს მრგვალი მარცვალი და ღია მტევანი აქვს. კარგ ღვინოს იძლევა (ნ. ჯავახ. II 452).

თავხაბეჭავი იგივეა, რაც გარა (ნ.; ნ. მობეჭვა).

თავჩალა სიმინდის უტარო ღერო ან ღომის უმარცვლო ღერო.

თარეხი გასაშრობ აგურთა მწკრივი.

თვალი (ლეჩხ.) გადატ. წყლული (თეთრი სითხე), რომელიც ადამიანს უმთავრესად ხელზე ან ფეხზე უჩნდება.

თოფისხალთა მაჩვის ტყავისაგან დამზადებული ჩანთა, რომელშიც თოფს ათავსებდნენ. თოფისხალთას მაჩვსაც უწოდებენ.

თქაფავაშლი საშემოდგომო ვაშლი, მრგვალი, წყლიანი, წითელგვერდა. .

იბრიყვა ნოყიერ მიწაზე დათესილი სიმინდი მაღალი ტანის გაიზარდა, მაგრამ ტარო არ გამოიღო. „სიმიდმა იბრიყვა, მარტვე ნაგერები (ნ.) ამეიყარა“.

ინათხოვრა (ნაწარმოებია სიტყვისაგან ნათხოვარი) მეზობლის ხარი ინათხოვრა — მეზობელმა ხარი ათხოვა.

იფრიტი აფრაკი (ნ. განმარტებითი ლექსიკონი). გახრილი ფიცარი, რომელიც უნდა დააყარაულონ (ნ. ალავ. ეთნ. 125), რომ გაასწორონ.

იში უღელში შებმულ ხარს, თუ დგას, ნელა მიდის ან ხანდახან ჩერდება, შესძახებენ, რომ გზა განაგრძოს, წინ ჩქარი ნაბიჯით გასწიოს (შდრ. მოიში; ნ. საბა იშ).

კაკვი იგივეა, რაც ღანღვილი (ნ.); კაჩალა (ნ.).

კამათელა ადამიანი, ვისაც ისტერია უელის.

კამური მაღლარის ვაზის ჯიში. არსებობს მისი თეთრი და შავი სახეობა. ყურძენს მოგრძო და ღია მტევანი აქვს, გვიან მწიფდება და დიდხანს ინახება, მაგარ ღვინოს იძლევა (ნ. საბა, ჯავახ. II 432, 438, ქღ., ალავ. ეთნ. 107).

კარაპანი დიფანი (ნ.), ფარდული ოდის აივნის ქვეშ (კისორეთი, ძმუისი); (ლეჩხ.) საბძელი (საჩხეური; შდრ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ.).

კატაპრასა მინდვრის მხალეული, გაზაფხულზე შემოდის (მეგრ. კატაპურასქია).

კაშხალი თხრილი ნაშალ ქვიან მიწაზე, წყლის განათხარი.

კაჩალა კაკვი (ნ.). კედელზე ან ბოძზე მიჭედილი კავი. მასზე ჭურჭლეულს ჰკიდებენ (შდრ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ., ჯ ა ჯ. კაჩა, ბ ე რ. კაჩალო, მ ე ნ თ. კაჩო).

კაცისთავა კისორულა (ნ.), საშემოდგომო მსხვილი მსხალი.

კახაბალი წვრილი ბალი (ადრე შემოდის). არსებობს თეთრი და შავი სახეობა (ნ. ე რ ი ს თ., ჩ ი ქ., ა ლ ა ვ. ეთნ. 119).

კეკო ღომის გასაცეხვი ურო (ხისა), ხელკავი. კ ი კ უ ხელკავის ხმა. შდრ. გამოცანა ხელკავის შესახებ: „ტყეში დავიბადე, ტყეში გავიზარდე, სახლში მოვედი კ ი კ უ დავიძახე“.

კეკულა, ჭუსლა ხის ურო, ქვევრის თავზე აყალო მიწის დასატკეპნი.

კელი/ა ნაკელი (ნ. საკელე ძარი).

კვალიაკვალია სალოკი თითის ტრიალი ხელის გულზე. „ბოჩი პატარა მწყემსს ხელის გულზე დაუყრიდა ტუტას ან სილას და კ ვ ა ლ ი ა კ ვ ა ლ ი ა ს გაუკეთებდა...“ (გ ვ ე ტ. ჰიაკ. 226).

კვარი ვაზის ძირზე ამონაყარი ლერწი. ვადაწვენილ ან გადაუწვენელ კვარს მეორე ხარდანზე ააკრავენ.

კველო კვეჟო (ნ.), ხის ურო — სიმინდის ან ლობიოს დასაფშვენი; ალიზის ან აყალო მიწის დასატკეპნი; მორის გასაპობი; ბზის კვერი. კბილის მოსაძრობად იყენებდნენ (შდრ. ბ ე რ. კვეჟო, მეგრ. კველა).

კვენდღი 1. სახურავზე ჰოკისა და ისლის დასაკრავი დახვეული წნელი. „ფინი ლარტყსა და ისლს კ ვ ე ნ დ ღ ი თ იჭერს“ (ნ. ჭ უ., ქ ღ.); 2. ქვემოიმერულში (მაგ., წყალტუბოს რაიონში) კვენდღი გვარალსაც (ჰურის შესაკონს) ეწოდება.

1. კვეჟო ღომის ჯიში. ღიათაველიანი.

2. კვეჟო ხის ურო, კველო (ნ.). „სიმიდი ჩელტში ჩაეყარე და კ ვ ე ჟ ო თ ი დაეფშვენი“.

კვირთხი შეთქვირებული, სიმწიფეში შესული ხილი.

კინჩხი (ლეჩხ.) თაგეცეცხლას (კრაზანას), თაგვისარას (ნ. ე რ ი ს თ.) ან ღომის ჩალის კონა, რითაც დიდ ქვევრს რეცხავენ. ჩამსვლელს იგი ორივე მუჭში უჭირავს.

კისორულა კაცისთავა (ნ.), საშემოდგომო მსხვილი მსხალი (სოფ. კისორეთიდან გავრცელდა).

კიწანი (ლეჩხ.) მხარი მტევნისა. კიწანზე ექვსი-ათი მარცვალი ასხია.

კლირწი (ლეჩხ.) წირპლი — „თვალის კილოთა და წამწამთა ზედა მომდინარე ან შემხმარი წათხი“ (ჩუბ.). „წამწამებზე კლირწი შეხმობოდა“.

კოთხო 1. მარცვლეულის საწყაო ცაცხვის ხისა, ნახევარი ბათმანი. „მარილით სავსე მომცრო კოთხო გადმოიღო“ (გვეტ. ჰიაკ. 130; შდრ. ჰყ.; ჯაჯ. კორთხულა). 2. თუნუქის ან ცაცხვის ქერქის ჭურჭელი, ტევადობით ერთი გირვანქა, სამინდედ წისქვილში (შდრ. შან. სინტაქსი); 3. გადატ. სასულიერო პირის ერთგვარი თავსახურავი, კუნკულა ბარტყულათურთ. „ესტატემ შავი კოთხო გაისწორა“ (გვეტ. ჰიაკ. 183).

კორვა მარცვლეულის საწყაო ხის ჭურჭელი. ჯამიანა (ნ.), ოთხი გირვანქა (შდრ. ბერ., ალავ. ეთნ. კორუა 111).

კორკოტი (ლეჩხ.) ერთმანეთისაგან დაუშორებლად გარჩეული ნიგვზის ორი ლებანი. ამგვარი ნიგოზი უმთავრესად გასაყიდად მიაქვთ. კორკოტის ყელი წყვილ-წყვილი ლებნები ასხმული ძაფზე წრის ფორმით.

კორომი, ფექო ოკრიბული საბძელი: წნელით მოწნული ნაგებობა, რომლის სიგრძე-სიგანე და სიმაღლე 2-3 მეტრს არ აღემატება. მის თავზე ჰოკებს გააწყობენ და თივის ან სიმინდის ჩალის ზვინს დადგამენ. შიგ ზამთრისათვის ინახავენ ნაქურჩალას, ლობიოს ჩენჩს, კვახსა და ხილს. კორომი წინათ ისლით იყო დახურული.

კოძუა ღომის ჯიში, ყვითელი, მჟიდროთაველიანი (ნ. ალავ. ეთნ. 96).

კოხის ქვა შავი ქვა გრანიტის ჯიშისა. კოხის ლოდები მოიპოვება უმთავრესად მდინარის კალაპოტში. საშენი მასალაა, მას ტეხენ, არ ითლება (შდრ. ერისთ., საბა, ჩუბ., მენთ.).

კუკნა კეკელა (სარეკელა). ხის პატარა კავი, რომელიც ერთი თავით ლაკორაზე (ხვიმირას ღარზე) არის მიმაგრებული, მეორე თავით კი წისქვილის მბრუნავ ქვას ეყრდნობა. კუკნა ამოძრაებს ლაკორას, საიდანაც მარცვლები ცვივა გუგულაში (ნ. განმარტებითი ლექსიკონი, გუგულა).

კუნტიკარი წნელის პატარა ჩიშკარი, სადაც ერთი ადამიანი ან პირუტყვი გადავა თავისუფლად.

კუნწულა კუნწი ბლისა ან ტყემლისა ოთხი-ხუთი მარცვლითურთ. „მტერდს ფრენით მიაქვს იმასთან კუნწულა მწიფე ბალისა“ (ცახელი, რჩეული, 1950, გვ. 163).

კუნჰულია გიდელი. ფსკერს კუნჰულო ეწოდება.

კურტანი (ლეჩხ.) ქვის კედელი მდინარის კლდოვან ნაპირზე. ხიდს კურტნებზე დააშენებენ.

კურხვლა ძლიერი სიცივე, ყინვა, ქარბუქი (ნ. ალავ. კრუხვა).

კულნუტი ბეჭებში მოხრილი ადამიანი, ნიადაგ მიწას რომ დასცქერის და გულში ბოროტება უძევს. გაიძვერა, გარეწარი. „კულნუტი კულნუტს შეიყვარეფს, კეთილ რჩევას არც მეისმენს, ძმასაც არ დეინდოფს“.

კუჩუნდური კაპრიზი, ჟინი. კუჩუნდუროფს კაპრიზობს, ჟინიანობს. კუჩუნდურა თავისნება ადამიანი, კაპრიზიანი, კაპარჩინა (ნ. გაკუჩუნდურება).

ლაბზი ლაფში. ლაბზიანი ლაფშიანი.

ლატარო ჰრელი ფერი პირუტყვისა, ფრინველისა ან ქსოვილისა.

ლაფშები (ლეჩხ.) გადატ. ქვევრის ბრტყელი თავი, შემოკარნიზებული პირი. მასზე სარქველს დააფარებენ.

ლაჰაფი (ლეჩხ.) ჭაობიანი ადგილი. „ამ ლაჰაფს დიდი გვალვაც ვერ აშროფს“.

ლომი რკინისკეტი. სარს მიწაში ლომის საშუალებით ჩაასობენ.

მათხოჯი უსანდომო, უიერო, ულამაზო ადამიანი. „ასე სწრაფად რა გზრდის, შე მათხოჯო!“ (გვეტ. ჭიაკ. 157).

მაინდი (ლეჩხ.) მარაგი. „დღეობისათვინ მაინდათ ინახავდენ ზანდურის პურს“ (შდრ. ჭყ.).

მაისა თეთრი ყურძნის ჯიში იყო, მაისში ყვავილობდა, რთველი არ წვავდა, სუსტი ღვინო იცოდა. მთაგორიან სოფლებში (მაგ., ცუცხვათი) მოჰყავდათ (ნ. ჯავახ. II 438).

მანა სარჭობი საზოგადოდ, მანჭო. პატარა სარი (შდრ. ალავ. ეთნ. სარმანა 99; ნ. საბა, ჩუბ., ჯავახ. II 321, იმნ.).

მანიკიანი ღვინის საწყაო ჭურჭელი თიხისა, დოქი. ორ ლიტრს იტევს (ნ. ჩუბ., ალავ. ეთნ. მანერკა 112).

მანძილო ხმელი წიფლის სოკო. მაისში შემოდის.

მაური თეთრი ყურძნის ჯიში იყო. მტევანი გრძელი და ღია ჰქონდა, ხეებზე ხარობდა, მაგარ ღვინოს იძლეოდა (ნ. ჯავახ. II 452, ალავ. ეთნ. 107).

მაღლური მაღლარი. ტალავერზე ან ცოცხალ ხეებზე გაშენებული ვენახი.

მაჩანოური (ლეჩხ.) შავი ყურძნის ჯიში (დღნორისა). მსხვილმარცვლოვანი, დიდმტევნიანი, სუსტი ღვინო აქვს. გადაუბრუნებელ მიწაზედაც ხარობს, მყნობა არ ესაჭიროება, ორჯერ წამლობენ (შდრ. ჯავახ. II მაჭანაური 432).

მაჯაგი ჯანსაღი ადამიანი. ამტანი, გამძლე.

მეთოხარი მუშა, ვინც ყანას თოხნის.

მეკვამური კომლის წევრი. „იმ სოფელში ორასი მეკვამური ცხოვროფს“.

მერე 1. მერეტაფას ნაწილი, ქვაბი ქვისა. მერეტაფა შედგებოდა ორი ნაწილისაგან: ტაფა ფართო ქვა ან ურთხლის ფიცარი გულზე წრეულარითურთ. ტაფაზე ჰაჰას წნეხავდნენ. ნაჭაჩი მერეში ჩადიოდა. მერე საშუალოდ ერთ საპალნე ღვინოს იტევდა. მერეტაფა ხშირად ერთი მთლიანი ქვისაგან ჰქონდათ გამოთლილი. მერე ზოგჯერ ცალკე ჭურჭელი იყო; 2. ბალქაშის (ნ.) როფი, რომელიც დროგამოშვებით წყლით ივსებოდა და იცლებოდა; 3. ქვის კოდი, საიდანაც წყარო გადმოდის (შდრ. ბერ. ხარხიმი, ალავ. ეთნ. 108).

მეცამეტე გოჯი ეს ხატოვანი გამოთქმა ქართული ენის დასავლურ კილოებში ხშირად იხმარება. მას გადატანითი მნიშვნელობით შედარებისათვის მიმართავენ, ამბობენ იმ ადამიანზე, ვინც მეტიჩრობს, სხვის საქმეში უადგილოდ ჩაერევა ხოლმე. „თავი შეიკავე, მეცამეტე გოჭივით ნუ იქცევი!“, „არევინ ეკითხებოდა რამეს, მარა მეცამეტე გოჭივით გამოხტა“.

ეს გამოთქმა პირდაპირი მნიშვნელობით შემდეგს გულისხმობს: დედალორს ჩვეულებრივ თორმეტი ძუძუ აქვს. საუკეთესო ჯიშის ღორი თექვსმეტ-თვრამეტ გოჯს შობს. იგი თორმეტს ასაზრდოებს, დანარჩენს ხელოვნურად ჰკვებავენ. მეცამეტე გოჯი იშვიათად იბადება. როცა დედასთან იზრდება, იგი იბრძვის, სხვას ართმევს ძუძუს.

მიღვიძლება ძლიერ დამწიფება ბლისა. „მბალი თლა მიღვიძლა“. აქედან: მიღვიძლებული დამწიფებული.

მობეჭვა წნულის თავზე გრეხილის შემოვლება. წნელით მობეჭავენ წნელის წნულს: ძარს, ჩელტს, ლასტს, ხვირს, ხოლო ტკეჩით — ტკეჩისას: კალათს, გოდორს (ნ.), საბელურას (ნ.), დაჯედას (ნ.)... აქედან: მობეჭილი გრეხილიანი წნული (ნ. თავსაბეჭავი; შდრ. საბა ბეჭ, ჩუბ. ბეჭვა; ნ. ალავ. ეთნ. გადაბეჭვა 102).

მოიში ხვნის დროს უღელში შებმულ ხარს შესძახებენ, რომ შემობრუნდეს, სხვა მიმართულებით წავიდეს (შდრ. იში).

მოკვირვება მიხედვა, პატრონობა. „საქონელი მოვიკვირვე“.

მონაკილე (ნაწარმოებია სიტყვისაგან ნაკილი ნ.) მოსაზღვრე.

მოფურჩხვა, მოცეცება მძიმე სენის (ცხელების) უეცრად შეყრა. წყალში იბანავა ან მინდორში ეძინა და აჰყვა. სნეული დაეტეხილია ტანში, აციებს. შემდეგ სიცხეს მისცემს, პირზე გამოყრის და ბოდავს. უქმური მომეფურჩხაო, — იტყოდნენ. აქედან: მოფურჩხული, მოცეცებული მძიმედ დასნეულებული.

მოქვანთრიშება (ნაწარმოებია სიტყვისაგან ქვანთრიში ნ.) ადამიანისადმი მოალერსება ძაღლისა. „ძაღლი მომექვანთრიშა“.

მოცეცება იგივეა, რაც მოფურჩხვა (ნ.).

მოცოროზი გადატ. ცუდი. „მოცოროზი ამინდია“ (გვეტ. ლაშ. საღ. 333); გლახაკი. „გამოიღე ხელი, იმუშავე, ნუ ხარ მოცოროზი!“ (პირდაპირი მნიშვნელობა ნ. ერისთ., საბა, ჩუბ., ალავ. ეთნ. 96).

მურკი მხალი. კანაფა მხლის ამონაყარი. გაზაფხულზე შემოდის (შდრ. ჯაჯ.).

მუჰოული ახალ ნამკალში დარჩენილ პურეულის თავთავებს ბავშვები ღერ-ღერად აკრეფენ ხოლმე. ანაკრეფს, მარცხენა ხელის გულში რაც ჩაეტევა, შეკრავენ და დაგრეხენ. ამგვარ კონას მუჰოული ეწოდება (შდრ. მენთ. მუჰეული).

მუხურულა ადგილობრივი ვაშლის ჯიში. საშემოდგომოა, მოწითალო ფერისა, მრგვალი, საშუალო ზომისა. კარგად ინახება (სოფ. მუხურადან გავრცელდა).

მშვილდკოდალა საბავშვო მშვილდ-ისარი. „მშვილდკოდალათი ჩიტებს დასდევდა“ (გვეტ. ჰიაკ. 107; ნ. საბა ყოდალი).

მცურაღერძა მცურავი ღერძი, წისქვილის ბორბლის ფეხი (შდრ. გულაღერძა).

მძერა (ლეჩხ.) ერთ-ერთი ყვითელი დიდი სოკო.

მწდალი დამწდარი, გამშრალი. მწდალი გზა გამშრალი, უტალახო გზა. „ბანდალით მომავალი მგზავრი ტალახში კოჭებამდე ჩაეფლო. დიდხანს ბორძიკის შემდეგ მწდალზე გამოსულმა მთვარეს შეხედა და აღიღინდა“ (გვეტ. ჰიაკ. 204).

მჭვე (ლეჩხ.) მდარე ხარისხის პურეული იყო. მარცვალს შინაურ ფრინველებს აჭმევდნენ, ჩალისაგან კი სახურავად კოროლს (ნ. ალავ. ეთნ. 90) ამზადებდნენ (დღნორისა).

ნაგერა ბიჭა-ბიჭა (ნ. განმარტებითი ლექსიკონი): ვაზის საკვირტე მუხლში ამონაყარი ზედმეტი ყლორტი; სიმინდის უვარგისი ღეროები — დედა ღეროს ძირთან ამოსული; ღომის ამგვარივე ამონაყარი ან უნაყოფო თავთავი, ვერულა (ველური ღომი).

ნაგერას მოაშორებენ ვაზს გამორჩევის (ფოთოლ-ყლორტების გამორჩევის) დროს, სიმინდსა და ღომს კი — მოროდზე (შდრ. საბა, ჩუბ., მენთ. ნაგერალი, შარაშ.).

ნაგორი ღომის ყანის გასათოხნი ნაწილი.

ნაკილი სასაზღვრე ხაზი. „ნაკილზე გაეღობე“ (ნ. მონაკილე).

ნამცხედვარი დაგვიანებული დრო. „ნამცხედვარზე დავთესეთ პური“ (შდრ. ალავ. ეთნ. 113).

ნაოთხალი (ლეჩხ.) ხის მეოთხედი ნაპობი, რომელსაც ფიცრად გამოთლიდნენ, სანამდე ხერხს შემოიღებდნენ.

ნარიეკალა მინდვრის მხალეული. როცა თოთოა, სამარხოდ კმაზავენ, გაზრდილი — ეკალია.

ნაღენჯურა 1. ხილის ნაყოფის გული, რომელსაც ადამიანი არ ჭამს. ნაღენჯურა მიიღება მაშინ, როცა ადამიანი ხილის ნაყოფს კბეჩით ჭამს, დანით არ ჭრის და თლის; 2. ჭყინტი ტაროს გული (მარცვლებგაცლილი). შემწვარი ან მოხარშული ტაროს ნაღენჯურა არის ადამიანის კბილებით ნაღრღენი, ხოლო უმი ჭყინტი ტაროს ნაღენჯურა — ღორის, ძაღლის, მაჩვის ან დათვის კბილებით ნაღრღენი (ნ. ჩიქ. ღენჯურე).

ნაწიგარი გადაწვენილი ვაზი ან ხე (ნ. დაწიგვრა; ნ. ალავ. ეთნ. ნაწიკარი 108).

ნიტრა 1. პატარა დოქი, ხელადა; 2. ადგილობრივი ჯიშის მსხალი ნიტრისებური (გულაბი მსხლის) ფორმისა, საზამთრო, მწვანე ფერისა.

ნოვა თეთრი ყურძენი იყო, უგემური, გადაშენდა (წყალტუბოს რ., გვიშტიბი).

ოქმიყა ადგილობრივი ჯიშის მსხალი, საშემოდგომო, მოკლეკუნწიანი, მრგვალი, მოშავო ფერისა.

ორპოჭიკა წბერის (ჭაჭის დასაწნეხი მანქანის) ნაწილი. დირე — ბერაში (ნ.) გაყრილი მოძრავი ბოძალი ხე. იგი ძირს დაიწევდა და მაღლა აიწევდა ისრის (ჭახრაკის) საშუალებით (ნ. ალავ. ეთნ. 109).

ორშომა გულაბი მსხლის ჯიში (ორშიმოს ფორმა აქვს), საშემოდგომოა, მწვანე, თითოეული ცალი 400-600 გრამს იწონის.

ორწიფობა რელიგიური დღესასწაული იყო. იხდიდნენ წიფობისთვის (ოქტომბრის) ორში (გელათი, მოწამეთა).

ოქროსცოცხა მაღალი საცოცხე ბალახი.

ოხტოური შავი ყურძენი იყო. ფილოქსერამ გაანადგურა. ხეებზე ხარობდა და საუკეთესო ღვინო ჰქონდა (შდრ. ჯ ა ვ ა ხ. II ოხტაური 431; ნ. ა ლ ა ვ. ეთნ. 107).

პარახელი ტერასი, ბუნებრივი საფეხური კლდეზე (შდრ. ს ა ბ ა პარეხი).

პირმოხოული პირმოხვეული. მრგვალპირიანი სატეხი, რითაც ხვრეტენ ურმის ზედსადგრებისა და მარხილის დედოების (ნ.) თავებს, სადაც ფრჩხილების თითები უნდა ამოუყარონ; პ ი რ მ ო ხ ო უ ლ ი თ კოვზსაც გამოთლიან.

პურჰადა მუჰადისმჰადი, ფეტვის ნამცხვარი.

ჭროჟანი, რუჟანი ფრინველის ფერი: შავი და თეთრი ან შავი და ნაცრისფერი ან თეთრი და ყავისფერი. „ჭ რ ო ჟ ა ნ ი დედალი კრუხავს“ (ნ. ა ლ ა ვ. ჭრუნი).

რაბო იგივეა, რაც ღრაბი (ნ.).

როკვი ცულით გათლილი ძელი. რ ო კ ვ უ ლ ი ადმათ გათლილ (ნ.) ძელთა ნაგებობა, ჯარგვალი (შდრ. ს ა ბ ა, ჩ უ ბ., ბ ე რ.).

რუვი რუ. მდინარის ტოტი, წისქვილის ან სარწყავ არხში მიმავალი (ნ. შ ა ნ. ჯევს.).

რუჟანი იგივეა, რაც ჭროჟანი (ნ.).

რჩოლია რქენია, მარქენალი. „ოტიას ჰყავდა რ ჩ ო ლ ი ა ბულახარი“ (გ ვ ე ტ. ჭიაკ. 227).

საბელურა ტკეჩის გოდორი. შინ იყენებენ. გამხმარ ტაროებს მით სასიმინდიდან ბეღელში შეიტანენ (კისორეთი, ძმუისი).

საზეითო სარცხელი იგივეა, რაც ზემდგური (ნ.).

საზიდი სამატი (ნ. ჭყ., ჯ ა ჯ.), უღლის შუა ადგილზე მიბმული დაწნული ტყავი ან ღვლეჭი, რომელიც მეორე თავით ფრჩხილების თავგასაკრავს უერთდება.

სათრიელი, საშობი ჯარჯი (ნ.). დიდი კონა ხეებისა (შეშა, სარი, წნელი, ფიცრულის მასალა), რასაც სასათრიელოზე (ნ.) თრევით ზიდავენ.

საიყელიო (ლეჩხ.) ქვა ან ხე, რომელსაც ოწინწალი (მსხვილი ხის ბერკეტი) ეყრდნობა.

საკელე ძარი (ნაწარმოებია სიტყვისაგან კ ე ლ ი ნ.) ნაკელის გასატანი ძარი.

საკინძალი პატარა საქვაბე. „ბუხარში ს ა კ ი ნ ძ ა ლ ი ჰკიდია“.

საკისური უღლის ნაწილი ტაბიკთა შორის. საკისური ხარს კისერზე ედგმის (შდრ. საქედური).

საკრეფელა გიდელა გიდელი, ტკეჩით მოწნული მაღალი გოდორი. მხარზე ეკიდათ და ღომს ჰკრეფდნენ.

სამჭაჭა ძველებური შავი ყურძენი. კარგი ღვინო აქვს. წყალტუბოს რაიონში მოჰყავთ (ნ. ჯავახ. II 435).

საპობი ატამი ატამი, რომლის ნაყოფი იხლიჩება.

სასათრიელო (ნაწარმოებია სიტყვისაგან სათრიელი ნ.) შურო (ნ. ალავ. ეთნ. 148), მაღალ ტყიან მთაში დაშენებული ბუნებრივი თხრილი — ნაღვარევი, სადაც სათრიელი ჩამოაქვთ.

სასალო, სოსელო საზაფხულო მსხალი საშუალო ზომისა (ნ. ალავ. სასელო მსხალი).

სასინათლო სანათლისი, სანათური საზოგადოდ (лампа, фанар).

სატკვლეცია ნ. ხრეკოლა.

საფეთქი იგივეა, რაც ფეთქი (ნ.).

საფიცხარო ადგილი, რომელსაც დილიდან საღამომდე მზე დაჰყურებს.

საფრიალა იგივეა, რაც ფეთქი (ნ.).

საქედური საკისურის (ნ.) ბრტყელი ზედაპირი, რომელსაც ხარის კისერი (ქედი) ებჯინება.

საქოლი ქვა იყო ორგვერდად დახურული შენობის სახურავზე დასადები ქვა ყაერის დასამაგრებლად. საქოლ ქვებს მწკრიეებად გააწყობდნენ.

საყებურთობია თამაშობა, რომლის დროს ბრტყელი ქვაა ნიშნად და მას ბავშვები ბურთს ესვრიან ხოლმე. „ზოგნი რიკტაფელას თამაშობენ, ზოგნი საყებურთობიას“ (გვეტ. ლაშ. საღ. 265; შდრ. შარაშ. საყე).

საყულა კარის შიგნიდან ჩასაკეტი ძელი, მოკლე ურდული. „ჰიშკარი საყულათი დაკეტა“.

საშობი იგივეა, რაც სათრიელი (ნ.).

საშრობი ოსირო (მეგრ. სასირა), გრძელ ჯოხზე დამაგრებული ჰინჭი, რითაც ქვევრის ფსკერში ჩარჩენილ წყალს ან მთხლეს ამოაშრობენ.

საჭყეპელა, საჭყეპია (ლეჩხ.) ბავშვის სათამაშო. ხელრუასაგან (ნ.) კეთდება. წყალს დგუში ამოსწოვს, მილი გაივსება და შემდეგ დგუშითვე დასცლიან.

სვინტრი ტყის მხალეული. გაზაფხულზე შემოდის.

სიბიკარი (ოკრ., ლეჩხ.) ყანის დასაცავი ჰიშკარი (წნულისა ან მესრისა). სიბიკარს ჩვეულებრივ დგამენ სოფლის ნაპირში, საიდანაც ვრცელი სახნავ-სათესი ფართობი იწყება (შდრ. საბა, ჩუბ. სიბა).

სოხანი გასხეპილი ან ბუნებრივად სწორი, უტოტო ხე (ნ. ალავ. ეთნ. სორსალი 119).

სოჩხეთურა ადგილობრივი ვაშლის ჯიში. საზამთრო. თეთრია, წითელზოლებიანი, მოგრძო, საშუალო ზომისა. კარგად ინახება (სოფ. სოჩხეთიდან გავრცელდა). ამ ჯიშს ჩაფხატურასაც (ნ.) უწოდებენ (ხრესილი, ახალდაბა).

სურბელა მოთმინება. „სურბელა წოუვიდა“ (შდრ. ალავ. სურბუტა).

სხურკლი კორძი ხის ტანზე.

ტანაჯორი (ჯავახური) ბზრიალა ხისა. მას ბავშვი მათრახის ან წნელის ცემით ერთ ადგილზე ატრიალებს (შდრ. ჩუბ., ვეფხის-ტყაოსნის ლექსიკონი, მენთ.).

ტატაბი რკინის პატარა ნიჩაბი — ღადარ-ნაცრის გასაშლელ-ასაღები, ასტამი (შდრ. ბერ., ალავ. ეთნ. 118).

ტაფელა 1. სარიკაო ჯოხი; ჰოლოკი (ნ. საბა, ჩუბ.); 2. (ქვ. იმ.) პატარა, ბრტყელი თევზია.

ტეხისობა დღესასწაული იყო. იხდიდნენ აღდგომის შემდეგ მე-სამე კვირას სოფ. გურნაში.

ტრიშინა დაუსვენარი, გარეთმოსიარულე ქალიშვილი.

უკანაცმით კერვა (ლეჩხ.) გვირისტით კერვა, ხელით კერვა — უკუგდებით, სწორად და მჭიდროდ. ხაზი მანქანით ნაკერს ჰგავდა.

უმცროსოულა, უნცროსოულა (ოკრ., ლეჩხ.) არის საუკეთესო შავი ბლის ჯიში.

ურიკლე სანახევროდ გააღე. „სული გვეხუთება ამ ოთახში, სიცხეა, შენ გაზდას, ურიკლე მა კარი!“ (ჭიათურის რ., რგანი).

უწყვეტი ურმის ზედსადგრების თავებსა და ბოლოებში გაყრილი ლატანი, რომ ფალვანგები (ნ.) შეკრას, არ დაიშალოს. ორივე უწყვეტს ცალ თავში რიკი ამაგრებს.

ფალვანგი 1. ურმის ზედსადგრებში გაყრილი ფიცარი. ურემს ერთმანეთისაგან დაშორებით 5-6 ფალვანგი აქვს (ნ. ბერ. ფალ-მანდა, ალავ. ფალანგა; შდრ. ალავ. ეთნ. ფალანგი 99); 2. ჯიშ-კრის დედოში (ნ.) გაყრილი ფიცარი (შდრ. კირ. ფალანგის კა-რები).

ფარჩხის ცოცხი შინდის, ბროწეულის ან ცოცხობასაგან (ნ.) გაკეთებული ეზოსა და კალოს დასაგველი ცოცხი. „ფარჩხის ცოცხით ეზოს გვიდა“ (გვეტ. ცხ. იწყ. 130).

ფეთქი, საფეთქი, საფრიალა ტკეჩით მოწნული ხელსაწყო, მა-რაოსავით ცალ ხელში დასაჭერი. მარცვლეულის ხელით გასანიავე-

ბელი. ფეთქის სიგრძე-სიგანე ნახევარ მეტრს არ აღემატება. ფეთქით სიმინდსა და ღომს ბრეს აშორებენ.

ფერჩათეთქვილი გაფერმკრთალებული, ფერწასული. „გადაეხვია ეედო ღამისთევით ოდნავ ფერჩათეთქვილ ქალიშვილს“ (გვეტ. ცხ. იწყ. 11).

ფექო (ოკრ., ლეჩხ.) იგივეა, რაც კოროში (ნ.).

ფეხგასული (ლეჩხ.) გაზაფხულის პირი (მარტის თვეზე იტყვიან).

ფოცოცი წითელი დაკბილული ბრტყელი ხორცოვანი ამონაზარდი ზოგიერთი ფრინველის (ქათამი, ოფოფი...) თავზე, ბიბილო (შდრ. ბიმბილი; ნ. ალავ.).

ფურცხვი (ლეჩხ.) საკოკიას ანუ კაჭეჭის (გოქშო) ეკლიანი თავთავი, რომელსაც დოქზე დააცობენ და მაჭარს გაწურავენ.

ფხაჭავაშლი საზამთრო ვაშლი, ყვითელი, წითელზოლებიანი.

ძარა ნემსისებური ეკალი ხეზე. აქვს სხმარტლს, ბაძგარს, ასკილს, სამყურა (ველურ) ლიმონს, ტყემალს. ქაცვს და მისთანათ (შდრ. საბა, შარაშ.).

ქაფურია, ხუშტარა ბეჩო ბოყვის ან აფრის ამოსაღარავი შალაშინი.

ქაჩალა გადატ. თითქმის შიშველი ტარო. მას მარცვლები აქა-იქ ასხია.

ქეფჩო ფხა. „ხვიტილა პურს (ნ.) ქეფჩო არ ჰქონდა“.

ქვამსხალა საშემოდგომო მსხალი, მრგვალი, დამწიფებამდე ძალზე მაგარი, მწიფეს კარგი გემო აქვს.

ქვანთრიში ალერსი ძაღლისა (ნ. მოქვანთრიშება).

ქიხორი პირუტყვის ან ფრინველის ფერი, ნაცრისფერი (შდრ. ალავ. ეთნ. ქისონი 114).

ქუნცახი (ლეჩხ.) ქურდი.

ქურჩა, ქურჩენი ნაქურჩალა, გაფშვნილი ტარო.

ქუსლა იგივეა, რაც კეკულა (ნ.).

ქფილავაშლი ფქვილავაშლი, საზაფხულოა, თეთრი, მოგრძო.

ღაბზი შურიანი, გულხარბი. სხვისი მცირე რამ რომ დიდად ეჩვენება და თავისი დიდი კი — მცირედ. „არ დეენდო იმას, ღაბზს და აეთვალიანს!..“ (შდრ. საბა, ჩუბ. ღაზო, ბერ.).

ღანღვილი კაკვი (ნ.), საკიდელი (მოკლე ორკაპი ჯოხი). როდესაც ხილს ან მაღლარის ყურძენს კრეფენ, კალათს ან გიდელს ტოტზე ღანღვილით ჩამოჰკიდებენ. ღანღვილი კალათის ან გიდლის სახელურზე თოკით არის მიბმული (ნ. ნინოშ. II, შარაშ. ღაღვილი, ბერ. ღვანღვალი, ალავ. ეთნ. 102).

ღანღრუში სუსტი, დაღარიბებული (მცენარე). ღანღრუშობს უძლურად იზრდება.

ღომატა პატარა ჭრელი თევზი, აფორეჯებული. მდ. წყალწითელაში ცხოვრობს.

ღრაბი, რაბო ღრმადი, ჩაღრმავებული ადგილი (ნ. ალავ. ღრადი).

ღუნჯა, ღუჯე, ყუჰე სიმწიფისაგან გაშავებულ მსხლის ნაყოფზე იტყვიან (შდრ. ბერ. ღვინჯა).

ღურღუცი 1. მორევი, ღრმა წყალი (ნ. ალავ.); 2. წყვდიადი „ღურღუცი ღამე იყო"; 3. ბნელი, უდაბური ტყე (ნ. ნინოშ. I ღურღეთ ტყე).

ყარყუმი ფრინველია. ბალახებში ცხოვრობს. ხშირად წრიპინებს, რითაც მონადირე გაიგებს მის არსებობას. „ყარყუმს რა მოკლავს და... თავისი ენაო" (ანდაზა; შდრ. საბა, ჩუბ.).

ყდა გვერგვი (ნ. განმარტებითი ლექსიკონი, ჰუ.), წაბლის მრგვალი ძელი (სიგრძით ნახევარი მეტრი), ფართო და გულგამოჭრილი. ყდებს თავზე ჩამოაცმევენ ყოველ ორ-ორ სარს, რითაც ხიმის ღობე (ნ. წერ.) ურყევად დგას.

ყვინწკლი კუნელი — შავნაყოფიანი ეკლიანი მცენარე. სიმწიფით გაშავებულ მსხლის ნაყოფზე იტყვიან: ყვინწკლივითაა (შდრ. ალავ.).

ყინულა ვაშლის ჯიში, საზამთროა, წითელი, მრგვალი (ნ. ალავ. ყინულის ვაშლი).

ყლარტი ლორწოვანი სითხე. ზაფხულობით ქვა დამდგარ წყალში (გუბე, ღელე) მწვანე ან მოყვითალო ფერის ყლარტს მოიდებს. ყლარტი აგრეთვე უჩნდება ძმარსაც, თუ გაუვსებელ ჭურჭელში დიდხანს დგას. თამბაქოს კვამლის დანალექსაც ჩიბუხში ყლარტი ეწოდება. „დიდიხნის წინათ შეფეთქილ კედლებს ყლარტის ფერი დადებოდა" (გვეტ. თეო 32; შდრ. ჯაჯ.).

ყუბარი პატარა ქვევრი, ოთხ-ექვს ფუთ ღვინოს იტევს (ნ. საბა, ჩუბ., ალავ. ეთნ. 110, ჟღ., ჯაჯ.).

ყუმბარა ღომის თაველის შტო. თავთავი ყუმბარებისაგან შედგება (ნ. საბა ყვიბარო, ალავ. ეთნ. 97).

ყუჰე იგივეა, რაც ღუნჯა (ნ.).

შავმსხალა საუკეთესო საზამთრო მსხალი, მოგრძო, მოშავო ფერისა (ნ. ჰუ. შავი მსხალი, ალავ.).

შეშაბრეჭა მოუქნელი, ტლანქი, კაროჭნა. იტყვიან ქალზე, ვინც უხეიროდ დიასახლისობს.

შეცული (ლეჩხ.) დაცული. „ყანას ღობე აკრავს გარშემო, პურტყვი ვერ შევა, კარქა არი შეცული“ (ნ. იმნ. შეცვული).

შუშხუნა (ოკრ., ლეჩხ.) ფუცხუნა. შუშხუნობს ფუცხუნობს. „ჩქეფი (დუღილშიმყოფი ტკბილი) ფუცხუნოფს“.

ჩანგალი ტოტებიანი ხარდანი. ჩანგლური ჩანგლებზე გაშენებული ვენახი.

ჩასავალი სარცხელი ოფიჩოს კონა, ტარგაყრილი, ორსახელურიანი. დიდი ქვევრის გასარეცხი (შდრ. ზემდგური).

ჩაფხატურა იგივეა, რაც სოჩხეთურა (ნ.).

ჩაჩანაკი სალტეში თავისუფლად მბრუნავი ნეკისოდენა რკინა. სალტეში ყელსახვევს გაუყრიან, ჩაჩანაკზე კი ჯაჭვს ან თოკს მიაბამენ, რათა დაბმულმა პირუტყვმა საბელი არ შემოიხვიოს და არ დაიხრჩოს.

ჩიჩაბი (ლეჩხ.) თხელი ფიცარი, რომელზედაც ახალდაბადებულ ბავშვს დააკრავენ. ბავშვი ერთი კვირის შემდეგ აკვანში გადაჰყავთ (ნ. ჩოტი, ხოჩიჩი).

ჩიჩვილი მჭლე ხორცი, სიმსუქნე (ცხიმი) რომ აკლია (შდრ. კირ. ჩიჩქვი).

ჩოტი იგივეა, რაც ჩიჩაბი (ნ.; შდრ. ჰყ., შარაშ., ჯაჯ.).

ჩოქელა კალიის მონათესავე მწერი სწორქერეჭიანთა (სწორფრთიანთა) რიგიდან (ნ. მენთ. ჩოქიმკალია).

ჩუმპო ქათმის, იხვის ან ბატის მსუქანი ადგილი საკვერცხესთან. „დედალს ჩუმპო ჩამოუშვია“ (შდრ. საბა, ჩუბ. ჩუმპე, ქღ. ჩუმპუ, ალავ. ჩუმპი).

ჩხა მტევნებიანი ტოტი (მოჭრილი) ვაზისა (ნ. კირ., ჯავახ. II 300).

ჩხარული ბათმანი მარცვლეულის საწყაო — 30 გირვანქა (შდრ. განმარტებითი ლექსიკონი, ბათმანი).

ცერი გადატ. ღვლეჭის თავი, დაუღვლეჭავი ნაწილი.

ცეტა თევზი. მოკლეა და მკვრივი. ფორმით ტარანს ჰგავს, 2—4 კილოგრამს იწონის. ცხოვრობს ონტოფში, რომელიც მდ. რიონს „საზღვარასთან“ ერთვის.

ცოცხობა მოცვის ხე. ნაყოფს მოცვს უწოდებენ (ნ. ერისთ.).

ცრიმახი გულფიცხი, ავი, მოურიდებელი ქალი.

ძალლარტა წვრილი და გრძელი თევზი. ხშირად ქვიშაზე წევს, არ ცურავს. მდ. წყალწითელაში ცხოვრობს.

ძენძვი 1. ძირიანად ამოთხრილი პარკოვანი მცენარის (ლობიო, სოია, მუხუდო, ცერცვი) ჩენჩი; 2. ბუძუნღო (ნ. განმარტებითი ლექ-

სიკონი), კვახის ან ნესვის გული, რომელშიც ახვევია თესლი; 3. გაწეწილი კანი კანაფისა (შდრ. ალავ. ეთნ. 96).

ძიმი ნალის გასახვრეტი რკინა.

ძრავლი მძლავრი. გამძლე, მაგარი ხე შუაცეცხლის შეშად (მხოლოდ ამ მნიშვნელობით იხმარებოდა). „დიდ ძრავლს დავდებდით კერიაზე, ორი-სამი დღე ეკიდა ცეცხლი“.

ძუვი ძუ. „ძუვი ძაღლი მყავს“ (ნ. ჯავახ. ქართ. და კავკ. ენები, ვაჟა I ზუვი).

წალარო ყლარტი (ნ.) ჩიბუხის ტარში.

წერესტო, წოროფსუა სოკოა. ფეხის სიმაღლე 40 სანტიმეტრამდე აღწევს, ქუდი მორუხოა, ქუდის ცენტრი — შავი. ირგვლივ შავი წინწკლები აქვს. ქუდის სიფართოე ხშირად 25 სანტიმეტრს უდრის. შეწვის დროს შესამჩნევად იკლებს. რთხმელნარსა და გვიმრნარში ხარობს (ნ. ერისთ. წეროს სოკო, საბა, ჰყ. წეროს-წვივა).

წიკარტი (ოკრ., ლეჩხ.) აბზინდა, შესაბნევი ქამრისა.

წიწინი (ლეჩხ.) წვრილი ხმით კივილი. „ქალემა წიწინი მორთეს“.

წკიპარტი ორივე თავით წვერწათლილი ჯოხი (მუხა, რცხილა, შინდი, თხილი), რასაც ნედლი ტყავის გასაჭიმავად იყენებენ (ნ. გაწკიპარტება).

ჰადუა იგივეა, რაც ჰეჰკეტა (ნ.).

ჰეჰკეტა, ჰადუა ყავისფერი სოკოა, მჭადა-სოკო.

ჰვიჰვიტალა პატარა ჰუჰრუტანა. „კედელში ჰვიჰვიტალა იყო“ (ნ. ბერ. ჰიჰიპალა).

ჰიჰკვა წვრილი. ჰიჰკვა მსხალი ან ჰიჰკვა ვაშლი საზამთრო წვრილი მსხალი ან ვაშლი (ნ. ჯაჯ. ჰიჰკვიტა).

ჰიჰუნჰი მდგნალი — თეთრი ტირიფი, რომელიც ისხამს ბუმბულს გაფოთლებამდის (ნ. ალავ. ჩიჰუნი; შდრ. მეგრ. ჰიჰონი).

ჰკნარა ვაზის ჯიში, მრგვალმარცვლოვანი, ღიამტევნიანი, სუსტი ღვინო აქვს (შდრ. ჯავახ. II მჭკნარა 488).

ხალიხა ტოტებიანი ხარდანი, რომელზედაც ვაზი, ლობიო ან პამიდორი ადის (შდრ. საბა ხალა, ჩუბ., ჰყ. ხალხა; ნ. ბერ., ალავ. ხალახინი).

ხანტრაბუცა შემწვარი კვახისკაკალი.

ხანჭკოლა პარკოვანი მცენარე, ცერცვის მსგავსი. თეთრი და მწარე ნაყოფი ჰქონდა. მოხარშულ მარცვლებს მარილს დააყრიდნენ და ჭამდნენ. ნახარში წვენით პირუტყვს მკბენარს აშორებდნენ (ნ. ერისთ. ხანჭიკოლა, საბა, ჩუბ., ჯავახ. II ხანჭკვალა 11, ჟღ.).

ხარა ხარაბუზა — დიდი შავი ბუზი, ორი გრძელი ულვაში (რქა) აქვს და მცენარის მერქნით საზრდოობს. იგი ხალხს უყვარს. არავინ კლავს. როცა ნახავენ, დაიჭერენ და ხარებთან დასვამენ მიწაზე.

აკაკი წერეთელმა ფუნაგორიას ხარაბუზა უწოდა („ხარაბუზა და ფუტკარი", „ხარაბუზა ღენერალს"), რადგან ხალხურ მეტყველებაში ხარაბუზა ფუნაგორიასაც ნიშნავს. ფუნაგორიას ჰიაფანდურაც (ნ. ერისთ., საბა, ჩუბ.) ჰქვია (შდრ. ერისთ., ჩუბ. ხარაბუა).

ხარალი (ლეჩხ.) ნოტიო ადგილზე შენახული კარტოფილის ამონაყარი.

ხარგა (ლეჩხ.) ხის სუფთა ჯოხზე აცმული შემწვარი ქათამი, ხორცი, გოჭის თავი, ხაჭაპური და სხვ., რომელიც ქორწილიდან დაბრუნებულ მაყრებს მიჰქონდათ შინ.

ხარისძირა (ოკრ., ლეჩხ.) ბალახია. დაბალი ღერო და დაჭრილი ფოთოლი აქვს.

ხაწეწი (ლეჩხ.) ჩიჩხონა (ნ. ბერ.) — მოხრაკული ქონი, „ნამცეცებად" დაშლილი. ქონი გადადნობის დროს მთლიანად არ დადნება, ჭურჭელში ხაწეწს დატოვებს (ნ. საბა ხიწიწი).

ხელჭურჭელი დურგლის იარაღების ზოგადი სახელწოდებაა.

ხერგი ადიდებული მდინარის მიერ წამოღებული სხვადასხვა შეშა (ერთმანეთში არეული) — ფიჩხი, ჯირკები და მისთანანი.

ხერეგო (ლეჩხ.) მამალა კანაფის (დიდი ტანისაა) უხეში კანი, რითაც გრძელ და მსხვილ თოკს ამზადებდნენ. დედალა კანაფს (პატარა ტანისაა) საუკეთესო წმინდა კანი აქვს.

ხელრუა (ლეჩხ.) დიდგულა ხე. მის გამხმარ ღეროს ფხვიერი გული აქვს და ადვილად იხვრიტება. ხელრუასაგან ან ჯანხველისაგან (ძახველი) ბავშვები სატკვლეციასა (ნ.) და საჭყეპიას (ნ.) აკეთებენ (ნ. მაყ. ხეყრუა).

ხვიმირა მინდის ჩასაყრელი ჭურჭელი (ფიცრისაა) მდინარის წისქვილის კუთხეში (შდრ. ჩუბ., ჩიქ., ალავ. ეთნ. 103).

ხვირი დაბალკედლებიანი ძარი. მასში სიმინდს ფშვნიან ან ხილს დროებით ინახავენ; წნელით მოწნული დაბალი და ფართო გოდორი, რომელშიც წიწილებს საკენკს აჭმევენ (შდრ. წერ., ალავ. ეთნ. 91, 101).

ხვიტილა პური საუკეთესო პურეული იყო, უფხო, მსხვილმარცვლოვანი (ნ. ალავ. ეთნ. 97).

ხიბიკი (ლეჩხ.) გარდიგარდმო დალაგებული მრგვალი ხეები, რომლებზეც ზვინს დგამენ.

ხიდარა ჩირის გასახმობი ნაგებობა. ტალავერს ჰგავს: ბაჯგებზე ონგალოებსა და ჭოკებს გადებენ, შემდეგ სპეციალურ ჩელტებს დააწყობენ. ჩელტებზე მზეში ჩირს გაფენენ.

1. ხიოდი (ლეჩხ.) ღრუბელთა გაფანტვის შემდეგ დამდგარი მზიანი დარი.

2. ხიოდი მოსულელო ადამიანი. „ხიოდივივით იცინის".

ხირაგა ვირის კეხი.

ხირხალა 1. მარხილის ჭოკი. თივის, ლობიოს, სოიას და სიმინდის ჩალის მოსატანად მარხილის კვატუშებზე (ბოძების ფიცრებზე) სამოთხე ხირხალას გადებენ და დააკრავენ; 2. მზვინვისათვის თივის ან სიმინდის ჩალის კონის მისაწოდებელი ჭოკი; 3. ხის ჩანგალი — ტოტებიანი სარი, რომელზედაც ახალდაკლული პირუტყვის ნაწილებს ცალ-ცალკე დაჰკიდებენ.

ხმალა წებერის (ჯაჭის დასაწნეხი მანქანის) ნაწილი. ჯახრაკში გაყრილი ხე, რომელზედაც იდგა კვირისთავი. კვირისთავის თავზეც ჯახრაკში გაყრილი იყო მეორე ხმალა. ორი კაცი მით კვირისთავსა და ჯახრაკს წალმა-უკუღმა დააბრუნებდა (შდრ. ალავ. ეთნ. 99, 108, 109).

ხოჩი გრძელი და უშნო წინა კბილი. „მის ლაპარაკს ვინ მეისმენს, მის ხოჩეფს ვინ უყურეფს?!".

ხოჩიჩი ჩიჩაბი (ნ.), თხელი ფიცარი, რომელზედაც ახალდაბადებულ ბავშვს დააკრავენ (ნ. საბა, ჩუბ., კირ., მენთ. ხოჭიჭი).

ხრეკოლა დიდგუნდა ხე. მის გამხმარ ღეროს ფხვიერი გული აქვს და ადვილად იხვრიტება. ხრეკოლასაგან ან ჯანხველისაგან (ძახველი) ბავშვები სათამაშოს — სატკვლეცია (ნ.) — აკეთებენ: ლობიოს ან თხმელის მარცვალს მილში ჩადებენ და სწორი ჯოხის თავით (დგუშით) გაისვრიან. ხრეკოლა ხმას გამოსცემს — ტკეცას გაადენს (ნ. მაყ. ხეკრო).

ხრიჩა (ლეჩხ.) ხლიჩა. ადამიანი, ვისაც ჩახლეჩილი ხმა აქვს.

ხტული კავით დასახნავ მიწას პატარა-პატარა ნაკვეთებად დაანაწილებენ. ყოველ ერთ საკენზე კვალებს გაავლებენ. თითოეულ ნაჭერს ხტული ეწოდება. სიმინდსა და პურეულს ერთ ხტულზე მოთესავენ და მიწაში ჩახნავენ. ამგვარივე წესით დაამუშავებენ სხვა ხტულებსაც (შდრ. ბერ.).

ხურხუდო (ლეჩხ.) მინდვრის მარწყვი, მრგვალია და რუხი ფერისა.

ხურხული (ლეჩხ.) ხვრულ-ხვრული. ხვრელიან გზაზე სითხის წრაფი დენით გამოცემული ხმა. „წყალი ღელის სირღმეში ხურ-

ხულით ჩადის". მოხურხულობს ხვრელში ხმაურით მოძვრება (წყალი ან ჰაერი). „კედლის ნაპირში სიცივე მოხურხულოფს".

ხუშტარა ბეჩო იგივეა, რაც ქაფურია (ნ.).

ჯა მონათიბის ერთი ხაზი. თიბვის დროს ჯასა და ჯას შორის ერთი მეტრი განათიბი თავისუფალი ადგილი რჩება. შემდეგ ყველა ჯას სამთითებით ან ორთითებით გაშლიან — მზეზე გაფენენ გასახმობად.

ჯაბუნაკი ცხენის ან ვირის ფუნა, ჩონჩორიკი. დამნაშავეს შეარცხვენდნენ — ჯაბუნაკს პირში გამოავლებდნენ. ჯაბუნაკნაჭამი გადატ. სირცხვილნაჭამი, თავსლაფდასხმული. „გადამემტერა, მარა თვითონ მეიჭრა თავი, მოგეცეს სიცოცხლე, მე იმ პირშავს ჯაბუნაკი ვაჭამე!.." (შდრ. ბერ.).

ჯამიანა კორვა (ნ.), მარცვლეულის საწყაო ხის ჭურჭელი: სამი გირვანქა (კურსები), ოთხი გირვანქა (გურნა), ხუთი გირვანქა (ხრესილი, ცუცხვათი). მინდის საწყაოდაც იხმარება.

ჯარჯი ხეების კონა. ტყიანი მთის თხრილზე მოჭრილ ხეებს ჯარჯებად დააწყობენ და თრევით ჩამოაქვთ. ჯარჯი ალეხით (ნ.) არის შეკონილი (შდრ. ჭყ.; ნ. ალავ.).

ჯგვირი ინდურის (ნ. ჭყ., ალავ. ეთნ. 108) ღარში გასაყარი სწორი ჯოხი. ღარში მოთავსებულ დახვეულ ფუჩეჩს ჯგვირს ჰკრავენ — საწნახლიდან ტკბილს ან შუალვინოს გამოუშვებენ; წბერის ნაწილი. წვერწათლილი სწორი ჯოხი, რითაც დაპრესილ ჭაჭას დაშლიდნენ (შდრ. ალავ. ეთნ. 110).

ჯვარისულა ადგილობრივი შავი ყურძნის ჯიში, მრგვალმარცვლოვანი, მჭიდრომტევნიანი, ორჯერ წამლობენ. იძლევა სუსტ ღვინოს, მოჰყავთ დღნორისაშიც (ლეჩხუმი). სოფ. ჯვარისადან გავრცელდა.

ჯინკოლა მწარე ბალახი. „ზოგს ჯინკოლას წვენს ასმევდა" (გვეტ. ჰიაკ. 156).

ჯიჯო ქათმის ბიბილო.

ჯორაბჟოლა (ლეჩხ.) თუთის ხე, რომელიც ღია ყავისფერ ნაყოფს ისხამს.

ჯოჯღი ბორძღალო (ნ.). მსხვილი ტოტის განაყოფი, წვრილი ტოტი დედა ტოტზე. „ხის შესავალში დედა ტოტები იყოფა, ყოველ დედა ტოტზე — ჯოჯღები", „ირმის რქას ჯოჯღები აქ" (ნ. საბა ბოჯოჯღი, ბერ. ჯორჯღლები).

ჯღავანა წითელი სოკოა.

ინფორმატორები

კოლმეურნეები — ივანე გვეტაძე (92 წ., ციხია), ვლადიმერ ბეროძე (68 წ., კურსები), მაკედონ ბეროძე (58 წ., კურსები), მარიამ კუბლაშვილი (80 წ., წყნორი), ავქსენტი გაბადაძე (66 წ., გურნა), პორფირი კაკუშაძე (68 წ., გურნა), ვლადიმერ ამყოლაძე (56 წ., ცუცხვათი), იოსებ კუბლაშვილი (74 წ., ახალდაბა), ვარლამ ობოლაძე (60 წ., ხრესილი), სისო ასათიანი (86 წ., დღნორისა); პედაგოგი მარიამ ფრუიძე (28 წ., საჩხეური); პოეტი დომენტი თომაშვილი (75 წ., ჭოლევი), ექიმი ჰიპიკო იოსელიანი (50 წ., გვიშტიბი, წყალტუბოს რაიონი); აგრონომები — მელქისედეკ ასათიანი (55 წ., დერჩი) და გედეონ ხერხაძე (32 წ., გურნა).

მასალა მოგვაწოდეს აგრეთვე ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკებმა — დოც. დავით გაბრიაძემ, გიორგი გაბრიაძემ (ძუყნური), ნიკო გაბადაძემ (გურნა), სიმონ გვილავამ (კურსები), კლარა კუბლაშვილმა (ძმუისი) და ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტებმა — ახალგაზრდა პოეტმა დავით ხუროძემ (ჭოლევი), გრიგოლ გვეტაძემ (ციხია-ბობოთი), ვაჟა ბუცხრიკიძემ (მუხურა), გუგული კუპატაძემ და ბონდო მერკვილაძემ (ხრესილი).

ალ. ფულუკიძის სახელობის ჭუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, X, 1950—1951.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, X, 1950—1951.

იოსებ სალინაძე

კარიობის ტუფის პეტროგრაფიული დახასიათება

შ ე ს ა ვ ა ლ ი

კარიობის ტუფის საბადო მდებარეობს სამგურალის ქედზე—მთა კარიობზე, კურორტ წყალტუბოდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 10 კმ-ზე, ხოლო ქუთაისიდან კი ჩრდილო-დასავლეთით 18-20 კილომეტრის მანძილზე.

საბადო 1934 წელს აღმოაჩინა გეოლოგმა მ. ფაღავამ. 1938 წელს მასზე წინასწარი ძიება ჩაატარა გეოლოგმა ვ. თაბაგარმა, ხოლო შემდეგ, 1940 წელს, ის შესწავლილ იქნა ინჟინერ-გეოლოგების კ. კერესელიძისა და ი. ბაქრაძის მიერ.

ჩვენი მიზანია საბადოს შემცველი ქანების უფრო სრული მინერალოგიურ-პეტროგრაფიული დახასიათების მოცემა და ტუფის გამოყენების ზოგი ახალი გზის დასახვა.

საბადოს რაიონის მოკლე გეოლოგიური მიმოხილვა

ყველაზე ძველი ფორმაცია, რომელიც საბადოს უბანშია გაშიშვლებული, არის ბათური დროის ფურცელა ფიქლების წყება. უკანასკნელი შედგება უმთავრესად ნაცრისფერი, ზოგჯერ კი შავი ფურცლებრივი ფიქლებისაგან, რომელთანაც ზოგჯერ მორიგეობს კვარციანი ქვიშაქვებისა და არკოზების მცირე სისქის შუა შრეები. ორგანული ნაშთებიდან შეიძლება აღინიშნოს მცირე ზომის ნახშირის ლინზები და მცენარეთა აღნაბეჭდები. წყების გავრცელების რაიონი მორფოლოგიურად ხასიათდება რბილი რელიეფით და ხშირი მეწყრული მოვლენებით.

აღნიშნულ წყებაზე სტრატიგრაფიული უთანხმოებით განლაგებულია ზედა იურული ფერადი წყების ნალექები, რომლებიც ლითოლოგიურად წარმოდგენილია წითელი და მომწვანო ფერის

თიხებით, ტუფქვიშაქვებით და იშვიათად კონგლომერატებით. ამ ნალექებში ხშირად გვხვდება ვულკანური მასალა ბაზალტური განფენებისა და ტუფბრექჩიების სახით.

ფერადი წყების გადარეცხილ ზედაპირზე, საბადოს უბანში, ტრანსგრესიულად განლაგებულია ქვედა ნეოკომური კვარციანი ქვიშაქვები, რომლებსაც ზევით აგრძელებს ამაყე ასაკის კირქვები.

ქვედა ნეოკომურ კირქვებს თანხმობით მოჰყვება ბარემული კირქვები, რითაც აგებულია სამგურალის ქედი და, მათ შორის, მთა კარიობიც.

ტუფის პეტროგრაფიული დახასიათება

ფერადი წყების ზედა ჰორიზონტები მთა კარიობზე შეიცავს ტუფის საბადოს ორი ფენის სახით. ქვედა — მომწვანო ფერის ქანი საშუალოდ 3 მ ხოლო, ზედა — მოვარდისფრო 15 მ სიმძლავრისაა. ტუფის შრეები ზოლის სახით ვრცელდება 2-2,5 კმ მანძილზე. შრეების დაქანების აზიმუტია SW, $\angle$ 5-10°.

მთავარ გაშიშვლებაში, რომელშიც წყების ზედა ნაწილია წარმოდგენილი, შემდეგი აღმავალი ჭრილი გვაქვს:

1. აგურისებრი წითელი და მტრედისფერი თიხები,
2. მომწვანო ფერის გამოფიტული ტუფი, გათიხებული პორფირიტული ქანების ნატეხებით,
3. დამსხვრეული და გათიხებული ტუფი,
4. მკვრივი, მასიური, ოდნავ გამოფიტული, იისფერ-მოვარდისფრო ტუფი პორფირიტული ქანების ნატეხებით,
5. ნიადაგმცენარეული ფენა.

ამჟამად საბადოზე ძირითადი სამუშაო კარიერი გახსნილია მთა კარობის აღმოსავლეთ კალთაზე, სადაც შემდეგი სურათი გვაქვს: ქვედა ჰორიზონტში გაშიშვლებულია 2 მ სიმძლავრის მომწვანო ფერის ტუფი, მასზე განლაგებულია 3,5 მ სისქის მოვარდისფრო ტუფის ფენა, რომელშიც გამოირჩევა აგურისებრი წითელი და მკვრივი ქანების უბნები. გადასვლა მომწვანო და მოვარდისფრო ტუფის ფენებს შორის მკვეთრია, საზღვარზე მათ 0,5-1,0 სმ სისქის თიხის ზოლი მიუყვება.

პროდუქტულ ფენებს ახასიათებს დაქანების მართობული განწევრება. განწევრების სიბრტყეები დაშორებულია ერთიმეორეს 2-5 მეტრის მანძილით.

კარიობის საშენი ქანის პეტროგრაფიული აღწერა პირველად ჩაატარა გ. სმირნოვმა, რომლის თანახმად ქანი ტუფს წარმოადგენს, შემდგარს იზოტროპული მინებრივი მასისაგან, რომელშიც თანაბრად არის განაწილებული ქანებისა და მინერალების ნამსხვრევები. ტუფის ზოგიერთი სახეობა ღრუბლის სპიკულებსაც შეიცავს.

ამავე ქანს შემდეგში გ. ძოწენიძემ (1) ტუფოლავა უწოდა, რადგანაც ქანის სტრუქტურა არ არის ტუფური. ავტორის აზრით აქ ჩვენ გვაქვს ლავა გაციებული მინებრივი სახით, რომელსაც ამოუტაცებია ქანის ნატეხები. ეს მოვლენა კი დამახასიათებელია ტუფოლავისათვის, რითაც იგი განსხვავდება ნამდვილი ლავისაგან. რაც შეეხება ქანში ღრუბელთა სპიკულების არსებობას, გ. ძოწენიძის აზრით ისინი სპიკულები კი არ არის, არამედ ეს არის მინისებური ძირითადი მასა, წვრილი ბზარების გასწვრივ გადაკრისტალების შედეგად წარმოშობილი, რომელიც ზოგჯერ სტოვებს სპიკულების შთაბეჭდილებას.

ამასვე ადასტურებს „სპიკულების“ გაღუნვა და დაგრეხილობა, რაც საერთოდ პერლიტური ბზარებისთვის არის დამახასიათებელი. ამავე ავტორის აზრით ტუფოლავა პეტროგრაფიული ბუნებით ძლიერ უახლოვდება ტრაქიტებს.

ჩვენ მიერ საბადოდან აღებული დამახასიათებელი ნიმუშების მიკროსკოპული შესწავლა გვიჩვენებს, რომ კარიობის საბადოში ძირითადად ორგვარი ხასიათის ქანია წარმოდგენილი.

1. გარეგნული შეხედულებით ღია-მომწვანო ფერის, რომელიც შეიცავს მცირე ზომის პორებს.

მიკროსკოპში — ეს ქანები სუსტი ატაქსიტური აგებულების არის და თითქმის აფირულ ლავას წარმოადგენს (ნიმ. №№ 121, 125, 230). სხვადასხვა ფერად შეფერილი მინებრივი ძირითადი მასა ზოგ უბანში სუსტად გადაკრისტალებულის შთაბეჭდილებას სტოვებს. იგი შედგება ქლორიტულ-კვარც-ქალცედონის მსგავს მასისაგან, რომელსაც მადნეული მინერალის მტვრისებური ნაწილებიც უერთდება. ფენოკრისტალები იშვიათად ჩანს და მათ აქა-იქ თუ ვხვდებით წარმოდგენილს კვარცით ან გაპელიტებული მინდვრის შპატით. ძირითადი მასის ზოგიერთ უბანში უცხო ეფუზიური ქანის ნატეხებიც ჩანს, მაგრამ ამგვარი ნატეხები ქანის 10%-ს არ აღემატება.

2. გარეგნულად ღია-მოვარდისფრო ქანია, შეიცავს უცხო ჩანართებს და ახასიათებს მცირე ზომის პორები.

მიკროსკოპში ქანების ეს ჯგუფი უფრო ვიტროფირულ ტუფებს მიეკუთვნება, ვიდრე ტუფოლავებს (ნიმუშ. №№ 122, 124, 125, 127, 129). ძირითადი ნაწილი ქანისა რკინის ჟანგითა და ქლორიტით შეფერილი მინებრივი მასისაგან არის აგებული. მინებრივი მასა ეულკანური ფერფლისათვის დამახასიათებელი რკალისებურად მოხრილი და წაწვეტებული ფორმის ვულკანური მინის ნატეხებისაგან შედგება. უკანასკნელს, როგორც ჩანს, მეორადი წარმოშობის კვარცისა და ქალცედონის წვრილი მარცვლებიც უერთდება.

ამგვარ მასაში აღსანიშნავია აგრეთვე პემზისა და ეფუზიური ქანის ძლიერ შეცვლილი ნატეხების არსებობაც, რაც მას ზოგ უბანში აგლომერატული ტუფის იერს აძლევს.

თითქმის ყველგან საკმაო რაოდენობით გამოირჩევა რკინის ჰიდროჟანგი და მტვრისებური მაგნეტიტი. არსად არა ჩანს ფემური და სიალური მინერალების კრისტალთა ნამსხვრევები. ეს ქანები გაკვარცებულ ფერფლის ტუფს წარმოადგენს.

რაც შეეხება საბადოს გენეზისის საკითხს, ამაზე შეიძლება ითქვას, რომ ტუფის მკაფიოდ შრეებრივი წოლის ფორმა, მისი კლასტურ-ბრეკჩიული სტრუქტურა და ლაგუნურ აუზში დალექილ ფერად წყებაში არსებობა მიგვითითებს, რომ ტუფის შრეები წარმოშობილია წყალქვეშა ვულკანიზმის შედეგად.

ტუფის თვისებრივი დახასიათება

ტუფის შემადგენელი ნატეხების გათიხების ხარისხის მიხედვით იცვლება ქანის ფიზიკურ-ქიმიური თვისებები, რაც ქვემოთ მოყვანილ № 1 ცხრილში ჩანს (გვ. 107).

ზოგი ძირითადი თვისების მიხედვით აღწერილი ქანი არტიკის (სომხეთის სსრ) ცნობილ ტუფს უახლოვდება (2). ლღობის ტემპერატურა თითქმის ერთნაირი აქვთ (არტიკის ტუფს — 1,200°, კარიობის ტუფს — 1,260°).

კარიობის ტუფის დროებითი წინააღმდეგობა კუმშვისადმი რამდენჯერმე აღემატება არტიკის ტუფის დროებითს წინააღმდეგობას; კარიობის ქანისათვის იგი უდრის 500 კგ/სმ², ხოლო არტიკის ტუფისათვის — 90 კგ/სმ² (2).

არტიკის ტუფი გაცილებით უფრო ყინვაგამძლეა, ვიდრე კარიობისა.

აქვე მოგვყავს კარიობის ტუფის ქიმიური ანალიზის შედეგები (ცხრილი 2, გვ. 108).

ცხრილი 1.*

საშუალო მოცულობითი წონა მერყეობს			სინესტის საშუალო ამოვსებლობა %-ში		საშუალო დროებითი წინააღმდეგობა კუმშვისადმი კგ/სმ²			საშუალო დრ. წინააღმდეგობა ღუნვისადმი (ჰაერზე გაშრობილის) კგ/სმ²	საშუალო დანაკარგი წონისა %-ში გაყინვის შემდეგ			გაბზარულების კოეფიციენტი
მშრალი	წყლით ნაჯერი	ჰაერზე გაშრობილი	წონით	მოცულობით	მშრალი	წყლით ნაჯერი	ჰაერზე გაშრობილი		2	4	12	
1,71—	2,0—	1,78—	12,13—	23,40—	366—	217—	399—	20,65—	0,3—	1,5—	6,7—	0,42—
1,50	2,13	1,85	16,76	28,70	703	538	536	56,0	2,33	2,21	10,73	0,85

* ცნობები ამოღებულია საქ. გეოლოგიური სამმართველოს მასალებიდან.

ცხრილი 2.

№ კარიერისა	№№ ნიმუშისა	სინესტე	ხურებით ნაკარგი	SiO_2	Al_2O_3	Fe_2O_3	CaO	MgO	SO_3	ჯამი
1	1. მომწვანო-ნაცრისფერი . .	1,08	1,78	68,48	14,53	3,58	0,57	0,84	0,12	89,87
2	2. ვარდისფერი	1,21	1,83	69,69	14,48	2,70	0,50	0,35	0,20	90,11
2	5. მომწვანო-ნაცრისფერი . .	1,30	1,88	64,44	16,23	2,40	0,36	0,60	0,17	86,8
3	7. იისფერ-მოვარდისფრო . .	0,76	1,46	68.19	25,13	2,02	0,65	1,13	0,13	88,71

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ ტუფის ქიმიური ბუნება მცირედ ცვალებადია. ქანში ტუტების რაოდენობა არ არის განსაზღვრული, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ მათი რაოდენობა უმნიშვნელოა.

SiO_2 და Al_2O_3-ის შემცველობით კარიობის ქანი არ განსხვავდება არტიკისა და თეძამის ტუფებისაგან (2).

კარიობის ტუფის ფიზიკურ თვისებებზე წარმოდგენას გვაძლევს თბილისის ნაგებობათა და ენერგეტიკის საკვლევო-სამეცნიერო ინსტიტუტის მიერ ჩატარებული ტექნიკური შემოწმების შედეგები (ცხრილი 3):

ცხრილი 3.

№ კარიერისა	№ ნიმუშისა	ხვედრითი წონა	მოცულობითი წონა	ნამდვილი პორიანობა	ხილული პორიანობა	სიმკვრივე	პორების ავსების კოეფიციენტი	წყალშთანთქმადობა
1	1	2,58	1,81	29,48	27,24	0,70	0,91	15,05
1	2	2,64	1,82	36,06	26,75	0,96	0,85	14,70
2	5	2,58	1,78	31,00	30,68	0,69	0,98	17,00
2	6	2,53	1,76	31,00	28,51	0,69	0,92	16,20
3	7	2,50	1,76	30,43	28,07	0,70	0,94	15,95
1	3	2,64	1,77	33,00	26,76	0,67	0,81	15,12
2	10	2,54	1,76	31,00	27,28	0,69	0,88	15,50
3	8	—	1,78	—	27,70	—	—	15,75

აღნიშნული მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ ქანის სიმკვრივე უმნიშვნელოდ იცვლება. ნიმუშები არადამაკმაყოფილებელ შედეგს იძლევა ყინვაგამძლეობაზე (ცხრილი 1); ორჯერ გაყინვის შემდეგ ქანს ემჩნევა გაფხვიერება, ხოლო თორმეტჯერ გაყინვის შემდეგ

ხელითაც იფშვნება. შედარებით უფრო ყინვაგამძლეა იისფერ-მოვარდისფრო სახეობა ე. ი. ვიტროფირული ტუფი.

ის კარგად იხერხება, იხეხება და იპრება ნაჯახითაც კი.

ქანის ნაკლები ყინვაგამძლეობა, ჩვენი აზრით, გამოწვეულია მასში ისეთი სისტემის პორების არსებობით, რომელიც ნესტიან პირობებში მთლიანად ივსება წყლით; უკანასკნელი კი ზამთარში გაყინვის გამო შლის ქანს. ამ მოსაზრებას ადასტურებს ისიც, რომ საბადოს ზოგ უბანში მოიპოვება საკმაოდ მკვრივი ტუფი, რომელიც პორების მეტად უმნიშვნელო რაოდენობას შეიცავს და ეს ქანი ყინვაგამძლეა. ასეთი ქანით არის ნაგები სოფ. გუმათის ეკლესიის იატაკი და საფეხურები, რომლებიც დღემდე საღად შენახულა. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი უბნები ზენაჩენის მიხედვით საბადოში იშვიათია. საერთოდ კი ტუფის მარაგი საკმაოდ დიდია.

ქანის ტექნიკური შემოწმების შედეგების მიხედვით ინჟინ. ფ. ფალკი ასკვნის, რომ კარიობის ტუფი შეიძლება გამოყენებულ იქნას საკედლე ქვად. მისი მცირე ყინვაგამძლეობის გამო საჭიროა ტუფით ნაგები კედლების აგლესვა.

ნესტიან პირობებში, მით უფრო სასაძირკვლე ქვად, მიწისქვეშა და წყალქვეშა ნაგებობებისათვის აღნიშნული ქანის გამოყენება მიზანშეუწონელია.

კარიობის ტუფის ფქვილი შეიძლება გამოყენებულ იქნეს დუღაბში ცემენტის გარკვეული რაოდენობის შემცვლელად, როგორც აქტიური (ჰიდრავლიკური) დანამატი. ამ მიზნისათვის მას ამჟამად იყენებენ კურორტ წყალტუბოს სანატორიუმების მშენებლობაზე და მეტად ეფექტურ შედეგსაც ღებულობენ.

როგორც აღვნიშნეთ, კარიობის ქანის ფიზიკური და ქიმიური თვისებები ძირითადად არტიკის ტუფის ანალოგიურია, უკანასკნელის ჰიდრავლიკური თვისებები კი ცნობილია. კარიობის ტუფი საუკეთესო ნედლეული იქნება ცემენტის წარმოებისათვის, როგორც პორტლანდ-ცემენტის ნაზავის კომპონენტიც.

ქანის გამოყენება შესაძლოა აგრეთვე ე. წ. თბო-ბეტონის (მსუბუქი ბეტონის) წარმოებაში, როგორც ინერტული ამომვსები.

ტუფის ფხვნილის, ცემენტის (ან კირის) და საბადოს უბანში გავრცელებული კვარციანი ქვიშის ნარევისაგან შესაძლოა დამზადდეს სასურველი ფორმისა და სიდიდის სამშენებლო ბლოკები. საჭიროა ამ მხრივ საცდელი მუშაობის ჩატარება.

И. А. САГИНАДЗЕ

ПЕТРОГРАФИЯ КАРИОБСКОГО ТУФА

Резюме

В залежах Кариобского туфа (Груз. ССР, Цхалтубский р.) различаются две разновидности породы. Одна разновидность слабо атакситового строения и представляет почти афирную лаву.

Вторая разновидность может быть отнесена к витрофировому туфу.

Залежи повидимому возникли в результате подводного вулканизма.

Эти породы не дают положительного результата на морозоустойчивость, поэтому стены, возведенные из этих пород, нуждаются в защите посредством облицовки.

Туф в виде порошка может быть использован в цементном растворе как активное добавление, а также в т. н. теплобетонном производстве в качестве инертного заполнителя.

დამოწმებული ლიტერატურა

1. Г. С. Дзоценидзе. Домиоценовый эффузивный вулканизм Грузии. Изд. АН Груз. ССР, Институт геологии и минералогии. Монографии, I, Тбилиси, 1948.

2. ვ. მ. კაკაბაძე. საამშენებლო მასალების ტექნოლოგია, ნაწ. I, თბილისი, 1946.

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, X, 1950—1951.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, X, 1950—1951.

გრიგოლ დევდარიანი

მასალები სამეგრელოს ბორცვიანი ზოლის გეომორფოლოგიისათვის

სამეგრელოს ბორცვიანი რაიონი წარმოადგენს კოლხეთის ბარის ფარგლებში, მდ. ენგურსა და მდ. აბაშას შორის, მდებარე კავკასიონისპირა ბორცვიანი ზონის ნაწილს. ბორცვიანი ზონა სამკუთხოვანი ზოლის სახით უვლის კოლხეთის დაბლობს და ქმნის კავკასიონისა და აჭარა-იმერეთის მთების მაღალი ფერდობებიდან გამოყოფილ საფეხურს.

მთელი ზონის რელიეფის დამახასიათებელია ზედაპირის მცირე კუთხით კოლხეთის დაბლობისაკენ დახრილობა. ბორცვიანი ზონა, რომლის აბსოლუტური სიმაღლე ცვალებადობს 150-დან 300-400 მ-მდე, ძლიერ დანაწევრებულია ხშირი ჰიდროგრაფიული ქსელით. მდინარეები ერთმანეთს შორის გამოყოფენ მოვაკებული ზედაპირის მქონე, ზოგ შემთხვევაში დაბორცვილ გასწვრივ წყალგამყოფებს, რომელთა შემადგენელი ძირითადი ქანების გადარეცხილი ზედაპირი დაფარულია სხვადასხვა წარმოშობის მეოთხეული ნალექებით. რელიეფის დანაწევრების სიღრმე და სიხშირე მატულობს მაღალი მთებისაკენ, სადაც წყალგამყოფთა შეფარდებითი სიმაღლე აღწევს 130-150 მ.

განსახილველი რაიონის ვრცელი ცენტრალური ნაწილი წარმოადგენს ბორცვიან ვაკეს, რომელსაც სამხრეთით და აღმოსავლეთით ნახევარწრისებურად უვლის დაბალი (500-600 მ აბსოლუტური სიმაღლის) მთების მწკრივი. ამ რკალს მთლიანი გავრცელება არ აქვს; ზოგან იგი მდინარეული ხეობებით არის გარღვეული. ჩრდილო მხარეზე რაიონს აკრავს ბორცვიანი ზონის ფარგლებს გარეთ მდებარე სამეგრელოს ქედი, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან ყველგან აღემატება 1000 მ.

გეოლოგიურად აღნიშნული ზონა ემთხვევა კავკასიონის ინტენსიურად დანაოჭებულ მთათა სისტემის პერიფერიულ ნაწილს, რომ-

ლის საფუძველს წარმოადგენს სტაბილური მასა ანუ საქართველოს ბელტი (ა. ჯანელიძე). საქართველოს ბელტი უნდა ჩაითვალოს ბორცვიანი ზონის რელიეფის ჩამოყალიბების ერთ-ერთ ძირითად პირობად.

წინამდებარე ნაშრომს, ჩვენს მიერ ჩატარებულ საველე გამოკვლევებთან ერთად, საფუძვლად დაედო რაიონის შესახებ არსებული ლიტერატურული მასალა, რომელიც უმთავრესად მოიპოვება გეოლოგიური ხასიათის ნარკვევებში.

საკვლევი რაიონი გეოლოგიურად კარგად არის შესწავლილი, განსაკუთრებით უკანასკნელი 15-20 წლის განმავლობაში ბ. მეფერტის, ი. კაჭარავას, ა. ჯანელიძის, მ. ძველაიას და სხვების მიერ ჩატარებული ნაყოფიერი მუშაობის შედეგად.

რაიონის გეოლოგიური აგებულება შემდეგ სურათს იძლევა. უძველეს ფორმაციას შეადგენს ცარცული, რომელიც წარმოდგენილია ალბური, სენომანური და ტურონ-სენონური ნალექებით. მესამეულთან შედარებით მათ შეზღუდული გავრცელება აქვთ. ისინი მონაწილეობენ პერიფერიული მთების აგებულებაში. ცარცულ ნალექებს ახასიათებს პეტროგრაფიული მრავალფეროვანება, მაგრამ ყველაზე მეტი რაოდენობით წარმოდგენილია კირქვები. გარდა კირქვებისა, არის მერგელები, გლაუკონიტიანი ქვიშაქვები და „მთაერის წყება“ ვულკანოგენური ნალექებით. ეს უკანასკნელი გაშიშვლებულია ეკის მთის ფერდობზე.

ცარცული ნალექები ზემოთ იცვლება პალეოგენური მკვრივი კირქვებითა და ნაწილობრივ მერგელებით.

რაიონის ვრცელი შინაგანი ნაწილი შედგება ოლიგოცენური და განსაკუთრებით ნეოგენური ნალექებისაგან. ოლიგოცენი რაიონის ყველა ნაწილში ერთფეროვან ნალექებს — მაიკოპურ თიხებს შეიცავს. მიოცენური და პლიოცენური ნალექების კომპლექსი პეტროგრაფიულად მრავალფეროვანია; მათს ჭრილში მონაწილეობენ: თიხები, ქვიშაქვები, კონგლომერატები და სხვ. ნეოგენური ნალექები, რომლებიც გარდა კონგლომერატებისა და ზოგიერთი ქვიშაქვებისა, ფხვიერია.

კონგლომერატები, რომლებიც გავრცელებულია უმთავრესად რაიონის ცენტრალური ნაწილის ჩრდილო ნახევარში ზღვიურ ნალექებს შორის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სავარაუდო ზღვიურ ტერასებს, ყველაზე ახალგაზრდაა. მეოთხეულ ნალექებს შორის უდიდესი გავრცელებით სარგებლობს ალუვიონი.

უკანასკნელ ხანებში რაიონის ვრცელი ცენტრალური ნაწილის

გეოლოგიური აგებულება (სტრატიგრაფიული და ტექტონიკური სქემები) დააზუსტეს ა. ჯანელიძემ და მ. ძველაიამ (17,6).

ზემოჩამოთვლილი ყველა ასაკის წყებები სხვადასხვაგვარად აირეკლებიან რელიეფზე. კირქვები და კონგლომერატები მეტი სიმკვრივის გამო მაღალსა და მკვეთრ რელიეფს ქმნიან, ხოლო რბილი და ფხვიერი ქანები კი დაბალსა და სუსტად დანაწევრებულ ზედაპირებს.

საკვლევი რაიონის რელიეფში შესამჩნევად არის გამოსახული ტექტონიკური სტრუქტურაც, რომელიც აქ ძლიერ მარტივია. საქართველოს ბელტის საფუძველზე განვითარებული ტექტონიკური სტრუქტურა წარმოდგენილია ზეწრული ნაოჭებით (ა. ჯანელიძე). რაიონის პერიფერიულ ნაწილებში მდებარე მოკლე ანტიკლინური ნაოჭები ლითოლოგიური პირობების (მათს აგებულებაში მკვრივი ქანების მონაწილეობის) გამო თავიანთი, შედარებით მაღალი რელიეფით, განსხვავდებიან ცენტრალური ნაწილის სადა რელიეფისაგან. ვრცელი ცენტრალური ნაწილი, რომელიც ბ. მეფერტს სინკლინად მიაჩნდა, ა. ჯანელიძის და მ. ძველაიას ახალი გამოკვლევებით წარმოადგენს ნეოგენური ნალექებით ამოვსებულ დეპრესიას, რომელსაც ახასიათებს მარტივი ზედაპირული (ზეწრული) ნაოჭები — ბრაქიანტიკლინები და ბრაქისინკლინები. მათი მონაწილეობა რელიეფის შექმნის საქმეში უმნიშვნელოა.

გეოლოგიური აგებულება უნდა ჩაითვალოს მთავარ რელიეფწარმომქმნელ ფაქტორად. მნიშვნელოვანია აგრეთვე მიწის ზედაპირზე მოქმედი სხვა მუდმივი ფაქტორებიც. ჩვენი რაიონის თანამედროვე რელიეფისათვის ამ ფაქტორებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ჰავა და ჰიდროგრაფიული ქსელი. ხშირი და ძლიერი წვიმებით მიმდინარეობს ზედაპირის გადარეცხვა, ამავე დროს ძირითადი ქანები განიცდიან მექანიკურ და ქიმიურ დაშლას; ეს გარემოება მეორე მხრივ ხელს უწყობს ხშირი ჰიდროგრაფიული ქსელის შექმნას და მდინარეთა ცოცხალი ძალის მომატებას. რაიონის ჰიდროგრაფიული ქსელი შეიცავს მრავალ დიდსა და პატარა მდინარეს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ენგური, ხობისწყალი (შენაკადებით ჭანისწყლით და ოჩხომურით), ცივი, ტეხური, აბაშა და სხვ. თითოეულ მათგანს კიდევ აქვს მრავალი პატარა შენაკადი. დიდ მდინარეთა უმრავლესობის სათავე მდებარეობს რაიონის ფარგლებს გარეთ.

ატმოსფერული ნალექები რაიონის კირქვებით და კირქვის კონგლომერატებით აგებულ ნაწილებში იწვევენ ინტენსიურ დაკარსტვას.

ჩამოთვლილი ფაქტორები, რელიეფის მრავალფეროვანებასთან ერთად, რაიონს აძლევენ გეომორფოლოგიურ დამოუკიდებლობასაც.

სამეგრელოს ბორცვიანი ნაწილი პირველად დამოუკიდებელ გეომორფოლოგიურ რაიონად გამოყო ა. რეინგარდმა (14) და მას „სამეგრელოს დახრილი ვაკე“ უწოდა. იმავე მკვლევარმა, გაცილებით გვიან გამოქვეყნებულ ნაშრომში, იგი აფხაზეთ-სამეგრელოს კარსტულ ზონას დაუკავშირა. ასეთივე შეხედულება აქვს მოცემული ს. კუზნეცოვსაც (10). საერთოდ აფხაზეთ-სამეგრელოს კავკასიონისპირა ბორცვიანი ზონისა და, მით უმეტეს, სამეგრელოს ბორცვიანი რაიონის რელიეფის განვითარების ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორს კარსტი არ წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, რომ აქ ადგილი აქვს კარსტულ მოქმედებას. საკითხის იმგვარი გადაწყვეტა, როგორც ეს ზემოაღნიშნულ ავტორებს აქვთ, იმიტომაც არის მიუღებელი, რომ კავკასიონის კირქვიან-კარსტული ზონა გაცილებით მაღალია და მას ბორცვიან ზონასთან საერთო არაფერი აქვს.

ა. ჯავახიშვილი (16) თავის ადრინდელ ნაშრომში კოლხეთის ბორცვიან ნაწილს ვაკეთა მხარეს უწოდებს. იმავე ავტორის ახალ ნაშრომში (7) ჩვენი რაიონი მოცემულია კოლხეთის ზღვისპირა ბარის ნაწილად. რელიეფის განვითარების ძირითად მიზეზად ა. ჯავახიშვილი ასახელებს ტექტონიკურ სტრუქტურას; სხვა ფაქტორებიდან აღნიშნავს ეპეიროგენეზისს და მდინარეულ ეროზიას.

ა. ჯანელიძემ თავის ერთ-ერთ გეოლოგიურ გამოკვლევაში (რომელიც ჩვენს რაიონსაც ეხება) მოათავსა გეომორფოლოგიური მიმოხილვა და შრომას დაურთო გეომორფოლოგიური რუკა.

ზემოდასახელებული მკვლევრების უმრავლესობა, მიუხედავად ერთი და იმავე რაიონის რელიეფის შესახებ აზრთა სხვადასხვაობისა, მაინც ითვალისწინებს ტექტონიკური სტრუქტურის რელიეფისათვის გადამწყვეტი გავლენის მნიშვნელობას.

უკანასკნელ ხანებში ა. ჯანელიძის მიერ საქართველოს ბელტის პრობლემის გადაწყვეტასთან დაკავშირებით შესაძლებელი გახდა ბელტის გავლენის პირობებში მყოფი რაიონების რელიეფის განვითარების საკითხების განსაზღვრაც. რამდენადაც საქართველოს ნაწილის ტექტონიკურ სტრუქტურას უშუალოდ ეს მაგარი სხეული განსაზღვრავს, იმდენადვე ამ ნაწილის რელიეფიც ძირითადად ბელტის საფუძველზე განვითარებული ტექტონიკის ნაყოფი იქნება. მსგავსი პირობები ახასიათებს ბელტის გავლენის ქვეშ მყოფ კავკასიონისპირა მხარეებსაც, სადაც მარტივი ტექტონიკური

სტრუქტურის საფუძველზე შექმნილი ბორცვიანი რელიეფია გავრცელებული (18).

კოლხეთის დაბლობი ზოგან (მაგ. დიდ მდინარეთა გასწვრივ) ღრმად არის შეჭრილი ბორცვიანი ზოლის ფარგლებში. უმეტეს შემთხვევაში ბორცვიან რელიეფსა და დაბლობს შორის საზღვარი საკმაოდ მკვეთრია. რაიონის ჩრდილო ნაწილში დაბალ ბორცვიან რელიეფს სწრაფად სცვლის სამეგრელოს ქედის მაღალი და ციცაბო ფერდობი.

ჩვენ მიერ ჩატარებული საველე გამოკვლევების შედეგად შესაძლებლად იქნა მიჩნეული გამოგვეყო რელიეფის შემდეგი ტიპები: 1. დაბალი ანტიკლინური მთების რელიეფი, 2. მონოკლინური სერების რელიეფი, 3. ეროზიით დანაწევრებული ბორცვიანი ვაკის რელიეფი, 4. აკუმულაციური ვაკის რელიეფი.

თითოეული დასახელებული ტიპი შეიცავს ცალკეულ ფორმებს და ფორმათა კომპლექსებს, რომლებიც ურთიერთ შორის განსხვავდებიან, როგორც მორფოლოგიურად, ისევე გენეტიკურად. მათ განვიხილავთ გზადაგზა, მთავარი ტიპების დახასიათებისას.

დაბალი ანტიკლინური მთების რელიეფი

დაბალი ანტიკლინური მთების რელიეფი გავრცელებულია საკვლევი რაიონის სამხრეთ და აღმოსავლეთ პერიფერიულ ნაწილებში, სადაც მოცემულია ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მდებარე ანტიკლინური მთები: ურთას მთა, ეკის მთა, ნაქალაქევის მთა, აბედათის მთა. გარდა მორფოლოგიური პირობებისა მათს დამოუკიდებლობას აპირობებს ტექტონიკური მიზეზები, სახელდობრ, თითოეული მათგანის ბოლოებში პერიკლინურად დაძირვა.

ა. ჯანელიძის შეხედულებით ამ მთების ზონაში ადგილი აქვს ნაოჭთა დაჯგუფებას შენაცვლებითი წესით. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ისინი ბაქნურ პირობებში განვითარებული ზეწრული ნაოჭებია, რასაც იმავე მკვლევარის გამოთქმით, ისიც ადასტურებს, რომ დანაოჭებაში თხელი წყებების მონაწილეობის გამო პატარა ნაოჭები თავისუფლადაა განვითარებული (17).

გარდა ტექტონიკური სტრუქტურის აღნიშნული თავისებურებისა, ანტიკლინურ მთებზე სხვა რელიეფწარმომშობი პროცესებიც მიმდინარეობს; ასეთია, მაგალ., კარსტული მოქმედება, რომელმაც მნიშვნელოვნად შეცვალა მთების რელიეფი. მთებს შენარჩუნებული

აქვთ სტრუქტურული სახე, რაც გადამწყვეტ როლს ასრულებს მათი მორფოლოგიური ტიპის დადგენისათვის.

გეოლოგიური აგებულების მიხედვით ანტიკლინური მთები ერთმანეთს შორის მსგავსებას იჩენენ. ყველაზე ძველი, ცარცული ნალექები — კარბონატული თიხები, მერგელები და ქვიშაქვები — გაშიშვლებულია ურთას მთის დასავლეთ ნაწილში. მათ ალბურს აკუთვნებენ (9). გარდა ალბურისა, აქ ცნობილია სენომანური და ტურონ-სენონური მერგელები და კირქვები. ეკის მთის გეოლოგიურ ჭრილში ყველაზე ძველია „მთავრის წყების“ ვულკანოგენური ფორმაცია, რომელიც წარმოდგენილია ტუფოგენური ქვიშაქვებით. მას ცვლის ტურონ-სენონური კირქვები. ამავე კირქვებითაა აგებული აბედათის მთის ანტიკლინის გულიც. ანტიკლინების ცარცული ნალექები ზემოთ იცვლებიან ეოცენური კირქვებით და მერგელებით.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, დასახელებული მთები დამოუკიდებელი ანტიკლინებია, მაგრამ შემადგენელი შრეების დახრილობის კუთხის უთანაბრობის გამო ისინი ასიმეტრიულია. მათი სამხრეთი ფრთა მეტადაა დახრილი, ვიდრე ჩრდილო. ბ. მ ე ფ ე რ ტ მ ა (12) ეკის მთის ანტიკლინის ასიმეტრიულობა შარიაჟული მოვლენით ახსნა და სამხრეთ ფერდობზე წყვეტი ივარაუდა. ი. კ ა ჭ ა რ ა ვ ა მ (9) უარყო ეკის მთის ტექტონიკის ასეთი გაგება და სამხრეთი ფრთის ძლიერი დახრილობა ნაოჭის სამხრეთისაკენ გადაწოლით ახსნა. ამავე აზრს იზიარებს ა. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე ც, რომელიც საერთოდ ამ ნაოჭებს ბრაქიანტიკლინებად თვლის (17).

შემადგენელი ქანების ლითოლოგიური ხასიათი და ტექტონიკური აგებულება ძირითადად აპირობებენ ანტიკლინური მთების მორფოლოგიურ თავისებურებას.

ძლიერი დაკარსტვის შედეგად კირქვებით აგებულ თხემებზე გავრცელებულია სხვადასხვა ზომის ძაბრები და იშვიათად ვრცელი კარსტულ-ეროზიული დეპრესიებიც (ეკის მთაზე ერთ-ერთ ასეთ დეპრესიაში მდებარეობს სოფ. ზედა შხეფი); ფერდობებზე გვხვდება მღვიმეებიც. მაგ., ურთას მთის დასავლეთ ნაწილში, ჯუმის ხეობის ფერდობზე, სხვადასხვა სიმაღლეზე მდებარე რამდენიმე მღვიმეა. ზედა მღვიმე ყოველთვის მშრალია, ქვედა კი წყლიანი. კარსტული წყლების დონის დაწევით და ქვედა მღვიმის გაჩენით ზედა მღვიმე მშრალი დარჩა. მსგავსი მოვლენა მეორდება ეკის მთაზეც. მის ჩრდილო ფერდობზეც არის ურთას მთის მღვიმეებისებური განლაგების მქონე რამდენიმე მღვიმე, რომელთაგან ზედა აქაც მშრალია.

მსგავსი შემთხვევის რამდენჯერმე განმეორება საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ურთასა და ეკის მთებზე კარსტულმა მოქმედებამ საკმაოდ ხანგრძლივი და ცვალებადი განვითარება განიცადა. ზედა მღვიმეები ქვედა წყლიან მღვიმეებთან შედარებით ძველია, რაც მიწისქვეშა წყლის დონის ცვალებადობასთან იყო დაკავშირებული, უკანასკნელს კი აღნიშნული მთების ვერტიკალური ამოწევა იწვევდა. ამრიგად, ანტიკლინური მთების რელიეფის ზოგ მიკრო და მეზო ფორმების განვითარების მთავარ ფაქტორად უნდა ჩაითვალოს კარსტული მოქმედება, რომელიც გარდა თხემებისა, გაშიშვლებულ ფერდობებზეც აირეკლება.

როგორც აღნიშნული იყო, საკვლევი მთების რელიეფის განვითარებაში შესამჩნევი წვლილი შეიტანა საერთოდ ჰიდროგრაფიულმა ქსელმა, კერძოდ, მდინარეებმა: ტეხურმა და მუნჩიამ. პირველი მათგანი ჰკვეთს ნაქალაქევის მთას, მეორე—ურთას. ტეხური ნაქალაქევის მთის ფარგლებში აჩენს ვიწროსა და ღრმა კანიონის ტიპის გამკვეთ ხეობას. ა. ჯანელიძე ტეხურის გამკვეთ ხეობას ეპიგენეტური წარმოშობით ხსნის. ამ შეხედულებას აღნიშნული მკვლევარი ადასტურებს მით, რომ მდინარემ არც აღმოსავლეთით მდებარე დადაბლებით ისარგებლა და არც სამხრეთ-დასავლეთ სინკლინურად მოთავსებულ თიხოვან-ქვიშიან ქანებს გაყვა. ჩვენი ვარაუდით, ის მოძრაობა, რომელმაც კანიონი წარმოშვა (ან დასაწყისი მისცა მის წარმოშობას), უნდა დაუკავშირდეს ნაქალაქევის მთის ჩრდილოეთით მდებარე ტეხურის ხეობის განვითარების პირველ სტადიას, ე. ი. მისი პირველი ტერასის გაჩენის ეპოქას (იხ. ქვემოთ). მაშინ მდინარის კალაპოტი გაცილებით მაღლა მდებარეობდა ახლანდელთან შედარებით. ახალმა მოძრაობამ ეკი-ნაქალაქევის მთების ამოწევა და ხეობის გაღრმავება გამოიწვია. ამრიგად, ტეხურის გამკვეთი ხეობა ნაქალაქევთან ანტეცედენტურად შეიძლება ჩაითვალოს.

მდ. მუნჩია ურთას მთას ჰკვეთს სოფ. ხეთასთან. მისი ხეობაც კირქვებში მდებარეობს, მაგრამ იგი ტეხურის ხეობის მსგავსად ღრმა და კანიონისებური არ არის. ამავე დროს უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მუნჩია, ტეხურთან შედარებით, გაცილებით პატარაა. ტეხურის სათავე მდებარეობს სამეგრელოს ქედზე, მუნჩიასი კი—ურთას მთის ჩრდილოეთით, საკვლევი რაიონის დასაელეთ ნაწილში. რა თქმა უნდა, მუნჩიას სიპატარავეს მნიშვნელობა არ აქვს იმ შეხედულებისათვის, რომელსაც აღვნიშნავთ მისი ხეობის გენეზისის შესახებ.


ადგილზე დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ ურთას მთის ფარგლებში და მის ჩრდილოეთით, მუნჩიას ხეობა უკუსვლითი ეროზიით განვითარდა. მისი სათავე ადრე ურთას მთის სამხრეთ ფერდობზე მდებარეობდა და მდინარე აწარმოებდა სიღრმითს ეროზიას, რაც ნაოჭის ამოწევის პროცესში ძლიერდებოდა. ამ პროცესში მდინარის სათავის თანდათანობით გადაადგილება ხდებოდა მთის მაღალი ნაწილისაკენ, საბოლოოდ სათავე მთის მეორე მხარეზე მოექცა, სადაც, შესაძლებელია, იგი შეუერთდა სხვა მდინარეს, რომელიც ურთას მთის გასწვრივ მოედინებოდა.

სხვა ნიშნებთან ერთად მუნჩიას ხეობის უკუსვლით წარმოშობაში მისი ტერასული ნალექების ლითოლოგიამაც დაგვარწმუნა. ურთადან გამოსვლისას მუნჩიას ხეობაში არის ორი ლოკალური ტერასა, რომელთაგან უფრო ძველი და მაღალი აგებულია მხოლოდ კირქვის მასალით, ხოლო დაბალი და ამავე დროს ახალგაზრდა ტერასის შემადგენლობაში, გარდა კირქვის მასალისა, მონაწილეობს მესამეული ქანების (თიხებისა და ქვიშაქვების) გადარეცხვის მასალაც, რომელიც მდინარეს შეეძლო მოეტანა მხოლოდ მთის ჩრდილო მხარეზე მდებარე მესამეული ქანებით აგებული მაღლობებიდან.

აბედათის მთის აღმოსავლეთ ნაწილში მოედინება მდ. აბაშა, რომელიც ჰკვეთს აბედათ-მოთელას მთების დამაკავშირებელ კირქვიან მაღლობებს. ხეობის ორივე ფერდობი აქ ციცაბოა, მაგრამ საკმაოდ განიერი (1-1,5 კმ-მდე). ხეობის ეს განიერი ნაწილი მდინარის ძველი ფსკერია, რომელშიც აბაშამ განავითარა ახალი ღრმა კანიონი; ეს შორი მანძილიდან დამკვირებლისათვის შეუმჩნეველი რჩება (სურ. 1). კანიონი ვიწროა და ღრმა (20-25 მ-მდე).

ხეობის ზედა გაგანიერებული ნაწილი კანიონის თავზე დაფარულია ერთ მეტრამდე სისქის კირქვის ნატეხებისაგან შემდგარი ალუვიონით. მდინარის მარცხენა ფერდობზე არის 5-6 მ სიმაღლის ტერასა (ნაგულისხმევია საფეხურის საკუთარი სიმაღლე).

აბაშის ხეობის აღწერილი რელიეფი მოგვაგონებს ტეხურის კანიონისებური ხეობის გენეზისს, რომელიც დაკავშირებულია ახალგაზრდა ოროგენეტულ მოძრაობასთან. აბაშის ხეობაც გამკვეთია, მიუხედავად იმისა, რომ მისი განვითარება რამდენიმედ განსხვავებულ პირობებში მოხდა. პირველი მოძრაობის შედეგად მდინარემ გადაკვეთა აბედათის მთის აღმოსავლეთი ნაწილი და წარმოშვა ღრმა, მაგრამ განიერი ხეობა. მეორე მოძრაობამ, რომელიც პირ-


აბაშის ტოტის განივი სქემატური ჭრილი აბჭესთან
1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
ალუვიური ნალექები
ქვარქვული ქანები
მასშტაბი
ვერტიკ. 1:1000
ჰორიზონტ. 1:10 000

სურ. 1

ველთან შედარებით უფრო სწრაფად დაგვირგვინდა, გააჩინა კანიონი.

რელიეფის აღნიშნული ტიპის მოცემული დახასიათება საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ შემდეგი: სამეგრელოს ბორცვიანი რაიონის სამხრეთი და აღმოსავლეთი განაპირა მთები (ურთა, ეკი, ნაქალაქევი და აბედათი) მორფოლოგიურად და ტექტონიკურად ერთმანეთის მსგავსია, რაც უფლებას გვაძლევს გავაერთიანოთ ისინი რელიეფის ერთ ტიპში. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ დასახელებულ მთებს, როგორც ახალგაზრდა მთებს, არ გაუცდიათ ძველი მთიანი მხარეების მსგავსი ხანგრძლივი დენუდაცია, ამიტომ მათს რელიეფში კარგად არის ასახული პირვანდელი მარტივი, მაგრამ თვალსაჩინო ტექტონიკური სტრუქტურა.

მონოკლინური სერების რელიეფი

მონოკლინური სერების რელიეფი წარმოდგენილია, როგორც ზემოაღნიშნული ანტიკლინური მთების ორივე მხარეზე, ისევე რაიონის ჩრდილო ნაწილში, სამეგრელოს ქედის გასწვრივაც. ამ რელიეფის ცალკე გამოყოფას საფუძვლად უდევს ის გარემოება, რომ რელიეფის სხვა ტიპებს შორის თავისი განმასხვავებელი ნიშანთვისებებით იგი მორფოლოგიურ დამოუკიდებლობას იჩენს. ეს განსხვავება არ ამოიწურება მარტო რელიეფის გარეგნული ხასიათით, არამედ ტექტონიკურ აგებულებაშიც გამოვლინდება.

სერები აგებულია ოლიგოცენის და ნეოგენის ფხვიერი ქანებით (ქვიშაქვებით, თიხებით და სხვ.). მათი შრეები თითქმის ყველგან ერთ მხარეზეა დახრილი. ზედაპირის დახრილობის კუთხე ხშირად შრეების დახრილობის კუთხეს უახლოვდება, ამიტომ სერების ზონას ემჩნევა მონოკლინური სტრუქტურის მქონე მხარეებისათვის დამახასიათებელი კუესტური რელიეფი.

სერების მორფოლოგიური სტრუქტურის საერთო დამახასიათებელია ერთმანეთს შორის პარალელური, გასწვრივი ხეობებით გამოყოფილი მოგრძო მაღლობები.

მთისპირა სერებმა მორფოლოგიური დამოუკიდებლობა მიიღეს მის შემდეგ, რაც ადრინდელმა ძლიერმა დენუდაციამ შეცვალა ზემოგანხილული ანტიკლინური მთების პირვანდელი რელიეფი. პირველ ხანებში სერები ამ მთების შემადგენლობაში შედიოდნენ; მათი ამგები მესამეული წყებების ნაწილი ანტიკლინების მთავარ შემადგენელ კირქვებს ფარავდა. სერების ანტიკლინებისაგან გამო-


ყოფა მოხდა ამ უკანასკნელთა მესამეული ქანებისაგან გათავისუფლების შემდეგ. ამჟამად სერები ანტიკლინებისაგან გამოყოფილია გასწვრივი და ღრმა, ზოგჯერ საკმაოდ განიერი ეროზიული ტაფობებით, რომელთა წარმოშობა რბილი და მკვრივი ქანების კონტაქტზე ლითოლოგიური პირობებით არის გამოწვეული.

გარდა ლითოლოგიური პირობების და ჰიდროგრაფიული ქსელის გადამწყვეტი როლისა, სერების რელიეფის განვითარებაზე თავისებური გავლენა მოახდინა დამეწყვრამ, რომელიც დაკავშირებულია ოლიგოცენურ (მაიკოპურ) თიხებთან.

სერების ფარგლებში ფართოდაა გავრცელებული ეროზიული და აკუმულაციური ფორმები. აკუმულაციური ფორმები მაღლობთა ფერდობებზე სხვადასხვა ტერასული საფეხურით არის წარმოდგენილი. ტერასების უმრავლესობა ალუვიურია, მაგრამ არის ზღვიური ტერასებიც. მაგ., ამ უკანასკნელს უნდა მიეკუთვნოს სერების სამხრეთ ფერდობზე მდებარე ორი ტერასა, რომელთაგან ზედა 40 მ სიმაღლისაა, ხოლო ქვედა — 12-14 მ. ორივე საფეხური გრძელდება აღმოსავლეთით მდ. ხობისწყლისაკენ. მაღალი ტერასა აგებულია მოყვითალო-მოწითალო ფერის ქვიშიანი თიხებით და რიყის ქვებით, რომელთაც შრეებრივობა ემჩნევა. მდ. ცივთან აღნიშნული ტერასები გადარეცხილია. აღმოსავლეთით ანალოგიური ტერასები ფრაგმენტების სახით გეხვდება ეკისპირა სერებზეც.

ალუვიური ტერასები კარგად არის შენახული ტეხურისა და აბაშის ხეობებში. ტეხურის ხეობაში შემჩნეულია სამი ტერასა, რომელთაგან მეტი გავრცელება აქვს ორს (სურ. 2). პირველი ტერასის სიმაღლე საშუალოდ აღწევს 5-7 მ, მეორესი 16-20 მ, მესამესი კი — 30-35 მ. გარდა მდ. ენგურის ტერასებისა, რაიონის სხვა ალუვიური ტერასებიც დაახლოებით ასეთივე სიმაღლისაა.

გარდა ხეობებისა, აკუმულაციური ფორმები გავრცელებულია ვაკე ან დაბორცვილი ზედაპირების მქონე წყალგამყოფებზეც. წყალგამყოფთა აკუმულაციური ფორმები წარმოდგენილია ძველი კონტინენტური ნალექებით, რომელთა წარმოშობა დაკავშირებულია, როგორც მიმდინარე წყლებთან, ისევე მდგარ აუზებთან. ასეთი ნალექები განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა სამეგრელოს ქედისპირა სერებზე. ტეხურ-გურძემის წყალგამყოფზე მათი გავრცელების სამხრეთი საზღვარი სოფ. გურძემის მიდამოებში მდებარეობს. ნალექების სისქე სამეგრელოს ქედთან მიახლოებისას მატულობს, რაც დასტურდება სოფ. ტალერთან მდებარე საუცხოო გაშიშვლებებით. ნალექების აღმავალ ჭრილში აღინიშნება შემდეგი ლითო-



სურ. 2

ალუვიურ-დელუვიური კონგლომერატები და თიხები წყალგამყოფებზე

მესამეული ქვიშაქვები და თიხები.

ლოგიური ცვალებადობა: მესამეულ ნალექებს უთანხმოდ ადევს სუსტად შეცემენტებული კონგლომერატი, რომელსაც ახასიათებს მუქი და ხან ღია ყვითელი ფერის თიხების შიდაშრეები. ჭრილის ზედა ნაწილში თიხიანობა მატულობს; აქ ერთმანეთთან მორიგეობენ ყვითელი, ზოგჯერ მიხაკისფერი, ნაცრისფერი და მოლურჯო თიხები. კიდევ ჩრდილოეთით სოფ. კურზუსკენ მთელი ნალექების კომპლექსის სისქე მატულობს, ამავე დროს იცვლება შემადგენლობაც: წვრილი მასალის ადგილს თანდათანობით მსხვილი მასალა იკავებს. ჭრილის ქვედა ნაწილში ზემოდასახელებული კონგლომერატის ფენა აქ გაცილებით უფრო მსხვილ ლოდებს შეიცავს. მთებთან მიახლოებისას მასალის შემადგენლობის ცვალებადობა (დამსხვილება) აშკარად ადასტურებს მათს ალუვიურ წარმოშობას. ა. ჯანელიძემ (17) ეს ნალექები ტეხურის დელტას მიაკუთვნა და პლიოცენურად (კიმერიულად) დაათარიღა.

მათი წარმოშობა, გარდა მდინარე წყლებისა, მდგარ აუზთანაც არის დაკავშირებული, რაც ნალექების ჰორიზონტალური და ვერტიკალური მიმართულებით ფაციესის ცვალებადობით და ხლართული შრეებრივობით დასტურდება. მაშასადამე, ეს კონტინენტური ნალექები ალუვიურ-ტბიური წარმოშობისაა. რაიონის ჩრდილო ნაწილის რელიეფის ჩამოყალიბებაში, სხვა გეოლოგიურ ფორმაციებთან ერთად, თავისი წვლილი შეიტანა აღწერილი კონტინენტური ნალექებით შექმნილმა აკუმულაციურმა ფორმებმა, რომელთა გენეზისისა და ასაკის საკითხს ქვემოთ კიდევ დავუბრუნდებით.

ეროზიით დანაწევრებული ბორცვიანი ვაკის რელიეფი

ბორცვიანი ვაკის რელიეფი ახასიათებს რაიონის ვრცელ ცენტრალურ ნაწილს, რომელსაც დასავლეთიდან ესაზღვრება ენგურის აკუმულაციური ტერასები. ხოლო დანარჩენი სამი მხრიდან შემოფარგლულია ზემოგანხილული მთისპირა სერებით. ეს რელიეფი, მიუხედავად ზედაპირის ჰიდროგრაფიული ქსელით ინტენსიურად დანაწევრებისა, არ დახასიათდება სიმაღლეთა დიდი სხვაობებით. აქაურ წყალგამყოფებს დაახლოებით თანაბარი და მცირე სიმაღლე ახასიათებს, რაც უფლებას გვაძლევს რაიონს ვუწოდოთ ბორცვიანი ვაკე.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, განსახილველი რაიონი წარმოადგენს ვრცელ ნეოგენურ აუზს ზეწრული ნაოჭებით. თუ მხედ-

ველობაში არ მივიღებთ ანტიკლინთა გულში და სამხრეთ ნაწილში გაშიშვლებულ მიოცენურ (უმთავრესად სარმატულ) ნალექებს, რაიონი უმთავრესად დაფარულია პლიოცენური ქანებით, რომელთა შორის უდიდესი გავრცელება აქვს კირქვის კონგლომერატებს; მათი წარმოშობა დაკავშირებულია სამეგრელოს ქედის შემადგენელი კირქვების გადარეცხვასთან. კირქვის კონგლომერატები ინტენსიურად შეცემენტებულია, რის გამოც ეგზოგენური ფაქტორების მოქმედებას ისინი მეტ წინააღმდეგობას უწევენ, ვიდრე აქვე გავრცელებული სხვა დანალექი ქანები.

კირქვის კონგლომერატებით აგებულია რაიონის ჩრდილო ნაწილი, ფხვიერი ქანებით კი — სამხრეთი. ლითოლოგიის ასეთი სხვადასხვაობით გამოწვეულია რელიეფის მხრივ სხვაობაც. ხშირი და ღრმა მდინარეული ხეობებით დანაწევრებულ კონგლომერატოვან ზედაპირებზე აღსანიშნავია მაღალი და მკვეთრი რელიეფი, ხოლო ფხვიერი ქანებით აგებულ სამხრეთ ნაწილში განვითარებულია განიერი და მცირე სიღრმის ხეობები, რომლებიც ერთმანეთისაგან გამოყოფილია ძველი ალუვიონით დაფარული დაბალი და ვაკეზედაპირიანი წყალგამყოფებით.

ზეწრული ნაოჭების მონაწილეობა რელიეფის შექმნის საქმეში უმნიშვნელოა და თითქმის შეუმჩნეველი. ეს, გარდა ამ ნაოჭების ტექტონიკის ბელტური ბუნების და ლითოლოგიური პირობებისა, უნდა აიხსნას ზედაპირის ხშირი დანაწევრებით და გადარეცხილობით, აგრეთვე ნაოჭების ამგებ წყებების მცირე სისქით. ამ მხრივ ეს რელიეფი მკვეთრად განსხვავდება ანტიკლინური მთებისაგან, რომელთა რელიეფში კარგად არის გამოსახული ნაოჭების ხასიათი.


საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ ბორცვიან ვაკეს ახასიათებს სამხრეთისაკენ მცირედ დახრილი ზედაპირი, რომელსაც აქვს მარტივი პარალელური დანაწევრება მდინარეული ხეობებით, ე. ი. ისეთი ხეობებით, რომლებიც ემორჩილებიან პირველადი დახრილობის მიმართულებას. სხვა მიმართულება მხოლოდ მთავარ მდინარეთა ზოგიერთ შენაკადს ახასიათებს.

რელიეფის საერთო მიმოხილვის შემდეგ განვიხილავთ ლითოლოგიური პირობების საფუძველზე განვითარებულ ფორმებს, რომელთა შორის პირველი ადგილი უკავია კარსტს. გეოლოგიური აგებულების დახასიათებისას აღნიშნული იყო, რომ ნეოგენური ნალექები წარმოდგენილია ქვიშაქვებით, თიხებით და კონგლომერატებით, ე. ი. ისეთი ქანებით, რომლებიც არ არიან მიჩნეული

კარსტის წარმომშობად. მიუხედავად ამისა, რაიონში ფართოდ არის გავრცელებული კარსტული მოვლენები. განსაკუთრებით დიდ განვითარებას აღწევს მიწისქვეშა ფორმები, რომლებიც პირველად 1938 წ. ჩატარებული საველე მუშაობის დროს ჩვენ მიერ იქნა ნახული და აღწერილი. კარსტული მოქმედება მიმდინარეობს უმთავრესად პლიოცენური ასაკის კირქვის კონგლომერატებში. დასახელებულ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა ჩვეულებრივ კარსტწარმომშობ კარბონატულ ქანებთან, არამედ კონგლომერატებთან და ზოგჯერ ქვიშაქვებთანაც. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ, კირქვისაგან განსხვავებით, კონგლომერატის კარსტი ზედაპირული ფორმებით ღარიბია, იგი აქ მხოლოდ მიწისქვეშა ფორმებით (მღვიმეებით) არის წარმოდგენილი. კონგლომერატი შედგება კარბონატული მასალით ინტენსიურად შეცემენტებული კირქვის რიყისაგან; ჰრილში შესამჩნევია შრეების ლითოლოგიური ერთფეროვნება; გამონაკლისს წარმოადგენს მკვრივი მსხვილმარცვლოვანი ქვიშაქვის შუაშრეები, რომლებიც ეროზიის მიმართ კონგლომერატზე მეტ გამძლეობას იჩენენ. კონგლომერატით აგებული გაშიშვლებული ზედაპირები განიცდიან ძლიერ დენუდაციას, რის შედეგადაც მიმდინარეობს კონგლომერატის შემაკავშირებელი მასალის სწრაფი გამორეცხვა და ქანის დაშლა. ასეთი პროცესის შედეგს წარმოადგენს კონგლომერატით აგებულ წყალგამყოფებზე ზოგიერთი მკვრივი შრის საფუძველზე განვითარებული კონუსური მაღლობები. ანალოგიურ პროცესებთან არის დაკავშირებული მღვიმეების განვითარებაც. უნდა შევნიშნოთ, რომ კონგლომერატის ამგები მასალა — კირქვის რიყის ქვები გახსნას არ განიცდიან, რადგან მათი შემაკავშირებელი მასალის გამორეცხვის პროცესი ჩქარა მიმდინარეობს. ამავე მიზეზით უნდა აიხსნას მღვიმეების ნაღვენთი ფორმებით სიღარიბე.

ჩვენ მიერ აღწერილ მღვიმეთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია: ნოღასი, ნაზოდელაოსი, სავეკუოსი, გარახასი და კორცხელისა. ისინი დაკავშირებული არიან ამა თუ იმ მდინარეულ ხეობასთან. ყველა მღვიმეს ახასიათებს ერთმანეთის მსგავსი შინაგანი ფორმები. მათი სიგრძე ჩვეულებრივად ერთ კილომეტრამდეა ან მეტი. აქვთ განტოტებები. მღვიმეებიდან გამოედინება მცირე დებიტის ნაკადული, რომელიც მათი გამდინარობის გამო წვიმების დროს მომატებას განიცდის. ფსკერის დახრილობის გამო მღვიმეში ნაკადული აწარმოებს სიღრმითს ეროზიას, რის შედეგსაც წარმოადგენს ფსკერზე და კედლებზე არსებული საფეხურები (სურ. 3). ყველა მღვიმე,

ნაბილოვის მღვიმის განივი ჭრილი.




სურ. 3.

გარდა საეკუოსი, დასათვალიერებლად ადვილად ხელმისაწვდომია. მღვიმეების განვითარებას ხელს უწყობს ნაპრალებში ჩანადენი წყლის მექანიკური და ქიმიური მოქმედება. ამ პროცესებიდან ჭარბობს მექანიკური. იმ შემთხვევაში, როდესაც მკვრივი ქვიშაქვის შრეები მეტია, მღვიმე ღრმაა, ვიწრო და ძნელად მისადგომი. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს საეკუოს მღვიმე (სურ. 4).

ზემოდასახელებულ მღვიმეებს შორის თავისი მორფოლოგიური თვისებებით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მდ. ჯუმის მარცხენა ნაპირზე მდებარე კორცხელის მღვიმეს. იგი მდებარეობს კარაგანულ, ოდნავ კარბონატულ ქვიშაქვებში. მღვიმე ჰერისაკენ ვიწროვდება, რითაც რაიონის სხვა მღვიმეებისაგან განსხვავდება. ფსკერზე მოედინება ნაკადული, რომლის დებიტი ცვალებადობას განიცდის მღვიმის გამდინარეობის გამო. კედლების გასწვრივ არის დაბალი ტერასისებური საფეხური, რომელიც სხვა მღვიმეთა საფეხურებისაგან განსხვავებით აკუმულაციური წარმოშობისაა. მღვიმის გენეზისი აშკარად ნაპრალის გაგანიერებასთან არის დაკავშირე-

საკვლევის მღვიმის განივი ჭრილი.



სურ. 4.

ბული. იგი კონგლომერატის მღვიმეებთან შედარებით უფრო მდიდარია ნაღვენთი ფორმებით.

როგორც აღნიშნული ცნობებიდან ჩანს, აღწერილი მღვიმეები მოგვაგონებენ მიწისქვეშა ეროზიულ ხეობებს; მიუხედავად ამისა, მათ ჩვენ ვიხილავთ როგორც კარსტულ ფორმებს.

ცნობილია, რომ კირქვიან-კარსტული მხარეები ღარიბია ზედაპირული ჰიდროგრაფიული ქსელით; საკვლევი რაიონის კონგლომერატებით აგებული ნაწილი კი ძლიერ დანაწევრებულია მდინარეთა ხშირი ქსელით. მღვიმეების განვითარებაში ჰიდროგრაფიულმა ქსელმა აქტიური მონაწილეობა მიიღო. ისინი თითქმის ზედაპირულ მდინარეთა მიწისქვეშა გაგრძელებაა. ამრიგად, რამდენადაც მღვიმეების განვითარება დაკავშირებული იყო მდინარეებთან, ამდენად შესაძლებელია მათი ერთმანეთს შორის ასაკობრივი და გენეტიკური პარალელიზაცია. ამ საკითხზე ქვემოთ კიდევ შევჩერდებით.

9. ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, X, 1950—1951.

აკუმულაციური ვაკის რელიეფი

აკუმულაციური რელიეფის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს საკვლევი რაიონის დასავლეთ ნაწილში, სამეგრელოსა და აფხაზეთის ბორცვიან ვაკეებს შორის მდებარე ენგურისპირა დაბლობი, რომლის შექმნაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნის მდ. ენგურს. ენგურისპირა რაიონი წარმოდგენილია რამდენიმე ტერასით, რომელთაგან უძველესი საფეხური, თავისი ხშირად დანაწევრებული ზედაპირით, შეიძლება ჩაითვალოს განხილული ბორცვიანი ვაკის გაგრძელებად. აკუმულაციური ვაკის ზედაპირის სამხრეთისაკენ თანდათანობით დახრილობასთან ერთად იცვლება საფეხურების შეფარდებითი სიმაღლეც, რაც, საერთოდ, აქაური ტერასებისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი მორფოლოგიური თვისებაა.

მდ. ენგურის ტერასები პირველად აღწერა ბ. მეფერტმა (12), რომელმაც გამოყო სამი საფეხური: I 15 მ, II 79-90 მ, III 150 მ. გარდა ამ სამი ტერასისა, მან ივარაუდა კიდევ 25-30 მეტრიანი ტერასის არსებობაც. უძველეს საფეხურს მისცა მინდელური ასაკი, მეორეს — რისული, დანარჩენი, უფრო ახალგაზრდა ტერასები, მიაკუთვნა ვიურმულს.

მეფერტის ეს სქემა ენგურის მარჯვენა ნაპირზე არსებული ტერასებისათვის გამოიყენა ო. მიხაილოვსკაიამ (13).

ადგილზე ჩატარებული დაკვირვებების შედეგად დავრწმუნდით, რომ ენგურს აქვს ოთხი ტერასა, რომელთაგან ორი (ახალგაზრდა) ლოკალურია, ხოლო ორ დანარჩენს ახასიათებს უწყვეტი გავრცელება. ყველა ტერასა აგებულია სუსტად შეკავშირებული ალუვიური კონგლომერატით. სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, მთებთან მიახლოებისას, ტერასების სიმაღლე მატულობს, რის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად ხმელეთის ვერტიკალური მოძრაობის ამპლიტუდის ზღვიდან კავკასიონისაკენ მატება უნდა ჩაითვალოს.

აღნიშნული ტერასებისათვის ჩვენ მივიჩნიეთ შემდეგი საშუალო სიმაღლეები: I 10-14 მ, II 20-25 მ, III 40-45 მ, IV 100-110 მ. თითოეული მათგანი ჩრდილოეთით, სოფ. ჯვარის მიდამოებში, გაცილებით მაღალია.

აკუმულაციური ვაკის აღმოსავლეთ ნაწილში, ენგურიდან რამდენიმე კილომეტრზე, მდებარეობს ენგურის უძველესი (IV) ტერასა, რომლის ალუვიონით დაფარულია ნეოგენური ნალექები. ეს ტერასა გავრცელებულია თითქმის მთა ურთამდე, მაგრამ სამხრეთ ნაწილში ალუვიონის სისქე მცირდება, ზოგან კი — გადარეცხილია.

ამ ტერასის შემადგენელი ნალექები ზემოგანხილული ალუვიურ-ტბიური ნალექების ანალოგიურია, ამიტომ შეიძლება მოვახდინოთ მათი გენეტიკური და ასაკობრივი პარალელიზაცია.

III ტერასა სიმაღლით ეფარდება ურთას მთის სამხრეთ მხარეზე მდებარე, ჩვენ მიერ ნავარაუდევ, 40 მეტრიან ზღვიურ ტერასას.

რელიეფის განვითარების ისტორია

სამეგრელოს ბორცვიანი რაიონის თანამედროვე რელიეფის განვითარება დაკავშირებულია, ერთი მხრივ, კავკასიონისა და, მეორე მხრივ, დასავლეთ საქართველოს მთათაშორისი დეპრესიის (ა. ჯავახიშვილი, 7) გეოლოგიურ და გეომორფოლოგიურ ჩამოყალიბებასთან.

კავკასიონისა და სამხრეთ მთიანეთის (ანტიკავკასიონის) წარმომშობ მოძრაობამდე გეოსინკლინებს შორის მდებარეობდა ძველი ხმელეთი, რომლის გადარეცხვის პროდუქტები ამ ხმელეთის ორივე მხარეზე ილექებოდა. ეს ხმელეთი მიჩნეულია კავკასიის ძველ გეოტექტონიკურ ერთეულად; მან აქტიური მონაწილეობა მიიღო დასახელებული გეოსინკლინების დანაოჭების საქმეში. იგი ამავე დროს წარმოადგენს ოროგენის ნაწილს და მოძრაობის დროს თვითონაც განიცდიდა მცირე ცვალებადობას (ა. ჯანელიძე). ამ ხმელეთს, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ა. ჯანელიძემ საქართველოს ბელტი უწოდა. ბელტის გაშიშვლებული ნაწილი ძირულის მასივია, რომელიც დასავლეთისაკენ გაფართოებას განიცდის. იგი საფუძვლად უდევს კოლხეთის ბარს და მის მოსაზღვრე რაიონებს, ე. ი. დასავლეთ საქართველოს ისეთ ნაწილებს, რომელთა შემადგენელ ქანებს სიმძლავრისა და ფაციესის მიხედვით ახასიათებს ბაქნური ან ბაქნურიდან გეოსინკლინურისაკენ გარდამავალი თვისება.

მკვლევართა ნაწილის მიხედვით კავკასიონის მთავარი გეოსინკლინის ფარგლებში ძლიერი მთათაწარმომშობი მოძრაობა მოხდა მესამეულში, პალეოგენისა და ნეოგენის საზღვარზე. ვ. ბელოუსოვის შეხედულებით მიოცენამდე კავკასიონის გეოსინკლინში მნიშვნელოვან ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია; მიოცენის დასაწყისში ძლიერმა ოროგენეზისმა კავკასიონის ინვერსია გამოიწვია და გეოსინკლინური რეჟიმი გეოანტიკლინური პირობებით შეცვალა, რასაც დაერთო ძლიერი ეროზია. იმავე მკვლევა-

რის მიხედვით ნეოგენში კავკასიონის მცირე მასშტაბით ამოწევა მიმდინარეობდა, რაც ამ ქედის ცენტრალური ნაწილის გაგანიერებას იწვევდა (1). ამრიგად, კავკასიონისა და სამხრეთი მთიანეთის წარმოშობის შემდეგ მათ შორის მდებარე სივრცე გადაიქცა მთათაშუეთად, რომელიც ახალი ტექტონიკური მოძრაობების გამო ნეოგენში ისევ იფარებოდა თხელი ზღვით. ეს მოვლენა ბუნებრივია თუ ამა თუ იმ მთიანი მხარის წარმოშობის ისტორიის განხილვისას მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, როდესაც ახლად წარმოშობილი ოროგენის პერიფერიული ნაწილები ჯერ კიდევ არ გათავისუფლებულან ზღვისაგან, რომელშიც, როგორც ეპიკონტინენტურ ზღვაში, მიმდინარეობს ახლადწარმოშობილი მთების გადარეცხვის შედეგად მოლასური ნალექების დაგროვება. სამეგრელოს ბორცვიანი რაიონი ნაწილია ამგვარი მთისწინეთისა, რომელიც ამავე დროს საქართველოს მთათაშუეთს ეკუთვნის.

ნ. კანდელაკის მიხედვით რაიონის ანტიკლინური მთების წარმოშობა კიმერიულისწინა ოროგენეტული ფაზისიდან დაიწყო. ამავე პერიოდში მოხდა კოლხეთის დაბლობის დაწევა და ცენტრალური სამეგრელოს მცირედ ამოწევა. ანტიკლინური მაღლობების წარმოშობა დაუკავშირდა სამეგრელოს ცენტრალური მულდის შემადგენელი შრეების შეკუმშვას. ცენტრალურ ნაწილში დანაოჭების სიძლიერის შემცირება აიხსნება ბელტის მაღალი მდებარეობით.

თუ გავიზიარებთ ნ. კანდელაკის აღნიშნულ მოსაზრებას, შეიძლება ითქვას, რომ კიმერიულისწინა ოროფაზისის შემდეგ მთების განვითარება კონტინენტურ პირობებში მიმდინარეობდა. ამრიგად, მაშინ, როდესაც რაიონის ცენტრალური ნაწილი დაფარული იყო ზღვით (რომელშიც გროვდებოდა ზედა პლიოცენური კონგლომერატები), პერიფერიულ ზოლში მდებარე ანტიკლინური მთები კუნძულების მწკრივს წარმოადგენდა. პლიოცენის დასასრულის მოძრაობამ ეს აუზი დააშრო და კონგლომერატის შრეები დაანაოჭა. ამჟამად უკვე დადასტურებულია, რომ კავკასიონის ფარგლებში მოძრაობები გრძელდებოდა მეოთხეულშიც (ა. ჯანელიძე, ა. რეინგარდი, ლ. ვარდანიანცი და სხვ.). ამ მოძრაობათა გავლენით ხდებოდა ძლიერი დენუდაციით გამოწვეული კავკასიონის დადაბლების კომპენსირება და მისი პერიოდული ამაღლება, რითაც მთათაშუეთის რელიეფიც იცვლებოდა. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე შეიძლება აღვნიშნოთ, რომ სამეგრელოს ბორცვიანი რაიონის თანამედროვე რელიეფის განვითარება დაიწყო პლიოცენში და გაგრძელდა მეოთხეულში.

რაიონის ცენტრალური ნაწილი მეოთხეულში ზღვით იფარებოდა თუ არა, ჯერ კიდევ პლობლემატურ საკითხს წარმოადგენს, რადგან ამ ასაკის ტიპიური ზღვიური ნალექები, ნამარხებით დათარიღებული, აქ დღემდე არაავის უნახავს. თუ მხედველობაში მივიღებთ აფხაზეთის მაგალითს, სადაც უძველესი ზღვიური ტერასის სიმაღლე 100 მ აღემატება, მაშინ შეიძლება დავუშვათ მათი არსებობა სამეგრელოს ბორცვიან რაიონშიც. ამავე აზრის სასარგებლოდ ლაპარაკობს ურთას სამხრეთი მთისპირა სერების გასწვრივ არსებული 40 და 12-14 მეტრიანი ზღვიური ტერასები, რომლებიც ზემოთ ენგურის მეორე და მესამე ტერასების სინქრონულად გვაქვს მიჩნეული.

რაიონის თანამედროვე ჰიდროგრაფიული ქსელი ძირითადად პოსტპლიოცენში შეიქმნა. უძველესი მდინარეების მოქმედების ნაკვალევად უნდა ჩაითვალოს წყალგამყოფებზე არსებული კონტინენტური ნალექები, რომელთა გეოგრაფიული გავრცელება თანამედროვე მდინარეთა ხეობებს არ ეთანხმება. ზედა პლიოცენური კონგლომერატების წარმომშობი ზღვის რეგრესიის შემდეგ, მდინარეებს თავიანთი შესართავების შავი ზღვისაკენ გადაადგილების შესაძლებლობა მიეცათ. ზემოწელში ისინი ადრე გამომუშავებულ ხეობებში მოედინებოდნენ, ქვემოთ კი მათი დინება არ იყო დაკავშირებული გარკვეულ კალაპოტთან, არამედ დინება უხდებოდათ დიდ სივრცეზე, ერთმანეთს შორის ყოველგვარი ბუნებრივი ზღვარების გარეშე; ასეთ პირობებში ისინი დამოუკიდებლობას ვერ შეინარჩუნებდნენ. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ მაშინდელ მდინარეებს ახასიათებდა უხვწყლიანობა, რაც გამოწვეული იყო ან ატმოსფერული ნალექების მომატებით გამყინვარების წინ, ან კიდევ უშუალოდ მყინვარების უკუდახევით. საკითხის ასე დაყენება გამართლებას პოულობს განსაკუთრებით ისეთი მდინარეებისათვის, როგორიცაა ენგური, რომლის ზემოწელი მდებარეობდა მუდმივი თოვლისა და მყინვარების ზონაში.

ზემოგანხილული ალუვიურ-ტბიური ნალექები რაიონის კონტინენტურ ნალექთა შორის ყველაზე ძველია. თუ ბ. მ ე ფ ე რ ტ ი ს შეხედულება ენგურის უძველესი ტერასის მინდელური ასაკის შესახებ დადასტურდება, მაშინ შესაძლებელი გახდება ამ ნალექების იმავე ასაკით დათარიღება. ამ სინქრონიზაციის სასარგებლოდ ლაპარაკობს ალუვიურ-ტბიური ნალექების და ენგურის უძველესი ტერასის ლითოლოგიური, მორფოლოგიური და ჰიფსომეტრიული მდებარეობის ანალოგიურობა. საფიქრებელია, რომ ალუვიურ-

ტბიური ნალექები დაგროვდა იმ დიდი დებიტის ნაკადებით, რომლებიც ზღვის უკუდახევის შემდეგ ჰავის დიდი სინოტივის გამო წარმოიშვა.

საკუთრივ ენგური, სამეგრელოს სხვა მდინარეებთან შედარებით, მაშინაც გაცილებით უხვწყლიანი იყო, ამიტომ მან პირველ ხანებშივე შეძლო მეზობლადმდებარე მდინარეებისათვის შემკრები აუზის როლის შესრულება და საკუთარი ხეობის გამომუშავება.

ზემოაღნიშნული ზოგადი მიმოხილვის შემდეგ საჭიროა მთავარ მდინარეულ ხეობათა შემდგომი განვითარების პირობების განხილვა, რისთვისაც დავეყრდნობით მათი ტერასების წარმოშობის საკითხს. რაიონის მდინარეულ ხეობებში, გარდა ენგურისა, არის სამი ლოკალური ტერასა, რომელთათვის შეიძლება მივიჩნიოთ შემდეგი სიმაღლეები: I 6-8 მ, II 14-18 მ, III 30-40 მ. ენგურის ხეობაში არის მეოთხე ტერასაც, რომლის წარმოშობის დროს დანარჩენ მდინარეებს არ ჰქონდათ დამოუკიდებელი ხეობები, რასაც ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ამ ტერასაში გამომუშავებულია რაიონის ზოგიერთი სხვა მნიშვნელოვანი მდინარის (მაგ., ჭანისწყლის) ხეობა.

კავკასიონის მოძრაობებთან დაკავშირებული იყო ყველა ტერასის წარმოშობა და რაიონის ზედაპირის გადარეცხვა-დანაწევრება. რადგან განხილული ანტიკლინური მთები პლიოცენის ბოლოს და მეოთხეულის დასაწყისში უკვე არსებობდა, ამიტომ პირველ ხანებშივე მოხდა მათი გადარეცხვა და კირქვებით აგებული გულის მესამეული ნალექებისაგან გათავისუფლება.

დასახელებული სამი მდინარეული ტერასიდან 30-40 მეტრიანი საფეხური, ისევე როგორც ურთას მთისპირა სერების გასწვრივ მდებარე იმავე სიმაღლის ზღვიური ტერასა, სიმაღლით ენგურის მესამე ტერასას უახლოვდება, ამიტომ დასაშვებად შეიძლება ჩაითვალოს მათი სინქრონულობის მიღება. ბ. მ ე ფ ე რ ტ მ ა მესამე ტერასის ასაკი რისულად ივარაუდა.

სოხუმთან არსებული იმავე სიმაღლის ზღვიური ტერასა ლ. ვ ა რ დ ა ნ ი ა ნ ც მ ა კარანგატულად დაათარიღა (3, გვ. 80). ლ. ვ ა რ დ ა ნ ი ა ნ ც ი ს მიხედვით კარანგატული ზღვის სანაპირო ხაზი შორს იყო აღმოსავლეთისაკენ რიონის ხეობაში შეჭრილი, მაგრამ შემდგომმა ეროზიამ მისი ნალექები გადარეცხა. იმავე ავტორის შეხედულებით ამ ზღვის სინქრონული ტერასის გაგრძელება უნდა მოვძებნოთ რიონისა და ენგურის შესატყვის ტერასებში. აღნიშნული ასაკის დასადასტურებლად მარტო მორფოლოგიურ პრინციპზე დაყრდნობა საკმარისად არ უნდა ჩაითვალოს; შეხედულების დასამ-

ტკიცებლად საჭიროა სხვა საბუთების (მაგ., ნამარხების) გამოყენებაც.

30-40 მეტრიანი ტერასის წარმოშობასთან დაკავშირებულმა ხეობების პირველმა ინტენსიურმა გაღრმავებამ გამოიწვია რაიონის ცენტრალური ბორცვიანი ვაკის წყალგამყოფებად დანაწილება. ამ დროს განსაკუთრებული გაღრმავება განიცადეს ტეხურისა და აბაშის ხეობებმა, რომლებმაც დიდ სიღრმეზე გაჰკვეთეს ნაქალაქევის მთა და აბედათ-მოთელას შემაერთებელი მაღლობები. ხეობების გაღრმავებასთან და 30-40 მეტრიანი ტერასის წარმოშობასთან ერთად მიწისქვეშა წყლების დონე დადაბლდა და მესამეული ნალექებისაგან გათავისუფლებული ანტიკლინური მთების თხემებზე კარსტული მოქმედება დაიწყო.

ბორცვიანი ვაკის კონგლომერატებით აგებულ ჩრდილო ნაწილში კარსტი სხვა პირობებში ჩაისახა. თანამედროვე ჰიდროგრაფიული ქსელის განვითარებამდე კონგლომერატები დაფარული იყო ალუვიურ-ტბიური ნალექებით, რომელთა გადარეცხვა დაიწყო ხეობების განვითარების ადრინდელ პერიოდში. ხეობების გაღრმავებას დაერთო კონგლომერატებით აგებული წყალგამყოფების რელიეფში გამოსახვა და ზედაპირის უსწორმასწორობის გაჩენა. ამ გარემოების გამო კარსტული მოქმედება კონგლომერატებში, შედარებით ანტიკლინურ მთებთან, რამდენიმედ გვიან დაიწყო. ამ შეხედულების სასარგებლოდ ლაპარაკობს ის ფაქტიც, რომ ჩვენ მიერ აღწერილი მღვიმეების უმრავლესობა დაკავშირებულია არა მთავარ მდინარეებთან, არამედ მათ შენაკადებთან, რომლებიც რაიონის მთავარი მდინარეების განვითარების პირველ სტადიაში არ არსებობდნენ.

ხეობების მორიგ გაღრმავებამდე მიმდინარეობდა აკუმულაცია. ენგურის ხეობაში ადრე გაღრმავებული განიერი კალაპოტი ამოიესო ალუვიონით, რომელიც ამჟამად მონაწილეობს მომდევნო ტერასული საფეხურის შემადგენლობაში. ენგურის ამ (14-18 მეტრიან) საფეხურს ჩვენ ვუწოდებთ მახარიას ტერასას (რადგან იგი კარგად არის გამოსახული სოფ. მახარიას მიდამოებში).

ასაკობრივი თანმიმდევრობის პრინციპის მიხედვით ეს ტერასა უნდა შეეუფარდოთ ვიურმული გამყინვარების ეპოქას.

ხეობის ახალმა გაღრმავებამ კიდევ უფრო გამოავლინა წყალგამყოფები და რაიონი მეტად დანაწევრებული და მთიანი გახდა. ამ მოძრაობით კარსტული მოქმედება გაძლიერდა, ე. ი. დაიწყო კარსტის განვითარების ახალი ციკლი, რომლის შედეგად ანტიკლინური მთების ფერდობებზე განვითარდა მშრალი და წყლიანი მღვი-

მეები. მათი სხვადასხვა სიმაღლეზე მდებარეობა საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ კარსტის განვითარების ორი სტადია. ამ მოძრაობით კონგლომერატებში ზემოაღნიშნული მღვიმეები წარმოიშვა. ამიტომ მათი ასაკი შეიძლება შევუფარდოთ ჰიდროგრაფიული ქსელის განვითარების იმ ციკლს, რომლითაც გაჩნდა მდინარეთა მეორე (14-18 მეტრიანი) საფეხური. ამავე მოძრაობის შედეგად ანტიკლინური მთები კიდევ მეტად გადაირეცხა და მათ მთისპირა სერები გამოეყო.

მდინარეთა ახალი (6-8 მეტრიანი) საფეხურის წარმოშობისა და რელიეფში მასთან დაკავშირებული ცვლილებები ვიურმული ეპოქის შემდეგ დროს უნდა მიეკუთვნოს. ამ მოძრაობით გამოწვეულ მოვლენებს შორის აღსანიშნავია აბაშის კანიონის გაჩენა აბჰესთან, ტეხურის კანიონის გაღრმავება სოფ. ნაქალაქევთან და მრავალი პატარა გვერდითი ხეობის წარმოშობა.

კავკასიონისათვის ეს მოძრაობა უკანასკნელი არ არის; იგი ამჟამადაც გრძელდება, რაც დასტურდება, როგორც შავი ზღვის სანაპიროზე, ისევე კავკასიის სხვა რაიონებში შენიშნული ფაქტებით. ნელი ტემპით მიმდინარე ენდოგენურ მოვლენებს ეფარდება მუდმივი ეგზოგენური პროცესებით გამოწვეული ცვლილებანი მიწის ზედაპირზე. ამ მოვლენებს უნდა დაეუმატოთ ადამიანის გავლენა, რომელსაც მეტად მნიშვნელოვანი ცვლილებები შეაქვს ბუნების მონაცემებში.

ზემოთქმულის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სამეგრელოს ბორცვიანი რაიონის რელიეფის განვითარება დაიწყო ზედა მესამეულის დასასრულს, როდესაც ოროგენეტული მოძრაობით გამოწვეულმა ზღვის უკუდახევამ კავკასიონისპირა ზონის ინტენსიური დანაწევრების შესაძლებლობა შექმნა. თანამედროვე რელიეფის ჩამოყალიბების საქმეში რელიეფწარმომშობი ფაქტორებიდან განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ჰიდროგრაფიულმა ქსელმა და მასთან დაკავშირებულმა მოვლენებმა, რომელთა კანონზომიერი განვითარება მიმდინარეობდა კავკასიონის შემდგომ ტექტონიკურ მოძრაობათა პროცესში.

Г. С. ДЕВДАРИАНИ

МАТЕРИАЛЫ ПО ГЕОМОРФОЛОГИИ ХОЛМИСТОЙ ПОЛОСЫ МЕГРЕЛИИ

Резюме

Холмистая полоса Мегрелии представляет часть предкавказской холмистой зоны, находящейся в пределах Колхидской низины между реками Ингуром и Абашей.

Центральная часть района — преимущественно холмистая равнина — с двух сторон окружена дугой невысоких антиклинальных гор (Уртис-мта, Экис-мта, Накалакевис-мта, Абедатис-мта).

В геологическом отношении холмистая зона, сложенная меловыми и третичными отложениями, расположена между интенсивно-складчатыми областями Б. Кавказа и Антикавказа, т. е. она входит в пределы межгорной депрессии, находящейся под влиянием грузинской глыбы (А. И. Джанелидзе). Вследствие воздействия этой глыбы для района характерны покровные складки.

На основе литературных материалов и наших собственных полевых наблюдений стало возможным выделить из исследованного нами района следующие типы рельефа:

1. Рельеф невысоких антиклинальных гор; 2. Рельеф моноклинальных гряд; 3. Рельеф холмистой равнины, расчлененный речной эрозией; 4. Рельеф аккумуляционной равнины.

В меловых известняках гор сильно развит карст. Из подземных форм на склонах, на разных высотах обычно расположены по две пещеры, из которых верхняя всегда сухая. Верхние пещеры беспорно более древние, т. к. их образование было связанно с поднятием местности и сопровождавшимся понижением уровня подземных вод. В силу этого их можно отнести к двум стадиям карстообразования.

Из трех речных долин, пересекающих упомянутые горы, одна (долина Мунчии) регрессивного происхождения, остальные (т. е. долины рек Техури и Абаша) образовались в процессе поднятия суши и представляют долины прорыва.

На предгорных моноклинальных грядах Уртис-мта и Экис-мта имеются две террасовые ступени (12-14 м и 40 м). По многим

признакам их можно считать морскими. В долинах главных рек района (Техури, Абаша и др.) наблюдаются по две-три террасы (6-8 м, 14-18 м и 30-40 м). В долине Ингура прослеживаются 4 террасы (10-14 м, 20-25 м, 40-45 м, 100-110 м), высоты которых, несмотря на равнинный характер местности, постепенно повышаются по направлению Б. Кавказа.

На водоразделах имеются древние четвертичные отложения, представленные слабоцементированными косослоистыми конгломератами и разноцветными глинами. Эти отложения можно считать озерно-речного происхождения.

В известняковых конгломератах центральной части района большое развитие достигает подземный карст, представленный многочисленными и длинными пещерами. В образовании их преобладающую роль сыграло механическое разрушение конгломерата. Развитие этих пещер тесно было связано с формированием речной сети района.

Развитие современного рельефа холмистой полосы Мегрелии происходило в течение довольно длительного времени в процессе непрекращающихся орогенетических движений в области Б. Кавказа. В конце плиоцена и в начале четвертичного времени в результате одного из этих движений было вызвано отступление моря из центральной части района и начало усиленного размыва поверхности. К этому времени можно отнести древние водораздельные озерно-речные отложения. К этой же эпохе в пределах района относится начало закладки долины р. Ингур, в силу чего отложения первой его террасы синхроничны с озерно-речными отложениями. Следующее движение можно считать началом возникновения остальных главных речных долин района и образованием их древней (30-40 м) террасы, которая синхронична со второй террасой Ингура и приуртинской морской террасой. Одновременно образовались долины прорыва Техури и Абаша.

Размыв покрова третичных отложений на поверхности антиклинальных гор, углубление долин и понижение уровня подземных вод вызвало образование пещер на склонах гор. Формирование пещер в известняковых конгломератах произошло при последующем движении, образовавшем вторую (14-18 м) террасовую ступень в долинах рек.

Рельефо-образующие процессы в районе не прекращаются и в настоящее время. К этим процессам нужно прибавить и те огромные переделки, которые человек внес в этом довольно густонаселенном районе.

დამოწმებული ლიტერატურა

1. В. В. Белоусов. Некоторые главнейшие этапы истории Большого Кавказа в третичное время. Пробл. сов. геол., № 4, 1938.

2. Л. А. Варданянц. Сейсмотектоника Кавказа. Тр. сейсмол. инст., № 64, 1935.

3. Л. А. Варданянц. Постплиоценовая история Кавказско-Черноморско-Каспийской области. Ереван, 1948.

4. გრ. დევდარიანი. სამეგრელოს მდინარეული ტერასების დათარიღებისათვის. ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. III, 1941.

5. გრ. დევდარიანი. გეომორფოლოგიური დაკვირვებანი სოხუმის მიდამოებში. იგივე შრომები, ტ. VI, 1946.

6. М. Ф. Дзвелаия. К стратиграфии миоцена Мегрелии. Изв. Ак. Наук СССР, серия геолог., вып. 4, Москва, 1940.

7. А. Н. Джавахишвили. Геоморфологические районы Грузинской ССР. М.-Л., 1947.

8. Б. Ф. Добрынин. Террасы Абхазии (геоморфологический очерк). Учен. зап. Моск. университета, вып. V, 1936.

9. ი. კაჭარავა. სამეგრელოს სამხრეთ კირქვიანი ზოლის ნაწილის გეოლოგია. საქ. გეოგრ. საზოგად. შრომები, ტ. I, თბილისი, 1939.

10. С. С. Кузнецов. Попытка геоморфологического расчленения Закавказья. Изв. гос. геогр. общ., т. 70. вып. 3, 1938.

11. Л. И. Маруашвили. Карст в обломочных породах Мегрелии. Природа. № 7, 1949.

12. Б. Ф. Мефферт. Геологические исследования в Мегрелии (предварительный отчет о работах 1929 г.). Тр. гл. геол.-развед. управл., вып. 64, 1931.

13. О. Н. Михайловская. Четвертичные террасы Абхазии. Тр. перв. всесоюзн. геогр. съезда, вып. 3, 1934.

14. А. Л. Рейнгард. К вопросу о делении Кавказа на геоморфологические области. Изв. Кавказ. отд. русск. геогр. общ., т. XXV, № 2-3, Тифлис, 1917.

15. И. С. Щукин. Очерк геоморфологии Кавказа. Тр. научно-исслед. инст. геогр. моск. гос. университета. вып. 2, 1926.

16. ა. ჯავახიშვილი. საქართველოს გეოგრაფია. ტ. I, გეომორფოლოგია. თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამოცემა, 1926.

17. ა. ჯანელიძე. სამეგრელოს ცენტრული ნაწილის გეოლოგიური აგებულება. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. II, № 3, თბილისი, 1941.

18. ა. ჯანელიძე. საქართველოს ბელტის პრობლემა. იგივე მოამბე. ტ. III, № 1 და 2, თბილისი, 1942.

ა.ლ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, X, 1950—1951.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, X, 1950—1951.

И. В. МАТУРЕЛИ

ОДНА ИЗ КОПИЙ КАРТОГРАФИЧЕСКИХ ТРУДОВ ВАХУШТИ БАГРАТИОНИ

(К истории грузинской картографии)

Грузинская картография, истоки которой еще не установлены, свое научное выражение нашла в картографических трудах грузинского историка, географа и картографа XVIII века Вахушти Багратиони.

Труды эти, дошедшие до нас в виде двух[1] рукописных атласов и 8 отдельных листов, являются как бы сводом существующих до Вахушти грузинских картографических произведений.

Содержание этих картографических работ свидетельствует о том, что источниками их составления послужило большое количество материалов описательного и графического характера, существовавшее и постепенно накопившееся еще до Вахушти. „Карты же Грузии, которые до сего изображались сокращенно и неудовлетворительно, мы представляем в пространном виде, для облегчения изучения географии нашей родины“ ([3] стр. 74), подтверждает сам Вахушти.

Известно, что карты Вахушти всегда пользовались большим вниманием лиц, интересующихся вопросами географии и истории Кавказа, ибо в то время, и до появления на Кавказе русских военных топографов, карты его являлись единственными точными картами Кавказа и Закавказья. Этим обстоятельством и следует

[1] Оригинал первого атласа, составл. в 1735 г., хранится в рукоп. отделе Тбилисского Гос. Музея им. акад. С. Джанашия, а оригинал второго атласа составл. в 1745 г., хранится в Тбилисском Гос. Центральном архиве. Кроме этих двух атласов существуют еще 8 отдельных листов карт Грузии, составленных рукой Вахушти для Военного штаба Русской армии, с которыми нам удалось познакомиться в Ленинграде в 1949 году.

объяснить ту заинтересованность, которую проявляли к трудам Вахушти не только ученые современники, но и последующие исследователи. Подтверждением этому служит использование карт Вахушти: при составлении карты Закавказья французом Иосифом-Николаем Делилем в Петербурге в 1738 году ([6] стр. 289) и изданной им же в Париже в 1766 году[1]; при составлении карт Кавказа генералом Сухотиным в 1771 г. и полковником Бурнашевым в 1784 г. ([4] стр. 343, [3] стр. 77), помимо того, что разные лица и учреждения пользовались ими, снимая с них копии от руки[2].

Одну из таких копий атласа Вахушти нам удалось обнаружить в 1949 году в рукописном отделе Института Востоковедения АН СССР.

Этот атлас географических карт Грузии, размером 45×35 см., выполненный от руки на грузинском языке, состоит из 22 карт; на его обложке написано: *GEORGIANISCHE LANDKARTEN*.

С первого же просмотра этих карт становится ясно, что атлас является копией атласа Вахушти, составленного в 1745 году, и это подтверждается упоминанием имени Вахушти в заглавиях некоторых карт.

Об инициаторе копирования этого атласа и об исполнителе мы частично узнаем из заглавий карт №№ 19 и 21.

В заглавии карты № 19 написано: „...по приказу высочайшей царицы Анны переписала эти карты, что смотри в конце 21 карты“ (см. рис. 1).

Эта царица Анна, по приказу которой выполнена работа, как выясняется, есть дочь Мамука (Матвея) Орбелиани, вдова имеретинского царя Давида Георгиевича, смещенного с престола царем Соломоном II. Будучи преследуема последним, она в 1809 году переехала по разрешению Российского правительства в Россию на постоянное местожительство ([1] стр. 173).

---

[1] „Г. Иосифу Николаю де Л'Илю сообщены — в Петербурге — многие карты, как генеральные так и специальные Грузии и сопредельных ей земель. Он отгравировал только главную; прочие оставил (рукописными) в Морском Депо, а в 1766 году издал оную в свет...“, см. Историогеографические записки о странах, лежащих между морями Черным и Каспийским. Перевод с французского, Спб. 1810, стр. 68.

[2] Карты Вахушти не были изданы вообще.




Рис. 1.
Заглавие карты № 19 с упоминанием инициатора изготовления копии атласа (увеличено в 1,5 ×).

Заинтересованность имеретинской царицы Анны произведениями Вахушти, надо полагать, связана с определенной ступенью развития общественной мысли грузинского народа. В этом случае данный факт свидетельствует о том, что тогдашняя культура грузинского народа не ограничивалась развитием только исторической и художественной письменности, а интересовалась и точными науками.

Этим и надо объяснить, что в то время практиковалось размножение трудов Вахушти от руки. К таким переписанным трудам и относится упомянутый атлас, но было бы несправедливо исполнителя этого атласа отнести к числу обычных переписчиков или переводчиков вообще.

Эта картографическая работа ясно показывает, что его исполнитель хорошо знает карту, ее элементы и методы составления и оформления карт. Поэтому мы с полным правом можем считать его исполнителя за специалиста — картографа.

Кто же эта личность, которая выполнила такую сложную картографическую работу? Об этом в заглавии № 21 карты мы читаем: „21 карту Картлис-цховреба (жизни Грузии — И. М.) с оригинала я — к — Ч. Мана Петровна переписала, прошу милости, если недостатки или ошибки не осудите“ (см. рис. 2).




Рис. 2.
Заглавие карты № 21 с упоминанием имени исполнителя копии (увеличено в 1,5 ×).

Как видно, исполнитель атласа женщина, она сообщает свое имя и отчество, а фамилию дает инициалом. С целью расшифровки ее фамилии мы использовали хранящуюся в рукописном отделе Гос. Музея г. Тбилиси рукопись (фонд Н, № 333) на грузинском языке озаглавленную „Ансилпони эстетические суждения", в которой читается: „Сии эстетические суждения перевел с русского на грузинский родной сын грузинского царя Георгия тринадцатого... Давид, а я дочь князья Чикоани Петра Мариам списала в С.-Петербурге года 1817-го августа 4-го".

Сравнение этой рукописи с надписями на картах атласа, показывает, что характер письма в обоих случаях один и тот же. Поэтому мы почти с уверенностью можем сказать, что фамилия Мани Петровны, исполнительницы копии атласа Вахушти, есть Чиковани. Надо полагать, что Мана Петровна была членом грузинской колонии в России в первой половине 19 столетия[1]. Не исключена возможность, что она уехала в Россию вместе с имеретинской царицей Анной.

[1] Возможно, что Мария Петровна уехала в Россию в 1804 году, в свите царицы Дарии Георгиевны (супруги грузинского царя Ираклия II). На эту мысль наводит „Именный список находящимся в свите ея в. Грузинской царицы Дарии Георгиевны чинам и услуге. Дамы: Марья Петровна (курсив наш — И. М.), Марья Ивановна, Елисавета Чолокаева, ..." и т. д. всего 36 чел. мужчин и женщин; хотя здесь также не указана фамилия Марии Петровны. См. Акты Кавк. Археогр. Комм. т. II, 1868, стр. 107.

К сожалению на сегодня мы не располагаем сведениями о личной жизни Мани Петровны, знание которой позволило бы еще больше сказать о ее работе. Возможно, что дальнейшие исследования обнаружат еще и другие труды Мани Петровны Чиковани.

Атлас, выполненный ею, является результатом упорного труда и знания, благодаря чему он в некоторых частях (рельеф, гидрография) безусловно превосходит оригинал.

Вот что пишет об этом атласе известный исследователь М. Броссе и какую оценку дает он ему: „Это те карты, которые были составлены историком Вахушти для своей большой исторической и географической работы и оригиналы которых находятся в Москве. Копия их была сделана для царицы Анны Имеретинской, и по этой копии должна была быть сделана копия для Академии Наук. Но по счастливому стечению обстоятельств мы приобрели именно этот экземпляр, принадлежащий царице Анне, который очень недалек от оригинала, дает большую гарантию точности“ [7].

А также — „я смотрю, как на сокровище, на приобретенную Академией копию с этого прекрасного атласа (речь идет об атласе Вахушти 1745 г. — И. М.), снятую с оригинала по повелению Имеретинской царицы Анны...“ ([2] стр. 285).

Возникает вопрос: где могла Маня Петровна получить картографическое образование? В данное время нет возможности дать ответ на этот вопрос. Вопрос может разрешиться только в будущем, при изучении истории картографии Грузии. Однако возможно, что картографическое образование Маня Петровна получила по приезде в Россию, но не исключается и то, что она уже была знакома с картографией до приезда в Россию.

Какое бы из этих предположений ни считать вероятным, ясно одно, что на работе Мани Петровны чувствуется влияние русской картографической культуры. А это говорит о том, что она во всяком случае, была знакома, с важнейшими картографическими произведениями тогдашней России, как то: „Атлас Всероссийской империи“ 1734 г. Ивана Кириллова; „Атлас Российского“ 1745 г. Академии Наук; труды географичееского департамента, который в XVIII веке являлся основным картографическим учреждением страны ([5] стр. 157); работы „Депо карт“ и т. п.

Что касается даты создания упомянутого атласа, то ввиду ее отсутствия, мы можем только установить, что атлас выполнен не раньше 1823 года и не позже 1836 г.

Первую дату мы указываем по водяному знаку бумаги атласа, а вторая является датой кончины имеретинской царицы Анны в Москве.

Выяснив некоторые вопросы, относящие к генезису данного атласа Вахушти, с которого снят рассматриваемый атлас, небезинтересно проследить тождественность копии с оригиналом по некоторым элементам карты.

Для сличения гидрографии мы взяли из атласа карту № 1 [1]— с наиболе густо выраженной речной сетью. Детальное сличение этой карты с копией показало полную тождественность гидрографии обеих карт, если не считать таких незначительных пропусков, как маленькая речка впадающая в Каспийское море у Дарубанда (Дербента), и несколько мелких левых притоков р. Капэти (Бзыбы).

Как было указано выше, гидрографическая сеть Мани Петровны представлена в более усовершенствованном виде чем у Вахушти. И это не удивительно, если принять во внимание уровень развития картографии в первой половине XIX в.

Четкость штриха, постепеннное утолщение рек от верховья к устью, „живость" их течения, разница толщин основных рек и притоков (что у Вахушти не всегда наблюдается) придают речной сети Мани Петровны ту выразительность, которая вполне отвечает требованиям того времени (см. рис. № 3 и № 4).

В отношение надписей дело обстоит несколько иначе; тут мы встречаем больше пропусков, чем в гидрографии. Например, на карте № 7 пропущены надписи: р. Риони (в верховьях), р. Квирила (в верховьях), целиком пропущена надпись „Двалети" (за исключением буквы „л"), название горы „Мта хохиса" (за исключением последных трех букв „иса") и т. д.

В отношение соблюдения транскрипции дело обстоит сравнительно лучше и, если где встречаются искажения, то это нужно

[1] Порядковое размещение карт атласов не согласуется между собой. Это очевидно объясняется тем, что оба атласа переплетены позже и в разное время. Здесь мы придерживаемся нумерации оригинала атласа Вахушти.




Рис. 3.
Юго-западная часть карты № 3 из атласа — оригинала Вахушти (в натуральном размере).

отнести к некоторым трудно читаемым надписям на картах Вахушти.

Что касается рельефа, то тут нужно отдать справедливость творческому подходу Мани Петровны Чиковани к этому элементу карты.

Рельеф на картах Вахушти дается перспективно — профильным способом. При этом, по профильным знакам невозможно судить об основных формах рельефа, особенно в горных районах.

Вопреки этим недостаткам, Мана Петровна сумела изобразить рельеф перспективным методом с мастерством художника-карто-




Рис. 4.
Юго-западная часть копии карты № 3 выполненной Манеей Петровной (в натуральном размере).

графа. Выделив основные водораздельные хребты от второстепенных и давая штриховкой оттенение гор и холмов при сев. западном освещении — она добилась повышения качества изображения рельефа карт (сравни рис. № 3 и № 4) и тем самим значительно улучшила наглядность и удобочитаемость атласа в целом.

В части оформления копия сохраняет подобие с оригиналом, однако с той разницей, что у Мани Петровны техника окраски акварельными красками более совершенна.

ირაკლი მათუ რელი

ვახუშტი ბაგრატიონის კარტოგრაფიული ნაშრომების ერთ-ერთი ასლი

(ქართული კარტოგრაფიის ისტორიისათვის)

რ ე ზ ი უ მ ე

ქართული კარტოგრაფიის საწყისები ჯერ კიდევ დადგენილი არაა. XVIII საუკუნის გამოჩენილი მეცნიერის ვახუშტი ბაგრატიონის კარტოგრაფიულ ნაშრომებში კი ქართულმა კარტოგრაფიამ უკვე მეცნიერული გამოსახულება იპოვა.

ამ ნაშრომებიდან ჩვენამდის მოღწეულია საქართველოს ორი გეოგრაფიული ატლასი და რვა ცალკეარსებული რუკა. აღნიშნული კარტოგრაფიული შრომების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათ საფუძვლად უდევთ მრავალი აღწერილობითი და გრაფიკული ხასიათის მასალა, რომელიც საქართველოში წელთა მანძილზე უნდა დაგროვილიყო: „დავსახენით ქარტა ანუ რუკანი საქართველოსა ანუ ივერიისანი, რომელსა ხაზვიდენ მცირედ და არაჯეროვნად, და ჩვენ სრულიადი წინადავდევით...“, — ამბობს ვახუშტი.

ცნობილია, რომ ვახუშტის რუკები მთელი რიგი წლების განმავლობაში ითელებოდა ერთადერთ ზუსტ კარტოგრაფიულ მასალად კავკასიის გეოგრაფიის და ისტორიის შესასწავლად. ამას ადასტურებს ვახუშტის რუკების გამოყენება კავკასიისა და ამიერკავკასიის რუკების შედგენის დროს ჟოზეფ დელილის მიერ პეტერბურგში 1738 წ., გენერალი სუხოტინის და პოლკოვნიკი ბურნაშევის მიერ 1771 წ. და 1784 წ., რუსეთის სამხედრო შტაბის მიერ და სხვა.

სამწუხაროდ, ვახუშტის კარტოგრაფიული ნაშრომები არადროს არ ყოფილა გამოცემული; ამის გამო მათი გამრავლება გადაწერით ხდებოდა.

ერთ-ერთი ასეთი ხელით გადანაწერი ჩვენ ვნახეთ 1949 წელს საკავშირო აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში. ეს არის საქართველოს გეოგრაფიული ატლასი, რომელიც 22 რუკისაგან შედგება. იგი წარმოადგენს ვახუშტი ბაგრატიონის 1745 წლის ატლასის ასლს. ატლასის № 19 რუკის სათაურის მინაწერში ვკითხულობთ: „უმაღლესი ანნა დედოფლის ბძანებით გადავწერე ეს ქარტინები რომელიც 21 ბოლოს ქარტინაში იხილეთ“. როგორც ირკვევა, ანა დედოფალი, რომლის დავალებით შესრულდა ასლი, არის იმერეთის მეფის დავით გიორგის-ძის მეუღლე. ქმრის გარ-

დაცვალების შემდეგ, რუსეთის მთავრობის ნებართვით, იგი 1809 წელს საბოლოოდ გადასახლდა რუსეთში.

ანა დედოფლის დაინტერესება ვახუშტის კარტოგრაფიული ნაშრომებით გვიჩვენებს, რომ ქართული კულტურის მაშინდელი მოამაგენი დაინტერესებული იყვნენ არამარტო ისტორიული და მხატვრული ლიტერატურის განვითარებით, არამედ ზუსტი მეცნიერებითაც.

აღსანიშნავია, რომ ასლის შემსრულებელი არ გვატყობინებს თავის გვარს. იგი № 21 რუკის სათაურის მინაწერში აღნიშნავს: „21-ი ქარტინა ქართლის ცხოვრებისა. დედანისაგან მე — თ — ჩ — ს პეტრეს ასულმან მაიამ გადავწერე ვითხოვ წყალობასა თუ ნაკლული ანუ შეცთომა ნუ გაუწყევთ“.

როგორც ირკვევა, მაია პეტრეს ასულის გვარი ჩიქოვანია. მის მიერ შესრულებული ატლასი გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ მაია ჩიქოვანს სპეციალური — კარტოგრაფიული ცოდნა ჰქონია, რის გამოც მისი ატლასი შესრულების მხრივ ზოგიერთ ნაწილში ორიგინალზე მაღლა დგას.

ატლასი შესრულებულია აკვარელის საღებავებით; ფერების რიცხვი დაცულია ორიგინალის შესაბამისად.

უნდა ითქვას, რომ ასლის სიზუსტის ხარისხი რუკის ელემენტების მიხედვით სხვადასხვაა. ჰიდროგრაფია და რელიეფი უფრო ზუსტადაა გადმოცემული, ვიდრე წარწერები.

რაც შეეხება ასლის შესრულების თარიღს, ამის შესახებ ატლასზე ვერაფერს ვნახულობთ. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია შესრულების თარიღი მოვაქციოთ 1823 წ. და 1836 წ. შორის.

პირველ თარიღს ვადგენთ ატლასის ქაღალდის ჰვირნიშანის მიხედვით, მეორე კი იმერეთის დედოფლის ანას გარდაცვალების თარიღია.

ЛИТЕРАТУРА

[1] Акты Кавк. Археогр. Ком., т. III, 1869.

[2] М. Броссе. Взгляд на историю и литературу Грузии, ЖМНП, № 8, 1838.

[3] М. Джанашвили. Вахушти и его труд, 1904, г. Тифлис.

[4] Л. И. Маруашвили. Картографическпе труды Вахушти Багратиони, Труды Кутаисского Гос. Пединститута им. А. Цулукидзе, т. VIII, 1948.

[5] К. А. Салищев. Основы картоведения, часть историческая и картографические материалы, 1948, г. Москва.

[6] Л. С. Хаханов. Очерки по истории грузинской словесности, вып. 3, 1901, г. Москва.

[7] *M. Brosset. Registre des cartes Géorgiennes manuscrites acquises par le Musée Asiatique. Bulletin scientifique publié par L'Acad. Imp. des sciences de St. PTB.*, т. III, № 20, 1838.

ა.ლ. ფულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, X, 1950—1951.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, X, 1950—1951.

М. Л. РОКВА и Л. А. ЧЕЛИДЗЕ

НЕКОТОРЫЕ НОВЫЕ МЕСТОРОЖДЕНИЯ БЕНТОНИТОВЫХ ГЛИН

Бентонитовые глины по своим ценным и специфическим свойствам находят многочисленное применение в разных отраслях промышленности. Поэтому выявление и изучение новых месторождений бентонитовых глин в настоящее время является весьма актуальным вопросом.

Геолого-минералогическими и химико-технологическими исследованиями установлено, что на территории Груз. ССР встречаются в основном два типа месторождений бентонитовых глин: 1. Щелочно-земельные суббентониты и 2. Щелочные или истинные бентониты (9).

1. Щелочно-земельные суббентониты делятся: а) на глины, обладающие отбеливающими свойствами в естественном виде — типа г у м б р и н а, флоридина, Баноджской глины и др. и б) глины, в естественном виде обладающие отбеливающими свойствами слабой степени, но приобретающие их после соответствующей обработки кислотами (активации). Эти глины в воде распадаются и набухают слабо.

Главнейшее месторождение щелочно-земельного суббентонита — гумбрина находится в Западной Грузии в Цхалтубском р-не в окрестностях сел. Гумбри. Гумбрин залегает среди сеноманских отложений. Он образовался путем подводного изменения вулканических пеплов. Щелочно-земельные бентониты встречаются также в окрестностях сел. Баноджа. ст. Рioни и г. Кутаиси.

В районе сел. Цхункури и Бесиаури авторами установлены еще новые месторождения бентонитовых глин указанного типа.

Эти глины залегают, подобно гумбрину, над глауконитовыми туфовыми песчаниками сеномана. Геолого-минералогическое изучение показывает, что Цхункурская и Беснаурская глины образовались путем подводного разложения вулканических пеплов.

Как показывают геологические наблюдения, в полосе сеноманского отложения, встречается ряд месторождений бентонитовых глин, имеющих весьма большое народно-хозяйственное значение.

Не исключена возможность обнаружения в этой полосе еще новых месторождений отбеливающих глин.

Бентонитовые глины встречаются также в отложениях туронского яруса в районах: Цулукидзевском, Цхакаевском, Терджольском и др.

Таким образом, среди сеноманских и туронских отложений, как об этом указывает Г. С. Дзоценидзе (7), можно ожидать обнаружения новых месторождений бентонитовых глин. Наблюдения показывают, что вообще верхнемеловые отложения являются перспективными в смысле выявления месторождениий отбеливающих земель.

2. Щелочные или истинные бентониты — тонкодисперсные, обладающие (при соприкосновении с водой) способностью набухать, увеличиваясь при этом в объеме в 10 и больше раз. образуя желатино-образную массу, обладающую тиксотропными свойствами — (аскангель, джебельтит). Глины этого типа, главным образом, применяются в буровой технике в качестве компонента для изготовления глинистых растворов.

Крупное месторождение щелочного бентонита, известное под названием аскангель, находится в Западной Грузии, в р-не Махарадзе.

Аскангель залегает среди щелочных туфогенных пород верхнего эоцена. Глина образовалась путем изменения трахиандезитовых туфов. В одинаковых с ним геологичгских условиях находятся также Учхубская, Шемокмедская, Легвинская и др. месторождения бентонитовых глин.

Изучением физико-химических свойств установлено, что в районе Аскана (с. с. Цихисубани, Мтиспири) встречаются как щелочные бентониты, так и щелочно-земельные суббентониты. Последние являются хорошим отбеливающим сырьем после активации.

Геолого-петрографическими исследованиями установлена тесная связь между щелочно-земельными бентонитовыми глинами и щелочными туфогенными породами, давшими начало образованию этих глин. Туфогенные породы пользуются большим распространением в Аджаро-Триалетской складчатой системе. Месторождения бентонитовых глин встречаются как на северо-западном, так и на юго-восточном склонах Аджаро-Триалетского хребта (Гурия, Ахалцихе, Адиген). Глины приурочены к отложениям третичного возраста.

В южной части Кахетии, в пределах нижнего течения р. Иоры в окрестностях Аландарисхеви, Чатма и Качал-тапа в сарматских отложениях за последнее время выявлены новые месторождения бентонитовых глин.

Некоторые из них имеют высокую набухающую способность.

Чатминское месторождение приурочено к угленосной толще. Изучение этих глин показало, что южно-кахетинские бентониты образовались за счет разложения (на дне моря) вулканических пеплов.

Бентонитовые глины третичного возраста встречаются и в других районах Грузии (Сагареджо, Болниси, Тетри-Цхаро, Сачхере, Чиатура, Чхари и др.). Приведенные выше примеры достаточны для ясного представления о распространенности бентонитовых глин среди третичных отложений.

Геолого-минералогическими и химико-технологическими исследованиями установлено, что в отложениях третичного возраста встречаются щелочные (или истинные) бентониты и щелочно-земельные суббентониты, а в меловых отложениях пока установлено наличие лишь только щелочно-земельных суббентонитов. Конечно, это не значит, что среди меловых осадков не могут быть щелочные бентониты. Дальнейшее исследование глин Грузии может пролить свет на этот вопрос.

Ниже приводим описание пяти месторождений суббентонитовых глин верхнемелового возраста.

Цхункурское месторождение — находится в 8 км. к северу от курорта Цхалтубо по автомобильной дороге. Рельеф местности гористый, изрезан горными реками и речками. Главной рекой в данном районе является р. Семи, глубоко прорезывающая слагающие район породы.

В районе распространения бентонитовых глин бо́льшим развитием пользуются известняки баррема, мергелистые известняки и мергели апта, мергели и мергелистые известняки — альб, глауконитовые песчаники и известняки сеномана и туфогенная толща (туфы и туфобрекчии).

Геологическое строение месторождения бентонита Цхункурского района аналогично таковому месторождению Гумбри и Баноджа (9).

Естественное обнажение глины встречается у дороги Цхалтубо-Цхункури в местности Джор-Магала. Она залегает над глауконитовыми туфо-песчаниками и перекрывается оглинившимися туфами. Азимут падения пласта ЮЗ 260-270°, угол падения 10-15°. Мощность пласта 1-1,5 м.

Макроскопически глина серого, светлосерого и редко темносерого цвета, имеет неровный, иногда раковистый излом, хорошо прилипает к языку.

В окрестностях сел. Беснаури пласт бентонитовой глины залегает в описанных выше геологических условиях. Обнажение глины встречается около родника.

Видимая мощность пласта до 1 м. Цвет глины серый, светлосерый с кремовым оттенком.

Глины обоих месторождений слегка набухают и, подобно гумбрину, распускаются. По внешним признакам глина аналогична гумбрину.

Рионское месторождение бентонитовых глин находится в 2-х км. к северу от жел.-дор. ст. Рioни, на левой стороне реки Рioни.

Рельеф местности почти ровный, здесь имеется небольшой сухой овраг, неглубоко прорезывающий слагающие район породы.

В геологическом строении района принимают участие мергелистые глины, мергеля апта и известняки сеномана. За исключением нескольких мест, вся площадь покрыта аллювиальными отложениями древней террасы р. Рioны.

Месторождение бентонитовых глин приурочено к сеноманским известнякам. Естественное обнажение глин встречается в указанном выше овраге. С правой стороны оврага имеется несколько закапушек, откуда местные жители добывали глину и употребляли для мытья головы. Пласт бентонитовой глины падает на ЮЗ

под углом 8-20°, видимая мощность — около 1,10 м. севернее указанных закопушек у полотна ж/д встречается коренной выход на дневную поверхность сероватой глины с голубоватым оттенком типа бентонита.

Макроскопически рионская бентонитовая глина серого и светлосерого цвета, иногда с голубоватым оттенком. По внешним признакам похожа на гумбрин. Под действием атмосферных агентов глина распадается на мелкие с неровными удлиненными очертаниями обломки. В воде слегка набухает и распускается. Под действием HCl некоторые образцы вскипают.

Базалетское месторождение — находится в 3-4 км. к северу от ж.-д. ст. Харагаули в сел. Базалети в местности Панджоура. Здесь во многих местах встречаются закопушки, откуда местные жители добывают глину и применяют для мытья головы (тавис-сабани мица). Наблюдение показывает, что в местности Панджоура имеются несколько пластов, но один из них самый большой по мощности (0,8-1,0 м.).

На этом участке наблюдаются оползни, которые непосредственно связаны с бентонитами.

Пласт бентонитовых глин приурочен к известнякам сеномана.

Глина на ощупь жирная, серого и светлосерого цвета, некоторые образцы имеют кремовый оттенок. В воде слабо набухает и распускается.

Зеквадское месторождение — находится в окрестностях сел. Сабе в 7 км. к СВ от ж.-д. ст. Харагаули по арбовой дороге.

Месторождение бентонитовых глин приурочено к сеноманским известнякам.

Глина на ощупь жирная с восковидным блеском, сероватобелая с кремовым оттенком и светло-серого цвета. В воде слабо набухает и распускается.

Минералогический состав. Исследование прозрачных шлифов, изготовленных из штуфных образцов, показало, что Цхункурская и Бесниаурская глины состоят из изотропной, буроватой глинистой массы и спутано-волокнистого, иногда чешуйчатого глинистого минерала монтмориллонита. Глинистая масса состоит из мелких зерен полевого шпата, единичных зерен кварца, кальцита, кристобалита? хлоритизированного биотита,

опала и округлых буроватых при параллельном свете и почти изотропных при скрещенных николях аднагностических минералов. В ней содержится микрофауна — радиолярии и спикули губок.

В отличие от Цхункурской глины рионская глина содержит в небольшом количестве зерна полевых шпатов и хлорит. Микрофауна в ней отсутствует.

Базалетская глина состоит из мелкочешуйчатых глинистых минералов и кальцита, в ней рассеяны редкие зерна полевых шпатов и кварца.

Зекадская глина по своему составу и структуре отличается от вышеописанных. Она имеет туфовую структуру, аналогичную асканской глине. Глинистые минералы тонко волокнистые, местами изогнутые, имеющие разное направление, но в пределах одного и того же обломка они расположены параллельно друг к другу. В породе встречаются зерна кварца, полевого шпата и 2-3 зерна кристобалита?

Для определения показателя преломления была использована предварительно высушенная (при 30-40° С) мелкая (меньше 0,1 м. м.) фракция глины. Глинистые минералы, погруженные в иммерсионные жидкости имеют серый, желтоватосерый, светлосерый, редко буровато-серый цвет. Они тонко волокнистые, иногда спутано-волокнистые и чешуйчатые. Показатель преломления минерала приведен в таблице № 1.

Таблица № 1.

№№ образцов	Ng'	Np'	Ng'—Np'
Зекадская глина № 1 . .	1,518	1,507	0,011
Базалетская „ № 2 . .	1,504	1,492	0,012
Цхункурская „ № 4 . .	1,528	1,513	0,015
Рионская „ № 5 . .	1,513	1,501	0,012
Беснаурская „ № 6 . .	1,525	1,510	0,015

Из таблицы видно, что обр. №№ 4, 6 и 1 имеют показатель преломления больше, чем остальные, что объясняется повышенным содержанием в них окислов железа.

По показателю преломления и двойного лучепреломления эти минералы относятся к монтмориллониту.

Химические анализы бентонитовых глин приведены в таблице № 2.

Таблица № 2.

Состав в %	Обр. № 1	Обр. № 2	Обр. № 4	Обр. № 5	Гумбрин 7	Примечание
SiO_2	48,98	49,00	51,64	48,80	58,14	Аналитики: Цинцадзе А. Оманидзе Н. и Тауглях П.
TiO_2	0,19	0,19	0,28	0,28	0,25	
Al_2O_3	13,03	15,13	14,77	15,72	13,23	
Fe_2O_3	4,30	2,22	5,03	2,32	2,58	
FeO	0,29	0,40	0,58	0,29	0,28	
CaO	1,90	3,09	1,26	2,08	2,44	
MgO	5,58	4,08	3,68	4,52	2,24	
MnO	0,008	0,005	0,008	0.017	следы	
K_2O	0,12	0,07	0,25	0,25	0,78	
Na_2O	0,05	0,05	0,18	0,18	1,73	
SO_3	0,01	0,03	0,01	0,01	0.35	
H_2O—110°	19,70	16,83	19,10	19,10	14,71	
п. п. п.	5,82	8,01	5,62	5,62	3,61	
	99,69	100,22	99,52	99,66		

Из таблицы видно, что эти глины отличаются от гумбрина повышенным содержанием MgO и Fe_2O_3 и пониженным — SiO_2 и суммы щелочей.

Молекулярные отношения при $Al_2O_3=1$ приведены в таблице № 3.

Таблица № 3.

№№ образ	SiO_2	Fe_2O_3	MgO	R_2O	H_2O	Aq
1	6,4	0,212	1,093	0,015	2,093	8,5
2	5,6	0,093	0,66	0,05	3,00	6,2
4	5,9	0,213	0,63	—	1,97	6,55
5	5,2	0,11	0,62	—	2,04	6,84

Как показывают полученные цифры, образец № 1 содержит, по всей вероятности, магний-монтмориллонит.

Исследование глин путем окрашивания. За последние годы большое внимание уделяется диагностике глинистых минералов путем применения органических красителей.

Н. Е. Веденеева расшифровала механизм цветных реакций с точки зрения физической химии и дала вполне проверенные красители, могущие быть примененными для определения того или иного глинистого минерала (4). Такими красителями являются: бензидин, метиленовая голубая, хризоидин радомин Cg и др.

При исследовании глин Цхункурского, Рионского, Базалетского и Зекваdского месторождений нами были применены первые два красителя. В пробирку поместили порошок глины в количестве до одного грамма, налили в нее 3-4 $ст^3$ раствора метиленовой голубой (0,25 гр. метиленовой голубой растворили в 1 литр дистиллированной воде) и встряхнули несколько раз для полного перемешивания. Порошок всех образцов (№ 1, 2, 4, 5) окрасился в фиолетовый и темнофиолетовый цвет, потом прибавили 2-3 капли KCl. Под действием калиевой соли фиолетовый цвет минералов сменился в зеленый цвет (обр. № 4), синевато-зеленый (обр. № 4) и в синий цвет (обр. №№ 5 и 2).

По данным Н. Е. Веденеевой, такая смена цветов указывает на монтмориллонитовый состав глины.

Метиленовая голубая окрашивает также и каолинит, но с прибавлением KCl окраска минерала не меняется и краситель мигрирует на силикагель (4).

Таким образом, исследование путем окрашивания установило, что глины описываемых месторождений состоят главным образом из монтмориллонита.

Относительно использования бензидина в качестве красителя для глинистых минералов было сказано нами раньше (9), но здесь отметим, что бензидин красит гидрослюдистые и иллитовые глины, но гораздо слабее, чем монтмориллонитовые глины. „Глубокий синий цвет указывает на монтмориллонит" (4). Растворы бензидина не реагируют на каолинитовые глины. Применение бензидина при полевых условиях работы имеет весьма большое практическое значение.

Быстрый и простой способ применения раствора бензидина позволяет отделить глины монтмориллонитового состава от каолинитового (в первом случае препарат окрашивается в густо синий цвет, во втором — совершенно не окрашивается).

Уточнение минералогического состава глины должно производится в лабораториях и другими способами исследования.

Дифференциальный термический анализ образцов. Одним из вспомогательных методов для определения глинистых минералов является термический анализ (2). Установлено, что некоторые глинистые минералы имеют характерные термические остановки при определенной температуре. Так, каолинит имеет резко выраженную одну эндотермическую (при 550-600° С), и одну экзотермическую (при 950-1000°) остановку. Галлоизит характеризуется теми же эндо и экзотермическими остановками, что и каолинит, но он имеет еще одну эндотермическую остановку при 100-200° С. Для иллита характерны три эндотермических остановки: между 100-200° С и 500-600° и при 900° С и одна слабо выраженная экзотермическая остановка. Термокривые иллита и галлоизита сходны между собой первыми двумя остановками и отличаются от последнего третьей эндотермической (при 900° С), и слабо выраженной экзотермической (при 1000° С) остановкой.

Дифференциальная кривая монтмориллонита характеризуется тремя эндотермическими остановками (при 100-200°, 600-700°, 800-900°) и одной слабо выраженной экзотермической остановкой (при 900-1000). В отличие от иллита вторая эндотермическая реакция проявляется при более высокой температуре.

11. ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, X, 1950—1951.

Термограммы исследованных образцов 4, 5 и 6 получены обычным способом на фоторегистрирующем пирометре акад. Н. С. Курнакова (8) (опыты были проведены в термической лаборатории ИОНХ АН СССР им. Н. С. Курнакова).

Дифференциальная термическая кривая образца № 4 характеризуется тремя эндотермическими (при 160°, 600 и 850°) и одной слабо выраженной (при 895°) экзотермической остановкой. Если сравнивать полученные результаты с данными, приведенными выше, то увидим, что первые две остановки характерны для галлоизита и иллита, а третья для иллита и монтмориллонита. Так как на кривой обр. № 4 ясно выражена третья остановка (при 850°) и очень слабо экзотермическая, то присутствие в этой глине галлоизита исключается. Вторая остановка у монтмориллонита резко выражена между 600 и 700° С, в образце № 4 при максимуме 600, т. е. немного сдвинута налево и приближается к таковой иллита. Но показатель преломления у минерала монтмориллонитовый, поэтому иллит тоже исключается, а если присутствует, то в небольшом количестве. Почти такие же показатели имеют термокривые других образцов (см. табл. № 4 и рис. 1, 2, 3 и 4).

Таким образом, исследуемые образцы состоят главным образом из минерала монтмориллонита.

Таблица № 4.

№ № линий	Эндотермические остановки			Экзотермическ. остановки выражены слабо
	Первая	Вторая	Третья	
1	при 158	при 577-630	при 855	при 975
2	„ 160	„ 660	„ 855	„ 990
4	„ 160	„ 600	„ 850	„ 895
5	„ 160	„ 660	„ 850	—
6	„ 160	„ 600	„ 850	„ 940



990
1000
895
819
780
774
855
307
530
Проба №2
660
77
890
975
1000
720
805
305
500
Проба №1
Проба №2
73
222
577
630
855
Проба №1
160
223
152

Рис. 1.



t° ч
Обр №4 Джормагапа
1000
900
800
700
600
500
400
300
200
100
835
850
895
550
600
640
100
150
220
t'
20'
40'
60'
80'
100'
120'
140'
160'

Рис. 2.



t° ч
Обр N: 5 Тиони
1000
900
800
700
600
500
400
300
200
100
165
180
220
600
660
765
850
885
20'
40'
60'
80'
100'
120'
140'
160

Рис. 3.



t° ч
Обр N: 6 Бесиаури
900
800
700
600
500
400
300
200
100
100
140
230
340
690
660
810
850
880
940
20'
40'
60'
80'
100'
120'
140'
160'
t

Рис. 4.

Рентгенографическое исследование подтверждает монтмориллонитовый состав глины, но, помимо этого, присутствуют и другие минералы. Результаты исследований сведены в таблицах №№ 5, 6 и 7.

Таблица № 5.

№№ линий	Бентонитовая глина из Цхункури обр. 4			Монтмориллонит. (эталон)		Кварц (эталон)	
	I	ϑ^0 Fe	$d\,\alpha$	I	$d\,\alpha$	I	$d\,\alpha$
1	10	12° 36	4,42	10	4,45	10	3,23
2	1	16° 45	3,35				
3	1	18° 57	3,13				
4	10	22° 30	2,52	10	2,53		
5	2	34° 42	1,693	6	1,689		
6	2	35° 39	1,657		1,489		
7	10	40° 12	1,496	10	1,489		
8	1	44° 21	1,383			6	1,382
						8	1,372
9	3	48° 15	1,295	6	1,288		
10	3	50° 42	1,248	6	1,239		

Таблица № 6.

№ линии	Бентонитовая глина из Риони, образец № 5			Монтмориллонит (этал.)		Кристобаллит (эталон)		Адуляр (эталон)		Хлорит (эталон)		Кварц (эталон)	
	I	ϑ^0 Fe	$d\,\alpha$	I	$d\,\alpha$	I	$d\,\alpha$	I	$d\,\alpha$	I	$d\,\alpha$	I	$d\,\alpha$
1	9	12°36	4,42	10	4,45								
2	8	14°6	3,96			10	4,05						
3	5	16°6	3,48					2	3,48	10	3,505	10	3,323
4	8	16°48	3,34					10	3,313				
5	4	17°43	3,20			4	3,15	8	3,327				
6	7	22°0	2,58	10	2,534			6	2,56				
		28°6	2,46			9	2,48					4	2,455
7	1	25°0	2,28									4	2,274
8	1	26°57	2,13			1	2,12	2	2,119				
9	1	28°27	2,03			2	2,025	1	2,050				
10	2	30°54	1,881			3	1,873	1	1,881				
11	3	32°0	1,823					8	1,792			10	1,815
12	3	34°30	1,706	6	1,689	2	1,695	1	1,690			4	1,666
		35°45	1,653		1,652			1	1,671				
13	3	38°51	1,540			2	1,527	2	1,528			10	1,538
14	8	40°15	1,494	10	1,489	2	1,499	6	1,490				
15	4	44°45	1,372					2	1,382			6	1,382
16	4	48°15	1,295	6	1,288			1	1,294			8	1,372
17	1	51°21	1,237	6	1,239	2	1,229					4	1,285
18	1	53°42	1,198			1	1,205					6	1,197
19	2	54°39	1,184			1	1,180					6	1,178
20	1	58°54	1,128			1	1,115						
21	1	63°9	1,082									8	1,080

В образце № 5 присутствуют: монтмориллонит, α кристобаллит (низкотемператур. тетрагон.), в значительном количестве кварца. Рентгенограмма не противоречит присутствию в образце полевого шпата типа адуляра в небольшом количестве, повидимому, присутствует и хлорит.

Таблица № 7.

№ линии	Бентонитовая глина из Цхукурн, образец № 6				Монтмориллонит (эталон)		Кристобалит (эталон)		Адуляр (эталон)		Хлорит (эталон)		Кварц (эталон)	
	I	ϑ^0 Fe		$d\,\alpha$	I	$d\,\alpha$	I	$d\,\alpha$	I	$d\,\alpha$	I	$d\,\alpha$	I	$d\,\alpha$
1	1	11°6		5,01			1	2,50						
2	8	12°36		4,42	10	4,45								
3	3	14°6		3,96			10	4,05	1	3,94				
	1	14°48		3,78					4	3,77				
4	7	16°9		3,47					2	3,48	10	3,505		
5	6	16°42		3,36					10	3,313			10	3,323
6	8	17°36		3,19			4	3,15	8	3,227				
7	3	19°30		2,89			5	2,85	2	2,901				
8	6	22°6		2,56	10	2,534			6	2,560				
9	1	23°6		2,46			9	2,49						
10	2	31°0		1,876			3	1,873	1	1,881			10	1,815
11	4	32°21		1,805					8	1,792				
12	2	34°36		1,701		1,689	2	1,695	1	1,690				
	шир. полос.	35°51		1,653	6	1,652			1	1,671			10	1,538
13	2	38°51		1,543			2	1,527	2	1,528				
14	7	40°9		1,498	10	1,489	2	1,499	6	1,490				
15	3	42°15		1,436			3	1,430	2	1,435			6	1,382
16	4	44°42		1,373					2	1,381	9	1,384	8	1,372
17	2	48°15		1,295	6	1,288			1	1,294			4	1,285
18	2	51°6		1,241	6	1,239	1	1,229						
19	2	58°48		1,130			1	1,115						

В образце № 6 присутствуют: монтмориллонит, немного α кристобаллита (низкотемперат. тетрагон.), значительное количество полевого шпата типа адуляра.

Рентгенограмма не противоречит присутствию в образце очень небольшого количества хлорита и кварца.

Отбеливающие свойства. — Для выяснения отбеливающей способности глин описываемых месторождений были проведены опыты по ускоренному методу [1]. С этой целью были приготовлены растворы нефтяных продуктов в следующем виде: 50 гр. концентрата растворили в двух литрах керосина и 50 гр. Сураханской нефти тоже в двух литрах керосина, причем уд. вес первого раствора был 0,865, а второго — 0,825.

Из этих растворов брали по 50 гр. и смешивали по 5 грам. испытываемой глины. Глина была предварительно измельчена до тонины — 200 меш. Опыты проводились как на воздушно-сухой, так и на высушенной (при 150° С) глине. Известно, что при термической обработке (при 150° С) удаляется адсорбционная вода, благодаря чему повышается активность глины. Перемешивание раствора с глиной производилось на электромешалке и через 30 минут достигали обесцвечивания раствора.

Процент или „фактор" обесцвечивания определялся путем сравнения цвета обработанного раствора с цветом исходного эталона; для сравнения брали известный гумбрин. Результаты испытания сведены в таблице № 8.

Таблица № 8.

Бентонитовые глины	% % обесцвечивания		
Гумбри	10	35	37
Бесиаури	26	4	13
Джормагала	16	9	26
Рионн	37	26	28

Как видно из таблицы, при обыкновенной температуре наилучшие результаты обесцвечивания (концентрата в керосине) дает бентонитовая глина из Рионн и Бесиаури.

При обесцвечивании раствора Сураханской нефти в керосине выявляется активность гумбрина, а также бентонита из Рионн. При смешивании раствора с предварительно нагретой (до 150°) глиной процент обесцвечивания растет для всех глин.

Для наглядности результаты обесцвечивания в процентах выражены графически рис. № 5.




Рис. 5.

Предварительные опыты показывают, что бентонитовые глины новых месторождений могут быть использованы для очистки нефтепродуктов.

Для окончательного установления обесцвечивающей способности глин необходимо их детальное испытание на разных нефтепродуктах и при разных температурах.

Выводы

Накопившиеся литературные материалы по бентонитовым глинам дают возможность сделать следующие выводы.

1. На территории Грузии встречаются главным образом два типа бентонитовых глин: а) щелочно-земельные суббентониты (типа гумбрина), б) щелочные или истинные бентониты (типа аскангель).

2. Подавляющее большинство из изученных месторождений бентонита верхнемелового и третичного возраста.

В меловых отложениях до настоящего времени установлено наличие лишь только щелочно-земельных суббентонитов, а в третичных — как щелочно-земельных суббентонитов, так и щелочных бентонитов.

3. Приуроченность известных месторождений бентонитовых глин к меловым и третичным отложениям указывает на перспективность этих осадков в смысле выявления новых месторождений этих глин.

4. Цхункурское (Джормагала и Беснаури), Рионское, Базалетское и Зеквадское месторождения бентонитовых глин могут быть использованы как сырье для очистки нефтяных продуктов и имеют большое народно-хозяйственное значение. Эти месторождения должны быть в центре внимания для дальнейшего исследования.

მ. ლ. როკვა და ლ. ა. ჭელიძე

ბენტონიტური თიხების ზოგიერთი ახალი საბადო

რ ე ზ ი უ მ ე

ბენტონიტური თიხა თავისი ძვირფასი და სპეციფიკური თვისებების გამო დიდ მოხმარებას პოულობს მრავალი სახის მრეწველობაში. ამიტომ მათს შესწავლას უკანასკნელ ხანებში დიდი ყურადღება ექცევა.

მინერალურ-პეტროგრაფიული და ქიმიურ-ტექნოლოგიური შესწავლის შედეგად დადგენილია, რომ საქართველოში გვხვდება ძირითადად ორი ტიპის ბენტონიტური თიხა: 1. ტუტემიწიანი სუბბენტონიტები და 2. ტუტიანი ანუ ნამდვილი ბენტონიტები.

1. ტუტემიწიან სუბბენტონიტებში არჩევენ ორგვარ თიხას: ა) თიხას, რომელსაც აქვს ბუნებრივ მდგომარეობაში ძლიერ კარგი გამაუფერულებელი თვისება. მაგ. გუმბრინი და ბ) თიხას, რომელ. საც ბუნებრივ მდგომარეობაში აქვს სუსტი გამაუფერულებელი თვისება, მაგრამ ამ თვისებას იძენს ის სათანადო მჟავეებში დამუშავების ანუ აქტივაციის შემდეგ (მაგ. ასკანიტი). ამ თიხებს აქვთ ძლიერ სუსტი გაჯირჯვის უნარი.

ტუტემიწიანი სუბბენტონიტები უმთავრესად გვხვდება მესამეულის, ცარცულის და იურული ასაკის ნალექებში.

2. ტუტიანი ანუ ნამდვილი ბენტონიტები ხასიათდება წვრილ დისპერსიულობით და ძლიერ კარგი გაჯირჯვის უნარიანობით. ამ ტიპის თიხებს ძლიერ დიდი გამოყენება აქვთ ღრმა ბურღვის წარმოებისას, სადაც ისინი იხმარება თიხის ხსნარების მოსამზადებლად.

ჩატარებული გამოკვლევებიდან ჩანს, რომ ტუტიანი ბენტონიტური თიხები ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ მესამეულის ნალექებში. ისინი დაკავშირებული არიან ტუტიან ქანებთან — ანდეზიტებთან, ტრახი-ანდეზიტებთან, ტრახიტებთან და მათ ტუფებთან. მესამეული ასაკის ნალექებში გვხვდება აგრეთვე ტუტემიწიანი სუბბენტონიტებიც.

დღემდე ჩატარებული გამოკვლევები მიგვითითებენ იმაზე, რომ ტუტიანი ბენტონიტური თიხის საბადოების ძიება წარმოებულ უნდა იქნეს უმთავრესად მესამეულის ასაკის ნალექების რაიონში. განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც დიდი გავრცელებით სარგებლობენ ტუტიანი ქანები (ანდეზიტები, ტრახიტები და მათი ტუფები, ტუფბრექჩიები და სხვა). ამით იმის თქმა არ გვინდა, რომ თიხის ძიების დროს სხვა ასაკის ნალექებს გვერდი უნდა ავუაროთ. ეს საკითხი ჯერ კიდევ დაზუსტებას მოითხოვს.

ზემოხსენებული მოსაზრების მიხედვით წამართულმა გამოკვლევებმა საშუალება მოგვცა დაგვედგინა სრულიად ახალი სუბბენტონიტური თიხების საბადოს არსებობა სოფ. ცხუნკურის მიდამოებში (ჯორმაღალა და ბესიაური), რომელნიც მდებარეობენ სენომანურ ნალექებში.

ამ შრომაში მოყვანილია ზოგიერთი ბენტონიტური თიხის (ცხუნკურის, რიონის, ბაზალეთის და ზეკვადას) შესწავლის შედეგები. ყველა ზემოხსენებული ბუდობი გვხვდება ზედა ცარცის ასაკის ნალექებში და მათ საკმაო დიდი გავრცელება აქვთ.

ცხუნკურის თიხის მინერალოგიურმა შესწავლამ გვიჩვენა, რომ მისი მთავარი შემადგენელი მინერალური მონტმორილონიტია. მეორე ხარისხოვანი მინერალები წარმოდგენილია კალციტით, კრისტობალიტით, ქლორიტიზირებული ბიოტიტით, ოპალით და სხვა. გვხვდება აგრეთვე მიკროფაუნა. ცხუნკურის თიხები გუმბრინის ანალოგიურ გეოლოგიურ პირობებშია განლაგებული და ეს ორი ბუდობი, ბანოჯის ბენტონიტთან ერთად, ერთსა და იმავე აუზში უნდა იყოს წარმოშობილი.

რიონისა და ბაზალეთის თიხებიც თითქმის იმავე მინერალებისაგან შედგება როგორც ცხუნკურის. მხოლოდ მათში არ არის მიკროფაუნა. ხსენებულ თიხებში მონტმორილონიტი ბოჭკოსებური აღნაგობისაა, გვხვდება აგრეთვე ქერცლისებური ფორმებიც.

ზეკვადის ბენტონიტური თიხა თავისი სტრუქტურით ასკანის თიხას უახლოვდება. მას აქვს ბრეკჩიასებური სტრუქტურა. მონტმორილონიტს წვრილი ბოჭკოსებური აღნაგობა აქვს.

თიხის მინერალის მონტმორილონიტის არსებობა ჩვენს მიერ აღწერილ თიხებში შემოწმებულია და დადასტურებულია მიკროსკოპული, ქიმიური, თერმული, რენტგენოგრაფული და შეღებვის მეთოდებით შესწავლის შედეგად.

წინასწარი ცდები გვიჩვენებენ, ზომ ზემოხსენებულ ბენტონიტურ თიხებს კარგი გამაუფერულებელი თვისებები აქვთ და შეიძლება მათი გამოყენება ნავთობის სხვადასხვა პროდუქტის გასაწმენდად. ცდებით დამტკიცებულია, რომ ამ თიხების აქტივობა მნიშვნელოვნად იზრდება მათი თერმული დამუშავების (150°) შედეგად. აღნიშნული თიხებიდან ცხუნკურის თიხა (ჯორმაღალა და ბესიაური) პირველად არის აღწერილი ჩვენ მიერ.

ИСПОЛЬЗОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. М. Благородов. Отбеливающие земли, их свойства и применение для очистки нефтепродуктов. Труды Аз. НИИ вып. XXIV. 1944 г.

2. Л. Г. Берг, А. В. Николаев, Е. Я. Роде. Термография, 1944 г.

3. В. Т. Быков. Физические и адсорбционные свойства туфов Суйфунского бассейна. Труды АН СССР. Труды дальневосточной базы им. В. Л. Комарова, вып. I, 1947 г.

4. Н. Е. Веденеева. Изменение спекторов красителей при адсорбции на минералах глин. Ж. Ф. Х., т. XXI, в. 8, 1947 г., ст. 881-891.

5. Ю. К. Горецкий. Генезис и история формирования основных типов бокситовых месторождений. Тр. ВИМС, в. 1, ст. 7-16, 1949 г.

6. А. В. Гуляева. О некоторых поисковых признаках на плавиковый шпат. Пр. ВИМС, в. 1, ст. 3-6, 1949 г.

7. Г. С. Дзоценидзе. Домиоценовый эффузивный вулканизм в Грузии. Изд. Акд. Наук Гр. ССР, 1948 г.

8. Н. С. Курнаков. Введение в физико-химический анализ, 1940 г.

9. М. Л. Рокуа и Л. А. Челидзе. Баноджская бентонитовая глина. Тр. Кутаисского Государственного Педагогического Ин-та им. А. Цулукидзе, т. IX, 1949 г.

10. А. А. Твалчрелидзе. Краткий очерк месторождений отбельных глин Груз. ССР, вып. III, 1941 г.

11. Г. Г. Уразов. Физико-химическое исследование отбеливающих земель Западной Грузии. Сборник „Отбеливающие земли СССР", 1933 г.

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, X, 1950—1951.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, X, 1950—1951.

შალვა აბრამიძე

იოჰან ლაიდენელის მმართველობა მიუნსტერში

I

იოჰან მატისის ბრძოლაში დაღუპვის შემდეგ მიუნსტერის სათავეში მოექცა იოჰან ლაიდენელი და ქალაქის გარემოცვის დასასრულამდე ხელმძღვანელობდა როგორც ქალაქის დაცვას, ისე ქალაქის შინაგან ცხოვრებას.

მატისის დაღუპვის ამბავს მოგვითხრობენ კერსენბროხი[1] და გრესბეკი[2]. მას განუზრახავს მცირე რაზმით ქალაქიდან გასვლა საბრძოლველად იმ იმედით, რომ ღვთის შეწევნით ის კიდეც გარეკდა მტერს და გაათავისუფლებდა გარემოცულ ქალაქს. მისი რაზმის შემადგენლობა გრესბეკის მოწმობით 10 ან 20 მებრძოლს შეადგენდა. ეპისკოპოსის ლანდსკნეხტებს რკალი შემოურტყამთ მისი მცირე რაზმისათვის და გაუნადგურებიათ იგი. ლანდსკნეხტებმა მატისი აკუწეს. ლანდსკნეხტების გაბოროტებას და ასეთ სისასტიკეს იგი ხსნის იმით, რომ ქალაქში მიცემული დაპირების წინააღმდეგ გაქურდულ იქნა ღვთისმმოსავი ადამიანი ჰერმან დუნგული. ქალაქში ჩატარებულ ღონისძიებად კერსენბროხი გაქურდვას სთვლის. გრესბეკი კი აღნიშნავს, რომ ლანდსკნეხტებმა არ იცოდნენ, თუ იგი ქალაქის მთავარი მჭადაგებელი იყო. იგი მათ ბიურგერმაისტერი ეგონათო.

იოჰან მატისი, წარმოშობით ჰოლანდელი, ატარებდა დიდ შავ წვერს და მაღალი ადამიანი იყო[3].

მატისის მოკვლით ფრიად დამწუხრებულან ჰოლანდელები, ფრიზები და სხვა ნამდვილი გადანათლულნი. რომ მას დიდი გავლენა

---

[1] კერსენბროხი (*Kerssenbroick*), *Anabaptistici furoris historica narratio.*

[2] გრესბეკი (*Gresbeck*), *Bericht von der Wiedertaufe in Münster* § 36. *Iohann Matthys Ende.*

[3] იქვე.

ჰქონია, ამას ეს ფრაზაც ადასტურებს: ანაბაპტისტებს (გადანათლულებს) მისი იმედი უფრო ჰქონდათ, ვიდრე ღვთისაო[1].

მატისის გარდაცვალების შემდეგ მთავარ მქადაგებელად შეიქნა იოჰან ლაიდენელი. მან მეტი მოხერხება, საქმის უკეთ მოგვარების უნარი გამოიჩინა. შერყეული რწმენა ღვთის მფარველობისა აღადგინა მით, რომ მატისის დაღუპვა ახსნა, როგორც ღვთის სასჯელი, რომელიც მას მოევლინა განდიდებისათვის, რადგან მან ძალა თავის თავს მიაწერა და არა ღმერთსო.

იოჰან ლაიდენელმა სახალხო კრებაზე კნიპერდოლინგი გამოაცხადა ხმლის ბელადად *(Schwertführer)* ბოროტთა დასაშინებლად, რადგან მამა ღმერთს სურდა ამგვარად. იგი (კნიპერდოლინგი) შეიქნა ჯალათი და მან აირჩია თავისი ახალი თანამდებობის დასაცავად ოთხი მცველი („ტრაბანტი")[2].

ამის შემდეგ აირჩიეს თორმეტი მამასახლისი; მათ ფართო უფლებები მიეცა საზოგადო და კერძო, საერო და სასულიერო საქმეთა მოსაწესრიგებლად და საერთოდ მმართველობის უმაღლესი უფლება[3].

II

იოჰან ლაიდენელმა 1536 წლის 20 იანვარს მიცემულ ჩვენებაში აღიარა, რომ ხელმეორედ მოინათლა იგი 1533 წელს მის საკუთარ სახლში ლაიდენში; ხელმეორე მონათვლა მან მიიღო იოჰან მატისისაგან, რომ გამხდარიყო ნეტარი. 1535 წლის 25 ივლისის დაკითხვისას იგი აჩვენებს, რომ მის მამას ბოკელს უწოდებდნენ *(„sein Vater heisst Bockel")*, რომ იგი იყო მამასახლისად ზოვენჰავენში *(„Sovenhaven")*, ლაიდენის მახლობლად. მისი დედა ალიტი დაიბადა მიუნსტერის თავშესაფარში. ალიტი მსახურად იყო ბოკელის ოჯახში, როცა დაიბადა იოჰანე. ხოლო ბოკელის მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, ბოკელი და ალიტი ეკლესიაში დაქორწინდნენ[4].

იოჰან ლაიდენელის ცხოვრების შესახებ ზოგიერთ ცნობას კერსენბროხიც გვაწვდის. შესაძლებელია თვით იოჰან ლაიდენელმა მათი აღიარება არ სცნო საჭიროდ ან და დაკითხვისას არ შეუტა-

[1] გ რ ე ს ბ ე კ ი, იქვე.

[2] კ ე რ ს ე ნ ბ რ ო ხ ი, იქვე § 573, *Knipperdolling wird Schafrichter.*

[3] კ ე რ ს ე ნ ბ რ ო ხ ი, იქვე, § 574, *Einsetzung der zwölf Altesten.*

[4] კ ო რ ნ ე ლ ი უ ს ი (Cornelius), *Berichte der Augenzeugen über die münsterische Wiedertäuferreich. Münster* 1853. § 398.

ნიათ ოქმში. იოჰან ლაიდენელს ბევრი და-ძმა ჰყოლია; დედა მისი წარმოშობით მდაბიო წრეს ეკუთვნოდა *(der Tohter Röttersleute)*. იგი ყმა გლეხის ქალი იყო, სახელად ადელაიდა. იგი ჰოლანდიაში გაემგზავრა, რომ უცხო ადამიანებთან შინამოსამსახურედ დამდგარიყო და ამით საზრდო ჰქონოდა. მაგრამ მის სილამაზეს მისი პატრონი მოუხიბლავს და მისგან შესძენია ვაჟი. მას რამდენიმე შვილი ჰყავდა. მხოლოდ შემდეგ დაუხსნია მას თავი ბატონისაგან და ცოლად გაჰყოლია დაქვრივებულ ბოკელს[1].

იოჰანე სკოლაში სწავლობდა. მას შეუსწავლია აგრეთვე კერვა. შემდეგ მას სპეციალობაში დახელოვნების მიზნით უმოგზაურია: ოთხი წელი დაუყვია ლონდონში, უცხოვრია ფლანდრიაშიც. დაბოლოს, იგი დაბრუნებულა ლაიდენში, სადაც კიდეც დაქორწინებულა. მისი მეუღლე ქვრივი იყო; მისი წინანდელი ქმარი კი მეზღვაური. დაქორწინების შემდეგ სავაჭრო საქმეების გამო გამგზავრებულა ლისაბონში, შემდეგ ლიუბეკში, მაგრამ სავაჭრო საქმეში ჩანს წარმატებისათვის ვერ მიუღწევია და განუზრახავს მიუნსტერში გამგზავრება მეუღლის სურვილის წინააღმდეგ.

კერსენბროხი მოგვითხრობს, რომ იოჰანეს ღვინითა და ლუდით უვაჭრია, მშობლიურ ენაზე ლექსები უთხზავს. იგი პოეტი და ორატორი იყო, სკოლაც ჰქონია, მსახიობისა და დრამატურგის საქმიანობისათვისაც მიუმართავს. ამგვარი საქმიანობა ფულის საშოვნელად მიღებული ყოფილა მათს მხარეში[2].

მიუნსტერი მას იზიდავდა, რადგან გაეგონა, რომ იქ უკვე წარმოებდა ღვთის სიტყვის ქადაგება[3]. ამის შემდეგ იგი კიდეც ხელმეორედ მოინათლა და მატისის ბრძანება მიიღო მიუნსტერში გამგზავრების შესახებ. აღსანიშნავია, რომ მიუნსტერში ანაბაპტისტთა (გადანათლულთა) ნაკადი სტიქიურად კი არ მოედინებოდა, არამედ ორგანიზებულად. ფრიზები და ჰოლანდელები, რომელთაც, როგორც უფრო თანმიმდევარ და ნამდვილ გადანათლულთ, წყაროები მკვიდრთ უპირისპირებენ და რომელნიც ესოდენ შეაძრწუნა მატისის სიკვდილმა. მიუნსტერში თანდათანობით შემოკრებილნი და ორგანიზებული იყვნენ[4].

იოჰან ლაიდენელი, მდაბიო წარმოშობის ადამიანი, თავდაპირველად მკერავი ხელობით, ხანგრძლივი მოგზაურობით აღწევს ხელო-

[1] კერსენბროხი, § 639. *Des Konigs Herkenst und Vergangenheit.*
[2] კერსენბროხი, იქვე § 639.
[3] კორნელიუსი, იქვე, § 369. *Bekenntnis Iohanns von Leiden.*
[4] კორნელიუსი, იქვე, § 369.

ბაში გავარჯიშებას და ღებულობს კარგ განათლებას. ივი ვაჭრობს კიდეც, მაგრამ მისი ლუდხანა უფრო თანამოაზრეთა შესაკრები ადგილია, ვიდრე სავაჭრო. ამიტომაცაა, რომ ცოლი უსაყვედურებს: ვაჭრობა დაგეკარგაო[1]. იგი მასწავლებელი, პოეტი, თავისებური დრამატურგი, ორატორი და მსახიობია. ამიტომ ყველა პირობა იყო იმისათვის, რომ მისი მგზნებარე პიროვნება გაეტაცა ანაბაპტისტთა (გადანათლულთა) მოძღვრებას. იგი კიდეც შეიქნა მქადაგებელი. ამასთან ერთად იოჰანე საღვთო წერილშიც დახელოვნებული იყო.

კერსენბროხი გაკვირვებულია მისი პიროვნებით. მასში იგი მაინც ცდილობს უარყოფითი რამ დაინახოს. მას ურჩხულად (საშინელ ცხოველად) თვლის და საიდუმლო მაჭანკლობაში სდებს ბრალს.

რასაკვირველია, მოტანილი სტრიქონები კერსენბროხის ცნობიდან ამჟღავნებენ ავტორის ტენდენციურობას, მეორეს მხრივ, იგი თვითვე აღიარებს მის მაღალ ნიჭს და დასძენს, რომ იგი (იოჰან ლაიდენელი) ხელობასაც ეწეოდა და 1533 წელს გაემგზავრა მიუნსტერში, რადგან გაგონილი ჰქონდა, რომ იქ ღვთის სიტყვის ბრწყინვალე მქადაგებელნი იყვნენო. თავისი გამგზავრება ასევე ახსნა თავისივე ჩვენებაში იოჰან ლაიდენელმაც. მას ასეთი ბრძანებაც ჰქონია. ამიტომ ასეთი იდეური ადამიანისათვის ზემოთაღნიშნული უარყოფითი თვისებების მიწერა მხოლოდ კერსენბროხის ტენდენციურობით აიხსნება. მას სურდა იოჰან ლაიდენელი გარყვნილ, გაიძვერა ადამიანად წარმოედგინა და მისი ხასიათის ამ თვისებებით აეხსნა მიუნსტერში მომხდარი ამბები.

მალე იოჰან ლაიდენელი მეფედ იქნა გამოცხადებული. ერთმა წინასწარმეტყველმა (იუველირმა ვარენდორფიდან) იოჰან დუზენჩურმა მოიწვია ხალხი ბაზარზე და გამოაცხადა, რომ იოჰან ბოკელზონი ლაიდენიდან, მისთვის შთაგონებული ღვთის სურვილით, როგორც ღვთის კაცი და წმინდა წინასწარმეტყველი, მეფედ იქნა აღიარებულიო[2].

ამის შემდეგ იოჰან ლაიდენელს კიდეც გადასცეს ხმალი, წაცხეს სურნელოვანი ზეთი და მან მიიღო უმაღლესი მმართველობა მტრის მიერ გარემოცული ქალაქისა. იოჰანემ მიმართა ხალხს, მოაგონა დავითის მწყემსთაგან გამეფება და აღიარა, რომ ხელისუფლებას იგი მოიხმარს კარგი საქმის დასაცავად და ბოროტების დასათურგნავად[3].

[1] კ ე რ ს ე ნ ბ რ ო ხ ი, იქვე, § 639.
[2] იქვე, § 633.
[3] იქვე.

ამასთანავე ამ ერთგვარ საპროგრამო სიტყვაში მოცემულია გაფრთხილებაც, რომ ბოროტმოქმედება და ღვთის ნების წინააღმდეგობა ხმლით გაიგმირებაო. იოჰან ლაიდენელი ამით აღიარებს, რომ მისი ხელისუფლება მტკიცე და მოწინააღმდეგეების მიმართ სასტიკი იქნება. ბუნებრივია, რომ გარემოცულ ქალაქში საჭირო იყო მტკიცე წესრიგი. იგი ქალაქის სამხედრო ძალთა სარდალი და საშინაო საქმეების გამგებელია, ესე იგი ქალაქის შეუზღუდველი მმართველი და პატრონი.

მატისის დაღუპვის შემდეგ 1534 წლის 5 აპრილიდან 1535 წლის 25 ივნისამდე მიუნსტერის ფაქტიური მმართველი ანაბაპტისტთა ხელმძღვანელ ჯგუფთან ერთად, რომელსაც იგი მიეკუთვნება, იოჰან ლაიდენელი იყო. ჩვენამდე მოუღწევია ფურცელს *(Flugblat)*, რომელშიაც მოცემულია იოჰან ლაიდენელის თავისებური კარის გარიგება. თვით სათაური ასეთია: „მიუნსტერის მეფის იოჰანე ლაიდენელის კარის გარიგება“ [1].

ამ საბუთში აღნიშნულია სამეფო კარის 135 სხვადასხვა თანამდებობის პირი, აგრეთვე დედოფალი *(die oberste Königin)* და მეფის ცოლები *(die Frauen des Königs)* სულ დედოფლითურთ 16 და დედოფალთა კარის მსახურნი 11. ამ საბუთში უკანასკნელთა ჩათვლით ჩამოთვლილია 162 პირი თანამდებობათა აღნიშვნით. ამ საბუთის ცნობები რომ სწორია, ეს იმ გარემოებით დასტურდება, რომ იოჰან ლაიდენელის მახლობელი პირნი, მმართველობის მონაწილენი, მიუნსტერის ანაბაპტისტთა წინასწარმეტყველნი და მქადაგებელნი, აღნიშნული ჰყავთ აგრეთვე კორნელიუსს, გრესბეკს და დასახელებულნი არიან დატყვევებულ ანაბაპტისტთა ჩვენებებშიც. ამგვარად, ამ ფურცლის ცნობები დადასტურებულად შეიძლება მივიჩნიოთ.

ამ ფურცელში აღნიშნული არიან როგორც მმართველობის სათავეში მყოფნი პირნი, ისე, აგრეთვე, სამეფო კარის მომსახურეობისათვის საჭირო თანამდებობათა შემსრულებელნი და მცველნი. ჩვენთვის საინტერესო არიან მხოლოდ პირველნი.

ამ სიაში ჩვენ ვხვდებით ბერნტ კნიპერდოლინგს, ბერნტ როტმანს, გერტ კლოსტერს, ბერნტ კრეხტინგს, ჰენრიხ რედეკერს, გერარდ რაინიკს, დივარას და სხვა მრავალს [2], რომელნიც გადანათ-

[1] *Die Münsterischen Königs Iohann von Leiden Hofordnung im Jhare 1534 und 1535* (*Flugblat*), კლემენს ლეფლერი (*Klemens Löffler*), *Die Wiedertäufer zu Münster 1934/35. Iena 1923* გვ. *130.*

[2] იოჰანე ლაიდენელის სამეფო კარის გარიგება.

ლულთა მიმართულებას დაუკავშირდნენ და მის ხელმძღვანელთა რიგებში იყვნენ.

სარწმუნოებრივი საქმეების გარიგება-განხილვა წარმოებდა ბაზარზე, სადაც მეფე მოსამართლის როლშიც გამოდიოდა. იქ მოთავსებული იყო ტახტი ქალაქის სასწორის პირდაპირ, მეფე მოდიოდა კვირაში სამჯერ მეფური ბრწყინვალებით, რათა მოესმინა ხალხის საჩივრები. მეფეს თან ახლდა ბრწყინვალე ამალა. მეფის მოადგილე *(Stathalter)* ბერნტ კნიპერდოლინგი და მქადაგებელი *(Worthalter)* ბერნტ როტმანი მეფეს მუდამ თან ახლდნენ სხვა წარჩინებულებთან ერთად. ხშირად ბაზარზე იმართებოდა ქადაგება, ზოგჯერ კი ცეკვა, რომელშიაც მეფეც იღებდა მონაწილეობას[1].

ანაბაპტისტებმა (გადანათლულებმა) თავის ქალაქს — თემს ახალი სიონი უწოდეს. ახალ სიონში გადანათლულთა ხელისუფლების დამყარებისთანავე გატარებულ იქნა მთელი რიგი გამათანასწორებელი ღონისძიებანი. ახალი სიონის თავდაპირველი მმართველი იყო იოჰან (იან) მატისი, თუმცა იგი მხოლოდ მქადაგებლად ითვლებოდა, მაგრამ ფაქტიურად იგი ბიურგერმაისტერის როლს ასრულებდა. მან მოიხვეჭა ავტორიტეტი და გამგებლობა საშინაო და საგარეო საქმეებში, როგორც შემდგომ მისმა შემცვლელმა და განმგრძობმა იოჰან ლაიდენელმა[2].

III

იოჰან (იან) მატისი ქადაგებდა, რომ ქალაქიდან გაქცეულ მოქალაქეთა ქონება ჭეშმარიტ ქრისტიანებს შორის განაწილებული უნდა ყოფილიყო. ქალაქიდან გაიქცნენ ქალაქის მმართველობის სათავეში მყოფი კათოლიკური და ევანგელური სამღვდელოება, პატრიციატი და ქალაქის მდიდარნი. ამგვარად, აღნიშნული ღონისძიება მიმართული იყო ქალაქის პატრიციატის და მდიდართა წინააღმდეგ. თუმცა კერსენბროხი აღნიშნავს, რომ დასცალეს ღარიბთა და მდიდართა სახლებიო[3]. აგრეთვე დაუხევიათ და დაუწვავთ ვალის ხელწერილები, ქვითრები და საანგარიშო წიგნები[4]. გარდა საოჯახო ნივთების, იარაღების, სურსათისა და სხვა მსგავსი დოვლათისა;

---

[1] კერსენბროხი, იქვე, § 665. *Aufzug der König.*

[2] კერსენბროხი, იქვე, § 566. *Die Wiedertäufer verteilen die Güter der Ausgemanderten.*

[3] კერსენბროხი, § 556. *Leernte die Häuser der Armen wie der Reichen.*

[4] იქვე.

სპეციალურად დანიშნულ პირებს შეუკრებიათ ოქრო-ვერცხლი, ფული, ბეჭდები და სამკაული და წარუდგენიათ სამმართველოში [1].

ამგვარად, აღნიშნული ღონისძიება ჩატარდა მდიდართა მთელი ქონების საზოგადო საკუთრებად აღიარების მიზნით.

ანაბაპტისტები ქონებრივი უთანასწორობის წინააღმდეგ სასტიკად ილაშქრებენ. მატისი ქადაგებდა, რომ „გაქცეულ მოქალაქეთა მთელი ქონება საერთო ყოფილიყო ქრისტიანებს შორის არა თითოეულის სურვილის მიხედვით, არამედ მოთხოვნილების მიხედვით“ [2].

განსაკუთრებით დანიშნულმა პირებმა *(„er ernannte also Männer“)* წინასწარმეტყველის ბრძანებით მოზიდეს ტანსაცმელი, ლოგინები, საბნები, ნოხები, ხორბალი, იარაღი და საოჯახო მოხმარების სხვა ნივთები [3].

განსაკუთრებით დანიშნული პირები შეარჩია თვით მატისმა, რომელმაც სამი დღე იღოცა და მას შემდეგ ამცნო თემს, რომ ღვთის შთაგონებით იგი ასახელებს შვიდ კაცს; ისინი კიდეც დაამტკიცეს ნატისის მიერ წარდგენილ თანამდებობაზე. ვისაც რაიმე დასჭირდებოდა (ტანსაცმელი ან პროდუქტები, ცხოვრების საშუალებანი *(„Kleider oder Lebensmittel“)*, მიმართავდნენ დიაკვნებს *(„den Diakonen“)*. ყველაფერი აღიარებული იქნა საზოგადოდ *(„Es bestand darin, da alles gemeinsam war“)*.

ამგვარად, სამეურნეო საკითხის მოგვარება, მდიდართაგან მოსახმარი საგნების: ტანსაცმლის, იარაღის, პროდუქტების და სამკაულის ჩაბრთმევა და ქრისტიანებისათვის საჭიროების მიხედვით განაწილება დაევალა დიაკვნებს.

გრესბეკის მოწმობით თითოეულ მრევლში დანიშნულ იქნა სამი დიაკონი, რომელთაც დაევალა საერთო დოვლათის მოვლა-პატრონობა [4]. ისინი დადიოდნენ და ათვალიერებდნენ თითოეული მოსახლის სურსათის მარაგს. მათვე დავალებული ჰქონდათ აგრეთვე ყურადღება ჰქონოდათ, რათა ღარიბებს ნაკლოვანება არ ეგრძნოთ. თანაც მათ აღრიცხული ჰქონდათ მარაგი.

ამ ღონისძიებაში გამოვლინებულია ორგვარი მოვლენა. ერთის მხრივ, ანაბაპტისტების იდეალი — თანასწორობის კომუნიზმი. მათ

---

[1] კერსენბროხი, იქვე, § 566.

[2] იქვე, § 566.

[3] კერსენბროხი, იქვე, § 556. *Die Wiedertaufer verteillen die Güter der Ausgewanderten.*

[4] გრესბეკი, იქვე, § 32. *Gemeinschaft die Gütter.*

სურდათ ახალ სიონში გაეტარებინათ შუასაუკუნებრივი პლებეური მასების მისწრაფება: გათანაბრება მოხმარების მხრივ. მეორეს მხრივ, გარემოცულ ქალაქში საჭირო იყო სურსათის ნორმირება და დაზოგვა. ორივე ფუნქცია დიაკვნების ხელში იყო.

მართლაც, პირველად დიაკვნებმა სამჯერ ჩამოიარეს თავიანთი ნები, შემდეგ კი დაივიწყეს ჩამოვლა, რადგან ქალაქში კიდევ საკმაო იყო სურსათი.

მსგავს მოვლენას ადგილი აქვს ფულის საკითხშიც. ხელმძღვანელთა საერთო სურვილი იყო, რომ მთელი დოვლათი (ქონება) განსაზოგადოებული (საერთო) ყოფილიყო *(„wollten alles gut gemein haben")* [1]. ფულიც აღიარებული იქნა საერთო სიმდიდრედ [2]. გაიცა განკარგულება, რომ ოქრო, ვერცხლი და ქალების სამკაული მოეტანათ სამმართველოში" [3].

ოქრო-ვერცხლის შეკრების დროს გამოირკვა, რომ არსებობდა მოწინააღმდეგეთა ჯგუფი. მოქალაქეთა ნაწილმა (იძულებითმა ქრისტიანებმა) გაბედა უარი ეთქვა, პასიური წინააღმდეგობა გაეწია, ფული გადაემალა. ამგვარი პასიური წინააღმდეგობის გარდა აღსანიშნავია ოპოზიციის სხვაგვარი გამოვლინებაც, რაც გამოიხატა ანაბაპტისტების წინააღმდეგ მჭედელ ჰენრიხ მოლენჰეკის ხელმძღვანელობით მოწყობილ აჯანყებაში [4].

IV

იოჰან ლაიდენელის წინააღმდეგ გალაშქრება თვით კნიპერდოლინგმაც სცადა. ფ. ბეცოლდი ფიქრობს, რომ მას სურდა მეფის მმართველობის დამხობაო [5]. გრესბეკის მოწმობით ერთხელ ბაზარზე ქადაგებათა დროს, როდესაც მეფე თავის სკამზე იჯდა, წამოხტა თავისებურ ნერვიულ ეკზალტაციაში მყოფი კნიპერდოლინგი [6].

კერსენბროხი კნიპერდოლინგის იოჰან ლაიდენელის წინააღმდეგ ასეთი გამოსვლის მიზეზად თვლის მის (კნიპერდოლინგის) მისწრაფებას, რომ როგორც ადგილობრივს და წარჩინებული წარმოშო-

[1] გ რ ე ს ბ ე კ ი, იქვე, § 34 *Diakone.*

[2] კ ე რ ს ე ნ ბ რ ო ხ ი, § 561. *Finziehung von Gold und silber.*

[3] გ რ ე ს ბ ე კ ი, იქვე, § 32. *Gemeinschaft der Gutter.*

[4] შ. ა ბ რ ა მ ი ძ ე, ჰენრიხ მოლენჰეკის აჯანყება მიუნსტერში, ქუთ. პედინსტიტუტის შრომები, VIII, 1948, გვ. 233.

[5] ფ. ბ ე ც ო ლ დ ი, История реформации в Германии, т. I, С.-П. 1900 გვ. 214.

[6] გ რ ე ს ბ ე კ ი, იქვე, § 142. *Knipperdollings seltsames Beginnen.*

ბის მქონეს, უცხოელებთან შედარებით უპირატესობა ჰქონოდა მას. თითქოს კნიპერდოლინგი დარბოდა ქალაქში და მოუწოდებდა მოქალაქეებს მონანიებასა და გამოსწორებას *(„Tut Busse, bekehret euch bekeheret euch")*[1]. კერსენბროხისა და გრესბეკის ცნობები ძირითად ერთიმეორეს ემთხვევიან და ამით დასტურდება კნიპერდოლინგის მეფის წინააღმდეგ იდეური გალაშქრება.

ფ. ბეცოლდი შენიშნავს, რომ „საფრთხე, რომლის უგულებელყოფა არ შეიძლებოდა მეფის მიერ, თვით ანაბაპტისტების სულში (შთაგონებაში) იყო, რადგან მისი გამოვლინების წინასწარ განჭვრეტა არ შეიძლებოდა" [2].

ბერნარდ კნიპერდოლინგი რეფორმაციისათვის ერთ-ერთი აქტიური მებრძოლი იყო მიუნსტერში. შემდეგ იგი ანაბაპტისტებს დაუკავშირდა და მათი მმართველობის დამყარებისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში იდგა. იგი წარმოშობით პატრიციული გვარის მკვიდრი ბიურგერთა წრეს ეკუთვნოდა. კნიპერდოლინგი მაუდით ვაჭრობდა. მას უმოგზაურია კიდეც და 1524 წელს მელხიორ ჰოფმანს შეხვედრია. კერსენბროხი მოგვითხრობს, რომ კნიპერდოლინგს დაუნახავს რა, რომ დაბალი წარმოშობის ადამიანი, პოეტი, მსახიობი, მაჭანკალი, მოხეტიალე მკერავი, როგორიც მისი (კერსენბროხის) აზრით, იოჰანე ლაიდენელი იყო, შურით შეპყრობილა და ცდილა გამოენახა დაწინაურების საშუალებანი. იგი ადრე შეხვედრია სტოკჰოლმში ჰოფმანს. მატისი (მატისენი) და ბოკელჰონი მიუნსტერში ჩამოსვლისას მისი მასპინძლობით სარგებლობენ. იოჰან ლაიდენელის კარის გარიგებაში იგი პირველია შეტანილი, როგორც შტატჰალტერი *(Bernt Knipperdolling, Statthalter)*[3]. მას ცთუოდ თავისებური ხაზი ჰქონდა. იოჰანე ლაიდენელის მსგავსად ის მრავალმხრივი და ენერგიული პიროვნება იყო. მან მატისის წინააღმდეგ გაილაშქრა, როდესაც პირველმა (მატისმა) პაპისა და ლუთერის მომხრეთა სიკვდილით დასჯა მოითხოვა[4], ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ მოინათლებოდნენ ხელმეორედ, მისი (კერსენბროხის) მოთხოვნით ქალაქიდან განდევნით უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ.

მართლაც თავისებური აზრი გამოთქვა მან მონანიების მო-

[1] კერსენბროხი, იქვე, § 690. *Das Heiligen Knipperdolings.*

[2] ფ. ბეცოლდი, იქვე.

[3] კლემენს ლოფლერი, იქვე, გვ. 123.

[4] კერსენბროხი, იქვე, § 532. *Iohan Mattys verlagt den Tod der Katholiken und Lutheraner.*

წოდებით, რომ მიეღწიათ კეთილმომსახურებისა და სათნოებისათვის.

როდესაც განრისხებულმა მეფემ დატოვა თავისი ადგილი, კნიპერდოლინგმა დაიკავა იგი. ამის შემდეგ მან განაცხადა, რომ ძველი და ახალი აღთქმა და საღვთო წერილი გაუქმებული უნდა იქნეს და რომ არა სამოქალაქო კანონების მიხედვით არის საჭირო ცხოვრება, არამედ ბუნებისა და სულის კანონებითო[1].

შელერ-მიხაილოვის აზრით, მის ამ სიტყვებში „რელიგიის სრული უარყოფა ჩანს“ და მას სურს მეფის ძალაუფლების დამხობა. კნიპერდოლინგი პირველი ნამდვილი მეამბოხეა ამ სამეფოშიო[2].

უნდა ვიფიქროთ, რომ კნიპერდოლინგი რელიგიის სრულ უარყოფამდე არ მისულა და არც მეამბოხედ ჩაითვლება. მან გადანათლულთა მმართველობის წინააღმდეგ კი არ გაილაშქრა, არამედ თავისებური ინტერპრეტაციის ცდა წარმოადგინა ანაბაპტისტთა იდეალისა სამოქალაქო და სასულიერო სფეროსა და ხელისუფლების გამიჯვნისა.

ფრ. ბეცოლდი მას (კნიპერდოლინგს) მიაწერს ცდას მეფის მართველობის დამხობისას[3]. ამ აზრს დადასტურებულად ვერ ჩავთვლით. მაგრამ უდავოა, რომ კნიპერდოლინგის ამ მოქმედებას რაღაც ჰქონდა გააზრებული. იგი სცნობს ბუნებისა და სულის კანონების მიხედვით ცხოვრებას, თავისთავს უპირისპირებს იოჰან ბოკელზონს, სხეულის მეფეს, როგორც სულიერი სამყაროს ხელმძღვანელი.

სამწუხაროდ, წყაროები ღრმად ვერ სწვდებიან გადანათლულთა აზრ-ზრახვებს. თვით გადანათლულნი კი აზროვნებენ რელიგიური სახეებით, ამიტომ ფრიად ძნელია კნიპერდოლინგის სურვილისა და მისწრაფების კონკრეტულად გამოხატვა. ძლიერ განრისხდა მეფე და ეს იქედან ჩანს, რომ კნიპერდოლინგი მოათავსა საპყრობილეში, მაგრამ იგი (კნიპერდოლინგი) შეშინდა, აღიარა დანაშაული და პატიება ითხოვა[4].

გრესბეკი აღნიშნავს, რომ კნიპერდოლინგმა მეფის სკამი დაიკავა და განაცხადა, რომ მეფედ იგი უნდა იყოს[5]. გრესბეკის ცნობაც ადასტურებს უთანხმოებას. იგი აღიარებს, რომ ხალხი

[1] კერსენბროხი, იქვე, § 690.

[2] შელერ-მიხაილოვი, Революционный анабаптизм, 1905, გვ. 652.

[3] ფრ. ბეცოლდი, История реформации в Германии, т. II, გვ. 214.

[4] კერსენბროხი, იქვე, § 690. *Das Hieligen Knipperdollings.*

[5] გრესბეკი, იქვე, § 142. *Knipperdoltings seltsames Beginnen.*

უცქეროდა ამ ამბავს და ფიქრობდა, რომ ისინი წაიჩხუბებიანო. მაგრამ უთანხმოება დამთავრდა. კნიპერდოლინგმა პატიება ითხოვა. ამის შემდეგ იგი საქმეს უგულოდ ეკიდებოდა და ამიტომ მეფემ მას მისწერა ბარათი.

მიმართვის მიზანია დაარწმუნოს კნიპერდოლინგი, რომ მან უკეთ შეასრულოს თავისი მოვალეობა. მოაგონებს მას, რომ მისი მმართველობისათვის საჭიროა ღვთის მსახურთა დახმარება; რომ მან (იოჰან ლაიდენელმა) იგი (კნიპერდოლინგი) თავის მოადგილედ დანიშნა და მან თავის მოვალეობა ისე უნდა შეასრულოს, როგორც მას შეეფერება. „ზოგიერთები არამართებულად ამტკიცებენ, რომ სამეფო მოისპობა და ყველაფერი მათი სურვილის მიხედვით მოხდება, მაგრამ ეს არაოდეს არ იქნება“ [1]. ჩანს, რომ ზოგიერთები ეჭვს ამჟღავნებდნენ იოჰანე ლაიდენელის მეფობის და მიუნსტერელთა მოძრაობის საბოლოო გამარჯვებაში და კნიპერდოლინგი თავისი გამოსვლით, აზრთა სხვაობის გამომჟღავნებით, თუნდაც უნებლიეთ, ასეთ მერყევ, დაეჭვებულ პირებს აძლიერებდა. კნიპერდოლინგი შეურიგდა საბოლოოდ იოჰან ლაიდენელს და კვლავ მოძრაობის სათავეში დარჩა.

V

იოჰან ლაიდენელის მმართველობის დროს გატარდა ღონისძიება, რომელმაც თითქოს განსაკუთრებით დიდი მასალა მისცა ტენდენციურ ისტორიკოსებს მიუნსტერელ გადანათლულთათვის გარყვნილებაში ბრალი დაედვათ.

ფრ. ბეცოლდი უმართებულოდ აღნიშნავს, რომ „ეს მოძღვრება, გამომდინარე თავისი დედაარსით სულიდან და ამქვეყნიური ყველა მიდრეკილების უარყოფიდან, გამოიწვია სისხლის ღვრისა და აღვირახსნილი ვნების საშინელი სანახაობით დატკბობამ“ [2].

წყაროების გაზვიადებულ ცნობას მრავალცოლიანობის შესახებ ფრიად ეჭვით უნდა მოვეპყრათ. კერსენბროხი მის შემოღებას გულუბრყვილოდ ხსნის და მოჰყავს იგივე, რაც ცნობილია და მის მიერ გამოყენებულ იქნა როტმანის მიერ გადანათლულთა მოძღვრების აღიარების ასახსნელად.

---

[1] კერსენბროხი, იქვე, § 690.

[2] ფრ. ბეცოლდი, დასახ. შრომა, ტ. II, 1900, გვ. 208.

[3] კერსენბროხი, იქვე, § 618. *Die Einführung der Vielweiberei.*

ვიღაც რიგითს ჯარისკაცს, ტყვედ წაყვანილს, რომელიც კნიპერდოლინგთან ეცნობოდა ახალ სარწმუნოებას, რომ მიეღო იგი, და რომელსაც მასთან დაუყვია რამდენიმე დღე, შეუმჩნევია, რომ წინასწარმეტყველი ბოკელზონი, რომელიც კნიპერდოლინგთან ცხოვრობდა, ღამით, მალულად მსახური ქალის ლოგინთან მიიპარა[2]. რომ ბოკელზონი მართლაც პირველ ხანებში კნიპერდოლინგთან ცხოვრობდა, მისგან და მისი მეუღლისაგან დავალებული იყო, ეს მან კნიპერდოლინგისადმი მიწერილ წერილში აღიარა კიდეც. თითქოს შეშინებულმა, რომ ეს საიდუმლოება გამომჟღავნდებოდა, მან როტმანთან და სხვა მქადაგებლებთან ითათბირა მრავალცოლიანობის შესახებ. ამ თათბირის შემდეგ თითქოს მათ მიუღიათ გადაწყვეტილება მრავალცოლიანობის შემოღების შესახებ.

ანაბაპტისტთა მქადაგებლებმა მრავალცოლიანობა აღიარეს აბრამის, იაკობის, დავითისა და ძველი აღთქმის დანარჩენ მამათა ცხოვრების წაბაძვით[1].

კერსენბროხის ცნობა მხოლოდ თვით მრავალცოლიანობის შემოღებას ადასტურებს და გადანათლულთა მოსაზრებებს გადმოგვცემს. თვით გამომწვევი მიზეზები კი მის მიერ მითითებული გარყვნილება და ბოკელზონის ამბავი უმართებულოა და ცილისწამებას შეიცავს.

თუ გავითვალისწინებთ ანაბაპტისტების შეხედულებას ქორწინებაზე და გარემოცულ მიუნსტერში სქესთა ურთიერთობასა და რიცხვობრივს შეფარდებაზე, ერთის მხრივ, ხოლო მეორესმხრით ქალაქის სამეურნეო ცხოვრებას, მაშინ მრავალცოლიანობა დაკარგავს გასაოცარ, არაჩვეულებრივი მოვლენისა და გარყვნილების ხასიათს.

მკვლევარნიც მრავალცოლიანობას მიუნსტერში ეკონომიური მოსაზრებით ხსნიან და აღიარებენ, რომ იგი ქალთა უმუშევრობის წინააღმდეგ იყო მიმართული[2].

VI

გარემოცულ მიუნსტერში წარმოებდა ენერგიული თავდაცვა და გამარჯვების რწმენა ერთხელაც არ შერყეულა. მაგრამ ანაბაპ-

---

[1] კ ე რ ს ე ნ ბ რ ო ხ ი, იქვე, §618.

[2] ვ. პ. ვ ო ლ გ ი ნ ი, История социалистических идей, ч. I, 1928, გვ. 129. პ. პ. შ ჩ ე გ ო ლ ე ვ ი, Очерки истории Западной Европы XVI-XVII вв., 1938, გვ. 131.

ტისტთა საქმის წარმატებისათვის აუცილებელი აყო თანამოაზრეებთან კავშირის გაბმა, მათთვის ძალების მოშველება გარემომცველთა რკალის გარღვევის მიზნით. ეპისკოპოსის ლაშქარი ქალაქის ირგვლივ იდგა; მას მიწური სიმაგრეები (ბლოკჰაუზები) აეგო. გარემოცვას დიდი წარმატება არ ჰქონდა, მაგრამ მაინც ქალაქი მოწყვეტილი იყო გარეშე სამყაროს, რის გამოც სურსათის მოწოდება ძნელდებოდა.

ამიტომ განიზრახეს მოციქულების გაგზავნა ქალაქებში ღვთის სიტყვის ქადაგების მიზნით, თანამოაზრეებთან კავშირის დასამყარებლად და მათი რაოდენობის გადიდების ათვისებისა და ახალ თანამზრახველთა მისამხრობად.

კერსენბროხის მოწმობით გაუგზავნიათ 27 მქადაგებელი. ბინდისას დაუტოვებიათ მათ ქალაქი და უვნებლად გაუვლიათ გარემომცველთა ბანაკი. მათი მიზანი კიდეც გაუგია მთავარს — ეპისკოპოსს და გაუცია განკარგულება: „ქალაქიდან გამოვიდნენ მქადაგებელნი ხალხის ცდომილებაში შესაყვანად და აჯანყებათა მოსაწყობად“. ამიტომ იგი აფრთხილებს თავის ხელქვეითებს თვალყური ადევნონ და იზრუნონ, რომ მათ საეპისკოპოსოში თავიანთი მოძღვრება არ გაავრცელონ და უწესრიგობა არ გამოიწვიონ[1].

რადგან გარედან დახმარება ან და გარემომცველთა რკალის გარღვევა არ მოხერხდა, ყველასათვის აშკარა შეიქნა, რომ გარემოცული ქალაქის — მიუნსტერის ხვედრი გადაწყვეტილი იყო. მიუნსტერი გარემოიცვა 1534 წ. თებერვლიდან და გარემოცვა გაგრძელდა 1535 წლის 25 ივნისამდე, დაახლოებით წელიწადნახევარი. პირველ ხანებში ეპისკოპოსის ლაშქარი სუსტი იყო, რომ მას მტკიცე გარემოცვა განეხორციელებინა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც მას დახმარება აღმოუჩინეს მეზობელმა მთავრებმა, შესაძლებელი შეიქნა ქალაქის ირგვლივ ბლოკჰაუზების რაოდენობის გადიდება და გარემომცველი ჯარის გაძლიერება.

გადანათლულებმა განიზრახეს ეპისკოპოსის ხელყოფა. ანაბაპტისტმა ქალმა ჰილე ფაიკენმა *(Hille Feiken)* იკისრა ამ საქმის შესრულება. მთავრების მკვლელობა გადანათლულთა მიუნსტერში დამსახურებულ საქმედ ითვლებოდა. მაგრამ ეპისკოპოსმა გაიგო ეს განზრახვა და ფაიკენი სიკვდილით დასაჯეს. როგორც მისი დაკითხვის ოქმიდან ირკვევა, იგი იყო გადანათლული, შთამომავლობით დასავლეთ ფლანდრიიდან. მას სურდა თავისი მოქმედებით

[1] კერსენბროხი, იქვე, § 703. *Die Apostel und ihr Schicksal.*

ღვთისათვის ესიამოვნებინა. ამგვარად, დასტურდება, რომ იგი თავისი საქმის ენთუზიასტი იყო და კიდეც შეეწირა მას მსხვერპლად[1].

აღსანიშნავია, რომ ღამ-ღამობით ზოგიერთი მოქალაქე ღალატით გადადიოდა მტრის ბანაკში ან და მალულად უვნებლად გაივლიდა გარემომცველთა ბლოკჰაუზებსა და საგუშაგოებს, რომელნიც უკანასკნელი დროისათვის მჭიდროდ რკალად შემოერტყნენ ქალაქს. გრესბეკის ცნობით, ერთხელ ღამით ქალაქი დაუტოვებია ხუთეულს: ერთი მოქალაქე და ოთხი ლანდსკნეხტი; ხუთივე ცოცხალი დარჩა. მოქალაქე თვით გრესბეკი იყო. გრესბეკი თავის თავგადასავალს აღწერს, როგორც მოქალაქის თავგადასავალს. იგი ტყვედ წაუყვანიათ ეპისკოპოსის ლანდსკნეხტებს. გრესბეკს და ერთ-ერთ მის თანამგზავს ჰანს ეკ ფონ ლანგენშტრასენს უკისრიათ გარემომცველი ლაშქრის მეგზურობა[2].

მათ 24 ივნისს მიუყვანიათ კიდეც ჯარი ჯვრის ჭიშკართან *(an das Kreuztor)*. მიჰქონდათ კიბეები და ხიდები თხრილებისა და კედლების გადასალახავად. მოიერიშენი შეიჭრნენ ქალაქში, სადაც ფიცხელი და სასტიკი ბრძოლა გაიმართა. გადანათლულებმა მათ დახევის შესაძლებლობა მოუსპეს, რადგან გზა გადაუჭრეს და ჭიშკარი, რომლითაც ისინი შემოვიდნენ, დაიკავეს. ლანდსკნეხტებმა მოლაპარაკება დაიწყეს იოჰან ლაიდენელთან დროს მოგების მიზნით, და ისარგებლეს რა ამით, თხრილებზე მედროშე გაგზავნეს და გარემომცველ თავისიანებთან კავშირი გააბეს. ლანდსკნეხტები (ქვეითი და ცხენოსნები) სუსტად გამაგრებულ თხრილებზე ამოვიდნენ და ამავე დროს სხვა ჭიშკრიდანაც შემოიჭრა მტერი.

მთელი ქალაქი უკვე დაკავებული იყო, მაინც ბაზარზე 200-300 გადანათლული იბრძოდა ბერნჰარდ ხრესტინგის მეთაურობით. მათ ქალაქიდან თავისუფლად გასელის ნება დართეს. მაგრამ გამარჯვებულებმა დაპირება დაარღვიეს და, როგორც კი გადანათლულნი თავიანთ ბინებში წავიდნენ, ლანდსკნეხტებმა დახოცეს ისინი, მათგან რამდენიმე კაცი გადარჩა[3].

ლანდსკნეხტებმა ქალაქი საშინლად დაარბიეს. მრავალი გადანათლული, როგორც რიგითი, ისე ხელმძღვანელთაგანი, ვინც კი

---

[1] კ ო რ ნ ე ლ ი უ ს ი, იქვე. § 605. *Die Iadit Hille Feiken.* გ რ ე ს ბ ე კ ი, იქვე, § 44. ნ ი ზ ე რ ტ ი, *Münsterische Urkundensammlung I. 1826*, § 40. *Verhöre der Hille Feicken*

[2] გ რ ე ს ბ ე კ ი, იქვე, § 194.

[3] კ ე რ ს ე ნ ბ რ ო ხ ი, იქვე, § 833. *Einnahme der Staat.* გ რ ე ს ბ ე კ ი, იქვე, § 205.

ბრძოლაში გადარჩა, გაუსამართლებლად დახოცეს. მაგალითად, ჰერმან ტილბეკი განგმირეს აგიდის მონასტერთან და სადღაც გადაათრიეს. დიტრიხ შლოსერი, გლეხის ტანსაცმელში გადაცმული, ცდილობდა მათგან გაცლას, მაგრამ იგი იცნეს და ალებარდით აკუწეს[1]. „ასეთი სისხლიანი სანახაობა რვა დღეს გრძელდებოდა“[2].

განსაკუთრებით ცნობილი გადანათლულნი და მეთაურნი, როგორიც იყვნენ მეფე (იოჰან ლაიდენელი), ბერნტ კნიპერდოლინგი, ბერნჰარდ კრესტინგი და ხრისტიან კერკერინგი ხელფეხშეკრულნი ცალ-ცალკე ეტლებით 24 ივლისს წაიყვანეს დიულმანის ციხე-დარბაზში. გზაზე სიკვდილით დასაჯეს ხრისტიან კერკერინგი. დანარჩენები კი მოათავსეს დიულმანის საპყრობილეში, სადაც დაიწყო მათი დაკითხვა[3].

ლანდსკნეხტებმა მთელი ქალაქი დაარბიეს და გაძარცვეს. ისინი ნადავლს ყიდდნენ, ფულს კი ინაწილებდნენ. როდესაც გაქცეული მოქალაქენი დაბრუნდნენ საკუთარ ქალაქში, უძრავი ქონება მათ დაუბრუნეს. საკუთარი ნივთები და საერთოდ მთელი მოძრავი ქონება კი მათ უნდა ეყიდათ, „თითქოს სხვას ეკუთვნოდა“. გადანათლულთა უძრავი ქონება კონფისკაციაქმნილი იყო, რათა დაეფარათ ქირის კაცებზე (ლანდსკნეხტებზე) და საერთოდ ბრძოლაზე გაწეული ხარჯები.

მეფე იოჰან ლაიდენელი, ბერნტ კნიპერდოლინგი და ბერნჰარდ კრესტინგი სიკვდილით დასაჯეს 1536 წლის 22 იანვარს. მიუნსტერის მეფემ მტკიცედ და შეუდრეკლად აიტანა სიკვდილის წინ წამება გახურებული მარწუხით. მის სიკვდილს დაესწრნენ კათოლიკური სამღვდელოების წარმომადგენლები.

ამგვარად, თომას მიუნცერის, ჰენრიხ ფაიფერის და გერმანიაში გლეხთა ომების სხვა მონაწილეთა და მეთაურთა მსგავსად დაიღუპნენ მიუნსტერელი გადანათლულნი (ანაბაპტისტები) — იოჰან მატისი, იოჰან ლაიდენელი, ბერნტ კნიპერდოლინგი, ბერნჰარდ კრეხტინგი, ჰენრიხ რედეკერი, ჰენრიხ კრეხტინგი, ბერნტ როტმანი და მრავალი სხვა.

ფ. ენგელსი აღნიშნავდა: „მეთექვსმეტე საუკუნის ეგრეთწოდებულ რელიგიურ ომებშიც საკითხი უწინარეს ყოვლისა მეტის-მეტად პოზიტიურ მატერიალურ კლასობრივ ინტერესებს ეხებოდა და ეს ომები კლასობრივი ბრძოლები იყო ისევე, როგორც შემდეგი

[1] კერსენბროხი, იქვე, § 849. *Metzelein in der Stadt.*
[2] კერსენბროხი, იქვე, § 860. *Die gefangenen Führer.*

დროის შინაგანი შეჯახებანი ინგლისსა და საფრანგეთში. თუ ეს კლასობრივი ბრძოლები მაშინ რელიგიური ნიშნის ქვეშ ხდებოდნენ, თუ ისინი ცალკე კლასების ინტერესებსა, მოთხოვნილებებსა და მოთხოვნებს რელიგიურ საბურავში ფარავდნენ, ეს არაფერს სცვლის საქმის ვითარებაში და ადვილად აიხსნება იმ დროს პირობებით“ [1].

ვ. ლენინი მ. გორკისადმი მიწერილ წერილში მიუთითებდა, რომ, „ისტორიაში იყო დრო, როდესაც დემოკრატ[ი]ისა და პროლეტარიატის ბრძოლა წარმოებდა ერთი რელიგიური იდეის მეორის წინააღმდეგ ბრძოლის ფორმით“ [2].

ვ. ლენინის აღნიშნული დებულებიდან გამომდინარე ნათელია, რომ მიუნსტერში წარმოებული ბრძოლა მიუნსტერელ ანაბაპტისტებს და მთავარს ეპისკოპოს შორის, რომელიც სარწმუნოებრივი ბრძოლის ფორმით მიმდინარეობდა, კლასობრივი ბრძოლის ერთერთ სახეს წარმოადგენდა.

მიუნსტერში ანაბაპტისტები პლებეურ რეფორმაციას ხელმძღვანელობდნენ და რადიკალური დემოკრატიის ინტერესებს გამოხატავდნენ. ისინი შუასაუკუნეებრივი თანასწორობის კომუნიზმს აღიარებდნენ და მათი საქმიანობა მიმართული იყო ფეოდალიზმის წინააღმდეგ.

ამხანაგი ი. სტალინი მიუთითებს, რომ „გათანაბრების წყაროს წარმოადგენს გლეხური აზროვნება, ყველა დოვლათის თანასწორად განაწილების ფსიქოლოგია, პრიმიტიული გლეხური „კომუნიზმის“ ფსიქოლოგია. გათანაბრებას არაფერი აქვს საერთო მარქსისტულ სოციალიზმთან“ [3].

ამგვარად, ანაბაპტისტების მიერ აღიარებულ უფლებრივ ქონებრივ გათანასწორებას წინასწარ არ ჰქონდა რაიმე რეალური საფუძველი. მათ საქმე პრიმიტიულად ჰქონდათ წარმოდგენილი. ისინი შეგროვილი დოვლათის თანაბრად განაწილებას ისახავდნენ მიზნად.

„ასე ჰქონდათ წარმოდგენილი კომუნიზმი კრომველის და საფრანგეთის რევოლუციის დროის პრიმიტიულ „კომუნისტების“ მსგავს ადამიანებს. მაგრამ მარქსიზმს და რუს ბოლშევიკებს არაფერი აქვთ საერთო ასეთ გამათანაბრებელ „კომუნისტებთან“ [4].

აქედან ნათელია, რომ მიუნსტერელი ანაბაპტისტები მხოლოდ პრიმიტიულ, გამათანაბრებელ „კომუნისტებად“ ჩაითვლებიან. ასეთი

---

[1] გლეხთა ომი გერმანიაში, 1932, გვ. 44.

[2] Ленинский сборник, т. I, изд. III, стр. 158.

[3] საუბარი გერმანელ მწერალ ემილ ლუდვიგთან, სახელგამი, 1933, გვ. 16.

[4] იქვე.

ჰლებეური დემოკრატიული ხასიათის მოძრაობა ხშირად იჩენდა თავს. ამის შესახებ ფ. ენგელსი შენიშნავს, რომ „ყოველი დიდი ბურჟუაზიული ამბოხების დროს თავს იჩენდა სოლმე იმ კლასის დამოუკიდებელი მოძრაობა, რომელიც თანამედროვე პროლეტარიატის მეტად თუ ნაკლებად განვითარებული წინამორბედი იყო. ასეთი იყო ტომას მიუნცერის მიმდინარეობა გერმანიის რეფორმაციისა და გლეხთა ომის პერიოდში“ [1].

ანაბაპტისტები (გადანათლულნი) გერმანიის გლეხთა ომების მონაწილეებთან ერთად ახალ დროის პირველი ბურჟუაზიული რევოლუციის მონაწილეთა წინამორბედებად ჩაითვლებიან. მათ შორის მსგავსებას ვპოულობთ; ასეთია: მოძრაობაში ფართო სოციალური ხალხურ-პლებეური ფენების ჩაბმა, მკვეთრი კლასობრივი დარაზმულობა, თანასწორობის პრინციპის აღიარება და მოწინააღმდეგეთა მიმართ მტკიცე ენერგიული შემმუსრავ ღონისძიებათა გატარება.

ამგვარად, მიუნსტერელი ანაბაპტისტები (გადანათლულნი) იდეურად უკავშირდებიან ნიდერლანდელ გიოზებს, ინგლისელ ინდეპენდენტებსა და ფრანგ იაკობინებს.

მათ მიერ გაღებული მსხვერპლის გამართლება და მათი დამსახურება იმაშია, რომ ისინი შეურიგებელ და თანამიმდევრულ ბრძოლას აწარმოებდნენ ფეოდალიზმის წინააღმდეგ და პირველ ბურჟუაზიულ რევოლუციონერთა წინამორბედნი იყვნენ.

---

[1] ანტი-დიურინგი, სახელგამი, 1933, გვ. 2.

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, X, 1950—1951.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, X, 1950—1951.

იოსებ კუბლაშვილი

ბათუმის განთავისუფლების ისტორიიდან (მე-19 საუკ.)*

შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს უმშვენიერეს კუთხეში უძველესი დროიდან გაშენებულია სანავსადგურო ქალაქი ბათუმი. ამ ქალაქის დაარსების ზუსტად დადგენილი თარიღი საისტორიო მეცნიერებას ჯერჯერობით არა აქვს. ვარაუდობენ, რომ მისი წარმოშობა II საუკუნეს (ჩვ. ერამდე) უნდა ეკუთვნოდეს. მაგრამ ეს მოსაზრება მხოლოდ ჰიპოთეზად ჩაითვლება, რადგან საამისოდ მეცნიერულად დასაბუთებული ფაქტები არ მოგვეპოვება.

უძველესი დროიდან საქართველო გეოგრაფიულად გაყოფილი იყო ორ ნაწილად: აღმოსავლეთ საქართველოდ ანუ იბერიად (იგივე ივერიად) და დასავლეთ საქართველოდ ანუ კოლხიდად (ბათუმი კოლხიდის ტერიტორიაში შედიოდა), მაგრამ, როგორც ცნობილია, მე-15 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველო დაყოფილ იქნა რვა ცალკე ერთეულად, როგორიც იყო: ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოები და სამეგრელოს, გურიის, სვანეთის, აფხაზეთისა და მესხეთის სამთავროები.

თავისი გეოგრაფიული მდებარეობით საქართველო აღმოსავლეთის და დასავლეთის მნიშვნელოვან სავაჭრო გზაჯვარედინზე იმყოფებოდა და ორგანიულად აკავშირებდა შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებს ევროპასთან. განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ მხრივ ჰქონდა საქართველოს დასავლეთ ნაწილს, რომელიც უშუალო მონაწილეობას ღებულობდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის სავაჭრო ურთიერთობის განვითარებაში. ამიტომ ბუნებრივია, რომ საქართველოს ყველა ისტორიულად მნიშვნელოვანი სავაჭრო ქალაქი:

* წაკითხული იყო მოხსენებად პედაგოგიური ინსტიტუტის XIV სამეცნიერო სესიაზე 1950 წლის 11 აპრილს.

კერასუნტი (გირესუნტი), ტრაპეზუნდი (ტრაპიზონი), ფასიდი (ფოთი), ქუთათისი (ქუთაისი), დიოსკურია (ცხუმი, იგივე სოხუმი), პიტიუნტი (ბიჭვინთა), ბატისი (ბათუმი) და სხვა, მდინარე ფაზისისა (რიონის) და შავი (პონტოს) ზღვის სანაპიროებზე იმყოფებოდნენ და საქართველოს სიმდიდრის დიდი ნაწილი აქ იყრიდა თავს. ამიტომ, რა თქმა უნდა, ყველა დიდი დამპყრობი ამ მხარის დამორჩილებას ცდილობდა. ეს ასეც ყოფილა და იგი ხანგრძლივი ბრძოლის ასპარეზად გამხდარა ჯერ კიდევ რამდენიმე საუკუნით ადრე ჩვენს ერამდე.

საქართველოს ქალაქებს შორის ბათუმს თავისი მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობით ერთი უპირველესი ადგილი ეჭირა. შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ოდესიდან კონსტანტინოპოლამდე (ახლანდელი სტამბოლი) ის პირველხარისხოვან ნავსადგურად ითვლებოდა და ამ უპირატესობას დიდხანს ინარჩუნებდა. ბათუმი არა მარტო ერთადერთი დიდი ნავსადგური იყო, არამედ ის საქართველოსა და ამიერკავკასიის საერთაშორისო ურთიერთობის უმთავრეს კვანძსაც წარმოადგენდა.

ბათუმს, როგორც შავი ზღვის სანავსადგურო ქალაქს, დიდ ეკონომიურ მნიშვნელობასთან ერთად უდიდესი სამხედრო სტრატეგიული დანიშნულებაც ჰქონდა. ბათუმის ასეთი საგანგებო მნიშვნელობა განსაკუთრებით გადიდდა მის შემდეგ, როცა 1453 წლიდან საქართველოს მეზობლად გაუხდა თავისი ბუნებით მარადჟამს მტაცებელი თურქ-ოსმალთა ურდოები და ყოფილი ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე შეჰქმნეს ოსმალეთის უზარმაზარი ფეოდალური სახელმწიფო[1]. ამიერიდან საქართველო უდიდესი საფრთხის წინაშე დადგა. იწყება ხშირი ომები თურქ-ოსმალების წინააღმდეგ. ამ ომებში ქალაქი ბათუმი ყოველთვის პირველხარისხოვან როლს თამაშობდა, როგორც მნიშვნელოვანი სტრატეგიული ცენტრი.

ბათუმის დიდი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა განსაკუთრებით ვლინდებოდა იმ მრავალრიცხოვან ომებში, რასაც მეფის რუსეთი აწარმოებდა თურქეთის წინააღმდეგ სრუტეების დაუფლებისა და ახლო აღმოსავლეთში გაბატონებისათვის.

მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელი კ. მარქსი, რომელიც მისთვის ჩვეული გატაცებითა და გულმოდგინეობით ადევნებდა თვალს ახლო აღმოსავლეთის მიმდინარე ამბებს, განსაკუთრებით

[1] თურქ-ოგუზების ტომთა ბელადმა ოსმან I დასაწყისი მისცა ოსმანთა ანუ ოტომანთა დინასტიას. ის მეფობდა 1288-1328 წ.წ.

ყირიმის კამპანიის დროს, 1853 წლის 18 ოქტომბერს თავის წერილში „წმინდა ომი“ ბათუმის ეკონომიური და სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის შესახებ წერდა: „Ключом театра военных действий в Азии с обеих сторон является, значит, Батум, и если иметь в виду это, а также его значение для торговли, то не приходится удивляться, почему царь постоянно старался его завоевать. Батум является ключом театра военных действий и даже всей Азиатской Турции, потому что он господствует над единственно проходимым путем с берега во внутрь страны, — путем, которым можно обойти все турецкие позиции перед Эрзерумом. И тот из двух флотов в Черном море, который прогонит своего противника обратно в его гавани, будет владеть Батумом“ [1].

როგორც ჩანს თავის ამ გენიალურ შეფასებაში კ. მარქსი განსაკუთრებით უსვამს ხაზს ბათუმის სამხედრო სტრატეგიულ მნიშვნელობას. ეს გასაგებია. მე-19 საუკუნის 80-იან წლებამდე ბათუმის დიდ ეკონომიურ მნიშვნელობაზე რაიმეს თქმა თითქმის შეუძლებელიც იყო. კ. მარქსის აქ მოტანილი შეფასება ამომწურავი და სრულია. იგი მრავალ სახელმძღვანელო დებულებას იძლევა ბათუმზე მომუშავე მკვლევარისათვის.

სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობის თვალსაზრისით ბათუმის ადრინდელი ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული მთელი წინა აზიის ისტორიასთან. აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს იმის აუცილებლობა, რომ ბათუმის ცალკეული კონკრეტული ისტორიული მოვლენების განხილვა წარმოებულ უნდა იქნეს მთელი ახლო აღმოსავლეთის საერთო ისტორიასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, მხედველობაში გვაქვს დიდი ისტორიული მიჯნა — 1921 წელი, როცა ბათუმი საბოლოოდ გახდა საბჭოთა ქალაქად.

ბათუმი მთელი „აზიური თურქეთის საომარ მოქმედებათა გასაღებს“ იმიტომ წარმოადგენდა, რომ აქედან გადიოდა ორი უმნიშვნელოვანესი სამხედრო გზა, რომლებიც, როგორც მარქსი აღნიშნავს, გარს უვლიდნენ თურქეთის ყველა პოზიციას. ერთი მათგანი იყო გზა მიმავალი ბათუმიდან ართვინისაკენ; შემდეგ გრძელდებოდა მდინარე ჭოროხის დაბლობით, გაივლიდა არტაანს, ყარსს და აღწევდა ერზერუმამდე. მართალია, ამ გზას გარკვეული ეკონომიური

[1] К. Маркс и Фр. Энгельс, соч. т. IX, стр. 555. Партиздат, 1933, Москва.

მნიშვნელობაც ჰქონდა, რამდენადაც მისი საშუალებით ბათუმში შემოდიოდა ართვინის მანუფაქტურა, აბრეშუმი, ყარსის ოლქის ხორბალი და სხვა, მაგრამ თურქეთის და რუსეთის ცარიზმის ხელისუფლების წრეები მას უფრო მეტად სტრატეგიულ მნიშვნელობას აძლევდნენ. მეორე იყო შავი ზღვის სანაპირო გზა, ბათუმი-ხოფა, რიზე და აღწევდა კონსტანტინოპოლამდე (სტამბოლამდე). რა თქმა უნდა, არსებობდა სხვა გზებიც, როგორიც იყო: ბათუმი-ახალციხე-თბილისი, საიდანაც შემდეგ მიდიოდა განშტოება ყარსისა და არტაანისაკენ; შემდეგი გზა, ბათუმი-ბორჩხა (ენიისლი)-ართვინი-ისპირი, ბაიბურთი და სხვა. მაგრამ უპირველესი მნიშვნელობა სამხედრო სტრატაგიული თვალსაზრისით მხოლოდ იმ ზემოხსენებულ ორ გზას ჰქონდა [1].

თურქეთსა და რუსეთის ცარიზმს შორის წარმოებულ ყველა ომში ბათუმს ყოველთვის პირველხარისხოვანი სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ეს გარემოება თავიდანვე კარგად ჰქონდა გათვალისწინებული ორივე მხარეს და ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, მის დაუფლებას ცდილობდნენ. ბრძოლა ბათუმისათვის ყოველთვის გააფთრებულ ხასიათს ღებულობდა და იგი თითქმის განუწყვეტელი ბრძოლის ასპარეზს წარმოადგენდა. ჟამთა სიავის გამო ქალაქი ბათუმი და მისი ულამაზესი მხარე მოძალადე თურქ-დამპყრობთა სათარეშო ობიექტად გადაიქცა. ამიტომ იყო, რომ მან თავისი არსებობის საკმაოდ გრძელ მანძილზე მრავალი ცვლილება განიცადა. მისი მჩქეფარე ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრება ბევრჯერ ჩამკვდარა, მიწასთან გასწორებულა, ხოლო განთავისუფლების შემდეგ ისევ განახლებულა, ისევ აღორძინებულა.

ყველაზე ხანგრძლივი დროით ბათუმმა და მისი ბუნებრივი სიმშვენიერით წარმტაცმა მხარემ ველური ოსმანების მუხანათური ბატონობა მე-16-19 საუკუნეების მანძილზე განიცადა. საქართველოს ცალკე ფეოდალურ სამთავროებად დაქუცმაცებისა და საერთო დასუსტებით გამხნევებულმა თურქებმა დაიწყეს ლაშქრობა საქართველოში. პირველ რიგში კი მის სამხრეთ ნაწილში, ყოფილ სამცხე-საათაბაგოში. ბათუმი და მისი მხარე, როგორც სასაზღვრო ნაწილი პირველი თავდასხმის საგანი გახდა. ქართველი ხალხი გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდა მოძალადე დამპყრობელს, მაგრამ მტრის ძალები ბევრად სჭარბობდა ქართველთა ძალებს.

[1] Вышневский, О строительстве Карско-Батумской дороги, стр. 24, 1908.

1545 წელს დაეცა გონიოს ციხე, ხოლო 1554 წელს, შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ, როსტომ გურიელის მთავრად ყოფნის დროს, თურქებმა პირველად დაიკავეს ბათუმი და მისი მხარე. ბათუმის დაპყრობით თურქებმა ხელთ იგდეს უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობის პუნქტი როგორც სახმელეთო, ასევე საზღვაო მიმართულებით.

ქართველი ხალხი არ ნებდებოდა „ურჯულო“ დამპყრობელს, რომელმაც მოსელისთანავე დაიწყო მოსახლეობის ძალით გამუსულმანება და მშობლიური ენის წართმევა. ამ ნიადაგზე ბათუმის ოლქში ადგილი ჰქონდა გლეხთა ხშირ ამბოხებებს თურქთა ბატონობის წინააღმდეგ, მაგრამ გლეხთა ყველა მოძრაობა მარცხით მთავრდებოდა. მეამბოხე გლეხების დიდ ნაწილს ჰყრიდნენ თავიანთი საცხოვრებელი ადგილებიდან და ასახლებდნენ თურქეთში.

1606 წელს გურიის მთავარმა მამია II გურიელმა დაიწყო სამკვდრო-სასიცოცხლო ომი თურქების წინააღმდეგ. მან მოახერხა კავშირის დამყარება იმერეთისა და სამეგრელოს მთავრებთან, რომლებიც დიდძალი ჯარით დაეხმარნენ მას და შესძლეს ბათუმისა და მისი ოლქის განთავისუფლება თურქებისაგან, მაგრამ სულ რამდენიმე თვის შემდეგ ის ისევ თურქებმა დაიკავეს და მე-19 საუკუნის 80-იან წლებამდე განუწყვეტლად ბატონობდნენ. სამ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში გმინავდა აჭარის ქართული მოსახლეობა მუსულმანური ტირანიის უღელქვეშ. ეს წლები ბათუმისა და აჭარის ისტორიაში ეკონომიური გაღატაკების, კულტურული დაქვეითების, უძრაობისა და სიბნელის პერიოდი იყო.

მაგრამ, როგორც ცნობილია, მე-19 საუკუნის დამდეგიდან დაიწყო რუსეთის დაინტერესება საქართველოთი. კავკასიაში რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ საქართველოს ცალკეული ნაწილები თანდათან გადადიოდა რუსეთის თვითმპყრობელობის ხელში. ამ დროს ეკონომიურად დაუძლურებული და პოლიტიკურად დაქუცმაცებული საქართველო ორი მუსულმანური მტაცებლის (აღმოსავლეთით ირანისა და სამხრეთით თურქეთის მიერ) დაპყრობის საფრთხის წინაშე იმყოფებოდა. ამიტომ ადვილი წარმოსადგენია, თუ რაოდენ პროგრესული მნიშვნელობა ექნებოდა საქართველოს დიდ რუს ხალხთან შეერთებას, დიდი კულტურის მქონე რუსეთის ხელში გადასვლას.

1841 წლის გურიის ცნობილი ამბოხების შემდეგ რუსის ჯარმა დაიკავა გურიის სამთავროც და ამ დროიდან უკვე მთელი სიმწვავით დაისვა საკითხი გურიის ყოფილი ტერიტორიის ბათუმის ოლ

ქის თურქებისაგან განთავისუფლების შესახებ. „ოცნება ბათუმის დაუფლების შესახებ, — წერს ცარიზმის ოფიციალური სამხედრო პირი, შტაბის კაპიტანი სტეფანოვი, — ხელახლა წამოიჭრა მაშინ, როცა გურია უკვე შევიდა რუსეთის ქვეშევრდომობაში. ჩვენ ბუნებრივად გვსურდა იმის დაბრუნება, რაც დასაბამიდანვე ეკუთვნოდა გურიას და, გარდა ამისა, ბათუმს უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც საუკეთესო ყურეს შავი ზღვის აღმოსავლეთ და სამხრეთის სანაპიროს მთელს მანძილზე. სანაპირო ხაზის ყველა დანარჩენი გამონაკლისი ძლიერ უმნიშვნელოა და ხელოვნური მოწყობის გარეშე არ შეიძლება თავშესაფრად გამოდგეს დიდი გემებისათვის მოწმენდილ ამინდში. ამ ყურეს მეშვეობით ბათუმი მთავარ დასაყრდენს წარმოადგენს თურქების მოქმედების დროს, როგორც ჩვენი შავი ზღვის სანაპიროს წინააღმდეგ, ასევე აფხაზეთის, გურიის და იმერეთის წინააღმდეგაც“ [1].

აქ საესებით მკაფიოდ და გარკვევით მიუთითებს მეფის რუსეთის ოფიცერი იმ უდიდეს უპირატესობაზე, რასაც ქალაქი ბათუმი ანიჭებდა თურქებს, მათს მფლობელობაში ყოფნის დროს. ამიტომ რუსეთის ხელისუფლება და სარდლობა ცდილობდნენ გამოეგლიჯათ ხელიდან ეს უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ქალაქი. „ჩვენის მხრით ჩვენც, — განაგრძობს იგივე რუსი ოფიცერი, — თურქეთთან ყველა ომში ვისწრაფოდით დაგუფლებოდით ბათუმს. მაგრამ მისკენ მისასვლელ გზაზე მრისხანე დარაჯად იდგა ციხისძირის სიმაგრე და ჩვენს ცდებს ჯარის სიმცირის გამო წარმატება არა ჰქონია, ამიტომ გვიხდებოდა დავკმაყოფილებულიყავით ჩვენი საკუთარი საზღვრების დაცვით“ [2].

კარგახანს ითმენდა მეფის რუსეთის ხელისუფლება ასეთ თავდაცვითს მდგომარეობას თურქების მიმართ. რა იყო ამის მიზეზი? ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ რუსეთის არმიას არ შეეძლო გამკლავებოდა თურქებს? რა თქმა უნდა, არა. საქმე ის იყო, რომ ამ ხნის განმავლობაში საქართველო ჯერ კიდევ მთლიანად არ იყო გადასული რუსეთის ქვეშევრდომობაში. მაგალითად, სამეგრელო მხოლოდ 1857 წლიდან დაემორჩილა რუსულ მმართველობას, სვანეთი 1875 წელს. სწორედ ამ არსებითს გარემოებას უცდიდა რუსეთის ცარიზმი, რომ დაეწყო გენერალური შეტევა თურქების წინა-

[1] Вступление русских войск в город Батум. 25 августа 1878 г. Статья штабс-капитана Т. Стефанова, под ред. Ген. Лейт. Потто. იხილეთ კრებული: „Батум и его окрестности“, стр. 90, 1906.

[2] იქვე, გვ. 91.

აღმდეგ და გაეთავისუფლებინა საქართველოს სამხრეთის ყოფილი ოლქები. მათ შორის პირველ რიგში ბათუმის ოლქი. „ასე მიდიოდა საქმეები, — წერს იგივე რუსი ოფიცერი სტეფანოვი, — 1877 წლამდე, როცა ბათუმს მიექცა დიდი ყურადღება, ვიდრე წინა ომებში“ [1].

მეფის რუსეთის მთავრობამ ბათუმს განსაკუთრებული ყურადღება მართლაც 1877-1878 წლების ომის დროს მიაქცია. მაგრამ ცარიზმის მიერ ბათუმის და მისი ოლქის დაუფლების ცდას ადგილი ჰქონდა მანამდეც, 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს. ამ ომში ბათუმმა უდიდესი როლი ითამაშა, როგორც მნიშვნელოვანმა სტრატეგიულმა პუნქტმა. ფლობდნენ რა ბათუმს და მის ოლქს, თურქებს მნიშვნელოვანი უპირატესობა ჰქონდათ საომარ ოპერაციებში რუსებისა და ქართველების წინააღმდეგ. თურქეთ-კავკასიის საზღვარზე არსებულ ყველა სიმაგრეს ბათუმი აერთებდა და უკავშირდებოდა გზატკეცილებით. ბათუმიდან ბაიაზეთამდე მთელი სასაზღვრო ხაზი ერთ გამაგრებულ ზოლს წარმოადგენდა. საყურადღებო ცნობას გვაძლევს ამის შესახებ საკმაოდ კომპეტენტური პიროვნება, ცარიზმის ოფიციალური წარმომადგენელი, რუსეთის არმიის გამოჩენილი სარდალი, ხსენებულ ომში გენერალ-ლეიტენანტი პოტტო. „აზიურ თურქეთში საომარი მოქმედების დროს 1828-1829 წლებში ყველა ხელსაყრელი პირობა ჩვენი მოწინააღმდეგის მხარეზე იმყოფებოდა. რუსეთის ყველა საზღვარზე მათი საზღვრების ყველა მოსახერხებელ მისასვლელში თურქებს ძლიერი სიმაგრეები ჰქონდათ... ფოთი, ბათუმი, ქობულეთი, აწყური, ხერთვისი, ახალციხე, ახალქალაქი, ყარსი, მაგაზმერტი, კაგიზმანი და ბაიაზეთი, რომელთაც აღმართული ჰქონდათ ცამდე მათი კოშკების მწვერვალები, ითვლებოდნენ მუსულმანური ძლიერების დასაყრდენად იმ ძველ ისტორიულ ქვეყანაში, რომელიც მუდმივი უბედურებისა და სისხლისღვრის თეატრს წარმოადგენდა“ [2].

გარდა აღნიშნული ხელსაყრელი პირობებისა, თურქებს ამ ომის დროს ხელი შეუწყო კიდევ მთელმა რიგმა არსებითმა გარემოებებმაც. ჯერ ერთი, ცნობილია, რომ რუსეთის ცარიზმს ახლადდამთავრებული ჰქონდა ომი ირანთან და რუსეთის ჯარის ნაწილები ჯერ კიდევ არ იყო გამოყვანილი ირანის ტერიტორიიდან. ამიტომ

[1] იქვე, გვ. 93.

[2] Три прошлых кампании в связи с военными действиями в районе батумской области, статья Ген. лейтен. Потто. იხილეთ კრებული: Батум и его окрестности, стр. 115.

თურქების წინააღმდეგ გადასროლილი იყო მცირე ძალები. მეორე არსებითი გარემოება, რაც აბრკოლებდა რუსეთის ცარიზმის საომარ მოქმედებას თურქების წინააღმდეგ ეს იყო ის, რომ საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტახტის დაკარგვის შედეგად განდგომილი მეფე ერეკლე II შვილები ალექსანდრე და ვახტანგ ბატონიშვილები იმყოფებოდნენ ქობულეთში, ისინი მტრულად იყვნენ განწყობილნი რუსეთის ხელისუფლებისადმი და ყოველმხრივ ცდილობდნენ დაებრკოლებინათ რუსული მმართველობის დამკვიდრება საქართველოში. მათ შესძლეს გურიის მთავარი ქალის სოფიო გურიელის მიმხრობა და ამით მთელი გურია გადააქციეს თურქეთის პლაცდარმად. „თურქებმა ყველაფერი ეს კარგად იცოდნენ, — წერს იგივე გენერალ ლეიტენანტი პოტო, — და კონსტანტინოპოლში შედგენილი გეგმის თანახმად თურქების ჯარს ახიაში უნდა ემოქმედნა ორი მიმართულებით: მთავარ ძალებს დანიშნულება ჰქონდათ წასულიყვნენ გუმბრზე (ალექსანდროპოლზე), რათა იქედან შეექმნათ საშიშროება თბილისისათვის, მეორე დამხმარე რაზმს, რომელიც შეკრებილი იყო ბათუმში, უნდა დაეკავებინა გურია, სამეგრელო და იმერეთი, რომ გადაეყვანა თავის მხარეზე ქრისტიანი ხალხები. ჰპირდებოდა მათ პოლიტიკური დამოუკიდებლობის მინიჭებას. ამით სურდა დაუფლებოდა ზღვის ნაპირის უბნებს და წაერთმია ჩვენთვის ყოველგვარი შესაძლებლობა ზღვიდან რაიმე დამხმარე ძალების მიღებისა“ [1].

მიუხედავად ამისა იმერეთის და სამეგრელოს სამთავროების კეთილგანწყობილებით რუსეთის სარდლობამ მნიშვნელოვნად შეავსო თავისი მცირერიცხოვანი ჯარი და დასძრა ისინი გურიისა და აჭარის ტერიტორიებისაკენ თურქების წინააღმდეგ. „როცა დაიწყო თურქებთან ომი ამ ფართო მხარის დასაცავად, — წერს იგივე გენ.-ლეიტ. პოტო, — ჩვენ გვყავდა მხოლოდ ექვსი ფეხოსანი ბატალიონი (სამეგრელოს ლეგიონები და ეგერთა 44-ე ლეგიონი), ერთი ყაზახთა ლეგიონი და 14 ქვემეხი. ამ რაზმის უფროსობა დავალებული ჰქონდა გენერალ-მაიორ გესეს, ჩვენდა საბედნიეროდ, იმერეთი და სამეგრელო, მიუხედავად თურქეთის მრავალგზის ცდისა, მშვიდად დარჩნენ და ამ ქვეყნების მცხოვრებლები სრული სიკეთით განეწყვენ რუსეთისადმი“ [2].

იმერეთის და სამეგრელოს სამთავროების მცხოვრებლების და

[1] იქვე, გვ. 116.
[2] იქვე, გვ. 117.

თვითონ მთავრების რუსეთისადმი კეთილად განწყობის უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ რუსეთის ჯართან ერთად მათ უნდოდათ გაენედევნათ თურქები საქართველოს ყოფილი ტერიტორიიდან და გაეთავისუფლებინათ თურქების ბატონობისაგან მათი დროებით დაკარგული თანამოძმენი. ამ დროს იმერეთის სამეფოს მეფე აღარ ჰყავდა. იმერეთი უკვე გადასული იყო რუსეთის ქვეშევრდომობაში, მაგრამ დიდებულები, რომლებიც ჯერ კიდევ გარკვეული გავლენით სარგებლობდნენ, რუსეთის ორიენტაციისანი იყვნენ და ერთგულად უჭერდნენ მას მხარს თურქების წინააღმდეგ ომში. 1828-1829 წლების თურქეთ-რუსეთის ომში მონაწილე ქართველები გმირობისა და მამაცობის სასწაულებს ახდენდნენ. „სამეგრელოს მთავარი დადიანი თვითონ გამოვიდა და დააყენა თოფქვეშ ოთხი ათასი ცხენოსანი და ფეხოსანი ლაშქარი. იმერეთის მთავრებმაც შეჰკრიბეს აგრეთვე სახალხო რაზმი. მხოლოდ გურია იდგა განზე საერთო ერთსულოვანი შეიარაღებისაგან და უნებლიედ ქმნიდა მისდამი უნდობლობას“ [1].

გურიის მთავრის სოფიო გურიელის ასეთ მერყევ მოქმედებას ბოლო უნდა მოღებოდა. ამ დროს უკვე ბათუმში მდგარი თურქების ძლიერი გარნიზონი ემზადება აღმოსავლეთით წამოწევისათვის და გურიის ტერიტორიაზე შემოჭრისათვის. ზემოხსენებული ბატონიშვილების ალექსანდრეს და ვახტანგის შთაგონებით სოფიომ თურქეთის ორიენტაცია დაიკავა და გურიის მოსახლეობაში გაავრცელა ყალბი ხმები, რომ რუსეთის მთავრობას განზრახული აქვს წაიყვანოს გურიის სამთავროს მემკვიდრე, ჩემი მცირეწლოვანი შვილი დავითი და ამით გურიის დამოუკიდებლობა მოსპოსო. გურიის მოსახლეობა მისდაუნებლიედ უსმენდა ამ ხმებს, მაგრამ ამავე დროს ნათლად ხედავდა, რომ დღითი დღე მოსალოდნელი იყო მისი თურქების ბატონობის ქვეშ გადასვლა, რასაც, რა თქმა უნდა, ვერავითარ შემთხვევაში ვერ ურიგდებოდნენ. მათ უფრო მეტი თანაგრძნობა და სიმპათიები რუსეთისადმი ჰქონდათ როგორც რელიგიური მოსაზრებით, ასევე, რაც მთავარია, იმით, რომ რუსეთი მაშინ კულტურული განვითარების მხრივ გაცილებით მაღლა იდგა, ვიდრე თურქეთი. გურიის მოსახლეობის და მთავრების დიდი ნაწილის ასეთ განწყობილებას ნათლად ადასტურებს ის ფაქტი, რომ, როცა კავკასიის მთავარმართებლის გენერალ პასკევიჩის განკარგულებით რუსის ჯარი ოზურგეთში შევიდა, მთელი მოსახლეობა

[1] იქვე, გვ. 117.

და ისეთი თავადები, როგორიც იყვნენ ნაკაშიძეები, ერისთავები და ნაწილი გურიელებისა მათ მხურვალე თანაგრძნობით შეხვდნენ, ხოლო სოფიო გურიელი მისი მცირერიცხოვანი ამალით თურქეთში გაიქცა.

1829 წლის დასაწყისში გენერალი გესე მთავარმართებლის პასკევიჩის განკარგულებით უკვე ამზადებდა გენერალურ ოპერაციებს ბათუმისა და მისი ოლქის გასათავისუფლებლად, მაგრამ სრულიად მოულოდნელად მიღებულ იქნა ცნობა თეირანში რუსეთის საელჩოს განადგურებისა და გრიბოედოვის მუხანათური მკვლელობის შესახებ. ამ ამბის შემდეგ ამიერკავკასიის მმართველობა და სამხედრო ოლქის სარდლობა ყოველდღე ელოდა განკარგულებას იმპერატორ ნიკოლოზ პირველისაგან ირანთან ომის განახლების შესახებ. მართალია, ირანთან ომი აღარ განახლებულა, მაგრამ თურქეთის წინააღმდეგ კამპანიის სამზადისი მაინც ჩაიშალა.

ბათუმმა, როგორც მნიშვნელოვანმა სტრატეგიულმა პუნქტმა, დიდი როლი ითამაშა რუსეთისა და თურქეთის შემდეგ ომებშიც. 1853-1855 წლების ყირიმის ცნობილი კამპანიის დროს, შემდეგ 1877-1878 წლების თურქეთ-რუსეთის დიდი ომის დროს საომარი მოქმედების თეატრი უმთავრესად გადატანილი იყო ბათუმის რაიონში. ყველა ამ ომში ორივე მებრძოლი მხარის მთავარ მიზანს შეადგენდა ბრძოლა ბათუმის, როგორც მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტის დაუფლებისათვის.

1877-1878 წლების თურქეთ-რუსეთის დიდი ომი რუსეთის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა და ჯერ სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულებით, ხოლო შემდეგ ბერლინის კონგრესის დადგენილებით ბათუმის, ყარსის, არტაანის, ართვინის და ბაიაზეთის ოლქები გადაეცა რუსეთს. აქ არ შევუდგებით ხსენებული ომის დაწვრილებით განხილვას და საზავო პირობების ჩამოთვლას, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ბერლინის კონგრესზე რუსეთის წარმომადგენლობას დიდი ბრძოლის წარმოება დასჭირდა აღნიშნული ოლქების დაბრუნებისათვის.

ბათუმი თურქების ბატონობის პერიოდში სრულიად პატარა, უმნიშვნელო დაბას წარმოადგენდა. მნახველთა გადმოცემით მისი ქალაქად წოდებაც კი არ შეიძლებოდა. ის იმდენად გაპარტახებული და დაცემული იყო, რომ ყველა გულშემატკივარს მომავალი აღდგენის იმედსაც კი უკარგავდა. ამ პერიოდის ბათუმის მდგომარეობის შესახებ საერთო სურათის აღსადგენად სრული უფლებით შეიძლება ვენდოთ მოგონებებს და მემუარებს იმ ადამიანებისას,

რომლებმაც საკუთარი თვალით ნახეს ის შემოერთების მომენტში ანდა მომდევნო უახლოეს წლებში. „პირველი შეხედვით ბათუმმა მე მომაგონა რუსეთის განაპირა სავაჭრო სოფელი, — წერს ერთი მნახველი, — ნახევრად დამპალი ხის ნავსადგურით, სანაპიროს გასწვრივ წინ წამოწეული ორი ათეული სახლით, რომელთაგან მარჯვნივ დასავლეთით ზოგი ორსართულიანია, მათში ზევით მოთავსებულია სასტუმროები და „ტრაქტირები“, ხოლო ქვევით მაღაზიები და ფარდულები. ესენი უფრო მოგვაგონებს ჩვენი ქალაქის განაპირა უბნებს“. ეხება რა ბათუმის ნავსადგურიდან საქონლის გატანის პერსპექტივას, დასძენს, „გატანის შესახებ შეენიშნავ, რომ მისი ახლანდელი მდგომარეობა და თანაც მომავალი ჯერ კიდევ ნაკლებ საიმედოა“ [1].

ასეთივე სავალალო მდგომარეობაზე წერს ბათუმის შესახებ მოგზაური ფრენკელი, რომელიც შემოერთებიდან რამოდენიმე კვირის შემდეგ ჩასულა ბათუმში „...ქალაქი ბათუმი დაყოფილია უბნებად, უკანასკნელ დრომდე ეს უბნები იყიდებოდა საჯარო ვაჭრობით ყველა მსურველზე. მათ ყიდულობდნენ ნაწილს ადგილობრივი მცხოვრებლები, ნაწილს ჩამოსული ვაჭრები... ქალაქში გაყვანილია წყალი უახლოესი მთიდან, მაგრამ წყალსადენი გაფუჭებულია და მნიშვნელოვან შეკეთებას საჭიროებს. ქალაქის ჰიგიენურ მხარეზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება, ის ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა დგას... ამის გამო დაავადება და სიკვდილიანობა მცხოვრებლებისა ძალზე დიდია, ამ უკანასკნელს ერთგვარად ამცირებს მხოლოდ ის, რომ სახლების წინ მრავლად არის ნარგავები“ [2].

როგორც ჩანს, თითქმის ყველა მნახველი ბათუმისა შემოერთების დღეებში პესიმისტურად არის განწყობილი და ბათუმის აღორძინების იმედი აღარ აქვს.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოსა და რუსეთთან შემოერთების შემდეგ ბათუმმა სწრაფად იცვალა სახე. ქალაქის ზრდა და განვითარება დღითი დღე შესამჩნევი ხდებოდა. სულ რაღაც ათიოდე წლის განმავლობაში ის იმდენად გამშვენიერებულა,

---

[1] Н. Петровский, По Закавказью и новопокоренным областям, Древняя и новая Россия, № 3. იხ. აგრეთვე კრებული: Батум и его окр. стр. 255.

[2] А. Френкель, Очерки Батума и Чурук-су, Тиф. 1819, стр. 21. ასეთივე აზრს ავითარებს მეორე მოგზაური ვეიდენბაუმი. იხ. მისი სტატია От Батума до Артвина, Кавказские этюды, Тифлис, 1801, стр. 110.

რომ ყველა მნახველი აღტაცებაში მოჰყავდა. აი, რას წერს თავის მოგონებაში ვ. ლოსოვსკი, რომელიც 1887 წელს სტუმრებია ბათუმს „...ქალაქის გარეგანი სახე ჩვენ მიერ მისი შემოერთებიდან გაუმჯობესდა... ახლა მასში აგებულია დიდი ორსართულიანი ქვის სახლები უახლესი გემოვნებით და სტილით, თანაც დახურულია მოთუთიებული თუნუქით. გაჩნდა დიდძალი მაღაზიები — სავსე საზღვარგარეთული საქონლით; აგებულია რამდენიმე სასტუმრო, რომლებიც მოწყობილობით და მორთულობით არ ჩამოუვარდებიან ჩვენი დიდი საუნივერსიტეტო ქალაქების საუკეთესო სასტუმროებს. არსებობს ხუთი ეკლესია... ხუთი დაწყებითი სკოლა, ოთხი აბანო, ოთხი ქარხანა, რომელთაგან ერთი უზარმაზარი მოცულობისაა, ესაა ნავთსაწმენდი და ჩამომსხმელი ქარხანა; არის ხუთი ნაესაყუდი. ზღვის პირას გაშენებულია ბულვარი, ხოლო ქალაქის განაპირას საქალაქო ბაღი... შემოყვანილია წყალი თუჯის მილებით, რომლის საერთო სიგრძე სამ კილომეტრს უდრის. ეს წყალსადენი დღე-ღამეში დაახლოებით 50 ათას ვედრო წყალს იძლევა და აქვს წყლის 15 გამანაწილებელი სხვადასხვა ონკანი. ქალაქში მოწყობილია საზოგადოებრივი შესაკრები ადგილი... არსებობს ცირკი. ზამთრობით ეწყობა სცენის მოყვარეთა სპექტაკლები... ასე რომ სულ რაღაც შვიდი წლის განმავლობაში სურათი ძირეულად შეიცვალა. ბათუმმა მთლიანად ევროპული სახე მიიღო და ცხოვრების სიფართოვით და მრავალფეროვანებით აღემატება ჩვენი საგუბერნიო ქალაქების დიდ ნაწილს. განსაკუთრებით გაძლიერდა ბათუმის სავაჭრო მნიშვნელობა“ [1].

უფრო გვიანდელი პერიოდის, კერძოდ, 1889 წლის ბათუმის მდგომარეობის შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაძლევს თავის მოგონებაში ექიმი ერიქსონი. ის წერს: „ამიერკავკასიაში არ არის ქალაქი, რომელიც უკეთეს შთაბეჭდილებას სტოვებდეს მნახველზე, როგორც ბათუმია. უნებლიედ გაოცებთ პატარა ევროპული ქალაქის სისუფთავე, რომელიც ვირხოვის [2] მიერ კავკასიაზე გაელის დროს პატარა ნიცად იქნა წოდებული“ [3].

მრავალი ფაქტის და ციფრობრივი მაჩვენებლების მოტანა შეიძლება კიდევ ბათუმის სწრაფი ზრდა-განვითარების შესახებ, მისი თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლებისა და საქართველოსთან

[1] В. Я. Лосовский, Чороxский край, Тифлис, 1887, стр. 131.

[2] აქ ლაპარაკია ცნობილ გერმანელ ფიზიოლოგ ვირხოვზე.

[3] В. Ериксон, Из воспоминаний о Батуме и его окрестностях, Москва, 1899, стр. 53.

და რუსეთთან შემოერთების შემდეგ, მაგრამ ილუსტრაციისათვის უკვე აღნიშნულიც საკმარისია, რადგან წინამდებარე შრომას არა აქვს მიზნად ბათუმის ეკონომიური და კულტურული აღორძინების სპეციალურად გამოკვლევა აღნიშნულ პერიოდში.

მე-19 საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი ბათუმის ისტორიულ განვითარებაში უდიდესი გარდატეხის პერიოდად ითვლება. 1883 წელს დამთავრდა ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობა, რომლითაც ბათუმი შეუერთდა ამიერკავკასიის სამრეწველო ცენტრს ბაქოს. დაიწყო ბათუმში ახალი ფაბრიკა-ქარხნების მასობრივი მშენებლობა, განსაკუთრებით ნავთობის გადამმუშავებელი ქარხნებისა. ამიერიდან ბათუმი ამიერკავკასიის დიდი ქალაქების რიგში ჩადგა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ის უკვე მესამე ადგილს იჭერს თბილისსა და ბაქოს შემდეგ. „ბათუმი 1900 წელს მნიშვნელოვან სამრეწველო ცენტრს წარმოადგენდა. 1883 წელს დამთავრდა ამიერკავკასიის რკინიგზის გაყვანა, რომელმაც ბათუმი ბაქოსთან შეაერთა. უკვე 1898 წელს ბათუმში იყო 10-ზე მეტი მსხვილი სამრეწველო საწარმო: როტშილდის, მანთაშევის, ნობელის და სხვ. ბიდონის ქარხნები, თამბაქოს ორი ფაბრიკა, თუჯის ჩამომსხმელი ქარხანა, ლურსმნის ქარხანა, მინერალური წყლების ქარხანა, რამდენიმე ნავთსასხმელი სადგური. 1900 წელს დამთავრდა ბაქო-ბათუმის ნავთსადენის მშენებლობა. მუშათა საერთო რაოდენობა 11 ათასს აღწევდა“ [1].

ვაჭრობისა და მრეწველობის ზრდასთან ერთად გიგანტური მასშტაბით იზრდებოდა ქალაქის მოსახლეობის რიცხვიც. ბათუმის ქალაქის მცხოვრებთა რაოდენობის სწრაფი ზრდის შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაძლევს ი. ს. მესხი თავის სპეციალურ ნარკვევში. „თუ 1878 წელს შემოერთების დროს ბათუმში აღმოჩნდა 3.000 სული ორივე სქესის მოქალაქე ოფიციალური ცნობებით, რომელიც ბათუმის სამხედრო გუბერნატორმა წარუდგინა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს მის შეკითხვაზე, ჩანს, რომ ბათუმში 1880 წელს ცხოვრობდა ორივე სქესის 3.500 მოქალაქე... ორი წლის შემდეგ, 1882 წლის აღწერით, ბათუმში აღმოჩნდა 8.551 სული ორივე სქესის მოქალაქე. ხოლო 1890 წელს ბათუმის ქალაქის თვითმმართველობის მიერ წარმოებული აღწერით 18.123 სული. 1897 წელს სრულიად რუსეთის მასშტაბით ჩატარებული აღწერით

[1] ლ. პ. ბ ე რ ი ა, ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის, 1951, გვ. 24-25.

იყო 28.156 სული ორივე სქესის მოქალაქე. 1900 წლისათვის კი მოსახლეობის რიცხვი ბათუმში 35.000 აღწევდა"[1].

გიგანტური მაშტაბით გაიზარდა ბათუმის ნავსადგურით ამიერკავკასიიდან სხვადასხვა საქონლის გადატანა საზღვარგარეთ. ასევე, უცხოეთიდან ამიერკავკასიაში შემოტანილი საქონლის დიდი ნაწილი ბათუმის ნავსადგურში იგზავნებოდა. ამ გარემოებამ ბათუმს, როგორც ამიერკავკასიის დიდ სანავსადგურო ქალაქს, კიდევ უფრო მეტი საერთაშორისო მნიშვნელობა მისცა.

ბათუმიდან საზღვარგარეთ გასატან საქონელს შორის პირველი ადგილი ნავთის პროდუქტებს ეჭირა. ოფიციალური მონაცემებით 1890-ანი წლებიდან ბათუმის ნავსადგურიდან გატანილ პროდუქტებს შორის 88%-ს ნავთის პროდუქტები შეადგენდა. ნავთისა და სხვა პროდუქტების დიდი ოდენობით გატანა საზღვარგარეთ დამოკიდებული იყო ამიერკავკასიის რკინიგზის შეუფერხებელ მუშაობაზე და იმაზე, თუ რამდენად მზად იყო ბათუმის ნავსადგური ამ პროდუქტების მარაგით. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ღონისძიებები იქნა განხორციელებული. ჯერ ერთი, 1890 წლის 15 სექტემბერს დამთავრდა სურამის გვირაბის გათხრა, რითაც კიდევ უფრო დაჩქარდა სარკინიგზო მოძრაობა და ნავთის დიდი რაოდენობით გადაზიდვა ბაქოდან ბათუმში. ხოლო შემდეგ ამის პარალელურად ბათუმში აგებულ იქნა დიდი ტევადობის მქონე მრავალრიცხოვანი რეზერვუარები, რომელთა საშუალებით შესაძლებელი ხდებოდა დიდძალი ნავთის პროდუქტების მომარაგება. უკვე 1892 წელს ბათუმში სულ 97 რკინის რეზერვუარი იყო, ცისტერნები, რომლებსაც 9 მილ. 800 ათასი ფუთი ნავთის პროდუქტების ტევადობა ჰქონდათ, 5 წლის შემდეგ, 1897 წელს, უკვე 109 რეზერვუარი იყო 14 მილ. 881 ათას 803 ფუთი წყლის ტევადობით (რაც ნავთის ტევადობაზე გადაყვანით 12 მილიონ ფუთზე მეტს შეადგენდა). კიდევ ხუთი წლის შემდეგ, 1902 წლის პირველი იანვრისათვის 158 რეზერვუარი იყო, 21 მილ. 636 ათას 139 ფუთი წყლის ტევადობით (დაახლოებით 18 მილ. ფუთი ნავთის ტევადობით)[2].

თუ 1897 წლიდან ამიერკავკასიის რკინიგზა სახელმწიფოს ხელში გადავიდა, სამაგიეროდ ბათუმში არსებული ნავთის პროდუქტების

---

[1] И. С. Месхи, Очерк развития батумского городского хозяйства. იხილე კრებული Батум и его окрестности, стр. 460.

[2] Лев Марков, Очерк батумской торговли нефтяными продуктами (значение её для Батума и роль русских нефтяных продуктов на мировом рынке, იხ. კრებული Батум и его окрестности, გვ. 298).

მრავალრიცხოვანი რეზერვუარები ცალკეული ფირმებისა და კერძო მფლობელების ხელში იმყოფებოდა და მიღებული შემოსავალი მათს მფლობელთა კუთვნილებას შეადგენდა.

ცალკეული ფირმებისა და მფლობელების მიხედვით ეს რეზერვუარები 1902 წლის პირველი იანვრისათვის შემდეგნაირად ნაწილდებოდა:

რეზერვუართა მფლობელები	რეზერვ. რიცხვი	ტევადობა წყლისა ფუთებში
1. კასპია-შავი ზღვის ნავთის საერთო საზოგადოება	25	4.258.293
2. ძმები ნობელები	22	2.962.525
3. მანთაშევი და კამპანია . . .	11	2.449.940
4. ბიბაევი	6	1.075.135
5. რუსეთ-კავკასიის ნავთის მრეწველობის საზოგადოება	3	396.000
6. ძმები ცოვიანოვები	2	254.294
7. ვაგსტაფი და ბლეი	4	598.325
8. სიდერიდისი	3	134.285
9. ხაჩატურიანცი	2	419.955
10. ბურგარდტი	3	577.106
11. ნავთ-ზეთის წარმოების ამხანაგობა .	12	2.866.934
12. ბუტცი და ციმერმანი . . .	3	180.000
13. ბალარი	2	11.000
14. რილსკი	4	1.163.773
15. მათიევიჩი	2	553.953
16. კასპიის ამხანაგობა	4	1.087.169
17. ტუმაევი	3	540.301
18. ვაჩიანცი	2	23.021
19. შხიანცი	1	4.694

რეზერვუართა მფლობელები	რეზერვ. რიცხვი	ტევადობა წყლისა ფუთებში
20. ნანოიანი	1	2.500
21. რიხნერი	2	252.114
22. ამიერკავკასიის რკინის გზა . .	11	1.824.821
ს უ ლ . .	128	21.636.139[1]

1902 წლიდან ბათუმში აგებულ იქნა კიდევ მთელი რიგი ახალი რეზერვუარებისა. ასე რომ პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის წინ ბათუმს შეეძლო მარაგად ჰქონოდა 20 მილიონი ფუთი ნავთის პროდუქტი, რაც დაახლოებით მისი ნავსადგურის წლიური ექსპორტის $^1/_4$ შეადგენდა.

ნავთის პროდუქტები ბათუმის ნავსადგურიდან ორი უმთავრესი მიმართულებით მიდიოდა — რუსეთში და საზღვარგარეთ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთში ბათუმის ნავსადგურით ნავთის პროდუქტები შედარებით ძლიერ მცირე რაოდენობით გაქონდათ. ეს იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, რუსეთის ცალკეული მხარეები და ოლქები მარაგდებოდნენ გროზნოს ნავთის პროდუქტებით. მეორეც, მის შემდეგ, როცა ბაქო შეერთებულ იქნა რუსეთთან სარკინიგზო მაგისტრალით, პირდაპირი სახმელეთო გზით გაჰქონდათ მნიშვნელოვანი რაოდენობა ბაქოს ნავთის პროდუქტებისა.

ბათუმის ნავსადგურის მეშვეობით ბაქოს ნავთის პროდუქტები საზღვარგარეთ იგზავნებოდა როგორც ევროპის, ასევე აზიისა და აფრიკის ქვეყნებში. მე-19 საუკუნის დამლევსა და მე-20 საუკუნის პირველ ათეულ წლებში ბაქოს ნავთის გასაღების ბაზრებს საზღვარგარეთ წარმოადგენდნენ შემდეგი ქალაქები: ჰამბურგი, ანტვერპენი, ლონდონი, ჰავრი, ბორდო, ლისაბონი, მარსელი, ტრიესტი, სუეცის არხი, ბომბეი, კალკუტა, შანხაი, იოკოგამა და სიდნეი. ამ ქალაქებიდან იგი შემდეგ ნაწილდებოდა სხვადასხვა ქვეყანასა და ქალაქზე. დიდი რაოდენობით ღებულობდნენ ბაქოს ნავთის პროდუქტებს ამერიკის შეერთებული შტატებიც, მაგრამ

[1] იქვე, გვ. 299.

მის შემდეგ, როცა ჩრდილოეთ ამერიკაში (ატლანტის ოკეანეს სანაპიროზე) დაწყებულ იქნა ნავთის პროდუქტების დიდი რაოდენობით მოპოვება, ამერიკის შეერთებული შტატები შეეცადნენ კონკურენცია გაეწიათ ბაქოს ნავთისათვის აზიის ქვეყნებში. მაგრამ ნავთის უკეთესი ხარისხისა და ბათუმიდან მისი გადაზიდვის უფრო ხელსაყრელი პირობების გამო ამ კონკურენციაში პირველობა ბაქოს ნავთმა მოიპოვა.

ასე რომ მოცემულ პერიოდში თავისი მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობისა და საუკეთესო ნავსადგურის მეშვეობით ქალაქი ბათუმი ევროპის, აზიისა და ნაწილობრივ აფრიკის ქვეყნების ნავთობით მომმარაგებელ სანავსადგურო ქალაქად იქცა.

ა.ლ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, X, 1950—1951.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, X, 1950—1951.

შალვა ქოჩრიძე

საწარმოო ძალთა სოციალისტური განლაგების საკითხისათვის

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის შრომებში მოცემულია სახელმძღვანელო მითითებანი სოციალისტური საზოგადოების წარმოების განლაგების შესახებ.

ვ. ლენინისა და ი. სტალინის შრომებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საწარმოო ძალების განლაგების საკითხებს. ლენინისა და სტალინის შრომებში მოცემულია მოძღვრება სოციალისტური წარმოების განლაგების პრინციპებისა და კანონზომიერების შესახებ.

ვ. ლენინი და ი. სტალინი, როგორც ოქტომბრის რევოლუციის შემოქმედნი, როგორც პარველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებელნი და ხელმძღვანელნი, არიან სოციალისტურ საწარმოო ძალთა განვითარებისა და განლაგების არა მარტო თეორიულად დამსაბუთებელნი, არამედ მისი პრაქტიკულად განმხორციელებელნიც.

დიდი ლენინის გარდაცვალების შემდეგ, ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების შემდგომ წლებში, დიადი სტალინური ხუთწლედების ბრწყინვალე გამარჯვების წლებში, ი. სტალინმა კიდევ უფრო განავითარა და მაღალ საფეხურზე აიყვანა მოძღვრება სოციალისტურ საწარმოო ძალთა განლაგების შესახებ.

წინააღმდეგ კაპიტალიზმის აპოლოგეტთა ყოველგვარი აბდაუბდისა საწარმოო ძალების რაღაც მუდმივი, ზეისტორიული კანონზომიერების არსებობის შესახებ, მეცნიერული კომუნიზმის უდიდესი თეორეტიკოსი დიდი სტალინი გვასწავლის, რომ საწარმოო ძალების განვითარებისა და განლაგების კანონზომიერებანი მთლიანად განისაზღვრება წარმოების საზოგადოებრივი წყობილებით, ისტორიულად განსაზღვრული წარმოების წესით. „საზოგადოების ისტორიის კანონების შესწავლის გასაღები უნდა ვეძებოთ არა ადამიანთა

თავებში, არა საზოგადოების შეხედულებებსა და იდეებში, არამედ წარმოების წესში, რომელსაც იყენებს საზოგადოება ყოველ მოცემულ ისტორიულ პერიოდში, უნდა ვეძებოთ საზოგადოების ეკონომიკაში“ [1].

ამრიგად, კაპიტალისტური წარმოების განვითარება და განლაგება განისაზღვრება კაპიტალისტური წარმოების საზოგადოებრივი წყობილებით, კაპიტალისტური წარმოების წესით.

მაშასადამე, სოციალისტური წარმოების განვითარება და განლაგება განისაზღვრება სოციალისტური წარმოების საზოგადოებრივი წყობილებით, სოციალისტური წარმოების წესით. სოციალისტური წარმოების საზოგადოებრივი წყობილების დამახასიათებელია გეგმიანი მეურნეობა. წინააღმდეგ კაპიტალისტური მეურნეობის ანარქიული ხასიათისა, გეგმიანი მეურნეობა სოციალისტური წარმოების განლაგების თვისობრივად სულ სხვა საწინააღმდეგო ბუნებას გვიჩვენებს. სოციალისტური ეკონომიკა არ შეიძლება აღმოცენდეს და განვითარდეს სტიქიურად, უგეგმოდ, სახელმწიფოს გარკვეული ეკონომიური პოლიტიკის გარეშე. დიდი სტალინი გვასწავლის: „ზედნაშენს წარმოშობს ბაზისი, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ზედნაშენი მხოლოდ ასახავს ბაზისს, რომ იგი პასიური, ნეიტრალური, განურჩეველია თავისი ბაზისის ბედისადმი, კლასების ბედისადმი, წყობილების ხასიათისადმი. პირიქით, რაკი გაჩნდა, ზედნაშენი უდიდეს აქტიურ ძალად იქცევა. აქტიურად უწყობს ხელს თავის ბაზისს ჩამოყალიბდეს და განმტკიცდეს, ყოველ ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ დაეხმაროს ახალ წყობილებას, ბოლო მოუღოს და მოსპოს ძველი ბაზისი და ძველი კლასები“ [2].

ამრიგად, მუშათა კლასის დიქტატურა, როგორც მამოძრავებელი ძალა, თავისი პოლიტიკით განსაზღვრავს სოციალისტური ეკონომიკის განვითარების გზებს. ამ გზებს სოციალისტურ საწარმოო ურთიერთობათა ბატონობის შენარჩუნებით და განმტკიცებით ქვეყანა მიჰყავს კომუნიზმისაკენ. კომუნისტური საზოგადოების აშენება გეგმიანი სოციალისტური მეურნეობის და მისი საზოგადოებრივი წყობილების საბოლოო მიზანია. ამ გარემოების — კომუნისტური საზოგადოების აშენების — დავიწყება სოციალისტური წარმოების

---

[1] საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია, მოკლე კურსი, გვ. 147, სახელგამი, 1938, ტფილისი.

[2] ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, გვ. 4-5, სახელგამი, 1951, თბილისი.

განლაგების პრინციპების დადგენისას შეუძლებელია. წარმოების განლაგების სოციალისტური პრინციპები გამომდინარეობენ კომუნიზმის განხორციელების მიზნისაგან.

ჩვენს ქვეყანაში აღარ მოქმედებს კაპიტალისტური წარმოების განლაგების სტიქიური, ბრმა კანონები. ჩვენში წარმოების განვითარება და განლაგება მოწესრიგებული, გეგმიანია. ჩვენი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ეკონომიური პოლიტიკა, სადაც მოცემულია წარმოების განვითარების და განლაგების ძირითადი მიმართებანი, სახალხო-სამეურნეო გეგმებში პოულობს თავის გამოხატულებას.

ამრიგად, ჩვენი ქვეყნის სოციალ-ეკონომიური წყობილება, რომელიც განსაზღვრავს საწარმოო ძალთა განლაგებას, ამ განლაგებას დროის გარკვეულ მონაკვეთში, სახალხო მეურნეობის გეგმებში გამოავლენს.

დიდი სტალინი განსაკუთრებულად აღნიშნავს ჩვენი სახალხო მეურნეობის გეგმების სახელმწიფოებრივ სადირექტივო ხასიათს. ი. სტალინი გვასწავლის, რომ ჩვენი გეგმები გეგმა-პროგნოზები კი არ არის, არამედ ხელმძღვანელი ორგანოებისათვის სავალდებულო გეგმა — დირექტივაა, რომლებიც განსაზღვრავენ ჩვენი სამეურნეო განვითარების მიმართულებას. მაშასადამე, საბჭოთა სახელმწიფოს და ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკა უზრუნველყოფს მეურნეობის სოციალისტური წარმოების წესის უპირატესობას კაპიტალისტური წარმოების წესთან. ამ უპირატესობის მაჩვენებელია სოციალისტური მეურნეობის განუწყვეტელი აღმავლობა და განვითარების მაღალი ტემპები, რომლებიც არ ახსოვს და არც შეიძლება ახსოვდეს კაპიტალიზმს. საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე, ახასიათებდა რა სოციალისტური მეურნეობის უპირატესობებს, ამხანაგმა სტალინმა გამოაქვეყნა შემდეგი მონაცემები:

„სამრეწველო პროდუქციის მოცულობა პროცენტებში 1929 წელთან შედარებით.

(1029 წ. = 100)

ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი	1934 წ.	1935 წ.	1936 წ.	1937 წ.	1938 წ.
ა. შ. შტატები	66,4	75,6	88,1	92,2	72,0
ინგლისი	98,8	105,8	115,9	123,7	112,0
საფრანგეთი	71,0	67,4	79,3	82,8	70,0
იტალია	80,0	93,8	87,5	99,6	96,0
გერმანია	79,8	94,0	106,3	114,2	125,0
იაპონია	128,7	141,8	154,1	170,8	165,0
სსრ კავშირი	283,3	293,4	382,3	424,0	477,0

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ საბჭოთა კავშირი წარმოადგენს მსოფლიოში ერთადერთ ქვეყანას, რომელიც არ იცნობს კრიზისებს და რომლის მრეწველობა მუდამ აღმავლობის გზით მიდის“ [1]. დაახასიათა რა საბჭოთა კავშირის და მთავარი კაპიტალისტური ქვეყნების მრეწველობის ზრდა 1913—1938 წლებში, ამხანაგმა სტალინმა გამოაქვეყნა შემდეგი ცნობები:

„სსრ კავშირისა და მთავარი კაპიტალისტური ქვეყნების მრეწველობის ზრდა 1913-1938 წლებში.

ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი	1913 წ.	1933 წ.	1934 წ.	1935 წ.	1936 წ.	1937 წ.	1938 წ.
სსრ კავშირი	100,0	380,5	457,0	562,6	732,7	816,4	908,8
ა. შ. შტატები	100,0	108,7	112,9	128,6	149,8	156,9	120,0
ინგლისი	100,0	87,0	97,1	104,0	114,2	121,9	113,3
გერმანია	100,0	75,4	90,4	105,9	118,1	129,3	131,6
საფრანგეთი	100,0	107,0	99,0	94,0	98,0	101,0	93,2

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ ჩვენი მრეწველობა ომამდელ დონესთან შედარებით ცხრაჯერ და უფრო მეტად გაიზარდა, მაშინ როდესაც მთავარი კაპიტალისტური ქვეყნების მრეწველობა განაგრძობს ერთი ადგილის ტკეპნას ომამდელი დონის გარშემო, აპარბებს რა მას მხოლოდ 20-30 პროცენტით“ [2].

ამრიგად, ამხანაგმა სტალინმა, გამოაქვეყნა რა აღნიშნული ცნობები, სრული სიცხადით გვიჩვენა, რომ სოციალისტური მეურნეობა არ იცნობს კრიზისებს, რომ იგი განიცდის მუდმივ ზეაღმავლობას და განვითარების გაცილებით მაღალი ტემპები აქვს, ვიდრე რომელიმე კაპიტალისტურ ქვეყანას. ასეთია ის უპირატესობანი, რომელნიც გეგმიან მეურნეობას — სოციალისტურ მეურნეობას გააჩნია უგეგმო, ანარქიულ მეურნეობასთან — კაპიტალისტურ მეურნეობასთან შედარებით.

სოციალისტური წარმოების ეს უპირატესობა პრაქტიკულად განხორციელდა იმ ქვეყანაში, რომელიც გარშემორტყმული იყო კაპიტალისტური მსოფლიოთი. სოციალიზმის ახალი მშენებელი

[1] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, საანგარიშო მოხსენება პარტიის XVIII ყრილობაზე საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ-ის მუშაობის შესახებ, გვ. 8, სახელგამი, 1939, ტფილისი.

[2] იქვე, გვ. 23-24.

ქვეყნები, დიდი საბჭოთა კავშირის უანგარო დახმარებითა და მისი გამოცდილების გამოყენებით, უფრო გაიადვილებენ სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის გზებს, მიუხედავად იმ წინააღმდეგობებისა, რომლებიც ელობება მათ ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების გზაზე. მაშასადამე, საბჭოთა კავშირს წარმოების სოციალისტური განლაგების განხორციელება უხდებოდა მეტად ძნელ ისტორიულ ვითარებაში. სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების სიცოცხლისუნარიანობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან, მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, წარმატებით განახორციელა სოციალისტური საზოგადოების აშენება, ბრწყინვალედ დაიცვა დიდ სამამულო ომში ოქტომბრის მონაპოვარი და გიგანტური ნაბიჯებით მიემართება წინ, კომუნიზმისაკენ.

საბჭოთა კავშირის აღნიშნულ ისტორიულ ვითარებას ისიც უნდა დაემატოს, რომ ძველ რუსეთში მრეწველობის საერთოდ დაბალ განვითარებასთან ერთად ადგილი ჰქონდა მეტად არათანაბარ განლაგებას. ვეებერთელა რუსეთის ტერიტორიაზე პატარა წერტილებად გამოირჩეოდა რამდენიმე სამრეწველო რაიონი, ხოლო მთელი დანარჩენი რუსეთი უაღრესად ჩამორჩენილი იყო. ამ უზარმაზარი სივრცეების უდიდესი ჩამორჩენილობის შესახებ ლენინი წერდა: „თვალი გადაავლეთ რ. ს. ფ. ს. რ. რუკას, ვოლოგდის ჩრდილოეთით, დონის როსტოვისა და სარატოვის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ორენბურგის და ომსკის სამხრეთით, ტომსკის ჩრდილოეთით გადაჭიმულია თვალუწვდენელი სივრცე, რომელზედაც თავისუფლად მოთავსდებოდა რამდენიმე ათეული დიდი კულტურული სახელმწიფო. მთელ ამ სივრცეზე გამეფებულია პატრიარქალობა, ნახევრად-ველურობა და ნამდვილი ველურობაც კი. მთელი დანარჩენი რუსეთის გლეხურ მივარდნილ კუთხეებში? ყველგან, სადაც სოფლური გზები ათეული ვერსობით — უფრო სწორად: მრავალი ათეული ვერსის უგზოობა — აშორებს სოფელს რკინიგზებს, ე. ი. მატერიალურ კავშირს კულტურასთან, კაპიტალიზმთან, მსხვილ მრეწველობასთან, დიდ ქალაქთან, განა ყველგან ამ ადგილებში იგივე პატრიარქალობა, ობლომოვშჩინა, ნახევრად-ველურობა არ არის გაბატონებული?“ [1].

ამავე ჩამორჩენილობის შესახებ ლაპარაკობს ამხანაგი სტალინი რკპ(ბ) X ყრილობის თეზისებში — „პარტიის მორიგ ამოცანებზე

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ხასურსათო გადასახადის შესახებ, გვ. 44-45, პარტ. გამომცემლობა, 1934, ტფილისი.

ნაციონალურ საკითხებში“: „თუ 65 მილიონ არაველიკოროს მოსახლეობას გამოვაკლებთ უკრაინას, ბელორუსიას, აზერბაიჯანის მცირე ნაწილს და სომხეთს, რომელთაც ასე თუ ისე გაუვლიათ სამრეწველო კაპიტალიზმის პერიოდი, დარჩება 25 მილიონამდე მოსახლეობა, უმთავრესად თურქი მოსახლეობა (თურქესტანი, აზერბაიჯანის დიდი ნაწილი, დაღისტანი, მთიელები, თათრები, ბაშკირები, ყირგიზები და სხვ.), რომელსაც ვერ მოუსწრია კაპიტალისტური განვითარების გავლა, არა ჰყავს ან თითქმის არა ჰყავს თავისი სამრეწველო პროლეტარიატი, მეტწილად შეუნარჩუნებია მეჯოგური მეურნეობა და პატრიარქალურ-საგვარეულო ყოფაცხოვრება (ყირგიზეთი, ბაშკირეთი, ჩრდილო-კავკასია) ან ნახევრად-პატრიარქალურ ნახევრად-ფეოდალური ყოფაცხოვრების პირველყოფილ ფორმებს არ გასცილებია (აზერბაიჯანი, ყირიმი და სხვ.)...“ [1].

ქვეყნის უდიდესი ნაწილის ასეთი ჩამორჩენილობა კიდევ უფრო მეტი სიმკაცრით აყენებდა საწარმოო ძალების სწორი განლაგების საკითხს. ჩვენს ქვეყანაში წარმოების სწორად განლაგების საკითხი სახალხო-სამეურნეო გეგმების შემადგენელ, ორგანიულ ნაწილს წარმოადგენს.

ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ თვეებში, 1918 წლის აპრილში, ლენინი აყენებს საკითხს მრეწველობის რაციონალური განლაგების შესახებ. მეცნიერულ-ტექნიკურ სამუშაოთა მონასახში ლენინი წერს: „რუსეთში მრეწველობის რაციონალური განლაგება ნედლეულის სიახლოვისა და შრომის უმცირესი ხარჯვის შესაძლებლობათა თვალსაზრისით ნედლეულის დამუშავებიდან ნახევარ ფაბრიკატების დამუშავების ყველა თანმიმდევრულ სტადიაზე გადასვლისას, გამოუკლებლივ დამზადებული პროდუქციის მიღებამდე“ [2]. მაშასადამე, ლენინი მოითხოვს მრეწველობის რაციონალურ განლაგებას, მის მიახლოებას ნედლეულის წყაროებთან, წარმოების მოწყობას ისე, რომ ნედლეულის გადამუშავებიდან დაწყებული მზაპროდუქტის მიღებამდე ადგილი არ ჰქონდეს წარმოების გაწყვეტას სივრცესა და დროში.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სწორად განლაგების საკითხებს დიდ მნიშვნელობას აკუთვნებს ამხანაგი სტალინი. საკ. კ. პ. (ბ) XVI პარტიულ ყრილობაზე სტალინი ამბობდა: „უწინარეს

---

[1] ი. სტალინი, თხზ., ტ. 5, გვ. 26-27, თბილისი 1946.

[2] ვ. ლენინი, მეცნიერულ-ტექნიკურ სამუშაოთა გეგმის მონასახი, ტ. XXII, გვ. 509, სახელგამი, 1938, ტფილისი.

ყოველისა სსრ კავშირში მრეწველობის სწორი განლაგების პრობლემა. რანაირადაც უნდა განვავითაროთ სახალხო მეურნეობა, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ საკითხს, რუ როგორ განვალაგოთ სწორად მრეწველობა როგორც სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგი“ [1].

ამასთან დაკავშირებით, უკრაინის სათბობისა და მეტალურგიის ყოველმხრივ განვითარებასთან ერთად ამხანაგი სტალინი აყენებდა საკითხს მეორე საქვანახშირო-მეტალურგიული ბაზის შექმნის შესახებ.

ამხანაგი სტალინი ამბობდა: „საავტომობილო ქარხნის აგება ნიჟნი-ნოვგოროდში, სატრაქტორო ქარხნისა — ჩელიაბინსკში, მანქანათმშენებელი ქარხნისა — სვერდლოვსკში, კომბაინის ქარხნებისა — სარატოვსა და ნოვოსიბირსკში; მზარდი ფერადი მეტალურგიის არსებობა ციმბირსა და ყაზახეთში, რაც მოითხოვს სარემონტო სახელოსნოების ქსელისა და მთელი რიგი ძირითადი მეტალურგიული ქარხნების შექმნას აღმოსავლეთში; დასასრულ, გადაწყვეტილება ნოვოსიბირსკსა და თურქესტანში საფეიქრო ფაბრიკების აშენების შესახებ, — ყოველივე ეს კატეგორიულად მოითხოვს, რომ დაუყონებლივ შევუდგეთ ქვანახშირისა და მეტალურგიის მეორე ბაზის შექმნას ურალში“ [2].

ამ რამდენიმე სტრიქონში დასახული უდიდესი პროგრამა სამრეწველო დარგებისა და გიგანტების განლაგებისა, რომლებიც ჩვენი ქვეყნის თვალუწვდენი ტერიტორიის წინათ ჩამორჩენილი რაიონების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს, ამჟამად სინამდვილედაა ქცეული.

ამხანაგ სტალინის აზრით, ასევე მნიშვნელოვანია „სსრ კავშირში სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების სწორი განლაგების პრობლემა, პრობლემა ჩვენი ოლქების სპეციალიზაციისა სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და დარგების მიხედვით“ [3].

ამრიგად, საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის წინაშე ოქტომბრის რევოლუციის დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის მიერ დაყენებული და გადაჭრილი იყო საკითხი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სწორი განლაგების შესახებ.

---

[1] ი. სტალინი, თხზ., ტ. 12, გვ. 353, სახელგამი, თბილისი, 1950.

[2] იქვე, გვ. 354.

[3] იქვე, გვ. 354.

რას ნიშნავს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სწორი, მართებული განლაგება? სტალინური მოძღვრებით სახალხო მეურნეობის დარგების სწორი და მართებული განლაგება ნიშნავს მრეწველობის მიახლოებას ნედლეულის წყაროებთან და მოხმარების პუნქტებთან, მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე წარმოების თანაბარ განლაგებას, ნაციონალური რესპუბლიკების და განაპირა კუთხეების ჩამორჩენილობის ლიკვიდაციას და მათს სწრაფ განვითარებას, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას, რაიონების სპეციალიზაციასა და კომპლექსურ განვითარებას და, ბოლოს, როგორც ყველა აღნიშნულის შედეგი — რევოლუციამდელი შრომის გეოგრაფიული დანაწილების აღმოფხვრას.

სტალინური ხუთწლედების მანძილზე ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალთა განლაგებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ძველი სამრეწველო რაიონები ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ბაზა გახდნენ. აქ მრეწველობის ძველი დარგების განვითარებასთან ერთად მძიმე ინდუსტრიის მრავალი ახალი დარგი აღმოცენდა და განვითარდა.

ამ განვითარებული სამრეწველო რაიონების დახმარებით ახალი სამრეწველო რაიონები იქმნება, ვითარდება მრეწველობა ჩამორჩენილ ნაციონალურ რესპუბლიკებსა და განაპირა კუთხეებში, მრავალი სამრეწველო საწარმო და დარგი აღმოცენდა და განვითარდა ნედლეულისა და სათბობის წყაროებთან და სხვა.

სტალინური მოძღვრების მიხედვით, ხუთწლიანი გეგმების შედგენას საფუძვლად დაედვა წარმოების სოციალისტური განლაგების ძირითადი პრინციპები. ამხანაგმა ვ. მოლოტოვმა თავის მოხსენებაში პარტიის XVII ყრილობაზე ეს პრინციპები დაახასიათა შემდეგნაირად: „მეორე ხუთწლედის კაპიტალურ სამუშაოთა გეგმის თავისებურებას წარმოადგენს საბჭოთა კავშირის საწარმოო ძალთა ახალი, უფრო მართებულად განაწილება. აქ სავსებით ხორციელდება პარტიის და მთავრობის მიერ აღებული გეზი, რომელიც შემდეგში გამოიხატება: მრეწველობის უფრო თანაბრად განაწილება საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, მრეწველობის დაახლოება ნედლეულის და ენერგიის წყაროებთან, ჩამორჩენილი ნაციონალური რესპუბლიკების და ოლქების სწრაფი ეკონომიური და კულტურული აღმავლობის უზრუნველყოფა და საგრძნობი წინ წაწევა ქალაქის და სოფლის დაპირისპირების მოსპობის გზაზე“ [1].

[1] ვ. მოლოტოვი. მეორე ხუთწლედის ამოცანები. გვ. 44, პარტგამომცემლობა, 1934, ტფილისი.

ყველა ეს პრინციპი არის მიღებული მხედველობაში, როდესაც ჩვენი ხუთწლიანი სახალხო-სამეურნეო გეგმები მუშავდება.

ყველა ამ პრინციპის განხორციელება ქმნის სოციალისტური წარმოების გეოგრაფიული განლაგების თავისებურებას. მაგრამ ამ პრინციპების განხორციელება შეიძლება ერთი ყველაზე ზოგადი პრინციპის — შრომის ნაყოფიერების ამაღლების პრინციპის განხორციელებით.

ტერიტორიულად ისე უნდა იქნეს განლაგებული მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, ისე უნდა მოხდეს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია და მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დაკავშირება, რომ უზრუნველყოფილ იქნეს შრომის მაქსიმალური ნაყოფიერება მთელი სახალხო მეურნეობის მასშტაბით.

ლენინი და სტალინი გვასწავლიან, რომ შრომის ნაყოფიერების ამაღლება ყველაზე მთავარია, რომ შრომის ნაყოფიერების ამაღლებით შეიძლება გაიმარჯვოს სოციალიზმმა კაპიტალიზმზე, რომ სოციალიზმის უპირატესობა სწორედ იმაშია, რომ საზოგადოებრივი წყობილება მისი შინაგანი ბუნების გამო ქმნის გაცილებით მაღალ ნაყოფიერებას შრომისას. ლენინი წერს: „შრომის ნაყოფიერება, საბოლოო ანგარიშით ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, ყველაზე უფრო მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გასამარჯვებლად. კაპიტალიზმმა შექმნა შრომის ნაყოფიერება არნახული ფეოდალიზმის დროს. კაპიტალიზმი შეიძლება საბოლოოდ დამარცხებულ იქნას და იქნება დამარცხებული იმით, რომ სოციალიზმი ქმნის ახალ, გაცილებით უფრო მაღალ შრომის ნაყოფიერებას“ [1].

ი. სტალინი გვასწავლის, რომ „მხოლოდ მილიონიანი მასების შრომითს აღმავლობასა და შრომითს ენთუზიაზმს შეუძლია უზრუნველყოს შრომის ნაყოფიერების ის განუწყვეტელი ზრდა, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება კაპიტალიზმზე“ [2]. ამიტომაა, რომ ჩვენს ქვეყანაში შრომის ნაყოფიერების ამაღლებას ასე ფართო გასაქანი აქვს პარტიისა და მთავრობის მთელ რიგ სახელმწიფოებრივ ღონისძიებათა გატარების შედეგად.

კაპიტალისტური წარმოების განლაგების დამახასიათებელია უთანაბრო განლაგება. ეს მისი შინაგანი ბუნებიდან გამომდინარეობს.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, რჩეული ნაწერები, ტ. V, პარტგამომცემლობა, გვ. 339.

[2] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზ., ტ. 12, გვ. 133, სახელგამი, თბილისი, 1950.

სოციალისტური წარმოების განლაგების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპია მრეწველობის თანაბარი განლაგების პრინციპი. ჩვენ ვიცით, რომ კაპიტალისტური წარმოების განლაგების უაღრესი უთანაბრობა ახასიათებს. ჩვენ ვიცით, რომ კაპიტალიზმს არც შეუძლია მისი შინაგანი ბუნების გამო ხელი შეუწყოს და უზრუნველყოს წარმოების თანაბარი განლაგება. წარმოების სწორი, თანაბარი განლაგება მხოლოდ ისეთ საზოგადოებას შეუძლია, რომელსაც უნარი აქვს საწარმოო ძალების განვითარება ერთიმეორეს ჰარმონიულად შეუთანხმოს. ეს აზრი ჯერ კიდევ ადრე გამოთქვა ფ. ენგელსმა თავის ცნობილ შრომაში „ანტი-დიურინგი“ და მას შემდეგ იგი ფართოდაა ცნობილი. ენგელსი წერს: „მხოლოდ საზოგადოებას, რომელიც თავის საწარმოო ძალებს ერთმანეთს ჰარმონიულად უთანხმებს ერთი დიდი გეგმის მიხედვით, შეუძლია მრეწველობას ნება დართოს ისე დაჯგუფდეს მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე, როგორც ეს შეეფერება მის საკუთარ განვითარებას და წარმოების სხვა ელემენტების შენარჩუნებას და წინსვლას“ [1]. ჰარმონიულად საწარმოო ძალების განვითარების შეთანხმება მხოლოდ სოციალისტური წარმოების წესს შეუძლია, მხოლოდ მას შეუძლია დიდი გეგმის საფუძველზე ისე განალაგოს მრეწველობა, როგორც ეს შეეფერება მის საკუთარ განვითარებას. მისი საკუთარი განვითარება და მისი საკუთარი ინტერესი სწორედ იმაშია, რომ მრეწველობა თანაბრად განლაგდეს მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე. მრეწველობის თანაბარი განლაგება რთული და მრავალმხრივი მოვლენაა. აქ ისეთ განლაგებაზეა ლაპარაკი, რომელსაც შედეგად ქალაქსა და სოფელს შორის არსებული წინააღმდეგობისა და ინდუსტრიულ და აგრარულ რაიონებს შორის წინააღმდეგობის მოსპობა მოჰყვება. იქ, სადაც წარმოების განლაგება მძაფრი საკონკურენციო ბრძოლის პირობებში ხდება, სადაც საწარმოო ძალების განვითარება ჰარმონიულად კი არაა შეთანხმებული, არამედ ანტაგონიზმის პირობებში ვითარდება, იქ არც შეიძლება თანაბარ განლაგებას ჰქონდეს ადგილი. იქ ერთი წარმოების, ან ერთი რაიონის ზრდა და განვითარება ხდება მეორის დაცემისა და განადგურების ხარჯზე. ჩვენში კი თანაბარი განლაგების პროცესში თანდათან გამოიკვეთება რაიონის სპეციალიზაცია, რაიონთა შორის შრომის სწორი გეოგრაფიული დანაწილების საფუძველზე — ე. ი. რაიონებს შორის მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობის საფუძველზე.

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ანტი-დიურინგი, გვ. 251, სახელგამი, 1933, ტფილისი.

მრეწველობის თანაბარი განლაგება გულისხმობს ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას. სამრეწველო საწარმოთა განლაგება ისე, რომ იგი, ერთის მხრივ, შესაბამისი იყოს მთელი სახალხო მეურნეობის განვითარებისა და ამავე დროს უზრუნველყოფდეს ქვეყნის თავდაცვის უნარის განმტკიცებას. თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება წარმოდგენილია არა როგორც წმინდა სამხედრო ღონისძიება, არამედ როგორც ღონისძიება, რომელიც ერთსადაიმავე დროს უზრუნველყოფს ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომ განუხრელ აღმავლობას.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის დადგენილებებში ამ საკითხზე ნათქვამია შემდეგი: „მრეწველობისა და მთელი სახალხო მეურნეობის გიგანტური ზრდა მესამე ხუთწლედში და იმის აუცილებლობა, რომ უზრუნველვყოთ მისი შემდგომი შეუფერხებელი აღმავლობა საერთო-სახელმწიფო გეგმის შესაბამისად, განსაკუთრებით ისეთ პირობებში, როდესაც იზრდება სსრ კავშირის გარემომცველი იმპერიალიზმის აგრესიული ძალები, მოითხოვენ დიდი სახელმწიფო რეზერვების შექმნას, უწინარეს ყოვლისა სათბობისა და ელექტროენერგიის დარგში და ზოგიერთ თავდაცვითს წარმოებაში, აგრეთვე ტრანსპორტის განვითარების დარგში, ისე, რომ ისინი სწორად იქნან განლაგებულნი ჩვენი ქვეყნის სათანადო რაიონების მიხედვით, თავიდან იყოს აცილებული უნაყოფო და შორითი ტვირთზიდვა და ჩვენი ქვეყნის ძირითადი ეკონომიური კერები უზრუნველყოფილ იქნან ადგილობრივი რესურსების მაქსიმალური რაოდენობით“ [1]. ამრიგად, მრეწველობის განლაგებისას თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების პრინციპი თანაბარი განლაგების პრინციპთან სრულ ჰარმონიაში იმყოფება.

მრეწველობის თანაბარი განლაგება დიდ დროს მოითხოვს. ძველი რუსეთის უდიდესი სივრცეები ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობის რაიონები იყვნენ. ამ უამრავ აგრარულ რაიონებს შორის გამოირჩეოდა რამდენიმე სამრეწველო რაიონი, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ცენტრალური სამრეწველო რაიონი. ისინი, როგორც აღნიშნავენ, ცენტრალური გახდნენ არა იმიტომ, რომ სამრეწველო იყვნენ, არამედ სამრეწველო გახდნენ იმიტომ, რომ ცენტრალური იყვნენ. მაშასადამე, ერთ მხარეზე იყვნენ აგრარული რაიონები, რომლებიც სოფლის მეურნეობის პროდუქტებით

[1] საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის რეზოლუციები, გვ. 14, სახელგამი, 1939. ტფილისი.

ამარაგებდნენ სამრეწველო რაიონებს და მათგან კი სამრეწველო ნაწარმს იღებდნენ, და მეორე მხარეზე იყვნენ სამრეწველო და მხოლოდ სამრეწველო რაიონები.

სტალინური ხუთწლედების მანძილზე ბევრი გაკეთდა ამ ცალმხრივობის აღმოსაფხვრელად. ჯერ კიდევ 1934 წელს ამხანაგი სტალინი ამბობდა: „ჩვენი ოლქების ძველმა დაყოფამ სამრეწველო და აგრარულ ოლქებად უკვე მოჭამა დრო. ჩვენ უკვე აღარა გვაქვს მხოლოდ და მხოლოდ აგრარული ოლქები, რომლებიც მოამარაგებდნენ სამრეწველო ოლქებს პურით, ხორცით და ბოსტნეულით, როგორც აღარა გვაქვს უკვე მხოლოდ და მხოლოდ სამრეწველო ოლქები, რომელთაც შეეძლოთ ჰქონოდათ იმედი, რომ ყველა აუცილებელ პროდუქტებს მიიღებენ გარედან, სხვა ოლქებიდან. განვითარებას შედეგად მოსდევს ის, რომ ყველა ოლქი ჩვენში ხდება ცოტად თუ ბევრად სამრეწველო ოლქად და, რაც დრო გავა, მით უფრო გახდებიან ისინი თანდათან სამრეწველო ოლქებად... მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ თითოეულმა ოლქმა უნდა შექმნას თავისი სასოფლო-სამეურნეო ბაზა“ [1]. ეს არის თანაბარი განლაგების ერთი მნიშვნელოვანი გზა. ყოფილი აგრარული ოლქები თანდათან სამრეწველო ოლქებად იქცევიან სოფლის მეურნეობის ფართო განვითარებასთან ერთად, ხოლო სამრეწველო ოლქებში სოფლის მეურნეობის დარგები ვითარდება მრეწველობის ფართოდ განვითარებასთან ერთად. სახალხო მეურნეობის განვითარების და განლაგების ასეთი მიმართება ქალაქსა და სოფელს შორის არსებული დაპირისპირების მოსპობის მომასწავებელია.

თუ კაპიტალიზმის დროს ქალაქისა და სოფლის წინააღმდეგობა სულ უფრო და უფრო მწვავდება, რომელიც იწვევს ადამიანთა გონებრივ დაჩლუნგებას და დამონებას მათივე ხელობის მიერ, სოციალიზმი სპობს ამ წინააღმდეგობას, ათავისუფლებს ადამიანს და გზას უხსნის მისი სულიერი და ფიზიკური ძალების ყოველმხრივ განვითარებას.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ სოციალისტურმა ქალაქმა უნდა გაიყოლიოს წვრილი გლეხური სოფელი, რისთვისაც მან უნდა დანერგოს სოფლად კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები და გარდაქმნას სოფელი ახალ სოციალისტურ საფუძველზე.

კომუნისტური პარტიის კონფერენციები და ყრილობები არა

[1] ი. სტალინი, საანგარიშო მოხსენება პარტიის XVII ყრილობას, გვ. 50, პარტგამომცემლობა, 1934, ტფილისი.

ერთგზის აღნიშნავენ სახალხო მეურნეობის დარგების განლაგებისას სოციალისტური პრინციპების მნიშვნელობას ქალაქსა და სოფელს შორის არსებული დაპირისპირების მოსპობის საქმეში. სოფლის მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაცია, სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო მსხვილი წარმოების ზრდა და საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების შეიარაღება მოწინავე მანქანური ტექნიკით, რომელიც სასოფლო-სამეურნეო შრომას ინდუსტრიული შრომის ნაირსახეობად აქცევს, მნიშვნელოვანი განმტკიცება სატრანსპორტო კავშირისა და საქონელცვლისა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის ქმნის პირობებს ქალაქსა და სოფელს შორის არსებული წინააღმდეგობის სრული ლიკვიდაციისათვის. წვრილი გლეხური მეურნეობიდან სოფლის მეურნეობის გადაყვანა ახალ სოციალისტურ ლიანდაგზე, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაცია „იყო უღრმესი რევოლუციური გადატრიალება, ნახტომი საზოგადოების ძველი თვისობრივი მდგომარეობიდან ახალ თვისობრივ მდგომარეობისაკენ, რომელიც თავის შედეგებით 1917 წლის ოქტომბერში მომხდარი რევოლუციონური გადატრიალების თანაბარი მნიშვნელობის იყო“ [1]. ეს რევოლუციონური გადატრიალება იწვევს არა მარტო სოფლის მეურნეობის წინსვლასა და განვითარებას ახალ თვისობრივ საფუძველზე, არამედ იგი ქმნის პირობებს თანაბარი განლაგების უფრო ჩქარი პროცესისათვის, ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობის მოსპობისათვის. XVII პარტიულ ყრილობაზე ი. სტალინი, გვიხატავდა რა ძველი და ახალი სოფლის სახეს, ამბობდა: „ქრება წინააღმდეგობა ქალაქსა და სოფელს შორის... თანდათან მტკიცდება სამეურნეო და კულტურული კავშირი ქალაქსა და სოფელს შორის. ქალაქისა და მისი მრეწველობისაგან სოფელი ახლა ღებულობს დახმარებას — ტრაქტორებით, სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, ავტომობილებით, ხალხით, სახსრებით. თვით სოფელსაც ახლა თავისი მრეწველობა აქვს სამანქანო-სატრაქტორო სადგურების, სარემონტო სახელოსნოების, კოლმეურნეობების სხვადასხვანაირ სამრეწველო საწარმოების, მცირე ძალოვან ელექტროსადგურების და სხვათა სახით. კულტურული უფსკრული ქალაქსა და სოფელს შორის ივსება“ [2].

---

[1] საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია. მოკლე კურსი, გვ. 371, სახელგამი, პოლიტლიტერატურის სექტორი, 1938. ტფილისი.

[2] ი. სტალინი, საანგარიშო მოხსენება პარტიის XVII ყრილობას, გვ. 54 პარტგამომცემლობა, 1934. ტფილისი.

ასეთია შედეგი სოციალისტურ საწარმოო ძალთა თანაბარი განლაგების პრინციპის გატარებისა.

სტალინური ხუთწლედების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ თანაბარი განლაგების პრინციპი ორი ძირითადი მიმართულებით ხორციელდება. ერთი მხრივ, განვითარება სხვადასხვა ეკონომიური რაიონისა მისთვის დამახასიათებელი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო დარგების განვითარებით. მეორე მხრივ, ხდება წარმოების თანაბარი განლაგება ეკონომიური რაიონის შიგნით. პირველის შედეგად ისპობა წინააღმდეგობა ინდუსტრიულ და აგრარულ რაიონებს შორის, მეორეს შედეგად ისპობა წინააღმდეგობა ქალაქსა და სოფელს შორის. ასეთია ზოგიერთი დამახასიათებელი ნიშნები სოციალისტური წარმოების თანაბარი განლაგების პრინციპისა.

კაპიტალისტური წარმოების განლაგების დამახასიათებელია მრეწველობის მოწყვეტა ნედლეულის ბაზებიდან და მოხმარების პუნქტებიდან.

სოციალისტური წარმოების განლაგების ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი არის მრეწველობის მიახლოება ნედლეულის წყაროებთან, ენერგორესურსებისა და მოხმარების პუნქტებთან, ადგილობრივი რესურსების მაქსიმალური კომპლექსური გამოყენების საფუძველზე. მრეწველობის მიახლოება ნედლეულის წყაროებთან გულისხმობს არარაციონალურ და მეტისმეტად შორი ტვირთბიდვის აღმოფხვრას, იგი გულისხმობს აგრეთვე ჩამორჩენილი რაიონების სწრაფ განვითარებას. საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობამ მიიღო შემდეგი დადგენილება: „ყრილობა სცნობს, რომ მესამე ხუთწლედში სსრ კავშირის რაიონების მიხედვით ახალი მშენებლობის განლაგებაში აუცილებელია ვხელმძღვანელობდეთ იმით, რომ მრეწველობა მივუახლოოთ ნედლეულის წყაროებსა და მოხმარების რაიონებს იმ მიზნით, რათა აღმოფხვრილ იქნას არარაციონალური და მეტისმეტად შორი ტვირთბიდვა, აგრეთვე იმ მიზნით, რომ უზრუნველვყოთ შემდგომი აღმავლობა სსრ კავშირის იმ რაიონებისა, რომლებიც წარსულში ეკონომიურად ჩამორჩენილი იყვნენ“ [1].

მრეწველობის მიახლოება ნედლეულისა და ენერგეტიკის წყაროებთან ნიშნავს, რომ ეკონომიკის და კულტურის განვითარებასთან ერთად, მეცნიერების და ტექნიკის განვითარებასთან ერთად

[1] საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის რეზოლუციები, გვ. 28, სახელგამი, პოლიტლიტერატურის სექტორი, 1939, ტფილისი.

იზრდება ჩვენი ცოდნა ახალი და ახალი საბადოების შესახებ ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში. ტექნიკის განვითარება შესაძლებელს ხდის დაბალი ხარისხის ნედლეულის და სათბობის გამოყენებას, ნედლეულის ერთი სახის შენაცვლებას მეორე სახით და ა. შ.

ამის შედეგად ძლიერ იზრდება და მრავლდება ნედლეულისა და ენერგიის წყაროების რაოდენობა და, მაშასადამე, იქმნება შესაძლებლობა ნედლეულის წყაროებთან გადამმუშავებელი მრეწველობის მოახლოებით კიდევ უფრო თანაბრად განლაგდეს მრეწველობა მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე.

სოციალისტური წარმოების განლაგების პრინციპებში მნიშვნელოვანი და საპატიო ადგილი უჭირავს ნაციონალური რესპუბლიკების და განაპირა კუთხეების ყოველმხრივად სწრაფი სამეურნეო და კულტურული განვითარების პრინციპს. ძველი მეფის რუსეთი, პირიქით, ყოველნაირად ხელს უშლიდა და განზრახ აბრკოლებდა ამ ქვეყნებში მრეწველობის განვითარებას, ისე როგორც ეს ხდება ამჟამად კაპიტალისტურ მსოფლიოში. ი. ფეიგინს მოჰყავს ასეთი დამახასიათებელი მაგალითი — ერთ-ერთ ფაბრიკანტს მოუთხოვია ნებართვა თურქესტანში საფეიქრო ფაბრიკის აგებისა. თურქესტანის გენერალ-გუბერნატორს სამსონოვს შემდეგი რეზოლუცია დაუდვია თხოვნის ქაღალდზე: „უარი ეთქვას საფეიქრო ფაბრიკის აგებაზე თურქესტანში, იმიტომ, რომ ეს იქნება არაჯანსაღი კონკურენცია ივანოვო-ვოზნესენსკის, მოსკოვისა და რუსეთის სხვა ფაბრიკანტებთან“-ო [1].

შეიძლება მოვიყვანოთ მეორე მაგალითი. ბაქოს მდიდარმა მუსულმანებმა განიზრახეს, აეგოთ ამიერკავკასიაში ბამბეულის ფაბრიკები და მუღანის ველზე განევითარებინათ მებამბეობა. როცა ეს ამბავი ცნობილ იქნა, სამოქალაქო ნაწილის მთავარმა მმართველმა კავკასიაში ბაქოს გუბერნატორს მისცა საიდუმლო დირექტივა, სადაც ეწერა: „ვღებულობ რა მხედველობაში, რომ პოლიტიკური მოსაზრებით, სპარსეთის მეზობლად აღნიშნული ველის დასახლება ნაციონალური უმცირესობებით და თუ გინდ უცხოელი ელემენტებით სრულიად დაუშვებელია და რომ ეს ველი უნდა დასახლებულ იქნას ნამდვილი რუსი ადამიანებით, მისმა ბრწყინვალებამ თავადმა გოლიცინმა, ისურვა და აუცილებლად დაინახა, რომ თქვენმა აღმატებულებამ მიიღოს სრულიად რეალური ღონისძიებანი მუღანის

[1] Фейгин, Я. Индустриальное развитие национальных республик и областей, жур. Проблемы экономики, 1937, № 5-6, стр. 143.

ველის დასაცავად ნაციონალურ უმცირესობათა დასახლებისაგან“ [1]. და მართლაც მუღანის ველი დასახლებულ იქნა რუსებით.

ამხანაგი ი. სტალინი ჯერ კიდევ 1921 წლის მარტში რკპ(ბ) X ყრილობაზე ამბობდა: „რსფს რესპუბლიკაში ნაციონალური საკითხის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მოვსპოთ ზოგიერთი ერის ის ფაქტიური ჩამორჩენილობა (სამეურნეო, პოლიტიკური, კულტურული), რომელიც მათ მემკვიდრეობად გადმოეცათ წარსულისაგან, რომ საშუალება მივცეთ ჩამორჩენილ ხალხებს დაეწიონ ცენტრალურ რუსეთს სახელმწიფოებრივადაც, კულტურულადაც და მეურნეობრივადაც“ [2].

რკპ(ბ) XII ყრილობისათვის დაწერილ თეზისებში ამხანაგი სტალინი კვლავ ეხება ამ საკითხს. ი. სტალინი წერს: „ამ ფაქტიური უთანასწორობის მიზეზები ჩაქსოვილია არა მარტო ამ ხალხთა ისტორიაში, არამედ ცარიზმისა და რუსი ბურჟუაზიის პოლიტიკაშიც, რომელნიც ისწრაფოდნენ გადაექციათ განაპირა მხარეები მხოლოდ სანედლეულო რაიონებად, რომელთა ექსპლოატაციას მრეწველობის მხრივ განვითარებული ცენტრალური რაიონები გასწევდნენ. ამ უთანასწორობის გადალახვა მოკლე ხანში, ამ მემკვიდრეობის მოსპობა ერთ-ორ წელიწადში შეუძლებელია. უკვე ჩვენი პარტიის X ყრილობამ აღნიშნა, რომ „ფაქტიური ნაციონალური უთანასწორობის მოსპობა არის ხანგრძლივი პროცესი, რომელიც მოითხოვს შეუპოვარ და მტკიცე ბრძოლას ნაციონალური ჩაგვრისა და კოლონიური მონობის ყველა გადმონაშთთან“. მაგრამ იგი აუცილებლად უნდა გადავლახოთ. და მისი გადალახვა შეიძლება მხოლოდ იმ გზით, რომ რუსი პროლეტარიატი ნამდვილად და ხანგრძლივად დაეხმაროს კავშირის ჩამორჩენილ ხალხებს მათი სამეურნეო და კულტურული წარმატების საქმეში“ [3].

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა არა ერთგზის ღებულობს დადგენილებებს და კონკრეტულ გეგმებს ნაციონალური რესპუბლიკებისა და განაპირა კუთხეების სწრაფი სამეურნეო განვითარების შესახებ. ეს დადგენილებანი განუხრელად ტარდებოდა და ამჟამადაც ტარდება. ეს ღონისძიებანი ნათლად ჩანს სტალინურ ხუთწლიან გეგმებში. ჯერ კიდევ XVII ყრილობაზე აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, რომ „ახალი საწარმოები აშენდა და შეიქმნა მრეწ-

[1] Ф е й г и н, Я. Индустриальное развитие национальных республик и областей, жур. Проблемы экономики, стр. 144.

[2] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზ., ტ. 5, გვ. 42, თბილისი, 1949.

[3] იქვე, გვ. 206-207.

ველობის კერები ნაციონალურ რესპუბლიკებში და საბჭოთა კავშირის განაპირა მხარეებში: ბელორუსიაში, უკრაინაში, ჩრდილო-კავკასიაში, ამიერ-კავკასიაში, შუააზიაში, კაზაკსტანში, ბურიათ-მონღოლეთში, თათართა რესპუბლიკაში, ბაშკირეთში, ურალზე, აღმოსავლეთ და დასავლეთ ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთში და სხვ.“ [1].

მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ნაციონალურ რესპუბლიკებსა და განაპირა მხარეებში საწარმოო ძალთა განლაგების საკითხებს საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის დადგენილებებში. ყრილობამ დაადგინა: „უზრუნველყოფილ იქნეს ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ე ბ ი ს ა და ო ლ ქ ე ბ ი ს შემდგომი სამეურნეო და კულტურული აღმავლობა, მესამე ხუთწლედში საწარმოო ძალთა განლაგების ძირითადი ამოცანების შესაბამისად... გათვალისწინებულ იქნას კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობის უფრო სწრაფი ზრდა და ახალ საწარმოთა მშენებლობა სსრ კავშირის აღმოსავლეთ და შორეულ აღმოსავლეთის რაიონებში“ [2]. ასეთია პარტიის პოლიტიკა ნაციონალური რესპუბლიკებისა, ოლქებისა და განაპირა მხარეების საწარმოო ძალთა განლაგების საკითხში.

სოციალისტური მრეწველობის განვითარების მაღალი ტემპების შედეგად, თანაბარი განლაგების პრინციპის გატარების შედეგად, ძველი ეკონომიური რაიონების ზრდასა და განვითარებასთან ერთად აღმოცენდნენ ახალი ეკონომიური რაიონები. ჯერ კიდევ 1931 წლის სამეურნეო მუშაკთა თათბირზე ამხანაგი სტალინი ამბობდა, რომ საქმე ახლა ეხება არა იმას, რომ მოვახდინოთ ძველი მრეწველობის რეკონსტრუქცია, საქმე ეხება ტექნიკურად ახალი მრეწველობის შექმნას ურალში, ციმბირსა და ყაზახეთში. საქმე ეხება ახალ მსხვილ სასოფლო-სამეურნეო წარმოების შექმნას საბჭოთა კავშირის მარცვლეულის, მეცხოველეობისა და ნედლეულის რაიონებშიო.

XVIII პარტიული ყრილობის დადგენილებებში მოცემულია ფართო გეგმა ახალ სამრეწველო საწარმოთა განლაგებისა ახალ რაიონებში — აღმოსავლეთსა და შორეულ აღმოსავლეთში, ნაციონალურ რესპუბლიკებსა და ოლქებში, მანქანათმშენებლობის, ნავთის გადამუშავების და ქიმიის მთელი რიგი დარგების საწარმოო

[1] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, საანგარიშო მოხსენება პარტიის XVII ყრილობას, გვ. 28, პარტგამომცემლობა, 1934. ტფილისი.

[2] საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის რეზოლუციები, გვ. 29, სახელგამი, 1939, ტფილისი.

დუბლიორების შექმნა აღმოსავლეთის რაიონებში, ურალსა და ვოლგისპირეთში და სხვა.

ამის შედეგად გაიზარდა ხვედრითი წონა ახალი რაიონებისა, რასაც ადასტურებს შემდეგი მონაცემები.

ქვანახშირის საერთო საკავშირო ამოღებაში აღმოსავლეთისა და ცენტრალური რაიონების ხვედრითი წონის ზრდა.

(პროცენტებში) [1]

	1913 წ.	1937 წ.	1950 წ. (გეგმა)
დონეცის აუზი	86,8	60,5	35,2
ქვანახშირის სხვა აუზები . .	13,2	39,5	64,8

კიდევ უფრო მეტად გაიზარდა ახალი რაიონების ხვედრითი წონა მეოთხე ხუთწლედში, რასაც ადასტურებს შემდეგი მონაცემები.

აღმოსავლეთის რაიონების ხვედრითი წონა საბჭოთა კავშირის ნავთის ამოღებაში და ლითონების წარმოებაში.

(პროცენტებში) [2]

	1940 წ.	1950 წ. (გეგმა)
თუჯის გამოდნობა	29	44
ფოლადის გამოდნობა	34	51
ნაგლინვის წარმოება	33	51
ნავთის ამოღება	12	36

1950 წლის გეგმა მთლიანად და გადაჭარბებით არის შესრულებული.

სტალინური ხუთწლედების მანძილზე ძირფესვიანად გარდაიქმნა ეკონომიური რაიონების სამეურნეო სახე. მსხვილ სამრეწველო რაიონებად გადაიქცნენ ურალი, დასავლეთ ციმბირი, შორეული აღმოსავლეთი. დიდად განვითარდა მრეწველობა ყაზახეთში, შუააზიის რესპუბლიკებში, კავკასიაში, ჩრდილოეთში და სხვაგან. შეიქმნა

[1] Развитие советской экономики (Статистические материалы), стр. 57, Высшая партийная школа при ЦК ВКП(б), 1946, Москва.

[2] იქვე, გვ. 57.

მრავალი ახალი დარგი, როგორც მრეწველობაში ისე სოფლის მეურნეობაში. გამრავალფეროვანდა და შეიცვა სამეურნეო სახე მრავალი ეკონომიური რაიონისა: ყოფილ სამრეწველო რაიონებში მრეწველობასთან ერთად სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგი განვითარდა, ყოფილ სასოფლო-სამეურნეო რაიონებში მნიშვნელოვნად განვითარდა მრეწველობა. ამასთან ერთად ცალკე რაიონების განვითარება წარიმართა სასოფლო-სამეურნეო კულტურების და დარგების სპეციალიზაციის გზით და ეკონომიური რაიონების ურთიერთკავშირის განვითარებისა და განმტკიცების გზით. მაგრამ ეს სპეციალიზაცია კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი ცალმხრივი სპეციალიზაცია არ არის. ეს არ არის მონოკულტურის რაიონები. მხოლოდ კაპიტალისტური მსოფლიოს კოლონიური ქვეყნები იმპერიალისტური ქვეყნების ინტერესებიდან გამომდინარე ვითარდებოდნენ და ვითარდებიან მონოკულტურის გზით.

ჩვენი პარტიისა და ხელისუფლების პოლიტიკა კი მიმართულია ძირითადად ეკონომიური რაიონების მეურნეობის კომპლექსური განვითარებისაკენ. საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის რეზოლუციებში ვკითხულობთ: „საბჭოთა კავშირის ძირითად ეკონომიურ რაიონებში უზრუნველყოფილ იქნას მეურნეობის კომპლექსური განვითარება და მოეწყოს სათბობის მოპოვება და ისეთი სახის პროდუქტების წარმოება, როგორიც არის ცემენტი, ალებასტრი, ქიმიური სასუქები, მინა, მსუბუქი და კვების მრეწველობის მასობრივი ნაწარმი იმ რაოდენობით, რაც უზრუნველჰყოფს ამ რაიონების მოთხოვნილებას... კვების ისეთი პროდუქტებით, რომლებიც ყველგან მასობრივი რაოდენობით იხმარება, როგორიც არის კარტოფილი, ბოსტნეული, რძისა და ხორცის პროდუქტები, ფქვილი, საკონდიტრო ნაწარმი, ლუდი, აგრეთვე მასობრივი მოხმარების მთელი რიგი სამრეწველო ნაწარმი — გალანტერია, სამკერვალო მრეწველობის ნაწარმი, ავეჯი, აგური, კირი და სხვ. საკმაო რაოდენობით უნდა მზადდებოდეს თვითეულ რესპუბლიკასა, მხარესა და ოლქში“ [1]. ეს დადგენილება სოციალისტური წარმოების განვითარებისა და განლაგების ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებათაგანია. მეურნეობის კომპლექსური განვითარება ნამდვილად სოციალისტური წარმოების რაციონალური განლაგებაა. კომპლექსური განვითარება არ ნიშნავს კარჩაკეტილობას, არ სპობს რაიონთა

[1] საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის რეზოლუციები, გვ. 28-29, სახელგამი, 1939, ტფილისი.

შორის შრომის რაციონალურ დანაწილებას და ამდენად ეკონომიურ ურთიერთკავშირს არ ასუსტებს. მეურნეობის კომპლექსური განვითარებისას ისპობა მხოლოდ ცალმხრივი განვითარება, როგორც წარსულის ეკონომიური ნაშთი. ეკონომიური რაიონი ხდება ყოველმხრივ განვითარებულ ეკონომიურ ერთეულად თავისი რესურსებისა და შესაძლებლობის შესაბამისად. ამრიგად, კომპლექსური განვითარება ნამდვილად რაციონალური განლაგებაა, რადგან „განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სათბობით და ზოგიერთი ძნელად გადასაზიდი პროდუქტით ადგილზე უზრუნველყოფილ იქნან ის დიდი სამრეწველო რაიონები, რომელთა დამოკიდებულება ტვირთთა დიდი რაოდენობით შორიდან მოზიდვაზე გაიზარდა მათ სამრეწველო ზრდასთან ერთად და ქალაქის მოსახლეობის სწრაფ გადიდებასთან დაკავშირებით“ [1].

შედეგად ყველა ზემოთ აღნიშნულისა, ამჟამად თითოეული რაიონის სახალხო მეურნეობის სტრუქტურა უფრო რთული და მრავალმხრივია. ყველა რაიონს გააჩნია მძიმე მრეწველობის და მსუბუქი მრეწველობის მნიშვნელოვანი დარგები და ცოტად თუ ბევრად მრავალგვაროვანი სოფლის მეურნეობა. ეს ეხება არა მარტო ცენტრალურ რაიონებს, არამედ მეფის რუსეთში ყველაზე მეტად ჩამორჩენილ რაიონებსაც კი.

ასეთია წარმოების განლაგების ის თავისებურებანი, რომელნიც, წინააღმდეგ კაპიტალისტური წარმოებისა, სოციალისტური წარმოებას ახასიათებს. ასეთია ის შედეგი, რომელიც სოციალისტურ წარმოებას გააჩნია მოპოვებული მოკლე ისტორიულ მანძილზე, და რომლის მსგავსი არ იცის ოქტომბრის რევოლუციამდელმა წინა ისტორიამ.

სწორედ ამ შედეგის ეშინოდათ და სწორედ ამიტომ იბრძოდნენ ასე გაშმაგებით ყოველი ჯურის მავნებლები დიმანშტეინები, რიბნიკოვები და სხვები, რომლებიც ვებერის თეორიით და ყოველი ჯურის ბურჟუაზიული თეორიებით ზიანს აყენებდნენ ჩვენი სოციალისტური მეურნეობის განვითარებას და რაციონალურ განლაგებას. საბჭოთა ხელისუფლება და კომუნისტური პარტია კი სოციალისტური წარმოების გეოგრაფიული განლაგების დაგეგმვისას ამოცანად ისახავდნენ არა ყოველი ცალკე საწარმოს მომგებიანობის ვაჭრულ თვალსაზრისს, არამედ საპერსპექტივო გეგმით საერთო სახალხო მეურნეობის სოციალისტურ განვითარებას. სოციალის-

[1] იქვე, გვ. 28-29.

ტური მრეწველობის გეოგრაფიული განლაგების დაგეგმვისას მარტო იმაში კი არ მდგომარეობდა ამოცანა, რომ ცალკე საწარმოს ორგანიზაცია უმცირესი დანახარჯით განსაზღვრულიყო, არამედ იმაშიც, რომ ძირიანად შეცვლილიყო და განვითარებულიყო მთელი სახალხო მეურნეობა, ქვეყნის საწარმოო ძალთა მაქსიმალური განვითარების ბაზაზე. ეს ამოცანა ბრწყინვალედ არის შესრულებული.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ ლენინისა და სტალინის შრომებში ჩვენი ბოლშევიკური პარტიის ყრილობებისა და კონფერენციების დადგენილებებში სოციალისტური საწარმოო ძალების განლაგების საკითხები თვალსაჩინო ადგილს იკავებენ. ეს იმიტომ ხდებოდა და ხდება, რომ საწარმოო ძალთა განლაგება უშუალოდ არის დაკავშირებული სოციალისტური მშენებლობის ძირითადი ამოცანების გადაწყვეტასთან. ამასთან ერთად სოციალისტური წარმოების განლაგების საკითხები მით უფრო დიდ მნიშვნელობას იძენდნენ, რომ მეფისდროინდელი რუსეთის მეურნეობა ჩამორჩენილი მეურნეობა იყო — ამ ჩამორჩენილობის გამო სოციალისტური ქვეყნის ეკონომიური რუკის არსებითი გარდაქმნის გარეშე შეუძლებელი იყო სოციალისტური მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტა.

მხოლოდ საბჭოთა სოციალისტურმა წყობილებამ კომუნისტური პარტიისა და მისი ბელადების დიდი ლენინისა და დიდი სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით შეძლო ჩვენი ქვეყნის საუკუნოებრივი ჩამორჩენილობა დაეძლია და ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან იგი გადაექცია მძლავრი ინდუსტრიისა და მძლავრი სოფლის მეურნეობის მოწინავე ქვეყნად. საჭირო იყო, რომ ჩვენი ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობა კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში, გარედან თავდასხმის საშიშროების პირობებში, მოკლე დროის მანძილზე აღმოგვეფხვრა. 1931 წელს, სოციალისტური მრეწველობის მუშაკთა პირველ საკავშირო კონფერენციაზე ამხანაგი სტალინი ჩვენი განვითარების ტემპების შესახებ ამბობდა: „ზოგჯერ კითხულობენ, ხომ არ შეიძლება რამდენადმე შევანელოთ ტემპები, შევაკავოთ მოძრაობა. არა, ამხანაგებო, არ შეიძლება! არ შეიძლება ტემპების შემცირება! პირიქით, ძალებისა და შესაძლებლობათა მიხედვით საჭიროა მათი გადიდება... ტემპების შენელება ნიშნავს ჩამორჩენას. ჩამორჩენილებს კი სცემენ. ჩვენ კი არ გვინდა ნაცემი ვიყოთ. არა, არ გვინდა!... გინდათ თუ არა, რომ ჩვენი სოციალისტური სამშობლო დაამარცხონ და რომ მან დაჰკარგოს თავისი დამოუკიდებლობა? და თუ ეს არ გინდათ, მაშინ რაც შეიძლება მოკლე ხანში უნდა მო-

სპოთ მისი ჩამორჩენილობა და განავითაროთ ნამდვილი ბოლშევიკური ტემპები მისი სოციალისტური მეურნეობის მშენებლობის საქმეში. სხვა გზა არ არსებობს, აი, რატომ ამბობდა ლენინი ოქტომბრის დროს: „ან სიკვდილი, ან დავეწიოთ და გავუსწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს“-ო.

ჩვენ 50-100 წლით ჩამოვრჩით მოწინავე ქვეყნებს. ჩვენ ეს მანძილი ათი წლის განმავლობაში უნდა გავირბინოთ. ან შევასრულებთ ამას, ან გაგვსრესენ“ [1].

დიდი ბელადის ეს ისტორიული სიტყვები ასრულდა. ჩვენ განვავითარეთ არნახული ტემპები. ჩვენ გავხდით მოწინავე მძლავრი ინდუსტრიული და მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობის ქვეყანა. ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებისა და განლაგების ლენინურ-სტალინური გეგმის განხორციელებამ გადაარჩინა ჩვენი დიადი სამშობლო დამარცხებისაგან და უზრუნველჰყო ძლიერ მტერზე ბრწყინვალე გამარჯვება.

დიდი სამამულო ომის წლებში ჩვენმა ქვეყანამ უდიდესი ზარალი განიცადა. ვერაგმა მტერმა ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვანი ეკონომიური რაიონების დროებითი ოკუპაციის პერიოდში მოსპო და გაანადგურა მრავალი ქალაქი და სოფელი. მნიშვნელოვანი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებანი. საჭირო იყო ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს ყველა შესაძლებლობის გამოყენება იმისათვის, რათა მოკლე დროის განმავლობაში აღგვედგინა დანგრეული მეურნეობა და კიდევ უფრო მნიშვნელოვნად გაგვევითარებინა იგი ომამდელ მდგომარეობასთან შედარებით.

სახალხო მეურნეობის განვითარების ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმის ბრწყინვალე განხორციელებამ კიდევ ერთხელ დაუდასტურა მთელ მსოფლიოს სოციალისტური საზოგადოების დიდი უპირატესობანი კაპიტალისტურთან შედარებით.

ყოველწლიური ზრდა სამრეწველო პროდუქციისა შემდეგ სურათს გვაძლევს:

%%-ში წინა წელთან შედარებით				
1946 წ.	1947 წ.	1948 წ.	1949 წ.	1950 წ.
20	22	27	20	23

ეს იმ დროს, როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში, მიუხედავად „ტრუმენის დოქტრინისა“, მიუხედავად „მარშალის გეგმისა“,

[1] ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 422-423, სახელგამი, 1951, ტფილისი.

მიუხედავად კორეაში ომის წარმოებისა, სამრეწველო წარმოების დონე თანდათან ეცემა. სამრეწველო წარმოების მაქსიმალურ დონეს აშ შტატებმა მიაღწია 1943 წელს. თუ 1943 წლის სამრეწველო წარმოების დონეს 100 მივიღებთ, მაშინ მომდევნო წლების დონე შემდეგ ციფრებში გამოიხატება: 1945 წ. — 84,9, 1946 წ. — 71,1, 1947 წ. — 78,2, 1948 წ. — 80,3, 1949 წ. — 73,6 და 1950 წ. — 83,7 [1].

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ გამოქვეყნებული ცნობები 1946-1950 წ.წ. ხუთწლიანი გეგმის შესრულების შესახებ, გვიდასტურებს, ერთი მხრივ, ხუთწლიანი გეგმის ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულებას და, მეორე მხრივ, ძლიერ წინსვლას 1940 წელთან შედარებით.

აი, ზოგიერთი ცნობა:

1950 წელს მიღებულ იქნა 73%-ით მეტი სამრეწველო პროდუქცია 1940 წელთან შედარებით. შავი ლითონები 45%-ით მეტი. შავი ლითონების დიდი ზრდა მოგვცა აღმოსავლეთმა. ურალში თუჯი გამოდნობილ იქნა 2,6 ჯერ მეტი, ფოლადი — 2,7 ჯერ მეტი, ნაგლინის წარმოება 2,8 ჯერ მეტი. ასევე ციმბირში — თუჯისა 1,2 ჯერ, ფოლადისა 1,7 ჯერ, ნაგლინისა 2 ჯერ მეტი.

შეიქმნა შავი მეტალურგია შუა აზიის რესპუბლიკებში, ამიერკავკასიაში და სხვ.

1950 წელს ამოღებულ იქნა 57%-ით მეტი ქვანახშირი, ვიდრე 1940 წელს. აღდგენილია ჩვენი ქვეყნის ქვანახშირის მრეწველობის პირველი ბაზა — დონბასი და იგი ახლა უკვე მეტს იძლევა, ვიდრე 1940 წელს. აღმოსავლეთის რაიონებმა ორჯერ მეტი ქვანახშირი ამოიღო. ძლიერ ვითარდება ქვანახშირის მრეწველობის ახალი რაიონი — პეჩორის აუზი და სხვ.

1950 წელს 22%-ით მეტი ნავთობი იქნა მოპოვებული ომამდელთან შედარებით. ძლიერ გაიზარდა ნავთობის მოპოვება ახალ რაიონებში, როგორიცაა: ბაშკირეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი, ყაზახეთი, კუიბიშევის ოლქი და სხვა.

ნავთობის მოპოვებაში აღმოსავლეთის რაიონების ხვედრითი წონა 1940 წელს შეადგენდა 12%-ს, 1950 წელს კი 44%-ს.

1950 წელს მანქანათმშენებლობის პროდუქცია 2,3 ჯერ აღემატებოდა 1940 წლისას.

---

[1] ჟურნალი Вопросы экономики, 1951, № 6, გვ. 28.

ასეთივე მაღალი ზრდა ახასიათებს მრეწველობის სხვა დარგებსაც. დიდი მიღწევებია სოფლის მეურნეობის დარგშიც.

გაიზარდა მარცვლეული კულტურების ნათესები. მარცვლეულის მოსავალმა მიაღწია 7,6 მილიარდ ფუთს.

ყველა ტექნიკური კულტურის ნათესები ხუთწლედში გაიზარდა 59%-ით. მათ შორის: ბამბის 91%, სელისა 90%, შაქრის ჭარხლისა 57%, მზესუმზირასი 23%-ით და ა. შ.

კიდევ უფრო მეტად გაიზარდა ტექნიკური კულტურების მოსავალი. ვადაზე და გადაჭარბებით ხორციელდება საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს ისტორიული დადგენილება მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის შესახებ. უკვე 1950 წ. საქონლის სულადობა აღემატებოდა 1940 წლისას. მსხვილი რქოსანი 40%-ით, ცხვარი და თხა 63%-ით, ღორი 49%. ფრინველი ორჯერ.

1950 წ. სოფლის მეურნეობამ მიიღო 3,8 ჯერ მეტი ტრაქტორი და 3,6 ჯერ მეტი კომბაინი, ვიდრე 1940 წელს.

საკმარისია აღინიშნოს, რომ ომისშემდგომ ხუთწლედში სოფელმა მიიღო 536 ათასი ტრაქტორი (15 ძალიანზე გადაყვანით). სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის დონით საბჭოთა კავშირს უჭირავს პირველი ადგილი მსოფლიოში.

მეორე მსოფლიო ომის დასაწყისისათვის საბჭოთა კავშირში ელექტროფიცირებული იყო 10 ათასი კოლმეურნეობა და 2,5 ათასი სამანქანო-სატრაქტორო სადგური, 1950 წლის დასაწყისისათვის კი ელექტროფიცირებული იყო 29 ათასი კოლმეურნეობა და 6 ათასი სამანქანო-სატრაქტორო სადგური.

ომისშემდგომ ხუთწლედში სახალხო მეურნეობის განვითარების ზემოთმოყვანილი ზოგიერთი ცნობა, რომლებიც ლაპარაკობენ ჩვენი ქვეყნის უდიდეს აღმავლობაზე, კიდევ უფრო აღაფრთოვანებს საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარე ხალხებს ახალ-ახალი წარმატებებისათვის ბრძოლაში. იგი აღაფრთოვანებს აგრეთვე სახალხო დემოკრატიული ქვეყნებისა და მთელი მსოფლიოს მშრომელებს, მთელ პროგრესიულ კაცობრიობას, რომლებიც იბრძვიან მშვიდობისათვის, ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ.

1946 წლის 9 თებერვალს ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე ი. სტალინმა დასახა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიადი მიზანი. დიდმა სტალინმა თქვა, რომ კომუნისტურ პარტიას „განზრახული აქვს მოაწყოს სახალხო მეურნეობის ახალი ძლიერი აღმავლობა, რაც ჩვენ შესაძლებლობას მოგვცემდა, აგვე-

მაღლებინა ჩვენი მრეწველობის დონე, მაგალითად, სამმაგად ომამდელ დონესთან შედარებით". ამ მიზნის განხორციელების უტყუარი საფუძველია სტალინის ინიციატივით მიღებული დადგენილებანი ბუნების გარდაქმნის დიადი სტალინური გეგმისა და კომუნიზმის დიად მშენებლობათა შესახებ, რომელთა განხორციელებისათვის თავდადებით იბრძვის საბჭოთა ხალხი.

ამრიგად, სოციალისტურ საწარმოო ძალთა განლაგება ძირფესვიანად განსხვავდება კაპიტალისტურ საწარმოო ძალთა განლაგებისაგან. ეს განსხვავება ნათლად და გარკვევით ღაღადებს სოციალისტურ საწარმოო ძალთა განლაგების უპირატესობაზე კაპიტალისტურთან შედარებით.

ეს უპირატესობა კი შემდეგში მდგომარეობს:

აქ, ჩვენში, სოციალისტური საწარმოო ძალების გეგმიანი, მოწესრიგებული განლაგება, იქ, კაპიტალისტურ მსოფლიოში, საწარმოო ძალების უგეგმო, ანარქიული განლაგება.

აქ — წარმოების განლაგება გამომდინარე საერთო სახალხო-სამეურნეო ინტერესებიდან, დაქვემდებარებული სახალხო მეურნეობის საპერსპექტივო განვითარების ინტერესებისადმი, იქ — გამომდინარე კერძო პიროვნული ინტერესიდან, დაქვემდებარებული მოგების მაღალი ნორმების მიღებისადმი.

აქ — წარმოების მიახლოება სანედლეულო ბაზებთან და მომხმარებელ რაიონებთან, იქ — მოწყვეტა სანედლეულო ბაზებიდან და მომხმარებელი რაიონებიდან.

აქ — ნაციონალური რესპუბლიკების, ოლქების და განაპირა ჩამორჩენილი რაიონების სახალხო მეურნეობის სწრაფი განვითარება და მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მრავალგვაროვანი დარგების განლაგება, იქ — კოლონიების, ნახევრად კოლონიების და დამოკიდებული ქვეყნების მეურნეობის განვითარების დამორჩილება მეტროპოლიების ინტერესებისადმი და მათი გადაქცევა მეტროპოლიების აგრარულ-სანედლეულო დანამატად.

აქ — წარმოების თანაბარი განლაგება, ჰარმონიული შეთანხმება საწარმოო ძალთა განვითარებისა და ცალკე რესპუბლიკების მშვიდობიანი, მეგობრული თანაარსებობა ერთ მთლიან კავშირში, იქ — არათანაბარი განლაგება, საწარმოო ძალთა განვითარებისა და განლაგების ანტაგონისტური წინააღმდეგობა, რასაც ქვეყნების ერთი გარკვეული ჯგუფის ეკონომიური და პოლიტიკური დამორჩილება მოსდევს ქვეყნების მეორე ჯგუფისაგან.

აქ — ქვეყნისა და ეკონომიური რაიონის ყოველმხრივი კომპლექ-

სური განვითარება, ქვეყნისა და რაიონის ყველა შესაძლებლობის მაქსიმალური გამოყენებით, იქ — მთელი რიგი ქვეყნებისა და რაიონების ცალმხრივი, მონოკულტურული განვითარება და მრავალ სხვა შესაძლებლობათა უგულებელყოფა.

აქ — სპეციალიზაცია სახალხო მეურნეობის საერთო სისტემაში და მასთან შეთანხმებული, იქ — სპეციალიზაცია დაქვემდებარებული მეტროპოლიის სახალხო-მეურნეობის ინტერესებისადმი.

აქ — თანაბარი განლაგების შედეგად ქალაქისა და სოფლის დაპირისპირების მოსპობა, გონებრივსა და ფიზიკურ შრომას შორის განსხვავების მოსპობა და კომუნიზმის განხორციელება, იქ — ქალაქისა და სოფლის წინააღმდეგობის თანდათანობრივი გამწვავება, გონებრივი დაჩლუნგება და ადამიანის დამონება მისივე ხელობის მიერ და კაპიტალისტური საზოგადოების საბოლოო გახრწნა.

ასეთია ის განსხვავებანი და შედეგები, რომელნიც თან ახლავს სოციალისტურ და კაპიტალისტურ საწარმოო ძალთა განლაგებას.

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, X, 1950—1951.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, X, 1950—1951.

ალექსანდრე გოცირიძე

ი. პავლოვის ფიზიოლოგიური მოძღვრება

უაღრესად დიდია აკად. ი. პავლოვის ღვაწლი. ი. პავლოვი საყოველთაოდ ცნობილი გენიალური რუსი მეცნიერია. მსოფლიოს ფიზიოლოგიურმა მეცნიერებამ ი. პავლოვზე დიდი სახელი არ იცის. ი. პავლოვმა არა მარტო საბჭოთა ხალხის, არამედ მთელი მსოფლიო მოწინავე კაცობრიობის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

აკად. ი. პავლოვის შემოქმედება იყოფა რამდენიმე ეტაპად. პავლოვი პირველ ეტაპზე ძირითადად მუშაობდა სისხლის მიმოქცევის ფიზიოლოგიაზე, მეორე ეტაპზე — საჭმლის მონელების ფიზიოლოგიაზე, ხოლო მესამე ეტაპზე მან შექმნა ფიზიოლოგიაში მანამდე არარსებული მოძღვრება უმაღლესი ნერვული მოქმედების შესახებ.

აკად. ი. პავლოვის მოძღვრება არსებითად შეეხება ფიზიოლოგიის ყველა დარგს. აკად. ი. პავლოვმა ახალ, მაღალ საფეხურზე აიყვანა ეს დისციპლინა. მან მთელი რევოლუცია მოახდინა ფიზიოლოგიაში და, საზოგადოდ, ბუნებისმეტყველებაში. ამიტომ არის, რომ ფიზიოლოგიის ისტორია იყოფა ორ ეტაპად: პავლოვამდელი ფიზიოლოგია და პავლოვის დროინდელი ანუ თანამედროვე ფიზიოლოგია.

პავლოვამდელი ფიზიოლოგია არსებითად იდგა ანალიზური აზროვნების იდეალისტურ პოზიციაზე, რომლის მიხედვით ფუნქციის შესწავლა წარმოებდა ცალკეული ქსოვილებისა თუ ორგანოების მიმართ და არა მთლიან ორგანიზმზე; ამავე დროს არ იყო გათვალისწინებული ორგანოთა ურთიერთმოქმედება მთლიან ორგანიზმში, ორგანოთა მოქმედების დამოკიდებულება გარემო არეზე, მათი მოქმედების ცვლილება გარემო არისა თუ შინაგანი არის გავლენით. ამ დახავლეთევროპული ვირხოვ-ფერვორნული რეაქციული თვალსაზრისით ორგანიზმი განიხილებოდა როგორც „უჯრედთა სახელმწი-

ფო". ამ თვალსაზრისით ყოველი უჯრედი თავისი აგებულებით და ფუნქციით თანამსგავსია ყოველი სხვა ასეთი უჯრედისა. ეს კი გამორიცხავდა ორგანიზმის შესწავლის საჭიროებას, როგორც ერთიანი არსისა გარემო არესთან მთლიანობაში. აკად. ი. პავლოვმა შეძლო ანალიზური აზროვნებიდან სინთეზურ აზროვნებაზე გადასვლა, რომლის მიხედვით ორგანიზმი წარმოადგენს ერთობლიობას, მთლიანს, გარემო არესთან ორგანიზმის ერთიანობას. ამნაირად, პავლოვამდელი ფიზიოლოგიის მეთოდოლოგიურ პოზიციას წარმოადგენდა იდეალიზმი. პავლოვური ფიზიოლოგიის მეთოდოლოგიურ საფუძველს კი წარმოადგენს მატერიალიზმი; სხვანაირად რომ ვთქვათ, პავლოვის მოძღვრება წარმოადგენს მატერიალიზმის საბუნებისმეტყველო მეცნიერულ დასაბუთებას. აქედან ცხადი ხდება, რომ ანალიზური ფიზიოლოგიის მეთოდი, მისი მეთოდოლოგიური პოზიცია არის რეგრესული, იდეალისტური, ხოლო პავლოვური ფიზიოლოგიის მეთოდი, მისი მეთოდოლოგიური პოზიცია არის პროგრესული, მატერიალისტური. ამიტომ არის, რომ მთელი საბჭოთა ხალხი და მოწინავე პროგრესული კაცობრიობა უდიდესი გულისხმიერებით ეკიდება პავლოვის მოძღვრებას; ჩვენი ცოდნის საგანძურში, მეცნიერებაში ოქროს ფონდად შევიდა პავლოვის ფიზიოლოგიური მოძღვრება.

ძირითადი არსი, რომელიც წითელი ხაზივით აღინიშნება აკად. ი. პავლოვის შემოქმედებაში, გარდა იმისა, რომ ორგანიზმის და მის ნაწილთა ორგანოების ფუნქცია უნდა შესწავლილ იქნეს მთლიან ორგანიზმზე, გარემო არესთან ურთიერთობაში და მასთან ერთიანობაში, არის ის, რომ ორგანიზმში ყოველივე სასიცოცხლო მოვლენის რეგულაცია სრულდება ნერვული სისტემის მეშვეობით; ეს იდეა ცნობილია „ნერვიზმის" სახელწოდებით. არ არსებობს არც ერთი ფუნქცია ორგანიზმში, რომლის რეგულაცია არ წარმოებდეს ნერვული სისტემის მეშვეობით და რომ ნერვული რეგულაცია არ ასრულებდეს მთავარ როლს ორგანიზმის მოქმედებაში, ორგანიზმის გარემო არესთან ურთიერთობაში.

აკად. ი. პავლოვის იდეის „ნერვიზმის" შესახებ განვითარებაზე გავლენას ახდენს ძირითადში შემდეგი იდეური წყაროები: რუსი ფილოსოფოსი-მატერიალისტები და დემოკრატები: ნ. ჩერნიშევსკი, ა. გერცენი, ნ. დობროლუბოვი, აგრეთვე ბ. ბელინსკი და განსაკუთრებით პისარევი, პავლოვის წინამორბედი დიდი რუსი ფიზიოლოგები — ა. ფილომაფიტსკი, ვ. ბასოვი, რუსეთის ფიზიოლოგიის მამამთავარი ი. სეჩენოვი და დიდი რუსი კლინიცისტი

ს. ბოტკინი. საყურადღებოა, რომ კლინიცისტ ბოტკინთან ი. პავლოვი წლების მანძილზე მუშაობდა ექსპერიმენტულ-ფიზიოლოგიური განყოფილების გამგედ და ხელმძღვანელობდა კლინიცისტ-ექიმების დისერტაციებისა და სხვა სახის სამეცნიერო შრომების ექსპერიმენტულ შესრულებას. ე. წ. „ნერვიზმის“ იდეა ი. პავლოვს განუვითარდა სწორედ კლინაცისტ ბოტკინის შეხედულებათა გავლენით.

თავისი პირველი შრომებიდანვე ი. პავლოვმა გამოიჩინა განსაკუთრებული მიდგომა რთული ფიზიოლოგიური მოვლენების რკვევისადმი სისხლის მიმოქცევის ფიზიოლოგიაში. სისხლის წნევის შესწავლას იგი აწარმოებდა ნორმულ ცხოველზე, უნარკოზოდ და თავიდანვე იგი დაადგა ნერვიზმის იდეის რეალიზაციის პრინციპს. მან მიზნად დაისახა შეესწავლა ნორმული საჭმლის მიღების გავლენა და სითხეების მიღების გავლენა სისხლის წნევაზე. მან ეს ამოცანა ბრწყინვალედ გადაჭრა. ი. პავლოვმა თავისი ორიგინალური მეთოდის საშუალებით ის მნიშვნელოვანი დებულება დაამტკიცა, რომ სისხლის წნევა ნორმულსა და ჯანმრთელ ცხოველზე შედარებით მუდმივ დონეზეა და რომ ამის განხორციელებაში პირდაპირი მნიშვნელობა აქვს ცთომილ ნერვებს. აქედან კი ავტორს გამოჰყავს დასკვნა გულისა და სისხლძარღვთა სისტემის რეფლექსური გზით თვითრეგულაციის შესახებ, რომელიც „ნერვიზმის“ იდეის რეალიზაციის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს. აქედან თავისთავად აღმოცენდა იდეა სისხლის მილთა და შინაგანი ორგანოების მგრძნობელობის შესახებ, რომელიც შემდეგში დადასტურებული იყო პავლოვის საქმის გამაგრძელებლის — კ. ბიკოვისა და მისი თანამშრომლების მიერ. ამავე პერიოდში ი. პავლოვმა დაგვანახა რეციპროკული ინერვაციის არსებობა შინაგანი ორგანოების სისხლის მილებსა და კანის სისხლის მილებს შორის. სამწუხაროდ, რეციპროკული ინერვაციის პრინციპის დადასტურებაში ი. პავლოვის როლი ლიტერატურაში რატომღაც არაა თვალსაჩინოდ გაშუქებული. საყურადღებოა აგრეთვე ის გარემოება, რომ ი. პავლოვის მიერ აღმოჩენილია ე. წ. გულის გამაძლიერებელი ნერვი, ანუ ისეთი ბოჭკოები, რომელთა მოქმედებას მოსდევს გულის შეკუმშვის ოდენობის გაზრდა მისი სიხშირის შეუცვლელად. ამ გარემოებას იმ მხრივაც აქვს მნიშვნელობა, რომ ი. პავლოვი აყალიბებს ე. წ. ტროფიკული (მასაზრდოებელი) ინერვაციის პრინციპს, რომელიც მანამდე სრულიად არ იყო ცნობილი. ნერვული სისტემის ტროფიკული ფუნქციის როლის შესახებ თანამედ-

როვე სწავლება უშუალოდ არის დაფუძნებული აკად. ი. პავლოვის მოძღვრებაზე.

ი. პავლოვმა ყველაზე პირველად ლიტერატურაში აღწერა გულ-ფილტვის პრეპარატი, რითაც შეიმუშავა სისხლის მიმოქცევის ფიზიოლოგიის შესწავლის ახალი, ორიგინალური მეთოდი. ი. პავლოვის შემდეგ, უფრო დაგვიანებით, მცირეოდენი მოდიფიკაციით გულ-ფილტვის ასეთივე პრეპარატი აღწერილია ინგლისელი ფიზიოლოგის სტარლინგის მიერ, რომლის სახელსაც ატარებდა ეს პრეპარატი. სრულიად სამართლიანად ლიტერატურაში აღდგენილია პავლოვის პრიორიტეტი და გულ-ფილტვის პრეპარატი ამჟამად ატარებს პავლოვის სახელს.

როცა აკად. ი. პავლოვმა ხელი მოჰკიდა საჭმლის მომნელებელი სისტემის ფიზიოლოგიის შესწავლას, აქაც მან, უპირველეს ყოვლისა, შემოიღო ახალი, სრულიად ორიგინალური მეთოდი. ე. წ. ქრონიკული ფისტულების სახით. მან ფიზიოლოგიაში შეიტანა ახალი თავი — ფიზიოლოგიური ქირურგიის სახით. მაგრამ არსებითად პავლოვისათვის ქრონიკული ფისტულების ეს მეთოდები წარმოადგენდა მხოლოდ გზა-ხერხს საჭმლის მონელების ფიზიოლოგიის შესწავლისათვის. პავლოვის მოძღვრების ძირითადი აზრი იმაშია, რომ აქაც ფუნქციის შესწავლა წარმოებს მთლიან ორგანიზმზე და „ნერვიზმის“ იდეის საფუძველზე. აკად. ი. პავლოვის მიერ ბრწყინვალედ იქნა ნაჩვენები, რომ საჭმლის მომნელებელი აპარატის ამა თუ იმ ნაწილის ფუნქცია (კუჭის ჯირკვლები, პანკრეასი, ნაღველი და სხვა), მათი სეკრეცია ძირითადში სრულდება ნერვული გზით; მათს მოქმედებაში ნერვული სისტემა აქ ძირითად როლს ასრულებს. აქედან მიღებული მასალები გადატანილ იქნა კლინიკაში (ნატურალური კუჭის წვენის სამკურნალოდ გამოყენება და სხვა) და ამით საფუძველი ჩაეყარა ფიზიოლოგიის კავშირს კლინიკასთან, პრაქტიკასთან.

აკად. ი. პავლოვის შემოქმედება მისი მეცნიერული მოღვაწეობის ყველა ეტაპზე გრანდიოზულია, მაგრამ მისი მუშაობა ყველაზე გიგანტურია მესამე ეტაპზე, სადაც იგი მოღვაწეობდა უკანასკნელი 35 წლის განმავლობაში და შექმნა სრულიად ახალი მოძღვრება უმაღლესი ნერვული მოქმედების შესახებ. ეს ნაწილი კი წარმოადგენს ორგანიზმის ფუნქციათა რეგულაციის „ნერვიზმის“ იდეის თვალსაჩინო დაგვირგვინებას.

აკად. ი. პავლოვის მოძღვრებას უმაღლესი ნერვული მოქმედების შესახებ უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. აკად. ი. პავლოვმა მოგვცა მეცნიერული დასაბუთება იმის შესახებ, თუ რო-

გორ აღმოცენდებიან ინდივიდის ცხოვრებაში ე. წ. პირობითი რეფლექსები, რომელთა მეშვეობითაც ორგანიზმი უკეთესად არის შეგუებული გარემოსთან, ვიდრე ამას ადგილი აქვს მხოლოდ თანდაყოლილი ანუ უპირობო რეფლექსების მარაგით; ამასთან ერთად ნაჩვენებია, რომ ეს ახალი სახის რეფლექსები — პირობითი რეაქციები აღმოცენდებიან უპირობო რეფლექსების ფონზე. უმდაბლესი ნერვული მოქმედება და უმაღლესი ნერვული მოქმედება წარმოადგენენ ერთიან მთლიანს, ხოლო პირობითი რეფლექსები, როგორც უფრო მაღალი ფორმის რეაქციები, შეიცავენ არა მარტო საერთო კანონზომიერებებს უპირობო რეფლექსებთან, არამედ აგრეთვე თავის საკუთარ — სპეციფიკურ კანონზომიერებებს, რომელთაც არა აქვთ ადგილი უპირობო რეფლექსთა მიმართ.

ფრიად საყურადღებოა აკად. ი. პავლოვის ის თვალსაზრისი, რომ „ზოგიერთი პირობითი ახლადგამომუშავებული რეფლექსი შემდგომ მემკვიდრეობით გარდაიქმნება უპირობოდ". ჩანს, რომ აკად. ი. პავლოვის თვალსაზრისი პირობითი რეფლექსების მემკვიდრეობით გადაცემის შესაძლებლობის შესახებ საფუძვლად უდევს მიჩურინული ბიოლოგიისა და საერთოდ საბჭოთა შემოქმედებითი დარვინიზმის საფუძვლებს. ამ მიმართულებით კიდევ შემდეგია საყურადღებო: როგორც ვიცით, აკად. ი. პავლოვის მიერ მოცემულია ნერვული სისტემის ტიპები; ამასთან ერთად აკად. ი. პავლოვმა ჩვენ გვიჩვენა, თუ როგორ შეიძლება უმაღლესი განვითარების მქონე ცხოველის ორგანიზმის არსებობის ცვალებადს გარემოში ნერვული სისტემის აგებულებისა და ფუნქციის შეცვლა ნერვულ სისტემაზე მიმართულებრივი ზემოქმედების საფუძველზე. ამიტომ არის, რომ აკად. ი. პავლოვმა ამოცანად დაისახა და შეძლო კიდეც პირობითი რეფლექსების მეშვეობით ცხოველთა ნერვული სისტემის ტიპის ამა თუ იმ გვარი გადაკეთება; ჩანს, რომ გარეგანი ზეგავლენის მეშვეობით ნერვული სისტემის ტიპის შეცვლის შესაძლებლობა, დადგენილი აკად. ი. პავლოვის მიერ, სავსებით ეფარდება მიჩურინული ბიოლოგიის საფუძვლებს.

ფრიად მნიშვნელოვანია აკად. ი. პავლოვის ის თვალსაზრისი, რომ დიდი ტვინის ქერქს, რომელიც წარმოადგენს პირობითი რეფლექსების განვითარების სარბიელს, აქვს არა მარტო ანალიზური ფუნქცია, არამედ აქვს აგრეთვე სინთეზური ფუნქცია. დიდი ტვინის ქერქის ანალიზური ფუნქციის მარტივ მაგალითს წარმოადგენს ე. წ. პირობითი რეფლექსების დიფერენციაცია, ხოლო დიდი ტვინის ქერქის სინთეზური ფუნქციის მარტივ მაგალითს წარმოადგენს თვით

პირობითი რეფლექსის განვითარების ნერვული მექანიზმი, დიდი ტვინის ქერქის ცალკეულ ნაწილებს შორის დროებითი ნერვული კავშირების განვითარება. დიდი ტვინის ქერქის სინთეზურ ფუნქციას ეკუთვნის აგრეთვე ე. წ. დინამიკური სტერეოტიპი და პირობითი რეფლექსის განვითარება ე. წ. კომპლექსურ გაღიზიანებაზე. დიდი ტვინის ქერქის მიერ ანალიზური და სინთეზური ფუნქცია სრულდება ერთდროულად. აკად. ი. პავლოვი არ ანიჭებდა უპირატესობას არც მარტო ანალიზურ მოქმედებას და არც მარტო სინთეზურ მოქმედებას. ამიტომ არის, რომ აკად. ი. პავლოვის კვლევის მეთოდი იყო არც მარტო ანალიზური და არც მარტო სინთეზური. იგი აერთიანებდა ორივე ამ მეთოდს. ანალიზური ფუნქცია და სინთეზური ფუნქცია წარმოადგენენ ერთიან მთლიანს და არ შეიძლება მათი ერთმანეთისაგან დაცილება.

ფრიად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ აკად. ი. პავლოვის მოძღვრების საფუძველზე პირობითს რეფლექსებს ახასიათებს სამი ძირითადი ნიშანი: 1. დეტერმინიზმის პრინციპი; 2. სტრუქტურობის პრინციპი; 3. ანალიზისა და სინთეზის პრინციპი.

პირობითი რეფლექსების მიმდინარეობის შესახებ ცხოველებსა და ადამიანში პავლოვის მოძღვრების მიხედვით შემდეგია აღსანიშნავი: პირველ ყოვლისა, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ადამიანსა და ცხოველებს შორის მთელი რიგი ფიზიოლოგიური მოვლენებისა, კანონზომიერებისა არის საერთო; ამ მხრივ, მაშასადამე, მათ შორის არ არის განსხვავება. შემდეგ კი ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ადამიანსა და ცხოველებს შორის არის განმასხვავებელი ფიზიოლოგიური მოვლენები, კანონზომიერებანი, რომლებიც სპეციფიკურია მხოლოდ ადამიანის მიმართ და, მაშასადამე, ადგილი არა აქვს ცხოველებში. ეს თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანს აქვს შეგნება (ცნობიერება) და ამის საფუძველზე — მეტყველება, რასაც მოკლებულია ცხოველი. ჩვეულებრივი სახის პირობითი რეფლექსები, რომლებიც საერთოა ცხოველებსა და ადამიანს შორის, აკად. ი. პავლოვის მიხედვით თავიანთი გამაღიზიანებლებით შეადგენენ სინამდვილის ე. წ. პირველ სიგნალურ სისტემას, ხოლო სიტყვა, რომელიც სიმბოლოა პირობითი გამაღიზიანებლისა, ანუ სიგნალთა სიგნალს წარმოადგენს, ეკუთვნის სინამდვილის ე. წ. მეორე სიგნალურ სისტემას. სიტყვა, გააზრებული ადამიანის მიერ, იძლევა ისეთსავე რეაქციას, როგორც უშუალო პირობითი გამაღიზიანებელი; სიტყვა ასე მოქმედობს ყველა შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, თუ რა სახით ვლინდება იგი: გამო-

თქმით, დაწერით, წაკითხვით. მეორე სიგნალური სისტემის განვითარება შეუძლებელია პირველი სიგნალური სისტემის გარეშე, რომლის საფუძველზეც ის არის აღმოცენებული. პირველ სიგნალურ სისტემასა და მეორე სიგნალურ სისტემას შორის არსებობს მჭიდრო დამოკიდებულება, ურთიერთშეპირობება; ისინი წარმოადგენენ ერთიანობას. მეორე სიგნალური სისტემის განვითარებას ისეთივე კანონზომიერებანი ახასიათებს დროებითი ნერვული კავშირების განვითარების მხრივ, როგორც პირველ სიგნალურ სისტემას; ამასთანავე მეორე სიგნალური სისტემა უფრო მაღალი ფორმისაა და წამყვან როლს ასრულებს.

მეორე სიგნალური სისტემისა და მასთან ერთად თავის ტვინის უაღრეს განვითარებასთან დაკავშირებული შეგნების წარმოშობა არსებითად შედეგია ადამიანის შრომითი მოქმედებისა. მეორე სიგნალური სისტემის განვითარებასთან კი, თავის მხრივ, დაკავშირებულია ის გარემოება, რომ ადამიანის დიდი ტვინის ქერქში ანალიზური და სინთეზური ფუნქცია უაღრესად მაღალ საფეხურს აღწევს. ადამიანის ქცევა, რომელსაც კონტროლს უწევს მეორე სიგნალური სისტემა, უშუალოდ არის დაკავშირებული შეგნებასთან, აზროვნებასთან. ამის გამო ადამიანის მოქმედება მიზანმიმართულებრივ ხასიათს ატარებს.

უმაღლესი ნერვული მოქმედების შესახებ აკად. ი. პავლოვის მოძღვრების მეთოდოლოგიური მნიშვნელობა შემდეგიდანაც ჩანს: ადამიანის დიდი ტვინის ქერქში მიმდინარე ნერვულ პროცესთა განსაზღვრულ ნაწილს აქვს თვისება გამოვლინდეს ორგვარად: ობიექტურ და სუბიექტურ ფორმებში. პირველი ფორმა (ობიექტური) გამოვლინდება სხვადასხვა სახის რეფლექსურ რეაქციებში, ხოლო მეორე ფორმა (სუბიექტური) — სხვადასხვა სახის ფსიქიკურ მოვლენათა სახით. ამასთან ერთად შეგრძნებები, აღქმები, წარმოდგენები და საერთოდ შეგნება (ცნობიერება) ადამიანის დიდი ტვინის ქერქში ასახავს გარემო სამყაროს ობიექტურ რეალობას. ფსიქიკური რეაქციები არა მარტო განცდის ხასიათს ატარებენ, არამედ აგრეთვე გამოვლინდებიან გარეგანი მოქმედების სხვადასხვა ფორმაში და, მაშასადამე, წარმოადგენენ ობიექტურისა და სუბიექტურის ერთიანობას. ამ უკანასკნელს კი იმ მხრივაც აქვს მნიშვნელობა, რომ ი. პავლოვის მოძღვრება უმაღლესი ნერვული მოქმედების შესახებ წარმოადგენს ასახვის ლენინური თეორიის დადასტურებასა და მის ღრმა ბიოლოგიურ-მეცნიერულ დასაბუთებას.

საკავშირო კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა), საბჭოთა

მთავრობა, პირადად ვ. ლენინი და ი. სტალინი ყოველთვის მაღალ შეფასებას აძლევდნენ ი. პავლოვის მეცნიერულ შემოქმედებას. ისინი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდნენ ი. პავლოვის იდეათა შემდგომი განვითარების საქმეს. 1949 წლის სექტემბერში მთელ საბჭოთა კავშირში ჩატარდა იუბილე, მიძღვნილი აკად. ი. პავლოვის დაბადების 100 წლისთავის შესრულებისადმი. ვის არ ახსოვს, რომ ეს თარიღი საყოველთაოდ აღინიშნა, როგორც მთელი საბჭოთა ხალხისა და მოწინავე კაცობრიობის ტრიუმფი. ყველასათვის ცხადია, რომ ასეთი მზრუნველობის გამოჩენა მეცნიერისა და მისი საქმისადმი შესაძლებელია მარტო ჩვენს ქვეყანაში. ასეთი დიდი ყურადღება აკად. ი. პავლოვის მოძღვრებისადმი იმით არის გამოწვეული, რომ აკად. ი. პავლოვის შრომებს უაღრესად დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისა და მთელი პროგრესული კაცობრიობისათვის. საბჭოთა ხალხი აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას. ამისათვის კი საჭიროა, რომ ადამიანის ცხოვრება ყოველმხრივ დასაბუთებული იქნეს მეცნიერულად, მისი მუშაობა გაშლილ იქნეს მეცნიერულ საფუძვლებზე. ამ ამოცანის შესრულებაში კი, სხვათა გარდა, უთუოდ მნიშვნელოვანია აკად. ი. პავლოვის მეცნიერული შემოქმედება, მისი ფიზიოლოგიური მოძღვრება და ამ მოძღვრების შემდგომი განვითარება.

აკად. ი. პავლოვის ფიზიოლოგიური მოძღვრების პრობლემათა ირგვლივ საკითხის გაშუქებაში დიდი როლი შეასრულა ორი აკადემიის (საკავშირო მეცნიერებათა აკადემიისა და საკავშირო მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის) გაერთიანებულმა სამეცნიერო სესიამ, რომელიც 1950 წელს (28 ივნისი — 4 ივლისი) შედგა მოსკოვში. ზედმეტია საუბარი ჩატარებული სესიის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის შესახებ საერთოდ და, კერძოდ, საბჭოთა ფიზიოლოგიის შემდგომი განვითარების საქმეში.

ფიზიოლოგიის სესიის მასალებიდან ჩანს, რომ აკად. ი. პავლოვის მეცნიერული მემკვიდრეობის განვითარების საქმეში საბჭოთა ფიზიოლოგიას აქვს მთელი რიგი მიღწევებისა. ჩვენს ქვეყანაში მრავალ დაწესებულებაში მთელი რიგი მეცნიერნი წარმატებით მუშაობენ და თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვით დიდი რუსი ფიზიოლოგის აკად. ი. პავლოვის იდეათა შემდგომი განვითარების საქმეში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ბიკოვის, ივანოვ-სმოლენსკის, რაზენკოვის, ასრატიანის, ფოლბორტის, ციტოვიჩის, კრასნოგორსკის, ბირიუკოვის, ჩერნიგოვსკის, უსიევიჩისა და სხვათა სახელები.

ასე, მაგ., ბიკოვის ლაბორატორიაში ნაჩვენებია, რომ პირობითი რეფლექსების განვითარება შესაძლებელია ყოველივე სახის შინაგან ორგანოზე. ამნაირად, ბიკოვის ლაბორატორიის მიერ დადგენილია და ფაქტიურად დასაბუთებული აკად. ი. პავლოვის ის დებულება, რომ მთელი ორგანიზმისათვის — როგორც ექსტეროცეპტორების, ისე აგრეთვე ინტეროცეპტორების და პროპრიოცეპტორების გზით — დიდი ტვინის ქერქი ასრულებს წამყვან, მაორგანიზებელ როლს. ასრატიანის მიერ დიდი მუშაობაა ჩატარებული დიდი ტვინის ქერქის როლის შესახებ ცხოველის მამოძრავებელი აპარატის დარღვევისას აღდგენითსა და კომპენსაციის ფუნქციებში. აკად. ი. პავლოვის იდეათა შემდგომ განვითარებას უთუოდ წარმოადგენს ი. ჟურავლიოვის შრომები მადისა და წყურვილის ფიზიოლოგიური მექანიზმების შესწავლის შესახებ და სხვა. ამ სესიაზე ბიკოვისა და ივანოვ-სმოლენსკის მოხსენებებში ნათლად არის მოცემული საბჭოთა ფიზიოლოგიის მიღწევები აკად. ი. პავლოვის გარდაცვალების შემდეგ (14 წლის მანძილზე) და აკად. ი. პავლოვის ფიზიოლოგიური მოძღვრების მნიშვნელობა არა მარტო ფიზიოლოგიის, არამედ ფსიქოლოგიის, პედაგოგიკის, ჰიგიენის, ნევროპათოლოგიის, ფსიქიატრიისა და, საერთოდ, სამედიცინო და ბიოლოგიური დისციპლინებისათვის, ფიზიკური აღზრდისა და სპორტისათვის, სოფლის მეურნეობის ფიზიოლოგიის დარგში, ზოოვეტერინარიის დარგში და სხვა.

მაგრამ სესიის მასალებიდან ისიც ნათლად ჩანს, რომ პავლოვის მეცნიერული მემკვიდრეობის შემდგომი განვითარება აკად. ი. პავლოვის სიკვდილის შემდეგ არ მიმდინარეობდა პირდაპირი ხაზით და არ უპასუხებდა ეპოქის მოთხოვნილებებს. აი, რას ამბობდა ამის შესახებ საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, განსვენებული, აკად. ს. ვავილოვი ფიზიოლოგიის სესიის გახსნისას:

„Как это ни удивительно, как это ни странно, широкая павловская дорога у нас обнажилась, по ней последовательно и систематически двигались сравнительно немногие".

„Если ясно представить себе положение, создавшееся сейчас в нашей физиологии в итоге такой научной тактики, то станет очевидно, что в пору бить тревогу".

ამრიგად, სესიის მთავარ მნიშვნელობას წარმოადგენდა ჩვენს მუშაობაში ნაკლოვანებათა გამომჟღავნება და მათი გამოსწორება. სესია აღნიშნავს, რომ

„в целом фактические и теоретические результаты работы по развитию научного наследия И. П. Павлова, в особенности исследования по

высшей нервной деятельности, далеко не соответствуют задачам, поставленным перед учениками и последователями великого ученого, и условиям, созданным для этой цели советским государством и партией. Разработка научного наследия Павлова во многих отношениях не шла по столбовой дороге развития его идей" (სესიის დადგენილებიდან).

კომენტარები ზედმეტია. საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა თავის შესავალ სიტყვაში სესიის წევრებს ასე მიმართა: „Наш народ и все передовое человечество не простят нам, если мы не используем должным образом богатства павловского наследия. В его развитии — опора нашего дальнейшего понимания самых сложных форм жизни и новые перспективы в медицине". ... „Товарищи, я призываю участников сессии к творческой борьбе мнений, к свободе критики, невзирая на установившиеся авторитеты, несмотря на давние традиции, невзирая на лица.

Пусть наша работа послужит поворотным этапом в развитии советской физиологии и облегчит выход из затора, создавшегося на пути ее развития. Нет сомнения, что возвращение на верную павловскую дорогу сделает физиологию наиболее действенной, наиболее полезной для нашего народа, наиболее достойной Сталинской эпохи строительства коммунизма".

ამ ციტატიდან ჩანს შექმნილი მდგომარეობა და სესიის მიზანი.

სესიის მასალებით დასტურდება, რომ მთელი რიგი წამყვანი საბჭოთა ფიზიოლოგებისა მუშაობდნენ არა პირდაპირი გზით, არა პავლოვური მეთოდებით და მიმართულებით, არამედ არასწორად. ასე ვთქვათ, გზააცდენილად. ზოგიერთი მათგანი კი გადავარდა იდეალიზმის ჭაობში. სესიაზე სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული ასეთ ფიზიოლოგთა პოზიცია და მოღვაწეობა. იდეალისტურ პოზიციაზე იდგნენ შემდეგი ფიზიოლოგები: აკად. ლ. ორბელი, აკად. ი. ბერიტაშვილი, პროფ. როჟანსკი, პროფ. ანოხინი და სხვანი. სრულიად ცალკე დგას საკითხი იდეალისტ შტერნის შესახებ.

ფიზიოლოგ შტერნის ცრუმეცნიერული პოზიცია სესიაზე მხილებული იყო პროფ. დ. ბირიუკოვის მიერ. პავლოვის მატერიალისტური მოძღვრების საწინააღმდეგოდ მთელი წლების მანძილზე ფიზიოლოგი შტერნი ცდილობდა ჩვენში განევითარებინა ფერვორნული იდეალისტური ფიზიოლოგიის ძირითადი დებულებანი. შტერნიმ და მისმა თანამშრომლებმა უგულებელყვეს გარემო არის როლი ფუნქციის ფორმირებაში საერთოდ და სოციალური არის როლი ადამიანის მიმართ; ამით მათ აწარმოეს ადამიანის ბიოლოგიზაცია და გვერდში ამოუდგნენ ინგლისელ-ამერიკელ რეაქციონერ მეცნიერებს. შტერნი და მისი თანამშრომლები უარყოფდნენ პავლოვ-ბოტკინის იდეას ნერვიზმის შესახებ და ისინი პირველ რიგში აყენებდნენ

ფუნქციის რეგულაციის პრინციპს ქიმიური, ანუ ჰუმორული გზით. შტერნი აშკარად ილაშქრებდა პავლოვის მატერიალისტური მოძღვრების წინააღმდეგ. ამიტომ არის, რომ პროფ. დ. ბირიუკოვი შტერნის „მუშაობას“ აფასებს, როგორც იდეოლოგიურ დივერსიას.

სესიის მასალებიდან ჩანს, რომ ძალიან დიდი მეთოდოლოგიური ხასიათის შეცდომები აქვს დაშვებული აკად. ლ. ორბელს.

ძირითადი ფიზიოლოგიური დაწესებულებები, რომლებსაც აკად. ი. პავლოვი ხელმძღვანელობდა, პავლოვის სიკვდილის შემდეგ ჩაბარდა აკად. ლ. ორბელს. ყველა მოელოდა, რომ აკად. ლ. ორბელი ღირსეულად უხელმძღვანელებდა ამ დაწესებულებებს, იგი ფართოდ განავითარებდა ი. პავლოვის მეცნიერულ მემკვიდრეობას და მუშაობას გაშლიდა ი. პავლოვის მოძღვრების საფუძველზე. მაგრამ, როგორც ეს ნათელი გახდა სესიის მასალებიდან, აკად. ლ. ორბელმა არ გაამართლა მასზე დამყარებული იმედები: აკად. ლ. ორბელის მეთაურობით 14 წლის მანძილზე ამ ძირითადს ფიზიოლოგიურ დაწესებულებებში არ ყოფილა მუშაობა გაშლილი ისე ფართოდ და ინტენსიურად, როგორც ეს მოსალოდნელი იყო. მან ვერ წარმართა მის ხელში მყოფი სამეცნიერო კოლექტივი აკად. ი. პავლოვის იდეათა პირდაპირი განვითარებისაკენ და დასავლეთ ევროპული და ამერიკული რეაქციულ-იდეალისტური თეორიების წინააღმდეგ, მაშინ როდესაც აკად. ი. პავლოვი ყოველთვის დაუცხრომელ ბრძოლას ეწეოდა რეაქციულ-იდეალისტურ თეორიათა წინააღმდეგ.

ძირითადი შეცდომები აკად. ლ. ორბელისა გაერთიანებული სესიის მასალების მიხედვით შემდეგში მდგომარეობს:

აკად. ლ. ორბელი დიდი ხნის მანძილზე იმ აზრს ავითარებდა, რომ სიმპათიკურ ნერვულ სისტემას (და აგრეთვე ნათხემს) აქვს ადაპტაციკურ-ტროფიკული უნივერსალური მნიშვნელობა. ამ თვალსაზრისით დიდი ტვინის ქერქის ფუნქციური მდგომარეობა და, მაშასადამე, მისი მოქმედება იმყოფება სიმპათიკური ნერვული სისტემის (და აგრეთვე ნათხემის) გავლენის ქვეშ. აკად. ლ. ორბელს თუ დავუჯერებთ, გამოდის, რომ წამყვანი, მაორგანიზებელი მნიშვნელობა აქვს ამ სიმპათიკურ ნერვულ სისტემას (და ნათხემს) და დიდი ტვინის ქერქის მოქმედება ატარებს „დაქვემდებარებითს“ ხასიათს. აკად. ლ. ორბელის ეს შეხედულება ძირფესვიანად ეწინააღმდეგება აკად. ი. პავლოვის მატერიალისტურ მოძღვრებას. პავლოვის მოძღვრების საფუძველზე, როგორც ცნობილია, ორგანიზმის გარეგანი და შინაგანი არის ზეგავლენაზე წამყვან, მაორგანიზებელ

როლს ასრულებს დიდი ტვინის ქერქი. დიდი ტვინის ქერქს ემორჩილება ნერვული სისტემის ყოველივე სხვა განყოფილება და მათ შორის სიმპათიკური ნერვული სისტემა ან ნათხემი. ჩანს, რომ აკად. ლ. ორბელის შეხედულება სიმპათიკური ნერვული სისტემისა და ნათხემის ადაპტაციკურ-ტროფიკული უნივერსალური მნიშვნელობის შესახებ არის არამატერიალისტური, ანტიპავლოვური, და, მაშასადამე, მიუღებელი.

აკად. ლ. ორბელის შეცდომას ისიც წარმოადგენს, რომ მისი ხელმძღვანელობით გრძნობათა ორგანოების ფიზიოლოგიაში მუშაობა ისე წარმოებდა, რომ ის არ იყო ორგანულად დაკავშირებული აკად. ი. პავლოვის მოძღვრებასთან ანალიზატორების შესახებ; სრულიად გაუმართლებელია მის მიერ უგულებელყოფა პავლოვის მოძღვრებისა ანალიზატორებზე. ნაცვლად იმისა, რომ აკად. ლ. ორბელს გამოეყენებინა პავლოვის მატერიალისტური მოძღვრება გრძნობათა ორგანოებზე და ეცადა, რომ იგი შემდგომ განევითარებინა. მან დაუპირისპირა თავისი „სწავლება“ გრძნობათა ორგანოებზე ი. პავლოვის მოძღვრებას უმაღლესი ნერვული მოქმედების შესახებ. მაშინ როდესაც პავლოვი გრძნობათა ორგანოების მიმართ სარგებლობდა კვლევის ობიექტური მეთოდით, ორბელმა წამოაყენა კვლევის სუბიექტური მეთოდი. ნათქვამიდან ჩანს, რომ აკად. ორბელის პოზიცია გრძნობათა ორგანოების ფიზიოლოგიის კვლევის დარგში არის ანტიპავლოვური და, მაშასადამე, იდეალისტური, მიუღებელი.

შემდეგ: აკად. ორბელი იმ თვალსაზრისზე დგას, რომ „სუბიექტური და ობიექტური მოვლენები შეიძლება პარალელურად მიმდინარეობდნენ“. ეს იმას ნიშნავს, რომ ორბელი დგას ფსიქოფიზიკური პარალელიზმის თვალსაზრისზე, რომელიც ყალბია, იდეალისტურია. ამნაირად, ორბელი, თვლის რა სუბიექტურ განცდებს და განსაკუთრებით შეგრძნებებს მხოლოდ სუბიექტურ მოვლენებად, ქანდება სუბიექტურ იდეალიზმამდე. როგორც ცნობილია, ი. პავლოვმა შექმნა უმაღლესი ნერვული მოქმედების შესწავლის ობიექტური მეთოდი. სამყარო ასახავს ობიექტურ რეალობას და განუწყვეტლივ ღებულობს თავის ობიექტურ გარეგან გამოხატულებას; ამასთან დაკავშირებით სამყარო წარმოადგენს არა მარტო სუბიექტურს, არამედ აგრეთვე ობიექტურს, მაშასადამე, სუბიექტურისა და ობიექტურის ერთიანობას. ნათქვამიდან ცხადი ხდება, რომ ორბელის თვალსაზრისი სუბიექტურ და ობიექტურ მოვლენათა ურთიერთობის საკითხში სავსებით ეწინააღმდეგება ი. პავლოვის მატერიალისტურ მოძღვრებას. მაშასადამე, ორბელის

კონცეფცია ფსიქოფიზიკური პარალელიზმის შესახებ არის იდეალისტური, მიუღებელი.

ლ. ორბელმა დაუშვა აგრეთვე ანტიპავლოვური და ანტიმიჩურინული შეცდომები პირობით რეფლექსთა მემკვიდრეობით გადაცემის საკითხისა და, მაშასადამე, საერთოდ მემკვიდრეობითი მოძღვრების შესახებ. თავის უკანასკნელ ნაშრომებში ლ. ორბელი იმ აზრს ავითარებს, რომ პირობითი რეფლექსების გადაცემა მემკვიდრეობით არაა დადასტურებული და. მისი აზრით, ორგანიზმში რეაქციების გადაკეთება წარმოებს „მუტაციების“ გზით. შემდეგ იგი დასძენს: რენტგენის სხივების მოქმედების საშუალებით ის ფიქრობს მიიღოს „მუტაციური ცვლილებები“ და ამით „ახალი მუტაცია“, ანუ ნერვული სისტემის ახალი ტიპი. მოგვყავს მისი სიტყვები:

„Хотя у некоторых насекомых (например, у пчел) доказана возможность выработки условных рефлексов, однако до сих пор нет никаких доказательств возможности смены врожденных форм поведения приобретенными. Все возможные перестройки идут только по линии мутационных процессов, по линии извращения, исключения, замены, уничтожения тех или иных инстинктивных форм поведения, но никоим образом не по линии вытеснения их новыми приобретенными реакциями“.

„При помощи рентгеновых лучей собираемся „вызвать мутационные явления и, таким образом, получать новые мутации, быть может новый склад нервной системы“.

პავლოვი კი ამავე საკითხებზე, როგორც ზევით იყო ამის შესახებ ნათქვამი, იმ აზრს ავითარებს, რომ პირობითი რეფლექსები განსაზღვრულ პირობებში გადაეცემიან მემკვიდრეობით. ჩანს, რომ ლ. ორბელის თვალსაზრისი პირობით რეფლექსთა მემკვიდრეობით გადაცემის შესახებ სავსებით ეწინააღმდეგება პავლოვის მოძღვრებას. ორბელის თვალსაზრისი ამ საკითხზე ანტიმატერიალისტურია, ანტიპავლოვურია, ანტიმიჩურინული და. მაშასადამე, სავსებით მიუღებელი. სწორედ იმისა გამო, რომ ორბელის თვალსაზრისი არის არა მატერიალისტური და არა მიჩურინული, არამედ იდეალისტური, ფორმალურ-გენეტიკური, მენდელ-ვეისმან-მორგანისტული, ორბელის მიერ ევოლუციური ფიზიოლოგიის საკითხების დამუშავება წარმოებდა მოწყვეტილად გარემო არის გავლენისაგან, უმაღლესი ნერვული მოქმედების გენეტიკის შესახებ კი ექსპერიმენტული მუშაობანი, შრომები ნერვული სისტემის ტიპების მიმართულებრივი ცვლილების მხრივ, აღმოჩნდა ჩავარდნილი. ნაცვლად იმისა, რომ ლ. ორბელს გაეგრძელებინა მუშაობა სწორი, პავლო-

ვური ხაზით, მან არასწორი ხაზი აირჩია, მუშაობა ამ მიმართულებითაც ვერ გაშალა ფართოდ, მუშაობას მისცა არასწორი მიმართულება, რადგან მას საფუძვლად ედვა მცდარი და მიუღებელი ფორმალურ-გენეტიკური მსოფლმხედველობა.

ლ. ორბელი უშვებს მთელი რიგი ფილოსოფიური ხასიათის აგრეთვე სხვა შეცდომებს. უთუოდ დიდ შეცდომად უნდა ჩაითვალოს ლ. ორბელის ის მოსაზრება, თითქოს ი. პავლოვის მოძღვრება უმაღლესი ნერვული მოქმედების შესახებ მისაღები იყოს ყოველი გნოსეოლოგისათვის, მაშასადამე, როგორც ჩვენთვის, მატერიალისტური მსოფლმხედველობისათვის, ისე აგრეთვე ბურჟუაზიული რეაქციული, იდეალისტური მსოფლმხედველობისათვის. ეს იმას ნიშნავს, რომ ი. პავლოვის მოძღვრებას უმაღლესი ნერვული მოქმედების შესახებ წაართვა ის, რაც მას ყველაზე ძვირფასი აქვს.

თავისი სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში აკად. ი. პავლოვმა, როგორც ცნობილია, წამოაყენა მეტად მნიშვნელოვანი შეხედულება ადამიანის სპეციფიკური თვისებების შესახებ. საკითხი ეხება ე. წ. მეორე სიგნალურ სისტემას. დაწესებულებებში, რომლებსაც ლ. ორბელი ხელმძღვანელობდა, მეორე სიგნალური სისტემის შესწავლა წარმოებდა არასწორად, არასაკმარისად, და, რაც მთავარია, მეორე სიგნალური სისტემის შესწავლა წარმოებდა არა პირველ სიგნალურ სისტემასთან დაკავშირებით, რომლის ფონზედაც იგი ვითარდება, არამედ მისაგან მოწყვეტილად; ყველაფერი ეს კი ლ. ორბელის შეცდომებზე მიუთითებს ამ მიმართულებითაც.

როგორც გაერთიანებული სესიის მასალებიდან ჩანს, ი. პავლოვის მიერ დატოვებულ დაწესებულებებში ლ. ორბელის ხელმძღვანელობით ძალიან შემცირდა მუშაობა უმაღლესი ნერვული მოქმედების პათოფიზიოლოგიის დარგში, შემცირდა ფიზიოლოგიური დაწესებულებების კავშირი კლინიკასთან, და ეს მაშინ, როდესაც ი. პავლოვი ძალიან დიდ ყურადღებას უთმობდა თავის მუშაობაში პათოფიზიოლოგიის საკითხებსა და კლინიკასთან კავშირს საერთოდ.

აკად. ი. პავლოვის სიკვდილის შემდეგ შეწყდა ყოველკვირეული ტრადიციული სამეცნიერო სხდომები (Павловские среды), სადაც ხდებოდა მეცნიერული მიღწევების დემონსტრაცია და კრიტიკა. ი. პავლოვს არ ეშინოდა შეცდომებისა და სცნობდა მას. ლ. ორბელს კი მიაჩნდა, რომ ის „არ უშვებდა შეცდომებს“ და არ სურდა შეცდომების აღიარება. ამის შედეგია ის გარემოება, რომ ორბელმა დაიკავა რა მონოპოლიური ადგილი ძირითადს დაწესებულებებში, გამომცემლობებში, კომისიებში და სხვა, ყოველ პირს, რომელიც

„გაბედავდა“ კრიტიკით გამოსულიყო მის წინააღმდეგ, სათანადოდ „უმასპინძლდებოდა“. ასე დაემართა, მაგალითად, ერთ-ერთ გამოჩენილ მეცნიერს ე. ასრატიანს, ი. პავლოვის მოძღვრების მართებულად გაგრძელება-დანერგვისათვის დიდ მებრძოლს.

აკად. ა. სპერანსკი პირველი იყო, რომელმაც გამოიყენა პავლოვის იდეების დანერგვა პათოლოგიაში. მან პირველმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მედიცინა უნდა ეფუძნებოდეს ი. პავლოვის იდეას ნერვიზმის შესახებ. მან მწვავედ გაშალა კრიტიკა ვირხოვის იდეალისტური იდეების წინააღმდეგ პათოლოგიაში. მაგრამ აკად. ა. სპერანსკი თავდაპირველად სწორად აღებულ გზას ბოლომდე ვეღარ მიჰყვა და გზადაგზა დაუშვა მთელი რიგი შეცდომებისა. მან წამოაყენა თეზისი „ნერვული ქსელის“ შესახებ, რომელიც როგორც მორფოლოგიურად, ისე ფუნქციურად გაუგებარი ცნებაა. მან ნერვული სისტემის როლი პათოლოგიაში განიხილა მთლიან ორგანიზმში არა ისე, როგორც ამას მოითხოვს ი. პავლოვის მოძღვრება დიდი ტვინის ქერქის წამყვან, მაორგანიზირებელ როლთან დაკავშირებით, არამედ უამისოდ, მისგან მოწყვეტილად. ა. სპერანსკიმ წამოაყენა თეზისი: „ნერვული სისტემა იძლევა პათოლოგიური პროცესის ორგანიზაციას“, რაც საესებით მიუღებელია. გამოდის, რომ ნერვული სისტემა არის არა დამცველი, არამედ პათოლოგიური პროცესის მაორგანიზებელი. და ეს მაშინ, როდესაც ი. პავლოვის მოძღვრების საფუძველზე, პირიქით, ცენტრალური ნერვული სისტემის სარეგულაციო ფუნქციის მოშლილობას, მის დარღვევას მოსდევს ესა თუ ის პათოლოგიური პროცესის განვითარება. ჩანს, რომ ა. სპერანსკი გაერთიანებულ სესიამდე მთელ რიგ საკითხებში უშვებდა შეცდომებს.

პროფესორმა პ. ანოხინმა დაუშვა მთელი რიგი შეცდომებისა. პ. ანოხინი ითვლება ი. პავლოვის უშუალო მოწაფედ. მაშასადამე, პავლოვის მოძღვრების „მცოდნედ“, და, რაც მთავარია, ის ფორმალურად თავის თავს თვლიდა ი. პავლოვის იდეათა „გამაგრძელებლად“. მაგრამ სინამდვილეში ი. პავლოვის სიკვდილის შემდეგ პროფ. პ.ანოხინი აწარმოებდა ი. პავლოვის მატერიალისტური მოძღვრების რევიზიას. მაგ., პ. ანოხინი თვლის, რომ ი. პავლოვის მეთოდი უმაღლესი ნერვული მოქმედების შესახებ არის მხოლოდ ანალიზური, ე. ი. არის მხოლოდ ცალმხრივი. სინამდვილეში კი, როგორც ამის შესახებ ზევითაც გვქონდა საუბარი, ი. პავლოვის მეთოდი არის არა მარტო ანალიზური, არამედ აგრეთვე სინთეზური; უფრო სწორად რომ ვთქვათ, ანალიზურ და სინთეზურ მეთოდებს ი. პავლოვის მოძღვრება

განიხილავს, როგორც ერთიან მთლიანს. პროფ. პ. ანოხინი კი თვლის, რომ პირობითს რეფლექსებში სინთეზური მეთოდი შემოღებულია არა ი. პავლოვის მიერ, არამედ მის მიერ. გარდა ამისა, პროფ. პ. ანოხინი გადაფასებით მოგვითხრობდა თავის შრომებში უცხოელ მეცნიერთა მიღწევებზე (ნევროლოგიისა და ფიზიოლოგიის დარგში) და არ იძლეოდა კრიტიკას ამერიკელი ავტორებისას, რომელნიც ილაშქრებდნენ ი. პავლოვის მატერიალისტური მოძღვრების წინააღმდეგ პირობითი რეფლექსების შესახებ. ამნაირად, ჩანს, რომ პროფ. პ. ანოხინის პოზიცია ი. პავლოვის მოძღვრების მიმართ არის იდეალისტური, მიუღებელი.

სესიის მასალებიდან ჩანს, რომ პროფ. პ. კუპალოვიც, აკად. ი. პავლოვის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოწაფე, მთელ რიგ საკითხებში უშვებდა შეცდომებს, ქანდებოდა პავლოვური გზიდან; მაგრამ, როგორც შემდგომი მასალებიდან ჩანს, პროფ. პ. კუპალოვმა აღიარა დაშვებული შეცდომები, რაც უმთავრესად თეორიულ განმარტებებს შეეხებოდა, დაადგა პავლოვურ გზას და ამჟამად აქტიურად იბრძვის ი. პავლოვის ფიზიოლოგიური მოძღვრების შემდგომი განვითარების საქმისათვის. პავლოვური მატერიალისტური გზიდან გზააცდენილთა და იდეალიზმის ჭაობში გადავარდნილ ავტორიტეტულ ფიზიოლოგთა მცდარ, მანკიერ კონცეფციათა, — კერძოდ, აკად. ლ. ორბელისა და აკად. ი. ბერიტაშვილის მცდარ შეხედულებათა — წინააღმდეგ. მაშასადამე, პროფ. პ. კუპალოვი უკვე დაუბრუნდა სწორ, პავლოვურ გზას.

გაერთიანებული სესიის მასალებიდან ჩანს, რომ უმაღლესი ნერვული მოქმედების შესახებ ი. პავლოვის მოძღვრების იდეური საფუძვლების წინააღმდეგ დიდი ხნის მანძილზე განუწყვეტლივ ბრძოლას ეწევა აკად. ი. ბერიტაშვილი. ამავე დროს საბჭოთა ფიზიოლოგიის ავტორიტეტული წარმომადგენლები ი. ბერიტაშვილს ბოლო დრომდე არ უწევდნენ საკმაო წინააღმდეგობას; ამასთან ი. ბერიტაშვილის პოზიცია ი. პავლოვის მოძღვრებისადმი არის მიუღებელი, იდეალისტური და ემთხვევა უცხოელ, ბურჟუაზიულ მეცნიერთა ანტიპავლოვურ შეხედულებებს. სამწუხაროდ, აკად. ი. ბერიტაშვილის ანტიპავლოვური პოზიცია დიდ მხარდაჭერას პოულობს დასავლეთ ევროპისა და ამერიკის რეაქციონერ მეცნიერთა მიერ. გაერთიანებული სესიის მასალებიდან ჩანს, რომ აკად. ი. ბერიტაშვილის კონცეფციას არაფერი აქვს საერთო ი. პავლოვის მოძღვრებასთან უმაღლესი ნერვული მოქმედების შესახებ და რომ აკად. ი. ბერიტაშვილის კონცეფცია არის ანტიპავლოვური, რეაქ-

ციული, იდეალისტური და, მაშასადამე, საეჭვებით მიუღებელი. ამ საკითხზე ჩვენ ქვემოთ კიდევ გვექნება საუბარი.

გარდა აქ ჩამოთვლილი პირებისა, ფიზიოლოგიის გაერთიანებული სესიის მასალებში შეცდომები აღნიშნული იყო აგრეთვე აკად. ი. პავლოვის ზოგიერთი სხვა მოწაფის მიმართ (მაგ. ნ. როჟანსკი და სხვა); მაგრამ სესია იმასაც აღნიშნავს, რომ ი. პავლოვის იდეები საბჭოთა მეცნიერებაში დაინერგა მთელი თავისი ძლევამოსილებით. საბჭოთა ფიზიოლოგია პირველ ადგილს იკავებს მთელ მსოფლიოში და რომ ფიზიოლოგიური მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის ჩვენს ქვეყანაში ყოველგვარი პირობებია შექმნილი. ჩვენს ქვეყანაში აურაცხელი მეცმუშაკთა ძალებია, რომელთაც შეუძლიათ შემოქმედებითად გამოიყენონ და განავითარონ ი. პავლოვის ფიზიოლოგიური მოძღვრება მეცნიერების სხვადასხვა დარგში. ი. პავლოვის მოძღვრების შემდგომი განვითარებისა და პრაქტიკასთან კავშირის განმტკიცების მიზნით ფიზიოლოგიის სესიას გამოაქვს სპეციალური დადგენილება.

ფიზიოლოგიის გაერთიანებული სესიის დადგენილების შესაბამისად სსრკ მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარებულია შემდეგი რეორგანიზაცია:

1. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ქ. ლენინგრადში დაარსებულია ერთიანი დაწესებულება: აკად. ი. პავლოვის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი (დირექტ. აკად. კ. ბიკოვი) — სამი ცალკეული ორგანიზაციისაგან.

2. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ქ. მოსკოვში ჩამოყალიბებულია უმაღლესი ნერვული მოქმედების ინსტიტუტი (დირექტორი აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფ. ასრატიანი).

3. სსრკ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორად დანიშნულია პროფ. უსიევიჩი.

4. დაარსებულია აკად. ი. პავლოვის სახელობის პერიოდული ორგანო: „Журнал высшей нервной деятельности им. И. П. Павлова“, რომლის რამდენიმე ნომერი უკვე გამოცემულია.

მნიშვნელოვანია აგრეთვე ის გარემოება, რომ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან ჩამოყალიბებულია აკად. ი. პავლოვის ფიზიოლოგიური მოძღვრების პრობლემათა სამეცნიერო საბჭო. სამეცნიერო საბჭო შედგება შემდეგი წევრებისაგან: აკად. კ. ბიკოვი (თავმჯდომარე), აკად. წ/კ. ე. ასრატიანი, პროფესორები: ი. რაზენკოვი, ა. ივანოვ-სმოლენსკი, ა. დოლინი, ნ. კრასნოგორსკი, პ. კუპალოვი, ვ. ჩერნიგოვსკი, მ. უსიევიჩი. დ. ბირიუკოვი, ა. ვო-

ლოხოვი, ლ. ვორონინი, ე. აირაპეტიანცი (მდივანი). სამეცნიერო საბჭოს მიზანს შეადგენს: ჩვენი ქვეყნის ძირითად ფიზიოლოგიურ დაწესებულებათა მუშაობის ანგარიშის მოსმენა და რეკომენდაციის მიცემა მათი მეცნიერული მუშაობის მიმართულებისათვის; ყოველწლიური სამეცნიერო თათბირების მოწვევა პავლოვური ფიზიოლოგიის პრობლემების გარშემო; ყოველწლიურად ანგარიშის წარდგენა მთავრობისა და საკ. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში ფიზიოლოგიის დაწესებულებათა მუშაობის შესახებ აკად. ი. პავლოვის ფიზიოლოგიური მოძღვრების შემდგომი განვითარებისათვის.

ამ სამეცნიერო საბჭოს მესამე სესიაზე განხილულ იყო აკად. ი. ბერიტაშვილის კონცეფცია და მეოთხე სესიაზე კი აკად. ლ. ორბელის კონცეფცია.

სამეცნიერო საბჭო აღნიშნავს: მიუხედავად იმისა, რომ აკად. ლ. ორბელის კონცეფცია და მოღვაწეობა ორი აკადემიის გაერთიანებულ სესიაზე მკვეთრად იყო გაკრიტიკებული, ლ. ორბელი არსებითად ისევ რჩება თავის ძველ ანტიპავლოვურ პოზიციაზე. ორბელმა არ მოისურვა, რომ გადაესინჯა თავისი ანტიპავლოვური პოზიცია საერთოდ და, კერძოდ, სიმპათიკური ნერვული სისტემისა და დიდი ტვინის ქერქის დამოკიდებულების საკითხში. როგორც ცნობილია, აკად. ორბელი ამ საკითხებს სწავლობდა ისე, რომ გაუთვალისწინებელი რჩებოდა დიდი ტვინის ქერქის წამყვანი, მაორგანიზებელი როლი. ეტყობა, ორბელმა, გადაწყვიტა საკითხისადმი გვერდის ავლით, ამ საკითხის დამუშავებისაგან ხელის აღებით, თავი აერიდებინა თავისი შეცდომების აღიარებისაგან. უფრო მეტიც: თავის გამოსვლაში ამ სამეცნიერო საბჭოს სესიაზე ორბელი შეეცადა თავი აერიდებინა პასუხისმგებლობისაგან მის მიერ დაშვებული როგორც იდეოლოგიური და ორგანიზაციული შეცდომებისაგან, ისე აგრეთვე შეეცადა დაემახინჯებინა ფიზიოლოგიის კორიფეების — ი. სეჩენოვისა და ი. პავლოვის ფაქტიური მასალა, მათი მეთოდოლოგიური პოზიცია. სამეცნიერო საბჭომ წარმოდგენილი გეგმა სცნო არადამაკმაყოფილებლად და წინადადება მისცა ლ. ორბელს, რომ ეს გეგმა ძირფესვიანად გადაამუშავოს პავლოვური ფიზიოლოგიის ზოგადი პრინციპების შესაბამისად.

საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული აკადემიკოს ი. პავლოვის ფიზიოლოგიური მოძღვრების პრობლემათა სამეცნიერო საბჭოს სესია, რომელზედაც განხილული იყო აკად. ი. ბერიტაშვილის კონცეფცია, შედგა ქ. მოსკოვში 1951 წ. 10—12 აპრილს. სესია მიმდინარეობდა აკად. კ. ბიკოვის თავმჯდო-

მარეობით. სამეცნიერო საბჭომ მოისმინა აკად. ი. ბერიტაშვილის მოხსენება: „რეფლექსისა და ქცევის შესახებ მოძღვრების ფაქტობრივი და მეთოდოლოგიური საფუძვლები“, რომლის ირგვლივ გაიმართა გაცხოველებული კამათი.

კამათში მონაწილეობა მიიღო 25 ორატორმა, რომელნიც ითვლებიან საბჭოთა მეცნიერების წამყვან სპეციალისტებად ფიზიოლოგიის, ფსიქოლოგიისა და ფილოსოფიის დარგში. სახელდობრ, სიტყვებში გამოვიდნენ: ა. ივანოვ-სმოლენსკი, ე. ასრატიანი, მაიოროვი, შ. უსიევიჩი, ხ. კოშტოიანცი, ნ. კრასნოგორსკი, ლ. ფეოდოროვი, ა. სმირნოვი, ე. ვაცურო, დ. ვორონინი, მ. ლივანოვი, ვ. რუსინოვი, ი. ფროლოვი, ა. დოლინი, ნ. როჟანსკი, პ. კუპალოვი, პ. ანოხინი; ლენინგრადში მომუშავე ფიზიოლოგი — კ. აბუჯაძე; ფსიქოლოგებიდან — ლურია, ლეონტიევი; ფილოსოფოსი — აკ. ალექსანდროვი; საქართველოდან დ. გედევანიშვილი და ს. ნარიკაშვილი; სესიის მუშაობა შეაჯამა აკად. კ. ბიკოვმა.

სამეცნიერო საბჭოს ამ სესიაზე მთელ მოხსენებაში აკად. ი. ბერიტაშვილი იდგა თავის ძირითადს ძველ, მცდარ პოზიციაზე. თავის მოხსენებაში ის ცდილობდა „დაემტკიცებინა“, რომ 1. ნერვული მოქმედების უმაღლეს ფორმას წარმოადგენს არა პირობითი რეფლექსი, არამედ ე. წ. ფსიქონერვული რეაქცია. 2. „ფსიქონერვული მოქმედება“ ქცევითს რეაქციებში ასრულებს მიმართულებრივ, ანუ მაორგანიზირებელ როლს. 3. ამ „ფსიქონერვულ მოქმედებას“ აქვს თავისი კანონზომიერებანი. 4. რომ მის მიერ მოწოდებული „მოძღვრება ფსიქონერვული მოქმედების შესახებ“ თითქოს არის „დიალექტიკურ-მატერიალისტური“ და, მაშასადამე, პრინციპულად „მისაღები, გამართლებული“. 5. „მოძღვრება ფსიქონერვული მოქმედების შესახებ“ არის ერთადერთი, რომელიც იძლევა შესაძლებლობას, რომ გაგებულ იქნეს ადამიანისა და ცხოველთა ქცევა. 6. გამოდის, რომ აკად. ი. პავლოვის მოძღვრება ქცევის აქტების შესახებ არის „მეორეხარისხოვანი“, ყოველ შემთხვევაში არამთავარი, ხოლო ი. ბერიტაშვილის კონცეფცია არის „პირველხარისხოვანი“.

ყველა ორატორი ერთსულოვნად იმას აღნიშნავდა ამ სესიაზე, რომ აკად. ი. ბერიტაშვილის კონცეფცია ამ ე. წ. „ფსიქონერვული მოქმედების“ შესახებ არის მიუღებელი, იდეალისტური და სავსებით ეწინააღმდეგება აკად. ი. პავლოვის მატერიალისტურ მოძღვრებას პირობითი რეფლექსების შესახებ. აკად. ბერიტაშვილის კონცეფციას „ფსიქონერვული მოქმედების“ შესახებ არაფერი აქვს

საერთო დიალექტიკურ მატერიალიზმთან. ბერიტაშვილის კონცეფცია წარმოადგენს არა ი. პავლოვის მოძღვრების შემდგომ განვითარებას, არა წინსვლას, როგორც ამის „დამტკიცებას“ ლამობდა იგი, არამედ უკანდახევას, დაქანებას იდეალიზმამდე, დუალიზმამდე.

სურათის ნათლად და მკაფიოდ წარმოდგენისათვის მოგვყავს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილება აკად. ი. ბერიტაშვილის კონცეფციის შესახებ (დამტკიცებული პრეზიდიუმის მიერ 1951 წ. 13 აპრილს).

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული აკადემიკოს ი. პავლოვის ფიზიოლოგიური მოძღვრების პრობლემათა სამეცნიერო საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა
12 აპრილი, 1951 წ.

„თავის სესიაზე 10—12 აპრილს სამეცნიერო საბჭომ მოისმინა აკად. ი. ბერიტაშვილის მოხსენება „რეფლექსისა და ქცევის შესახებ მოძღვრების ფაქტობრივი და მეთოდოლოგიური საფუძვლები“, განმარტებანი ი. ბერიტაშვილისა თავის შეხედულებათა ირგვლივ და იმსჯელა მოხსენებასა და კამათში დასმულ საკითხებზე.

სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს წამყვანმა სპეციალისტებმა ფიზიოლოგიის, ფსიქოლოგიის და ფილოსოფიის დარგებში, რომელთაც ერთსულოვნად დაგმეს აკად. ბერიტაშვილის კონცეფცია.

აკად. ბერიტაშვილის კონცეფციის არსი დაიყვანება რიგ მანკიერ დებულებამდე: 1) არსებობს მის მიერ ე. წ. განსაკუთრებული „ფსიქონერვული მოქმედება“, როგორც უმაღლესი სართული უმაღლეს ნერვულ მოქმედებაზე; 2) ამ ფსიქონერვულ მოქმედებაზე არ ვრცელდება რეფლექსური პრინციპი; 3) დიდი ტვინის ქერქის მქონე ცხოველები თავიანთ ქცევაში ხელმძღვანელობენ „წარმოდგენებით“ (ანალოგიურად ადამიანის წარმოდგენებისა); 4) ფაქტიურად კვლავ გრძელდება ცდა შეიქმნეს ამ მანკიერ საფუძველზე განსაკუთრებული მეცნიერება ქცევის შესახებ; 5) ი. ბერიტაშვილის კონცეფციაში კვლავ მეორდება ი. პავლოვის მიერ დადგენილი უმაღლესი ნერვული მოქმედების შესახებ ძირითად კანონზომიერებათა რევიზია.

სამეცნიერო საბჭო აღნიშნავს, რომ აკად. ი. ბერიტაშვილი დღემდე რჩება ანტიპავლოვურ პოზიციებზე და მისი მისწრაფება — გამოიყენოს პავლოვის ტერმინოლოგია — კი არ ასწორებს კონცეფციის არსს, არამედ, პირიქით, წარმოადგენს აკად. ბერიტაშვილის

რეაქციულსა და ცრუმეცნიერულ დებულებათა შენიღბვის ფორმას. თავისი მცდარი შეხედულებებით აკად. ბერიტაშვილი ცდილობს მშობლიურ ფიზიოლოგიას დაახევინოს უკან, პავლოვამდელ ხანამდე.

აკად. ბერიტაშვილის მოხსენებაში ძირითადად მოცემულია დუალისტური და იდეალისტური კონცეფცია მის მიერ ე. წ. „ფსიქონერვული მოქმედებისა“, რომელიც მოცემული იყო მის ბროშურაში: „ნერვული და ფსიქონერვული მოქმედების ძირითადი ფორმები“ (1947).

სამეცნიერო საბჭო თვლის, რომ:

1. აკად. ი. ბერიტაშვილის კონცეფცია წარმოადგენს აშკარა დუალიზმს და პრინციპულად ეწინააღმდეგება ი. პავლოვის თანამიმდევრულ მატერიალისტურ მოძღვრებას უმაღლესი ნერვული მოქმედების შესახებ.

2. აკად. ი. ბერიტაშვილის კონცეფცია აშკარად ეწინააღმდეგება სსრკ მეცნიერებათა აკადემიისა და სსრკ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის გაერთიანებული სესიის გადაწყვეტილებებს.

3. აკად. ი. ბერიტაშვილი თავის მსჯელობაში ნერვული ელემენტების სპონტანური აქტივობის შესახებ სცილდება მტკიცე დეტერმინისტულ პოზიციას ფიზიოლოგიის დარგში, რომელზედაც დაფუძნებულია ი. პავლოვის მთელი მატერიალისტური მოძღვრება.

4. აკად. ი. ბერიტაშვილი დაადგა მეცნიერული სპეკულაციის გზას, ჰქმნიდა რა სრულიად დაუსაბუთებელ ჰიპოთეზებს ქერქული პროცესების შესახებ, ცვლიდა რა ცხოველთა უმაღლესი ნერვული მოქმედების ობიექტურ ანალიზს მკითხაობით მათ სუბიექტურ მდგომარეობათა შესახებ.

5. ფაქტები, რითაც სარგებლობს აკად. ი. ბერიტაშვილი, რიგ შემთხვევებში არაა დამარწმუნებელი და მოითხოვენ გულმოდგინე ობიექტურ ანალიზს პავლოვური ფიზიოლოგიის პოზიციიდან.

6. გაერთიანებული სესიის დროიდან აკად. ი. ბერიტაშვილის შეხედულებებში არ მომხდარა რაიმე არსებითი ცვლილება პავლოვურ ფიზიოლოგიასთან დაახლოებისათვის.

სამეცნიერო საბჭო არასწორად თვლის იმას, რომ საქართველოს ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელობის მიერ არა თუ არ იყო უზრუნველყოფილი გაერთიანებული სესიის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარება, არამედ არც კი იყო ორგანიზებული ინსტიტუტში სესიის შედეგების ფართო განხილვა.

აკად. ი. ბერიტაშვილის ანტიპავლოვური შეხედულებები უმაღლესი ნერვული მოქმედების საკითხებში წარმოადგენს სერიოზულ

იდეოლოგიურ დაბრკოლებას საქართველოში პავლოვური გზით ფიზიოლოგიურ გამოკვლევათა განვითარებისათვის.

სამეცნიერო საბჭო თვლის, რომ საქართველოს ფიზიოლოგიურ დაწესებულებებში შეიქმნა დაუშვებელი არაკრიტიული რეჟიმი, რის გამო არ უშვებდნენ აკად. ი. ბერიტაშვილის შეხედულებათა კრიტიკას და ის მეცნიერ მუშაკები, რომელნიც გამოდიოდნენ მისი ანტიპავლოვური კონცეფციის დასაბუთებული კრიტიკით, განიცდიდნენ დევნას. არაკრიტიულ მეთოდებს განსაკუთრებით ფართოდ იყენებდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე პროფ. ნარიკაშვილი.

სამეცნიერო საბჭო აგრეთვე გმობს ი. ბერიტაშვილის უგულებელმყოფელ დამოკიდებულებას მშობლიური ფიზიოლოგიის მიღწევებისადმი და კოსმოპოლიტურ ქედმოხრილობას უცხოური მეცნიერების წინაშე.

სამეცნიერო საბჭო თვლის აუცილებლად, რათა ერთ-ერთ უახლოეს თავის სესიაზე განიხილოს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო მუშაობის გეგმა.

სამეცნიერო საბჭო აუცილებლად თვლის, რომ თბილისში მივლინებულ იქნეს ფიზიოლოგთა ავტორიტეტული კომისია აკად. ი. ბერიტაშვილის შეცდომათა ფართო განხილვის ორგანიზაციისა და ჩატარებისათვის.

სამეცნიერო საბჭო ღებულობს ცნობად აკად. ი. ბერიტაშვილის განცხადებას მის მიმართ წარმოებული კრიტიკის სისწორისა, მის „კონცეფციაში“ იდეალისტური არსის აღიარებისა და აკად. ი. ბერიტაშვილის სურვილის შესახებ — გამოასწოროს თავისი ანტიპავლოვური, იდეალისტური შეცდომები“.

მალე, ამ სესიიდან დაბრუნების შემდეგ, 1951 წლის 9 მაისს აკად. ი. ბერიტაშვილმა გაზეთ „კომუნისტსა“ და გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ გამოაქვეყნა „წერილი რედაქციის მიმართ“. ამ წერილის დედააზრი იმაშია, რომ აკად. ი. ბერიტაშვილი საჯაროდ აღიარებს თავისი კონცეფციის მცდარობას, ამ კონცეფციის იდეალისტურ, დუალისტურ ხასიათს. ამასთან ერთად 1951 წ. 16 მაისს თბილისში ჩატარდა სხვადასხვა დაწესებულების (საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიისა და მედიცინის მეცნ. განყ., საქ. ფიზიოლ. საზოგადოების, საქ. სსრ ჯანდაცვის სამინისტროს სამეცნ. საბჭოს) გაერთიანებული სხდომა, მიძღვნილი აკად. ი. პავლოვის ფიზიოლოგიური მოძღვრების პრობლემებისადმი. მოხსენებებით გამოვიდნენ: ა. ბაკურაძე — ორი აკადემიის გაერთიანებული სესიის

შედეგებზე, და ს. ნარიკაშვილი — საკ. მეცნ. აკად. პრეზიდიუმთან არსებული აკად. ი. პავლოვის ფიზიოლოგიური მოძღვრების პრობლემათა სამეცნიერო საბჭოს მესამე სესიის შედეგებზე. სიტყვებით გამოვიდნენ: აკად. ი. ბერიტაშვილი, საქ. მეცნ. აკად. ფიზიოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები და სამედიც. ინსტიტ. მუშაკები — ბრეგაძე, ჩიქოვანი, სარაჯიშვილი, ზურაბაშვილი და აგრეთვე პროფ. პ. შარია. პირველმა მომხსენებელმა (ა. ბაკურაძე) თავისი მოხსენება გაშალა ფიზიოლოგიის სესიის ირგვლივ, მისი მასალებისა და დადგენილების რეალიზაციის გარშემო, ხოლო მეორე მომხსენებელი (ს. ნარიკაშვილი) არსებითად შეეხო აკად. ი. ბერიტაშვილის მცდარ კონცეფციას საკ. მეცნ. აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული აკად. ი. პავლოვის ფიზიოლოგიური მოძღვრების პრობლემათა სამეცნიერო საბჭოს მესამე სესიის მასალების მიხედვით. აკად. ი. ბერიტაშვილმა თავის გამოსვლაში თითქმის იგივე გაიმეორა, უფრო გაშლილად მხოლოდ, რაც 1951 წ. 9 /V მის მიერ გამოქვეყნებული იყო პრესაში, აღიარა თავისი კონცეფციის მცდარობა, მისი იდეალისტური, დუალისტური ხასიათი. მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ნაწილობრივ ამის შესახებ პრესაშიც აღინიშნა (პეტრუშევსკის წერილი გაზეთ „Медработник"-ში), აკად. ი. ბერიტაშვილმა ამ გამოსვლაშიც დაუშვა რიგი შეცდომებისა.

გაერთიანებული სესიის წლისთავზე საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტმა დირექტორის აკად. ალ. ნათიშვილის თავმჯდომარეობით ჩაატარა სამეცნიერო სესია (30 ივნისი, 1951 წ.).

საქართველოს რიგ უმაღლეს სასწავლებლებში და ფიზიოლოგიურ დაწესებულებებში დროულად ჰპოვა გამოხმაურება ორი აკადემიის გაერთიანებულმა სესიამ და დროულად მიიღეს ზომები ამ სესიის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარების. პავლოვის ფიზიოლოგიური მოძღვრების ფართო პროპაგანდისათვის, ფიზიოლოგიის გაერთიანებული სესიის შედეგების ფართო განხილვის საქმის ორგანიზაციისა და გატარებისათვის. მართალია, ბევრი რამ არის გაკეთებული ერთი წლის განმავლობაში მთელ საბჭოთა კავშირში და, კერძოდ, გარკვეული მუშაობაა ჩატარებული საქართველოშიც პავლოვის ფიზიოლოგიური მოძღვრების გარშემო, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია, უფრო მეტი მუშაობა კი — ი. პავლოვის ფიზიოლოგიური მოძღვრების შემდგომი განვითარების საქმეში — წინ მოგველის. ჩვენი მოვალეობაა ვიაროთ პავლოვური გზით.

აკად. ი. პავლოვის მოძღვრების შემოქმედებითს განვითარებას განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა. მეცნიერებისადმი ასეთი დიდი ყურადღება და დახმარება შესაძლებელია მხოლოდ ჩვენში, საბჭოთა ქვეყანაში.

ა. ფულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, X, 1950—1951.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, X, 1950—1951.

შალვა ჩხარტიშვილი

მეორე სიგნალური სისტემა და ფსიქიკური ცხოვრების მეორე დონე

ივ. პავლოვი, ქმნიდა რა დიდ მეცნიერებას უმაღლეს ნერვულ მოქმედებაზე, ხშირად გამოთქვამდა მტკიცე რწმენას უახლოეს მომავალში ქერქული პროცესების ფიზიოლოგიისა და ფსიქოლოგიის კანონიერი შერწყმის ანუ შეუღლების შესახებ. უკანასკნელში იგი არ გულისხმობდა ამ ორი მეცნიერების შორის არსებული ბუნებრივი საზღვრების მოხსნას და ორი მეცნიერების — ფიზიოლოგიისა და ფსიქოლოგიის — ადგილას ერთი რომელიმე მათგანის დატოვებას, ან კიდევ მათი შერწყმის გზით ერთი რაიმე ახალი სახის სინთეტიკური მეცნიერების წარმოქმნას. შეუძლებელია ივ. პავლოვს ამ ორი მეცნიერების ისეთი შერწყმა ჰქონოდა მხედველობაში, რომელიც ფსიქოლოგიური ტერმინებითა და ცნებებით აამღვრევდა უმაღლესი ნერვული მოქმედების წმინდა ფიზიოლოგიას, რომლის შექმნასაც მან მთელი თავისი ენერგიის უდიდესი ნაწილი მოანდომა. მას არც იმის განზრახვა ჰქონია, რომ ფსიქოლოგია ფიზიოლოგიური რიგის მეცნიერებად გაეხადა და მისთვის დამოუკიდებელი და სრულუფლებიანი მეცნიერების სახე დაეკარგა. ეს მისი შემდეგი სიტყვებიდანაც კარგად ჩანს: „психологические понятия и систематизация психологами субъективных явлений должны глубоко разниться от физиологических представлений и физиологической классификации явлений высшей нервной деятельности“ [1]. ანალოგიურ მოსაზრებებს ხშირად ვხვდებით ივ. პავლოვის შრომებში.

ივ. პავლოვის შეხედულების მიხედვით გამოდის, რომ უმაღლესი ნერვული პროცესი, რომლის უმარტივეს ერთეულს პირობითი რეფ-

[1] И. П. Павлов, Полное собрание сочинений, т. III, 1947, გვ. 227.

ლექსი წარმოადგენს, ერთსა და იმავე დროს ფიზიოლოგიურიცაა და ფსიქოლოგიურიც. პროცესი ერთიანია, რეალურად განუყოფელი. მას ფიზიოლოგიურისა და ფსიქიკურის სახით ორი მხარე, ორი დახასიათება აქვს. ფიზიოლოგიური ამ მთლიანი პროცესის მატერიალურ მხარეს წარმოადგენს. ფსიქიკური კი მისი სპეციფიკური თვისებაა. ამიტომ უკანასკნელს ნერვული პროცესებისგან დამოუკიდებელი არსებობა არ აქვს. ფიზიოლოგია ნერვული მოქმედების მატერიალურ-ნივთიერ მხარეს შეისწავლის და ამიტომ იგი ფსიქოლოგიის (იმ მეცნიერების, რომელიც ნერვული პროცესების ფსიქიკურ თავისებურებასაც არკვევს) ბუნებისმეტყველურ საფუძველს წარმოადგენს. ნერვული მოქმედების მთლიანი სურათის მისაღებად საჭიროა „положить психологический узор на физиологическую канву". შერწყმა ანუ შეუღლება ასეთ რაიმეს გულისხმობს. მიღებულია, რომ უმაღლესი ნერვული მოქმედების ნამდვილი ფიზიოლოგია უკვე არსებობს და ჭეშმარიტ ფსიქოლოგიად მხოლოდ ის ფსიქოლოგია შეიძლება ჩაითვალოს, რომელიც ამ ფიზიოლოგიას უმტკივნეულოდ და ძალდაუტანებლად შეეუღლება, დაეფუძნება, დაემყნობა. ფსიქოლოგია, რომელიც ასეთ შესაძლებლობას არ იძლევა, მოკლებულია მატერიალურ საფუძვლებს და რჩება ჰაერში გამოკიდებული, როგორც ყოველი იდეალისტური წარმოანაქმნი. ფსიქოლოგიისა და ფიზიოლოგიის შეუღლება ორივე მეცნიერებისათვის საჭიროა და აუცილებელი. ივ. პავლოვი წერს: „Я убежден, что рано или поздно физиологи с их изучением нервной системы и психологи должны будут соединиться в тесной, дружной работе. Пусть теперь каждый из нас пробует итти своей дорогой, старается использовать свои специальные ресурсы. Чем больше подходов, тем больше шансов, что мы, наконец, приятно сойдемся, полезные и необходимые друг для друга" [1].

საჭიროა აღინიშნოს, რომ, სამწუხაროდ, ფსიქოლოგთა ერთ ნაწილში იგრძნობა უმაღლესი ნერვული მოქმედების ფიზიოლოგიაში გადასვლის ძლიერი ტენდენცია. ტენდენცია უარი თქვას ფსიქოლოგიური გზით სიარულზე, საკითხისადმი ფსიქოლოგიურ მიდგომაზე, ფსიქოლოგიურ პრობლემათა საკუთარი ფსიქოლოგიური რესურსებით გადაჭრის ცდებზე, რაც ფსიქოლოგიური მეცნიერების მოხსნას უფრო ნიშნავს, ვიდრე ფსიქოლოგიის ფიზიოლოგიასთან შეუღლებას, ან კიდევ უკანასკნელისთვის საჭირო პირობათა შექმნას. ასეთი

[1] И. П. Павлов, Полное собрание сочинений, т. III, 1947, გვ. 359.

მოქმედება ივ. პავლოვის იდეალს არ შეესატყვისება; პირიქით, იგი მის წინააღმდეგაა მიმართული. ფსიქოლოგია უნდა არსებობდეს, რომ მისი ფიზიოლოგიასთან შერწყმის საკითხი პრაქტიკულად დადგეს. ამით ჩვენ იმის თქმა კი არ გვინდა, რომ ჯერ ფსიქოლოგია უნდა შეიქმნას უეჭველად ყოველგვარი ფიზიოლოგიური მონაცემების მხედველობაში მიღების გარეშე და შემდეგ უნდა იფიქროს კაცმა, როგორ უნდა იქნას დაფუძნებული იგი შესატყვის ფიზიოლოგიურ კანონზომიერებაზე. არა. უკანასკნელი მაშინაც უნდა ჰქონდეს ფსიქოლოგს მხედველობაში, როცა იგი ოპერაციებს მხოლოდ ფსიქოლოგიური ცნებებითა და რესურსებით ახდენს. მაგრამ, ასეა თუ ისე, ფსიქოლოგია ფსიქოლოგია უნდა იყოს, რომ მისი ფიზიოლოგიასთან შეუღლების საკითხი პრაქტიკულად დადგეს. ამასთან ჰეშმარიტი ფსიქოლოგია საკუთარი კვლევა-ძიების საქმეში ისევე სჭირდება ფიზიოლოგს, როგორც ფსიქოლოგს — ფიზიოლოგია. ცნობილია, რომ ივ. პავლოვს იქ, სადაც ფსიქოლოგიური მეცნიერების მიერ უკვე მოპოვებული მონაცემები არ ჰყოფნიდა, საკუთარი თვითდაკვირვების ფსიქოლოგიურ ანალიზს იშველიებდა, რომ ფიზიოლოგიური კვლევა-ძიების საქმე გაეადვილებინა. ასე იქცეოდა დიდი ფიზიოლოგი მაშინ, როცა, სამწუხაროდ, ზოგი ფსიქოლოგი ცდილობს ფსიქოლოგიური მეცნიერების ეს ძირითადი და სპეციფიკური მეთოდი ყალბ მეთოდად გამოაცხადოს და საბოლოოდ გააძევოს ფსიქოლოგიიდან და ისიც თითქოს ივ. პავლოვის მოძღვრების მოთხოვნილებითა და მოწოდებით (იხ. რსფს პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის ა. ლეონტიევის სტატია „Преодолеть отставание психологической науки, „Учительская газета“, 1951 წლის 28 თებერვალი, № 17 (3519).

თვითონ ივ. პავლოვი ყველგან, სადაც კი მას ამის შესაძლებლობა ეძლეოდა, ცდილობდა მის მიერ აღმოჩენილი ფიზიოლოგიური კანონზომიერება ფსიქოლოგიური მეცნიერების შესატყვის მონაპოვართან შეეუღლებინა, მაგრამ ამით იგი ფსიქოლოგიურ ცნებებსა და კანონზომიერებებს თავის საკუთარ სპეციფიკასა და ღირებულებას კი არ ართმევდა, არამედ კიდევ უფრო ზრდიდა და აძლიერებდა მათს ფასსა და მნიშვნელობას.

ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს ივ. პავლოვის უკანასკნელი დიდი აღმოჩენა, სახელდობრ, მისი მოძღვრება მეორე სიგნალური სისტემის გარშემო. ცნობილია, რომ პავლოვი ბევრს ფიქრობდა ადამიანის იმ სპეციფიკურ ფიზიოლოგიურ თავისებურების შესახებ, რომლის საფუძველზედაც შესაძლებელი გახდებოდა მისი საერთოდ

ცხოველთა სამყაროდან გამოყოფა. მან მოძღვრება მეორე სიგნალური სისტემის შესახებ მხოლოდ თავისი შემოქმედებითი ცხოვრების უკანასკნელ წლებში შექმნა და ადამიანური ქცევის ამ სპეციფიკური ფიზიოლოგიური მექანიზმის არსისა და როლის შესახებ უაღრესად საყურადღებო და ღირებული მოსაზრებები მოგვცა. მაგრამ მას სიცოცხლის ხანგრძლიობის განსაზღვრულობის გამო, არ მიეცა საშუალება მეორე სიგნალური სისტემის ბუნება ისევე ყოველმხრივ გაეთვალისწინებინა, როგორც მან ეს პირველი სიგნალური სისტემის მიმართ შეძლო. „И после смерти Ивана Павловича — წერს ლ. ა. ორბელი — мы все работали и работаем много над вопросами высшей нервной деятельности, но все-таки вторая сигнальная система еще не взята надлежащим образом в руки и мы о ней еще очень и очень мало знаем. Это является поводом к тому, чтобы стимулировать изучение второй сигнальной системы и найти подходы к ее пониманию и ее анализу"[1].

წინამდებარე გამოკვლევის მიზანია გადმოსცეს მეორე სიგნალური სისტემის კანონზომიერებანი და სცადოს თანამედროვე საბჭოთა ფსიქოლოგიის ერთი თვალსაჩინო მონაპოვარის — სახელდობრ, ობიექტივაციის აქტის ნიადაგზე მიღებული ფსიქიკური ცხოვრების მეორე დონის, აქტივობის მეორე პლანის მოძღვრების — მასზე დაფუძნება, მასთან შეუღლება ანუ შერწყმა. ასეთი ცდის წარმატებით დასრულება, თუ მოხერხდა იგი, ერთის მხრით, ფსიქიკური ცხცვრების ორი დონის შესახებ არსებულ მოძღვრებას განსაკუთრებულ მეცნიერულ სიმტკიცეს მისცემს, ხოლო, მეორის მხრით, მოსალოდნელია, მან მეორე სიგნალური სისტემის ფიზიოლოგიური კვლევის საქმესაც მნიშვნელოვნად შეუწყოს ხელი, რადგან სულიერი ცხოვრების ორი დონის ფსიქოლოგიას საკმაოდ დასრულებული სახე აქვს. თუ აღმოჩნდება, რომ მეორე სიგნალური სისტემა სულიერი ცხოვრების მეორე დონეზე მიმდინარე ფსიქიკური პროცესების ფიზიოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს, შესაძლებელი იქნება მკვლევარმა მეორე სიგნალური სისტემის ფიზიოლოგიის შემდგომი განვითარებისთვის საჭირო კვლევა-ძიებისას აღნიშნული ფსიქოლოგიური მოძღვრებიდან ერთგვარი ორიენტაცია მიიღოს და ფიზიოლოგიური კვლევა შესატყვისი მიმართულებით წარმართოს. უმაღლესი ნერვული მოქმედების კანონზომიერებათა ფიზიოლოგიური კვლევის დროს შინაგან — სულიერ მოვლენებზე ყუ-

[1] Л. А. Орбели, Вопросы высшей нервной деятельности, 1949, გვ. 470.

რადღების მიმართვა და ამ მოვლენათა თავისებურებების მხედველობაში ქონება ჩვეულებრივი მოვლენა იყო ივ. პავლოვისათვისაც. იგი წუ[illegible]знаю, как вы, а я на себе наблюдаю постоянно. Я склонен, постоянно наблюдая себя, сопоставлять свои внутренние переживания с результатами нашего изучения условных рефлексов" [1].

1. მეორე სიგნალური სისტემა. ივ. პავლოვის მოძღვრების მიხედვით შეიძლება ნერვული მოქმედების განვითარების სამი ძირითადი საფეხური განვასხვავოთ: 1) უპირობო რეფლექსი, რომლის დროსაც განსაზღვრულ გარეგან აგენტსა და ორგანიზმის საპასუხო მოქმედებას შორის მუდმივი კავშირი არსებობს, მაგალ., საკვების პირის ღრუში მოხვედრა ყოველთვის ნერწყვის გამოყოფას იწვევს. ეს კავშირი თანშობილია და ნორმალური ორგანიზმის შემთხვევაში ძალაში რჩება ყოველთვის და ყველა პირობაში. უპირობო რეფლექსი გამოიწვევა მხოლოდ გარკვეული რომელობის მქონე გამღიზიანებლის გარკვეული გრძნობის ორგანოზე, კანის განსაზღვრულ ნაწილზე ან კიდევ რომელიმე შინაგან ორგანოზე ზემოქმედების შედეგად. მაგალ.. სხეული პირის ღრუს გარკვეულ არეს უნდა შეეხოს, რომ კვების უპირობო რეფლექსი მივიღოთ — ნერწყვი გამოიყოს. ორგანიზმი უპირობო რეფლექსს იძლევა მხოლოდ იმ გამღიზიანებლის თუ აგენტის უშუალო ზემოქმედებაზე, რომელიც უშუალოდ ორგანიზმის წონასწორობას არღვევს ან კიდევ დარღვეული წონასწორობის აღდგენას ემსახურება.

2) პირობითი რეფლექსი ნერვული მოქმედების მაღალი ფორმაა. აქ გარეგან აგენტის ზემოქმედებასა და საპასუხო მოქმედებას შორის დროებითი კავშირია. უკანასკნელი ინდივიდუალური ცხოვრების გზაზეა შეძენილი და მხოლოდ განსაზღვრულ პირობებში იჩენს თავს. ერთი და იგივე პირობითი რეფლექსის გამოწვევა, ვთქვათ, ნერწყვის გამოყოფა, შეუძლია ყველა სახის აგენტს, რომელიც საერთოდ ქერქულ უჯრედებში შეიძლება აისახოს. მისთვის გარეგანი აგენტის ზემოქმედების არე ერთი რომელიმე გრძნობის ორგანოთი არაა შემოსაზღვრული. მაგალ., ნერწყვის გამოწვევა შესაძლებელია მხედველობის, შეხების, სმენის, ყნოსვის, ტემპერატურის და ყველა სხვა გრძნობის ორგანოებზე ზემოქმედების გზით. გარეგანი მოვლენა თუ აგენტი, რომელიც

[1] Павловские среды, т. III, 1949, გვ. 7.

პირობითს რეფლექსს იწვევს, თავისი ბუნებით ისეთი არაა, რომ მის ზემოქმედებას უშუალოდ შეეძლოს ორგანიზმის წონასწორობის დარღვევა ან კიდევ დარღვეული წონასწორობის აღდგენა. ამიტომ მის ზემოქმედებაზე ორგანიზმი უპირობოდ რაიმე მოქმედებას არ იძლევა; ჩვეულებრივ იგი მისადმი ინდიფერენტული რჩება. სუნი, ბგერა, ფერი, განსაზღვრული დრო, გარკვეული ადგილი და სხვა ამდაგვარი მოვლენები ორგანიზმს, მაგალ., საკვების დანაკლისით დარღვეულ წონასწორობას ვერ აღუდგენს; ისინი მას ვერც ამ მიმართულებით მიღწეულ წონასწორობას დაურღვევენ. ამიტომ მათს ზემოქმედებაზე ცხოველი, ჩვეულებრივ, კვების რეფლექს არ იძლევა. მაგრამ თითოეულ მათგანს შეუძლია გარკვეულ პირობებში, — უპირობო რეფლექსის მუდმივი აგენტის ზემოქმედებასთან შეუღლების შემდეგ, — უპირობო აგენტის სიგნალის როლი შეასრულოს, ორგანიზმს წინასწარ მისი ზემოქმედების მოახლოება აუწყოს და მასში იგივე მოქმედება გამოიწვიოს, რასაც ჩვეულებრივ მხოლოდ უპირობო აგენტი იწვევდა. ასე, მაგალ., ახალშობილი ცხოველი ნერწყვს მხოლოდ მაშინ გამოყოფს, როცა პირის ღრუში რაიმე ნივთიერება მოჰყვება. ნერწყვი მას კვებისთვის სავარგისი ნივთიერების საჭმლის მომნელებელ ორგანოში გადატანაში, ხოლო უვარგისის უკან გადმოგდებაში ეხმარება. მაგრამ თუ მასზე, მაგალითად, გარკვეული ბგერითი გამღიზიანებლით, ვთქვათ ზარით, ვიმოქმედებთ და ამავე დროს, ოდნავი შეყოვნებით, მასთან საკვების მიწოდებას შევაუღლებთ, ცდის რამდენჯერმე განმეორების შემდეგ, ცხოველი ზარის ხმაზედაც ისევე გამოყოფს ნერწყვს, როგორც — საკვებზე. თავისთავად ზარის ხმა რაიმე დადებითს ან უარყოფითს ღირებულებას არ წარმოადგენს. ზარი ასეთიც რომ იყოს, იგი პირის ღრუში არაა, ნერწყვი მას ვერც ორგანიზმში გადაიტანს და ვერც გარეთ გადმოაგდებს. ნერწყვს არც მისი ზემოქმედების შეწყვეტა შეუძლია. ამიტომ ზარის ხმაზე ასეთი მოქმედება იქნებოდა უაზრო და ყოველგვარ შემაგუებელ ღირებულებას მოკლებული, რომ ზარი ნერწყვის სპეციალური აგენტის — ამ შემთხვევაში საკვები ნივთიერების — სიგნალიზაციას არ ახდენდეს, მასზე მიმთითებლის როლში არ გამოდიოდეს. ეს იქედანაც ჩანს, რომ პირობითი რეფლექსი სათანადო გამტკიცების გარეშე მალე ქრება: ზარზე ნერწყვის გამოყოფა გზადაგზა საკვების მიწოდებით უნდა გამაგრდეს, რომ ამ ორ მოვლენას შორის დამყარებული დროებითი კავშირი შენარჩუნებულ იქნას. პირობითი რეფლექსი, უპირობო რეფლექსის საფუძველზე აღმოცენდება, მაგრამ თვითონ პირობითი

რეფლექსის ნიადაგზე შეიძლება მეორე და მესამე რიგის პირობითი რეფლექსები აიგოს: ზარზე კვების რეფლექსის გამომუშავება შემდეგ შეიძლება ზართან სინათლე ან სხვა რომელიმე ინდიფერენტული აგენტი იქნას შეუღლებული და ამ უკანასკნელზედაც იგივე კვების რეფლექსი — ნერწყვის გამოყოფა — მივიღოთ. პირობითი რეფლექსების ნერვული მექანიზმის აღმოცენებამ ცოცხალ არსებას გართულებულ გარემოსთან შეგუების უაღრესად ფართო შესაძლებლობა მისცა. ცხოველის მთელი აქტიობა არსებითად პირობითი რეფლექსებიდანაა აგებული და პირველ სიგნალურ სისტემას ემყარება. ცხოველის ქცევის ყოველი ცალკე აქტი ან უპირობო აგენტითაა გამოწვეული ან კიდევ იმ მოვლენით, რომელიც მოცემულ მომენტში ამ აგენტის სიგნალის როლში გამოდის. აქტების დიდი უმრავლესობა სიგნალითაა პირობადებული, რადგან ცხოველის აქტივობა უპირობო აგენტთან უშუალო კავშირში მოსვლამდე გაცილებით უფრო გრძელია და მრავალფეროვანი, ვიდრე მას შემდეგ. რამდენი ცალკე აქტი, რამდენი განსხვავებული მოვლენის შესატყვისი მოძრაობა უნდა შეასრულოს ცხოველმა, რომ საკვები პირში მოექცეს და უპირობო რეფლექსი მოვიდეს მოქმედებაში, მით უმეტეს მაშინ, როცა იგი მთელი საათობით, და ზოგჯერ მთელი დღეობით დაეძებს საკვებს.

პირობითი რეფლექსების მნიშვნელობა ნათლად წარმოგვიდგება თუ შემდეგ გარემოებას მივიღებთ მხედველობაში. ცოცხალი ორგანიზმი დაიღუპება, თუ მან სერიოზულად დარღვეული წონასწორობის აღდგენა ვერ მოახერხა, თუ მან, მაგალ., საკვები თავის დროზე ვერ მიიღო. უპირობო რეფლექსები ამ საქმეს ემსახურება. მაგრამ „ამ რეფლექსებით მიღწეული გაწონასწორება. როგორც ივ. პავლოვი წერს, სრულყოფილი იქნებოდა გარემოს მხოლოდ აბსოლუტური უცვლელობის დროს. მაგრამ ვინაიდან გარემო უაღრესად მრავალფეროვანი და ამასთანავე ცვალებადია, ამიტომ უპირობო კავშირები, რომელნიც მუდმივი ხასიათისანი არიან, არ არიან საკმარისნი და აუცილებელია მათი შევსება პირობითი რეფლექსებით, დროებითი კავშირებით. მაგალითად, ცხოველისათვის საკმარისი არ არის პირით აიღოს მხოლოდ ის საკვები, რომელიც მის წინ არის, მაშინ იგი ხშირად იშიმშილებდა და შიმშილისგან დაიღუპებოდა. საჭიროა საკვების პოვნა სხვადასხვა შემთხვევითი და დროებითი ნიშნის მიხედვით. ესენი კი არიან პირობითი (მასიგნალირებელი) გამღიზიანებლები, რომელნიც იწვევენ ცხოველის მოძრაობას საკვების მიმართულებით, რაც მთავრდება საკვების

მოპოვებით, ე. ი. ისინი იწვევენ პირობით კვების რეფლექსებს“ [1]. სადაც პირობითი რეფლექსი — დროებითი კავშირი — წარმატებას ვერ აღწევს, იგი ქრება. სანაცვლოდ ჩნდება ისეთი ახალი კავშირები, რომელთაც, საბოლოო ანგარიშში, დარღვეული წონასწორობის ფაქტიური აღდგენა მოსდევს. ეს გარემოება ცოცხალ არსებას მრავალფეროვან და ცვალებადს გარემოსთან შეგუების უდიდეს შესაძლებლობას აძლევს.

3) ნერვული მოქმედების უმაღლეს ფორმას წარმოადგენს მეორე სიგნალური სისტემის მექანიზმით განსაზღვრული რეფლექსი. როგორაა წარმოდგენილი ივ. პავლოვის მოძღვრებაში მეორე სიგნალური სისტემის ბუნება და როლი? რაში მდგომარეობს მისი სპეციფიკა?

ივ. პავლოვის აზრით, ცხოველური განვითარების ადამიანურ ფაზაზე წარმოიქმნა ნერვული მოქმედების ახალი მექანიზმი, რომელიც ადამიანს შესაძლებლობას აძლევს გარესინამდვილესთან გართულებული ურთიერთობა მეორე სიგნალური სისტემის ნიადაგზე მოაწესრიგოს. ცხოველისათვის გარესინამდვილე წარმოდგენილია — სიგნალიზირებულია — თავის ტვინის ნახევარსფეროებში მხოლოდ იმ გაღიზიანებისა და მათი კვალის სახით, რომელიც სპეციალური რეცეპტორების გზით შემოდის მასში. „Это то, что и мы имеем в себе как впечатления, ощущения и представления от окружающей внешней среды как общеприродной, так и от нашей социальной, исключая слово, слышимое и видимое. Это — первая сигнальная система действительности, общая у нас с животным. Но слово составило вторую, специально нашу, сигнальную систему действительности, будучи сигналом первых сигналов“ [2]. სიტყვამ ჩვენ, ერთის მხრით, დაგვაშორა სინამდვილეს. უკანასკნელთან დამოკიდებულება რომ არ დავამახინჯოთ, ეს გარემოება მუდამ უნდა გვახსოვდეს. მაგრამ, მეორის მხრივ, სწორედ სიტყვამ გვაქცია ადამიანებად.

მეორე სიგნალური სისტემა ფიზიოლოგიურად უფრო ახალგაზრდაა. მასთან ერთად უაღრესად რთულია (სიტყვათა კომბინაცია სად არ მიგვიყვანს). ამიტომ იგი შედარებით სუსტია და ადვილად ეძლევა დამარღვეველ ზეგავლენას [3]. სიგნალური სისტემის

[1] ი. პავლოვი, პირობითი რეფლექსი, 1651, გვ. 7.

[2] И. П. Павлов, Полное собрание трудов, т. III, 1949, გვ. 568.

[3] Павловские среды, т. III, გვ. 320.

პირველად და მეორედ გაყოფის მაკროანატომიური საფუძველი არ არსებობს[1]. ასეთი დაყოფა „нельзя представлять себе насквозь анатомически, оно вероятно будет главным образом функциональным". მხედველობაში უნდა გვქონდეს არა ანატომიური ლოკალიზაცია, არამედ „главным образом функциональную, и тренировку этих систем"[2].

სიტყვაში, როგორც მეორე სიგნალური სისტემის მოვლენაში, ივ. პავლოვს არ ესმის უბრალო ბგერითი კომპლექსი, რომელიც შეიძლება სინამდვილისაგან მიღებულ რომელიმე კონკრეტულ შთაბეჭდილებას, ერთ რომელიმე ინდივიდუალურ ხატს დაუკავშირდეს და ამ გზით, ცოცხალ არსებაზე, როგორც პირველი სიგნალური სისტემის მოვლენამ, იმოქმედოს. სიტყვის ასეთ ზემოქმედებას მოშინაურებული — გაწვრთნილი — ცხოველებიც განიცდიან. ადამიანისთვის დამახასიათებელი ბგერითი კომპლექსით, ასე თუ ისე, იდიოტი და ორი-სამი წლის ბავშვიც სარგებლობს. იგი არც თუთიყუშისთვისაა უცხო. მაგრამ ამ უკანასკნელთა ურთიერთობა გარემოსთან მეორე სიგნალური სისტემის ნიადაგზე არ მყარდება.

სიტყვა — მეტყველება უაღრესად რთული წარმონაქმნია. იგი ერთდროულად შეიცავს ფიზიკურ, ფიზიოლოგიურ, ფსიქიკურ, ლოგიკურ და ენობრივ კანონზომიერებებს. ზეპირი მეტყველება ჰაერის ტალღობრივ მოძრაობას გულისხმობს, ხოლო წერილობითი — ელექტრო-მაგნიტურ რხევას. მეტყველების ეს მხარე ფიზიკის, კერძოდ, აკუსტიკისა და ოპტიკის საგანს შეადგენს და არაფრით არ განსხვავდება სხვა ამ რიგის მოვლენებისაგან. სიტყვა — მეტყველება — აზროვნების პროცესს წარმოადგენს და ამდენად იგი ფსიქოლოგიის კვლევის სფეროს ეკუთვნის. იგი როგორც მნიშვნელობის მატარებელი მოვლენა ლოგიკის საგანს შეადგენს, ხოლო როგორც ენობრივი ფაქტი — ენათმეცნიერებისას.

ფიზიოლოგიურად სიტყვა შეიძლება ორ ერთი მეორისაგან განსხვავებულ ფაქტს წარმოადგენდეს. როცა სიტყვა ნერვულ სისტემაში იზოლირებული, ან კიდევ რომელიმე კერძო — ინდივიდუალურ ფაქტთან ზარის ან სინათლის მსგავსად დროებით შეკავშირებული ფიზიოლოგიური პროცესის ფორმაში აისახება, ე. ი. იმ ფიზიოლოგიური პროცესის ფორმაში, რომელიც ფსიქიკურში მხოლოდ ბგერათა შეგრძნებას იძლევა, ისეთ ფიზიოლოგიურ ფაქტთან გვაქვს

[1] Павловские среды, т. II, გვ. 471.
[2] Павловские среды, т. III, გვ. 319.

საქმე, რომელიც არაფრით არ განსხვავდება ქერქულ უჯრედებში სხვა აკუსტიკური გამღიზიანებლებისაგან აღძრული ფიზიოლოგიური პროცესებისაგან. ასეთ შემთხვევაში შეიძლება საქმე გვქონდეს სიტყვასთან, როგორც მხოლოდ პირველი სიგნალური სისტემის მოვლენასთან. იდიოტისთვის სიტყვა ძირითადად პირველი სიგნალური სისტემის მოვლენაა. ასევე უნდა იყოს ბავშვისთვისაც, რომელმაც დიდი ხანი არაა, რაც ლაპარაკი დაიწყო.

სულ სხვა ფიზიოლოგიურ ფაქტთან თუ მექანიზმთან გვაქვს საქმე, როცა სიტყვა ქერქის შესატყვის არეებში აისახება არა მხოლოდ იმ ფიზიოლოგიური პროცესების სახით, რომელიც ბგერის შეგრძნების საფუძველს შეადგენს, არამედ ფიზიოლოგიური პროცესების სახითაც, რომელიც გარკვეულ ბგერათა კომპლექსით აღნიშნულ მნიშვნელობათა ცნობიერებას იძლევა. ასეთ შემთხვევაში ბგერათა კომპლექსი დამოუკიდებელ თავისთავად ღირებულებას ჰკარგავს და განსაზღვრული აზრის, მნიშვნელობის, იდეის სიმბოლოდ იქცევა. სიტყვა, როგორც მნიშვნელობის შემცველი ფაქტი, ნერვულ სისტემაზე მოქმედებს, როგორც მეორე სიგნალი. მაგრამ გარკვეულ ბგერათა კომპლექსის განსაზღვრულ მნიშვნელობასთან, აზრთან-იდეასთან შეკავშირება პირველი სიგნალური სისტემის მოქმედებასაც გულისხმობს. ასე ხდება, მაგალ., როცა კაცი უცხო ენაზე ლაპარაკს სწავლობს და მშობლიური მეტყველების ფორმებში ნაწვდომი მნიშვნელობანი ახალ ბგერითს კომპლექსებში გადააქვს და მათ ერთმანეთთან განმეორებისა და ვარჯიშის გზით აკავშირებს.

ივ. პავლოვის აზრის მიხედვით, სიტყვა როგორც მეორე სიგნალური სისტემის მოვლენა, ადამიანზე ზემოქმედებას ახდენს იმ აზრის, იმ მნიშვნელობის, იმ ზოგადი კანონზომიერების შემწეობით, რომლის სახითაც მასში ობიექტური სინამდვილის ესა თუ ის მხარეა პრეზენტირებული.

როგორც ვ. ლენინი გვასწავლის „общее существует лишь в отдельном, через отдельное. Всякое отдельное есть (так или иначе) общее. Всякое общее есть (частичка или сторона или сущность) отдельного. Всякое общее лишь приблизительно охватывает все отдельное. Всякое отдельное неполно входит в общее“ [1]; და რომ „в языке есть только общее“ [2], „всякое слово

[1] В. И. Ленин, Философские тетради, 1936, გვ. 324.

[2] იქვე. გვ. 283.

(речь) уже обобщает“ [1]. სიტყვაში ინდივიდუალურიდან, კერძოობითიდან გამოცალკევებული ზოგადია პრეზენტირებული აზრის ფორმაში. ამიტომ იგი სინამდვილის ზოგადს კანონზომიერებას, მხოლოდ ძირითადს არსს ასახავს. სიტყვა იმდენადაა სიტყვა, რამდენადაც იგი ასეთი ზოგადი შინაარსის მატარებელი ხდება. იგი თავისთავში უშუალოდ სინამდვილის იდეას, სინამდვილის აზრს შეიცავს და არა თვითონ დროსა და სივრცეში გაშლილ ობიექტურ ვითარებას. უკანასკნელის სახით იგი თვითონ არსებობს, როგორც ბგერათა კომპლექსი. მეტყველებას მარქსი განსაზღვრავს, როგორც „აზრის უშუალო სინამდვილეს“. ი. სტალინი კიდევ უფრო მკვეთრად უსვამს ხაზს ამ თეზისს თავის გენიალურ შრომებში ენათმეცნიერების საკითხებზე. „ადამიანის თავში რა აზრებიც უნდა გაჩნდნენ, — წერს იგი, — მათ შეუძლიათ გაჩნდნენ და იარსებონ მხოლოდ ენობრივი მასალის ბაზაზე, ენობრივი ტერმინებისა და ფრაზების ბაზაზე. ენობრივი მასალისაგან თავისუფალი, ენის „ბუნებითი მატერიისგან“ თავისუფალი შიშველი აზრები არ არსებობენ“ [2].

ივ. პავლოვის შეხედულებები მეორე სიგნალური სისტემის შესახებ კარგად ეთანხმება ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებებს.

ერთი ძმის პატრონ ბიჭუნაზე, როცა იგი კითხვაზე: „ძმა თუ გყავს?“ დადებით პასუხს იძლევა, ხოლო ამ კითხვის შებრუნების შემთხვევაში დაბეჯითებით ამბობს: „ჩემს ძმას ძმა არ ჰყავს“-ო. სიტყვა „ძმა“, როგორც მეორე სიგნალი არ უნდა მოქმედებდეს. ამ სიტყვას იგი ხმარობს როგორც კერძო სახელს, როგორც საკუთარი ძმის ინდივიდუალურ ხატთან დაახლოებით ისევე უშუალოდ დაკავშირებულ თუ შეუღლებულ მოვლენას, როგორც, მაგალ., ზარის ხმა შეიძლება დაუკავშირდეს კვების ან კიდევ გარკვეული ფერის წარმოდგენას. ამ სიტყვასთან კავშირში მას კონკრეტული სინამდვილის უშუალო ხატი — პირველი სიგნალი — ეძლევა და არა ის იდეა, ის მნიშვნელობა, ის ლოგიკური აზრი, რომლის სახითაც დასრულებულ მეტყველებაშია სინამდვილე წარმოდგენილი. „Совершено ясно, — წერს ივ. პავლოვი, — что животные и примитивные люди, до тех пор, пока последние не развились в настоящих людей и не приблизились к нашему состоянию, сносятся и сносились с окружающим миром только при помощи тех впе-

[1] იქვე, გვ. 281.

[2] ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, 1950, გვ. 37.

чатлений, которые они получили от каждого отдельного раздражения в виде всевозможных ощущений зрительных, звуковых, температурных и т. д.“ [1]. ასეთ ბგერითს გამღიზიანებელს შეიძლება სიტყვაც, როგორც ბგერითი კომპლექსი, ეკუთვნოდეს. იგი შეიძლება ზემოქმედებას ახდენდეს არა როგორც აზრის უშუალო სინამდვილე. არამედ, როგორც ფიზიკური რიგის ფაქტი, რომელიც უშუალო კავშირში მოდის სუბიექტთან. ბავშვის პირველი სიტყვებიც შეიძლება ასეთივე იყოს.

ივ. პავლოვის აზრით სინამდვილიდან მიღებულ შთაბეჭდილებათა საფუძველზე, სინამდვილის პირველ სიგნალთა საფუძველზე ჩვენში განვითარდა მეორე სიგნალი სიტყვის სახით. მეორე სიგნალი არსებობს უშუალო შთაბეჭდილებებიდან განყენებული ცნებებისა და კანონების სახით. სიტყვის განმაყენებელი თვისების შემწეობით „наше отношение к действительности мы заключили в общие формы времени, пространства, причинности. Мы ими прямо пользуемся, как готовыми для ориентировки в окружающем мире, не разбирая часто фактов, на которых основана эта общая форма, общее понятие“ [2].

ნორმალურ შემთხვევაში პირველ და მეორე სიგნალურ სისტემებს შორის გარკვეული კავშირი არსებობს; ისინი შეთანხმებულად მუშაობენ, ერთმანეთზე მოქმედებენ, ერთმანეთს აპირობებენ. ადამიანის ყველა რთული ურთიერთობა მეორე სიგნალურ სისტემაში გადავიდა: მას გამოუმუშავდა სიტყვიერი, არაკონკრეტული აზროვნება, რომლითაც იგი საცხოვრებო ურთიერთობათა რეგულაციას ახდენს. მეორე სიგნალური სისტემა მოქმედებს პირველ სიგნალურ სისტემაზე შეკავებითა და ინდუქციის კანონით.

მეორე სიგნალურ სისტემას, თავის მხრივ, მნიშვნელობა აქვს პირველი სიგნალური სისტემის საშუალებით, მასთან კავშირში; თუ ივი მას მოწყდა ცარიელ სიტყვაობას — ლაყბობას მივიღებთ, როგორც ამას ფსიქასტენიკთან ეხვდებით. ნორმალური ადამიანი წარმატებით სარგებლობს მეორე სიგნალური სისტემით, მის ნიადაგზე აწესრიგებს გარემოსთან გართულებულ ურთიერთობას, ქმნის მეცნიერებასა და ტექნიკას, იყენებს ამ უკანასკნელთ პრაქტიკაში, მაგრამ ამ სისტემით სარგებლობა მხოლოდ მანამ შეიძლება ეფექტიური იყოს, სანამ იგი მუდმივ და სწორ დამოკიდებულებაში

[1] Павловские среды, т. III, გვ. 318.
[2] იქვე, გვ. 320.

იმყოფება პირველ სიგნალურ სისტემასთან — სინამდვილის ამ უახლოეს გამძღოლთან[1].

რა მოვლენებთან გვაქვს საქმე, როცა კავშირი ამ ორ სისტემას შორის წყდება ან კიდევ თვალსაჩინოდ სუსტდება? პროგრესული დამბლით შეპყრობილს, სწორედ ისე, როგორც ჯანსაღ ადამიანს ძილის ან კიდევ პიპნოტური მდგომარეობის პირველ და უკანასკნელ ფაზაში, მეორე სიგნალური სისტემა უაღრესად შესუსტებული აქვს. ამიტომ მეორე სიგნალური სისტემის მუდმივი ინდუქცია პირველი სიგნალური სისტემის კვალზე იმდენად სუსტდება, რომ უკანასკნელი უშუალო შთაბეჭდილების ძალას აღწევს. ამავე დროს იქმნება შთაბეჭდილებათა ისეთი კომბინაციები, რომლის მსგავსს სინამდვილეში არასოდეს არ აქვს ადგილი. ეს შესაძლებელი ხდება „потому что, порядок, регулирующий деятельность второй сигнальной системы, на основе общих понятий о времени, пространстве, причинности и т. д., у него отсутствует и не регулирует сцепления следов первой сигнальной системы на основе общих понятий“[2]. კვალთა გაცხოველება იმის მიხედვით წარმოებს, თუ რა ძალა და სიახლე აქვთ მათ. ამიტომ მათი ურთიერთდაკავშირება შეიძლება მოხდეს სინამდვილის საწინააღმდეგო მიმართულებით. ძილში მეორე სიგნალური სისტემა არ მოქმედებს, რის გამოც კაცი ძილში ათასგვარ სისულელეს ხედავს, მაგრამ მას ივი, როგორც აბსურდს, არ განიცდის.

ერთი სიტყვით, როცა კაცი, რაიმე მიზეზით, მხოლოდ პირველი სიგნალური სისტემის ამარა რჩება, იგი უშუალო შთაბეჭდილებებს იქით არსებული ობიექტური სინამდვილის კანონზომიერებას ვერ ხედავს, ცნებები ეკარგება და შემთხვევით შეკავშირებულ მოვლენათა მოუწესრიგებელ მიმდინარეობაში ცხოვრობს.

როცა მეორე სიგნალური სისტემა პირველს წყდება და სრულიად დამოუკიდებელ მოქმედებას იწყებს, ადამიანი გარესინამდვილიდან მიღებულ უშუალო შთაბეჭდილებებს სრულიად ანგარიშს არ უწევს, სინამდვილის ამ უშუალო გამძღოლს ბნედველობის გარეშე ტოვებს და აზრთა ისეთ კომბინაციებს მიჰყვება, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ჭეშმარიტ სინამდვილესთან. ამ ორი სისტემის თვალსაჩინო გათიშვასთან გვაქვს საქმე პათოლოგიურ შემთხვევებში: ისტერიკის ურთიერთობა გარესინამდვილესთან არსებითად

---

[1] Павловские среды, т. III, გვ. 318.

[2] იქვე, გვ. 321.

პირველ სიგნალურ სისტემას ემყარება, ფსიქასტენიკთან კი ძირითადად მეორე სიგნალური სისტემა აქტივობს.

პათალოგიურ მოვლენებზე რომ არ ვილაპარაკოთ, ამ მიმართულებით განსხვავებას ნორმალურ ადამიანთა მასაშიც ვნახავთ. აქაც აქვს ადგილი ჯანსაღ ადამიანთა ვარიაციას, გონების ვარიაციას. ერთი კარგად აზროვნობს, მაგრამ არა კონკრეტულად, არა რეალურად. მეორე კი, პირიქით, ასევე გონივრულად, ასევე ლოგიკურად ფიქრობს, მაგრამ მას მუდმივი ტენდენცია აქვს სიტყვებს იქით რეალური შთაბეჭდილებები დაინახოს — პირველი სიგნალები იქონიოს მხედველობაში. ორივე გონივრული ადამიანია, მაგრამ პირველის მსჯელობა სინამდვილეს შორდება, მაშინ როცა მეორე სწორად ასახავს მას. პირველ შემთხვევაში პირველ სიგნალურ სისტემასთან კავშირი სუსტია, მეორეში კი, პირიქით, იგი ძლიერია.

ივ. პავლოვი განასხვავებს ცხოველისა და ადამიანისათვის საერთო ნერვული სისტემის ოთხ ტიპს, რომელსაც ტემპერამენტის ცნობილი ტიპები შეესატყვისება. კერძოდ, ადამიანის ნერვულ სისტემას, მეორე სიგნალური სისტემის საფუძველზე, იგი ორ ძირითადს ტიპად ყოფს: გონივრულ ტიპად და მხატვრულ ტიპად. მხატვრული ტიპი უპირატესად პირველი სიგნალური სისტემით მუშაობს, გონივრული მუშაობა კი ესაა მეორე სიგნალური სისტემის მუშაობა, იმ სისტემის მუშაობა, რომელიც ადამიანმა შეიძინა მაშინ, როცა იგი „მეტყველ ცხოველად“ გადაიქცა.

ისტერიკი მხატვრული ტიპის ავადმყოფურად უკიდურესი წარმომადგენელია, ფსიქასტენიკი კი — გონივრულისა. ნორმალურ ადამიანთა შორისაც ვნახულობთ, ერთის მხრით, მხატვრულ ტიპებს, რომელთაც ნაკლები მისწრაფება აქვთ აბსტრაქტული — ანალიტიკური აზროვნებისაკენ, ხოლო, მეორის მხრივ, ანალიტიკოსებს, რომელნიც სწორეთ ასეთი ტენდენციით ხასიათდებიან. მხატვრული ტიპის წინაშე სინამდვილე, უპირატესად, ცხოველი ხატების სახით დგას, გონივრულ ტიპთან კი პირიქით. ხატოვან თვალსაჩინოებას ანუ სურათოვნებას მოკლებული აზრი დომინანტობს. ამგვარ ტიპთა ჩამოყალიბებაში საცხოვრებო გამოცდილებაც დიდ როლს თამაშობს.

ივ. პავლოვის მიერ ნორმალური ადამიანების ნერვული სისტემის ორ ტიპად — გონივრულად და მხატვრულად დაყოფა ისე არ უნდა გავიგოთ, რომ თითქოს უკანასკნელი გონივრულად პირველზე დაბლა დგას. ასეთი გაგება პავლოვის მოძღვრების გაუკუღმართება იქნებოდა. მხატვრულ ტიპს აზროვნების შესაძლებლობა კი არ აკ-

ლია (იგი სხვაზე ნაკლებად როდი სარგებლობს სიტყვიერი სისტემით), არამედ მისთვის სპეციფიკური და დამახასიათებელი ისაა, რომ მას ძლიერი და ცხოველი ინდივიდუალური — ეგზემპლარული წარმოდგენის ტენდენცია აქვს, რის გამოც ვერბალურ ფორმაში მოწოდებული იდეაც კი მასში მყისვე, რომელიმე კონკრეტულ სახეში, რომელიმე ცალკე ხატში კონკრეტიზირდება და, ამგვარად, ხორცშესხმული აღქმისებური უშუალობით დგება მის წინ. მხატვართა მიერ მოცემული ჭეშმარიტი პროდუქტებიც ყოველთვის იდეურია, მაგრამ იდეა სახეში, კონკრეტიზირებულ ხატშია მოცემული, იმ ხატში, რომლის სახითაც იგი შემოქმედს წარმოუდგა. სიტყვიერი სისტემის ზეგავლენით წარმართულს მხატვრული ტიპის ქცევას ასეთი ხატები შეიძლება განსაზღვრავდნენ. იგი სიტყვის ზოგად შინაარსს — იდეას წვდება თუ არა მყისვე შესატყვის განცალკევებულ ხატს ქმნის და ამ იდეას ამ ხატში განიცდის ისე, რომ იდეა და ინდივიდუალური ხატი, როგორც ორი რამ, შეიძლება მისთვის არ არსებობდეს. მას იდეური ხატი აქვს, მაგრამ როცა აუცილებლობა მოითხოვს, რა თქმა უნდა, შეუძლია ერთგვარი ძალისხმევის შედეგად, ხატი ჩამოიცილოს და განყენებული იდეა იქონიოს მხედველობაში. მეორე სიგნალური სისტემის დარღვევის შემდეგ (რასაც პათოლოგიურ შემთხვევებში ვხვდებით) მხატვრული ტიპი — მხატვარი ხედავს და ხატავს უიმედო სახეებს, რომელიც სიზმრის წარმოდგენებს უფრო ჰგავს, ვინემ მეორე სიგნალური სისტემით მოწესრიგებულ აღქმის ან წარმოდგენის ხატს. სპეციფიკური მხატვრული შესაძლებლობა შეიძლება მას შეულახავი ჰქონდეს, მაგრამ, დარღვეული აქვს რა მეორე სიგნალური სისტემა, არ გააჩნია სინამდვილის იდეა, რომელმაც წარმოდგენის ხატი თავისდაშესატყვისად უნდა მოაწესრიგოს.

პირველ და მეორე სიგნალურ სისტემათა შორის არსებული განსხვავების გასათვალისწინებლად, ჩვენის აზრით, შეიძლება კიდევ ერთი განსაკუთრებით საყურადღებო მომენტი აღვნიშნოთ. პირველი სიგნალური სისტემა შეიცავს შემთხვევათა გამო დამყარებულ დროებით კავშირებს, რომელთაც პირობითი ხასიათი აქვს. ორგანიზმის განსაზღვრულ მოქმედებასა და უპირობო აგენტის მიერ გამოწვეულ აღგზნებას შორის კავშირი არსებითი ხასიათისაა. პირობითი რეფლექსის დროს კი დროებითი კავშირი მყარდება უპირობო აგენტის მოქმედებასა და გარესინამდვილის ისეთ მოვლენას შორის, რომლის მიმართაც ცხოველი აქამდე სრულიად ინდიფერენტულ დამოკიდებულებაში იყო. ეს კავშირი თავს იმაში იჩენს, რომ უკანასკნელი

(პირობითი აგენტი) პირველის (უპირობო აგენტის) სიგნალიზირებას ახდენს და მასთან უშუალოდ დაკავშირებულ ნერვულ მოქმედებას იწვევს. ასეთი კავშირების წარმოქმნის ძირითადს პირობას უპირობო და პირობითი აგენტების ნერვულ სისტემაზე მოქმედების დროში თანადამთხვევა შეადგენს, თუ ეს პირობა დაცულია, უპირობო აგენტს შეიძლება ყოველი სახის, ყოველი რომელობის გამღიზიანებელი შეუკავშირდეს. აქ არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ამ ორ აგენტთა შორის არსებულ სხვა მიმართულებებს. მთავარი და გადამწყვეტია დროში მიმართება. ობიექტურ მოვლენათა შორის არსებული შინაგან და არსებითს კავშირებს, რომელნიც მუდმივი და აუცილებელი არიან, აქ რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობა არ აქვთ. საკვებთან დროებით შეკავშირება და კვების რეფლექსის სიგნალიზირება ერთნაირად შეუძლია, როგორც თვითონ საკვების ფერსა და სუნს ისე ტონს, სინათლეს, ტემპერატურას, ელექტრულ გამღიზიანებელს, მექანიკურ შეხებას სხეულის რომელიმე ნაწილზე და სხვა ყველა ჯურის გამღიზიანებელს იმის მიუხედავად, იქნება იგი რაიმე შინაგან კავშირში საკვებთან და კვების პროცესთან თუ არა. როგორც ივ. პავლოვი წერს „когда данный объект — тот или другой род пищи, или химически раздражающее вещество — прикладывается к специальной поверхности рта и раздражает ее такими своими качествами, на которые именно и обращена работа слюнных желез, то другие качества предмета, несущественные для деятельности слюнных желез, и даже вообще вся обстановка, в которой является объект, раздражающие одновременно другие чувствующие поверхности тела, очевидно, приводятся в связь с тем же нервным центром слюнных желез, куда идет раздражение от существенных свойств предмета по постоянному центростремительному пути“ [1].

პირობითი რეფლექსი შეიძლება გამომუშავებული იქნეს არა მარტო ცალკე შინაგან ან გარეგან გამღიზიანებელზე, არამედ ორი, სამი და მეტი რაოდენობის გამღიზიანებლის კომპლექსზე, თუ ისინი ერთდროულად ან თანმიმდევრულად მოქმედებენ და მათ თან მოსდევს უპირობო რეფლექსის გამტკიცება (подкрепление). აქაც შეკავშირების ძირითადი პირობა დროში თანადამთხვევაა. მრავალი გამღიზიანებლის ერთ პირობით აგენტად, ერთ სიგნალად შეკავშირება სრულებით არ მოითხოვს,

[1] И. П. Павлов, Полное собрание трудов, т. III, 1949, გვ. 33.

რომ ამ აგენტთა შორის რაიმე ობიექტური ხასიათის შინაგანი და არსებითი კავშირი იყოს. შეიძლება ყველაფერს შეუკავშირდეს თუ დაცული იქნება უპირობო აგენტთან მათი ერთდროული ან თანმიმდევრული შეუღლების პირობა.

ქერქულ უჯრედებში ასახული ურიცხვი გამღიზიანებლიდან პირობითი აგენტის გამოყოფა და მის მიერ სათანადო რეფლექსის გამოწვევა ანალიზსა და შეკავების პროცესებს ემყარება. მაგრამ აქ ანალიზი ეხება მხოლოდ მოვლენათა ზედაპირულ რომელობას, ინტენსიობასა და დროში განლაგებას და არა იმას, რაც მოვლენისთვის არსებითია, რაც მის არსს, მის სპეციფიკას შეადგენს. მოვლენათა შორის არსებული შინაგანი ობიექტური კავშირები და მიმართებანი — მაგალ., მიზეზობრიობა და აუცილებლობა — მისთვის მიუწვდომელი რჩება.

აღნიშნულ გარემოებათა გამო, პირველი სიგნალური სისტემა შეუძლებელია ლოგიკური აზროვნების ფიზიოლოგიურ მექანიზმს წარმოადგენდეს. მის ნიადაგზე შეიძლება აღმოცენდეს მხოლოდ წარმოდგენათა ასოციაცია, იგი მხოლოდ ამ უკანასკნელის ფიზიოლოგიურ მექანიზმს წარმოადგენს, მას მხოლოდ სულიერი ცხოვრების ეს მხარე ეფუძნება. ასოციაციამ მხოლოდ მოვლენათა შემთხვევითი კავშირები იცის. აქ შეიძლება ყველაფერი ყველაფერს დაუკავშირდეს, თუ დაცული იქნება მოვლენათა ერთდროული ან თანმიმდევრული განცდის პირობა. მაგალ., ნიკოს აღქმას ან რეპროდუქტულ ხატს შეუძლია ზღვაზე ბანაობის წარმოდგენა გამოიწვიოს ჩემში, ხოლო ეთერისას — პარკში სეირნობის. ეს უბრალოდ იმიტომ, რომ ნიკოსთან ხშირად მიბანავნია ზღვაზე, ხოლო ეთერისთან ბევრჯერ მისეირნია პარკში. ასოციაციის კანონებით მომუშავე ცნობიერებისთვის უცხოა მოვლენათა მიზეზობრივი კავშირი. ამ უკანასკნელის ადგილს იგი მოვლენათა თანმიმდევრობას (ერთი მეორის შემდეგ) ათავსებს. არც ფიზიკური და ლოგიკური აუცილებლობანია მისთვის მისაწვდომი. ამიტომ იყო, რომ ივ. პავლოვს პირველი სიგნალური სისტემა — დროებითი კავშირები — სულიერ ცხოვრებაში დიდი ხნიდან დადასტურებული ასოციაციის კანონების დასაყრდენად მიაჩნდა. ივ. პავლოვის მიერ აღმოჩენილი დროებითი კავშირები ფსიქიკური ასოციაციის ფიზიოლოგიურ მექანიზმს წარმოადგენს.

ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებათა სწორად მიჩნევა საჭიროდ გახდიდა პრიმიტივის აზროვნების — ე. წ. ხატოვანი ანუ საგნობ-

რიეი აზროვნების — შესახებ საკითხი ასე დაგვეყენებინა: პრიმიტივის აზროვნება შეიძლება მართლა აზროვნებად მივიჩნიოთ და მის საფუძველში მეორე სიგნალური სისტემა ვიგულისხმოთ, თუ იგი პირველი სიგნალური სისტემის ნიადაგზე გაშლილი, შედარებით დაბალი რიგის, ინტელექტუალური პროცესია? საკითხის ასე დაყენების შესაძლებლობას ივ. პავლოვის სხვა შეხედულებებს გარდა მისი შემდეგი მოსაზრებაც იძლევა. როგორც ზემოთ ვნახეთ, იგი წერს: „совершенно ясно, что животные и примитивные люди, до тех пор, пока последние не развились в настоящих людей и не приблизились к нашему состоянию, сносятся и сносились с окружающим миром только при помощи тех впечатлений, которые они получили от каждого отдельного раздражения в виде всевозможных ощущений, зрительных. звуковых, температурных и т. д.“ [1].

როგორც ვხედავთ, ივ. პავლოვის შეხედულებით, პრიმიტიულ ადამიანებს, სანამ ისინი ნამდვილ ადამიანებად არ განვითარდებოდნენ და ჩვენს მდგომარეობას არ მიუახლოვდებოდნენ, მხოლოდ წარმოდგენათა ასოციაციის საფუძველი — პირველი სიგნალური სისტემა გააჩნდათ. საკითხი ე. წ. ხატოვანი აზროვნების შესახებ ხელახლა უნდა გადაისინჯოს პავლოვის მოძღვრების საფუძველზე. აქ მასზე შეჩერების ადგილი არაა. იგი შეიძლება საგანგებოდ იქნას ნარკვევი.

განსხვავებულ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე მეორე სიგნალური სისტემით მოქმედების დროს. აქ სიგნალის როლში გამოდის სიტყვა, რომელიც რეალურად იმ საგნის არც ერთ ნიშანს არ შეიცავს, რომელზედაც მიუთითებს, რომელსაც ასახავს. მაგალ., სიტყვა „ხორცს“ არც საკვები ნივთიერება აქვს, რომლის პირში მოხვედრისას ნერწყვი გამოიყოფა და არც ფერი, სუნი, ფორმა ან კიდევ სხვა რომელიმე ისეთი ნიშანი, რომელზედაც, როგორც პირველ სიგნალზე გარკვეულ პირობებში, პირობითი რეფლექსის შემუშავება შეიძლება. როგორც ბგერათა კომპლექსი ხორცთან იგი არავითარ კავშირში არაა. ამ სახით იგი შეიძლება, ტონის ან სხვა რომელიმე ბგერის მსგავსად, ხორცში მოქცეული საკვების პირველი სიგნალის როლში გამოვიდეს, მაგრამ მაშინ მისი ზემოქმედება ბგერის ზემოქმედება იქნება და არა სიტყვის, როგორც მეორე სიგნალის, როგორც განსაზღვრული აზრის შემცველი ბგე-

[1] Павловские среды, т. III, გვ. 318.

რათა კომპლექსის ანუ ცნების. სიტყვაში იდეალურ ფორმაში ზოგადია მოცემული, ისაა მოცემული რაც საგნისთვის ძირითადი და არსებითია. საგნის ბუნების წვდომა ნიშნავს იმ თვისებების წვდომას, რომელსაც იგი საერთოდ სხვა საგნებთან, და, კერძოდ, ადამიანთან მიმართებაში ამჟღავნებს. სიტყვაში ცნების სახით საგნის ეს თვისებებია ასახული. შემთხვევითი და ისევე ცვალებადი, როგორც ყოველ ცალკე შემთხვევაში საგნის მოცემულობის პირობებია, აქ არაფერი არ არის. სიტყვა, როგორც მეორე სიგნალი, საგნის იმ თვისებაზე მიუთითებს, რომელსაც იგი პირდაპირ ან კიდევ სხვა საგნებთან კავშირში ადამიანებთან ურთიერთობაში ამჟღავნებს და ადამიანისგან გარკვეული სახის მოქმედებას მოითხოვს, იმისთვის, რომ მან გარესინამდვილესთან წონასწორობა შეინარჩუნოს ან კიდევ დარღვეული წონასწორობა აღიდგინოს.

პირობითი სიგნალის როლის შესრულება შეუძლია ყოველ მოვლენას, რომელიც კი უპირობო აგენტის მოქმედების დროში შეეუღლება. ამიტომ პირველ სიგნალსა და იმ მოვლენას შორის, რომლის სიგნალის როლშიაც თვითონ გამოდის სრულიად შემთხვევითი კავშირია. უკანასკნელი მხოლოდ ინდივიდუალური გამოცდილების გზით მყარდება, მას მხოლოდ მოცემული ინდივიდისათვის აქვს მნიშვნელობა და ისიც დროებით — გარკვეული პირობების დაცვით. ამ კავშირის მეორე ინდივიდზე გადატანა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი თაობათა ცვლაში მემკვიდრეობად გამტკიცდა და უპირობო რეფლექსად იქცა. სხვა შემთხვევებში იგი საკუთარი ცხოვრების პრაქტიკამ უნდა შეჰქმნას.

ეს არ ითქმის მეორე სიგნალის შესახებ. ყოველი სიტყვა, რამდენადაც იგი უბრალო ბგერათა კომპლექსი კი არაა, არამედ წარმოადგენს გარკვეულ აზრს განსაზღვრულ საგანზე — უკანასკნელის არსსა და ზოგადს კანონზომიერებას ასახავს, მხოლოდ ერთი გარკვეული ბუნების საგანთა ჯგუფზე მიუთითებს და მისი სიგნალის როლში გამოდის. ბგერითი კომპლექსი მასში იდეალურად ასახული საგნის ბუნებასთან — აზრთან ისეთივე პირობით დამოკიდებულებაშია, როგორც პირველი სიგნალი უპირობო აგენტთან, ან კიდევ მეორე რიგის პირობითი რეფლექსის აგენტი პირველისასთან.

ერთი და იგივე აზრი საგანზე, ერთი და იგივე ცნება, შეიძლება სულ სხვადასხვა ბგერითი კომპლექსით გამოითქვას, სულ სხვადასხვა ენაზე გადაითარგმნოს, მაგრამ ამით მხოლოდ სიტყვის ბგერითი მხარე იცვლება და არა მნიშვნელობა. ე. ი. არა სიტყვის

ის მხარე, რომელიც სიტყვის მატერიალური მხარის დახმარებით მეორე სიგნალის როლს ასრულებს. გამოთქმები „ხორცი“, „мясо“, ერთ აზრს შეიცავენ და ერთ გარკვეულ საგანზე მიუთითებენ. ამიტომ, როგორც მეორე სიგნალი, ისინი ერთმანეთისგან არ განსხვავდებიან.

ერთი და იგივე მოქმედების, მაგალ., კვების რეფლექსის, გამოწვევა ხორცსაც შეუძლია, სინათლესაც, ბგერასაც და მექანიკურ გამღიზიანებელსაც, მაგრამ ეს იმის გამო კი არა, რომ მათ შორის რაღაც საერთოა და ამ საერთოთი ახერხებენ ისინი ამას. ეს უბრალოდ იმიტომ ხდება, რომ ეს გამღიზიანებლები შემთხვევით, დროებით ხორცით კვების პროცესს შეეუღლნენ. თვითონ ხორცის რომელიმე ნიშანიც არ ასრულებს სხვანაირ ფუნქციას, როცა იგი პირობითი რეფლექსის პირობითი აგენტის როლში გამოდის. ამგვარი შემთხვევითი და დროებითი კავშირი არ არსებობს სიტყვის მნიშვნელობასა — ცნებასა და იმ საგანს შორის, რომლის მნიშვნელობაც სიტყვაა. ასე რომ ყოფილიყო თითოეულ ინდივიდს საკუთარი სიტყვები უნდა ჰქონოდა, სწორედ ისე, როგორც პირობითი რეფლექსები აქვს. ეს გარემოება კი მეტყველებას შეუძლებელს გახდიდა. მაშინ ინდივიდისთვის დაკარგული იქნებოდა საკაცობრიო გამოცდილება და თითოეული ეგზემპლარი იძულებული იქნებოდა საკუთარი პრაქტიკული გამოცდილების გზით შეეძინა ის ცოდნა, ის ცნებები, რომელთაც ჩვენ მეტყველების გზით ვღებულობთ და გამოვთქვამთ. გარკვეულ მნიშვნელობათა მქონე სიტყვებს ყოველი ინდივიდი საკუთარი გამოცდილებით იძენს, მაგრამ მათს მნიშვნელობებს, უმეტეს შემთხვევაში, თვითონ როდი ადგენს შესატყვის მოვლენებზე საკუთარი ცდისა და დაკვირვების გზით. ეს გარემოება უნდა ჰქონოდა ივ. პავლოვს მხედველობაში, როცა სიტყვის — მეორე სიგნალის — შესახებ წერდა: „их должно было образовывать человечество и каждый из нас должен был их образовывать, особенно когда он переходит к изучению нового языка“ [1].

პირობითი რეფლექსის კომპლექსური გამღიზიანებელი, რომელიც პირველი სიგნალის ფუნქციას ასრულებს, შეიძლება მრავალ ურთიერთის მიმართ ჰეტეროგენულ მოვლენას შეიცავდეს და ერთმანეთთან მხოლოდ ერთდროული ან თანმიმდევრული მოქმედება აკავშირებდეს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოვლენათა შორის

[1] Павловские среды, т. III, გვ. 318.

არსებული შინაგანი ობიექტური კავშირები, რომელთაც საგანთა ბუნების გაგებისთვის და საგნებთან ჩვენი დამოკიდებულებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ, აქ მასიგნალებელ ფუნქციას არ ასრულებენ. ამიტომაა, რომ პირველი სიგნალური სისტემა ასოციაციური ცნობიერების საფუძველს შეადგენს. მაგრამ ცნობიერების მთელი მუშაობა, რომ მასზე იყოს დაფუძნებული შემეცნება ინდივიდუალური ცნობიერების საზღვრებს ვერ გასცილდებოდა და ამასთან თავისი შინაარსითაც სუბიექტური აღმოჩნდებოდა: ობიექტურად არსებულად მხოლოდ მოვლენათა ის დროებითი კავშირები მიიჩნეოდა, რომელნიც ნერვულ სისტემაზე ერთდროული ან თანმიმდევრული ზემოქმედების შემთხვევითს პირობას შეადგენს. ასეთ შემთხვევაში ადამიანს მიზეზობრიობისა და აუცილებლობის ნაცვლად განცდილი თანმიმდევრობის წარმოდგენა ექნებოდა.

ივ. პავლოვის აზრით, მეორე სიგნალური სისტემა დროის, სივრცის, მიზეზობრიობის და სხვა ზოგადი ცნებების საფუძველზე აწესრიგებს პირველი სიგნალური სისტემის მუშაობას.

სიფხიზლის მდგომარეობაში, როცა გარემოსთან ურთიერთობა მყარდება მხოლოდ პირველი სიგნალური სისტემით, უკანასკნელის მუშაობას უშუალოდ ობიექტური სინამდვილის იმ მკაცრი კანონზომიერების ზემოქმედება აწესრიგებს და გარკვეულ ჩარჩოში აყენებს, რომელიც მეორე სიგნალური სისტემის ნიადაგზე აღმოცენებულ ცნების შინაარსს შეადგენს. მაშინ, როცა სინამდვილესთან უშუალო პრაქტიკული კავშირი გაწყვეტილია ამ ამოცანის შესრულება მხოლოდ ზემოაღნიშნულ ზოგადს ცნებებს შეუძლია. პირველი სიგნალური სისტემის მუშაობის საკუთარი მექანიზმი ყველაზე ნათლად ჩანს იქ, სადაც მისი მოქმედება არც ერთითაა განსაზღვრული და არც მეორეთი, სადაც მას არც ობიექტური სინამდვილის კანონზომიერებათა უშუალო ზემოქმედება აწესრიგებს და არც ამ კანონზომიერებების ცნებები. ასეთ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე ძილის პირველ ფაზაში ან კიდევ ჰიპნოტური მდგომარეობის დროს, სადაც ივ. პავლოვის სიტყვით „постоянная отрицательная индукция со второй сигнальной системы ослабевает, и поэтому следы первой сигнальной системы достигают силы непосредственных впечатлений. С другой стороны, он имеет такие комбинации впечатлений, какие в действительности никогда не бывают, потому что порядок, регулирующая деятельность второй сигнальной системы, на основе общих понятий о времени,

пространстве, причинности и т. д. у него отсутствует и не регулирует сцепления следов первой сигнальной системы на основе общих понятий. Эти следы оживляются на основе их относительной силы, свежести и т. д. Поэтому сцепления и связи могут происходить совершенно противно законам действительности“ [1].

ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ პირველი სიგნალური სისტემის ნიადაგზე დაფუძნებულ ცნობიერებას, სადაც სინამდვილე მოვლენათა შემთხვევითი და დროებითი კავშირების სახითაა წარმოდგენილი, მეორე სიგნალური სისტემა სინამდვილის ობიექტური კანონზომიერების შესატყვისად აწესრიგებს და შთაბეჭდილებათა ასოციაციურ მიმდინარეობას ლოგიკურ აზროვნებამდე ამაღლებს. მეტყველების ფორმაში გაშლილი აზროვნების პროცესი — მეორე სიგნალური სისტემა, ასახავს რა, პირველი სიგნალური სისტემის გზით, ობიექტური სინამდვილის საგანთა და მოვლენათა შორის არსებულ შინაგან კავშირებს, რომელთაც (როგორც მაგალ., მიზეზობრიობას), შეიძლება ითქვას, მუდმივი ხასიათი აქვთ და აუცილებელნი არიან, ადამიანის მოქმედებას სწორედ ამ ობიექტური კანონზომიერების შესატყვისად განსაზღვრავს. „ბუნების ყოველგვარი ჭეშმარიტი შემეცნება, — წერს ფ. ენგელსი, — მარადისის, უსასრულოს შემეცნებაა და ამიტომ იგი არსებითად აბსოლუტურია“ [2], და რომ ყოველგვარი ნამდვილი და ამომწურავი შემეცნება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ „სამარადისოს წარმავალში აღმოვაჩენთ და დავადასტურებთ“ [3]. ბუნების მარადიული კანონების წვდომა და უკანასკნელის საფუძველზე ინდივიდის აქტიობის მოწესრიგება არ შეიძლება პირველ სიგნალურ სისტემაში მოცემული დროებითი კავშირების საფუძველზე მიმდინარე ასოციაციებით განისაზღვროს. „Умственная работа есть работа второй сигнальной системы“ [4] და იგი არსებითად განსხვავდება პირველი სიგნალური სისტემის მუშაობისაგან, რომელიც ცნობიერების მოვლენათა ასოციაციურ მიმდინარეობას იძლევა.

არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. იმისთვის, რომ რომელიმე მოვლენა პირობით აგენტად იქცეს და მის მიერ გამოწვეულმა ნერვულმა აგზნებამ პირველი სიგნალის როლი შეასრულოს, საჭიროა ამ მოვლენის —

[1] Павловские среды, т. III, გვ. 351.
[2] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, 1950, გვ. 241.
[3] იქვე, გვ. 240.
[4] Павловские среды, т. III, 1949, გვ. 109.

პირობათა აგენტის — ორგანიზმის მგრძნობიარე ზედაპირზე მოქმედება ერთხელ ან რამდენიმეჯერ დროში დაემთხვას იმ მოვლენის თუ თვისების მოქმედებას, რომელიც უპირობო აგენტს წარმოადგენს. ეს იმას ნიშნავს, რომ უპირობო აგენტის რეცეპტორზე ზემოქმედება სამუშაო ნერვისა და შესატყვისი ორგანოს მოქმედებას — უპირობო აგენტზე რეაქციას — უნდა შეეუღლოს ერთხელ ან რამდენიმეჯერ, რომ შემდეგ მან დამოუკიდებლად შესძლოს ცალკე ორგანოს თუ მთელი ორგანიზმის იმავე მოქმედების გამოწვევა, ასე რომ პირველი სიგნალური სისტემით მოქმედება უეჭველად გულისხმობს წინასწარ უპირობო აგენტისა და პრაქტიკული მოქმედების, — ნერწყვის გამოყოფის, თავდაცვითი მოძრაობის და ა. შ., — ერთხელ ან რამდენიმეჯერ შეუღლებას. წინააღმდეგ შემთხვევაში გამღიზიანებელზე, რომელიც ასეთი პირობის უზრუნველყოფის შემდეგ პირობითი აგენტის როლში გამოდის, რეფლექსი არ მიიღება.

განსხვავებულ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე მეორე სიგნალური სისტემით მოქმედების დროს. სიტყვა — მეტყველება შეიძლება თავიდანვე, თუ მოსმენის შემთხვევაშიაც ასეთი რამ დადასტურდა, ამგვარად მხოლოდ მეტყველების აპარატის მუშაობასთან იყოს დაკავშირებული. რაც შეეხება ადამიანის სხვა მოქმედებას, რომელიც სიტყვის მნიშვნელობით, სიტყვის აზრითს ფორმაში ასახული ობიექტური სინამდვილის ზოგადი კანონზომიერებით არის განსაზღვრული, იგი მეტყველებასთან — სიტყვასთან — ასეთი წინასწარი კავშირის დაფუძნებას არ უნდა გულისხმობდეს. ასე რომ არ ყოფილიყო გაუგებარი იქნებოდა ჯერ ერთი, რატომ და როგორ იძენს ადამიანი ისეთი მოძრაობისა და მოქმედების ჩვევებს, რომელიც მის ბუნებაში მემკვიდრეობით არაა მოცემული (ცხოველისათვის ასეთი რამ უცხოა) და, მეორე, რაც მთავარია, პრაქტიკულად ახალ გარემოში მოხვედრის დროს, ობიექტური სინამდვილის ამა თუ იმ საგანთან თუ მოვლენასთან პირველი შეხვედრის დროს, როგორ ახერხებს იგი, მხოლოდ ამ მოვლენათა ცნების საფუძველზე, მათთან სწორი კავშირის დამყარებას, გრძნობის ორგანოებზე მათი პირველი ზემოქმედების შედეგად ისეთი მოქმედების შესრულებას, რომელიც მას არ შეუსრულებია მაშინ, როცა მეტყველების ფორმაში გაშლილი აზროვნების გზით ამ მოვლენის ცნებას იძენდა (ამ მოვლენის უშუალო ხედვის გარეშე). კაცი, რომელსაც, მაგალ., ელექტროდადგმულობა და გაყვანილობა ან კიდევ გველი არასოდეს უნახავს, მაგრამ მათ შესახებ არსებული ცნებები აქვს, მოძრაობის

დროს, რომ შემთხვევით ელგაყვანილობის შიშველ მავთულს ან გველს მიუახლოვდეს, საკმარისია მან ისინი შესატყვის ცნებებში ასახულ მოვლენებად შეიცნოს ან კიდევ ვინმემ უთხრას: „ამ მავთულში ძლიერი ელექტროული დენი გადის", „ეს გველია", რომ მან მყისვე თითოეული მათგანის შესაფერი თავდაცვითი რეფლექსი მოგვცეს. ასეთ შემთხვევაში ადამიანი თავდაცვითს რეფლექსს იძლევა საგნის ისეთი არაარსებითი თვისების უშუალო ზემოქმედებაზე, რომელიც მის ცხოვრებაში არასოდეს არ შეუღლებია ამავე საგნის არსებითი თვისების ზემოქმედებას (დენის დარტყმას, გველის მიერ დაგესვლას). ეს რეფლექსი მას არც მაშინ მოუცია, როცა სათანადო ცნებებს იძენდა. აქ გარეგან აგენტსა და მოქმედებას შორის კავშირი თანდაყოლილიც არ შეიძლება იყოს. უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთ შემთხვევებში, საგნის არაარსებითი თვისების ზემოქმედებით გამოწვეული აგზნება ამავე საგნის არსებითი თვისებების იდეალური მოცემულობის — ცნების — საფუძველში მოცემულ აგზნებას ერთვის და პირდაპირ, წინასწარი შეუღლების გარეშე, თავდაცვითი რეფლექსის ცენტრისკენ მიიმართება, რასაც შედეგად სათანადო რეაქცია მოსდევს. მეორე სიგნალური სისტემის ფიზიოლოგიამ უნდა გვიჩვენოს ფაქტიურად როგორ ხორციელდება ეს.

ივ. პავლოვის აზრით, მეორე სიგნალური სისტემის ფიზიოლოგიური მექანიზმის სახით, „განვითარებაში მყოფ ცხოველთა სამყაროში ადამიანის ფაზაზე ნერვული მოქმედების მექანიზმებს უაღრესად მნიშვნელოვანი რამ დაემატა". „ეჭვს გარეშეა, რომ ის ძირითადი კანონები, რომლებიც დადგენილია პირველი სიგნალური სისტემის მუშაობაში, აგრეთვე უნდა განაგებდნენ მეორესაც, ვინაიდან ეს არის იმავე ნერვული ქსოვილის მუშაობის შედეგი"[1]. ეს, რა თქმა უნდა, უდავო დებულებაა, მაგრამ ისიც უდავოა, რომ მეორე სიგნალურ სისტემას, ნერვული მოქმედების მექანიზმების ამ ახალ უმნიშვნელოვანეს დანამატს, თავისი საკუთარი — სპეციფიკური ფიზიოლოგიური კანონზომიერებანიც უნდა გააჩნდეს. „Нужно исходить из мысли — წერს ივ. პავლოვი, — что как-никак действительное отношение к внешнему миру у нас основывается на деятельности двух совершенно различных систем: первой сигнальной системы и второй сигнальной системы"[2]. თუ

[1] ი. პავლოვი, პირობითი რეფლექსი, 1951, გვ. 19.

[2] Павловские среды, т. III, გვ. 318.

ეს ასეა, ცხადია, რომ შეუძლებელია ამდენად განსხვავებული სისტემების კანონზომიერებანი სავსებით ერთი და იგივე იყოს, შეუძლებელია მეორე სიგნალურ სისტემას ისეთი ფიზიოლოგიური კანონზომიერებაც არ გააჩნდეს, რომელსაც პირველ სიგნალურ სისტემაში ვერ ვხვდებით. მეორე სიგნალური სისტემის საკუთარი ფიზიოლოგიური კანონზომიერების დამუშავება სამწუხაროდ ივ. პავლოვმა ვერ მოასწრო. იგი იმდენად გამოურკვეველია, რომ მის შესახებ დღემდე მაინცა და მაინც საყურადღებო არაფერია ცნობილი.

2. მეორე სიგნალური სისტემა ფსიქიკური ცხოვრების მეორე დონის ფიზიოლოგიური საფუძველია. ივ. პავლოვი დარწმუნებული იყო, რომ ადრე თუ გვიან ფიზიოლოგები და ფსიქოლოგები ერთმანეთს მჭიდრო და მეგობრული შრომით დაუკავშირდებიან, რაც ორთავესთვის აუცილებელი და სასარგებლო აღმოჩნდება. „Пусть теперь каждый из нас — წერდა იგი — пробует итти своей дорогой, старается использовать свои специальные ресурсы. Чем больше подходов, тем больше шансов, что мы, наконец, приятно сойдемся, полезные и необходимые друг для друга“ [1].

საკითხისადმი ფსიქოლოგიური მიდგომის ნიადაგზე, სპეციალური ფსიქოლოგიური რესურსების გამოყენების გზით აღმოცენდა ფსიქოლოგიური მოძღვრება სულიერი ცხოვრების პირველი და მეორე დონის შესახებ. უკანასკნელი, ჩვენის აზრით, იმ სინამდვილის ფსიქიკურ თავისებურებებს გვითვალისწინებს, რომლის ფიზიოლოგიური კანონზომიერებაც ივ. პავლოვმა გამოიკვლია და პირველი და მეორე სიგნალური სისტემების შესახებ ამჟამად არსებული მოძღვრების სახით ჩამოაყალიბა.

მოძღვრება ფსიქიკური ცხოვრების ორი დონის შესახებ ეკუთვნის დ. უზნაძეს. მან იგი შექმნა განწყობის ფსიქოლოგიურ კანონზომიერებათა კვლევაძიების შედეგად. დღეს იგი განწყობის ფსიქოლოგიის ახალ და ერთ უმნიშვნელოვანეს თავს წარმოადგენს. გავეცნოთ მოკლედ რაში მდგომარეობს ამ მოძღვრების ძირითადი აზრი?

დ. უზნაძის აზრით, ადამიანისთვის ყველაზე დამახასიათებელი ისაა, რომ გარე სინამდვილე მასზე, როგორც სოციალურ არსებაზე, ორმაგად ახდენს გავლენას „პირდაპირ, უშუალოდ მოქმედ გამღიზიანებლისა, და არაპირდაპირ, — სიტყვიერი სიმბოლოს საშუალებით, რომელსაც საკუთარი დამოუკიდებელი შინაარსი არ

[1] И. П. Павлов, Полное собрание сочинений, т. III, 1947, გვ. 359.

გააჩნია, და წარმოადგენილია სხვა რაიმე უცხო გამღიზიანებლისა: ადამიანი აღიქვამს ან სინამდვილეში მიმდინარე პროცესების ზეგავლენას, ან იმ სიტყვიერ სიმბოლოთა ზემოქმედებას, მათ რომ სპეციფიკურ ფორმაში წარმოადგენს“ [1]. მაშინ, როცა ცხოველის ქცევას აქტუალური სინამდვილის ზემოქმედება განსაზღვრავს, ადამიანი ამ სინამდვილეს უშუალოდ არ ემორჩილება. მას შეუძლია გარესინამდვილის მოვლენათა ზემოქმედებას მხოლოდ მას შემდეგ გასცეს პასუხი, რაც ამ მოვლენებს თავის ცნობიერებაში გაატარებს — მათ გაცნობიერებასა და გააზრებას მოახდენს.

დ. უზნაძის შეხედულებით, ცოცხალი არსების ყოველგვარი ქცევის პრაქტიკულ მიმდინარეობას უშუალოდ განწყობა წარმართავს. განწყობა, მოთხოვნილებისა და შესატყვისი სიტუაციის ნიადაგზე აღმოცენებული, ცოცხალი არსების მთლიანი დინამიკური მდგომარეობაა, რომელშიც წინასწარაა განსაზღვრული მთლიანი ქცევის ხასიათი და მისი ცალკე აქტების მოცემული სიტუაციის ცალკე მომენტისადმი შესატყვისობა. სიტუაცია განწყობის ობიექტური ფაქტორია. მაგრამ იმის მიხედვით, სიტუაციის უშუალო ზემოქმედება წარმოადგენს განწყობის ობიექტურ ფაქტორს, თუ მისი აზრითი მოცემულობით გაშუალება ჩვენ ან საერთოდ ცოცხალი არსებისთვის დამახასიათებელ აქტიობასთან გვაქვს საქმე ან კიდევ — სპეციფიკურ ადამიანურ ქცევასთან. პირველ შემთხვევაში ცნობიერების მუშაობა ფსიქიკური ცხოვრების პირველ დონეზე მიმდინარეობს, ხოლო მეორე შემთხვევაში ცნობიერების მუშაობისა და ფსიქიკური ცხოვრების მეორე დონესთან გვაქვს საქმე. სულიერი ცხოვრების პირველი დონიდან მეორეზე გადასვლა ობიექტივაციის აქტის ნიადაგზე ხდება. ობიექტივაციის აქტს დ. უზნაძე აახლოებს ყურადღებასთან და უკანასკნელის სრულიად ახლებურ გაგებას იძლევა.

რა არის დამახასიათებელი ფსიქიკური ცხოვრების პირველ დონეზე მიმდინარე ქცევისთვის — იმპულსური ქცევის პლანისთვის? მას უშუალო ხასიათი აქვს, სუბიექტი ისე, როგორც მისი აქტები, მთლიანად ქცევის პროცესშია ჩართული. ასე ხდება ცხოველის ინსტინქტური და ადამიანის ჩვეული, მექანიზირებული მოქმედების დროს. იმპულსური ქცევაც სინამდვილის შესაფერი მონაკვეთის ასახვის საფუძველზეა შესაძლებელი, მაგრამ აქ სუბიექტი სინამ-

[1] დ. უზნაძე. განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტალური საფუძვლები, 1949, გვ. 106.

დვილეს ასახავს არა მის სრულ მთლიანობით ერთიანობაში, ყოველ მის დეტალებით „არამედ მხოლოდ იმ აგენტთა მონაკვეთში, რომელიც გარკვეულ მიმართებაში იმყოფება მისი ქცევის მიზნებთან“ [1]. ასახვა აქაც ცხადი უნდა იყოს, რომ იგი ქცევის ნამდვილ ფაქტორად იქცეს. როცა, მაგალ., კაცი დილიდან ჩვეულებისამებრ ფეხზე ჩაცმას იწყებს, მან უნდა შესძლოს ფეხსაცმლის სხვა საგნებიდან გამოყოფა და მისი საკმაო სიცხადით აღქმა, რომ საჭირო ქცევის აქტის შესრულება გახდეს შესაძლებელი. მიუხედავად ამისა, ჩვენ არავითარი საფუძველი არ გვაქვს ასეთ აქტებში ყურადღების მონაწილეობის შესახებ ვილაპარაკოთ. აღქმის ხატის მაგვარ ცნობიერების შინაარსების და ქცევაში ჩართულ ცალკე აქტების პირობად ყურადღებას ვერ ჩავთვლით, რადგან ისინი აღმოცენდებიან და მოქმედებას იწყებენ მხოლოდ იმისთვის, რომ მაშინვე, ყოველი შეფერხების გარეშე ადგილი დაუთმონ მათ მიერ სტიმულიზირებულ მომდევნო აქტებს, რომელნიც, თავის მხრივ, ასევე შეუჩერებლივ აკეთებენ ამასვე. ისინი ქცევის მთლიან ჯაჭვში ცალკე რგოლებს წარმოადგენენ, იმ სიგნალების როლს ასრულებენ, რომელნიც ქცევის პროცესში მომდევნო ნაბიჯების, სტიმულაციას ახდენენ. მათ არ აქვთ საკუთარი დამოუკიდებელი ღირებულება, ისინი არ არსებობენ ამ როლის გარეშე, თავისთავად იმ ქცევის პროცესიდან გამოყოფილად, რომელშიც მთლიანად, უნაშთოდ არიან ჩართულნი. იმპულსური ქცევა მიმდინარეობს იმ იმპულსებზე სრული დამოკიდებულების ნიშნის ქვეშ, რომელნიც გარეშე და შინა გარემოს შეზავებიდან მომდინარეობენ — აქტუალურ სიტუაციაზე უშუალო და აუცილებელი დამოკიდებულების ქვეშ, სიტუაციაზე, რომლითაც იგინი ყოველ ცალკე მომენტში არიან გაშემორტყმული. ერთი სიტყვით, იმპულსური ქცევის აქტების დროს, სუბიექტი მასზე მოქმედი აქტუალური სიტუაციითაა შებოჭილი და ამ სიტუაციაში მოცემული პირობებით განსაზღვრული“ [2].

რის ნიადაგზე წარმოებს ასეთ შემთხვევებში, ჩვენზე მოქმედი ურიცხვი აგენტებიდან მხოლოდ ისეთების შერჩევითი გამოყოფა, რომელნიც მოცემული ქცევის მიზნებს შეესატყვისება და მათზე ფსიქიკური ენერგიის კონცენტრაცია? გავრცელებული შეხედულება ამ საქმეს ყურადღებას მიაწერს, მაგრამ უმართებულოდ, ყურად-

[1] დ. უ ზ ნ ა ძ ე, განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები. 1949, გვ. 110.

[2] იქვე, გვ. 111.

ლება ფორმალური ხასიათის ფუნქციაა და შერჩევის ფუნქციას არაფერი — აქვს საერთო მასთან. შთაბეჭდილების ამორჩევასა და შეფასებას იგი ვერ მოახერხებს. მისთვის სულერთია, რაზე იქნება მიმართული, რომელი შთაბეჭდილება გადაიქცევა მისი აქტის საგნად. დ. უზნაძის აზრით, განწყობის თეორიის საფუძველზე ამ საკითხის გადაჭრა ადვილად ხდება. აქტუალური მოთხოვნილების სიტუაცია მოქმედებს ცოცხალ არსებაზე და მასში მთლიანობითი ხასიათის ეფექტს იწვევს. ეს ეფექტი აქტუალური მოთხოვნილების სიტუაციის სუბიექტისეულ ასახვას წარმოადგენს — „ასახვას, რომელიც გაგებული უნდა იყოს, როგორც წინა პირობა და გეზი სუბიექტის მიერ გასაშლელი ქცევისა, როგორც განწყობა, რომელიც ქცევას სინამდვილის ასახვის კალაპოტში აყენებს“ [1]. ქცევა რა სახისაც არ უნდა იყოს იგი, ყოველთვის განწყობითაა გაშუქებული. ქცევის ცალკე აქტები და მთელი ფსიქიკური ცხოვრება, უშუალოდ განწყობის ნაწარმოები, მეორადი წარმოშობის მოვლენაა. გარკვეულ პირობებში მოქმედი სუბიექტის ცნობიერებაში გარემოდან ის შემოდის და საკმაო სინათლით მხოლოდ ის განიცდება, რაც უკვე მის აქტუალურ განწყობაშია ასახული. ეს იმას ნიშნავს, რომ ის, რაც ყურადღებას, როგორც ფორმალურ ძალას, არ შეუძლია, განწყობის ფუნქციად უნდა ვცნოთ, იმ განწყობის ფუნქციად, რომელიც არა მხოლოდ ფორმალურს, არამედ, აგრეთვე შინაარსობრივ ცნებასაც წარმოადგენს“ [2].

რა შეადგენს განწყობის ფიზიოლოგიურ მხარეს? ივ. პავლოვის მოძღვრების რა მონაცემებს შეიძლება დაეფუძნოს განწყობის ფსიქოლოგია? დაწვრილებით ამ საკითხზე აქ ვერ შევჩერდებით, მაგრამ ზოგიერთ რამეზე მაინც შეიძლება მივუთითოთ [3].

ცოცხალი ორგანიზმი ყოველ მომენტში ახდენს გარე პირობებთან გაწონასწორებას. უკანასკნელი მისი მთლიანობის დაცვის, მისი შენახვის პირობაა. წონასწორობის ამა თუ იმ მიმართულებით დარღვევა შინაგან გამღიზიანებელთა აღმოცენებას ნიშნავს. გარემოსთან წონასწორობის აღდგენა და, მაშასადამე, შინაგან გამღიზიანებელთა მოხსნა ძირითადად გარე სინამდვილის შესატყვის მოვლენებს, გარეგან გამღიზიანებლებს შეუძლია, თუ მათ მიმართ ცოც-

[1] დ. უზნაძე, განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, გვ. 112.

[2] იქვე.

[3] უფრო დაწვრილებით ამ საკითხს შეიძლება კაცი გაეცნოს ზ. ჭოჭაშვილის შრომაში „Проблема навыка в психологии“ (ხელნაწერი).

ხალი არსება განსაზღვრულ მოქმედებას განახორციელებს. როგორც შინაგანი ისე გარეგანი გაღიზიანებანი თავის ტვინის ქერქზე მოქმედებენ, მასში აისახებიან აგზნების სათანადო ფიზიოლოგიური პროცესების სახით და სამუშაო ორგანოებისკენ მიიმართებიან თანშობილი და შეძენილი გზებით. ქერქის ანალიზური და სინთეზური მუშაობის შედეგად, ქერქისთვის დამახასიათებელი შეკავების პროცესის დახმარებით, შინაგანი და გარეგანი აღგზნებანი ერთმანეთს გარკვეული კანონზომიერებით უკავშირდებიან და ვღებულობთ ქერქის ერთ მთლიან ფიზიოლოგიურ მდგომარეობას, რომელსაც ივ. პავლოვი უწოდებს „დინამიკურ სისტემას“ ანუ „ფუნქციონალურ სტრუქტურას“. უკანასკნელი მთლიანი სისტემაა და არა ურთიერთისგან იზოლირებულ ფიზიოლოგიურ პროცესთა, ერთმანეთისგან გამოცალკევებულ რეფლექტორულ რკალთა უბრალო არითმეტიკული ჯამი. განსაზღვრულ შინაგან გამღიზიანებელთა მიერ აღძრული ნერვული პროცესების ფსიქიკურ მხარეს მოთხოვნილება წარმოადგენს, ხოლო გარე გამღიზიანებელთა ზემოქმედებით გამოწვეულ აგზნებასა და მათს ქერქულ ანალიზს ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაციის ფსიქიკური ასახვა შეესატყვისება. დინამიკური სისტემა — ფუნქციონალური სტრუქტურა, რომელსაც ძალთა მოქმედების დრო და სივრცეში განლაგება ექვემდებარება, განწყობის ფიზიოლოგიურ მხარეს წარმოადგენს. ყველაზე კარგად ჩანს ეს ივ. პავლოვის მიერ აღმოჩენილ დინამიკურ სტერეოტიპში, რომელსაც იგი ხშირად განწყობის სახელწოდებითაც აღნიშნავს. დინამიკური სტერეოტიპი ფიქსირებული განწყობის ფიზიოლოგიური საფუძველია.

„Для нас совершенно ясно, — წერს ივ. პავლოვი, — что кора больших полушарий представляет собой сложнейшую функциональную мозаику из отдельных элементов, каждый из которых имеет определенное физиологическое действие — положительное или тормозное. С другой стороны, также несомненно: что все эти элементы объединены в каждый данный момент в систему, где каждый из элементов находится во взаимодействии со всеми остальными“ [1]. სწორედ ეს გარემოსთან ურთიერთობის ყოველ ცალკე მომენტში წარმოქმნილი მთლიანი ფიზიოლოგიური სისტემა, რომელიც მთელ ქერქს მოიცავს ანალიზისა და სინთეზის, აგზნებისა და შეკავების პროცესებით, შეადგენს განწყობის ფიზიოლოგიას.

[1] И. П. Павлов, Полное собрание сочинений, т. III, 1947, გვ. 227, 19. ეუთაისის პედინსტიტუტის შრომები, X, 1950—1951.

რომ ამ დინამიკურ სისტემაში უსათუოდ მოთხოვნილების — განწყობის ამ სუბიექტური ფაქტორის — ფიზიოლოგიური მხარეც იგულისხმება იქიდანაც ჩანს, რომ ივ. პავლოვისა და მისი თანამშრომლების გამოკვლევების მიხედვით, მოთხოვნილების გარეშე პირობითი რეფლექსი არ იქმნება, რომ, მაგალ., აბსოლუტურად მაძღარ ცხოველს კვების რეფლექსი არ უმუშავდება. საყურადღებოა ისიც, რომ ამა თუ იმ პირობით აგენტზე შემუშავებული რეფლექსი, [რომ არ ჩაქრეს იგი გზადაგზა იმ მოთხოვნილების დაკმაყოფილებით, იმ შინაგან გამღიზიანებელზე ზემოქმედებით უნდა გამტკიცდეს, რომელთან დაკავშირებითაც პირველად აღმოცენდა, რომელთან მიმართებაშიაც მისი შემგუებლობითი ღირებულება განისაზღვრება. სახელწოდებაც, მაგალ., „კვების რეფლექსი", თვითონ რეფლექსის განსაზღვრულ მოთხოვნილებასთან კავშირზე მიუთითებს.

პირველი სიგნალური სისტემით განსაზღვრული ცალკე რეფლექსი, როგორც ელემენტარული პროცესი, ამ მთლიან სისტემაში ჩართულ, გარე სინამდვილის პირობითი აგენტის მიერ გამოწვეული აღგზნებისა და გარკვეული მოქმედების ურთიერთშეკავშირებას გულისხმობს. იგი ამ სისტემაში მიმდინარე გარემოს მთლიანი ეფექტის ანალიზსა და შეკავების პროცესებს ემყარება. თუ განწყობის ფიზიოლოგიურ საფუძვლად მივიჩნევთ ფუნქციონალურ სტრუქტურას, რომელსაც პირველი სიგნალური სისტემა ქმნის, მაშინ ფსიქიკური ცხოვრების პირველი დონის — ცნობიერების მუშაობის განწყობისეული პლანის ფიზიოლოგიურ მექანიზმად პირველი სიგნალური სისტემა უნდა ვაღიაროთ. ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ინდივიდისა და გარე სინამდვილის უშუალო, რეალურ ურთიერთობასთან. ორივე შემთხვევაში დიდი ტვინის ნახევარსფეროების ქერქში გარესინამდვილის უშუალო ზემოქმედების მთლიანი ეფექტია ასახული ნერვული პროცესების სახით და, შესატყვის იმპულსებთან ერთად, განსაზღვრულ დინამიკურ სისტემად დიფერენცირებული. განსხვავება თავს იმაში იჩენს, რომ პირველი ამ სისტემის ფიზიოლოგიურ მხარეს წარმოადგენს, ხოლო მეორე, ძირითადად, მის ფსიქიკურ თავისებურებებზე მიუთითებს.

ახლა ვნახოთ, რას წარმოადგენს ფსიქიკური ცხოვრების მეორე — ობიექტივირებული — დონე, ცნობიერების მუშაობის მეორე პლანი? დ. უზნაძის აზრით, როცა ქცევაში რაიმე დაბრკოლება გაჩნდება და სიტუაცია რთულდება, ქცევა ისე შეუფერხებლად ვეღარ მიმდინარეობს, როგორც ამას იმპულსური ქცევის დროს ჰქონდა ად-

გილი. გაჩნდება თუ არა დაბრკოლება, ქცევის აქტი, რომელიც უნდა მომხდარიყო — მორიგი რგოლი აქტთა ჯგუფში — ჩვეულებრივ აღარ უთმობს ადგილს მომდევნოს, იმ აქტს, რომლის სტიმულიზირებაც მას უნდა მოეხდინა. ამიტომ ქცევა წინ ვერ მიდის, ჩერდება „და სათანადო რგოლი, ასე ვთქვათ, აქტთა ჯაჭვიდან გამოვარდება. რამდენადაც ივი არ იწვევს მომდევნო აქტს, მას დროებით ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლის მნიშვნელობა ეკარგება, ივი, ფსიქოლოგიურად, დამოუკიდებელ საგნად იქცევა, ობიექტად, რომელსაც თავისთავად, აქტუალურად მიმდინარე ქცევის პირობებისაგან დამოუკიდებელი არსებობა და ისეთი თავისებურებები აქვს, რომელთა წინასწარ გაცნობიერება აუცილებელია, რათა მისი მიზანშეწონილი გამოყენება, ქცევის პროცესში ხელახლად ჩართვა შესაძლებელი გახდეს“ [1].

ვთქვათ, ადამიანი იღვიძებს და ქცევის ჩვეულებრივ აქტებს მიმართავს — ტანსაცმელის ჩაცმას იწყებს. ტანთ შეიმოსა და აი ახლა ფეხსაცმელის ჩაცმა დაიწყო. მაგრამ უცბად აღმოჩნდა, რომ ფეხი ისე თავისუფლად არ ჩადის ფეხსაცმელში, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდებოდა, რაღაც ხელს უშლის. ასეთ შემთხვევაში წარმოსადგენია მომხდარი მოვლენისადმი ორგვარი დამოკიდებულება: სუბიექტი ან ყურადღებას არ აქცევს ამ შედარებით უმნიშვნელო მოვლენას და ფეხსაცმლის ჩაცმას განაგრძობს. ან და მაშინვე წყვეტს ამ აქტს, რათა გამოარკვიოს რამ გამოიწვია ეს მოულოდნელი უხერხულობა. ეს მას ამ მიზეზის თავიდან ასაცილებლად, და ფეხსაცმლის ჩაცმისთვის საჭირო აქტის შესასრულებლად სჭირდება. ანალოგიური შემთხვევები, მარტივიც და უაღრესად რთულიც, ცხოვრების ყოველ ნაბიჯზე შეიძლება დავადასტუროთ. ადამიანის მთელი ცხოვრება ამგვარ პროცესთა სერიებისგან შედგება. ზოგჯერ ქცევის გზაზე წამოჭრილ დაბრკოლებათა ბუნების გამორკვევა საკმაოდ გრძელ და რთულ კვლევაძიებას ითხოვს. ზემოთმოყვანილ მაგალითში ფეხსაცმელი, რომლის ხატი ჩაცმის ქცევაში ჩართული აღქმის შედეგად იყო მიღებული და რომელმაც საჭირო მომდევნო აქტის სტიმულირება ვერ მოახერხა, სუბიექტისთვის დამოუკიდებელ ობიექტად იქცა. სუბიექტი მისკენ შემეცნების აქტებს მიმართავს. აკვირდება, ადარებს ერთმანეთს მის თვისებებს, მსჯელობს შემჩნეულ უხერხულობის შესაძლო მიზეზებზე და

[1] დ. უზნაძე, განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, გვ. 112.

ა. შ. ასეთ შემთხვევაში „არა უშუალო, პრაქტიკული, არამედ ელემენტარული თეორიული ქცევის პროცესი მოძრაობს ჩვენ წინ. ამ უკანასკნელის შედეგზეა დამოკიდებული, თუ როგორ წარიმართება შემდეგში ქცევა, რას უზამს სუბიექტი ფეხსაცმელს ამ ქცევის წარმატებით დამთავრების მიზნით. „ეს სპეციფიკური აქტი, რომელიც ადამიანის მოქმედებითა ჯაჭვში ჩართულ საგანს ან მოვლენას გამოყოფს, შეაჩერებს და დაკვირვების საგანგებო, დამოუკიდებელ ობიექტად აქცევს, შეიძლება ობიექტივაციის სახელწოდებით აღვნიშნოთ“ [1]. ამ აქტის შედეგად ქცევა უფრო მაღალ დონეს აღწევს, ისეთ დონეს, რომელზედაც ცხოველი ვერასოდეს ვერ ავა.

ობიექტივაცია, რა თქმა უნდა, თვითონ არ ქმნის ობიექტს, უკანასკნელი არსებობს გარესინამდვილეში. ამ აქტის საფუძველზე სუბიექტი აზროვნებით წვდება მას, როგორც გარკვეულ ობიექტს, როგორც მისგან დამოუკიდებლად არსებულ მოვლენას, თუ საგანს და მიღებულ ობიექტურ შინაარსს მეტყველების ფორმებში ათავსებს. საგანი როგორც ობიექტი, მეორე სუბიექტსაც ჰგულისხმობს და ამიტომ ობიექტივაციის აქტი მხოლოდ საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებში შეიძლება აღმოცენდეს.

რომ ჩავუკვირდეთ, დავრწმუნდებით, რომ თითქმის ყველგან, სადაც ჩვენ, ჩვეულებრივ, ყურადღების ტერმინით ვსარგებლობთ, ობიექტივაციის აქტთან გვაქვს საქმე, ობიექტივაციის აქტთან, რომლის ნიადაგზედაც ქცევის მთლიანი მიმდინარეობიდან მისი ერთი რგოლი გამოიყოფა, საგანგებო დაკვირვების საგნად იქცევა და ჩვენი ცნობიერების ყველაზე ცხად და აქტუალური შინაარსის სახეს იღებს. ეს იმას გულისხმობს, რომ ყურადღება გაგებული უნდა იქნას, როგორც ობიექტივაციის პროცესი, როგორც რისამე ობიექტად მიღება. აზროვნების პროცესს საგანი ამ აქტის საშუალებით ეძლევა. შემეცნება, რომ შესაძლებელი გახდეს საგანი სუბიექტის წინ უნდა დადგეს, როგორც ობიექტი.

ზემოთ განვითარებული მსჯელობის საფუძველზე, დ. უზნაძე ფსიქიკური ცხოვრების ორ დონეს — განწყობის დონეს და ობიექტივაციის დონეს — განასხვავებს. პირველი საერთოა ცხოველისა და ადამიანისათვის, მეორე კი სპეციფიკურ ადამიანურ მოვლენას წარმოადგენს.

განწყობის დონეზე სიცოცხლე „ცვლილებათა რიგის უწ-

[1] დ. უზნაძე. განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, გვ. 114.

ყველტ ნაკადს წარმოადგენს, ახლის შეუნელებელ ქმნადობას, აქ არაფერი არ მეორდება", გამორიცხულია აზრიც კი მოვლენათა იგივეობის შესახებ". განწყობის პლანში „ცნობიერებაში სინამდვილის მხოლოდ ის მონაკვეთი აისახება, რომელიც ცოცხალი ორგანიზმის აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე მიმართულ მოქმედებათა მიზანშეწონილი მიმდინარეობისათვისაა საჭირო. თვითონ ეს სინამდვილე კი, ან რომელიმე მისი მხარე, სუბიექტის ყურადღების გარეშე რჩება: იგი არ წარმოადგენს მის ობიექტს, არ წარმოადგენს საგანს, რომელიც საგანგებოდ იპყრობს მის ყურადღებას" [1].

სულ სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე ობიექტივაციის დონეზე, სადაც სინამდვილე მეორე პლანშია წარმოდგენილი. რა წამს სინამდვილე — და არა მხოლოდ მის ნიადაგზე შესაძლო აქტივობა — თვითონ იწყებს ობიექტად ქცევას, იგი გამოეყოფა იმ ფაქტთა წრეს, რომელიც ქცევის უშუალო პირობას წარმოადგენს და ამის შემდეგ სუბიექტისთვისაც დამოუკიდებელ, თავისთავად საგნად იქცევა. ამ ნიადაგზე აღმოცენდება აზროვნების პროცესი, რომელიც სინამდვილის ყოველმხრივ ასახვის მიზანს ემსახურება. განწყობის პლანში წარმოებული ასახვიდან განსხვავებით აქ ისეთ ასახვასთან გვაქვს საქმე, რომელიც „იგივეობის ლრგიკურ პრინციპს ემყარება — პრინციპს აუცილებელს ჩვენი აზროვნებითი აქტების რეგულაციისათვის. სახელდობრ: წამოვაყენებთ თუ არა ჩვენს მიერ ობიექტივირებული სინამდვილის მონაკვეთის ერთი რომელიმე მხრის იდეას, ჩვენ იმ წამსვე მეორეზე გადასვლა გვიხდება, შემდეგ მესამეზე და ა. შ., სანამ ამჟამად ჩვენთვის საინტერესო საგანს მთლიანად არ ამოვწურავთ. მაგრამ გადავდივართ რა ერთი მხრიდან მეორეზე, ჩვენ მაინც ვერ ვუახლოვდებით ამოცანის გადაჭრას, თუ არ დავუშვით, რომ, თითოეული ჩვენ მიერ განხილული მხარე მთელი ამ ხნის განმავლობაში თავის აუცილებელ იგივეობას ინარჩუნებს, იგივეობას, რომელიც მთლიანი საგნის ხატის აღსადგენად ამ მხარეების ნიადაგზე პირდაპირ აუცილებელია. ჩვენ თითოეული მხარის ანალიზსა და იდენტიფიკაციას ვახდენთ იმ დროის განმავლობაში, რომელიც საჭიროა იმისთვის, რომ საგნის, როგორც მთლიანის, აღდგენა მოვახერხოთ" [2].

---

[1] დ. უზნაძე, განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, გვ. 116.

[2] იქვე, გვ. 117.

ლოგიკური აზროვნების ერთს ყველაზე ტიპიურ დებულებას წარმოადგენს იგივეობის დებულება. ის გარემოება, რომ რომ ლოგიკური აზროვნების აუცილებელს წინამძღვარს იგივეობის აქსიომატური დებულება წარმოადგენს, უდაოდ მიუთითებს, რომ ლოგიკური აზროვნება სინამდვილეს, როგორც ასეთს, ე. ი. განმეორებულ სინამდვილეს ეხება, როგორც ობიექტს, და არა როგორც მარად ცვალებადს მდინარებას. აქედან ისიც ცხადია, რომ ჩვენი ლოგიკური აზროვნების წინამძღვარს მართლაც ობიექტივაცია წარმოადგენს. მაგრამ იდენტიფიკაციის აქტს ერთი რამ კიდევ ემატება, რომლის გარეშეც ნამდვილი აზროვნების პროცესი შეუძლებელი იქნებოდა. სახელდობრ: საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებში, სინამდვილის ობიექტივირებული მონაკვეთის თავისთავთან იგივეობის გაჩენა, ფსიქოლოგიურ წინამძღვარს ქმნის იმისთვის, „რომ ობიექტივირებული, მაშასადამე, თავისთავთან გაიგივებული სინამდვილე გარკვეული სახელწოდებით ავღნიშნოთ. მოკლედ, ეს მეტყველების ჩასახვისა და განვითარების უეჭველ შესაძლებლობას ჰქმნის“ [1].

ამგვარად, ადამიანი არა მარტო გარე სინამდვილის უშუალო შთაბეჭდილებებს — ქცევის განუწყვეტელ დინებაში ჩართულ აღქმის ინდივიდუალურ ხატებსა და მათ რეპროდუქტულ სურათებს — განიცდის, არამედ იგი, ზემოთაღწერილი გზით, ამ უკანასკნელთა სახით წარმოდგენილი სინამდვილის ობიექტურ თავისებურებასაც წვდება, განსაზღვრულ ცნებებსა და იდეებს იმუშავებს და გარე სინამდვილესთან გართულებულ ურთიერთობას, აჰყავს რა უკანასკნელი ობიექტივაციის დონეზე, ამ ცნებებითა და იდეებით აწესრიგებს.

ობიექტივირებული შინაარსები — აზრები, ცნებები, იდეები — მეტყველების ფორმებში ექცევიან და განსაზღვრული მნიშვნელობის სიტყვების სახით მოქმედებენ ადამიანზე.

დ. უზნაძის აღნიშნული მოსაზრებები რომ უფრო გასაგები გახდეს, საჭიროა აღინიშნოს, რომ იგი ინდივიდუალურ წარმოდგენას (აღქმის რეპროდუქციას) მკვეთრად განასხვავებს იდეებისაგან, რომელთა სახითაც ადამიანი ობიექტური სინამდვილის კანონზომიერებას წვდება. მას უდავოდ მიაჩნია, რომ წარმოდგენის უნარი პრიმიტივს და ზოგიერთ ცხოველსაც უნდა ჰქონდეს. იდეები კი მათ-

[1] დ. უზნაძე. განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები. გვ. 134.

თვის უცხოა. იდეებისგან ასევე განასხვავებს იგი ოცნების სურათებს, რომელნიც აღქმისებური ინდივიდუალობითა და კონკრეტული გარკვეულობით ხასიათდება. იმის საბუთად, რომ აღქმისებურად ინდივიდუალური წარმოდგენები არსებობენ სიზმრის შემთხვევები მოჰყავს, სადაც ყველაფერი წარმოდგენილი დაუყონებლივ აღქმის ხატად იქცევა. ცხოველი ოცნების სახეებიც სიზმარს ემსგავსება და თითქოს აღქმისებურად განიცდება წარმოდგენა. ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, ეს რომელიმე ცალკე საგნის, ცალკე ეგზემპლარის რეპროდუქციის, ან კიდევ ოცნების, გზით მიღებული სურათია და ამ მხრივ იგი არაფრით არ განსხვავდება აღქმისაგან. იდეა კი თავისი ბუნებით ზოგადია. იგი ობიექტური სინამდვილის განსაზღვრული მონაკვეთის არსს გამოსახავს.

ეს ორი მოვლენა თავიანთი აღმოცენების პირობების მიხედვითაც არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. წარმოდგენა, ჩვეულებრივ, იმავე პირობებში აღმოცენდება, რომელშიაც აღქმა: „იგი აქტიური განწყობის უშუალო პროდუქტს წარმოადგენს. იდეის შესახებ კი ეს არ ითქმის. თავის აღმოცენებისათვის იგი ობიექტივაციას გულისხმობს იმისთვის, რომ სუბიექტს იდეა გაუჩნდეს, წინასწარ ობიექტივაციის აქტია საჭირო, ობიექტივაციის აქტი, რომელიც შესაძლებლობას იძლევა აღმოცენებული ფსიქიკური შინაარსის საგნის რეალობის შესახებ დადგეს საკითხი. წარმოდგენის შესახებ ეს საკითხი არ დგას, და ესაა, რაც ობიექტივაციის გარეშე მისი განცდის შესაძლებლობას იძლევა“ [1].

სხვათა შორის, ექსპერიმენტული მასალის საფუძველზე (პროფ. რ. ნათაძის გამოკვლევები) დ. უზნაძე აყენებს დებულებას, რომ სამსახიობო ნაჭით დაჯილდოებულ პირთა ერთ სპეციფიკურ თავისებურებას ის გარემოება შეადგენს, რომ მათ განსაკუთრებით განვითარებული აქვთ წარმოდგენის — ცოცხალი ინდივიდუალიზირებული ხატის შექმნის უნარი და რომ ასეთი წარმოდგენები ისეთივე ძალით გამოდიან განწყობის ობიექტური ფაქტორის როლში, როგორც სინამდვილის უშუალო აღქმა (გავიხსენოთ პავლოვის მხატვრული ტიპი). ეს გარემოება, რა თქმა უნდა, საბუთს არ იძლევა დავასკვნათ, რომ მათ აზროვნების უნარი სხვებზე სუსტი აქვთ.

ამგვარად, დ. უზნაძის აზრით, წარმოდგენის უნარი, ასე თუ ისე, ცხოველსაც აქვს. ვერბალურად სტიმულიზირებული იდეა კი

[1] დ. უზნაძე. განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, გვ. 126.

მხოლოდ განვითარების მაღალ საფეხურზე გვხვდება — იგი მხოლოდ მეტყველ არსებას — ადამიანს შეიძლება ჰქონდეს.

რა ზეგავლენას ახდენს ადამიანის ქცევაზე მეტყველების სახით გაშლილი აზრითი ანუ იდეური სიტუაცია? როგორ მოქმედებს ობიექტივირებული შინაარსები?

განწყობის კვლევის საქმეში, სხვათა შორის, ერთი ასეთი მარტივი ექსპერიმენტია გამოყენებული. ც/პირს მხედველობის ან კიდევ შეხების არეში შესადარებლად აძლევენ ორ სხვადასხვა სიდიდის წრეებს, ან კიდევ ბურთებს, 10—15-ჯერ ზედიზედ. ამას საგანწყობო ცდები ეწოდება. ამის შემდეგ, ც/პირს, შეუმჩნევლად, უტოლოს ნაცვლად ტოლ ბურთებს აწვდიან (კრიტიკული ცდები). საგანწყობო ცდებში უტოლო სიდიდეების განწყობა იქმნება და ფიქსირდება. კრიტიკულმა ცდებმა უნდა გვიჩვენოს ამ განწყობის მოქმედება. უკანასკნელი თავს იჩენს ტოლი სიდიდეების უტოლოდ — ილუზიურად აღქმაში.

იმის გამოსარკვევად, შეიძლება თუ არა ვერბალურად სტიმულიზირებულმა სიტუაციამაც შეასრულოს განწყობის ობიექტური ფაქტორის როლი, პროფ. რ. ნ ა ფ ე ა ძ ი ს მიერ ჩატარებული იქნა ზემოაღწერილი ცდები შემდეგი ვარიანტით. ც/პირს საგანწყობო ობიექტების მიწოდების ნაცვლად ეძლევა დავალება: წარმოიდგინოს — გაიაზროს, რომ ერთ ხელში — ვთქვათ მარჯვენაში — დიდი ბურთი აქვს, მეორეში კი — პატარა. ც/პირი განაცხადებს, რომ მან ასეთ წარმოდგენას მართლაც მიაღწია, დავალება ისევ მეორდება. ასე ხდება დაახლოებით 15-ჯერ (საგანწყობო ცდები). ამის შემდეგ ც/პირს მართლა აწვდიან ხელში ტოლ ბურთებს და სთხოვენ მათი ურთიერთშედარება მოახდინოს. ილუზიური აღქმა აქაც ჩვეულებრივად იჩენს თავს. იგი განსაკუთრებით ჭარბად აღმოაჩნდა მსახიობებსა და თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებს. საგანწყობო ცდებმა ც/პირთა ორ კატეგორიად დაყოფა მოგვცა. ერთი ჯგუფის ცდის პირები სრულიად ადვილად ახერხებდნენ სიდიდეთა ცხოველი, ინდივიდუალური ხატი შეექმნათ და აღქმისებური სიცხადით განეცადათ. ასეთ ც/პირებს წარმოადგენენ უმთავრესად სამსახიობო ნიჭით დაჯილდოებული პირები. ც/პირთა მეორე ჯგუფს ასეთი რამე არ ეხერხებოდა. ისინი ძირითადად აზრით აქტებს, იდეებს ემყარებოდნენ და დიდი ძალისხმევის შემდეგ აღწევდნენ სასურველ შედეგს.

ამ მიზნით ჩატარებული იქნა სხვა, სრულიად განსხვავებული ხასიათის ცდებიც, რომელთა აღწერა ახლა შორს წაგვიყვანდა.

დ. უზნაძის აზრით, „თუ განწყობის ჩვეულებრივ ცდებში საქმე აქტუალური სინამდვილის რომელიმე ინდივიდუალურ მონაკვეთთან, სავსებით გარკვეულ სიტუაციასთან გვქონდა, ამ შემთხვევაში განწყობის ობიექტურ პირობას აზრითი, ანუ უბრალოდ, იდეური სიტუაცია წარმოადგენს: სუბიექტს ანგარიშის გაწევა უხდება არა რეალურად მოცემულს, არამედ იდეალურად წარმოდგენილს, აზრით სიტუაციასთან“ [1].

ამგვარად, ობიექტივაციის გზით მიღებული შინაარსები — აზრები, ცნებები, იდეები, — მეტყველების ფორმაში გაშლილი იდეური ანუ აზრითი სიტუაციის სახით, განწყობის ობიექტურ ფაქტორად იქცევა, განწყობის, რომელიც ახლა ადამიანისთვის დამახასიათებელ დონეზე იქმნება და აქტიურდება. განწყობის სუბიექტურ ფაქტორად ისევ მოთხოვნილება რჩება.

რომ ჩავუკვირდეთ ყველაფერს, რაც აქ ი. პავლოვისა და დ. უზნაძის მოძღვრებათა შესახებ ითქვა ადვილად დავრწმუნდებით, რომ ამ ორი მოძღვრების სახით ერთი და იგივე სინამდვილის, — დიდი ტვინის ნახევარსფეროების ქერქის ერთი და იგივე მოქმედების, — ორი სხვადასხვა მხარე — ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური მხარეები — არის წარმოდგენილი. ფსიქიკური ცხოვრების პირველი — განწყობისეული — დონე, აქტივობის პირველი — იმპულსური — პლანი პირველი სიგნალური სისტემის მუშაობას ემთხვევა, ხოლო ფსიქიკური ცხოვრების მეორე — იდეური — დონე, აქტიობის მეორე — ობიექტივირებული — პლანი, მეორე სიგნალური სისტემით მოწესრიგებულ ცხოვრებას გამოხატავს. ფსიქიკური ცხოვრების ამ მეორე — იდეური — დონის ფიზიოლოგიურ მექანიზმს ის ახალი წარმონაქმნი შეადგენს, რომლის მიმართაც ივ. პავლოვი ამბობს: „განვითარებაში მყოფ ცხოველთა სამყაროში ადამიანის ფაზაზე ნერვული მოქმედების მექანიზმებს უაღრესად მნიშვნელოვანი რამ დაემატა“-ო. როგორც ავღნიშნეთ, ამ მექანიზმის ფიზიოლოგია ჯერ კიდევ არასაკმაოდაა შესწავლილი. მისი მუშაობის თავისებური ხასიათის გასათვალისწინებლად ივ. პავლოვი, ხშირად ადამიანის სპეციფიკურ ფსიქიკურ თავისებურებაზე — მეტყველების ფორმაში გაშლილ აზროვნებაზე, სინამდვილის კანონზომიერებათა ცნებათა ფორმაში მოცემულობაზე — ჩერდება და უჩვენებს, რომ სინამდვილის ასეთი იდეური ქონება აწესრიგებს ადამიანის სპეციფიკურ დამოკიდებულებას გარემოსთან. ეს შემთხვევითი

[1] დ. უზნაძე, განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები.

არ უნდა იყოს. ვინაიდან მეორი სიგნალური სისტემა ლოგიკური აზროვნების მექანიზმს წარმოადგენს, ხოლო ამა თუ იმ ნერვული მექანიზმის ბუნების გამოკვლევა, მისი მოქმედების თავისებურებაზე დაკვირვების გზითაა შესაძლებელი, მეორე სიგნალური სისტემის ფიზიოლოგიური მექანიზმის მიგნება და მისი თავისებურების წვდომა, წინა პირობად, მეტყველების ფორმაში გაშლილ აზროვნების ბუნების გათვალისწინებას გულისხმობს, იმის გათვალისწინებას გულისხმობს, რის მექანიზმსაც თვითონ წარმოადგენს. მეორე სიგნალური სისტემა უშუალოდ არაა დაკავშირებული კუნთური აპარატით მომუშავე ორგანოებთან, რომ მისი ბუნება ამ უკანასკნელის მოქმედებაზე დაკვირვების გზით იქნას ნარკვევი. იგი მას ისევე პირველი სიგნალური სისტემის გზითა და შუალობით უკავშირდება. საარტიკულაციო აპარატი უნდა იყოს მასთან უშუალოდ დაკავშირებული, მაგრამ ისიც სიტყვებსაც სწორედ ისევე წარმოთქვამს, როგორც ბგერათა უაზრო კომპლექსებს. მეორე სიგნალური სისტემის ნორმალური მოქმედების უშუალო ნაყოფს სინამდვილის აზრის, სინამდვილის ცნების, სინამდვილის ზოგად კანონზომიერებათა წვდომა და ქონება წარმოადგენს. ამიტომ მისი ფიზიოლოგიური მექანიზმის შესწავლა მხოლოდ იქნა შესაძლებელი სადაც იგი მოქმედებაშია, სადაც ადამიანის გარემოსთან დამოკიდებულება ამ აზრით, ამ ცნებით, ამ ზოგადი კანონზომიერებით წესრიგდება. ამიტომ შეუძლებელია აქ ფიზიოლოგმა მეთოდური მიზნით, არ ისარგებლოს იმ ცნებებით, მოცემულ შემთხვევაში ფიზიოლოგიის საგნისკენ მიმართულ კვლევაძიების გამძღოლის როლში გამოდიან. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ აღნიშნული ცნებები ორივე მეცნიერებაში — ფიზიოლოგიაში და ფსიქოლოგიაში — ერთნაირ ადგილს იჭერს: ისინი ფსიქოლოგიური მეცნიერების ძირითადს ფონდში შედიან, მაშინ როცა ფიზიოლოგიაში მათ, როგორც მეგზურებს თუ გამძღოლებს, მხოლოდ მეთოდური გამოყენება აქვთ. თვითონ ამ მეცნიერების ცნებათა სისტემის შრგნით მათთვის ადგილი არ არსებობს. ასე რომ არ ყოფილიყო დაირღვეოდა მეცნიერებათა სიწმინდე, მოიშლებოდა მათ შორის არსებული საზღვრები, რომელსაც ივ. პავლოვი ისე გულმოდგინებით იცავდა. ფიზიოლოგისთვის ეს ცნებები არის არა ფიზიოლოგიური მეცნიერების საშენი მასალა, არამედ გზა, საშუალება, რომელსაც ასეთი მასალის მოპოების საქმეში ერთგვარი დახმარების გაწევა შეუძლია. როცა ივ. პავლოვი ფიზიოლოგიისა და ფსიქოლოგიის შეუღლებას ორივე მეცნიერე-

ბისთვის აუცილებელ და სასარგებლო მოვლენად თვლიდა. მას, როგორც ფიზიოლოგს, მხოლოდ ასეთი სარგებლობა შეიძლებოდა ჰქონოდა მხედველობაში.

ფსიქიკური ცხოვრების პირველი დონიდან მეორე დონეზე გადასვლის ფსიქოლოგიურ პირობას ობიექტივაციის აქტი წარმოადგენს. ფსიქიკური ცხოვრების ეს დონეები შესატყვის სიგნალურ სისტემებს ემთხვევა: პირველი — პირველს, მეორე — მეორეს. ბუნებრივია, რომ ობიექტივაციის აქტსაც უნდა გააჩნდეს თავისი ფიზიოლოგიური საფუძველი, რომლის ნიადაგზედაც, ყოველ ცალკე მომენტში, პირველი სიგნალური სისტემიდან მეორე სიგნალურ სისტემაზე გადასვლა უნდა წარმოებდეს. ობიექტივაციის აქტის ფიზიოლოგიური მექანიზმის გამორკვევა დიდად შეუწყობდა ხელს მეორე სიგნალური სისტემის ფიზიოლოგიური ბუნების გარკვევას. მის შესახებ დღეისთვის თითქმის არაფერი ვიცით. ივ. პავლოვის მოძღვრებაში გვხვდება საორიენტაციო რეფლექსის ცნება. შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ ობიექტივაციის აქტის ფიზიოლოგიური მექანიზმი საორიენტაციო რეფლექსის მექანიზმის შემდგომი განვითარების შედეგადაა მიღებული, მაგრამ ეს, მაინცა და მაინც, ბევრს არაფერს ამბობს მისი ახლანდელი ბუნების შესახებ. მეორე სიგნალური სისტემა პირველი სიგნალური სისტემის ნიადაგზე წარმოიქმნა და განვითარდა, მაგრამ ამის გამო უკანასკნელში პირველის სპეციფიკური ბუნება არ ჩანს.

რედაქტორი დოც. ლ. ჭელიძე
Редактор доц. Л. ЧЕЛИДЗЕ

გამოცემის ხელმძღვანელი მ. ალავიძე
Руководитель издания М. Алавидзе

ასოთამწყობი-მეტრანპაჟი შ. კურცხალია
Наборщик-метранпаж Ш. Курцхалия

ხელმოწერილია დასაბეჭდად
1. IX. 1951 წ.; ანაწყობის
ზომა 6×10; სასტამბო ფორ-
მათა რაოდენობა 23; ტი-
რაჟი 500; შეკვეთის № 20;
უე 17879.
ალ. წულუკიძის სახელობის
ქუთაისის სახელმწიფო პედ-
ინსტიტუტის სტამბა, კიროვის ქუჩა, № 55.

ა 45
1950-1951

ფასი 15 მან.